გორის სასწავლო უნივერსიტეტი

GORI TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№1

2011

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2011 წლის 15 თებერვალს ჩატარებულ სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on February 15, 2011 at LEPL Gori Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by LEPL Gori Teaching University History and Archaeology Centre.

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სოსიაშვილი
ალექსანდრე მღებრიშვილი
ნუგზარ აბრამიშვილი
ვიანორ ახალაია
ქეთევან ბარბაქაძე
ციური ბაქრაძე
თამარ გოგოლაძე
ციური დურული
კლარა ელჩიბეგაშვილი
მზია ზანგალაძე
ზურაბ ზერაკიძე
ხათუნა კაკაურიძე
მალხაზ ლომსაძე
ელდარ მამისთვალიშვილი
ლევან მიდოდაშვილი
ჯემალ ქირია
შოთა ქურდაძე
პაატა ქურდაძე
გედევან ხელაია
გიორგი ხორბალაძე
გიორგი ყაზიშვილი

Editorial Board:

Giorgi Sosiashvili
Alexander Mgebrishvili
Nugzar Abramishvili
Vianor Akhalaia
Ketevan Barbakadze
Tsiuri Bakradze
Tamar Gogoladze
Tsiuri Duruli
Klara Elchibegashvili
Mzia Zangaladze
Zurab Zerakidze
Khatuna Kakauridze
Malkhaz Lomsadze
Eldar Mamistvalishvili
Levan Midodashvili
Jemal Kiria
Shota Kurdadze
Paata Kurdadze
Gedevan Khelaia
Giorgi Khorbaladze
Giorgi Kazishvili

ISSN 2233-3193

შინაარსი

განათლება

ბაიაძე ლალი, ზარხოზაშვილი მარიამ - *ახალ თაობას ახალი მასწავლებელი – 7*
ბაქრაძე ციური - *სწავლების თეორიისა და ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში – 9*
გოგიაშვილი მზია - *ინკლუზიური განათლება სკოლაში – 13*
თოგოშვილი ლელა - *მუზეუმის როლი ისტორიის სწავლებაში – 16*
იაშვილი ალექსანდრე - *სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობის ჯანმრთელობის განმტკიცების პროგრამა – 21*
ოდიკაძე რობინზონ - *საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო გავლენა ოსეთსა და ოსებზე ქრისტიანული თვალსაზრისით – 24*
რამიშვილი მზია - *უმაღლეს სასწავლებელში სწავლების მეთოდიკის სრულყოფის აუცილებლობა – 29*
ტოლიაშვილი აკაკი - *მოსაზრებები პედაგოგიური მეცნიერების კვლევისათვის – 32*
ქურდაძე პაატა - *გონებრივი აღზრდა – 34*
წიქარიძე ლევან, ზარხოზაშვილი მარიამ - *ელექტრონული სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები – 39*
ჭამპურიძე ნელი - *ინფორმაციის ვიზუალიზაციის დანერგვა სასწავლო პროგრამებში – 42*

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

აზმაიფარაშვილი მაია - *ბუნებრივი სამყაროს წესრიგზე გავლენას ახდენს ადამიანთა საქმიანობა – 46*
გოგინაშვილი ნელი - *მაკროელემენტების დაგროვება კენკროვან მცენარეებში – 51*
ედიშერაშვილი გია - *ფრინველთა მოსახლეობის სტრუქტურა სხალტბის ქედზე შერჩეულ ფართობზე – 53*
ზერაკიძე ზურაბ, მუმლაძე მალხაზ - *ზოგიერთი საკითხი სტატისტიკური სტრუქტურების პარამეტრების ძალდებულობის შესახებ – 55*
ნოზაძე ციური - *პრობლემურ-ორიენტირებული კომპლექსების გამოყენება საინფორმაციო სისტემების ინტელექტუალიზაციისათვის – 57*
ცერცვაძე კარლო - *სტაციონარული ვექტორული მიმდევრობის დასაჯერობის ფუნქციის აპროქსიმაცია – 60*

ბიზნესი და მართვა

ბებნაძე ხათუნა - *XXI საუკუნის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პრობლემები და მათი როლი საქართველოს განვითარებაში – 64*
ბიბილაშვილი ლია - *ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების აუცილებლობა საქართველოში – 68*
ბიძინაშვილი დავით - *ღვინის ბიზნესის წარმოების პერსპექტივები და საფრთხეები საქართველოში – 72*
გიგუაშვილი გიული - *ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები – 75*
დურული ციური, ლიპარტელიანი ნინო - *ბიზნეს ინკუბაცია და ბიზნეს ინკუბატორები – 80*
ლიპარტელიანი ნინო, ახალაია ნანა - *ოფშორული ზონების განვითარების ტენდენციები – 84*
ლიპარტელიანი ნინო, ჯოლბორდი მამუკა - *მევენახეობა–მეღვინეობა XIX საუკუნის საქართველოში – 89*
მამულაშვილი ლეილა, მახარაშვილი ირმა - *საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მისი გავლენა ეკონომიკაზე – 94*
მერლანი გიორგი - *სვანეთში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები და მისი როლი ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში – 98*
მშვიდობაძე თინათინ - *ბიზნეს-პროგრამების მართვის ხელშემწყობი კომპიუტერული სისტემების აგების მეთოდები – 103*
ოსაძე ლალი - *ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში – 107*
ჟოჟუაშვილი ნათია - *ინფლაციის დაძლევისათვის საქართველოში – 111*
სოსანიძე მაკა - *მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენება საგანმანათლებლო მომსახურების სფეროში – 116*

სრესელი ლალი - *თანამედროვე მსოფლიო დემოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ – 120*
ტიელიძე ზურაბ - *ტურისტული საქმიანობის ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი – 124*
შაქარაშვილი გელა - *AEAI და ECI-ს როლი საქართველოში „ენერგომენეჯმენტის“ სასწავლო საგნის წინაპირობების შექმნაში – 127*
ჩიტაძე ხალიანა - *უიმედო და საეჭვო მოთხოვნების როლი ბიზნესში – 132*
ჩიტაძე ხალიანა - *სახელმწიფოსა და მცირე ბიზნესის ურთიერთკავშირი საქართველოში – 135*
ჭიოტაშვილი დავით - *ახალი, სანდო, მარტივი საგადასახადო სისტემის საკითხები – 138*
ხორგუაშვილი თეა - *ფულის მართვა და ფულის მოძრაობის პროგნოზირება – 141*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

აბრამიშვილი ნუგზარ - *არისტოტელეს თეოლოგია – 145*
ელჩიბეგაშვილი კლარა - *იდეალური სახელმწიფოს მოდელი პლატონის „სახელმწიფოს“ მიხედვით – 148*
ვანიშვილი შალვა - *სისხლის სამართლის სასჯელები ფეოდალურ საქართველოში – 152*

ლინგვისტიკა

კობახიძე გიორგი - *ქართველთა საწარმოთქმო სიძნელეები გერმანული ენის შესწავლისას (ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებული ნაშრომი) – 157*
კობერიძე მარიამ - *არქაიზმები და ინოვაციები ფრონეს ხეობის ქართლურში – 163*
ოთინაშვილი ნიკოლოზ - *გვარები, გვართა დასახლებანი და წარმოება ქსნის ხეობაში – 166*
ოქროპირიძე ნინო - *ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულ ენაში – 170*
შერაზადიშვილი მარიკა - *ნაწილაკის როლი გამონათქვამის ორგანიზაციაში – 174*
ჩხიკვაძე ზურაბ, ხუბულური ლელა - *ხმოვნების სუსტი ფორმები ინგლისურ ენაში და მათი სწავლებისა და გაუმჯობესების მეთოდები – 177*
ხოჯევანიშვილი ელენე - *იდიომატურ-ფრაზეოლოგიზმთა მხატვრულ-ესთეტიკური დანიშნულება ჭაბუა ამირეჯიბის რომან „დათა თუთაშხიას“ მიხედვით – 180*

ლიტერატურა

გოგოლაძე თამარ - *აკაკი და ეროსი – 184*
იმნაძე ანა - *სახეებში დანახული ეპოქა - ოთარ ჩხეიძის დოკუმენტურ რომან „არტისტული გადატრიალების“ მიხედვით – 187*
მღებრიშვილი ალექსანდრე - ივანე *მაჩაბლის ცხოვრების ერთი უცნობი დეტალის შესახებ – 192*
ცერცვაძე მარინა - *გრიგოლ რობაქიძე არშემდგარი ნობელიანტი და საბჭოთა მწერლობა – 197*
ხინჩაგაშვილი ნათელა - *რუსული ლიტერატურის ისტორია: სწავლების ახალი მიდგომებიდან - ახალი შინაარსისაკენ – 202*
ხირსელი ელენე - *ანდრეი ბელის გაარაადამიანებული ესთეტიზმი. ნიცშეს იდეების ინტერპრეტაცია ბელის შემოქმედებაში – 206*

CONTENTS

Education

Baiazde Lali, Zarkhozashvili Mariam - *NEW TEACHER FOR NEW GENERATION – 7*
Bakradze Tsiuri - *THE THEORY OF TEACHING AND ISSUES OF ORGANIZATION IN GEORGIA AT THE BEGINNING OF THE 12TH CENTURY – 9*
Gogiashvili Mzia - *INCLUSIVE EDUCATION AT SCHOOL – 13*
Togoshvili Lela - *THE ROLE OF MUSEUM IN HISTORY TEACHING – 16*
Iashvili Alexsander - *GORI TEACHING UNIVERSITY STUDENT YOUNGSTERS HEALTH IMPROVEMENT PROGRAM – 21*
Odikadze Robinzon - *THE CULTURAL-INSTRUCTIVE INFLUENCE OF GEORGIA ON OSSETIA AND OSSETS BY POINT OF VIEW OF CRISTIANITY – 24*
Ramishvili Mzia - *STATE OF TEACHING AT HAIGHER SCHOOLS AND NECESSITY OF IMFROVEMENT OF TEACHING METHODS – 29*
Toliashvili Akaki - *IDEAS FOR THE RESEARCH OF PEDAGOGICAL SCIENCES – 32*
Kurdadze Paata - *MENTAL UPBRINGING – 34*
Tsikaridze Levan, Zarkhozashvili Mariam - *ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF E-LEARNING – 39*
Champuridze Nelly - *INTRODUCTION OF INFORMATION VISUALIZATION IN THE CURRICULUM – 42*

Exact and Natural Sciences

Azmaiparashvili Maia - *HUMAN ACTIVITY MAKES AND INFLUENCE ON THE REGULATIONS OF THE NATURE – 46*
Goginashvili Nelly - *ACCUMULATION OF MACRO ELEMENTS IN BERRIES – 51*
Edisherashvili Gia - *BIRD POPULATION STRUCTURE ON THE SAMPLING PLOTS OF SKHALTBI RANGE – 53*
Zerakidze Zurab, Mumladze Malkhaz - *SOME ISSUES ABOUT ADMITTING OF CONSISTENT ESTIMATES OF STATISTICAL STRUCTURES PARAMETERS – 55*
Nozadze Tsiuri - *APPLICATION OF THE PROBLEM-ORIENTED COMPLEXES FOR INTELLECTUALIZATION INFORMATION SYSTEMS – 57*
Tsertsvadze Karlo - *APPROXIMATION OF CREDIBILITY FUNCTION FOR STATIONARY VECTORIAL SEQUENCY – 60*

Business and Management

Bebnadze Khatuna - *ECONOMIC AND GEOPOLITICAL PROBLEMS OF THE XXI CENTURY AND THEIR ROLE IN THE DEVELOPMENT OF GEORGIA – 64*
Bibilashvili Lia - *NECESSITY OF REGULATION OF NATURAL MONOPOLIES IN GEORGIA – 68*
Bidzinashvili David - *WINE BUSINESS PROSPECTS AND DANGERS IN GEORGIA – 72*
Giguashvili Giuli - *LIBERAL TAX POLICY GUIDELINES – 75*
Duruli Tsiuri, Liparteliani Nino - *BUSINESS INCUBATION AND BUSINESS INCUBATORS – 80*
Liparteliani Nino, Akhalaia Nana - *THE TENDENCIES OF THE OFFSHORE ZONE DEVELOPMENT – 84*
Liparteliani Nino, Jolbordi Mamuka - *VITICULTURE AND WINE-MAKING IN GEORGIA IN THE XIX CENTURY – 89*
Mamulashvili Leila, Makharashvili Irma - *THE DEVELOPMENT OF INTERNATIONAL TOURISM AND ITS IMPACT ON THE ECONOMY – 94*
Merlani Giorgi - *DEVELOPMENT AND PERSPEQTIVES OF TURIZM AND IT VOLE FOR PROFIT OF LOKAL POPULATION – 98*
Mshvidobadze Tinatin - *THE METHODS TO RULE THE BUSINESS PROGRAMS ASSISTANCE COMPUTER SYSTEMS – 103*

Osadze Lali - *MILLENNIUM'S DEVELOPMENT GOALS IN GEORGIA – 107*
Zhozhuashvili Natia - *FOR OVERCOMING THE INFLATION IN GEORGIA – 111*
Sosanizde Maka - *USE OF MARKETING COMMUNICATIONS WITHIN EDUCATIONAL SERVICES– 116*
Sreseli Lali - *ABOUT MODERN WORLD DEMOGRAPHICAL CHARACTERISTICS – 120*
Tielidze Zurab - *JUST ISSUES OF TOURISTAL ACTIVITIE – 124*
Shakarashvili Gela - *ABOUT THE ROLE OF THE **AEAL** AND **ECI** IN THE CREATION OF THE PRECONDITIONS FOR A TRAINING COURSE IN "ENERGY MANAGEMENT" IN GEORGIA – 127*
Chitadze Khaliana - *THE ROLE OF IMPAIRED AND BAD RECEIVABLES IN BUSINESS – 132*
Chitadze Khaliana – *GOVERNMENT AND SMALL BUSINEESS RELATIONSHIP IN GEORGIA – 135*
Tchiotashvili David - *ISSUES OF THE NEW, RELIABLE, SIMPLE TAX SYSTEM – 138*
Khorguashvili Tea- *MONEY MANAGEMENT AND MONEY MOVEMENT PROGNOSIS – 141*

Social Sciences and Law

Abramishvili Nugzar - *ARISTOTLE THEOLOGY – 145*
Elchibegashvili Klara - *THE MODEL OF THE IDEAL STATE BASED ON THE "STATE" BY PLATO – 148*
Vanishvili Shalva - *CRIMINAL LAW PUNISHMENTS IN FEUDAL GEORGIA – 152*

Linguistics

Kobakhidze Giorgi - *PRONUNCIATION PROBLEMS OF THE GEORGIANS WHILE STUDYING THE GERMAN LANGUAGE (THE WORK BASED ON THE EMPIRICAL STUDY) – 157*
Koberidze Mariam - *THE ARCHAISMS AND INNOVATIONS IN PHRONE GORGE KARTLURI – 163*
Otinashvili Nikoloz - *SURNAMES, NAMES OF SURNAMES AND THEIR PRODUCTION IN KSANI GORGE – 166*
Okropiridze Nino - *FUNCTIONAL-SEMANTIC CATEGORY OF TEMPORALITY IN THE GEORGIAN LANGUAGE – 170*
Sherazadishvili Marika - *PARTICLE'S ROLE IN ORGANIZING OF EXPRESSION – 174*
Chkhikvadze Zurab, Khubuluri Lela - *THE WEAK FORMS OF ENGLISH VOWELS AND THE METHODS OF TEACHING AND IMPROVING THEM – 177*
Khojevanishvili Elene - *FICTIONAL-AESTHETIC IMPORTANCE OF IDIOMATIC PHRASEOLOGY ACCORDING TO CHABUA AMIREJIBI'S NOVEL "DATA TUTASHKHIA" – 180*

Literature

Gogoladze Tamar - *AKAKI AND EROS – 184*
Imnadze Ana - *THE EPOCH SEEN IN CHARACTERS ACCORDING TO OTAR CHKHEIDZE'S DOCUMENTARY NOVEL "ARTISTIC REVOLUTION" – 187*
Mgebrishvili Aleksander - *ONE OF THE UNKNOWN DETAILS FROM THE LIFE OF IVANE MACHABELI – 192*
Tsertsvadze Marina - *GRIGOL ROBAKIDZE AN INCOMPLETE NOBEL PRIZE OWNER AND THE SOVIET LITERATURE – 197*
Khinchagashvili Natela - *HISTORI OF THE RUSSIAN LITERATURE : FROM THE NEW APPROACHES OF TEACHING TO THE NEW CONTENT – 202*
Khirseli Elene - *ANDREI BELY'S AESTHETISM. THE INTERPRETATION OF NIETZSCHE'S IDEAS IN BELY'S WORKS – 206*

განათლება
Education

ახალ თაობას ახალი მასწავლებელი

ლალი ბაიაძე, *ასოცირებული პროფესორი*
მარიამ ზარხოზაშვილი, *მოწვეული სპეციალისტი*

ბავშვის აღზრდისა და განათლების საკითხს თუ უწყვეტი განათლების სისტემით მივყვებით უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაზე დიდი „სკოლა“ ოჯახია, დედა კი მისი ბიოლოგიური მასწავლებელი. ჩვენი მიზანია სასწავლო პროცესის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მეტ ნაკლებად დაახლოებული იქნება ბავშვის საოჯახო გარემოსთან, საოჯახო გარემო იმ უნარების გამცემი და მიმღებია, რომელსაც მოზარდი ყველაზე წარმატებულად იღებს.

„ახალი“ მასწავლებლის მთავარი პრინციპია ადამიანის (მოსწავლის) ბუნებრივი, ბიოლოგიური ნიჭის, უნარების გამოვლენა და განვითარება. ყველა ადამიანში არის ინდივიდუალობა (უნარები), კრეატიულობა. ესაა შესაძლებლობები, რომლის გამოვლენა, ადამიანის პიროვნული ნიჭის გამოვლენის საშუალებას აძლევს.

ყოველ ადამიანს აქვს კრეატიული უნარი, (ნიჭი), რომელიც განსხვავებულია თითოეულ ადამიანში. განსხვავება გამოიხატება კრეატიულობის სახეობაში და ოდენობაში.

კალესტინ ფრაინეტს სურდა ყოველი ადამიანი წარმატებული ყოფილიყო. იგი ფიქრობდა, რომ ადამიანის წარმატების მიღწვა კრიატიულობითაა შესაძლებელი.

კრიატიულიულობა ხშირად უდიდესია ბავშვებში, რომელსაც მუშაობის (სწავლება-სწავლის) პრინციპი წარმატებულ ნიჭად აქცევს. კრეატიულობა „შენდება“ ცოდნაზე, გამოცდილებაზე, რომლის წარმმართველი არის მასწავლებელი.

„ბუნებრივი მეთოდები“ - თავისუფლება განათლებაში, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს საგანმანათლებლო სივრცეში, ხელს შეუწყობს მიზანმიმართული სწავლისა და აღზრდის საკითხების გადაჭრის პრობლემების მოგვარებას. დემოკრატიული სწავლების ეს მიგნება ხელს შეუწყობს ახალი ადამიანის აღზრდას, რომლის მთავარი მოთხოვნაა: აზროვნების, კომუნიკაბელურობის, მსჯელობის უნარების განვითარება.

სალამანკას დეკლარაციიდან ამონარიდი: „სკოლამ უნდა მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლის გზები“.

მიზანი: ვიპოვოთ ყველა ბავშვში კრიატიულობა და ვიმუშაოთ ამ უნარის გააქტიურებაზე!

როგორ?

- პედაგოგი უნდა იყოს კრეატიული!

რამოდენიმე რჩევა მასწავლებელს!

ყოველი დღე – ახალი, უცხო, საინტერესო, შენი საქმიანობის წარმატების გარანტია!

1. ყოველი დღე ახლით დაიწყე. სიახლე წარმატებულს ხდის შენს საქმიანობას;
2. ეცადე, ყოველ კვირას მცირედი ცვლილება მაინც შეიტანო საკლასო ოთახის გაფორმებაში;
3. დატვირთე მეცადინეობა სანახაობითი მასალით;
4. ნუ იჩქარებ ახალ-ახალი მასალის ახსნაზე, იცოდეს მოსწავლემ, რომ მთავარი ახსნილის ანალიზი და მისი შეთვისებაა;
5. შენს მიერ შეთავაზებულ ახალ მასალას, წინ მოტივაცია წაუმძღვარე;
6. ეცადე ყველა საკითხი გააშუქო მსმენელის პროვოცირებით, სწავლების პროცესის ეს მიგნება, სწავლის ინტერესის გაღრმავებას იწვევს;
7. არ დაგავიწყდეს, კრეატიულობა ადამიანის უდიდესი „მონაპოვარია“;
8. გაეპრანჭე შენს მოსწავლეებს, მათ „ლამაზი“ მასწავლებელი მოსწონთ;
9. არ დაგავიწყდეს ყოველ დილით ბავშვს კომპლიმენტი რომ უნდა უთხრა;
10. ეცადე, რაღაცას დაპირდი და აუცილებლად შეუსრულე, ეს თამაში კომუნიკაბელურს ხდის მას;
11. დამაჯერებლად გამოიყურებოდე – რწმენის აღზრდაა;
12. ხომ გახსოვს, შენ რომ ბავშვის მეგობარი ხარ?;

13. დაიცავი შენი უფლებები, რათა მოსწავლემ ისწავლოს საკუთარი უფლებების დაცვა;
14. არასოდეს მოიტყუო;
15. იყავი უშუალო, მომთხოვნი და სამართლიანი;
16. დაუმეგობრდი მისთვის (ბავშვისთვის) ავტორიტეტულ პიროვნებას;
17. არასოდეს ცუდად არ დაახასიათო ცუდი ადამიანიც კი, ვიღაცის ცუდი ხასიათი ყოველთვის გაამართლე, ბავშვობის ასაკში უკეთესია იცოდეს მან, რომ ამ ქვეყანაზე ცუდი ადამიანები არ არსებობენ;
18. ეცადე ბავშვს ფერადად დაანახო სამყარო;
19. იყავი ფანტაზიორი-მეოცნებე, ის აუცილებლად მოგბაძავს;
20. შენი კოლეგიალობა – ჯგუფის ერთსულოვნებაა;
21. ნუ შეეცდები დაანახო მოსწავლეებს, რომ ყველაფერი იცი, იცოდნენ მათ, რომ შენ ყოველდღე ახალ-ახალ რამეს სწავლობ, ისინი ანალიზს აუცილებლად გააკეთებენ და მიხვდებიან, რომ მთელი ცხოვრება უნდა ისწავლონ;
22. ძიების უნარი სასწავლო პროცესის გადახალისების მთავარი მომენტია, აზროვნების, გონების წვრთნაა;
23. გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის დროს გაითვალისწინე ჯგუფის ინტერესი;
24. გამოიყენე ბუნება გაკვეთილის ჩასატარებლად, ეს მათ ძალიან მოსწონთ;
25. ნუ დაგავიწყდება განათლებაზე მთავარი, რომ მათი ჯანმრთელობაა;
26. ნუ იქნები შეფასებაზე ორიენტირებული, მთავარი ხომ მათი ცოდნაა;
27. ხშირად ათამაშე მასწავლებლობანა, ეს თვითდაჯერებულობის საუკეთესო საშუალებაა;
28. ბავშვის მიერ გამოთქმულ მცდარ აზრს დადებითი არგუმენტები მოუნახე, მიეცი მას საშუალება თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი;
29. გამოიყენე ბავშვის მიერ გამოყენებული ფრაზა და ააგე მეცადინეობა;
30. შეაქე სუსტი მოსწავლე ყოველდღე, ის სულ მალე წარმატებული გახდება;
31. გაუკეთე საკუთარ თავს შეფასება და ეცადე ბავშვმა თვითშეფასების სისტემას სისტემატური სახე მისცეს;
32. არ დაგავიწყდეს, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რომ უნდა ასწავლო;
33. ხომ იცი, ყველაზე ფაქიზ, ყველაზე სათუთ, ყველაზე ლამაზ ქმნილებას წვრთნი;
34. ყოველთვის გასხოვდეს ბავშვი „ნაძვის ხეა“ და შენ მის გარშემო ტრიალებ.

მასწავლებლის მეთოდური მასალა: **„ყოველი დღე – ახალი, უცხო, საინტერესო, შენი საქმიანობის წარმატების გარანტია!“** საშუალებას მისცემს მასწავლებელს დასახულ მიზანს ადვიად მიაღწიოს, იპოვოს თითოეულ მოსწავლეში კრიატიულობა, და ხელი შეუწყოს მოსწავლისათვის სასურველი უნარების განვითარებას.

მასწავლებელი ის ადამიანური რესურსია, რომელიც წარმართავს მოზარდის აღზრდას მისი ბიოლოგიური შესაძლებლობების თვითგანვითარებისაკენ დემოკრატიული აღზრდის პრინციპებით.

ლიტერატურა:

1. ლ. ბაიაძე, ი. მოსახლიშვილი. კრეატიული მასწავლებელი (მეთოდური ნაშრომი). ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი N3956. დეპონირებული 2010.02.08.

რეზიუმე

ოცდათოთხმეტ პუნქტში ჩამოყალიბებული „ახალი“ მასწავლებლის სახე საშუალებას გვაძლევს აღზრდის ისეთი ტექნოლოგიების ჩამოყალიბებას, რომელიც მიახლოებული იქნება აღზრდის ბიოლოგიურ გარემოსთან - ოჯახთან. „ახალი“ მასწავლებელი იქნება მედიატორი სკოლასა და ოჯახს შორის, ის ქმნის ისეთ სასკოლო გარემოს, რომელიც გათვლილია მოწავლის შესაძლებლობებზე.

„ბუნებრივი მეთოდები“ - თავისუფლება განათლებაში, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს საგანმანათლებლო სივრცეში, ხელს შეუწყობს მიზანმიმართული სწავლისა და აღზრდის საკითხების გადაჭრის პრობლემების მოგვარებას. დემოკრატიული სწავლების ეს მიგნება ხელს შეუწყობს ახალი ადამიანის აღზრდას, რომლის მთავარი მოთხოვნაა: აზროვნების, კომუნიკაბელურობის, მსჯელობის უნარების განვითარება.

„ახალი“ მასწავლებლის მთავარი პრინციპია ადამიანის (მოსწავლის) ბუნებრივი, ბიოლოგიური ნიჭის, უნარების გამოვლენა და განვითარება. ყველა ადამიანში არის ინდივიდუალობა (უნარები), კრეატიულობა. ესაა შესაძლებლობები, რომლის გამოვლენა ადამიანის პიროვნული ნიჭის გამოვლენის საშუალებას აძლევს.

მასწავლებლის მეთოდური მასალა: **„ყოველი დღე – ახალი, უცხო, საინტერესო, შენი საქმიანობის წარმატების გარანტია!“** საშუალებას მისცემს მასწავლებელს დასახულ მიზანს ადვილად მიაღწიოს, იპოვოს თითოეულ მოსწავლეში კრიატიულობა, ხელი შეუწყოს მოსწავლისთვის სასურველი უნარების განვითარებას.

მასწავლებელი ის ადამიანური რესურსია, რომელიც წარმართავს მოზარდის აღზრდას მისი ბიოლოგიური შესაძლებლობების თვითგანვითარებისაკენ დემოკრატიული აღზრდის პრინციპებით.

NEW TEACHER FOR NEW GENERATION

Lali Baiadze, Associate Professor
Mariam Zarkhozashvili, Specialist by contract

RESUME

Thirty-four points about “new style” teacher give opportunity to form such technologies of upbringing which will be close to biological environment - family. “New style” teacher will be a mediator between school and family, she/he creates environment which is oriented on students’ skills.

Natural methods – freedom in education, used by teacher will promote problem solving while processes of teaching and upbringing. This way of democracy in teaching will assist formation of new person, whose main requirements are: thinking, communication skill, working out skills of argumentative discussion.

The main principal of “new style” teacher is to discover and develop students’ natural, biological abilities and skills. Each person owes individuality (skills), creativity. These opportunities help persons to show and realize own skills and abilities.

Teacher’s methodological material: **“Every day – New, Unknown, Interesting, Is the Guarantee of Your Successful Work!”** will assist teacher to gain goals, to discover creativity in each student, support students to develop desirable skills.

Teacher is a human resource who uses democratic principals in directing students’ upbringing by means of biological self-development.

სწავლების თეორიისა და ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში

ციური ბაქრაძე, ასოცირებული პროფესორი

ქართველი პედაგოგებისა და განმანათლებლების პედაგოგიური შეხედულებები პირველ რიგში სახალხო განათლების მეცნიერულ საწყისებზე დაფუძნების პრობლემებს ეძღვნებოდა. მიმდინარეობდა ინტენსიური ძიება სწავლებისა და აღზრდის სისტემისა და ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო საყოველთაო დაწყებითი განათლების განხორციელება, რაც ევროპის ყველა მოწინავე ქვეყნებში უკვე ტარდებოდა. რუსეთშიც ეს მოძრაობა უკვე დაწყებული იყო.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქართველი განმანათლებლები და პედაგოგები ხშირად აქვეყნებდნენ წერილებს აღზრდისა და სწავლების ერთიანობის პრობლემებზე. სწავლებისა და განათლების თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ რჩებოდა ყურადღების გარეშე. განსაკუთრებით აქტიურობდა ჟურნალი „მოგზაური“ და მისი რედაქტორი ივანე როსტომაშვილი. ამ ჟურნალის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა წერილები სწავლების დიდაქტიკური პრინციპების შესახებ. შუქდებოდა სწავლებისა და

აღზრდის ერთიანობის, სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლების, ცალკეული დიდაქტიკური პრინციპების, სწავლების ორგანიზაციის ფორმებისა და მეთოდების შესახებ პრობლემები. ჟურნალის სწორი აზრით „ყოველგვარ სწავლაში უნდა გამოსჭვიოდეს ზნეობრივი აღზრდა, ორივე განუყრელად უნდა მიდიოდეს ერთად, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზნეობრივი გრძნობის აღძვრა მარტო დარიგებით არ შეიძლება“ [5, 553]. ივ. როსტომაშვილი წერდა: „სწავლება და აღზრდა ორი განუყრელი ორგანოა, ყოველი მასწავლებელი იმავე დროს აღმზრდელიც არის, ყოველი გაკვეთილი მოსწავლეებისა იმავე დროს სააღმზრდელო მიზნებსაც ემსახურება“ [4-699]. ეს აზრი სწორია და ზუსტად ემთხვევა თანამედროვე დიდაქტიკის თეორიას. აღმზრდელობითი სწავლების პრინციპს შეეხო აგრეთვე ცნობილი პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე. მისი აზრით საჭიროა გონებრივ ძალთა განვითარება და კეთილშობილურ გრძნობათა აღძვრა. ამისთვის საჭიროა მიეცეს ახალგაზრდობას ნამდვილი განათლება, ჭეშმარიტი მეცნიერული ცოდნა და შრომის ჩვევები.

ივ. როსტომაშვილი აკრიტიკებდა რუსეთსა და საქართველოში არსებულ დაწყებით სკოლას, რომელიც დაკავშირებული იყო მხოლოდ წიგნიერი სწავლებით და მოწყვეტილი იყო გარემომცველ ბუნებას, ცხოვრებას, ასეთი სწავლება დაამახინჯებს ადამიანის ბუნებას და ახშობს მის ბუნებრივ გრძნობებს და ნიჭსაც.

ჟურნალ „მოგზაურში“ პერიოდულად იბეჭდებოდა წერილები სწავლების თეორიის საკითხებზე, განათლებისა და სწავლების შინაარსის, სწავლების პრინციპებისა და მეთოდების შესახებ. აქტიურად ეხმაურებოდნენ დიდაქტიკის პრობლემებს სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც: „სკოლა და ცხოვრება“, „სკოლა და ოჯახი“, „მოწაფე“, „ახალი სკოლისაკენ“ და სხვა.

საქართველოში პოლიტექნიკური სწავლების პრობლემების გაშუქება დაიწყო ოციანი წლების შუა ხანებში. ამ საკითხებზე წერილები გამოაქვეყნეს: მ. ორახელაშვილმა, გ. გოგუაძემ, ს. მინდაძემ, ნ. მელქაძემ, ა. კაპანაძემ და სხვებმა.

1930 წელს გამოქვეყნდა პ. ჭანიშვილის წიგნი „პოლიტექნიკუმი“, რომელშიც მოცემული იყო ამ პრობლემების შედარებით ვრცლად გაშუქების ცდა. პოლიტექნიკური სწავლების შინაარსის გაგებაში ბევრი გაუგებრობა იყო. ზოგიერთნი პოლიტექნიკური განათლების ცნებას აიგივებდნენ პროფესიულ განათლებასთან, ზოგიერთნი - სახელოსნოებში პრაქტიკულ საქმიანობასთან, ზოგიერთნი საერთოდ სკოლას, როგორც მთავარი სასწავლო დაწესებულების ლიკვიდაციას მოითხოვდნენ და ზიგიერთნი „სკოლა-წარმოების“, „სკოლა-მეურნეობის“ დაარსებას და ა.შ.

იყო ცალკეული სწორი შეხედულებებიც, რომლებიც პოლიტექნიკური სწავლების შინაარსში გულისხმობდნენ წარმოების საფუძვლების ზოგად შესწავლას და თეორიულ სწავლებასთან მწარმოებლური შრომის დაკავშირებას. ასეთი იდეები შემდგომ პერიოდში განვითარდა და დაიხვეწა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სწავლებაში აუცილებელია შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპის დაცვა, რადგან „ადამიანის დანიშნულება იმაშია, რომ მკაფიოდ და შეგნებულად გამოჰყოს მოვლენა და ნათლად წარმოადგინოს. ეს უნარი მან სკოლაში უნდა გამოიმუშაოს“ [1, 145].

ცნობილი პედაგოგის ტრ. თაბუკაშვილის აზრით შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპის მოთხოვნების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშობლიური და უცხოური ენების გრამატიკის სწავლებაში. მისი აზრით „გრამატიკა უნდა ისწავლებოდეს არა განყენებულად, მოსწვალეებისათვის გაუგებარი წესების ზეპირობის შემწეობით, არამედ პრაქტიკული ვარჯიშობის გზით. გრამატიკა უნდა ეხმარებოდეს პრაქტიკულ მეთოდს. ჯერ მაგალითები, დიდი ხნის ვარჯიშობა და შემდეგ დასკვნა - ასეთი უნდა იყოს გრამატიკის სწავლების მართებული გზა“. [3, 76-77].

იმავე ავტორის აზრით, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოების პრინციპის გამოყენებას. სადაც კი შესაძლებელია, - წერდა იგი, ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული საგნებისა და მოქმედების ჩვენება, აზრთა და საგანთა სხვადასხვა მხრით შედარება, წერა და სხვა.

ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნდა მ. ზანდუკელის წერილები. მის მოსაზრებაში ჩანს სიახლე, რომ „ახალმა სკოლამ უნდა გამოიმუშაოს ახალი ცხოვრების შემოქმედი პიროვნება, მაგრამ შემოქმედი ნიჭით აღჭურვილი პიროვნება ჩამოყალიბდება მაშინ, როცა მას ავარჯიშებთ შემოქმედებაში. ძველი სკოლა თავისი დოგმატური მეთოდებით, რომელთა მიზანი იყო შეესწავლებინა ყმაწვილისათვის რაც შეიძლება ბევრი ფაქტი მეცნიერებისა და წიგნის საშუალებით, ანვითარებდა მასში პირობას, ხოლო უკეთეს შემთხვევაში მიმბაძველობას“ [5,5].

ოციან წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გლეხი ახალგაზრდობის სკოლების დაარსებას. ამ საკითხზე გამოქვეყნებული წერილების ავტორები ასეთი სკოლებისადმი ყურადღებას იმით ადასტურებენ, რომ საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას, ასეთი სკოლები სჭირდება პირველ რიგში.

ოციანი წლების შუა ხანებში სოფლად ორი ტიპის სკოლა არსებობდა: გლეხი ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც მოსწავლეებს ამზადებდა ინდივიდუალური მეურნეობისათვის და მეორე - სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელიც უფრო ვიწრო მიზანს ისახავდა, ამზადებდა ახალგაზრდებს ერთი კონკრეტული საქმისათვის. ამ სკოლებში ღებულობდნენ დაწყებითი განათლების მქონე მოზარდებს.

გლეხი ახალგაზრდობის სკოლები ამავე დროს მიზნად ისახავდნენ პოლიტიკურ ამოცანებსაც. მათ თავიანთი გავლენის ქვეშ უნდა ჰყოლოდათ სოფლის ყველა ბავშვი და მოზარდი. კორნელი ქაცარავაც მხარს უჭერს ისეთ სკოლას, რომლის მიზანია მოაქციოს კომუნისტური გავლენის ქვეშ სოფლის ახალგაზრდობა და რომ ამ სკოლის უპირველესი მიზანია გამოზარდოს პოლიტექნიკურად გაგებული, კულტურული საბჭოთა მოღვაწე.

საკლასო სისტემის თანდაყოლილი ნაკლი იყო მეორეწლიანობა, საკლასო სისტემა ანგარიშს ვერ უწევდა მოწაფეთა ინდივიდუალურ თავისებურებას, ის გულისხმობს, რომ ერთი ასაკის ბავშვები ერთნაირები უნდა იყვნენ და ამიტომ ერთიდაიმავე ვადაში უნდა შეითვისონ ერთნაირი პროგრამა, მაგრამ რაკი ეს ასე არ არის, რომ კლასში არიან სუსტები, ძლიერები და საშუალონი, ამიტომ მასწავლებელი იძულებულია ყურადღება გაამახვილოს საშუალო მოსწავლეებზე.

ცნობილმა პედაგოგმა პ. ჭანიშვილმა გამოსცა ნაშრომი „სასკოლო მუშაობის რაციონალიზაცია“, ნაშრომში დახასიათებული აქვს კემბრიჯის სისტემა, რომლის მიხედვით სავალდებულოა არა ვადა, არამედ პროგრამა, ბავშვმა უნდა დაამთავროს სასწავლებელი და რამდენიც უნდა, იმდენი დრო მოანდომოს ამ საქმეს. სწრაფი ტემპით მომუშავე ბავშვებს უფლება ჰქონდათ ყოველ ორ თვეში გადასულიყვნენ შემდეგ ჯგუფში, ნაკლები ტემპით მომუშავე ბავშვები კი უფრო მოგვიანებით გადადიოდნენ შემდეგ ჯგუფში. მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ სამუშაო გეგმის შედგენაში, აგრეთვე მუშაობის, დროისა და მიღწევების აღრიცხვაში.

დალტონის სისტემა უარყოფს კლასს, ძირითადად ლაბორატორიებია, სადაც მოსწავლეები დაყოფილნი არიან ჯგუფებად. ისინი მუშაობენ დამოუკიდებლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მეცადინეობენ რომელ საგანშიც სურთ. შეუძლიათ ერთ საგანში შეისწავლონ მთლიანი პროგრამა, მეორე საგანში კი ჩამორჩნენ და შემდეგ გააგრძელონ. არ არის სავალდებულო მეცადინეობის მტკიცე, სავალდებულო ნუსხა. დალტონის სისტემით იცვლება მასწავლებლის როლი, იგი ცოდნის გადამცემი აღარაა, არამედ ორგანიზატორი-კონსულტანტი. ეს სისტემა იძლევა ერთ შემთხვევაში დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას, მეორე შემთხვევაში კი ზღუდავს მოსწავლეებს. ვუინეტკის სისტემით ყოველი მოსწავლე მუშაობს და მიდის წინ საკუთარი ნიჭისა და ტემპის მიხედვით. სკოლას ამთავრებენ სხვადასხვა დროს.

ოციანი წლების დასაწყისში ხშირად ქვეყნდებოდა წერილები სწავლების კომპლექსურ სისტემის ავკარგიანობის შესახებ. ეს სისტემა დანერგილი იყო დასავლეთ ევროპასა და განსაკუთრებით ამერიკის სკოლებში. განათლების მუშაკებმა მზერა მიაპყრეს სწავლების კომპლექსურ სისტემას. მათი აზრით, ასეთი სისტემა იძლევა სასწავლო მასალის შესწავლის ორგანიზაციის უკეთეს შესაძლებლობას, რომლის მეშვეობითაც დამყარდება საგნებსა და მოვლენებს შორის დიდაქტიკური კავშირი, განმტკიცდება ცხოვრებასთან სკოლის კავშირი, სწავლებისა და შრომის ერთიანობა. პროგრამები უნდა აგებულიყო ისე, რომ ცოდნისა და გამოცდილების ძირითადი ბირთვი დაკავშირებულიყო გარემოცველ სინამდვილესთან, რომელსაც დაეფუძნებოდა შემდეგში მოსწავლის ცნებები და წარმოდგენები. ახალ პროგრამებში დიდი ადგილი ეთმობოდა ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის პრობლემებს, ისტორიაში ხალხის როლის, დანიშნულების შესწავლა-გაგებას. კომპლექსურ თემებს საქმე ფაქტიურად მიყავდა ცალკეული სასწავლო დისციპლინის დამოუკიდებლად არსებობის გაუქმებამდე. ეს ტენდენცია შესამჩნევი იყო მაღალ კლასებში, სადაც უგულებელყოფილი იყო სისტემური ცოდნის დაუფლება.

არსებითი ნაკლი ამ პროგრამებისა მდგომარეობდა იმაში, რომ სასწავლო საგნებს შორის არ არსებობდა ორგანული კავშირი.

საქართველოში მიმდინარეობდა კომპლექსური სისტემის შესწავლა, განხილვა და პრაქტიკულად მისი დანერგვისათვის მზადება.

ივ. ჯავახიშვილი უცხოეთის ქვეყნების სასწავლო დაწესებულებების განხორციელებას კრიტიკული თვალსაზრისით განიხილავდა, სწავლების ფორმებს, პრინციპებსა და მეთოდებს საქართველოსთვის ვარგისიანობის მიხედვით აფასებდა. მისი შეხედულებით „სანამდის საბჭო თეორიულად გადაწყვეტდეს ამ საკითხებს, საჭიროა რამდენიმე სკოლაში მოხდენილ იქნას ექსპერიმენტები და დაკვირვებანი, რაც დახმარებას მოგვცემს უფრო საფუძვლიანად გადაწყდეს ესა თუ ის პედაგოგიური საკითხი“ [6, 75]. მან ბრძოლა გააჩაღა საქართველოს სკოლებში საზღვარგარეთიდან „კომპლექსური სწავლების“: სისტემის მექანიკურად გადმონერგვის ცდების წინააღმდეგ, რადგანაც

სწავლების ამგვარი ფორმები საგნებსა და მოვლენათა კავშირზე, მათ განვითარებასა და ურთიერთობაზე მოსწავლეებს მექანიკურ (ყალბ) წარმოდგენას უყალიბებდა.

ივ. ჯავახიშვილის წინასწარი ვარაუდი დადასტურდა, როცა კომპლექსური სწავლების შემოღებით სკოლებში დილეტანტობამ იმძლავრა. მის მიერ მიღებული ზომებით, სწავლების ეს მახინჯი ფორმა განათლების სამინისტროს მიერ სკოლებიდან განდევნილ იქნა. პროფესორ ტიტე სარაშვილის შეხედულებით ივ. ჯავახიშვილს თავიდანვე მტკიცედ სწამდა, რომ კომპლექსური მეთოდი ბავშვს ვერ მისცემს მტკიცე, საფუძვლიან ცოდნას, მაშინ როდესაც სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა აღჭურვოს მოსწავლეები სასწავლო საგნების ცოდნით, საფუძვლიანი განათლებით, მისი გამოთქმით: „კომპლექსური მეთოდი შეიცავს ძირეულ საკითხებს, რომლის გადაწყვეტა ბავშვს დიდი ძალისხმევის გარეშე არ შეუძლია, ასეთი დაკავშირება საგნებისა და მოვლენებისა იქნება მეტად ხელოვნური“ [1, 145]. ეს აზრი სავსებით სწორია და ეთანხმება დღევანდელ გაგება-შეფასებას.

ლიტერატურა:

1. გვრიტიშვილი დ. - ივანე ჯავახიშვილი, 1949;
2. ზანდუკელი მ. - სასკოლო მუშაობის რაციონალიზაცია, ჟურნ. „განათლება“, 1920, №4-5;
3. თაბუკაშვილი ტრ. - მეთოდური შენიშვნები, თბ., 1923;
4. როსტომაშვილი ივ. - რა არის გონებრივი აღზრდა-განვითარება? ჟურნ. „მოგზაური“, 1902, №11;
5. ტატუნაშვილი ალ. - ხასიათის აღზრდა სკოლებში ჟურნ. ”მოგზაური”, 1902, №9;
6. ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1972, №8.

რეზიუმე

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქართველი განმანათლებლები და პედაგოგები ხშირად აქვეყნებდნენ წერილებს აღზრდისა და სწავლების ერთიანობის პრობლემებზე. სწავლებისა და განათლების თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ რჩებოდა ყურადღების გარეშე. განსაკუთრებით აქტიურობდა ჟურნალი „მოგზაური“ - რედაქტორი ივანე როსტომაშვილი.

აღმზრდელობითი სწავლების პრინციპს შეეხო აგრეთვე ცნობილი პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე.

ივ. როსტომაშვილი აკრიტიკებდა რუსეთსა და საქართველოში არსებულ დაწყებით სკოლას, რომელიც დაკავშირებული იყო მხოლოდ წიგნური სწავლებით და მოწყვეტილი იყო გარემომცველ ბუნებას, ცხოვრებას.

საქართველოში პოლიტექნიკური სწავლების პრობლემების გაშუქება დაიწყო ოციანი წლების შუა ხანებში. ამ საკითხებზე წერილები გამოაქვეყნეს: მ. ორახელაშვილმა, გ. გოგუაძემ, ს. მინდაძემ, ნ. მელქაძემ, ა. კაპანაძემ და სხვა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სწავლებაში აუცილებელია შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპის დაცვა.

ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნდა მ. ზანდუკელის წერილები. რომელიც „ახალი სკოლის“ ჩამოყალიბებას შეეხებოდა. ასევე ქვეყნდებოდა წერილები გლეხი ახალგაზრდობის სკოლების დაარსებაზე. სკოლებში კომპლექსური სწავლების შემოტანაზე, რომლის წინააღმდეგ წავიდა ივ. ჯავახიშვილი. მისი აზრით სწავლების ამგვარი ფორმები საგნებსა და მოვლენათა კავშირზე, მათ განვითარებასა და ურთიერთობაზე მოსწავლეებს მექანიკურ წარმოდგენას უყალიბებდა.

THE THEORY OF TEACHING AND ISSUES OF ORGANIZATION IN GEORGIA AT THE BEGINNING OF THE 12TH CENTURY

Tsiuri Bakradze, Associate Professor

SUMMARY

In the beginning of the 20th century, Georgian academics and pedagogues often published articles about the problems of education and teaching. Almost none of the important issues of teaching and education were without attention. The most active journal "Mogzauri"- editor, Ivane Rostomashvili.

A famous pedagogue, Alexander Chichinadze also paid attention to the principles of educational teaching. I. Rostomashvili criticized Russian and Georgian elementary schools, which was only connected to teaching from books and was separated from nature and life.

In the middle of the 20th century, Georgia began to focus on the problems of polytechnic education. The articles about these issues were published by M. Orakhelashvili, G. Goguadze. S. Mindadze, N. Melkadze, A. Kapanadze and others.

As I. Javakhishvili thought, when teaching the most important thing is to defend the principles of activity and consciousness.

In the journal, "Ganatleba" were published articles by M. Zandukeli for forming "New schools". The articles were also published on establishing schools for the peasant youth, and to bring up complex education in schools. However, Ivane Javakhishvili was against all of these. In his opinion, such teaching develops and interrelates the things and connection of the facts and establishes mechanical imagination in students thought.

ინკლუზიური განათლება სკოლაში

მზია გოგიაშვილი, *აკადემიური დოქტორი*

ინკლუზიური განათლება ფართო ცნებაა და იგი განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებისა და სკოლაში სწავლების სხვადასხვა სახეებს მოიცავს. ესენია სრული ინკლუზია, ნაწილობრივი ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება.

სრული ჩართვა ნიშნავს, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სრულად ჩართვას სასწავლო პროცესში, როცა ის ესწრება უკლებლივ ყველა გაკვეთილს და ამ ყველა გაკვეთილს აქვს შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ნაწილობრივი ინკლუზიის შემთხვევაში განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არჩევითად ესწრება გაკვეთილებს. ეს არის საკმაოდ მოქნილი ფორმა, იგი ემსახურება მოსწავლის ეტაპობრივ ჩართვას სასწავლო პროცესში, მოსწავლის შეგუებას, თანდათანობით ადაპტირებას სასწავლო გარემოსთან, მოსწავლისათვის საკმარისი დროისა და სივრცის უზრუნველყოფას თანატოლების გასაცნობად არაფორმალურ გარემოში ურთიერთობისათვის. მოსწავლისათვის შემუშავებული უნდა იქნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დეტალურად აღწერს მოსწავლის საგანმანათლებლო მიზნებს და განსაზღვრავს აქტივობებს როგორც გაკვეთილზე დასწრებისას, ისე მოსწავლის თავისუფალ დროზე.

ინტეგრირებული სწავლების დროს, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები გაერთიანებული არიან ერთ კლასში და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამით. ინტეგრირებული კლასის მოსწავლეები ჩართულები არიან ყველა სასკოლო აქტივობაში, ექსკურსია, ზეიმი თუ სხვა. ინტეგრირებული სწავლება ხშირად საფუძველი ხდება სრული ინკლუზიის წარმატებისა. /ინკლ. განათლება. გზამკვლევი მასწ. გვ. 15. 2009/

იმისათვის, რომ მოხდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სპეციალური განათლების მასწავლებელთა გამოცდილების ინტეგრაცია, აუცილებელია მათი ეფექტური თანამშრომლობა. მასწავლებლების თანამშრომლობის ხარისხზეა დამოკიდებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების თანამონაწილეობა საკლასო აქტივობებში.

მასწავლებელი ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რაც უმთავრესი წერილობითი დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განათლება ხორციელდება. ის დგება სპეციალისტებისა და მშობლების აქტიური მონაწილეობით, რომელიც ითვალისწინებს სრულ ინფორმაციას ბავშვის ქცევის, კომუნიკაციის შესაძლებლობებისა და საჭირო მომსახურების შესახებ. გეგმა დგება ერთი წლით, წლის დასაწყისში და მასში აისახება კონკრეტული მიზნები, რისი მიღწევაც უნდა შეძლოს მოსწავლემ მთელ წელს. /ინდივიდუალური სასწ. გეგმა. გვ. 47/ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვმა განათლება უნდა მიიღოს ისეთ ვითარებაში, რომელიც მთლიანად უახლოვდება იმავე ასაკის, სპეციალური საჭიროების არ მქონე ბავშვის განათლებას და სწავლაში მიღწეულ წარმატებებს.

რაზეა ორიენტირებული ინკლუზიური სწავლება სკოლაში? ის ორიენტირებულია ბავშვებზე, ხოლო სწავლების ძირითადი მეთოდია პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება.

სწავლების პროცესში შეიძლება წარმოიშვას სიძნელეები ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური თუ გარე ფაქტორებით, რაც რასაკვირველია ბადებს კითხვებს, რაშია სწავლების მეთოდის სიძნელე და რა როლს ასრულებს გარემო. ე.ი. უნდა მოხდეს თანამშრომლობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებსა და პროფესიონალებს შორის, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და ჩვეულებრივ ბავშვებს შორის. ამ მხრივ აღსანიშნავია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გაცნობა და გათვალისწინება სასწავლო პროცესში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების აკადემიური უნარების შეფასება და სასწავლო მიზნების დასახვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება. სწავლების პროცესში აუცილებელია დისკუსიისა და კამათის გამოყენება, მოსწავლეების არჩევანის თავისუფლება. სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც კლასის ერთიანობას უწყობს ხელს. ურთიერთდახმარების მეთოდის გამოყენება, თანამშრომლობა სხვა მასწავლებლებთან, მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, ფსიქოლოგთან, ლოგოპედთან და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი პირობაა, სწავლისადმი და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება. ყველა მოსწავლისათვის განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობის ხელშეწყობა სასკოლო საქმიანობაში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ ინკლუზიურ სკოლაში ტარდებოდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები როგორც კლასში, ისე მის გარეთ. ასეთი ღონისძიებებით მდიდრდება სასწავლო გარემო და ეხმარება ინდივიდუალური ინტერესების ადაპტირებაში. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეებს სჭირდებათ სივრცე სწავლისა და განვითარებისთვის. მასწავლებლებს ევალებათ მოსწავლეების განვითარება და მათი მოთხოვნილებების გათვალისწინება. უკანასკნელ პერიოდში ყურადღებაა გამახვილებული მზრუნველობის ეთიკასა და ფორმაზე, რაც ნიშნავს მზრუნველისა და ზრუნვის ქვეშ მყოფის პასუხისმგებლობას და ურთიერთკავშირს.

კარგია თუ ბავშვებს საკლასო ოთახის გარეთ ჩავუტარებთ გარკვეულ ღონისძიებებს, შეასრულებენ ჯგუფურ ან ინდივიდუალურ დავალებებს კლასის გარეთ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ახალისებს ასეთი დავალებების შესრულება. ისინი ამდიდრებენ მოსწავლის სასწავლო გარემოს, ეხმარება ინდივიდუალური ინტერესების ადაპტირებაში.

აქედან, ინკლუზიური განათლება სკოლაში დანერგვისთანავე ხდება სკოლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების აუცილებელი პირობა უნდა ჰქონდეს შექმნილი, რაშიც ყველა უნდა იღებდეს მონაწილეობას, ემსახურებოდეს ერთ საერთო მიზანს, სკოლისა და ინკლუზიური განათლების ორგანიზებულობასა და მართვაში.

პედაგოგები, რომელთაც გარკვეული ცოდნა, გამოცდილება გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განათლების საკითხებში, მიიჩნევენ, რომ ინკლუზიის წარმატებით განხორციელება გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი მოემზადონ თავად და მოამზადონ კლასი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მისაღებად, რამდენად შეძლებენ კლასში სასწავლო დონის შენარჩუნებას და როგორ დაეხმარებიან მაქსიმალურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშობლებს, მათ შეუძლიათ მიაწოდონ სპეციალისტებს ამომწურავი ინფორმაცია შვილების შესაძლებლობების შესახებ. ყველა პროფესიონალი აღიარებს, რომ შეუძლებელია ინკლუზია განხორციელდეს მშობელთა მონაწილეობისა და აქტიურობის გარეშე.

მასწავლებლების მიზანი და ეთიკური მოვალეობაა დაიცვან მოსწავლეების უფლებები ინკლუზიურ სკოლაში. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის კარგი სკოლა ისაა, ვინც შესთავაზებს იდეალურ სასწავლო გარემოს, ორიენტირებულს თითოეული ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. მასწავლებლი, მოსწავლის სასწავლო მიღწევებსა და წარმატებებს უზრუნველყოფს. მაგრამ დასახული მიზნები მოსწავლეებისადმი უნდა იყოს განხორციელებადი. მიუხედავად მოსწავლეებს შორის ინდივიდუალური განსხვავებებისა, არსებობს მათი მხარდაჭერისა და სტიმულირების ფაქტორი. ეს არის მოსწავლის თვითშეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება. მასწავლებელი უნდა ეცადოს გამოიყენოს პლაკატები, ნახატები, ვიდეო თუ მხატვრული ფილმები, სურათები. მივცეთ მოსწავლეს საშუალება თავად აირჩიოს ადგილი კლასში, რომელიც მისთვის მოსახერხებელია და ა.შ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში არის რამოდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად სკოლის და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას. სკოლა არ ამბობს უარს სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში მიღებაზე. თითოეული სსს მქონე მოსწავლისათვის სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სკოლას ინკლუზიური განათლების კოორდინატორით, რომელიც შეიძლება იყოს დირექციის წევრი, მასწავლებელი ან მშობელი. სასურველია იყოს სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრიც.

სკოლა, რომელსაც ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ვალდებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული ან ადაპტირებული სასწავლო პროგრამები, განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღუდველი სასწავლო გარემო. მაგ.: მეცადინეობა ან დასვენება რესურს ოთახი, ექსკურსიები და ა.შ. სკოლამ უნდა მოახდინოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება. /ინკლ. განათლ. გვ. 19. 2009/

თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მიჰყვება სასკოლო სასწავლო გეგმას ყველა საგანში და დამაკმაყოფილებელ დონეს აღწევს, მაშინ იგი ფასდება ყველა დანარჩენი მოსწავლის მსგავსად. კლასიდან კლასში რომ გადავიდეს, მან უნდა მიაღწიოს ისგ /ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა/ გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება მოხდება 10 ქულიანი სისტემით. თუ ბავშვი თავს არიდებს დავალებებს, იღებს დაბალ ქულებს, მაშინ ის იღებს კომენტარს, სადაც აღწერილი იქნება მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და იქნება კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენა.

ინკლუზიური სწავლება სკოლაში კარგია მაშინ, როცა ის ყველა მოსწავლისათვისაა კარგი. მასწავლებელი კი ცდილობს დააინტერესოს და მაღალ შედეგებს მიაღწიოს თავის საგანში. მას ეხმარება ის ძირითადი სტრატეგიები, რასაც შეიმუშავებს, განახორციელებს და მიიღებს მოსწავლეებისაგან. წინასწარ დაგეგმავს გაკვეთილს, გამოყოფს მოსწავლეთა ინტერესებს, ყურადღებას აქცევს სწავლის პროცესში აღმოცენებულ სირთულეებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს. ცდილობს გაუმარტივოს მოცემული დავალება, კოლეგებთან ერთად, გუნდური მუშაობის პრინციპით ეხმარება მოსწავლეებს სირთულეების დაძლევაში, მოსწავლე კი თავის მხრივ მასწავლებლისაგან ელოდება გამოძახებასაც და დავალების მიცემასაც. ყველა ეს მიდგომა ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ჩვეულებრივი, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. /ვისწავლოთ ერთად. გვ. 114. 2008/

ამრიგად, ინკლუზიური განათლება სკოლაში დანერგვისთანავე ხდება სკოლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და ყველა მოსწავლის სწავლისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

ლიტერატურა:

1. ინკლუზიური განათლება, განათლება განსხვავებული საჭიროებების მქონე პირთა განათლება, შესავალი კურსი. ბერიტ ჰ. იონსენი, მირიამ ლ. შერტენის რედაქციით, 2007;
2. ინკლუზიური განათლება, ვისწავლოთ ერთად, პასუხისმგებელი რედაქტორი თ. პაჭკორია, 2008;

3. ა. ლაღიძე, მ. ბაგრატიონი, თ. პაჭკორია, ინკლუზიური განათლება. გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, 2009;
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. 2009;
5. http://en.wikipedia.org/wiki/Inclusion_(education)

რეზიუმე

ინკლუზია რწმენას წარმოადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები განათლებას უნდა იღებდნენ თანატოლებთან ერთად, განურჩევლად იმისა, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი სასწავლო პროგრამების სტანდარტებს. ე.ი. უნდა მოხდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლების, პროფესიონალების, მშობლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ჩვეულებრივი ბავშვების თანამშრომლობა და მათი ჩართვა სასწავლო პროცესში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში არის რამოდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად სკოლის და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას. სკოლა არ ამბობს უარს სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში მიღებაზე.

ინკლუზიური განათლება სკოლაში დანერგვისთანავე ხდება სკოლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და ყველა მოსწავლის სწავლისა და განვითარების აუცილებელი პირობა.

INCLUSIVE EDUCATION AT SCHOOL

Mzia Gogiashvili, Academic Doctor

RESUME

Inclusion is a faith, that children with limited abilities should study together with other children of their age, whether they coincide the academic program standards or not. So, teachers and professionals of schools providing general education together with parents and ordinary children should be involved in the learning process.

Schools providing general education have some basic principles which maintain effective management of the inclusive education and the school in whole. The school gives opportunity to the students being in need of special education to get general knowledge. It never refuses to enroll students having problems with learning.

The introduction of the inclusive education at school becomes a part of school life and essential term for students' learning and development.

მუზეუმის როლი ისტორიის სწავლებაში

ლელა თოგოშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

სკოლაში ისტორიის სწავლების მთავარი მიზანია გამოუმუშავოს მოზარდს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, უნარი, განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში გეოგრაფიული, ისტორიული, რელიგიური, პოლიტიკური, კულტურული თუ ეთნიკური რეალობების გათვალისწინებით. ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად ისტორიის სწავლების მიზანია ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც მოამზადებს მოზარდს აქტიური და პასუხისმგებელი მოქალაქეობისათვის და საფუძვლად დაედება საკუთარი და სხვა კულტურების მიმართ პატივისცემას და შემწყნარებლობას. (ილია ჭავჭავაძე, თხზ. კკრებული, ტ. 2.) სკოლაში ისტორიული ცოდნის ძირითადი წყარო არის მასწავლებლის თხრობა და სახელმძღვანელო. მიმზიდველი თხრობა უზრუნველყოფს მასალის პირველად აღქმას. მაგრამ ცოცხალი, მიმზიდველი თხრობა არაა საკმარისი მასალის მტკიცედ შეთვისებისათვის. (იაკობ გოგებაშვილი, ნაწერები, ტ. 2.)

სასწავლო პროცესში საგნის შესწავლის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინტერესს. (ალ. გორგაძე, ისტორიის სწავლების მეთოდიკა, თბილისი 1957.) ინტერესის აღმძვრელ სხვადასხვა ფაქტორთა შორის დიდი როლი უკავია ექსკურსიას. (ბ. დოლიძე, მეთოდური მითითებები, თბილისი, 1973.) ექსკურსიის დროს მოსწავლეთა თითქმის ყველა გრძნობის ორგანო აქტივობს. მაგრამ ექსკურსიას მხოლოდ მაშინ შეუძლია სარგებლობის მოტანა, როცა ზუსტად იქნება განსაზღვრული თემა. არ შეიძლება ნამდვილ ექსკურსიად ჩაითვალოს რომელიმე ისტორიული ობიექტის, ძეგლის უბრალო დათვალიერება. მუზეუმში ექსპონატების დათვალიერებამ შეიძლება მოსწავლეებში სრულად არ აღძრას ისტორიის შესწავლის ინტერესი, არამედ, უკეთეს შემთხვევაში, გამოიწვიოს მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობა. არანაკლებ უარყოფითად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს ერთი წასვლით აცნობს რამდენიმე სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ძეგლებს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს შეიძლება ერთმანეთში აერიოთ ეპოქების დამახასიათებელი თავისებურებანი და ქრონოლოგიური თარიღები. აქედან გამომდინარე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სისტემურობისა და თანმიმდევრობის პრინციპის განხორციელება. საქართველოს სკოლებს ექსკურსიების ჩატარებისათვის საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი. მასწავლებლებს მაქსიმალურად შეუძლიათ გამოიყენონ საქართველოს მუზეუმები არამარტო საქართველოს ისტორიის, არამედ მსოფლიო ისტორიის სწავლებისა და კლასგარეშე მუშაობისთვისაც. ექსკურსიის დროს მუშაობა ძირითადად აგებულია მხედველობით აღქმაზე. ასეთი მუშაობა მოითხოვს მასწავლებლისაგან მასალის ყურადღებით, სიფრთხილით შერჩევას. ექსპონატების დათვალიერება-შესწავლის დროს ბავშვების ყურადღება მეტისმეტად დაძაბულია. ამიტომ ისინი სწრაფად იღლებიან, ეს კი ასუსტებს მასალის ათვისების უნარს. მასწავლებელმა ეს მხედველობაში უნდა მიიღოს და ზუსტად შეარჩიოს აუცილებელი ექსპონატები. ექსკურსიისათვის ბავშვები წინასწარ უნდა იქნენ მომზადებულნი. მასწავლებელი წინასწარ უნდა ესაუბროს მოსწავლეებს, თუ რომელი თემის დამუშავება მოუხდებათ მათ მუზეუმის ექსპონატების გამოყენებით. ამჯერად მიზნად ვისახავთ ბავშვებს შევუქმნათ წარმოდგენა, თუ რა არის ნივთიერი ძეგლები და რა მნიშვნელობა აქვთ მათ ადამიანთა შორეული წარსულის შესწავლისათვის, როგორი ცოდნის მიღება შეიძლება მათი შესწავლით. აგრეთვე მასწავლებლის მიზანია ბავშვები დაინტერესოს არქეოლოგიით და მისცეს მათ ელემენტარული ცნობები არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. ასეთი შინაარსის ექსკურსიას აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მას შემდეგ, რაც ბავშვები გაიგებენ არქეოლოგიური ძეგლების მნიშვნელობის შესახებ, ისინი სიფრთხილით და ფაქიზად მოეპყრობიან მათ და თვითონაც მოისურვებენ მიიღონ მონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში. თრიალეთისა და მცხეთის არქეოლოგიური გათხრების მაგალითებით ბავშვებს გაუადვილდებათ შლიმანისა და ევანსის მიერ ჩატარებული მუშაობის გაგება (ძველი საბერძნეთის მატერიალური კულტურის შესახებ). ექსკურსიის მარშრუტი, გარდა დასახული მიზნისა, განისაზღვრება აგრეთვე ექსპონატების სახეობებითა და რაოდენობითაც. თუ ექსპონატები ბევრია, მაშინ შერჩეული იქნება კომპლექსური ობიექტები, რომელთა შესწავლა მოსწავლეებს დაეხმარება ისტორიული აზროვნებისა და ცოდნის განვითარებაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების ექსპოზიცია საკმაოდ ჭარბად არის წარმოდგენილი, ამიტომ ერთი ექსკურსიით მასწავლებელს არ შეუძლია მოახდინოს ყველა ექსპონატის ანალიზი. „თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების“ განყოფილებიდან პირველად შერჩეულ უნდა იქნეს შემდეგი ექსპონატები: პირველ დარბაზში წალკის ზეგანის ციკლოპური სიმაგრეების, სამარხების, ყორღანებისა და არქეოლოგიური გათხრების ტექნიკის ამსახველი ფოტო-სურათების სერია, ეტლის, ბელადის დასაფლავების წესის, სპილენძის ქვაბის, იარაღების, ცეცხლის კერის ანალიზი. მეორე დარბაზში: ბრინჯაოს ქამრის, თასის, მეომრის ბრინჯაოს მუზარადის ანალიზი. მცხეთის გათხრებიდან შერჩეულ იქნება: ქვევრ-სამარხები, ქვაყუთის სამარხი და ინვენტარი, თიხის ჭურჭლის კარადა, კარაქის სადღვები; რკინის იარაღები, რკინის სამკაულები და მძივები; შემდეგ მონეტები, ქვებზე ამოტვიფრული წარწერები. (ლ. ნებიერიძე, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში, მაცნე, 1975)

ამრიგად, ექსპონატები შერჩეულია, მარშრუტი განსაზღვრულია. ამის შემდეგ აუცილებელია მოფიქრება, თუ როგორი მეთოდები იქნება გამოყენებული ექსკურსიის ჩატარებისას: დემონსტრაციულ-მონოლოგიური, ანუ როცა ხელმძღვანელი ახდენს ექსპონატის ანალიზს, ილუსტრირებას, ხოლო ექსკურსანტები კი პასიურ მსმენელებად რჩებიან, ან კითხვა-პასუხის (საუბრის) მეთოდი, ე.ი. როდესაც ბავშვები დამოუკიდებლად აკეთებენ დასკვნებს. სასურველია

ორივე მეთოდის გამოყენება (თუ დაბალი კლასის მოსწავლეებთან გვაქვს საქმე, მაშინ უმჯობესია პირველი მეთოდი). საერთოდ კი, რაც უფრო მრავალფეროვანია მეთოდები, მით უფრო უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მიერ თემის ათვისება. შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო-პოპულარული ტიპის ცოცხალი თხრობა; ზოგჯერ ცალკეული ექსპონატის ან მთელი კომპლექსის დაკვირვება-ანალიზზე აგებული საუბარი. თუ ექსკურსია ობიექტის ნახვით განისაზღვრება, მაშინ უნდა ავიღოთ საჩვენებელი მასალის მაქსიმალური რაოდენობა, მაგრამ ისე, რომ ექსკურსიის ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს 1-2 საათს, რადგან ინტერესი ამაღლებს ბავშვების გამძლეობის უნარს, მაგრამ ძლიერი შთაბეჭდილება აჩქარებს დაღლას. ძირითადი თემის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს გეოგრაფიულ რუკაზე უჩვენებს წალკის ზეგანს (არქეოლოგიური გათხრების ადგილი), უამბობს მათ, თუ როგორ გაიგეს მეცნიერ-არქეოლოგებმა, რომ დარბაზში წარმოდგენილი ექსპონატები საუკუნეების მანძილზე იყო თრიალეთის მიწის ქვეშ. (ალ. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, „მიმომხილველი“, 1, თბ., 1949.) არქეოლოგიური ძეგლების გაცნობის შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს მიწისზედა მდებარე ციკლოპურ ნაგებობათა ძეგლების სურათებს. სურათის ანალიზის შემდეგ ბავშვები რწმუნდებიან, რომ ძეგლები თავისი სიდიდის გამო არ მიიტანეს მუზეუმში, ამიტომ მათი შესწავლა შესაძლებელია ფოტო სურათით ან ადგილზე ნახვით. (ალ. კალანდაძე, ალ. ბოხოჩაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი, თბ., 1964.)

ციკლოპური ტიპის ნაგებობების სურათების ჩვენებისა და ანალიზის შემდეგ ბავშვებს ეზადებათ კითხვა, თუ რისთვის იყო საჭირო ასეთი მაგარი კედლები. მსჯელობის შემდეგ გამოაქვთ დასკვნა, რომ ტომთაშორისი ომებით იყო განპირობებული ზრუნვა თავდაცვისათვის. არქეოლოგიური გათხრების ტექნიკის გაცნობის შემდეგ ბავშვები მიდიან დასკვნამდე, რომ არქეოლოგიური გათხრების ჩატარება მეტად რთული საქმეა და შეიძლება მხოლოდ სპეციალისტ – მეცნიერის ხელმძღვანელობით.

მატერიალური კულტურის არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლე იძლევა შესაძლებლობას ბავშვებს შევუქმნათ წარმოდგენა ნივთიერი ძეგლების კატეგორიის შესახებ. შედარების ხერხის გამოყენებით, კონტრასტების მიხედვით მასწავლებელს შეუძლია გააცნოს მოსწავლეებს სოციალური ურთიერთობები. მაგალითად, ზოგ სამარხში ნაპოვნია ოქროს ნივთები, ზოგან კი ლითონის. ეს ბავშვებს არწმუნებს იმაში, რომ უკვე არსებობდა ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა. ლითონის იარაღების სიუხვე მეტყველებს იმაზე, რომ ხშირი იყო ტომთაშორისი ბრძოლები. ექსკურსიის პროცესში თითოეული განყოფილების შესწავლისა და ექსპონატების ანალიზის შემდეგ მასწავლებელი აწარმოებს შესწავლილი მასალის განმტკიცებას ბავშვების მეხსიერებაში, ხოლო დასკვნითი საუბრით კი ექსკურსიის მთელი შინაარსის შეჯამებას – აკეთებს დასკვნას, რომ ძვ.წ. მე-2 -1 ათასწლეულებში საქართველო უკვე იყო კულტურის კერა; რომ წალკის ზეგანსა და მცხეთის ტერიტორიაზე იყო განვითარებული მაღალი კულტურა; რომ გვარიდან უკვე გამოყოფილან მდიდარი ადამიანები; რომ წარმოებდა ომები. დასასრულს მოსწავლეებს ეძლევათ დავალება დაწერონ: რომელ მუზეუმში იყვნენ, მუზეუმის რომელი განყოფილება დაათვალიერეს.

მეცნიერებს ნივთების აღმოჩენაში ეხმარება შემთხვევებიც: მშენებლობის დროს საძირკვლების გათხრებისას პოულობენ სამარხებს, აკლდამებს, რომლებშიც არის ჩონჩხი, იარაღი, ჭურჭელი და სხვა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მრავალ ადგილას, სადაც ამჟამად დიდი ქალაქებია, იყო ძველი დასახლება.

საქართველოს მუზეუმებში უმთავრესად თავმოყრილია ის ძეგლები, რაც აღმოჩენილია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ბევრი გამოფენილია, ბევრი კი შენახულია და ჯერ კიდევ არ არის კარგად შესწავლილი. ამის შემდეგ ბავშვებს ვაცნობთ დარბაზს, სადაც გამოფენილია 1936-1941 წწ. წალკის ზეგანზე, თრიალეთის მხარეში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები. თითქმის ყველა ნივთი, რომელიც აქ არის გამოფენილი, მიწაშია ნაპოვნი და ნამდვილია, ზოგი რამ კი გაკეთებულია ნამდვილი ძეგლის მიხედვით. ალბათ დაინტერესებთ ბავშვებს იმის გაგება, თუ რატომ დაიწყეს გათხრა სწორედ აქ. ამიტომ მათ განმარტებას ვაძლევთ: 1936 წელს თრიალეთში, მდ. ხრამზე დაიწყეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ქართველმა არქეოლოგებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და მიაღწიეს იმას, რომ ხრამჰესის ხელმძღვანელობიდან გამოიყო ფულადი სახსრები გათხრების ჩატარებისა და რაიონის გამოკვლევისათვის. ასე დაიწყო ამ ადგილების შესწავლა. შემდეგ ვუთითებთ ჯერ მიწის ზევით და შემდეგ მიწაში აღმოჩენილ ნივთებზე. ფოტოსურათზე

ხედავენ კედლის ნაშთებს – ეს უთუოდ სიმაგრის ნაშთია. ასეთი ნაშთებიც არქეოლოგიური ძეგლებია. ყურადღებას ვუმახვილებთ დიდ ქვებზე, რომლებიც ერთი მეორეზე უბრალოდ არის დაწყობილი. ქვები კირის ხსნარით არ არის შეერთებული – ასეთ ნაგებობებს უწოდებენ ციკლოპურს. ბავშვებს ვახსენებთ, რომ ძველი საბერძნეთის ისტორიის შესწავლისას ისინი უკვე გაეცნენ ამ სიტყვის მნიშვნელობას. ის, თუ რისთვის იყო საჭირო ასეთი მაგარი კედლები, ბავშვები თავად გამოიტანენ დასკვნას: თავდაცვისათვის. ფოტო-სურათზე გადაღებული სამარხის ჩვენებისას განვუმარტავთ, რომ გარეგანი ხედვით მათი აღმოჩენა ძნელი არ არის: ამ ადგილებში არის ან ამაღლება, ან გარშემორტყმულია დიდი ქვებით. გარდა სამარხებისა, გვხვდება აგრეთვე მიწაყრილები-ყორღანები, რომლის ქვეშ დამარხულნი არიან ადამიანები. თრიალეთის ზეგანზე 42 ყორღანია. ერთი მათგანი იყო სიმაღლით ხუთი მეტრი. მიწაყრილის ქვეშ იყო ქვის კედლებიანი 175 მეტრის სიგრძის დარბაზი. (ნ. ოქროპირიძე ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან, თბ., 1951.) ბავშვებს ვაგებინებთ, რომ სამარხი ორმოს გაწმენდისათვის ძალიან დიდი შრომა იყო საჭირო. გათხრების დროს ხშირად პოულობენ ნამსხვრევებს (ასობით). მათი მიხედვით მუზეუმის სპეციალურ ლაბორატორიებში აღადგენენ ჭურჭლის ფორმას. ვიდრე რაიმე ნივთს ადგილიდან დაძრავენ, მეცნიერები იღებენ ფოტო-სურათს. თუ იქვე არის ხის, ტყავის ან რაიმე ქსოვილის ნივთები, მათ ზევით ამოსატანად ამზადებენ. თუ ხეს არ წაუსვამენ ფისს, იგი ზევით ამოტანისას დაიფშვნება; თუ ქსოვილი ან ტყავი ორი შუშის შუა არ მოათავსეს, მასაც იგივე მოუვა. აღმოჩენილ ნივთებს, ვიდრე ზევით ამოიტანენ, ფრთხილად ახვევენ, ნომრებს უკეთებენ, ალაგებენ ყუთებში. მიწას, რომელიც მუშებს ამოაქვთ, ცრიან, რათა შემთხვევით არ გაჰყვეს რაიმე მნიშვნელოვანი ნივთი. არქეოლოგების შრომის გაცნობის შემდეგ ბავშვები რწმუნდებიან იმაში, რომ ეს არის მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო შრომა. მასწავლებელი კი ყურადღებას უმახვილებს იმაზე, რომ სამაგიეროდ უდიდესია არქეოლოგის სიხარული, როდესაც ის აღმოაჩენს ნივთს, რომელიც მოუთხრობს ადამიანთა წარსული ცხოვრების შესახებ.

არქეოლოგიური ძეგლების საშუალებით გამოირკვა არამარტო ადამიანთა ცხოვრება, არამედ ის, თუ როგორი იყო მაშინ ბუნება. სხვადასხვა სამარხებში აღმოჩენილი განსხვავებული კატეგორიის ნივთების მიხედვით ვასკვნით, რომ საზოგადოებაში არსებობდა უთანასწორობა, რაც განაპირობებდა ანტაგონიზმსა და საბრძოლო შეტაკებებს. საზოგადოების დიფერენციაციაზე მეტყველებს სასაფლაო, რომელიც აღმოაჩინეს მცხეთის მახლობლად წარმოებული გათხრებისას აკადემიკოს ს.ჯანაშიას ხელმძღვანელობით. ეს სასაფლაო წარჩინებული მეომრისაა, რაზეც მეტყველებს ბრინჯაოს ირმის ფიგურა, ნაჯახი, ხანჯალი, მახვილი, ჭურჭელი, სპილენძის ქვაბი, ძვლები. (ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ.,1963.) ბავშვებს გავაცნობთ, თუ როგორ ასაფლავებდნენ მიცვალებულებს საქართველოს ამ ნაწილში. საინტერესოა ის, რომ თიხის ქვევრებში (სამარხებში) ნაპოვნია არა ერთი, არამედ რამდენიმე ჩონჩხი. ალბათ ეს ქვევრები აკლდამის როლს ასრულებდნენ. იქვე იყო თიხის ჭურჭელი, რაც მაშინდელი რწმენით მიცვალებულისათვის აუცილებელი იყო. (ივ. ჯავახიშვილი, ქალაქ მცხეთის ისტორიისათვის, ქართველი ერის ისტორია, წ.1, თბ., 1951) ასეთ საფლავებს ქვევრსამარხები ეწოდა. იყო აგრეთვე დასაფლავების სხვა სახე-ქვა ყუთებში, რომელთა სახურავები გაკეთებული იყო კრამიტისაგან. (ა. გოხოჩაძე, მასალები მცხეთის რაიონის არქეოლოგიური რუკისათვის, მაცნე, 1977.)

არსებობს ძეგლების კიდევ ერთი სახე, რომლითაც შეიძლება აღვადგინოთ ადამიანთა წარსული. ეს არის ფული-მონეტები და მათზე გამოხატული სხვადასხვა გამოსახულებანი და წარწერები. ასევე ბევრის გაგება შეიძლება ქვებსა და კლდეებზე ამოტვიფრული წარწერებიდან. (დ. კაპანაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937-1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი). ამ დროს შეგვიძლია შევახსენოთ ძველი აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლისას ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობის დროს ნაპოვნი როზეტის ქვის შესახებ და ჟან ფრანსუა შამპოლიონის აღმოჩენა. ასეთივე წარწერები ქვებზე მრავლად არის აღმოჩენილი საქართველოშიც.

სამუზეუმო ძეგლების დათვალიერება და ანალიზი ავსებს და აღრმავებს სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას. მუზეუმებში არის საქართველოს საწარმოო ძალთა განლაგების, საქართველოსა და ცალკეული სამთავროების საზღვრებისა და სავაჭრო გზების რუკები; ფეოდალური საქართველოს ეკონომიკის, ხელოსნური წარმოების, ვაჭრობის, წყალსადენის რეპროდუქცია, კერამიკის, სპილენძის ჭურჭლის კოლექცია, ფრესკული მხატვრობის ასლი, რომელიც საქართველოს ფეოდალურ არისტოკრატიას ასახავს. (ნ. უგრეხელიძე, ფარშავანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან, „მიმომხილველი“, თბ., 1951.)

ყოველივე ეს ბავშვების წინაშე აღადგენს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ეპოქას. მუზეუმებში თავმოყრილი მატერიალური კულტურის ძეგლები მოსწავლეებს არწმუნებს იმაში, თუ რა მდიდარ კულტურულ კერას წარმოადგენდა საქართველო და რა მნიშვნელობა აქვს მას საერთო საკაცობრიო კულტურის ისტორიისათვის. მუზეუმის ექსპონატების შესწავლა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოზარდის პატრიოტულ აღზრდას. სასურველია სკოლებთან ურთიერთობის დასამყარებლად მუზეუმებში გამოიყოს სპეციალურ მუშაკთა ჯგუფი. სკოლებთან მუზეუმების კონტაქტი უნდა გამოიხატოს თვით მუზეუმებში ისტორიის, არქეოლოგიის წრეების დაარსებაში, აგრეთვე მუზეუმის მუშაობაში სკოლებში არსებული წრეების ჩაბმაში.

იმავდროულად, საჭიროა ბავშვებს ავუხსნათ, თუ რატომ ინტერესდება თანამედროვე მეცნიერება უძველესი კულტურების შესწავლით. თანამედროვე მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ უძველესი კულტურების ანალიზით აღმოაჩენენ იმ სტრუქტურას, რომელიც საფუძველმდებარეა ყველა საზოგადოებისათვის; აღმოაჩენენ იმ საფუძველს, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს მსოფლიო კულტურის განვითარებას. ჩვენს მიზანს წარმოადგენს ბავშვებში ინტერესის აღძვრა საქართველოს და, საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაციის შესწავლისადმი. ამრიგად, ეროვნული სამუზეუმო ექსპონატების გულდასმით შესწავლა არა მარტო გააღრმავებს ისტორიის ცოდნას, არამედ ხელს შეუწყობს მოზარდის პატრიოტულ აღზრდას. მაშასადამე, მას აქვს შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე, თხზ. კრებული, ტ.2 , 1951.
2. იაკობ გოგებაშვილი, ნაწერები, ტ.2, 1940.
3. ბ. დოლიძე, მეთოდური მითითებები, თბილისი, 1973.
4. ალ. გორგაძე, ისტორიის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1957.
5. ალ. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, „მიმომხილველი“, 1, თბ., 1949.
6. დ. კაპანაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937-1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი, თბ., 1956.
7. ალ. კალანდაძე, ალ. ბოხოჩაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი, თბ., 1964.
8. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
9. ივ. ჯავახიშვილი, ქალაქ მცხეთის ისტორიისათვის, ქართველი ერის ისტორია, წ.1, თბ., 1951
10. ნ. ოქროპირიძე ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან, თბ., 1951.
11. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1944.
12. ა. გოხოჩაძე, მასალები მცხეთის რაიონის არქეოლოგიური რუკისათვის, მაცნე, 1977.
13. ნ. უგრეხელიძე, ფარშავანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან, „მიმომხილველი“, თბ., 1951.
14. ლ. ნებიერიძე, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში, მაცნე, 1975.

რეზიუმე

წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომი, ყურადღებას ამახვილებს რა ექსკურსიის შემეცნებით და აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, მიზნად ისახავს ისტორიის სწავლებაში ექსკურსიის (სამუზეუმო) როლის წამოწევას და სთავაზობს მეთოდებსა და ხერხებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ექსკურსიის ჩატარებისას (რათა ექსკურსიამ მოიტანოს სარგებლობა და დასახული მიზნის მიღწევას შეუწყოს ხელი).

სამუზეუმო ძეგლების დათვალიერება და ანალიზი ავსებს და აღრმავებს სახელმძღვანელოში მოცემულ მასალას და არწმუნებს მოზარდს იმაში, თუ რა მდიდარ კულტურულ კერას წარმოადგენდა საქართველო და რა მნიშვნელობა აქვს მას საერთო საკაცობრიო კულტურის განვითარებისათვის. ექსკურსიის მიზანს წარმოადგენს ბავშვებში ინტერესის აღძვრა საქართველოს და, საერთოდ, მსოფლიო კულტურისადმი და მათი დარწმუნება იმაში, რომ მსოფლიო ცივილიზაცია გულისხმობს კულტურათა კოალიციას, როდესაც თითოეული საკუთარ ორიგინალობას ინარჩუნებს და აცნობიერებს საკუთარ წვლილს.

სამუზეუმო ექსკურსიების ფართოდ გამოყენება არა მხოლოდ გააღრმავებს ისტორიულ ცოდნას, არამედ ხელს შეუწყობს მოზარდის პატრიოტულ აღზრდას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სასურველია დამყარდეს კონტაქტები მუზეუმებსა და სკოლებს შორის სპეციალურ მუშაკთა მეშვეობით. ეს იქნება საქართველოს სკოლებში ისტორიის სწავლების დონის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი.

THE ROLE OF MUSEUM IN HISTORY TEACHING

Lela Togoshvili, Associate Professor

RESUME

Represented methodological work pays attention to the educational and cognitional importance of an excursion (museums) achieves the goal to move the role of an excursion in studing history and offers methods and ways which should be used during the excursions (because an excursion must be useful and it should help to make the aim). Visiting historical monuments and analysis fills and exstends students knowledge and the materials given in the text-books. It makes sure and shows adults what a rich and cultural country Georgia was and what significance it has in developping its common mankind culture. The aim of an excursion is to rouse an interest for Georgia and in common for the world culture and make them sure that world civilization means coalition of culture, when each country preserves his own originality and realizes his own mite.

Widely using museum excursion not only deepen historical knowledge, but they help to grow up adults with patriotic aspiration. That's why we consider to hawe contacts with museums and schools with the help of special workers. This will be one of the important accomplising factors for rising the level of studying history in Georgian schools.

სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობის ჯანმრთელობის განმტკიცების პროგრამა

ალექსანდრე იაშვილი, აკადემიური დოქტორი

საქართველოს კანონმდებლობა სპორტის სფეროში ემსახურება ერის გაჯანსაღებას, მოქალაქეთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეს, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდას, შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის მომზადებას, ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებას, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას.

საქართველოში სპორტი მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმედ. იგი ემყარება ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ და კულტურულ ღირებულებებს, ისტორიულ გამოცდილებას, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

სპეციალისტის თანამედროვე შრომა ძირითადად ითხოვს ინტელექტუალურ ძალისხმევას, ხანგრძლივ ნერვულ დაძაბულობას, რომელიც დაკავშირებულია მრავალმხრივი ინფორმაციის დიდი ნაკადის გადამუშავებასთან. ტექნიკური პროგრესი, მეცნიერების სწრაფი ზრდა სტუდენტისაგან მოითხოვს მეტ ინტენსიურ და დაძაბულ სასწავლო შრომას, რომელიც განსხვავდება ფიზიკური შრომისაგან.

დადგენილია, რომ სასწავლო მეცადინეობის პროცესში სტუდენტს ერთფეროვან პოზაში უხდება დღის ხანგრძლივ პერიოდში გონებრივი შრომა, რაც უარყოფითად მოქმედებს სტუდენტის ჯანმრთელობაზე.

„სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება, ჯანმრთელობის დაცვა, განმტკიცება, ფიზიკური სრულყოფა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სასწავლო დაწესებულების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა“ - ნათქვამია კანონში სპორტის შესახებ.

აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტუდენტი-ახალგაზრდობის ჯანმრთელობის განმტკიცების პრორგამის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული მომავალი კადრების აღზრდის საქმეს.

მიგვაჩნია, რომ იგი დაეხმარება მათ ნორმალურ ფიზიკურ განვითარებაში და მაღალ შრომისუნარიანობის შენარჩუნებაში. პროგრამაში მოცემული ღონისძიებების პრაქტიკულად დანერგვა სტუდენტებს საშუალებას მისცემს განამტკიცონ და სრულყონ ადრე შეძენილი უნარ-ჩვევები. გარდა ამისა, ჩვენ მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ფართო განათლებისა და ყოველმხრივ განვითარებული კადრების მომზადების საქმეში.

სანამ სტუდენტთა გაჯანსაღების პროგრამის შინაარსს, განაყოფებს და მოთხოვნებს შევეხებით, აუცილებელია უნივერსიტეტში დამკვიდრდეს სამედიცინო კონტროლი ყველა სტუდენტზე, რომელიც უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასაწყისში და შემდგომში კი ეტაპობრივად უნდა მიმდინარეობდეს სამედიცინო კონტროლის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობის ჯანმრთელობის პროგრამა შედგება სამი ნაწილისაგან: თეორიული პრაქტიკული და საკონტროლო.

თეორიული განაყოფი ითვალისწინებს სტუდენტთა მიერ სპეციალური ცოდნის დაუფლებას სპორტის სფეროში, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასწავლებელში სპორტის მიზნებს, ამოცანებს, შინაარსს და ორგანიზაციის ფორმებს.

აუცილებელია სტუდენტს გავაცნოთ:

1. ფიზიკური ვარჯიშებით დამოუკიდებლად მეცადინეობის მეთოდიკის საფუძვლები;
2. სპორტში მეცადინეობის პროცესში სამედიცინო კონტროლისა და თვითკონტროლის მნიშვნელობა;
3. სპორტის როლი და მნიშვნელობა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაში;
4. სტუდენტთა ჯანსაღი ცხოვრების წესის საფუძვლები, სტუდენტის პროფესიულ-ფიზიკური მომზადების საშუალებები, ეროვნული ფიზიკური ვარჯიშები და თამაშები.

პრაქტიკული ნაწილი - ამ განაყოფის სასწავლო მასალის მიზანია ფიზიკური თვისებების დონის ამაღლება დამოუკიდებლად და სპორტული თვისებების ფორმირება ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებით.

პროგრამის ეს ნაწილი ითვალისწინებს:

1. სიცოცხლისათვის აუცილებელი შემძლეობა-ჩვევების: სიარულის, რბენისა და ხტომების დაუფლებას;
2. შრომისუნარიანობის, დაღლილობის და გადაღლის მარტივი მეთოდიკა;
3. დამოუკიდებელი ინდივიდუალური მეცადინეობის პროგრამის შედგენა (სიარული, რბენა, ცურვა, გასეირნება და სხვა);
4. თვითმასაჟის ჩატარების მეთოდიკის დაუფლებას;
5. ტანდეგობის და სხეულის აგებულების შეფასების მეთოდების შეფასება;
6. ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობაზე თვითკონტროლის მეთოდების დაუფლება;
7. პროფესიულ-გამოყენებითი ფიზიკური მომზადების ელემენტების დამოუკიდებლად გამოყენების მეთოდიკის დაუფლება;
8. სტუდენტებმა მოძრაობითი აქტიურობის საშუალებით, კერძოდ: მძლეოსნობის, ცურვის, სპორტული თამაშების, ტურიზმისა და ორთაბრძოლების სისტემატიურად გამოყენებით უნდა შეძლოს ფიზიკური და ფუნქციონალური მომზადებულობის დონის მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება.

პროგრამის პრაქტიკულ განაყოფში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი სტუდენტთა პროფესიულ ფიზიკურ მომზადებას. იგი ითვალისწინებს მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის შესაფერისი ვარჯიშების შერჩევისა და გამოყენების მეთოდიკის დაუფლებას.

ამ ამოცანის გადასაჭრელად ფაკულტეტებზე სპეციალობების მიხედვით შეიძლება გამოყენებული იქნას: ფიზიკურ ვარჯიშთა კომპლექსები, გასეირნებები, ტურიზმი, ორთაბრძოლები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პედაგოგიური პროფილის სტუდენტებთან პროფესიული მიმართულებით მომზადებას. მათ აუცილებლად უნდა შეიძინონ სპეციალური ცოდნა ფიზიკურ აღზრდაზე, მოძრაობით ჩვევებზე და მისი განვითარების ფორმებზე. მათ მიღებული ცოდნის საფუძველზე უნდა შეეძლოთ ფიზიკური აღზრდის ახალი პროგრამის მოთხოვნათა შესრულებაში დაეხმარონ საჯარო სკოლების სპორტის მასწავლებლებს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტმა უნდა შეძლოს: ფიზიკური აღზრდის საშუალებების შერჩევა, ტანვარჯიშის კომპლექსის შედგენა, მოძრავი თამაშების ჩატარება, ტურისტული ლაშქრობის გეგმის შედგენა, კლასგარეშე მუშაობაში აქტივის ჩაბმა, სპორტის პროპაგანდა და ფიზიკური აღზრდის ორგანიზაცია მოსწავლეთა გამაჯანსაღებელ ბანაკებში.

საკონტროლო განაყოფი - ამ განაყოფის დანიშნულებაა შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში. სასურველია პერიოდულად შემოწმდეს სამედიცინო კონტროლის ჩატარებისას მიმდინარე დინამიკა ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობის შესახებ.

გორის უნივერსიტეტი არის მდიდარი სტუდენტური სპორტული ტრადიციების სასწავლო დაწესებულება, ჩვენი სტუდენტები თითქმის ყოველთვის იყვნენ და ახლაც ირიცხებიან ქვეყნის ნაკრებ გუნდებში, მათ აკადემიურ მეცადინეობებზე დასწრების ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. იმისათვის, რომ რაც შეიძლება ოპტიმალურად შეახამონ აკადემიური და სპორტული საქმიანობა, ასეთი კატეგორიის სტუდენტებისათვის შემოღებული უნდა იყოს ინდივიდუალური გრაფიკი. საჭიროა მათთვის დამატებით ჩატარდეს ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები და კონსულტაციები.

პროგრამაში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი ჯანმრთელობის მხრივ გადახრის მქონე სტუდენტებთან მუშაობას.

ასეთი კატეგორიის სტუდენტებთან სათანადო მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით, ისინი უნდა დაეუფლონ: თერმოგაკაჟებისა და სუნთქვითი ვარჯიშების გამოყენებას, რაციონალურ კვებას და ინდივიდუალური გაჯანსაღების მეთოდებს მათი დაავადებების მიხედვით.

პროგრამის მიხდვით სხვადასხვაგვარი დაავადების სტუდენტებს უნდა ვასწავლოთ ინდივიდუალურად გაჯანსაღების მიზნით მათთვის მისაწვდომი ფიზიკური აღზრდის საშუალებების გამოყენება.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს უნივერსიტეტში უნდა გააქტიურდეს სპორტის პროპაგანდის სხვადასხვა ფორმები, რადგან 2010 წლის მონაცემებით 1700 სტუდენტიდან ძალიან მცირე რაოდენობით არის ჩაბმული აქტიურ სპორტულ საქმიანობაში.

გაუმჯობესებას მოითხოვს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში მუშაობა. ეს საქმიანობა თავის თავზე უნდა იტვირთოს სპორტულმა ცენტრმა, რადგან ფიზიკური აღზრდის და სპორტის კათედრა უკვე კარგა ხანია აღარ არსებობს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, თბილისი, 1996;
2. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენების თეზისები, გორი, 2000;
3. საქართველოს ოლიმპიური აკადემიის სესია, გორი, 2001;
4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები, თბილისი, 2004;
5. თამარ მჭედლიშვილი, სპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი, თბილისი, 2006.

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ბოლო წლებში გორის უნივერსიტეტის სტუდენტებთან სპორტული მუშაობის ანალიზი.

გორის უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გაუქმების შემდეგ ძალზე იკლო სპორტში ჩაბმულ სტუდენტთა რიცხვმა, რაც განაპირობა ერთის მხრივ ფიზიკურ აღზრდაში სავალდებულო პრაქტიკული მეცადინეობების სასწავლო გეგმიდან ამოღებამ და დაბალი ფიზიკური მომზადების გამო სტუდენტთა მხრიდან ინტერესის დაქვეითებამ. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ სათანადო სააგიტაციო მუშაობის ჩატარებასთან ერთად გვეზრუნა უნივერსიტეტში დავნერგოთ სტუდენტთა ჯანმრთელობის განმტკიცების პროგრამა, რომელიც მოიცავს სამ ძირითად განაყოფს: თეორიულს, პრაქტიკულს და საკონტროლოს.

თითოეულ ნაწილში მოცემულია სათანადო რეკომენდაციები, როგორც თეორიული, აგრეთვე პრაქტიკული და საკონტროლო ნაწილების საქმიანობის შესახებ.

ნაშრომში აგრეთვე არის რეკომენდაციები სპორტული ცენტრის მუშაობის გააქტიურების შესახებ უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე და სპორტულ გამაჯანსაღებელ ბანაკში.

იმედია, რომ ჩვენი რეკომენდაციების პრაქტიკული გამოყენება ხელს შეუწყობს გორის უნივერსიტეტში სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეს და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

GORI TEACHING UNIVERSITY STUDENT YOUNGSTERS HEALTH IMPROVEMENT PROGRAM

Alexsander Iashvili, Academic Doctor

RESUME

In this article the analyses of sport work in the latest years is given.

After abolishment of the faculty of physiological training students participation in various sport activities became less in comprehension with other years. All this is due to, on the one hand, the reduction of obligatory lessons in physical training and on the other hand the reduction of students interest. Because all of these facts I think that along with agitation work it's necessary to found health improvement program, which will have three main levels: theoretical, practical and control.

In theoretical part recommendations about theoretical, practical and control work is given.

This report also contains recommendations how to make active health improvement program in physiological training faculty and sanitation camps.

I hope that practical use of our recommendation will help our youngsters to follow healthy way of life.

საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო გავლენა ოსეთსა და ოსებზე ქრისტიანული თვალსაზრისით

რობინზონ ოდიკაძე, აკადემიური დოქტორი

ქართველ და ოს ხალხებს შორის ძველთაგანვე მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობა არსებობდა, რასაც საქართველოსთვის სათანადო მნიშვნელობა ჰქონდა. კერძოდ, საქართველო სამხედრო მიზნებისთვის ხშირად იყენებდა ოსთა დაქირავებულ რაზმებს. ბრძოლებში მონაწილეობისათვის ისინი იღებდნენ ქირას, საჩუქარს, ნადავლს. ამასთან ერთად, „ქართველ და ოს ხალხებს შორის ინტენსიურ ურთიერთობას ხელს უწყობდა დინასტიური ქორწინებანი, რაც განსაკუთრებით გახშირდა XI-XII საუკუნეებში. მაგალითად, გიორგი I (1014-1027) ცოლად ჰყავდა ოსი ალდე, ბაგრატ IV (1027-1072) დაქორწინებული იყო ოვსთა მეფის ასულ – ბორენაზე, დემეტრეს და ოსეთში იყო გათხოვილი, დემეტრემ თავის ვაჟს – გიორგი III ოსი ბურდუხანი შერთო ცოლად, თამარის მეუღლე დავით სოსლანი იყო „ოვსთ მეფე, ტომი ბაგრატიონთა“ (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 369). სამეფო და ფეოდალურ კლანებს გარდა, ხშირი იყო ქორწინებანი რიგით მოსახლეობაში. ბოლო ხანებამდე აღმოსავლეთ საქართველოში ქართველთა შერეულ ქორწინებათა მეტი წილი ოსებზე მოდიოდა.

არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ენათმეცნიერული და ნარატიული წყაროების მიხედვით ოსთა ეთნოგენეზი ჩრდილოკავკასიის მთიანეთის ცენტრალურ ნაწილში VI-IX საუკუნეებში მიმდინარეობდა და ოსური ეთნოსის ჩამოყალიბება X-XII საუკუნეებისათვის დასრულდა. სწორედ ამიტომაც, I-IX საუკუნეთა მანძილზე საუბარი შეიძლება ალანთა და ქართველთა ურთიერთობაზე და არა ოს-ქართველთა ურთიერთობაზე. ალანთა უშუალო გაიგივება ოსებთან მართებული არ არის (ისევე, როგორც სწორი არ იქნებოდა გალების გაიგივება ფრანგებთან).

ოსი ხალხი კავკასიის აბორიგენებად შეიძლება ჩაითვალოს. იგი კავკასიაში ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებში. ქართული სახელმწიფო (რომელიც ისტორიულ წყაროებში „ქართლის სამეფოს“ – იბერიის, „საქართველოს“, „ყოველი საქართველოს“ და სხვა სახელითაა ცნობილი) შეიქმნა ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში. მოიცავდა დღევანდელი საქართველოს მთელ ტერიტორიას და კიდევ სულ ცოტა მის ნახევარს, რომელიც დღეს თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. ამიტომ ამ ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა პოლიტიკურ-კულტურული პროცესი უნდა განიხილებოდეს როგორც საქართველოში მომხდარი და არა ზოგად გეოგრაფიულ არეალში მომხდარი, როგორც ეს სურს წარმოადგინოს მკვლევართა (უმთავრესად ოს მკვლევართა) გარკვეულმა ნაწილმა. დღევანდელი (ყოფილი – რ. ო.) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ნარატიულ წყაროთა, არქეოლოგიური ფაქტებისა და სხვა ისტორიული მასალის მიხედვით ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ეთნო-კულტურულად ქართლია. მასში არ შეიმჩნევა უცხო ელემენტების არსებობა“ (ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან (სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა), თბ., 1991, გვ. 4).

საქართველოსა და ოსეთს შორის ურთიერთობა მეტწილად ნორმალური და კეთილმეზობლური იყო, მაგრამ გარეშე, ანუ მესამე ძალის ჩარევისთანავე, მათ შორის ურთიერთობა იძაბებოდა. ქართლში შინაპოლიტიკური რღვევისა და უმეფობის ჟამს (1292 წელს), როდესაც ქვეყანას მხოლოდ ერისთავი და აზნაურები პატრონობდნენ, პირველად „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და ტყვენვად თვისად დაიჭირეს ოვსთა“ (ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 296).

ქართლის მთიანეთში ოსთა ახალშენები XVII საუკუნიდან ჩნდება. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ამ მთის ადგილებთა შინა რაოდენნი ოვსნი დავსწერეთ, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოვსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“ (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 71). ფაქტიურად, XVII საუკუნის შუა წლებში სოფ. ზემო ჯავაში ოსური მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო. ვახუშტის მონაცემებით, XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთიანეთის რიგ სოფლებში სახლობდნენ. ი. გიულდენშტედტის ცნობებით, XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის ოსური მოსახლეობა საგრძნობლად მომრავლებულა შიდა ქართლის მთიანეთში.

როგორც ცნობილია, ქართლში ჩამოსახლებული ოსები ძირითადად არაგვისა და ქსნის ერისთავების, თავად მაჩაბლების, ნაწილობრივ მუხრანბატონების, ხერხეულიძეების, ფალავანდიშვილებისა და სხვა სათავადოებში დასახლდნენ. ისინი ხიზნების და ყმა-გლეხების უფლებებით სარგებლობდნენ.

ოსთა დამკვიდრება ქსნის ხეობაში შედარებით გვიან მოხდა. ამის შესახებ სახელოვანი ოსი მეცნიერი, ცნობილი ირანისტი ვასილ აბაევი წერდა: “Исторические и языковые факты подтверждают, что поселение ксанских осетин в теперешних местах по Ксанскому ущелью произошло не так давно, примерно в последние 200 лет. Они переселились гонимые малоземельем и нищетой, из разных высокогорных районов северной и Южной осетии и принесли с собой мещанину говоров и наречий” (В. Абаев, Осетинский язык и фольклор, М., 1940, с. 501).

ოსები ძირითადად დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობებში სახლდებოდნენ. იქიდან ოსური მოსახლეობა გორისა და დუშეთის მაზრებში გვევლინება, შედარებით მცირე რიცხვი – რაჭისა და შორაპნის მაზრებში. „1770 წლის დემოგრაფიული აღწერის მიხედვით დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 2860 კომლი ოსი ცხოვრობდა, აქედან 200 კომლი – ქსნის საერისთაოში, 860 კომლი – სამაჩაბლოში“ (ვ. გამრეკელი, აღმოსავლეთ საქართველოს შიდაკავკასიური პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობანი, თბ., 1980, გვ. 35-36).

ისიც რეალობაა, რომ ოსთა დასახლება საქართველოში ძველი პერიოდიდანვე, უმეტესად ძალადობას ემყარებოდა. ასე მაგალითად, „XII საუკუნის 80-იან წლებში თათარ-მონღოლთა შემოსევებში მონაწილეობა მიიღეს ოსებმაც და აიღეს რიგი ადგილები შიდა ქართლში. XIV საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა მათი თარეში შიდა ქართლის ტერიტორიაზე“ (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 296).

XVII საუკუნის ერთ საბუთში ვეცნობით: „ამასწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან. ღმერთი იყოს მოწმე, ასრე ამოსწყდა, რომ კაცის ნაშენი აღარ იყო რა...“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის, II, თბ., 1940, გვ. 363-364).

“ოსების მიერ ქართველი მოსახლეობის დარბევა-დაწიოკება განსაკუთრებით XVIII საუკუნეში ბარის რაიონებში მიმდინარეობდა. XVIII საუკუნის შუა წლებში ლეკებთან ერთად ოსებიც

აწიოკებდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს შიდა ქართლის ბარის სოფლებში. ისინი უკეთესი საცხოვრებელი პირობების საძებნელად სამხრეთისაკენ ხიზნებადაც მოიწევდნენ. ქართველ კლასიკოს მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს ოსთა შემოსვლა და მათი მოქმედება შიდა ქართლის ტერიტორიაზე შესანიშნავად აქვს აღწერილი რომანში „ჯაყოს ხიზნები“ (კ. ხარაძე, შიდა ქართლის ეთნიკური შემადგენლობა და გეოგრაფიული სახელწოდებების გავრცელება, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“ (საქართველოს საპატრიარქო), №1, თბ., 1997, გვ. 29).

ვახუშტი ბატონიშვილს ქართლის მთიანეთში დამკვიდრებული ოსები „ალანებად“ კი არა, დვალებად მიაჩნია. მისივე ცნობით, ქართლის მთიანეთში გადმოსახლდნენ დვალები და არა ოს-„ალანები“. ეს შემდეგნაირად გამოვლინდა: რუსეთის ხელისუფლების განმტკიცების შემდგომ ჩრდილო კავკასიის მაჰმადიანი ხალხების ნაწილი თურქეთში გადავიდა და მათ შორის იყვნენ წარჩინებული ოსებიც თავიანთი ჯგუფით. „ძირითადად გადავიდნენ ოსები, ადიღე-ჩერქეზები, ნოღაედლები და ყაბარდოელები“ (მ. გონიკაშვილი, საადგილმამულო საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში, თბ., 1984, გვ. 160).

ასე, რომ დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცენტრალური კავკასიონის მთებში ცხოვრობდა, ხოლო ჩრდილოკავკასიაში დამკვიდრებული ოსები (ნარ-მამისონის ხეობის გარდა) ეთნიკური წარმომავლობით არადვალური წარმოშობისანი იყვნენ (ე. ი. ალანური). ამიტომაც, „ზოგი ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსების ერთიან წარმომავლობას“ (ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984, გვ. 10).

შიდა ქართლის ტერიტორიაზე მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში არ შეწყვეტილა ციხე-სიმაგრეთა და ეკლესიათა მშენებლობა. აქედან, უმრავლესობა შუასაუკუნეთა ქართული არქიტექტურის პირველხარისხოვან ძეგლს წარმოადგენს. ბევრ მათგანზე ქართული წარწერებია შემორჩენილი. ისინი ხშირად ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავენ ადგილობრივი ქართველი ფეოდალების ვინაობის შესახებ. აი, ასეთი ძეგლებითაა მოფენილი ცხინვალის რეგიონი – ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელი ტერიტორია. მათ შორისაა: არმაზის, ერედვის, დოდოთის, ტბეთის, ქასაგინას, სოხთას, ლისის, ცხავატის, წირქოლის, იკოთის, ყანჩავეთის, გერის, თიღვის და სხვა ეკლესიები.

საქართველო თავის კულტურულ გავლენას ოსეთსა (ოსეთი – ყოველთვის იგულისხმება ოსების სამშობლო ჩრდილო ოსეთი – რ. ო.) და ოსებზე ავრცელებდა ქრისტიანული სარწმუნოებით. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, ქართლის ქვეყნების მოვლის შემდგომ “დიდი ანდრია სიმონითურთ (კანანელი – რ. ო.) შევიდა ქვეყანასა ოვსეთისასა, და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდებოდა ფოსტაფორი, სადა იგი დიდი სასწაული ქმნეს და მრავალნი ერნი მოაქცივნეს და განანათლეს”... (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ .42). ამ ცნობას ადასტურებს VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი პროკოფი კესარიელი. იგი აღნიშნავს, რომ იბერთა საზღვრებთან ახლოს ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათ შორის ალანებიცა და აბასგებიც, რომლებიც ქრისტიანენი არიან და ძველთაგანვე რომაელთა მეგობრებია.

ოსებში ქრისტიანობის განმტკიცების შესახებ საქართველოს მეშვეობით, მიგვანიშნებს მკვლევარი ჯონდო გვასალია. მისი თქმით, ამაზე მეტყველებს ოსურ ენაზე არსებული ქრისტიანული ტერმინოლოგია, რომელიც ქართული ენიდან არის შესული. ასე მაგალითად: ძუარ (ოსურად) – ჯვარი, კუირი – კვირა, თარანჯელოზ – მთავარანგელოზი, მარხო – მარხვა, ბარასკა – პარასკევი, მიქალ-გაბირთა – მიქელ-გაბრიელი, მაირიამ – მარიამი, დეკანოზ – დეკანოზი და სხვა. ამასთან, ოსეთში ვრცელდებოდა ბერძნული და ქართული დამწერლობა, ფეხს იკიდებდა ქართული ხუროთმოძღვრული სტილი. ოსეთზე ქართული კულტურის გავლენის მაჩვენებელია ნუზალის ტაძარი მდ. არდონის ხეობაში, რექომი – ცეის ხეობაში, ძიგვისის ტაძარი – ქურთათინის ხეობაში და სხვა.

ისიც აღსანიშნავია, რომ XVI-XVIII საუკუნეებში საქართველო–ოსეთს შორის არ არსებობდა კულტურულ-რელიგიური ურთიერთობის განვითარების ხელსაყრელი პირობები. „მიუხედავად ამისა, ოსეთის ტერიტორიაზე გვხვდება ქართულწარწერიანი ზარები, რომლებიც ქართველ მეფეებს შეუწირავთ ოსთა ცალკეული ეკლესია-სალოცავებისათვის. სოფ. ზარამაგში აღმოჩნდა XIII საუკუნის ქართული ხელნაწერი – ფსალმუნი, რომელიც ოსეთში XVII საუკუნის დასაწყისში მოხვედრილა. ზემოთ აღნიშნული ზარების ქართული წარწერები მოწმობენ, რომ ოსეთში იმ დროისათვის სცოდნიათ ქართული ენა, ქართული დამწერლობა და მათი შემწირველნი, ამ ფაქტიდან გამომდინარე, ზარებს ქართულ წარწერებს უკეთებდნენ“ (ჯ. გვასალია, ქართულ-ოსური

ურთიერთობის ისტორიიდან ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“ (საქართველოს საპატრიარქო), №1, თბ., 1997, გვ. 17).

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ოსთა შორის არიან ქრისტიანები, რომელთაც ნათლისღება ქართლსა და რაჭაში აქვთ მიღებული. ისიც ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით თავს იკავებდა ოსეთში უშუალო საქმიანობისგან, ამიტომაც გადაწყვიტა ოსთა გაქრისტიანება ქართველი სამღვდელოების მეშვეობით მოეგვარებინა. მართლაცდა, სასულიერო კომისია ქართული შემადგენლობით ოსეთში 1745 წლის დასაწყისიდან ჩავიდა. ერთი წლის შემდეგ სინოდის დავალებით კომისიის წევრები ქართულიდან ოსურ ენაზე ქართული შრიფტით საეკლესიო ხასიათის წიგნების თარგმნას შეუდგნენ, ხოლო 1764 წელს ახლადდაარსებულ ციხე-სიმაგრე მოზდოკში სკოლაც კი გახსნეს. ოსი ხალხის ისტორიაში ეს იყო პირველი სკოლა ქართველი სამღვდელოების ინიციატივით.

სასულიერო კომისიამ 1771 წლამდე იარსება. „1771 წლიდან ოსეთის სასულიერო კომისიაში რუსი სამღვდელო პირები შეჰყავთ. და აი, გასცეს განკარგულება, ოსურ ენაზე სასულიერო წიგნების თარგმნა-გამოცემაზე, ქართულის ნაცვლად, რუსული გრაფიკა დასდებოდა საფუძვლად. მიუხედავად ამისა, ქართული გრაფიკის საფუძველზე ოსური წიგნების თარგმნა გაგრძელდა 1844 წლამდე“. (ჯ. გვასალია, ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“ (საქართველოს საპატრიარქო), №1, თბ., 1997, გვ. 18).

რუსი ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ქართლის მთიანეთში ქართული საეკლესიო მსახურების და საერთოდ ქართული ქრისტიანობის აღმოფხვრას. ამ მიზნით, ქართველ სამღვდელოებას XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში აუკრძალეს ქართლის მთიანეთში სამსახური. უფრო მეტიც, მოითხოვდნენ ქართული წმინდა წიგნების ოსურ ენაზე თარგმნას. ივანე იალღუზიძეს ქართულიდან ოსურ ენაზე ათარგმნინეს საეკლესიო წიგნები, შემდეგ გაავრცელეს კიდეც. ივ. იალღუზიძემ, ქართული სახელმწიფოსა (ერეკლე მეფე) და ქართული ეკლესიის (ნათლისმცემლის მონასტერში) აღზრდილი, ქართული ეკლესიის წევრი – ქართველი სამღვდელო პირი იყო. მას, სხვა წიგნებთან ერთად, ოთხჯერ ჰქონდა გადაწერილი სულხან-საბას „სიტყვის კონა“. მართალია, მან პირველმა შეადგინა ოსური ანბანი ქართულის საფუძველზე, მაგრამ რუსული კოლონიური პოლიტიკის საფუძველზე ამ ანბანმა ფეხი ვერ მოიკიდა.

ქართველები გარკვეულ კეთილგანწყობას ამჟღავნებდნენ ოს მიგრანტთა მიმართ, მათი კულტურის შემდგომ განვითარებისათვის. ამის მაგალითად თუნდაც ისიც კმარა, რომ ქართული ანბანის მიხედვით შედგენილი პირველი ოსური სასულიერო წიგნი ქართველი მისიონერი მღვდლების მიერ 1753 წელს იქნა გამოცემული ხელნაწერის სახით. მაშინ ოსური ანბანი შედგენილი არ იყო (მხოლოდ XIX საუკუნის 30-იან წლებში მკვიდრდება ოსური ანბანი რუსულ ანბანზე დაყრდნობით).

ოსებს კულტურულ საქმიანობაში ხელს უწყობდა მეფე ვახტანგ VI. ოსების დიდი მოამაგე იყო ერეკლე II, რომლის დავალებით ანტონ კათოლიკოსმა ოსური ენა შეისწავლა. „იგივე ანტონი იყო შემდეგ ოსეთის საქრისტიანო კომისიის მეთაური. თელავის სემინარიის (ოსებიც სწავლობდნენ) რექტორის გაიოზ ნაცვლიშვილის მეშვეობით 1770 წელს მოზდოკში და შემდეგ ყიზლარშიც ოსური კერძო სტამბა გაუმართავთ. მეფე ერეკლე მეორის აღზრდილად ითვლება ოსთა განმანათლებელი ივანე იალღუზიძე (გაბარაშვილი, გაბარაევი, გაბარათი)“ (ი. მეგრელიძე, ოსთა სამოსახლოები დიდი ლიახვის ხეობაში, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“ (საქართველოს საპატრიარქო), №1, თბ., 1997, გვ.35).

თომა ჩოჩიევი ოსი ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთაგან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ქართული განათლება მიიღო და შეეცადა საქართველოს მოსახლე ოსებში განათლების შეტანას. „1855-1856 წლებში იგი დიდი ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ კროზში და საერთოდ, სადაც კი შესაძლებლობა ეძლეოდა, კრებდა ბავშვებს და ქართულს ასწავლიდა. ხვწეში მან სკოლაც დააარსა, იღვწოდა ჯავაშიც. როცა ჯავის სკოლა ფეხზე დააყენა, პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ორტევში გადავიდა. მისი მცდელობით მაღალმთიან სოფლებში: ყორნისში, როკაში, კოშკში გაიხსნა მართლმადიდებლური საზოგადოების სკოლები. ასევე სკოლები გაიხსნა წუნარში, ერედვსა და ძარში.

XX საუკუნის დასაწყისში მარტო გორის მაზრაში გახსნილია 16-მდე საერო და სასულიერო სკოლა მხოლოდ ოსებისათვის, სადაც განათლებას ღებულობდა 1500-მდე ბავშვი“ (ბ. გამყრელიძე, უქმნიდით ერთმანეთს ზიანს, ვითარცა მტერნი, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“ (საქართველოს საპატრიარქო), №1, თბ., 1997, გვ. 28).

საყურადღებოა XIX საუკუნის მე-2 ნახევარში ათანასე გასიევის მოღვაწეობა. იგი დიდ ინტერესს გამოხატავდა საქართველოში ეროვნული მოძრაობისადმი, გაბედულად ამხელდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ქართველი და კავკასიის სხვა ხალხებისადმი. როგორც მკვლევარი ბ. გამყრელიძე აღნიშნავს, ქართველ საზოგადოებრიობას ამ კეთილშობილურ საქმეში ოსების ინტელიგენციის წარმომადგენლებიც უდგნენ მხარში, რომლებმაც განათლება თბილისში მიიღეს და ქართულ კულტურას ეზიარნენ. 1855 წელს ი. ბერიძე აღფრთოვანებული წერს, რომ მისიონერების შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. ოსები ხალისით ასრულებენ ქრისტიანულ მოთხოვნილებებს, მშვიდობიან, შრომისმოყვარე მოსახლეობად ჩამოყალიბდნენ და იმდენად ამაღლდნენ ზნეობრივად, რომ ჯავაში, თავისი ხარჯებით, ერთსართულიანი სახლიც კი ააგეს სასწავლებლად, სადაც განათლებას ქართულ და რუსულ ენაზე იღებდნენ.

ამრიგად, ქრისტიანული სარწმუნოება საუკუნეთა მანძილზე უწყობდა ხელს ქართველი და ოსი ხალხების სულიერ და კულტურულ დაახლოებას, მათ ნათესაურ თუ კეთილმეზობლურ თანაცხოვრებას, უკანასკნელ ხანებში ცხინვალში ასე ურცხვად რომ დაივიწყეს და ზურგი აქციეს ოსმა სეპარატისტებმა.

ლიტერატურა:

1. ვ. ბატონიშვილი, 1941 – ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
2. ვ. აბაევი, 1940 – В. Абаев, Осетинский язык и фольклор, М., 1940.
3. ვ. გამრეკელი, 1980 – ვ. გამრეკელი, აღმოსავლეთ საქართველოს შიდაკავკასიური პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობანი, თბ., 1980.
4. ქართველი და ოსი ხალხების ურთ. ისტ., 1991 – ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან (სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა), თბ., 1991.
5. ქართლის ცხოვრება, 1955 – ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
6. დოკ. საქ. სოც. ისტ., 1940 – დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის, II, თბ., 1940.
7. მ. გონიკაშვილი, 1984 – მ. გონიკაშვილი, საადგილმამულო საგლეხო რეფორმა თერგის ოლქში, თბ., 1984.
8. ი. მეგრელიძე, 1984 – ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984.
9. ქართლის ცხოვრება, 1959 – ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
10. „ჯვარი ვაზისა“, 1997 – ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“ (საქართველოს საპატრიარქო), №1, თბ., 1997.

რეზიუმე

საქართველო თავის კულტურულ გავლენას ოსეთსა (ოსეთი – იგულისხმება ოსების სამშობლო ჩრდილო ოსეთი) და ოსებზე ახდენდა ქრისტიანული სარწმუნოებით. ოსეთში ვრცელდებოდა ბერძნული და ქართული დამწერლობა, ფეხს იკიდებდა ქართული ხუროთმოძღვრული სტილი. ოსეთზე ქართული კულტურის გავლენის მაჩვენებელია ნუზალის ტაძარი მდ. არდონის ხეობაში, რექომი – ცეის ხეობაში, ძიგვისის ტაძარი – ქურთათინის ხეობაში და სხვა.

რუსეთის მთავრობა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით თავს იკავებდა ოსეთში უშუალო საქმიანობისაგან, ამიტომაც გადაწყვიტა ოსთა გაქრისტიანება ქართული სამღვდელოების მიერ მოეგვარებინა. მართლაცდა, სასულიერო კომისია ქართული შემადგენლობით ოსეთში 1745 წლის დასაწყისში ჩავიდა. ერთი წლის შემდეგ, სინოდის დავალებით, კომისიის წევრები ქართულიდან ოსურ ენაზე, ქართული შრიფტით, საეკლესიო ხასიათის წიგნების თარგმნას შეუდგნენ, ხოლო 1764 წელს ახლად დაარსებულ ციხე-სიმაგრე მოზდოკში სკოლაც გახსნეს. ოსი ხალხის ისტორიაში ეს იყო პირველი სკოლა ქართველი სამღვდელოების ინიციატივით.

ოსებს კულტურულ საქმიანობაში ხელს უწყობდა მეფე ვახტანგ VI. ოსების დიდი მოამაგე იყო ერეკლე მეორე, რომლის დავალებით ანტონ კათოლიკოსმა ოსური ენა შეისწავლა. ანტონი იყო შემდეგ ოსეთის საქრისტიანო კომისიის მეთაური. მეფე ერეკლე მეორის აღზრდილად ითვლება ოსთა განმანათლებელი ივანე იალღუზიძე (გაბარაშვილი, გაბარაევი, გაბარათი).

THE CULTURAL-INSTRUCTIVE INFLUENCE OF GEORGIA ON OSSETIA AND OSSETS BY POINT OF VIEW OF CRISTIANITY

Robinzon Odikadze, Academic Doctor

RESUME

Georgia had its cultural influense on Ossetia (Osseti-means Osseti's homeland, North Osseti) and Ossets by the religion of christianity. It was spread Greek and Georgian written languages is Ossetia, the Georgian architectural style was developing. The index of influence of Georgian Culture upon Ossetia is Nuzali cathedral in the river Ardoni gorge, in Rekomitsei gorge, Dzigvisi cathedral in Kurtatini gorge and others.

Russian government kept from doing immediate work in Ossetia in order not to strain the relations with Turkey, that's why Russia decided to arrange corvrting to the christianity of Ossets by Georgian clergy. Indeed, the eclesiastic commission with Georgian staff arrived in Osseti in 1745. After a year, the members of commission began to translate the parish books from Georgian into Ossetie language with Georgian print on the instruction of synod, but in 1764 they opened even the school in anew founded fortretss Mozdoki. This was the first school on the Georgian clergy initiative in the history of Osseti people.

The king Vakhtang VI-th helped Ossets in cultural activities. Erekle the second took care of Ossets and on the instruction of him Catholic Anton learnt Ossetic language. The Anton was the leader of Osseti christianity commission. Osset's enlightener Ivane Iaghluzidze (Gabarashvili,Gabaraevi,Gabarati) was brought up by the king Erekle the second.

უმაღლეს სასწავლებელში სწავლების მეთოდიკის სრულყოფის აუცილებლობა

მზია რამიშვილი, ასოცირებული პროფესორი

უმაღლესი განათლების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლამ, მისმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ უმაღლესი სკოლის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და ცოდნის ხარისხი უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნათა სტანდარტებს, მათი დიდი ნაწილი მხოლოდ დამაკმაყოფილებლად სწავლობს ე.ი. დღის წესრიგში კვლავ მწვავედ დგას საშუალო სტუდენტის პრობლემა. სტუდენტთა ერთ ნაწილს სურვილი აქვს უმაღლესი განათლების დიპლომის მიღებისა, მაგრამ ნაკლებ ინტერესს იჩენს არა მარტო იმ დისციპლინებისადმი, რომლებიც მისი სპეციალური საგნების შესწავლისათვის მეცნიერულ-ტექნიკურ საფუძველს შეადგენს, არამედ თვით სპეციაური დისციპლინებისადმიც. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საშუალო სკოლის ყველა კურსდამთავრებულს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ სწავლას, არ აქვთ გამომუშავებული სასწავლო საქმიანობის მტკიცე ჩვევები, აკლიათ ნებისყოფის სიმტკიცე, ცალკეული საგნის შესწავლისა და სპეციალობისადმი ინტერესი, მინდობილი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, მათ არ ესმით თავიანთი უფლებები და მოვალეობანი სამშობლოს, ერის, ხალხის, მთელი საზოგადოების წიანშე. ზერელე წარმოდგენა აქვთ თავიანთ გონებრივ შესაძლებლობაზე, ან საერთოდ არ აქვთ თავიანთი ძალების რწმენა, აკლიათ ცოდნის დაუფლებისას თანმიმდევრობისა და სისტემატიურობის ჩვევები. ამას ისიც ემატება, რომ მეცნიერების და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ძალზე მოზღვავდა ახალი ინფორმაცია, რაც აუცილებელი ხდება ადამიანის ნამდვილ განათლებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის. ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრა და მოზღვავებული ახალი ინფორმაციის დაუფლება ძველი, ტრადიციული მეთოდებით შეუძლებელი

ხდება. იმისათვის, რომ უმაღლეს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში მივაღწიოთ სასურველ შედეგს აუცილებელი ხდება ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკის, უმაღლესი განათლების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის პრობლემების დამუშავება.

1. მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის განვითარების ყოველ ეტაპზე წამოიჭრება თანადროულობის შესაბამისად ახალგაზრდობის აღზრდის საკითხი. უფრო მეტიც, აღზრდაში ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ის მოთხოვნებიც, რომელსაც მომავალი ცხოვრება დააყენებს ადამიანთა საზოგადოების წინაშე, ამიტომ სწავლა განათლების სფეროში ყოველთვის მთავარია, როგორ ავღზარდოთ მომავალი თაობა, რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ საერთოდ. ძალიან ხშიად განათლების დარგის ბევრ სპეციალისტს საკითხი რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ საერთოდ, იოლი და მომგვარებლური ჰგონია. ფაქტიურად ადამიანის განათლებულ, კულტურულ და მაღალი კვალიფიკაციის მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის სწორედ ესაა მთავარი, ძალიან რთული და დიდ სიძნელეებთან დაკავშირებული საქმე.

როგორ აღვზარდოთ? – ამას რომ ვუპასუხოთ, უნდა ვიცოდეთ თითოეული მოქალაქის უფლებები, მოვალეობანი და როლი, მოთხოვნები, რომელსაც ცხოვრება აყენებს თითოეულ ადამიანსა და მთელი საზოგადოების წინაშე, მოთხოვნები, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების, მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის განვითარება დააყენებს მომავალში სახელმწიფოსა და ადამიანის წინაშე. ყოველლივე ამას წინასწარ შესწავლა და გაანალიზება სჭირდება, რომ შემდეგში ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნეს ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდისა და სწავლებისას. ეს პრობლემა ძირითადად უმაღლესი განათლების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კვლევის საგანია, მაგრამ ამ საქმეში გარკვეული წვლილი ცალკეულ მეცნიერულ დისციპლინებსაც შეაქვს, ამიტომაც თავის სიტყვას ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკაც იტყვის.

2. სწავლების მეთოდიკამ უნდა გადაწყვიტოს, რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ მოცემულ საგანში: რა გზებით, რა მეთოდებით უნდა ვისარგებლოთ, რომ რთული და ძნელად ასათვისებელი მარტივი და ადვილად ასათვისებელი გავხადოთ; მცირე დროის დახარჯვით მივაღწიოთ სწავლების მაღალ დონეს, დიდი რაოდენობით ინფორმაციის გადაცემასა და ათვისებას, სწავლების მაღალ ეფექტურობას, სწავლების მეთოდიკამ უნდა გადაწყვიტოს თანამედროვე მოთხოვნა და შესაბამისად რა უნდა იქნეს ამოღებული მოცემული საგნის პროგრამიდან როგორც მოძველებული, ან იმის გამო, რომ ეს საკითხი უკვე სასკოლო პროგრამით სათანადო დონეზე ისწავლება, რა ახალი მასალა უნდა იქნას შეტანილი პროგრამაში, რათა უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო პროცესი მუდამ ურთიერთკავშირში და შესაბამისობაში იყოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნებთან. ასე მაგალითად, იმისათვის, რომ დროში მოვიგოთ და სტუდენტობას რაც შეიძლება მათთვის უცნობი მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ. ნათლად გამოიკვეთება, აგრეთვე სწავლების პროცესში რთულიდან მარტივისაკენ გადასვლის სარგებლობა და დასაბუთება, რომლის გამოყენებასაც გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია და პრაქტიკული ღირებულება აქვს, როცა მარტივი უკვე წინასწარ ცნობილია.

3. უმაღლეს სასწავლებელში ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკის ამოცანაა, დააზუსტოს საზღვრები მონათესავე საგნებთან, გაარკვიოს, მოცემული საგნის ესა თუ ის საკითხი, ესა თუ ის კანონზომიერება (თუ მოვლენა) რა როლს ასრულებს სხვა მონათესავე დისციპლინების შესწავლის საქმეში, რა დოზით, სიღრმითა და შინაარსითაა იგი საჭირო მოცემული სპეციალობის სტუდენტთა მომზადებისათვის და, საერთოდ, მათ მომავალ საქმიანობაში არჩეული სპეციალობის მიხედვით. თუ მოცემულ საკითხს რომელიმე მონათესავე საგანშიც ასწავლიან, მეთოდიკამ ისიც უნდა განსაზღვროს, ეს საკითხი თუ როგორი დოზით, შინაარსით, რა სიღრმით უნდა ისწავლებოდეს მოცემულ საგანში და როგორ შეისწავლოს მისი შინაარსი მონათესავე საგანში. ხშირად ასეთი საკითხების წამოჭრის დროს პედაგოგთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ საგანთა სწავლების მეთოდიკის დამუშავება საჭირო არ არის იმ მოტივით, თითქოს რა უნდა ვასწავლოთ გათვალისწინებულია პროგრამაშიო და როგორ უნდა ვასწავლოთ წიგნშიო, მაგრამ მათი აზრი ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, რადგან სასწავლო პროგრამაში მხოლოდ ჩამოთვლაა იმ საკითხებისა, რომლებიც უნდა ვასწავლოთ მოცემული სპეციალობის სტუდენტებს და არ არის მოცემული ის, თუ მაინც და მაინც რა სიღრმით, რა შინაარსით, რა მოცულობით ვასწავლოთ და რას და რატომ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მოცემული საკითხის სწავლებისას. ეს გასაგებიცაა. ეს ხომ სწავლების მეთოდიკის საკითხია და არა პროგრამისა. სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის იწერება და, ბუნებრივია, მასში სწავლების მეთოდიკა არ იქნება

გათვალისწინებული, თუმცა სახელმძღვანელო შედგენილი უნდა იყოს პედაგოგიკისა და მეთოდიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ხშირად სწავლების დონე, მისი სიღრმე და შინაარსი განისაზღვრება არა ფაკულტეტის, სპეციალობის ინტერესებისა და მოთხოვნებით, არა მოცემული საგნის კავშირით მონათესავე და ფაკულტეტის სპეციალურ საგნებთან, არა მოცემული საგნის საჭიროების გათვალისწინებით სხვა სპეციალური ან მონათესავე საგნების შესწავლის საქმეში, არამედ ლექტორის მომზადების დონით, მისი სუბიექტური სურვილებითა და შესაძლებლობებით. ლაკონურად რომ ვთქვათ, ვისაც როგორ შეუძლია და როგორ სურს, ისე წარმართავს სწავლებას, აქედან გამოდის დასკვნა, რომ უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს სწავლების ერთიანი პრინციპი, რომელიც დაფუძნებული იქნება პედაგოგიურ მეთოდურ მოთხოვნებზე და სავალდებულო იქნება ყველა ლექტორისათვის განურჩევლად მათი მეცნიერული რანგისა, განურჩევლად მათი სუბიექტური სურვილებისა და შეხედულებებისა.

აქედან გამომდინარე დავასკვნით, რომ საჭიროა მოცემული საგნის სწავლების შინაარსი, სიღრმე და მოცულობა მოცემულ სპეციალობაზე წინასწარ იქნას დადგენილი პედაგოგიურ მეთოდურ მოთხოვნათა საფუძველზე. ყველა ლექტორისათვის სავალდებულო უნდა იყოს, ისე წარმართოს სწავლება, რომ უზრუველყოს პედაგოგოკისა და მეთოდიკის მოთხოვნათა განხორციელება.

ყოველი ლექტორი ვალდებული უნდა იყოს, საგნის სწავლებისას იხელმძღვანელოს სათანადო მეთოდიკით. მეთოდიკა კი არ უნდა აეგოს ნებისმიერი ლექტორის მომზადების შესატყვისად, არამედ ლექტორის მუშაობა უნდა წარიმართოს მეთოდიკის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად.

4. რადგან უმაღლეს სასწავლებელში არ არსებოს სწავლების ერთიანი პრინციპი, სწავლება ერთიანი მოთხოვნის შესაბამისად, ერთიან მეთოდიკურ დონეზე, ცხადია არ არსებობს ერთიანი მიდგომა სტუდენტთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ერთიდაიმავე სპეციალობის სტუდენტებს ერთსადაიმავე საგანში ერთიდაიმავე ცოდნის შეფასებისას სხვადასხვა ლექტორი სხვადასხვა ნიშანს უწერს. ამის გამართლებად ის მიაჩნიათ, რომ ამა თუ იმ საკითხზე სხვადასხვა ლექტორის შეხედულება სხვადასხვაა. სხვადასხვა ლექტორი ერთიდაიმავე საკითხის პასუხისას სხვადასხვა მხარეს აქცევს ყურადღებას. თუ ერთ მათგანს რაიმე მომენტი, რაიმე პუნქტი მოცემულ საკითხში მთავრად მიაჩნია, სხვა მას მეორეხარისხოვნად თვლის და პირიქით. სწორედ ესაა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში ცოდნა არაობიექტურად ფასდება.

5. მეთოდიკამ უნდა განსაზღვროს პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობის ორგანიზაცია და მეთოდები, ამ მეცადინეობათა შინაარსი, მათი ჩატარების მეთოდიკა, დანიშნულება და როლი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა და მომავალი მოთხოვნების შესაბამისად. ამ მეცადინეობათა ჩატარების დროსაც არ არის ერთიანი მიდგომა, ერთიანი აზრი და მომთხოვნელობა და უმეტეს შემთხვევაში ლექტორის შეხედულებისამებრ ტარდება. ამის შედეგად, ვის როგორ სურს, ისე ატარებს პრაქტიკულ და სემინარულ მეცადინეობას, რის გამოც ხშირად სასწავლო სააღმზრდელო მუშაობა თავის შედეგს ვერ აღწევს.

ლიტერატურა:

1. Вейлаид й сперна. Университетское образование после 1992 года.
2. დ. ლორთქიფანიძე, დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, თბ., 1960;
3. პედაგოგიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995;
4. ნ. ვასაძე, პედაგოგიკა, თბ., 1998;
5. Бордовская И. В., Реаню А.А., Педагогика, М., 2000.

რეზიუმე

შრომაში განახილულია უმაღლეს სკოლაში სწავლების არსებული მდგომარეობა. მოცემულია მისი ანალიზი. აღნიშნულია ნაკლოვანებები და მისი გამომწვევი მიზეზები. მოცემულია წავლების სრულყოფის მეთოდური რეკომენდაციები.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სტუდენტ-ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლების პრობლემებზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ცხოვრების მოთხოვნების

შესაბამისად, ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკაზე და მათი სწავლების პროფესიულ მიმართულებაზე; სწავლებაში საგანთაშორისი კავშირების დიდ მნიშვნელობაზე, ცოდნის მემკვიდრეობაზე და მის როლზე ახალი ცოდნის დაუფლებაში.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი პრაქტიკული, ლაბორატორიული და სემინარული მეცადინეობების ორგანიზაციას და მეთოდიკას, სტუდენტთა ცოდნის შეფასება-შემოწმების საკითხს, გადმოცემულია სააღმზრდელო მუშაობისა და სწავლების ხარისხის ამაღლების ეფექტური-მეთოდური რეკომენდაციები.

STATE OF TEACHING AT HAIGHER SCHOOLS AND NECESSITY OF IMFROVEMENT OF TEACHING METHODS

Mzia Ramishvili, Associate Professor

SUMMARY

In presendent work the state of teaching in higher school is considered, its analysis is given. Problems and thei reasons, methods recommendations for perfection of teaching are given.

Special attention is paid to the problems of uporingigng of student-youth, to taching contents and its volume according to the methods of teaching of separate subjects and to their prgressice direction in teaching of knowledge and its role in the acquisition of new knowledge.

Creat attention is paid to organization and methods of practical laboratory and seminar students, to the problem of control and evaluation of students' knowledge, to the part-time students' education.

Ellective recommendations for teaching-upbringing work as well as in imfruvement of teaching qualitey are offered.

მოსაზრებები პედაგოგიური მეცნიერების კვლევისათვის

აკაკი ტოლიაშვილი, სრული პროფესორი

ყოველი მეცნიერება თავისი განვითარების პროცესში წამოჭრის უამრავ პრობლემას. ასევეა პედაგოგიური მეცნიერებაც. ამ პრობლემების კვლევა ამ მეცნიერების მკვლევართა ერთ–ერთი საპასუხისმგებლო საქმეა.

პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის მკვლევარები თანამედროვე პერიოდის საქართველოში და უცხოეთში ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ,,დღეს პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული პროდუქტის პარადიგმა აღარ არის დომინანტური მნიშვნელობისა. ბოლო ხანს გაცილებით დიდი მოთხოვნილებაა იმგვარი კვლევის მეთოდოლოგიის მქონე ნაშრომებზე, რომლებიც დღის წესრიგში სხვა ახალ ზოგადი ხასიათის საკითხებს აყენებს". ამასთან დაკავშირებით ისმევა კითხვა – რა სხვა საკითხების კვლევა და პრაქტიკაში დამკვიდრება უნდა მოხდეს? ,,როცა მაგალითად მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში პედაგოგიკური მეცნიერების კვლევის პრობლემა მხოლოდ პრაქტიკული კვლევითაა განსაზღვული, რა უნდა გაკეთდეს; მხოლოდ „რეალური" პედაგოგიური სიტუაციების კვლევა მიგვიყვანს ჭეშმარიტებამდე?!

ეს ასე არ არის; პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პედაგოგიკის მეცნიერების ძირითადი ნაწილების მიმართების საკითხს, აქედან გამომდინარეობს ზოგადი, ახალი საკითხების დაყენება.

კლასიკურმა საბერძნეთმა (ჩვ.წ. აღრ. VII-VI საუკუნეებში) და მარკ ფაბიუს კვირტილიანემ (42–118 წ.წ) დაგვიტოვეს ნაშრომები, სადაც პედაგოგიკის საგანი „აღზრდა" არ იყო დანაწევრებული ,,დიდაქტიკად" და ,,აღზრდად", კონკრეტული საკითხებიც სკოლებში ამასთან შესაბამისად წყდებოდა.

მარკ ფაბიუს კვინტილიანეს გარდაცვალების შემდეგ სათავე დაედო მიმართულებას, რომელმაც უპირატესობა მისცა სწავლებას ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც გონებას წარმართავდა უკიდურესად

ცალმხრივად და სხვა მიმართულებით მოქმედების საშუალებას არ იძლეოდა. ეს იყო რელიგიური ჭეშმარიტების წვდომა, რომელიც მეცნიერული გზით თითქმის შეუძლებელი იყო. ამ მიმართულებით ფუძემდებლური იყო კვინტ სეპტიმიუს ტერტულიანე (160–220 წწ.). იგი გახდა ქრისტიანობის პირველი თეოლოგი. მისი აზრით სამყაროს რაიმე მეცნიერულ შემეცნებას არავითარი აზრი არ აქვს. მას ეკუთვნის ტერმინი – ,,სამება", რომლის მიხედვით ერთიანი ღმერთი არსებობს სამი სახით: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა, ,,გონებისათვის მიუწვდომელი ეს წარმოდგენა მიღებულია როგორც დოგმა, რომლის რწმენა აუცილებელია და ყოველი ქრისტიანისათვის სავალდებულო".

კვინტ ტერტულიანეს სწავლება არ ცდებოდა ვიწრო სწავლების სფეროს, მაგალითად ენების სწავლებას. შემდგომ პერიოდში ამ თვალთაზრისითა და ამ დებულებებზე აგებულ სკოლებს წმინდა ფილოლოგიური ხასიათი ჰქონდა. ეს მიმართულება აღორძინების ეპოქაში ძირითადად გავრცელდა გერმანიაში; პირველი კრიტიკოსებიც გერმანელი ფილოლოგები აღმოჩნდნენ და სწავლებაც დიდაქტიკად სწორედ აქ მოინათლა.

სიტყვა დიდაქტიკა ეკუთვნის რატკეს კომენტატორებს ქრისტოფ ჰელვიგსა და იოახიმ იუნგს, რომლებმაც 1613 წელს მომამზადეს მოკლე ანგარიში რატიხიუსის დიდაქტიკიდან, ანუ „სწავლების ხელოვნებიდან". აქედან გავრცელდა და დამკვიდრდა პირველად გერმანულ პედაგოგიკაში ტერმინი **დიდაქტიკა** და **დიდაქტიკოსი**. იგი პირველად უწოდეს **რატკეს.** ასე რომ პედაგოგოკიდან დიდაქტიკის გამოყოფა გერმანიაში მოხდა, თუმცა კი მისი სათავე შეიძლება სქოლასტიკურ აზროვნებაში ვეძიოთ.

გამოჩენილი ჩეხი პედაგოგი ი. ა. კომენსკი, საფუძვლიანად ეცნობა **რა რატკესა** და მის მიმდევრების შრომებს, ასკვნის, რომ სწავლება არ უნდა განვიხილოთ ისეთ ვიწრო გაგებით, როგორც რატკეს და მის მიმდევრებს ესმოდათ, მაგალითად ,,ენების ადვილად და სწრაფად სწავლებას", რომ გულისხმობს, არამედ უნდა დავუკავშიროთ **აღზრდას** თავისი – გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური, რწმენად ქცეული ცოდნითა და შესაბამისი უნარ–ჩვევებით.

ი. ა. კომენსკისთან ჩამოყალიბდა პედაგოგიკის ერთიანი საკვლევი საგანი **აღზრდა**, ვ. რატკესა და სხვა იმდროინდელი და თუნდაც თანამედროვე ,,დიდაქტიკოსებისაგან" განსხვავებით ი.ა. კომენსკის შრომაა ,,დიდი დიდაქატიკა ,,კარგად განსაზღვრავს პედაგოგიკის საგანს – **აღზრდას,** მთლიანად, მისი ოთხივე განზომილებით, ეს ფუნდამენტური შრომა არის წარმატებითი დაგვირგვინებული ცდა მაშინვე აცილებულიყო პედაგოგიკის გათიშვა „სწავლებად" და „აღზრდად".

ი. ა. კომენსკი ვერ კმაყოფილდებოდა სახელწოდებით – „დიდაქტიკა", რადგან პრაქტიკაში არ იყო სიტყვა, ტერმინი – „პედაგოგიკა" ამიტომ მონახა გამოსავალი და „დიდაქტიკას" დაუმატა – „მაგნა" (ე.ი „დიდი") და მიღებულ იქნა – „დიდი დიდაქტიკა", რომელშიც ცალკე თავებად შეიტანა – „ზნეობრივი აღზრდის მეთოდი", „ღვთისმოშიშობის დანერგვის მეთოდი", სკოლის ორგანიზაციის საკითხები და სხვა. ამასთანავე **„სწავლებისა" და „განათლების"** ცნებებში ჩადო შინაარსი, **„გონებრივ"** და **„ზნეობრივ"** აღზრდასთან ერთად **„ესთეტიკურ", „ფიზიკური" და „შრომით"** აღზრდასაც რომ მოითხოვს.

ი. ა. კომენსკი მიუთითებს: „დიდაქტიკა არის სწავლების თეორია..." აღნიშნავს, რომ დიდაქტიკით უნდა ,,ყველას ყველაფერი ასწავლო, ... ასწავლო მტკიცედ... მალე (და ისე), რომ მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც სიამოვნება მოჰგვაროს, ... რომ მოსწავლეები მიიყვანო ჭეშმარიტ მეცნიერებამდე, კეთილზნეობამდე და შინაგან სათნოებამდე", სკოლები უნდა გახდნენ „ადამიანთა ჭეშმარიტი და ცხოველი სახელოსნოები... თუ ადამიანს სურს გახდეს ადამიანი, მან აუცილებლად უნდა მიიღოს განათლება; „ადამიანს ესაჭიროვება სწავლა თუ იგი უნდა გახდეს ადამიანი..." .

ი. ა. კომენსკის ნაშრომებს, მის სახელმძღვანელოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის შემდგომ პერიოდის ევროპასა და მსოფლიოშიც. მე–18, მე–19 საუკუნეებში პრობლემები პედაგოგიკურ მეცნიერებას კვლავ გაუჩნდა. ამაზე დიდი გავლენა მოახდინა იმანაც, რომ ი. ა. კომენსკის მთავარი მეცნიერული პედაგოგიკური შრომა იყო ,,დიდაქტიკა", მიუხედავად იმისა, რომ მას ერქვა – „მაგნა", კომენსკი მაინც მონათლეს მხოლოდ დიდაქტიკოსად, დიდაქტიკის ფუძემდებლად, რომელმაც გზა გაუხსნა მომიჯნავე მეცნიერებებს ეკვლიათ პედაგოგიკური პრობლემები, დაევიწყებინათ ის ძვირფასი მითითება, რაც დაგვიტოვა პედაგოგიკის მეცნიერების ამ დიდმა კლასიკოსმა. ყოველივე ამის შედეგია, რომ თანამედროვე პედაგოგიკის სასწავლო სახელმძღვანელოებში საბოლოოდ გათიშულია ერთმანეთისგან ე.წ „სწავლება", „დიდაქტიკა" და „აღზრდის თეორია".

რა არის ამოსავალი? – ამოსავალი ისევ კლასიკური პედაგოგიკური აზროვნებაა, მარკ ფაბიუს კვინტილიანეს, იან ამო კომენსკის ... ჩვენი იაკობ გოგებაშვილის დიდი მემკვიდრეობის განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვა, ასე რომ ჭირდება პედაგოგიკურ მეცნიერებას ჩვენთან და საზღვარგარეთ.

ლიტერატურა:
1. კომენსკი ი. ა – დიდი დიდაქტიკა, რჩ. პედ. თხზ., 1949.
2. ბ. გომელაური, მ. თავხელიძე – ევროპული დიდაქტიკა, 2003.

რეზიუმე

თანამედროვე პერიოდში პედაგოგიკურ მეცნიერებას, მის თეორიასა და პრაქტიკას უამრავი პრობლემა გამოუჩნდა. არასწორად მიმდინარეობს მეთოდოლოგიური კვლევაც, სასწავლო სახელმძღვანელოებში გათიშულია ერთმანეთისგან ე.წ. „სწავლება“, „დიდაქტიკა“ და „აღზრდის თეორია“. ამის ერთ–ერთი ამოსავალი ისევ კლასიკური პედაგოგიკური აზროვნების, პირველ რიგში კვინტილიანეს, კომენსკის... გოგებაშვილის იდეების განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვაა.

IDEAS FOR THE RESEARCH OF PEDAGOGICAL SCIENCES

Akaki Toliashvili, Full Professor

RESUME

Modern period pedagogic science, its theory and practice a lot of problems too. Methodological research being wrong, the training manuals of the disconnected from each other. Sec, "training", "Didactics" and "education theory". This one - a cornerstone of classical pedagogic still thinking in the first place Kvintilianes, Komenskis ... Gogebashvili generalization of the ideas and practices in the implementation.

გონებრივი აღზრდა

პაატა ქურდაძე, სრული პროფესორი

როგორც ცნობილია, გონებრივ აღზრდაში იგულისხმება ორი ძირითადი მომენტის ფორმირება და გაძლიერება ესენი არიან აზროვნება და აზროვნებისათვის აუცილებელი მამოძრავებელი გონებრივი ძალები. რათქმაუნდა ერთიცა და მეორეც პირდაპირ კავშირშია ცენტრალურ ნერვიულ სისტემასთან და თავის ტვინთან, მატერიალური მსოფლმხედველობის მიხედვით. უფრო ზოგადად ამ ორს ემატება ადამიანის ბიოველი და შემეცნებაში ინტუიციურად მონაწილე ქვეცნობიერი. გონებრივ ძალებში არ იგულისხმება მხოლოდ თავის ტვინი და ცენტრალური ნერვიული სისტემა. რაც შეეხება გონებრივი ძალების განვითარებას, ამისათვის საჭიროა გადავწყვიოთ რიგი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც ასევე გულისხმობს ადამიანის საერთო გონებრივ და მის აზროვნების განვითარებას.

გონებრივი აღზრდა მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

1. <u>დიალექტიკური აზროვნება.</u> დიალექტიკური აზროვნების ფორმირება გულისხმობს მოსწავლეებში აზროვნების ისეთი უნარების განვითარებას, რომელიც დაკავშირებულია ფილოსოფიურ, დიდაქტიკურ კანონზომიერებათა თეორიულ და პრაქტიკულ შეთვისება-გაანალიზებაში, რის მიხედვითაც, როგორც ცნობილია, მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ ურთიერთ დაპირისპირებულ სიტუაციათა ერთაინობასა და წინააღმდეგობას შორის ლოგიკური აზროვნება, რაოდენობრივიდან

თვისობრივზე და პირიქით, აზრობრივი ანალიზის გადატანა და აზროვნების შედეგად არასწორი გადაწყვეტილების უარყოფა და მათ საფუძველზე შემდგომი ახალი დასკვნების გაკეთება.

2. ლოგიკური აზროვნება: ლოგიკური აზროვნების განვითარებაში იგულისხმება იმ ხერხებისა და საშუალებების დაუფლება, რის მიხედვითაც ჩვენ ვახდენთ კავშირის დამყარებას, ძველ შეძენილ, გამყარებულ ცოდნასა (გამოცდილებასა) და ახალ შეძენილ ცოდნას შორის. ასევე ლოგიკური აზროვნების განვითარებაში იგულისხმება საგნებისა და მოვლენათა ურთიერთობის ისეთი გააზრება, რომ მომდევნო მოქმედება გამომდინარეობდეს ამ ქმედების ადრეულ გამომწვევ მიზეზებთან. რაც საშუალებას გვაძლევს შემდგომში გარკვეულწილად ვიწინასწარმეტყველოთ სიტუაციათა შემდეგი განვითარება. გავაკეთოთ პროგნოზები და შევიმუშავოთ პრობლემის გადაწყვეტის შედეგად მიღებული სამუშაო ჰიპოთეზები.

3. აბსტრაქტული აზროვნება. აბსტრაქტული აზროვნება მომდინარეობს არა რეალურ გარემოში, არამედ არარეალურ ანუ ირეალურ ასპექტში ამ შემთხვევაში ჩვენი აზროვნება გარკვეულწილად მოწყვეტილია რეალურ მიწიერ საგნებს, შეიძლება ითქვას ხილულ სამყაროს (როგორც ამას კომენსკი გვასწავლიდა) და ის მიმდინარეობს უხილავ სამყაროში. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ კიდევ ერთი ჩვენი აზრით არ იქნება სწორი ამ უხილავ სამყაროს ვუწოდოთ არ არსებული ანუ მითიური სამყარო. იმიტომ, რომ თუ დავესესხებით ისევ კომენსკის, სრული სამყარო შედგება ხილულისა და უხილავისაგან და ამიტომ მოსწავლეთა საერთო განვითარება და მათ შორის კონკრეტულად გონებრივი განვითარება არ იქნება სრულყოფილი თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ ამ მეორე უხილავ სამყაროს. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ის მოვლენები რაც რეალურ ინფორმაციით მიღებული არის ჩვენს შემეცნებაში და შემდგომ გადაგვაქვს სიმბოლოებში და ვიწყებთ მათზე სიმბოლიკურ აზროვნებას. ეს შეიძლება ჩვენი აზრით სწორედ არის ზემოთხსენებული რეალურ სამყაროში აზრობრივის აბსტრაგირება ანუ აბსტრაქცია ამ მოვლენებისა წარმოსახვითში. ეს წარმოსახვითი ინტუიციურიდან ქვეცნობიერის გავლით არის სწორედ უხილავ სამყაროში წარმოებული აზროვნება.

4. განზოგადებული აზროვნება. განზოგადებული აზროვნება გულისხმობს აზროვნების ისეთ სახეს როდესაც ჩვენ ადრე მიღებულ კაცობრიობის გამოცდილებას რაიმე კონკრეტულ საკითხზე ვთვლით დიგმად. ან კიდევ ჩვენ აბსტრაქტული და ლოგიკური აზროვნების საფუძველზე ვპოულობთ ჯერ თეორიულად, ხოლო შემდეგ პრაქტიკულ გადაწყვეტილებას, ვრწმუნდებით მის სისწორეში და რეალურობაში და შემდგომ მას ვიყენებთ სხვა უფრო ზოგადი საკითხების გადაჭრაში, ანუ ასე ვთქვათ იმ მიღებულ პირველად კონკრეტულ ნააზრევს გავავრცელებთ, განვაზოგადებთ სხვა საკითხებზე შედარებით უფრო გლობალურზე, რომელნიც ამ კონკრეტულად მიღებული ნააზრევიდან შეიძლება გადაწყდეს. მოსწავლეთათვის განზოგადებული აზროვნების განვითარებისათვის გამოდგება ყველა ის საგანი და დისციპლინა, რომლებიც მოცემულია სასწავლო გეგმებში. განსაკუთრებით ამის გაკეთება შეიძლება თვალსაჩინოდ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას.

5. კატეგორიალური აზროვნება. კატეგორიალური აზროვნება ეს ისეთი აზროვნებაა, სადაც ხდება კონკრეტული ცნებებისა და ინფორმაციების გაერთიანება ჯგუფებად და კლასებად. მოსწავლეთათვის კატეგორიალური აზროვნებისათვის კარგი მაგალითია ლიტერატურაში და ხელოვნებაში მწერალთა და მოღვაწეთა სხვადასხვა კატეგორიებში გაერთიანება. მაგ.: რომანტიკოსები, ლირიკოსები, დრამატურგები და ა.შ. ბიოლოგიაში მაგ.: ხერხემლიანთა და უხერხემლოთა კლასი და ა.შ. კატეგორიალური აზროვნების ყველაზე საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მენდელეევის ელემენტებისა და მინერალების კლასიფიკაცია და ა.შ.

6. თეორიული აზროვნება. თეორიული აზროვნება მოიცავს მაღალი დონის საფუძვლიანი ინფორმაციის შეთვისებას. რაც მიიღწევა მოვლენათა და საგანთა შორის კავშირების შემეცნებაში, ახალი პრობლემატიკის გადაწყვეტაში ჰიპოთეზურ, პოსტულატურ წარმოდგენაში. ახალი მიმართულებების პროგნოზირებაში მიღებული ინფორმაციების საფუძველზე. თეორიული აზროვნების განვითარებისათვის მოსწავლეებში საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მოდელირებისა და კონსტრუქციონიზმის მეთოდები. ამ აზროვნების განვითარებას ხელს უწყობს აზრობრივი ამოცანები და თამაშობები. თეორიული აზროვნების საუკეთესო სავარჯიშოა სპორტის ისეთი სახეობა, როგორიცაა ჭადრაკი, სხვადასხვა სპორტულ თამშებში კომბინაციების გათვლა და ა.შ.

7. ინდუქციური აზროვნება. ინდუქციური აზროვნება მოითხოვს მარტივიდან, კონკრეტულიდან რთულისაკენ სვლას ლოგიკურ აბსტრაქტულ განზოგადებადი აზროვნების გზით. ის საბოლოო ჯამში კონკრეტულიდან ზოგადის დანახვას ემსახურება.

8. <u>დედუქციური აზროვნება.</u> დედუქციური აზროვნება ინდუქციურისაგან განსხვავებით ნიშნავს ასევე ლოგიკური და აბსტრაქციული და პირველისაგან განსხვავებით კატეგორიალური აზროვნების დახმარებით ზოგადიდან კონკრეტულის გააზრებას. მოსწავლეებს შევახსენებთ, ინდუქციურ და დედუქციურ აზროვნებას როგორც ცნობილია კარგად იყენებდა თავის მუშაობაში ართურ კონან დოილის რომანის გმირი, კერძო დეტექტივი შერლოკ ჰოლმსი.

9. <u>დიდაქტიკური აზროვნება.</u> როგორც საყოველთაოდ ცნობილია დიდაქტიკა წარმოადგენს სწავლების თეორიას, აქედან გამომდინარე დიდაქტიკური აზროვნება მოიცავს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამოყენებით აზროვნების ისეთ ფორმას, რომელიც ემსახურება ახალი ინფორმაციის მიღებას, მათ შემეცნებას, შესწავლას, დაკონკრეტებას, გამოცდილების დაგროვებას და ყოველივე ამის პრაქტიკაში ოპტიმალურ გამოყენებას.

10. <u>ალგორითმული აზროვნება.</u> ალგორითმული აზროვნება მოითხოვს აზროვნების ერთი შეხედვით მკაცრი სისტემის ჩამოყალიბებას. ალგორითმული აზროვნების დროს მთავარია ზუსტად მივყვეთ არსებულ ინსტრუქციას თუ ასეთი რამ გვაქვს. ინსტრუქციები და კანონები შეიძლება იყოს დაწერილი და შეიძლება იყოს დაუწერელი. ამდენად ალგორითმული აზროვნება შეიძლება განვითარდეს ისეთი აზრობრივი ქმედების დროს, როდესაც ჩვენს მიერ წარმოებული გონებრივი მუშაობა მიმდინარეობს მკაცრი, ლოგიკური სისტემით. ასეთი აზროვნების დროს შეიძლება აზროვნება დავყოთ საფეხურებად ასეთი საფეხურებრივი ასაკობრივ კიბეზე შეუძლებელია სვლა საფეხურების გამოტოვებით, მაგალითისათვის შეიძლება კარგად მომზადებულმა სპორტსმენმა კიბის საფეხურები აირბინოს რამოდენიმე საფეხურის გამოტოვებით, რაც სიმბოლურად რომ გადავიტანოთ ალგორითმულ აზროვნებაში, შეუძლებელია.

11. <u>ტექნიკური აზროვნება.</u> ტექნიკური აზროვნება მოითხოვს გარკვეულ ტექნიკურ უნარებსა და ჩვევებს. ასე მაგალითად: სპორტსმენი, ზეინკალი, დურგალი, თუნდაც პიანისტი, ვოკალისტი, მხატვარი ან კიდევ სხვა დარგის წარმომადგენლისათვის განსაკუთრებულად აუცილებელია სათანადო თეორიულ ცოდნასთან ერთად ტექნიკური უნარების გამომუშავება, რომლის გარეშეც ისენი პრაქტიკუალად ვერ შეძლებენ ტექნიკურ აზროვნებას. ტექნიკური აზროვნება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს დამახასიათებელია მხოლოდ ტექნიკური დარგის მუშაკებისათვის. როგორც ზემოთთქმულიდან ჩანს ის ყველა დარგის მუშაკთა შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი კომპონენტია, ხოლო ტექნიკური დარგის მუშაკთათვის უბრალოდ ეს უფრო თვალსაჩინოდ ჩანს და წინაპლანზეა წამოწეული.

12. <u>რეპროდუქციული აზროვნება.</u> ეს აზროვნება ნიშნავს ადრე ან აქამდე შეთვისებული ცოდნა გამოვიყენოთ კონკრეტული ამოცანების გადწყვეტისათვის. ასეთი აზროვნების განვითარებისათვის კარგი მაგალითია ყველანაირი სავარჯიშოს შესრულება, რომელიც უხვადაა მოცემული ყველა საგანში და ყველა დარგში სათანადო სწავლების მეთოდიკასთან ერთად. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებელ მუშაობას, რაც შემდგომში საფუძველი იქნება განუვითაროთ პიროვნებას ეგრეთწოდებული პროდუქტიული აზროვნება.

13. <u>პროდუქტიული აზროვნება.</u> პროდუქტიული აზროვნება ზოგიერთი ავტორის მიხედვით შეიძლება წარმოვადგინოთ რეპროდუქციული აზროვნების საპირისპირო აზროვნებად. ისე როგორც ინდუქციური აზროვნება არის დედუქციური აზროვნების საპირისპირო, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით მოცემული აზროვნების ფორმას (საკითხს), დავინახავთ, რომ პროდუქციული აზროვნება წარმოუდგენელია რეპროდუქციული აზროვნებისა და ყველა იმ აზროვნების ფორმების გარეშე, რომელიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი. მართალია პროდუქციოული აზროვნება ნიშნავს ადამიანის შემოქმედებით აზროვნებას, მაგრამ შემოქმედებითი აზროვნება მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გარეშე შეუძლებელია. ისე რომ ადამიანს ახლის ძიებაში და შემოქმედებაში აუცილებლად ეხმარება როგორც მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ასევე აზრობრივი და გონებრივი ქმედების ყველა ფორმა.

14. <u>სისტემური აზროვნება.</u> ეს აზროვნება ნიშნავს სხვადასხვა მეცნიერების დარგებს შორის ურთიერთკავშირის გააზრებას. აქ მნიშვნელოვანია იმ საერთოს დანახვა ან შეიძლება ითქვას იმ წერტილების და კვანძების გახსნა, საიდანაც შეიძლება გავაბათ აზრობრივი ძაფები სხვადასხვა მეცნიერების მსგავსების დადგენაში, რის შედეგადაც სწორედ ხდება კატეგორიული აზროვნების ჩამოყალიბება და ნააზრევის კლასებად ჩამოყალიბება.

<u>გონებრივი ძალები.</u> როგორც ცნობილია თავის ტვინი ფუნქციურ განვითარებასთან დაკავშირებულია ადამიანის ინტელექტი. ჩვენი აზრით ინტელექტი თანდაყოლილი ფენომენია, რომლის გაძლიერება და განვითარება მიმდინარეობს ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ასევე გონებრივ ძალებში უნდა ჩაითვალოს ადამიანის ბიოველის სიძლიერე და სიწმინდე, რომელიც შესაძლებელია ადამიანის სულის ნაწილი იყვეს და ალბათ ინტელექტიც სწორედ აქედან იღებს სათავეს. ამიტომ გონებრივი ძალების განვითარებისათვის ძალიან კარგი საშუალებაა აზრობრივი თამაშობანი, სხვადასხვა სახის ამოცანების ამოხსნა, სხვადასხვა სახის საფეხურებზე სკოლაში, სხვადსხვა სახის პრობლემური სწავლების მეთოდიკით. ყველაზე უკეთესი იქნება თუ უფროს კლასელებს ვასწავლით მოიფიქრონ თვითონ რამე პრობლემა ან ამოცანა და თუ ისინი მოიფიქრებენ ამოცანას, რათქმა უნდა თავისი ამოცანის ამოხსნას ადვილად შეძლებენ. როგორც უკვე ვთქვით ეს უკანასკნელი (ვარჯიშები) მჭიდრო კავშირშია ჩაკრებთან, მერიდიანებთან, არხებთან. ამიტომ გონებრივი ძალების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის საერთო ფიზიკურ წრთობას, პირად ჰიგიენას, ცხოვრების ნორმალურ წესს, შრომისა და დასვენების მარეგულირებელ სისტემას ხსენებულის გასამტკიცებლად. მაგ., ცნობილი მოჭადრაკეები მატჩის წინ დიდ ყურადღებას უთმობენ საერთო ფიზიკურ მომზადებას – ცურვა, სუფთა ჰაერზე ვარჯიში. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღების მაღალ ხარისხს როგორც ხილულ სამყაროდან გრძნობათა ორგანოების მიხედვით, ასევე უხილავიდან ინტუიციის საშუალებით ბიოველის, ჩაკრების, მერიდიანებისა და არხების მეშვეობით.

ცოდნის ფონდის დაგროვება. ცოდნის ფონდის დაგროვებას გონებრივ აღზრდაში და ადამიანის ინტელექტის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ცოდნის ფონდის დაგროვებაში იგულისხმება ენფორმაციის მიღება, მიღებული ინფორმაციის შენახვა და გადამუშავება გონებრივი ძალების მიერ. ჩვენი აზრით ისევე როგორც ყველა ჭურჭელს აქვს თავისი გარკვეული ზღვრული ტევადობა, რომლის იქითაც ის მიღებულ სითხეს ვეღარ დაიტევს, ასევე ადამიანის გონებრივ ძალებსაც აქვს რაღაც გარკვეული ტევადობის ინფორმაციის და ცოდნის მიღების უნარი, რომელიც სხვადასხვა ადამიანში, სხვადასხვა პიროვენებაში სხვადასხვა დოზითაა წარმოდგენილი. საერთოდ უნდა ვიცოდეთ, რომ ცოდნის ფონდის მიღება და დაგროვება ნიშნავს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზირებას.

ძირითადი აზრობრივი ოპერაციები. <u>ანალიზი</u> – ეს არის ისეთი აზრობრივი ოპერაცია, რომლის დროსაც ხდება მთავარის, ზოგადის დანაწევრება, აზრობრივი დაყოფა, რაც გარკვეულწილად გაამარტივებს მოცემულ პრობლემას და უფრო შესაძლებელს ხდის ამ ცალკეული ნაწილების შესწავლის საფუძველზე არსებულის ზოგადის არსში გარკვევას. ასეთი აზრობრივი ოპერაციის შებრუნებულ ან საწინააღმდეგო ოპერაციას წარმოადგენს სინთეზი. სინთეზის დროს ჩვენ ვსწავლობთ ცალკე კონკრეტულს და შემდეგ მას ვაერთიანებთ. შეიძლება პარალელები გავავლოთ ამ ორის საფუძველზე ისეთ აზრობრივ პროცესებთან, როგორებიც ზემოთ განვიხილეთ. ესენია: ინდუქცია და დედუქცია. საინტერესო აზრობრივ ოპერაციას წარმოადგენს <u>შედარება</u>. შედარება ისეთი აზრობრივი ოპერაციაა, როდესაც ჩვენ ახალ შესასწავლ საკითხს მოვუძებნით ჩვენს ადრე დაგროვილ ცოდნაში და მეხსიერებაში უკვე შესწავლილ გარკვეულ ანალოგს და იმ პირველის შესწავლის საფუძველზე შედარების მიხედვით ამ ახლიდან ვპოულობთ მსგავსებას და ამრიგად ვსწავლობთ ახალ პრობლემატიკას.

სწავლების უნარები. სწავლების უნარებში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი საკითხები: 1) <u>კითხვის უნარი</u>. კითხვის უნარში იგულისხმება აზრის გამოტანა, პირველ ხარისხოვნის გამოყოფა მეორე ხარისხოვნიდან. არსებულ ტექსტში უნდა შეგვეძლოს ძირითადის გამოყოფა. ასევე უნდა შეგვეძლოს განვაცალკევოთ ერთმანეთისაგან ის, რაც ჩვენთვის ამ ტექსტის წაკითხვამდე ცნობილი იყო და ის, რაც სიახლეს წარმოადგენს. უნდა შეგვეძლოს სიტყვებს შორის ქვეტექსტების დანახვა და ასევე დავინახოთ თუ რა საერთო აქვს მოცემულ კონკრეტულ საკითხს მეცნიერების სხვა დარგებთან ან სხვა სახის პრობლემატიკასთან და საბოლოოდ უნდა შეგვეძლოს გავიგოთ თუ რისი თქმა უნდოდა ავტორს ამ ჩანაწერის გაკეთებისას, რა გვითხრა ღიად და გასაგებად, და რა კითხვებს გაეცა პასუხი, ამოწურა თუ არა მოცემული პრობლემატიკა და ასევე რა ნაწილი დაგვიტოვა პრობლემატიკის შემდგომი გააზრებისა და ძიებისათვის. 2) <u>მოსმენის უნარი</u> – მოსმენის უნარში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები: აქ უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო, ვიდრე კითხვისას, თუნდაც იმიტომ, რომ აქ მართალია მონაწილეობს ერთდროულად ორი გრძნობითი ორგანო და სწორედ შეიძლება ის მომენტიც უფრო რთული პროცესი იყოს, ვიდრე კითხვის პროცესი. თუნდაც იმიტომ, რომ აქ, გარდა ჩვეულებრივი სმენითი პროცედურისა, გასთვალისწინებელია იმ პიროვნების მიმიკა, ჟესტიკულაცია, ტემპერამენტი, საუბრის ტონი და მონოტონურობა, ვის საუბარსაც ვისმენთ. ეს ყველაფერი შეიძლება დავასრულოთ მაცხოვრის სიტყვებით: „ისმინოს მან, ვისაც ყური აქვს“. ამდენად მოსმენის უნარი საკმაოდ რთული და

მნიშვნელოვანი უნარია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ მოსმენის დროს ერთდროულად გვიხდება მოსმენილის გააზრება და მისი დაკავშირება ძველ ცოდნასთან აბსტრაქტულად. 3) ზეპირი აზროვნება. ზეპირი აზროვნებისას პირველ რიგში ვგულისხმობთ მეტყველებას. რა თქმა უნდა იგულისხმება, რომ ჩვენ გვაქვს გამართული სამეტყველო აპარატი. ზეპირი აზროვნების აღზრდის დროს ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მოსწავლეს განუვითაროთ აზროვნების ყველა იმ ფორმის გამოყენება, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. სიტყვა, როგორც ვიცით, არის აზრის გამოხატვის საშუალება, შეიძლება წერითი აზრის დროს რაღაც ჩანაწერები მერე წაშალო, მაგრამ ზეპირი აზროვნების დროს სიტყვა რომ ბაგეს მოცილდება, მას უკან ვეღარ დააბრუნებ. ამიტომ სიტყვის თქმას დიდი გააზრება სჭირდება. შეიძლება ხდებოდეს ისე, რომ გაგვაჩნდეს სწრაფი აზროვნება, რაც იმას გამოიწვევს, რომ სწრაფად ვიმეტყველოთ, მაგრამ ამ დროს შეიძლება უნებურად დავუშვათ შეცდომები. ასეთებს უნდა ვურჩიოთ აზრების გადმოცემაში იყვნენ ცოტა შენელებულნი, რათა არ გაიპაროს ხარვეზები. ზეპირი აზროვნება რა თქმა უნდა თავისთთავად სწრაფ აზროვნებას მოითხოვს, მაგრამ თუ მეტყველების ტემპი შენელდება, უფრო ლიგიკურად გადმოიცემა განსახილველი საკითხები. 4) წერის უნარი – წერითი აზროვნება რადიკალურად განსხვავდება ზეპირი აზროვნებისაგან, აქ ჩვენ უნდა შევეცადოთ რაც შეიძლება მოკლედ და კონკრეტულად გადმოვცეთ იმ საკითხის გააზრება, რომელსაც ზეპირი აზროვნების დროს ვაკეთებდით, ანუ ქაღალდზე დაწერილ წინადადებებში და თუნდაც სიტყვებში უფრო მეტი აზრი უნდა ჩავდოთ, ვიდრე ზეპირი მეტყველების დროს. წერითი აზროვნების დროს უნდა შეგვეძლოს უფრო კონკრეტულად გამოვყოთ შესავალი – ანუ საკითხის დაყენება, შემდეგ ამ საკითხის განხილვა, დაკონკრეტება, დასკვნის გამოტანა და ა.შ. წერითი აზროვენება ზეპირი აზროვნებისაგან განსხვავებით შეიცავს იმ სირთულეს, რომ აქ შეიძლება სწრაფადმოაზროვნე პიროვნების შემთხვევაში ხელი ვერ ასწრებდეს გონებიდან წამოსული აზრების დაფიქსირებას ქაღალდზე, რაც გამოიწვევს პირველ რიგში ცუდ კალიგრაფიას, ტექსტის გრამატიკულ გაუმართაობას და საბოლოო ჯამში ნააზრევის ბუნდოვნად გადმოსცემას. 5) ქვეცნობიერი და საინფორმაციო ველი – როგორც საყოველთაოდ ცხადია აზროვნება დაკავშირებულია თავის ტვინთან, თავის ტვინში ხდება ის აზრობრივი ოპერაციები, რომლებზედაც აქამდე ვისაუბრეთ. მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით აზროვნებაში ძირითადი წარმართველი არის გააზრება, შემეცნებადი ცნობიერებისა ანუ ყოველივე იმისა, რაც ჩვენს თავის ტვინში ან გონებაში შემოდის გრძნობათა ორგანოების მეშვეობით, ამიტომ ყოველივეს, რაც ამ გზით აისახება გონებაში, ცნობიერება ეწოდება. ქვეცნობიერის შესახებ პირველმა გამოთქვა აზრი ავსტრიელმა ფსიქოლოგმა ზიგმუნ ფროიდმა. ამდენად ჩვენ უნდა დავუშვათ, რომ ადამიანს ცნობიერთან ერთად გააჩნია ქვეცნობიერიც. საინტერესოა, როგორ ხდება ქვეცნობიერიდან ინფორმაციის მიღება. რიგი მეცნიერებისა თვლიან, რომ ეს ხორციელდება ინტუიციის მეშვეობით. აბსტრაქტული აზროვნების განხილვისას ჩვენ ნაწილობრივ ვისაუბრეთ ხილულ და უხილავ სამყაროზე, სწორედ უხილავი სამყაროდან ინფორმაციას ვღებულობთ ინტუიციის მეშვეობით. ის ყველა ადამიანს გააჩნია მეტ ნაკლებად, უბრალოდ ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისი აღმოჩენა. ქვეცნობიერს გააჩნია უნარი აზრობრივი ოპერაციები გააგრძელოს მას შემდეგ, რაც ცნობიერში თავის ტვინი ამ საკითხებზე აზროვნებას წყვეტს. მაგ., ხშირად შეიძლება დაგვავიწყდეს რაღაც ძალიან ცნობილი და ვერ გავიხსენოთ, შემდეგ უეცრად ამოგვიტივტივდება გონებაში ის, რაც ქვეცნობიერიდან მოდის.

ჩვენი აზრით გონებრივ აღზრდაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს სხვა დანარჩენთან ერთად სწორედ ინტუიციური აზროვნება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე ჩვენ მოსწავლეთა გონებრივ აღზრდაში გარკვეული ყურადღება უნდა დავუთმოთ ინტუიციურ აბსტრაქციულ აზროვნებას, ვისწავლოთ ინფორმაციის მიღება როგორც ცნობიერიდან, ასევე ქვეცნობიერიდან, რაც მოგვცემს სრული სამყაროს ზოგად აღქმის საშუალებას და მასში მიმდინარე პროცესების სრულყოფილ გააზრებას.

ლიტერატურა:

1. И. Илина, „Педагогика“, Москва, 1985;
2. ზ. ცუცქირიძე, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, თბ., 1998;
3. ნ. ვასაძე, პედაგოგიკა, თბ., 1999.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გონებრივი აღზრდის ძირითადი მომენტები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია აბსტრაქტულ და ინტუიციურ აზროვნებაზე. მოცემულია მცდელობა ერთიან ჭრილში განვიხილოთ გონებრივი აღზრდის როგორც ემპირიული, ასევე ინტუიციური, ქვეცნობიერიდან მომდინარე. ნაშრომში განხილულია გონებრივი აღზდის დღემდე ცნობილი თითქმის ყველა ასპექტი. ავტორის აზრით გონებრივი აღზრდა ასეთი სახით მოცემული ერთ-ერთი უმთავრესი მომენტია სრულყოფილი პიროვნების ფორმირებაში.

MENTAL UPBRINGING

Paata Kurdadze, Full Professor

RESUME

The abstract deals with the main moments of mental upbringing. Special attention is paid to the abstract and intuitive thinking. Here is an attempt to discuss in whole the empirical and intuitive mental upbringing coming from subconscious. The abstract also deals with nearly all the aspects of mental upbringing known till today. According to the author's opinion mental upbringing is one of the main moments in the formation of a perfect person.

ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF E-LEARNING

Levan Tsikaridze, *Specialist by contract*
Mariam Zarkhozashvili, *Specialist by contract*

Introduction

E-Learning is a broad term that generally refers to any kind of learning done with a computer and Internet connection or CD-ROM. It is used by individuals, business educational institutions and other businesses. As with any type of learning, it works better for some than others. The quality of e-Learning has improved in recent years, as teachers and students have become more comfortable with the technology. e-Learning advantages and disadvantages are important to consider when making instructional and learning decisions. Many organizations and institutions provide different forms of training and instruction to their employees or learners. Typically they provide needed training by sending people to school, holding in-house training classes, or providing manuals and self-study guides. In some situations it is advantageous for them to use e-Learning or other forms of e-Learning instead of the traditional training. Sometimes it is disadvantageous. As with anything else, there are benefits and limitations, as well as pros and cons. There are many advantages to online and computer-based learning when compared to traditional face-to-face courses and lectures. There are a few disadvantages as well.

Advantages

Convenience is one of the major advantages of e-Learning in business education. It allows students to work and learn at their own pace without the unyielding time restrictions of traditional learning. Because e-Learning provides access to learning materials at any time, students have the flexibility to schedule around families, jobs and other activities. Another major benefit of e-Learning in business education is the accessibility it provides. Students can learn from anywhere in the world. This is an especially important consideration for students who wish to study in a different country. In addition, because e-Learning can be done from home, students have less clothing and driving expenses than with traditional learning. Business education class work can be scheduled

around personal and professional work. Instructors of the highest caliber can share their knowledge across borders, allowing students to attend courses across physical, political, and economic boundaries. Recognized experts have the opportunity of making information available internationally, to anyone interested at minimum costs.
Reduces travel cost and time to and from school. In many contexts, e-Learning is self-paced and the learning sessions are available 24×7. Learners are not bound to a specific day/time to physically attend classes. They can also pause learning sessions at their convenience. High technology is not necessary for all online courses. Basic internet access, audio, and video capabilities are common requirements. Depending on the technology used, students can begin their courses while at work and finish those at an alternate internet equipped location. Business education learners may have the option to select learning materials that meets their level of knowledge and interest. Learners can study wherever they have access to a computer and Internet. Self-paced learning modules allow learners to work at their own pace. To develop the skills and competencies needed in the 21st century, in particular to ensure that learners have the digital literacy skills required in their discipline, profession or career. Flexibility to join discussions in the bulletin board threaded discussion areas at any hour, or visit with classmates and instructors remotely in chat rooms. Different learning styles are addressed and facilitation of learning occurs through varied activities. Development of computer and Internet skills that are transferable to other facets of learner's lives. Successfully completing online or computer-based courses builds self-knowledge and self-confidence and encourages students to take responsibility for their learning

Disadvantages

While being able to work at your own pace can be an advantage, it can also be a disadvantage. This is especially true for business education students who have difficulty with time management and procrastination. These students tend to be more successful with the structure of traditional learning. Another disadvantage to e-Learning is the technology involved. Some people do not have ready access to a computer and Internet connection. And some who do have the required equipment feel ill-equipped to use it. Lack of interaction between teacher and student is another drawback to e-Learning. Some students need the immediate feedback that interaction provides. Unmotivated learners or those with poor study habits in business education may fall behind. Lack of familiar structure and routine may take getting used to. Slow or unreliable Internet connections can be frustrating. Managing learning software can involve a learning curve.
Some courses such as traditional hands-on courses can be difficult to simulate

Warning

Knowing e-Learning advantages and disadvantages helps with learning software selection as well as online distance learning programs structure and selection. It is important to know the merits and demerits of e-Learning to make a decision.

E-Learning greatly increases the availability of educational opportunities. Unfortunately, it also increases the number of scams related to online education. Persons considering e-Learning possibilities should be alert to such scams and thoroughly investigate any program before making a commitment.

Research Results

Here are the results of research on advantages and disadvantages made in the following universities: Walden University, Capella University, University of Phoenix, Ashford University, Jones International University, Nova Southeastern University, Strayer University

Let us compare the e-Learning advantages and disadvantages:

E-Learning Advantages

- Accommodate multiple learning styles. Through the use of media, text and even live technology mediated interactions.
- Offer individualized instruction through assessment and remediation addressing the learner's ½ needs.
- Provide self-paced instruction for learners wanting to move ahead or learners that wanting extra practice.
- Offer on-demand access to learning when needed. The learner determines when he/she wants to learn.
- Allow collaborative learning so learners do not feel isolated and maximize learning.
- Engages users with stimulating content and interactivity that teaches and reinforces.
- Increase retention by using reinforces more consistently than other approaches.
- Increase consistency when the learning is captured and delivered by technology.
- Reduce learning time according to recent research.
- Track learners and provide proof of their work and skill development.

E-Learning Disadvantages

- Unmotivated learners or those with poor study habits may fall behind
- Without the routine structures of a traditional class, students may get lost or confused about course activities and deadlines
- Students may feel isolated or miss social interaction
- Instructor may not always be available on demand
- Slow or unreliable Internet connections can be frustrating
- Managing learning software can sometimes seem complex for students with beginner-level computer skills
- Some courses such as traditional hands-on courses can be difficult to simulate in a virtual classroom

Conclusion

Knowing e-Learning advantages and disadvantages helps with learning software selection as well as online distance learning programs structure and selection. It is important to know the merits and demerits of e-Learning to make a decision.

What are the characteristics of successful e-Learners? What does it take to succeed in an online distance learning program or online degree program? Knowing something about learning styles can help to determine if online learning, e-Learning, or distance education is acceptable because the mode of interaction and system of instructional delivery is quite different from what many students are used in face-to-face (f2f) classes. Knowing the traits of successful e-learners helps to determine the best study habits and help in the decision-making process. Actually, knowing this information will also help in traditional campus classes as well. Many people fall under the categories of visual, auditory, and tactile/kinesthetic learning styles. This means:

Reading **(visual)**
Listening **(auditory)**
Seeing **(visual)**
Speaking **(auditory)**
Doing **(tactile/kinesthetic)**

The first three on the list are passive types of learning, while the last two are active types of learning. Most people remember that which they do (active) while passive learning means that you may have to repeat the instructions or steps that are required. How does this relate to learning online? Well, in online classes there is little or no physical and social interaction so one needs to interact with the instructional content actively e.g. viewing audio, reading notes, and listening to audio (podcasts) and at the same time be active through online communication through discussion boards, chats, email, etc.

Motivation is a huge determinant of online learning success. Being motivated means that you need to be interested in the courses and program, keep in touch with the instructor, classmates, readings etc. There is **ARCS Model of motivation**. ARCS, a concept coined by *John Keller* stands for **Attention, Relevance, Confidence,** and **Satisfaction**.

Attention: Establishing and maintaining curiosity and learner arousal
Relevance: Linking the learning situation to the needs and motives of the learner
Confidence: Learner attributing positive learning experiences to their individual behavior
Satisfaction: Developing the desire to continue the pursuit of similar goals.

Goal setting and personal rewards i.e. both intrinsic and extrinsic motivation will keep you going. Successful e-learners have adequate planning goals and setting milestones is certainly helpful.

REFERENCES

1. Tavangarian D., Leypold M., Nölting K., Röser M.,(2004). Is e-Learning the Solution for Individual Learning? Journal of e-Learning, 2004.
2. Kerkman, L. (2004). Convenience of Online Education Attracts Midcareer Students. Chronicle of Philanthropy, 16(6), 11–12. Retrieved from Academic Search Premier database.
Nagy, A. (2005).
3. The Impact of E-Learning, in: Bruck, P.A.; Buchholz, A.; Karssen, Z.; Zerfass,
A. (Eds). E-Content: Technologies and Perspectives for the European Market. Berlin: Springer-Verlag, pp. 79–96
4. Allen, I. E. and Seaman, J. (2008) Staying the Course: Online Education in the United States, 2008 Needham MA: Sloan Consortium

5. Allen, I.E. and Seaman, J. (2003) Sizing the Opportunity: The Quality and Extent of Online Education in the United States, 2002 and 2003 Wellesley, MA: The Sloan Consortium

RESUME

The abstract deals with the definition and description of e-Learning, its advantages and disadvantages.

Knowing something about learning styles can help to determine if online learning, e-Learning, or distance education is acceptable because the mode of interaction and system of instructional delivery is quite different from what many students are used in face-to-face (f2f) classes. Knowing the traits of successful e-learners helps to determine the best study habits and help in the decision-making process. Actually, knowing this information will also help in traditional campus classes as well.

ელექტრონული სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები

ლევან წიქარიძე, მოწვეული სპეციალისტი
მარიამ ზარხოზაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ელექტრონული სწავლების დეფინიცია და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სწავლების ტიპების ცოდნა სტუდენტს ეხმარება განსაზღვროს რამდენად მისაღებია მისთვის ელექტრონული ან დისტანციური სწავლება, რადგან ამ ტიპის სწავლებისას ურთიერთობის მეთოდები, საშუალებები და ხერხები საკმაოდ განსხვავებულია პირისპირ განხორციელებული სწავლებისაგან. სწავლების ტიპების შესახებ თვისებრივი ინფორმაციის ფლობა სტუდენტს ეხმარება განსაზღვროს ამა თუ იმ ტიპის სწავლების მახასიათებლები, რაც მათ გადაწყვეტილების მიღებისას დაეხმარებათ. ფაქტობრივად, ამ ინფორმაციის ფლობა აგრეთვე ემსახურება საუნივერსიტეტო ტრადიციების შეცნობასაც.

ინფორმაციის ვიზუალიზაციის დანერგვა სასწავლო პროგრამებში

ნელი ჯამბურიძე, სრული პროფესორი

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა მიზნად ისახავს მაღალაკადემიური, მაღალრეიტინგული და პოპულარული უნივერსიტეტის შექმნას. ამიტომაც საუნივერსიტეტო განათლების წინაშე მრავალი საჭირბოროტო ამოცანა დგას. გამოვყოფდით დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაციას, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. პიროვნების ინტერესებისა და შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნათა დაკმაყოფილება, პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედება, უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

თანამედროვე ახალგაზრდობა სწრაფი ცვილილებებისა და ახალ-ახალი გამოწვევების ეპოქაში ცხოვრობს. ეკონომიკის გლობალიზაცია, მძლავრი საინფორმაციო ტექნოლოგიები, მკვეთრი ცვილებები დასაქმების ბაზარზე და სხვა მრავალი ეპოქალური ტენდენცია პირდაპირ აისახება დღევანდელი უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობაზე, გარკვეული მიმართულებით უბიძგებს მას. უმაღლესი საწავლებლის კურსდამთავრებული აღჭურვილი უნდა იყოს როგორც შესაფერისი განათლებით, აგრეთვე მოქნილი აზროვნებით, უნდა შეეძლოს კომპლექსური იდეების გაგება და წვდომა. ამისათვის თანამედროვე სასწავლებელი უნდა ცდილობდეს ეროვნული და სასწავლო პროგრამები ააგოს შემდეგი პრინციპებით:

- კრიტიკული აზროვნება, საკითხების მრავალმხრივ დამუშავება;
- სასწავლო მიზნების დამოუკიდებელი დასახვა;
- შემოქმედებითი მიდგომა;
- აქტიური თანამშრომლობა;
- ურთიერთაღიარება და პატივისცემა.

სწორედ აღნიშნული პრინციპების დანერგვას ემსახურება თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება ლექციებზე. ამისათვის საჭიროა სწორად შეირჩეს მიდგომა, სტრატეგია და მეთოდები. დიდი ქართველი განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე სამართლიანად შენიშნავს: ,,სკოლა, სასწავლებელი ორპირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლია და დიდი სიკეთისაც – ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა“ [1,48]. მართლაც და არაფერია უფრო საშიში, ვიდრე ჩამორჩე თანამედროვე მსოფლიო პროცესებს. თავის სტატიაში: „თავისუფლება, პასუხისმგებლობა და დემოკრატიული სკოლა“ ამერიკელი სპეციალისტი ქერთის მერედითი აღნიშნავს: „პედაგოგები მუდამ ვფიქრობთ, რომ ჩვენი აღზრდილნი მომავლის გამოცდებს მომზადებულნი შეხვდნენ. გვსურს არა მხოლოდ „გადარჩნენ“, არამედ წარმატებულნი იყვნენ. გზა ბედნიერი და ნაყოფიერი ცხოვრებით გალიონ. დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაბამისი უნარ-ჩვევები და ცოდნა დასჭირდებათ. მათ საკუთარ თავზე უნდა აიღონ საქმე, ამოცანების გადაწყვეტას მრავალმხრივ და შემოქმედებითად მიუდგნენ“ [2-7].

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში მშობლიური ლიტერატურის, როგორც ეროვნული ცნობიერების ძირითადი წყაროს მნიშვნელობა, შესწავლა და შენარჩუნება კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს. გლობალიზაცია საყოველთაო მოვლენაა, რომლის წარმოშობასაც ხელი შეუწყო მრავალნაციონალური კორპორაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მასმედიის განვითარებამ. ბევრს მიაჩნია, რომ ამის შემდეგ მსოფლიო დაპატარავდა, ამის საპირისპიროდ შესაძლოა გაუმჯობესდა კიდეც. დე ლილოს რომანის - „ხიდის“ ერთ-ერთი გმირი, აღნიშნავს: „რა უზარმაზარია ეს ქვეყანა, გვარწმუნებენ, რომ სულ უფრო პატარა ხდება. მაგრამ ეს ასე არაა. თანამედროვე ტექნოლოგიები კი არ აპატარავებენ მსოფლიოს, არამედ სულ უფრო დიდს ხდიან. მას ზრდიან სწრაფი თვითმფრინავები, რომლებიც მეტ საშუალებებს გვთავაზობენ და უფრო მეტად გვაკავშირებენ ერთმანეთთან.“ [2-10]. კულტურათა ურთიერთგამდიდრება და ურთიერთშერწყმა ეროვნული სახის დაუკარგავად, მათი ინოვაცია და სხვა კულტურული ელემენტებით შევსება მრავალფეროვნად და საინტერესოდ წარმოგვიდგენს სამყაროს. ეროვნული მწერლობა, როგორც ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების ფორმა, დღეს კიდევ უფრო ღრმად შესწავლასა და შემეცნებას მოითხოვს. საუნივერსიტეტო განათლების საკრედიტო სისტემაზე გადასვლა, სასწავლო კურსების ახალი მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმვა, შესაბამისი მრავალკომპონენტიანი სისტემის არსებობის პირობებში სწავლება სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების ჩართვის აუცილებლობას იწვევს. ლიტერატურის ისტორიის სწავლებისას სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის მოწოდებისას კომპაქტდისკებზე არსებული მწერალთა ხელნაწერები, ტესტები, გამოხმაურებები, პუბლიკაციები, წერილები, თანამედროვე კვლევის შედეგები, ბიბლიოგრაფია, ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალები თემატიკურად მიეწოდება აუდიტორიას, როგორც თვალსაჩინოება. სწავლების მეთოდი წარმოადგენს სტუდენტებთან პედაგოგის მუშაობის ხერხს, რომელიც საშუალებას აძლევს მას, მოცემული დისწიპლინა მაქსიმალურად ეფექტურად გადასცეს სტუდენტებს. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით სასწავლო დიციპლინა ხდება უფრო ლოგიკური, საინტერესო და ადვილად ასათვისებელი. სწავლების აქტიურ და პროგრესულ მეთოდებს წარმოდგენენ ისეთი მეთოდები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტს, შედარებით მცირე ვადაში და შედარებით ადვილად დაეუფლოს ასათვისებელ ცოდნას.

ამჯერად, შევჩერდებით იმ მეთოდებსა და საშუალებებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს მხატვრული ლიტერატურის შესწავლასა და პოპულარიზაციას. ამდენად, უმაღლეს სასწავლებლებში საგნის სწავლებისათვის აუცილებელია განისაზღვროს პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მასალის

სრულყოფილად ათვისებას და დისციპლინისათვის ადეკატურად მიიტანს აუდიტორიამდე. სწავლების პერიოდში გათვალისწინებულია ისიც, რომ ლექტორს მოუწევს საჩვენებელი მასალის დემონსტრირება; ლექტორი მუდმივად უნდა იყოს სტუდენტებთან კონტაქტში შეკითხვების დასმით, დიალოგის საშუალებით, რაც მთავარია, ის უნდა ახდენდეს იმის სტიმულირებას, რომ მსმენელს ჩამოუყალიბდეს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მიმართ და წარმოდგენა შეექმნას იმ კრიტერიუმებზე, რომლის საშუალებითაც სტუდენტი აფასებს სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებულ კლასიკოს მწერალთა შემოქმედების ღირსებებსა და მნიშვნელობას თანამედროვეობისათვის.

• სასწავლო მოქმედება სტუდენტს ელექტრონული ვერსიის მეთოდით იმის განსასჯელად აღჭურავს, თუ რა გაიგეს და როგორ შეესაბამება ეს გამოცდილება კურსის თემატიკას. ელექტრონული ვერსია ხელს შეუწყობს სტუდენტს გაიღრმაოს ცოდნა და ამით უფრო მეტად დაეუფლოს დამოუკიდებელი კვლევა-ძიების ხერხებს, ასევე, ხელს შეუწყობს სტუდენტების თვითდამკვიდრებას, სულიერ ზრდასა და ზნეობრივ განვითარებას. სტუდენტი სხვადასხვა მოსაზრებების არსებობის კანონიერებას გრძნობს და ასევე შემოწმების ინტერპრეტირების უნარს ავლენს.

• ელექტრონული ვერსიის გამოყენება სწავლებისას დაეხმარება სტუდენტებს საკუთარი გამოკვლევების ჩასატარებლად, რაც პროფესიული ფიქრის შესაძლებლობას მისცემს. მიღებული ინფორმაციის გამოყენებას შემდგომი განსჯისა და კრიტიკული ანალიზისათვის, გააღრმავებს მათ ცნობისმოყვარეობას, რაც შეიძლება სამეცნიერო ძიების საფუძველი გახდეს. ინფორმაციის ვიზუალიზაციის ხერხის გამოყენებით გაზრდის სტუდენტთა შემეცნების აქტივობას.

• აღნიშნული მეთოდი გააღრმავებს და გააფართოებს ეროვნული ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელობას და გვიჩვენებს თანამედროვე კვლევის დონეს. ელექტრონული ვერსია საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო ღრმად გავიაზროთ, გავითავისოთ და შევიმეცნოთ კლასიკოს მწერალთა შემოქმედებითი თვალსაწიერი.

• მეთოდი საშულებას გვაძლევს შეიქმნას პოზიტური გარემო, რომლშიც იგულისხმება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება სწავლებისათვის მიზანმიმართული და შესაფერისი გარემოს შესაქმნელად. ამასთან ერთად ტექნიკური საშუალებების შემოქმედებითად გამოყენების გზით დროის მაქსიმალურად გამოყენება.

სასწავლო მასალის ელექტრონული ვერსია ითვალისწინებს კვლევის ახალ ტექნოლოგიებს, მიზნად ისახავს, ვერბალური და ვიზუალურ-აუდიო მასალის მოწოდებით ხელი შეუწყოს ერის სულიერი კულტურის კვლევასა და პოპულარიზაციას. საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროგრამებში, ამავე დროს ითვალისწინებს ვიზუალური და ვერბალური კომუნიკაციის ერთობლიობას, უბრალოდ ორივე უნდა სრულვყოთ. საშუალო საუკუნეებში ვიზუალური კომუნიკაცია ხალხისათვის წერილობითზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. „შარტრის ტაძარი, თავისი კულტურული მნიშვნელობით სულაც არ ჩამოუვარდება სამყაროს წერილობით ხატ-სურათებს. ტაძარი თავისი დროის ტელევიზორი იყო. განსხვავება ისაა, რომ საშუალო საუკუნეების ტელეპროგრამების მთავარ რედაქტორს კარგი წიგნები უყვარდა, მდიდარი ფანტაზია ჰქონდა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის ირჯებოდა.“ [3-60]

სასწავლო პროგრამებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) დანერგვის ამოცანებია:

· ინოვაციური სასწავლო მეთოდების დანერგვა, რომელიც საგანმანათლებლო ტექნოლოგიებსა და პრობლემაზე დაფუძნებული სასწავლო მიდგომების გამოყენებას მოიცავს;

· არსებული ციფრული რესურსების და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება, ასევე მონაწილეობა მათ შექმნაში;

· ტექნოლოგიების გამოყენებით ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სწავლება-სწავლისთვის გარემოს შექმნა;

· პროფესიულ სასწავლო საზოგადოებებში მონაწილეობა, პრაქტიკოსებთან და ექსპერტებთან გამოცდილებისა და საუკეთესო მაგალითების გაზიარების მიზნით, მათ შორის ელექტრონული საზოგადოებების საშუალებით;

· ტექნოლოგიებით გამდიდრებული შეფასებების გამოყენება, რომელიც მოსწავლეებში თანამედროვე მოთხოვნების უნარ-ჩვევების გაზომვის საშუალებას მოგვცემს.

ამდენად, სასწავლო პროგრამებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა გააღრმავებს შემოქმედებითსა და კვლევის უნარებს, ინფორმაციის დამუშავების სასწავლო-პრაქტიკულ და

სოციალურ უნარებს, რაც ხელს შეუწყობს მასალის ათვისებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს თანხვედრი გავხადოთ დასახული სასწავლო მიზანი და ათვისებული ცოდნა.

PS. ლიტერატურის სწავლებისათვის საყურადღებოა ის ციფრული რესურსები, რომლებიც ქართული სკოლების ძალისხმევით შეიქმნა და ინტერნეტში განთავსდა. ამჟამად ციფრული რესურსების თავმოყრა ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებულია საგნებისა და კლასების მიხედვით მოძიებადი ელექტრონული რესურსები სხვადასხვა საგნებში და ელექტრონული ბიბლიოთეკა. ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია უფასო ელექტრონული რესურსები ღია საგანმანათლებლო რესურსების ვებ-გვერდიდან.

ლიტერატურა:

1. თავზიშვილი ა., სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბ., 1948;
2. სკოლების განახლება საქართველოში, (გზამკვლევი სკოლის განვითარებისათვის) თბ., 2005;
3. ქართული საზოგადოება და ევროპული ღირებულებები, ჟურ. (სერია ევროპული ძიებანი) თბ. 2007;
4. www.tpdc.ge

რეზიუმე

უმაღლეს სასწავლებლებში მხატვრული ლიტერატურის სწავლებისათვის აუცილებელია განისაზღვროს პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მასალის სრულყოფილად და დისციპლინისათვის ადეკატურად მიტანას აუდიტორიამდე. სასწავლო მოქმედება სტუდენტს ელექტრონული ვერსიის მეთოდით იმის განსასჯელად აღჭურავს, თუ რა გაიგეს და როგორ შეესაბამება ეს გამოცდილება კურსის თემატიკას. ელექტრონული ვერსია ხელს შეუწყობს სტუდენტს გაიღრმაოს ცოდნა და ამით უფრო მეტად დაეუფლოს დამოუკიდებელი კვლევა-ძიების ხერხებს, ასევე, ხელს შეუწყობს სტუდენტების თვითდამკვიდრებას, სულიერ ზრდასა და ზნეობრივ განვითარებას. სტუდენტი სხვადასხვა მოსაზრებების არსებობის კანონიერებას გრძნობს და ასევე შემოწმების ინტერპრეტირების უნარს ავლენს. ლიტერატურის ისტორიის სასწავლო პროგრამებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა გააღრმავებს შემოქმედებითსა და კვლევის უნარებს, ინფორმაციის დამუშავების სასწავლო-პრაქტიკულ და სოციალურ უნარებს, რაც ხელს შეუწყობს მასალის ათვისებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს თანხვედრი გავხადოთ დასახული სასწავლო მიზანი და ათვისებული ცოდნა.

INTRODUCTION OF INFORMATION VISUALIZATION IN THE CURRICULUM

Nelly Champuridze, Full Professor

SUMMARY

It is necessary to determine the conditions for teaching literature in high educational institutions which will help improvement of the material and its adequate access to the audience. Learning activity with method of electronic version will equip students to judge what they have understood and how this experience corresponds to the course topic. Electronic version will help students to deepen their knowledge and acquire in a better way independent search methods as well as it will promote student's self-establishment, spiritual growth and moral development. Students feel the legality of existence of different opinions and reveal the skill for interpretation as well. Introduction of modern technologies in the curriculum of history of literature will deepen creative and research abilities and social and learning-practical skills of information processing which will help to master the material. It will enable us to converge the set learning goal and acquired knowledge.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
Exact and Natural Sciences

ბუნებრივი სამყაროს წესრიგზე გავლენას ახდენს ადამიანთა საქმიანობა

მაია აზმაიფარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ყველა ცოცხალი ორგანიზმი ბუნებრივ სამყაროზეა დამოკიდებული და მისგან იღებს „სასიცოცხლო ენერგიას“. თავის მხრივ, თითოეული მათგანი აქტიურად ზემოქმედებს გარემოზე. მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ზრდა და მასთან ერთად ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური სისტემების გლობალიზაცია დღეს ბუნებრივ სამყაროში ცვლილების უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს.

სიცოცხლისათვის ვარგის გარემოს საარსებო გარემო ეწოდება. გარემო შეიძლება იყოს ფიზიკური (ეკოტიპი) ან ორგანიზმების მიერ ჩამოყალიბებული - ბიოტური. გარემოს შემადგენელ ელემენტს, რომელიც ამა თუ იმ გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმზე, ეკოლოგიურ ფაქტორს უწოდებენ. ამჟამად კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპი ეკოლოგიური კრიზისის პირას იმყოფება. საარსებო გარემო იმდენადაა შეცვლილი, რომ შემდგომი ზემოქმედების შედეგად იგი ადამიანის საზოგადოებისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდება. ბუნებრივი სამყაროს ფიზიკური მახასიათებლების შეცვლის ყველაზე მეტ პოტენციალს ცოცხალ არსებათა შორის ფლობს ადამიანი-homo sapiens.

ტერმინი „ეკოლოგია“ ზოგჯერ ცნების „გარემოს დაცვა“ აღსანიშნავადაც გამოიყენება, თუმცა ბოლო წლებში ამ ორი ტერმინის გამიჯვნის ტენდენცია შეიმჩნევა, სადაც „ეკოლოგია“ აღნიშნავს ბიოლოგიის დარგს, ხოლო „გარემოს დაცვა“ - ადამიანის საქმიანობის შედეგად მისი გარემოს დეგრადაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ადამიანთა საქმიანობა ცვლის ბუნებრივ პროცესებს, რომლებიც დედამიწაზე სიცოცხლეს ინარჩუნებენ. XXI საუკუნის საწყისს სამყარო შეცვლილია. ცვლილებები საკმაოდ დიდი სისწრაფით დღესაც მიმდინარეობს. ბუნების განადგურება ინტენსიური გახდა ბოლო 100-200 წლის მანძილზე. ბიოსფეროს მკვეთრი ცვლილება სამმა მოვლენამ გამოიწვია: 1. მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ და ურბანიზაციამ; 2. სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ; 3. ბუნებრივი რესურსების გაძლიერებულმა გამოყენებამ.

ადამიანის განვითარების მთელი ისტორია შეიძლება დაიყოს სამ ტექნოლოგიურ ეპოქად. საზოგადოების ტექნოლოგიური კულტურა დაიწყო საკვების შეგროვებით და ნადირობით, რაც გადაიზარდა აგრარულ მეურნეობაში. მესამე ეპოქა XVIII საუკუნეში ევროპაში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციაა, რომელიც გაბატონებულია ჩვენს პლანეტაზე. „ადამიანის ეკოლოგია“ მოიცავს ისეთ გამოუკვეთავ საკითხებს, რომლებიც ეხება ადამიანის დამოკიდებულებას გარემოსთან. დღეს სავსებით გამოიკვეთა დედამიწაზე მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა და მოვლენისადმი ეკოლოგიური მიდგომის აუცილებლობა.

მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის მიზეზად ძირითადად გარემოს ძლიერი დაბინძურება განიხილება. გარემოს დაბინძურების ძირითადი ფორმებია: ჰაერის დაბინძურება, წყლის დაბინძურება, ნიადაგის დაბინძურება, (ჰიდროკარბონატებით, მძიმე მეტალებით, ჰერბიციდებით, პესტიციდებით, და სხვა.) რადიაციული დაბინძურება, ხმაურით დაბინძურება, თერმული დაბინძურება და სხვა.

გარემოს დაბინძურება განპირობებულია ადამიანის ორგანიზმში და მის გარემოში - ჰაერში, წყალში, ცხოველურ და მცენარეულ სამყაროში ტოქსიკურ ნივთიერებათა დასაშვებ ნორმაზე მეტი მომატებით.

ატმოსფერო, როგორც ფიზიკური სხეული, პრაქტიკულად გამოულეველი ბუნებრივი რესურსია, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში, ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად, მასში საკმაოდ მძიმე, გლობალურ-ეკოლოგიური პრობლემები ჩნდება. ცხადია, ამ პრობლემების თავიდან აცილება, თვით ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებში შედის და მისი აღკვეთა თვით ადამიანის ხელშია. ატმოსფეროში გაშვებულ გაჭუჭყიანებულ ნივთიერებათა 60-80% ავტომობილზე მოდის. დიდ ქალაქებში ადამიანები „ყლაპავენ“ 100-ათასჯერ მეტ ტყვიას, ვიდრე მათი წინაპარი მიმდინარე საუკუნის დასაწყისში.

ტექნოლოგიური პროცესები და მათი არასასურველი გვერდითი პროდუქტები ახდენენ ბუნებრივი ნივთიერებების ისეთ ხელახალ გადანაწილებას, რომელსაც შეუძლია დედამიწის ფიზიკურ მდგომარეობაში დრამატული ცვლილებების შეტანა. მაგალითად დიდი რაოდენობით ნახშირბადის ხელახალმა გავრცელებამ გამოიწვია დედამიწის საშუალო ტემპერატურის საკმაო ზრდა. ნახშირბადი დედამიწაზე სხვადასხვა სახით არსებობს, მაგრამ მისი საერთო რაოდენობა ასე თუ ისე მუდმივია. ნახშირორჟანგი ნახშირის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფორმაა, რადგან ფოტოსინთეზის საშუალებით ნახშირბადის ატომები ნახშირორჟანგიდან სინთეზირდება ორგანულ ნაერთებად, რომლებიდანაც რეპროდუქციის პროცესში ენერგია წარმოიშობა. ნახშირორჟანგი, ისევე როგორც ატმოსფეროს სხვა აირები, მნიშვნელოვან როლს თამასობს დედამიწის გარემოს შესასწავლად ტემპერატურათა შედარებით ვიწრო დიაპაზონსი, ეს ბუნებრივი სამყაროს თვისებაა, რომელსაც ცვლის ადამიანთა აქტიურობა.

ნაშრომში განხილულია შიდა ქართლში ეკოლოგიური უსაფრთხოების დარღვევის შედეგად გამოწვეული უარყოფითი მოვლენების მნიშვნელობა და ეკოლოგიური თვალსაზრისით მდგომარეობის გაუმჯობესების გზების ძიება.

შიდა ქართლში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მავნე ნივთიერებებით ძირითადად ხდება ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სპექტრიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით (ემისია). რეგიონში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მიზეზებია: 1) მოქმედ საწარმოებში თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე და ახალი დანადგარების არქონა, 2) ახალი დამაბინძურებელი ობიექტების ამოქმედება და გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდა, 3) ენერგომატარებლების გამოყენების მატება, 4) ურბანიზებული გარემოს ძირითადი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი (მოძველებული საავტომობილო პარკი და საწვავის დაბალი ხარისხი) და ენერგოსექტორი.

რეგიონში ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის საერთო გაფრქვევების მნიშვნელოვან წილს შეადგენს ნახშირჟანგი (CO), ნახშირწყალბადები (CH), მყარი ნაწილაკები (არაორგანულიმტვერი), აზოტის დიოქსიდი (NO2), ამიაკი (NH3). ენერგეტიკის სექტორიდან საერთო გაფრქვევაში პირველ ადგილზეა ნახშირწყალბადები, ნახშირჟანგი და მყარი ნაწილაკები (მტვერი). ამ სექტორიდან ატმოსფერულ გაფრქვევათა (ემისია) რაოდენობრივი ცვლილებების ხასიათი განპირობებულია მოხმარებული ენერგორესურსების რაოდენობრივი ცვლილებებით. ბოლო ორი წლის განმავლობაში ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდამ განაპირობა ატმოსფერულ გაფრქვევათა ზრდა.

სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერი ძირითადად მესაქონლეობისა და მეფრინველეობის დარგების მიერ ბინძურდება. ძირითად დამაბინძურებელ ნივთიერებებს შეადგენს ამიაკი, გოგორდწყალბადი, მტვერი. მრეწველობის სექტორიდან ყველაზე დიდი რაოდენობით გაიფრქვევა მყარი ნაწილაკები და აქროლადი ორგანული ნივთიერებანი.

გარემოს ტყვიით დაბინძურების ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად რჩება ავტომანქანების გამონაბოლქვი. ამის მიზეზია ეთილირებული ბენზინის მოხმარება, რომელიც ტყვიის ნაერთს - ტეტრაეთილტყვიას შეიცავს. ასეთი ბენზინის გამოყენების შედეგად ჰაერი ძლიერ ბინძურდება ტყვიის ნაერთებით, აქედან ისინი ხვდება ნიადაგსა და მცენარეებში, შემდეგ კი ადამიანის ორგანიზმში. ამჯამად მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ასეთი სახის ბენზინით სარგებლობის აღკვეთას.

ატმოსფერულ გაფრქვევათა მახასიათებლების ეკოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესება მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკის ოთხივე სექტორში გამოყენებული ტექნოლოგიების და ტექნიკის შეცვლას სათანადო ტექნოლოგიებით, საწარმოთა აღჭურვას მტვერდაჭერისა და აირგაწმენდის ეფექტური საშუალებებით.

გარემოს დამაბინძურებელ არაორგანულ ნაერთებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მძიმე მეტალებს. მძიმე მეტალებს მიეკუთვნებიან დ. მენდელეევის პერიოდული სისტემის ის მეტალები, რომელთა ატომური მასა 50 მ.ა.ე. - ზე მეტია. მათ რიცხვს განეკუთვნებიან მეტალები - V, Cr, Mn, Fe, Co, Ni, Cu, Zn, Mo, Cd, Sn, Hg, Pb, Bi და სხვა. აღნიშნული მეტალებიდან განსაკუთრებით ტოქსიკურნი არიან ტყვია (Pb), კადმიუმი (Cd) და ვერცხლისწყალი (Hg).

მრეწველობის განვითარება, ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობის ამაღლება, მინერალური სასუქების და სხვადასხვა ქიმიური პრეპარატების გამოყენება სამიწათმოქმედო ზონაში მნიშვნელოვნად ზრდის გარემოს დაბინძურებას, მათ შორის ნიადაგებისას.

შიდა ქართლის ნიადაგებში მძიმე მეტალებით გამოწვეული დამაბინძურებელი რაოდენობის დასაშვები ნორმები აღებულია ჰოლანდიური და მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებით. (მონაცემები მოცემულია ცხრ.1). ლაბორატორიულმა შესწავლამ აჩვენა, რომ შიდა ქართლის ყავისფერი,

ყავისფერ-კარბონატული, ალუვიურ-კარბონატულ ნიადაგებში, მძიმე მეტალების შემცველობა ძირითადად აკმაყოფილებს ნიადაგებისათვის სტანდარტების მოთხოვნებს. გამონაკლისის სახით შეიძლება აღინიშნოს ელემენტების: თუთიას, სპილენძის, პლატინისა და კადმიუმის შემცველობის რამდენადმე ზრდა. ამ დაბინძურების მიზეზი ავტომაგისტრალის სიახლოვეში არსებულ ფართობზე ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის ინტენსივობასთან და კვების მინერალური ელემენტების სხვადასხვა დოზების გამოყენებასთან არის კავშირში. (ნ. გოგინაშვილის, დ. ღოლიჯაშვილი - „მძიმე ლითონების მიგრაცია სისტემაში: ნიადაგი-კვების მინერალური ელემენტები - მცენარე შიდა ქართლის პირობებში“, 2010 წ. გვ. 252-254; ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - გარემოს დაცვის სამინისტრო). უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ნიადაგებში მძიმე მეტალების შემცველობა ძირითადად აკმაყოფილებს ნიადაგებისათვის მიღებული ჰოლანდიური და მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნებს.

ცხრ.1 მძიმე მეტალების შემცველობის ფონური მონაცემები ნიადაგებში, მგ/კგ

ელემენტის ქიმიური სიმბოლო	მეტალის დასახელება	ნიადაგში მძიმე მეტალის ფონური შემცველობა (ნიდერლანდების ნორმები 1985) მგ/კგ-ში	ნიადაგში მძიმე მეტალის ფონური შემცველობა (მსოფლიოს ნორმები 2000) მგ/კგ	შიდა ქართლის ნიადაგებში მძიმე მეტალის ფონური შემცველობა მგ/კგ-ში
Cu	სპილენძი	36	2-50	20-38,2
Zn	თუთია	140	10-300	30-131,3
Pb	ტყვია	85	0,1-20	15-30,8
Ni	ნიკელი	35	1-100	44,5-48,4
Co	კობალტი	20	1-50	22,0-22,5
Cd	კადმიუმი	0,8	0,01-1,0	0,070-0,1
As	დარიშხანი	29	1-50	0,08-0,26

გარემოს ქიმიურ დამაბინძურებლებს შორის მნიშვნელოვანი წილი მოდის ისეთ ორგანულ ნაერთებზე, რომლებიც ძლიერი უარყოფითი ზემოქმედებით ხასიათდებიან. ეკოლოგიური თვალსაზრისით ორგანული ნივთიერებებიდან ყველაზე მეტად ტოქსიკურ ნაერთებს დიოქსინები წარმოადგენენ. ბუნებაში დიოქსინების წარმოქმნის გზებს შორის აღსანისნავია ქიმიური პროცესები: საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენების წვა და ქლორშემცველი ორგანული ნაერთების გარდაქმნა. დიოქსინების წარმოქმნა შესაძლებელია ქლორშემცველი ორგანული პესტიციდების გარემოში გარდაქმნის შედეგად. ქლორორგანული პესტიციდები ფიზიკური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური ფაქტორების მოქმედებით ძალიან ნელა იშლებიან, აქვთ თვისება დაგროვდნენ ნიადაგში, მცენარეში და ა.შ.

შიდა ქართლში დაფიქსირებულია ვადაგასული შხამქიმიკატებით მიწის დაბინძურების შემდეგი ფაქტები: გორის რ-ნი სოფ. ტყვიავი 4-5 მეასედი; მეჯვრისხევი 2- 4 მეასედი; კასპის რ-ნი ქვემოჭალა 2-3 მეასედი; ქარელი 10-12 მეასედი; ხაშურის რ-ნი დაბა სურამი - 20 კვ. მ. სოფ. ვაყა - 30კვ. მ.; სოფ. ხცისი -20 კვ.მ; სოფ. ალი 140კვ.მ.

რეგიონის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეებიდან აღსანიშნავია: მდ. მტკვარი, ლიახვი, ლეხურა, კავთურა, ფრონე, ტორტლა, ტანა, სურამულა. აღნიშნული მდინარეები მტკნარი წყლით ამარაგებენ როგორც რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო საწარმოებს, ასევე ირიგაციულ

სისტემებს. მიუხედავად იმისა რომ რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების ნაწილი ნახმარ წყალს კვლავ მდინარეში უშვებს, ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი პროცენტი (65-67%) მოდის კომუნალურ სექტორზე.

ამის მიზეზია გაუმართავი საკანალიზაციო ქსელი და საკანალიზაციო ქსელზე მიერთების გარეშე წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვება. ძირითად დამაბინძურებელ ობიექტად ითვლება გამწმენდი ნაგებობები. რეგიონში არსებულ არც ერთ გამწმენდ ნაგებობას არ შეუძლია უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა საპროექტო ხარისხის შესაბამისად. წყლის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა არ ფუნქციონირებს არც ერთ ქალაქში. მცირე მდინარეთა ძირითადი დმაბინძურებელი არის ადგილორივი მოსახლეობა. რეგიონში არსებულ მცირე მდინარეთა მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა მდინარეთა ხეობებს იყენებს ნაგავსაყრელად.

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარეების ადიდების შედეგად ზიანდება როგორც მდინარეთა ნაპირები, ასევე იტბორება მიმდებარე ტერიტორიები. განსაკუთრებით დიდია ნიადაგზე წყლისმიერი ეროზიის შედეგად მიყენებული ზიანი. ეროზიის შედეგად საფრთხე ემუქრება როგორც ნაპირებთან ახლოს დასახლებულ მოსახლეობას, ასევე ტრანსპორტს, კომუნიკაციებს და სასიცოცხლო ობიექტებს. ერთ-ერთ ასეთ დაზარალებულ კერას წარმოადგწენს ე. წ. „ძველი ხიდის“ მიმდებარე ტერიტორია, სადაც წყლისმიერი ეროზიის შედეგად ჩაინგრა მდ. მტკვრის ნაპირი. ხაშურის ტერიტორიაზე არსებული მდინარეებიდან სავალალო მდგომარეობაა მდ. სურამულას რიგ უბნებზე. ხასურის რაიონში დაიმეწყრა 12 000 კვ.მ. ტერიტორია. ამჟამადაც შეინიშნება მეწყერული პროცესების გააქტიურება.

ეროზირებული მიწის ფართობები დაფიქსირებულია ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში.

ტყის ფონდის ის ნაწილი, რომელსაც შეადგენს ქარსაფარი ზოლები და ჭალის ტყეები, მდგომარეობა არასახარბიელოა, ქარსაფარი ზოლებისა და წალის ტყეების ფართობი შემცირდა წლების განმავლობაში, მოსახლეობის მიერ მოჭრისა და სტიქიური მოვლენების გამო, კერძოდ წყალდიდობების შედეგად და მეწყერებისაგან, ხოლო დარჩენილი ნაწილი ამორტიზებულია. საჭიროა ამორტიზირებული ზოლების აღდგენა და ახალი ზოლების გაშენება. ქარსაფარ ზოლებში და ჭალის ტყეებში ირითადად გაშენებულია მერქნიანი სახეობები: ვერხვი, მურყანი, ქაცვი, ფშატი, ნერგი და სხვა.

2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის შედეგად ატენის ხეობაში დაზიანდა დაახლოებით 53 ჰა. ტყე, მთლიანად ან ნაწილობრივ დაიწვა საშუალოდ 0,2 მ. სისქის ნიადაგი.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია კაუჭა-კავკასიური ფიჭვი, აღმოსავლეთის ნაძვი, კავკასიური სოჭი, ქართული მუხა, აღმოსავლეთის წიფელი, რცხილა, იფანი, ნეკერჩხალი და სხვა ტყის შემქმნელი ჯიშები. ტყით დაფარული ფართობები, კლიმატური პირობები და ხემცენარეთა სახეობები საუკეთესო პირობაა გარეული ღორის მოშენება-გამრავლებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სამონადირეო მეურნეობების და ტურიზმის განვითარებას.

ცხოველთა სამყაროდან გავრცელებულია გარეულ ცხოველთა წარმომადგენლები: კვერნა, მელა, მგელი, ალპური (წითურა) მგელი, გარეული ღორი, დათვი, ფოცხვერი, შველი, ჯიხვი, ირემი, ციყვი, ტურა, კურდღელი, მაჩვი, ხოლო ფრინველებიდან - ქორი, მიმინო, მწყერჩიტა, მუივანა არწივი, ჩვეულებრივი კაკაბი, ჩიტბატონა, მთის არწივი, შავი ყარყატი, ქედანი, ყორანი, მწყერი, ღალღა, გუგული, მერცხალი, კოდალა, ნიბლია, ჩხიკვი, შაშვი და სხვა. შეიმჩნევა ცხოველთა სამყაროს რაოდენობრივი კლება, რაც გამოწვეულია ანთროპოგენური პირობებით, თუმცა მგლის რიცხოვნობამ მოიმატა. უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველთა აღრიცხვის მდგომარეობა ნაწილობრივ მოშლილია, ფაქტიურად არ არსებობს ზუსტი მონაცემები, ცხოველთა და ფრინველთა რაოდენობის შესახებ. სასურველია რეგიონში შეიქმნას სამონადირეო მეურნეონბები, რაც ხელს შეუწყობს როგორც ფლორის, ისე ფაუნის დაცვასა და გაუმჯობესებას.

ლიტერატურა:

1. ი. ელიავა, გ, ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია. ეკოლოგიის საფუძვლები. თსუ. თბილისი, 2009, გვ. 230.
2. ა.შათირიშვილი, ს. ცაგარელი, მ. ცარციძე. ზოგადი ბიოლოგია. თბილისი, 1999. გვ. 36
3. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. კ. ლორენცი, ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა. თბილისი, 2007, გვ. 313.
4. ნ. გოგინაშვილი, დ. ღოლიჯაშვილი. მძიმე ლითონების მიგრაცია სისტემაში - კვების მინერალური ელემენტები - მცენარე შიდა ქართლის პირობებში. საერთაშორისო კონფერენცია,

აგრობიომრავალფეროვნების დაცვა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. თბილისი, 2010. გვ. 252.
5. რობერტ რიკლეფსი, გარი მილერი, ეკოლოგია, პირველი ქართული გამოცემა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010
6. საერთაშორისო განვითარების ასოციაცია. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში. KOCKS CONSULT GMBH.
7. www. chm.moe.gov.ge

რეზიუმე

სიცოცხლისათვის ვარგის გარემოს საარსებო გარემო ეწოდება. გარემო შეიძლება იყოს ფიზიკური (ეკოტიპი) ან ორგანიზმების მიერ ჩამოყალიბებული - ბიოტური. გარემოს შემადგენელ ელემენტს, რომელიც ამა თუ იმ გავლენას ახდენს ცოცხალ ორგანიზმზე, ეკოლოგიურ ფაქტორს უწოდებენ. ამჟამად კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპი ეკოლოგიური კრიზისის პირას იმყოფება. საარსებო გარემო იმდენადაა შეცვლილი, რომ შემდგომი ზემოქმედების შედეგად იგი ადამიანის საზოგადოებისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდება. დღეს სავსებით გამოიკვეთა დედამიწაზე მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა და მოვლენისადმი ეკოლოგიური მიდგომის აუცილებლობა.

ბუნებრივი სამყაროს ფიზიკური მახასიათებლების შეცვლის ყველაზე მეტ პოტენციალს ცოცხალ არსებათა შორის ფლობს ადამიანი-homo sapiens. ადამიანთა საქმიანობა ცვლის ბუნებრივ პროცესებს, რომლებიც დედამიწაზე სიცოცხლეს ინარჩუნებენ. XXI საუკუნის საწყისს სამყარო შეცვლილია. ცვლილებები საკმაოდ დიდი სისწრაფით დღესაც მიმდინარეობს. ბუნების განადგურება ინტენსიური გახდა ბოლო 100-200 წლის მანძილზე. ბიოსფეროს მკვეთრი ცვლილება სამმა მოვლენამ გამოიწვია: 1. მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ და ურბანიზაციამ; 2. სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ; 3. ბუნებრივი რესურსების გაძლიერებულმა გამოყენებამ.

ნაშრომში განხილულია შიდა ქართლში ეკოლოგიური უსაფრთხოების დარღვევის შედეგად გამოწვეული უარყოფითი მოვლენების მნიშვნელობა და ეკოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესების გზების ძიება.

HUMAN ACTIVITY MAKES AND INFLUENCE ON THE REGULATIONS OF THE NATURE

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

RESUME

The environment fit for the life is called a living environment. The environment can be physical (ecotype) or formed by the organisms - biotic. The constitutive element of the environment, which makes more or less influence on the live organism is called an ecological factor. Nowadays the modern level of humanity development is in ecological crisis. The living environment has greatly changed and became useless for society. Nowadays the necessity of ecological approach towards any process or occurrence on the earth is very clear.

Homo-sapiens has the best potential to change the physical characteristics of the natural universe. Human activities change those natural processes which keep life on the earth. The universe of the beginning of XXI century is changed.

Things are changing very fast even today. Destruction of the nature became intensive for the last 100-200 years. Three occurrences caused a sharp change in the biosphere: 1. Sharp growth of the population and urbanization; 2. Scientific-Technical revolution; 3. Intensified usage of the natural recourses.

The abstract deals with negative results caused by breaking ecological security in Shida Kartli and searching way-out according to the ecological point of view.

მაკროელემენტების დაგროვება კენკროვან მცენარეებში

ნელი გოგინაშვილი, სრული პროფესორი

მცენარეთა ბიოლოგიური და კვებითი ღირებულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ქიმიურ შედგენილობას, მათ შორის მინერალურ ელემენტებს. მცენარეში არსებული მინერალური ელემენტები რაოდენობრივი შემცველობის და მათზე ყოველდღიური მოთხოვნილების მიხედვით დაყოფილია მაკრო - (Na, K, Ca, Mg, P, Cl, Fe და სხვ.), მიკრო - (Co, Ni, I, F, Mn, Zn, Br, Sr, Li და სხვ.) და ულტრამიკროელემენტებად (Au, As, Hg, Pb, Ag, Ra და სხვ.).

მცენარეში მინერალური ნივთიერებები მოიპოვება არაორგანული შენაერთების ან ორგანულ მჟავათა და ფუძე მარილების სახით ცხიმებთან, ცილებთან კომლექსურ ნაერთებში. მაგალითად, მეტალების შენაერთები ნუკლინის მჟავებთან, ფლავონოიდებთან. მინერალური ელემენტები უდიდეს როლს ასრულებენ მცენარის და აქედან გამომდინარე, ადამიანის ორგანიზმის ცხოველქმედებაში.

ნ. ალექსიძის (1) მიხედვით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ თავისუფალი მინერალური ნივთიერებები ცალკე, მჟავასა თუ ტუტის სახით, ძლიერ ტოქსიკურია (NaOH, H_2SO_4, H_3PO_4 და სხვ.), თუმცა საკვებში მიღებული კომლექსების სახით ისინი არ ხასიათდებიან ტოქსიკურობით, პირიქით, ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის აუცილებელ ელემენტებსაც კი წარმოდგენენ. მოგვყავს ზოგიერთი მათგანის როლი ორგანიზმისათვის, ფოსფორი შედის ნუკლეინის მჟავების შედგენილობაში; რკინა, კობალტი, სპილენძი, მანგანუმი მონაწილეობენ ჰემოგლობინის წარმოქმნაში; კალციუმი, კალიუმი, ნატრიუმი აუცილებელია ნივთიერებათა ცვლისა და ძვლის ქსოვილებისათვის; მაგნიუმი მონაწილეობს 300-მდე ბიოქიმიურ რეაქციაში, ის მთელი რიგი ფერმენტების კოფაქტორია და სხვა.

ბუნებრივია, მინერალური ელემენტების ბალანსის დარღვევა იწვევს მთელ რიგ უარყოფით ცვლილებებს ადამიანის ორგანიზმში, რაც ზოგიერთ შემთხვევაში მძიმე შედეგებით მთავრდება.

ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით, მცენარეში მინერალური ელემენტების დაგროვების შესწავლა საინტერესო და აქტუალურია, მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები საქართველოში არც თუ მრავალრიცხოვანია, განსაკუთრებით – კენკროვან კულტურებზე (2-5).

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ზოგიერთი მაკროელემენტების შემცველობის შესწავლა კენკროვან მცენარეებში შიდა ქართლის პირობებში. საკვლევ მცენარეთა სინჯები შეგროვილი იქნა გორის რაიონის ველებზე, ტყისპირებზე და კერძო ნაკვეთებზე. თითოეული მცენარის ნაყოფებში განისაზღვრა K, Ca, Mg, Fe-ის შემცველობა საყოველთაოდ მიღებული მეთოდით (6).

ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

მაკროელემენტების შემცველობა კენკროვან მცენარეთა ნაყოფებში, მგ/გ

№	მცენარე		K	Ca	Mg	Fe
1	ასკილი	Rosa canina L.	28,2	4,0	1,7	0,195
2	მარწყვი	Fragaria vessa L.	23,4	3,1	2,3	0,010
3	მაყვალი	Rubus Sp. diversa	29,7	4,0	2,5	0,017
4	ჟოლო	Ribes idaeus L.	30,6	6,9	2,2	0,021
5	შავი მოცხარი	Ribes nigrum L.	43,1	3,7	3,9	0,019
6	წითელი მოცხარი	Ribes vulgare Lam.	32,8	4,2	1,8	0,014
		± m =	2,687	0,540	0,325	0,030

მონაცემებიდან ჩანს, რომ მაკროელენტების შემცველობა საკვლევ მცენარეებში მკვეთრად განსხვავებულია. კერძოდ, ყველაზე მეტი რაოდენობით გროვდება კალიუმი - საშუალოდ მცენარეთა სახეობების მიხედვით 31,3 მგ/გ, კალციუმისა და მაგნიუმის, შესაბამისად 4,3 და 2,4 მგ/გ, მინიმალური რაოდენობით კონცენტრირდება რკინა - 0,046 მგ/გ. ცვალებადობის დიაპაზონი კალიუმსა და კალციუმს შორის შეადგენს დაახლოებით შვიდჯერადს, კალიუმსა და მაგნიუმს შორის - ცამეტჯერადს, ხოლო კალიუმსა და რკინას შორის - შვიდასჯერადამდეა. ასეთი განსხვავება, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებებთან.

საკვლევი ელემეტების შემცველობა მკვეთრად დინამიურია აგრეთვე მცენარეთა სახეობების მიხედვით. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს რკინის შემთხვევაში, სადაც ვარიაბელობა შეადგენს თითქმის ოცჯერადს. რაც შეეხება კალიუმს, კალციუმსა და მაგნიუმს, მათი ვარიაბელობა რკინასთან შედარებით საკმაოდ მცირე დიაპაზონიათაა და საშუალო მონაცემებით სამივე ელემენტისათვის დაახლოებით ორჯერადია. ასეთი სხვაობა ელემენტთა დაგროვებისადმი (განსაკუთრებით კი რკინის) გამოწვეული უნდა იყოს ცალკეული სახეობის ევოლუციის პროცესში მცენარეთა გენეზისთან.

ანალიზის შედეგებით, კალიუმის ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა შავი მოცხარი (43,1 მგ/გ), კალციუმის - ჟოლო (6,9 მგ/გ), მაგნიუმის - შავი მოცხარი (3,9 მგ/გ), რკინის - ასკილი (0,195 მგ/გ).

ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმისათვის მინერალური ელემეტების ძირითადი მიმწოდებელი მცენარეა. დღე-ღამის განმავლობაში მათ ადამიანი საჭიროებს სხვადასხვა რაოდენობით და შეადგენს, მაგ.: K – 3-5 გ, Ca – 0,9-1,2 გ, Mg – 280-350 მგ, Fe – 10-15 მგ (7). დღე-ღამური ნორმების და მცენარეში მათი შემცველობის საფუძველზე შესაძლებელია მინერალური ელემენტების, მათ შორის მაკროელემენტების დისბალანსის კორექტირება ადამიანის ორგანიზმში.

მაშასადამე, ჩვენს მიერ შესწავლილი კენკროვანი მცენარეები საკვლევი ელემენტებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავენ კალიუმს, შემდეგ – კალციუმს და მაგნიუმს, ყველაზე მცირე კონცენტრაციით – რკინას.

კალიუმის შემცველობით პირველ ადგილზეა შავი მოცხარი, კალციუმის – ჟოლო, მაგნიუმის – შავი მოცხარი, რკინის – ასკილი.

ლიტერატურა:

1. ნ. ალექსიძე. ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები. თბილისი, თსუ, 2005.
2. ნ. კილაძე. მძიმე ლითონთა შემცველობა ქუთაისის ტერიტორიაზე მზარდი ზოგიერთი მერქნიანი მცენარის ფოთლებში. ავტორეფერატი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1998.
3. П.А. Явич, Л.И. Чурадзе, Т.А. Рухадзе, М.Б. Кахетелидзе, К.В. Маградзе. Железо и йод в растительном сырье и в пищевых продуктах. საქართველოს ქიმიური ჟურნალი, №4, 2003.
4. ქ. გოგინაშვილი, ზ. ჩანქსელიანი. მინერლაური ელემენტების შემცველობა რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახის სამკურნალო მცენარეებში შიდა ქართლის ბიოცენოზში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 19, 2007.
5. ნ. გოგინაშვილი, ე. წკრიალაშვილი, ქ. გოგინაშვილი. ბიოლემენტების შემცველობა ბოსტნეულ მცენარეებში. მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ახალი მიმართულებები განათლებასა და კვლევაში“. გორის უნივერსიტეტი, საქართველო, 2-3 ოქტომბერი, 2009, გორი, 2009.
6. Савин В. Атомно-абсорбционная спектроскопия. М., Химия, 1971.
7. ლ. ერისთვი. ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები). საქართველოს მაცნე, თბილისი, 2005.

რეზიუმე

ჩვენს მიერ შესწავლილი, შიდა ქართლში (საქართველო) გავრცელებული კენკროვანი მცენარეები (ასკილის, მარწყვის, მაყვლის, ჟოლოს, წითელი მოცხარის, შავი მოცხარის ნაყოფები) საკვლევი მინერალური ელემენტებიდან (K, Ca, Mg, Fe) ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავენ კალიუმს, შემდეგ – კალციუმსა და მაგნიუმს, ყველაზე მცირე კონცენტრაციით – რკინას. ცალკეულ მცენარეთა სახეობებიდან კალიუმის დაგროვებით გამოირჩევა შავი მოცხარი, კალციუმის – ჟოლო, მაგნიუმის – შავი მოცხარი, რკინის – ასკილი.

ACCUMULATION OF MACRO ELEMENTS IN BERRIES

Nelly Goginashvili, Full Professor

RESUME

Berries which are spread in Shida Kartli (Georgia) and are searched by us (sweetbrier, strawberry, black berry, raspberries, red currents, black currents) contain (K, Ca, Mg, Fe) potassium, calcium and magnesium. There is very little amount of iron. Black current is distinguished by accumulation of potassium, there is more calcium in raspberries, black current is rich in magnesium and sweetbrier is rich in iron.

ფრინველთა მოსახლეობის სტრუქტურა სხალტბის ქედზე შერჩეულ ფართობზე

გია ედიშერაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე და ამის შედეგად ბიომრავალფეროვნების დაქვეითების მზარდი ტემპი აუცილებელს ხდის იმ ღონისძიებების შემუშავებას და გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. ამისათვის კი აუცილებელია ეკოსისტემების ტრანსფორმაციის ხასიათის დადგენა და მონიტორინგის წარმართვა. მონიიორინგის წარმართვა ეკოსისტემის ყველა კომპონენტის ჩათვლით რთულია და როგორც წესი არც არის საჭირო. ხშირად უფრო მოხერხებულია და რეპრეზენტატულიც შერჩეულ სახეობათა ჯგუფების (ინდიკატორების) მონიტორინგი.

პროგრამა ინდიკატორი "S6: ფრინველები" სახეობების მრავალფეროვნება ლანდშაფტებში ფარგლებში, რომელიც საქართველოს ბიომრავალფეროვნების სისტემის (NBMS) ნაწილია შვეიცარიული ორგანიზაცია Hintermann&Weber AG-ის მიერ შემუშავებული მეთოდიკით (Weber,D et al.,2004) და მათ მიერვე შერჩეულ ფართობებზე 2010 წელს ჩატარდა ფრინველთა რაოდენობრივი აღრიცხვა ბუდობის პერიოდში. ერთი ასეთი ფართობი, კვადრატი 1კმX1კმ-ზე შეირჩა სხალტბის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე სოფ. ჩარდახთან (მცხეთის რ-ნი). ის ტიპიურია ამ ადგილებისათვის და განადგურებული მუხნარ-რცხილნარი ტყის შემდგომ განვითარებული ბუჩქნარებით: ძეძვი, ჯაგრცხილა, ასკილი, მაყვალი და სხვებით არის დაფარული. ბუჩქნარის მასივებს შორის არის ბალახეულობით დაფარული მინდვრები. ტყე შემოჭრილია ვიწრო ზოლით სოფლიდან ყველაზე მოშორებულ ამაღლებულ ნაწილში. ფრინველთა აღრიცხვები (ათვლები) ჩატარდა სამჯერ. აღირიცხებოდა ტრანსექტზე შეხვედრილი ყველა ფრინველი როგორც ვიზუალურად, ასევე მგალობლები, ტრანზიტული სახეობების გარდა.

კვადრატში აღინიშნა 35 სახეობის 318 ფრინველი (სამჯერადი აღრიცხვიდან მაქსიმალურის თანახმად). დომინირებენ: შავი შაშვი (Turdus merula) 52 ინდ./კმ.კვ. ანუ მოსახლეობის 16,35%, ღაჟო (Lanius collurio) 48 ინდ./კმ.კვ. ანუ 15,1 %, მეფეტვია (Miliaria calandra) 34 ინდ./კმ.კვ. ანუ 10,7% და სამხრეთული ბულბული (Luscinia megarhynchos) 32 ინდ./კმ.კვ. ანუ 10,1%.

ჩვეულებრივი სახეობები: ჭვინტასპუჭაკა (Sylvia curruca) 18 ინდ./კმ.კვ. ანუ 5,6%, თოხიტარაც (Aegithalos caudatus) 18 ინდ./კმ.კვ. ანუ 5,6%, ჩხიკვი (Garrulus glandarius) 14 ინდ./კმ.კვ. ანუ 4,4%, რუხი ასპუჭაკა (Sylvia communis) 12 ინდ./კმ.კვ. ანუ 3,7%, შავთავა ასპუჭაკა (Sylvia atricapilla), დიდი წივწივა (Parus major), მცირე ტოროლა (Calandrella brachydactila) და შავთავა გრატა (Emberiza melanocehpala) 6 - 6 ინდ./კმ.კვ. ანუ 3,1%, გუგული (Cuculus canorus), წრიპა (Turdus philomelos), მწვანულა (Carduelis chliris), სახლის ბეღურა (Passer domesticus) და კაჭკაჭი (Pica pica) შესაბამისად 6 - 6 ინდ./კმ.კვ. ანუ 1,8%, ქოჩორა ტოროლა (Galerida cristata), მინდვრის მწყერჩიტა (Anthus campestris), მწვანე ყარანა (Phylloscopus trochiloides), წიწკანა (Parus caeruleus), სკვინჩა (Fringilla coelabs), ყვავი (Corvus cornix) და ყორანი (Corvus corax) შესაბამისად 4 – 4 ინდ./კმ.კვ. ანუ 1,2%. იშვიათი სახეობები, რომელთა წილი

ფრინველთა მოსახლეობაში 1% ნაკლებია: ჩვ. კაკაჩა (Buteo buteo), ჩვ. კირკიტა (Falco tinnunculus), ოფოფი (Upupa epops), მწვანე კოდალა (Picus viridis), დიდი ჭრელი კოდალა (Dendrocopos major), მაქცია (Jynx torquilla), ტყის ტოროლა (Lullula arborea), გულწითელა (Erithacus rubecula), ჩვ. ბოლოცეცხლა (Phoenicurus phoenicurus), ჭედია ყარანა (Phylloscopus collybita) და ნარჩიტა (Caduelis carduelis).

მიღებული მონაცემები ასახავენ ფრინველთა მოსახლეობის სტრუქტურას უშუალოდ შერჩეულ ფართობზე, რაც ამავდროულად გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ რა ტიპის ჰაბიტატებია წარმოდგენილი კვადრატში, რა მდგომარეობაშია ისინი, ასევე მათი შეფარდებითი განაწილება შესწავლილ ტერიტორიაზე. მაგალითად მეორე კვადრატში, რომელშიც ასევე ჩატარდა ფრინველთა მოსახლეობის აღრიცხვა და სულ რამოდენიმე კილომეტრშია მუხნარ-რცხილნარი ტყე, უკეთ არის შემონახული და მეტი ფართობი უჭირავს. შესაბამისად შაშვთან ერთად დომინირებენ ჩხიკვი და დიდი წივწივა, რაც დამახასიათებელია მსგავსი ჰაბიტატებისათვის. პირველ კვადრატში კი ისინი ჩვეულებრივი სახეობების სიის ქვედა ნაწილში მოხვდნენ. გრძელვადიანი მონიტორინგი ფრინველთა მოსახლეობაზე მსგავს კვადრატებში, რომლებიც შეირჩევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საშუალებას მოგვცემს თვალყური ვადევნოთ ბიომრავალფეროვნების ცვლილებებს და გავატაროთ შესაბამისი ქმედებები.

ლიტერატურა:

Weber D., Hientermann U. & Zangger A. 2004. Scale and trends in speciesrichnes:considerations for monitoring biological diversity for political purposes. Global Ecology and Biogeography, 13, 97-104.

რეზიუმე

ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე და ამის შედეგად ბიომრავალფეროვნების დაქვეითების მზარდი ტემპი აუცილებელს ხდის იმ ღონისძიებების შემუშავებას და გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. ამისათვის კი აუცილებელია ეკოსისტემების ტრანსფორმაციის ხასიათის დადგენა და მონიტორინგის წარმართვა. მონიტორინგისთვის შეირჩა ფართობი სხალტბის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, სადაც ჩატარდა ფრინველთა მოსახლეობის აღრიცხვა. მოსახლეობის სტრუქტურის ანალიზი იძლევა საშუალებას დავადგინოთ რა მდგომარეობაშია ჰაბიტატები. გრძელვადიანი მონიტორინგი გვიჩვენებს ცვლილებების ხასიათს.

BIRD POPULATION STRUCTURE ON THE SAMPLING PLOTS OF SKHALTBI RANGE

Gia Edisherashvili, Associate Professor

RESUME

The influence of people on the nature and the fast rate of the biodiversity fall in the result of this makes inevitable to work out and lead to the measures that will assist to reserve biodiversity. Because of this, it is inevitable to establish the disposition of ecosystem transformation and to make monitoring. For the monitoring, we choose the northern part of the Skhaltbi Range plots, where the population of the bird discretion will be held. The structure of the population gives us the possibility to establish in what conditions the habitants are. The long-term monitoring shows us some changes.

ზოგიერთი საკითხი სტატისტიკური სტრუქტურების პარამეტრების ძალდებულობის შესახებ

ზურაბ ზერაკიძე, სრული პროფესორი
მალხაზ მუმლაძე, სრული პროფესორი

ვთქვათ, (E,S) - ზომადი სივრცეა, $\{\mu_i,\, i\in I\}$ ალბათური ზომებია S-ზე, ხოლო I-პარამეტრის სიმრავლეა. ამ სიმრავლეზე განსაზღვრული გვაქვს მინიმალური σ-ალგებრა $L(I)$, რომელიც შეიცავს ყველა ერთელემენტებიან $\{i\}\in I$ სიმრავლეებს და ამ σ-ალგებრის მიმართ ყველა ფუნქციები შემდეგი სახის $i\to\mu_i(A),\ A\in S$ არიან ზომადი.

$\mathrm{B}(E,S)$ სიმბოლოთი ჩვენ აღვნიშნავთ წრფივ სივრცეს ყველა შემოსაზღვრულ ნამდვილ S-ზომად ფუნქციებისა ნორმით $\|f\|=\sup\limits_{x\in E}|f(x)|,\quad f\in\mathrm{B}(E,S)$

ცხადია, რომ $\mathrm{B}(E,S)$ ბანახის სივრცეა ამ ნორმის მიმართ. $\mathrm{B}'(E,S)$ არის შეუღლებული სივრცე $\mathrm{B}(E,S)$-ისა და $\mathrm{B}'(E,S)$ გაიგივებული გვაქვს წრფივ სივრცესთან ყველა სასრულ ადიციური ზომებისა S-ზე.

გავიხსენოთ ზოგიერთი განსაზღვრებები.

განსაზღვრება 1. $\{E,S,\mu_i,i\in I\}$ სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება ორთოგონალური, თუ $\{\mu_i,\, i\in I\}$ ალბათობები წყვილ-წყვილად ორთოგონალურია.

განსაზღვრება 2. $\{E,S,\mu_i,i\in I\}$ სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება ძლიერად განცალებადი, თუ არსებობს ისეთი S-ზომადი დიზიუნქციური A_i სიმრავლეები, რომ სრულდება შემდეგი ტოლობები:

$$\mu_i(A_j)=\begin{cases}1, & \text{თუ } i=j\\ 0, & \text{თუ } i\neq j\end{cases}$$

განსაზღვრება 3. ჩვენ ვამბობთ, რომ $\{E,S,\mu_i,i\in I\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ასახვა $\eta:(E,S)\to(I,L(I))$, რომ $\mu_i\{x:\eta(x)=i\}=1,\forall i\in I$.

განსაზღვრება 4. $\{E,S,\mu_i,i\in I\}$ სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება რეგულარული, თუ

1. გადასახვა $i\to\mu_i$ ინექციურია;
2. $\{\mu_i,\, i\in I\}$ ალბათური ზომები პირობითი ალბათობებია, $I\times S$-ზე;
3. ყოველ ზომას $\mu\in H$ აქვს სახე $\mu(.)=\int\limits_I\mu_i(.)d\nu(i),\quad \nu\in\mathrm{B}'(I,L(I))$, სადაც $H-\sigma(\mathrm{B}'_E,\mathrm{B}_E)$-ჩაკეტილი წრფივი ქვესივრცეა B'_E-ში, წარმოქმნილი $\{\mu_i,\, i\in I\}$ ზომებით.

განსაზღვრება 5. $\{E,S,\mu_i,i\in I\}$ სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება განსხვავებული, თუ მინიმალური σ-ალგებრა $L(I)$, რომლის მიმართ ზომადია ყველა ფუნქციები $i\to\mu_i(A),\ A\in S$ განასხვავებს წერტილებს I-ზე და ძლიერად განსხვავებული, თუ σ-ალგებრა $L(I)$-ში შედის ყველა სასრულ ელემენტებიანი სიმრავლეები.

ჩვენ შემდგომში ყველგან განვიხილავთ ძლიერად განცალებად სტატისტიკურ სტრუქტურებს. განვსაზღვროთ ოპერატორი შემდეგი ფორმულით

$$u(f)=\int_E f(x)\mu_i(dx)=i,\quad f\in \mathrm{B}(E,S)$$

ოპერატორ u -ს აქვს შემდეგი თვისებები:

1. u ოპერატორი არის დადებითად განსაზღვრული წრფივი ოპერატორი $\mathrm{B}(E,S)$-დან $\mathrm{B}(I,L(I))$-ში;
2. u ოპერატორი არის იზომეტრული ოპერატორი;
3. u ოპერატორი არის უწყვეტი;
4. თუ $\{E,S,\mu_i,i\in I\}$ სტატისტიკური სტრუქტურა რეგულარულია, მაშინ არსებობს u ოპერატორის შეუღლებული ოპერატორი u', რომელიც იზომეტრიულად გადასახავს ბუნებრივად განსაზღვრულ K'_I დადებით კონუსს $\mathrm{B}'(I,L(I))$ სივრციდან ბუნებრივად განსაზღვრულ K'_E კონუსში $\mathrm{B}'(E,S)$ სივრცეში.

I თვისება გამოდის იქიდან, რომ $\{\mu_i,\, i\in I\}$ დადებითი ალბათური ზომებია S -ზე, ხოლო II თვისება იზომეტრიულობა გამოდის შემდეგი უტოლობიდან $\|u\|\ge\|u(I_E)\|=\|I_I\|=1$ და $\|u\|\le\sup_{i\in I}\|\mu_i\|=1$. III თვისება u -ს უწყვეტობა გამოდის შემდეგი ტოლობიდან $\|u\|=1$. IV თვისება გამოდის შემდეგი პირობებიდან: რადგან სტატისტიკური სტრუქტურა რეგულარულია, ამიტომ u -ტოპოლოგიური ჰომეომორფიზმია, ამიტომ არსებობს მისი შეუღლებული ოპერატორი u', რომელსაც აქვს ჩაკეტილი სახე და $u'(\mathrm{B}'(I,L(I)))=H$. რადგან სტატისტიკური სტრუქტურა რეგულარულია ე.ი. $\{\mu_i,\, i\in I\}$ არის პირობითი ალბათობები $I\times S$ -ზე, მაშინ $\int_I \mu_i(.)d\nu(i),\ \nu\in\mathrm{B}'(I,L(I))$ არის ზომა (E,S)-ზე, ამიტომ სამართლიანია შემდეგი ტოლობა

$$\left\langle f,\int_I \mu_i(.)d\nu(i)\right\rangle=\int_I (uf)(i)d\nu(i)=\langle uf,\nu\rangle=\langle f,u'\nu\rangle$$

აქედან ცხადია, რომ u' აქვს შემდეგი სახე $\langle f,u'\nu\rangle=\int_I\langle f,\mu_i\rangle d\nu(i),\quad \forall\nu\in\mathrm{B}'(I,L(I))$-ზე და რეგულარობის გამო $i\to\mu_i$ ინექტიურია და u არის გადასახვა $\mathrm{B}(E,S)\to\mathrm{B}(I,L(I))$-ზე და ამიტომ u' ურთიერთცალსახა გადასახვაა და u' დადებითად განსაზღვრულია და $u'(\delta_i)=\mu_i$.

თეორემა 1. თუ $\eta:(E,S)\to(I,L(I))$ არის პარამეტრების ძალდებული შეფასება, მაშინ $\eta^*:\mathrm{B}(I,L(I))\to\mathrm{B}(E,S)$ გადასახვა მოცემული ფორმულით $\eta^*(g)=g\circ\eta,\quad g\in\mathrm{B}(I,L(I))$ არის წრფივი იზომეტრული იზომორფიზმა $\mathrm{B}(I,L(I))$ -სა $\mathrm{B}(E,S)$-ში. აგრეთვე ადვილი სანახავია, რომ $u\circ\eta^*$ არის იგივური ოპერატორი $\mathrm{B}(E,S)$-ში.

ზემოთ დამტკიცებული თვისებებიდან და თეორემიდან მტკიცდება შემდეგი თეორემა.

თეორემა 2. იმისათვის, რომ $\{E,S,\mu_i,i\in I\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებდეს პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს აუცილებელი და საკმარისია, რომ ეს სტატისტიკური სტრუქტურა იყოს რეგულარული და არსებობდეს საკმარისი, მკაცრად შემოსაზღვრული სრული ქვეალგებრა $C\subset S$.

ლიტერატურა

1. Ибрамхалилов И.Ш. Скороход А.В. Состоятельные оценки параметров случайных процессов. «Наука Дума» Киев, 1980.
2. Малеев А.Б. Серченко А.А. Тарашанский М.Т. Семейства вероятностных мер, допускающие состоятельные оценки. Распределения в бесконечномерных пространствах. Киев, Инст. Математ. 1978.
3. Zerakidze. Z.S. A family of measures admitting consistent estimates. New trends in propobility and statistics vol.I VSP/Mokslas 1991.

რეზიუმე

სტატიაში დამტკიცებულია აუცილებელი და საკმარისი პირობები, თუ როდის არსებობს სტატისტიკური სტრუქტურებისათვის პარამეტრების ძალდებული შეფასებები.

SOME ISSUES ABOUT ADMITTING OF CONSISTENT ESTIMATES OF STATISTICAL STRUCTURES PARAMETERS

Zurab Zerakidze, Full Professor
Malkhaz Mumladze, Full Professor

RESUME

In the present paper we proved necessary and sufficient condition when exist optimal extimateres of parameters for statistical structure.

ПРИМЕНЕНИЕ ПРОБЛЕМНО-ОРИЕНТИРОВАННЫХ КОМПЛЕКСОВ ДЛЯ ИНТЕЛЛЕКТУАЛИЗАЦИИ ИНФОРМАЦИОННЫХ СИСТЕМ

***Циури Нозадзе**, Асоц. Профессор*

Интеллектуальные информационные технологии одна из наиболее перспективных и быстро развивающихся научных и прикладных областей информатики. Ее Основные направления - обработка текстов на естественном языке, моделирование знаний и базы знаний, управление знаниями, интеллектуализация Internet, концептуальное программирование и др. Основное внимание уделяется математическим моделям, методам и инструментальным средствам разработки программного обеспечения интеллектуальных автоматизированных систем.

Развитие средств информфтики и вычислительной техники определило перспективы бистрого и широкого внедрения автоматизированных технологий в различные области общественной деятельности. Разработка современной техники и информационной технологии рассматривается как системная проблема, для решения которой создаются инструментарии (информационно-методический, технический, программнный), опирающиеся на конкретный экономический механизм и реализуются конкретным выдом автоматизированной системы.

Задачи управления производством и повыщения технического уровния продукции обусловливает необходимость непреривного совершенствования методов разработки и массового внедрения комплексных систем автоматизации, создающие среды разработки объектов новой техники (НТ). В этой связи применение системы, основанные на знаниях, предназначенных для поиска и анализа существующих моделей для разработки образцов новой техники в определенной предметной области является важной задачей.

Перспективы развития новой техники и рациональной автоматизированной технологии, прежде всего определяются тенденциями развития микро-эвм, программного обеспечения, языковых и диалоговых средств, а также средств управления данными. Задачи максимального обеспечения требований индивидуальных пользователей в конкретных методах и средствах при условии сокращения сроков и затрат

их серийного производства предопределяет актуальность развития методов разработки с применением передовой технологии - посредством интеллектуальной информационной системы.

Разработка новой микропроцессорной техники и их серийное производство требует новую технологию проектирования в основе которой должны стать информационные системы в которых закладываются банки моделей, определяющий интеллект информационной системы, реализующий конкретные информационные технологии в конкретной предметной области.

Применение проблемно ориентированных комплексов в информационных системах в первую очередь обеспечивает автоматизированные технологии научно-экспериментальных исследований для создания объектно ориентированного банка данных и тем самым способствует интеллектуализацию информационной системы, а также создаёт ресурсы для комплексирования образцов новой техники.

Следовательно, в системе управления развитием новой техники подсистема объектно-ориентированной информации является по структуре и функциям принципиально новой, поскольку создание и развитие информационных моделей полностью определяет создание и использование самого объекта. Создание и развитие интеллектуальных информационных систем предполагает создание среды моделирования в качестве которого представимы проблемно-ориентированные системы содержащие аппаратные, программные, и методические средства предметной ориентации.

Концептуально автоматизированная технология проектирования и производства новой техники, ориентированная на применение интеллектуальных информационных систем методологически должно содержать два основных компонента: банка моделей, которые являеется интеллектуальным ядром информационной системы и логические схемы их реализации. При этом должны создаваться соответствующие программно-технические компоненты, как инструментарий их объектной ориентации [лит. ц. ნოზაძე, 2006].

Очевидно, что именно переход к применению микропроцессоров и микро эвм в состав вычислительных комплексов является главным по формированию предпосилок для создания интеллектуальных информационных технологии в различных сферах человеческой деятельности.

Под интеллектуальными информационными технологиями обычно понимают такие информационные технологии, в которых предусмотрены следующие возможности:

- наличие баз знаний, отражающих опыт конкретных людей, групп, обществ, человечества в целом, в решении творческих задач в выделенных сферах деятельности, традиционно считавщихся прерогативой интеллекта человека – например, такие плохо формализуемые задачи, как принятие решений, проектирование, извлечение смысла, объяснение, обучение и т. п.;
- наличие моделей мышления на основе баз знаний: правил и логических выводов; аргументации и рассуждения; распознавания и классификации ситуаций; и т. п.;
- способность формировать вполне чёткие решения на основе нечёткич, не полных, неопределенных данных;
- наличие механизма объяснений.

Очевидно, что главным компонентом интеллектуальной информационной системы является база знаний и логические схемы приниятия решении. Одноко, уровень интеллекта определяется составом базы данных и системы управления базами данных для реализации алгоритма, характеризующиехся найлучшим для конкретных условий и ограничений.

Следовательно, реализация функции управления в конкретной предметной области, в частности, например управления развитием новой техники средствами новой информационной технологии, подразумевает создание многофункциональной интеллектуальной информационной системы, для которой должен разрабатыватся аппаратные, программные и методические средства, обеспечивающие научно-экспериментальные исследования для пополнения банка моделей в заданной предметной области и интерактивные средства взаймодеиствия.

Исходя из выше изложенного, для применения интеллектуальной информационной технологии в определенной предметной области, например для программирования производства новой техники и управления её развитием должен создаватся:

а) интеллектуальная информационная система (ИИС), содержащий базу знаний заданной предметной области и средства интерактивного взаимодействия;

б) комплекс аппаратно-программных средств, реализуюший функции проблемной ориентации (проблемно-ориентированный комплекс) для создания/усовершенствования базы данных заданной предметной области;

в) логические схемы анализа и приниятия решений;

г) технологическая схема использованию ресурсов ИИС для комплексирования образцов новой техники.

Эффективность интеллектуальной информационной технологии для программирования и управления развитием новой техники достигается за счёт сокращения цикла «проектирование-производства», тем самым способствуя снижению затрат на разработку новой техники.

Следовательно, применение в составе интеллектуальной информационной системы проблемно-ориентированных комплексов, как средство интеллектуализации информационной системы, а также, как ресурсной базы при комплексировании видов новой техники является весьма перспективным направлением.

Литература

1. ც. ნოზაძე, ”მიზნობრივი საინფორმაციო სისტემების გამოყენების კონცეპტუალური მოდელი ახალი თაობის ტექნიკის დამუშავებაში”. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №3 2006.
2. А.А. Тимченко, А.А. Родионов «Основы информатики системного проектирования объектов новой техники». Киев, Наукова Думка 1991
3. Ц. Нозадзе, «Методические основы проектирования проблемно-ориентированных комплексов на микро эвм». Сборник докладов международной научной конференции «Информационные технологии в управлении», Тбилиси 2007

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია ავტომატიზირებული სისტემების განვითარების ძირითადი მიმართულებები და შემოთავაზებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდური მიდგომები ახალი ტექნიკის დაპროექტებისა და წარმოებისათვის განსაზღვრულ სფეროში. ამ მიზნით შემოთავაზებულია ინტელექტუალური საინფორმაციო სისტემების შემადგენლობაში პრობლემურ-ორიენტირებული კომპლექსების, როგორც საინფორმაციო სისტემის ინტელექტუალიზაციის და ახალი ტექნიკის ნიმუშების აგების რესურსული ბაზის გამოყენების კონცეპტუალური მოდელი.

ახალი ტექნიკის განვითარების დაგეგმვისა და მართვის ამოცანების გადაწყვეტაში საინფორმაციო ტექნოლოგიის ეფექტურობა მიიღწევა „პროექტირება-წარმოების“ ციკლის შემცირებით, რაც ხელს უწყობს ახალი ტექნიკის ნიმუშების დამუშავების დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას.

APPLICATION OF THE PROBLEM-ORIENTED COMPLEXES FOR INTELLECTUALIZATION INFORMATION SYSTEMS

Tsiuri Nozadze, Associate Professor

SUMMARY

In work is analyses the basic directions of development of the automated systems and are stated methodical support on application of information technology at designing and manufacture of new engineering in the certain subject domain. The development of intellectual information system, as bases of the new information technology for production of new engineering samples and managements of its development is offered.

The conceptual model of application in structure of intellectual information system of the problem-oriented complexes, as a means of intellectualization of information system, and also as resource for construction of new engineering is offered.

The efficiency of new information technology for programming and management of development of new engineering is reached at the expense of reduction of a cycle of "designing - manufacture", thus promoting decrease of expenses on construction of samples of new engineering.

სტაციონარული ვექტორული მიმდევრობის დასაჯერობის ფუნქციის აპროქსიმაცია

კარლო ცერცვაძე, სრული პროფესორი

ვთქვათ

$$X(n) = (x^1(n), (x^2(n), \dots, (x^m(n)),\ n = 0, \pm 1, \pm 2, \dots \qquad (1)$$

სტაციონარული ვექტორული მიმდევრობაა, რომლის სპექტრალური სიმკვრივეა

$$f(\lambda) = (f_{ij}(\lambda)), i, j = 1, 2, \dots m. \qquad (2)$$

$f_{ij}(\lambda)$ ფუნქციათა ფურიეს კოეფიციენტები იყოს $\widehat{f_k}(i,j)$.

განვიხილოთ მატრიცა

$$M_n(f) = (\widehat{f_{k-l}})\ k, l = 1, 2, \dots, n,$$ სადაც $\widehat{f_k} = \widehat{f_k}(i,j),\ i, j, = 1, 2, \dots, m.$

ადვილი მისახვედრია, რომ $M_n(f)$ მატრიცა წარმოადგენს სტაციონარული ვექტორული მიმდევრობის n სიგრძის მონაკვეთის

$$Y(n) = (X(1), X(2), \dots, X(n)) \qquad (3)$$

კოვარიაციის მატრიცას.

ტრადიციულად ითვლება, რომ რეალიზაციის საშუალებით შეფასებების პოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია მაქსიმალური დასაჯერობის მეთოდი, შემუშავებული ცნობილი სტატიტიკოსის ფიშერის მიერ. როდესაც (1) მიმდევრობა წარმოადგენს გაუსის მიმდევრობას, მაშინ (3) მონაკვეთის დასაჯერობის ფუნქციის ლოგარითმს აქვს შემდეგი სახე

$$L_n = -\frac{1}{2}\{m.n.\ln 2\pi + \ln det M_n(f) + Y'(n).[M_n(f)]^{-1}.Y(n)\} \qquad (4)$$

უცნობი $\theta = (\theta_1, \theta_2, \dots, \theta_k)$ პარამეტრის შეფასებად მივიღებთ იმ მნიშვნელობას $\widehat{\theta}$ რომელიც (4) გამოსახულებას მიანიჭებს მაქსიმუმს

$$\max_{\theta} L_{n,\theta} = L_{n,\widehat{\theta}}.$$

მაქსიმალური დასაჯერობის მეთოდით მიღებულ $\widehat{\theta}$ შეფასებას გააჩნია ყველა „კარგი“ თვისება, ის არის $\theta = (\theta_1, \theta_2, \dots, \theta_k)$ ვექტორული პარამეტრის ძალდებული, ასიმტოტურად ნორმალური და ასიმპტოტურად ეფექტური შეფასება.

ჰიპოთეზათა გარჩევის ამოცანებში სპექტრალური სიმკვრივის სახის დადგენის შესახებ და აგრეთვე უცნობი პარამეტრების შეფასების სტატისტიკურ ამოცანებში ბუნებრივად ისმის საკითხი დეტერმინატის

$$D_n(f) = det M_n(f)\ , \qquad (5)$$

და კვადრატული ფორმის

$$W_n = Y_n'[M_n(f)]^{-1} Y_n\ , \qquad (6)$$

ცხადი სახით მოცემის შესახებ. ყველაზე მარტივ შემთხვევაშიც კი, როდესაც (1) მიმდევრობა წარმოადგენს პირველი რიგის ავტორეგრესიის მიმდევრობას, (5) დეტერმინანტის და (6) კვადრატული ფორმის ცხადი სახე საკმარისად რთული გამოსახულებაა. ამ მიზეზის გამო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში პ. უიტლმა წამოაყენა მოსაზრება, რათა სტატისტიკური ამოცანების გადასაწყვეტად გამოგვეყენებინა არა L_n დასაჯერობის ფუნქციის ლოგარითმის

გამოსახულების ზუსტი სახე, არამედ მისი მხოლოდ „მთავარი ნაწილი“ $\overline{L_n}$, რომელიც უნდა იყოს მარტივი სახის და ამასთან უნდა აკაყოფილებდეს პირობას

$$n^{-\frac{1}{2}}(L_n - \overline{L_n}) \to 0 \text{ როცა } n \to \infty. \qquad (7)$$

ზემოთაღნიშნული (6) კვადრატული ფორმის ნაცვლად მანვე შემოგვთავაზა გამოგვეყენებინა შემდეგი კვადრატული ფორმა

$$W_n^* = Y_n' M_n(f^{-1}) Y_n \qquad (8)$$

როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა, რომ როდესაც შერჩევის მოცულობა n გაცილებით მეტია, ვიდრე კორელაციური კავშირის მილევის დრო $X(t)$ სიდიდეებს შორის, ასეთი შეცვლის შედეგად მიღებულ შეფასებებს გააჩნიათ იგივე ასიმპტოტური თვისებები, რაც გააჩნია შეფასებებს, რომლებიც მიიღება L_n დასაჯერობის ფუნქციის ლოგარითმის გამოსახულების ზუსტი სახის გამოყენებისას.

სკალარულ შემთხვევაში ასეთი აპროქსიმაციები განხილული იყო კ. ჯაფარიძის [1] მ. გინოვიანის [2] შრომებში.

ჩვენ დავადგინეთ ის პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს (1) სტაციონარული ვექტორული მიმდევრობის (2) სპექტრალური სიმკვრივე, რომლის დროსაც მიიღწევა აპროქსიმაციის (7) სიზუსტე.

ვიტყვით, რომ ფუნცია $f(\lambda)$ აკმაყოფილებს მაკენჰოუპტის პირობას თუ

$$sup\frac{1}{|I|}\int f(\lambda)d\lambda\,\frac{1}{|I|}\int\frac{1}{f(\lambda)}d(\lambda) < \infty\ . \qquad (9)$$

სადაც sup აიღება ყველა ინტერვალისათვის, რომლის სიგრძე $|I| \le 2\pi$, შესაბამისად ინტეგრალი აიღება I ინტერვალზე.

ვიტყვით, რომ ფუნცია $f(\lambda)$ ეკუთვნის სიგლუვის Λ_n კლასს თუ

$$\sum_{|k|>n}|f_k| = 0(\frac{1}{\sqrt{n}})$$

სადაც f_k არის f ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტები.

არაუარყოფით მატრიცა ფუნქციას

$$f(\lambda) = \begin{pmatrix} f_{11}(\lambda) & f_{12}(\lambda) \\ f_{21}(\lambda) & f_{22}(\lambda) \end{pmatrix}$$

შეუსაბამოთ ფუნქციები :

$$b_{11} = \ln f_{11}\ ;\ \ b_{22} = \ln f_{22}\ ;\ p = \frac{f_{12}}{\sqrt{f_{11}f22}}\ ;\ a = \ln(1-|p|^2)\ ;\ \rho = \frac{f_{12}}{\sqrt{f_{11}f_{22}(1-|p|^2)}}\ .$$

თეორემა 1. ვთქვათ

$$X(n) = (x^1(n),(x^2(n)),\ n = 0, \pm 1, \pm 2, \ldots$$

გაუსის სტაციონარული ვექტორული მიმდევრობაა, რომლის სპექტრალური სიმკვრივე

$$f(\lambda) = \begin{pmatrix} f_{11}(\lambda) & f_{12}(\lambda) \\ f_{21}(\lambda) & f_{22}(\lambda) \end{pmatrix}$$

აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. ფუნქციები b_{11}, b_{22}, a აკმაყოფილებენ მაკენჰოუპტის (8) პირობას;
2. ფუნქციები b_{11}, b_{22}, a, ρ ეკუთვნიან სიგლუვის Λ_n კლასს.

მაშინ ადგილი აქვს შემდეგ თანაფარდობას

$$\ln D_n(f) = \frac{n}{2\pi}\int_{-\pi}^{\pi}\ln det f(\lambda)\,d\lambda + 0\sqrt{n}\ ,$$

$A = (a_{ij})\ i,j = 1,2,\ldots,m\ \ (m > 1)$ მატრიცას შეუსაბამოთ ორგანზომილებიანი კვადრატული მატრიცა

$$[A]_* = \begin{pmatrix} b_{11} & b_{12} \\ b_{21} & b_{22} \end{pmatrix},$$

სადაც

$$b_{11} = det(a_{ij})\ i,j = 1,2,\ldots,m-1.\quad b_{22} = det\ (a_{ij})\ i,j = 2,3,\ldots,m.$$

$$b_{12} = det(a_{ij})\, i = 2,3,\dots,m;\ j = 1,2,\dots,m-1.\, b_{21} = det(a_{ij})\, i = 1,2,\dots,m-1;\ j = 2,3,\dots,m$$

ნებისმიერი k მთელი რიცხვისათვის $1 < k < m$ შემოვიღოთ აღნიშვნები:
$A^{(k)} = (a_{ij})\, i,j = 1,2,\dots,k$. $A_{(k)} = (a_{ij})\, i,j = m-k, m-k+1, \dots, m$. $A^{(k)}{}_* = [A^k]_*$, $A_{(k)}{}^* = [A_{(k)}]_*$.

არაუარყოფით მატრიცა ფუნქციას

$$b = \begin{pmatrix} b_{11} & b_{12} \\ b_{21} & b_{22} \end{pmatrix}$$

დაუკავშიროთ ფუნქციები: $p = \frac{b_{12}}{\sqrt{b_{11}b_{22}}}$; $\rho = \frac{b_{12}}{\sqrt{b_{11}b_{22}(1-|p|^2)}}$.

ვიტყვით, რომ ორგანზომილებიანი მატრიცა ფუნცია აკმაყოფილებს (a)პირობას თუ:

1. ფუნქციები $\ln b_{11}, \ln b_{22}, \ln(1-|p|^2)$ აკმაყოფილებენ მაკენჰოუპტის (8) პირობას;

2 ფუნქციები $\ln b_{11}, \ln b_{22}, \ln(1-|p|^2)$,ρ ეკუთვნიან სიგლუვის Λ_n კლასს

თეორემა 2. ვთქვათ

$$X(n) = (x^1(n), (x^2(n), \dots, (x^m(n)),\ n = 0, \pm 1, \pm 2, \dots$$

გაუსის სტაციონარული ვექტორული მიმდევრობაა, რომლის სპექტრალური სიმკვრივეა

$$f(\lambda) = (f_{ij}(\lambda)),\ i,j = 1,2,\dots m.$$

თუ ნებისმიერი k მთელი რიცხვისათვის $1 < k < m$ მატრიცა ფუნქციები $f^{(k)}{}_*$, $f_{(k)}{}^*$ აკმაყოფილებენ (a) პირობას, მაშინ

$$\ln D_n(f) = \frac{n}{2\pi}\int_{-\pi}^{\pi} \ln det f(\lambda)\, d\lambda + 0\sqrt{n}\ . \qquad (10)$$

ზემოთ მოყვანილი თეორემების დამტკიცება წარმოადგენს ჩვენს მიერ დატკიცებული თეორემების (იხ [4]) ანალოგს იმის გათვალისწინებით, რომ $M_n(f)$ მატრიცა წარმოადგენს ტეპლიცცის მატრიცას. ტეპლიცის დეტერმინანტის ასიმპტოტური ყოფაქცევის დადგენის აუცილებლობა წარმოიშვა სტაციონარული ვექტორული მიმდევრობების პროგნოზირების (ექსტრაპოლიაციის) ამოცანების შესწავლისას. კლასიკური შედეგები ამ მიმართულებით, მათ შორის საუკეთესო წრფივი პრფოგნოზის ცხადი სახით აგება, ეკუთვნით კოლმოგოროვს და ვინერს. სტაციონარული მიმდევრობის შემდგომი $X(0)$ მნიშვნელობის დადგენა წინა მნიშვნელობებით $X(-n), X(-n+1), \dots, X(-1)$ საუკეთესო წრფივი პრფოგნოზირების ამოცანაში პროგნოზის შეცდომა განისაზღვრება დეტერმინანტის $D_n(f)$-ის მეშვეობით.

ვინერმა და მაზანიმ დაადგინეს, რომ

$$\frac{1}{n}\ln D_n(f) \to \frac{1}{2\pi}\int_{-\pi}^{\pi} \ln det f(\lambda)\, d\lambda \ \text{ როცა } n \to \infty \qquad (11)$$

შემდგომში აღმოჩნდა, რომ ძალზე მნიშნელოვანია (9) ასიმტოტურ ფორმულაში კრებადობის რიგის დადგენა. სწორედ ამ საკითხის შესწავლას ეძღვნება ნაშრომი [4] რომელშიც მიღებულია (10) შეფასება.

სტაციონარული ვექტორული მიმდევრობების წრფივი პროგნოზირების ამოცანებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ მიმდევრობის ბაზისურობა მისსავე ჩაკეტილ წრფივ გარსში, ვინაიდან ამ პირობის შესრულების შემთხვევაში საუკეთესო წრფივი პროგნოზი მოცემული მიმდევრობისათვის აიგება ე.წ. მცოცავი ჯამის მეშვეობით. ამ ამოცანის გადაწყვეტაში არსებითი როლი ითამაშა სოლევის ნაშრომებში მიგნებულმა კავშირმა ტეპლიცის დეტერმინანტის დეტერმინანტის ასიმპტოტური ყოფაქცევას და ინფორმაციის რაოდენობის შეფასებას შორის, რომელსაც შეიცავს სტაციონარული მიმდევრობის „წარსული“ მისი „მომავლის“ მიმართ, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტაციონარული ვექტორული მიმდევრობის იზომეტრულ ჰილბერტის სივრცეში შესაძლებელი გახდა ქვესივრცეების გეომეტრიული თვისებების აღწერა ინფორმაციის ცნების სისტემატიური გამოყენებით [3].

რაც შეეხება (6) კვადრატულ ფორმის აპროქსიმაციას (8) კვადრატული ფორმით, ჩვენ მიერ [5] დადგენილია პირობები (მსგავსი ბაზისურობის კრიტერიუმში მონაწილე პირობებისა), რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს (1) სტაციონარული ვექტორული მიმდევრობის (2) სპექტრალური სიმკვრივე, როდესაც ადგილი აქვს შეფასებას

$$E(W_n - W_n^*)^2 = o\sqrt{n}. \qquad (12)$$

თეორემა 3. (ძირითადი თეორემა) ვთქვათ

$$X(n) = (x^1(n), (x^2(n), \dots, (x^m(n)),\ n = 0, \pm 1, \pm 2, \dots$$

გაუსის სტაციონარული ვექტორული მიმდევრობა, რომლის სპექტრალური სიმკვრივეა

$$f(\lambda) = (f_{ij}(\lambda)),\ i, j = 1, 2, \dots m.$$

წარმოადგენს ბაზისს თავისი წრფივი გარსის ჩაკეტვაში.

$Y(n) = (X(1), X(2), \dots, X(n))$ ვექტორის დასაჯერობის ფუნქციის ლოგარითმია

$$L_n = -\frac{1}{2}\{m.n.\ln 2\pi + \ln det M_n(f) + Y'(n).[M_n(f)]^{-1}.Y(n)\},$$

ხოლო

$$\overline{L_n} = -\frac{1}{2}\left\{m.n.\ln 2\pi + \frac{n}{2\pi}\int_{-\pi}^{\pi} \ln det f(\lambda)\, d\lambda + Y_n{}' M_n(f^{-1}) Y_n\right\}.$$

მაშინ $n^{-\frac{1}{2}}(L_n - \overline{L_n}) \to 0$ როცა $n \to \infty$.

ეს თეორემა მტკიცდება საკმაოდ მარტივად (10) და (12) შეფასებების გამოყენებით.

ლიტერატურა:

1. Джапаридзе К.О. Оценка параметров и проверка гипотез в спектральном анализе стационарных временных рядов. ТГУ, 1981.
2. Гиновян М.С Асимптотическое поведение теплицева определителя. Записки научных семинаров ЛОМИ, т. 98, 1980.
3. Солев В. Н., Церцвадзе К. А Условие базисности для стационарной векторной последовательности. Записки научных семинаров ЛОМИ, т. 166, 1980.
4. Церцвадзе К. А. Информационный оператор и асимптотическое поведение теплицева определителя. Записки научных семинаров ЛОМИ, т. 98, 1980.
5. Tsertsvadze K. A. On the approximation of the likelihood Function by vector analogous of the whittle statistics. New tends in probability statistics Volume 1. Proceeding of the Bakuriani Colloquium in Honor of Yu. Prokhorov, Bakuriani, Georgia USSR 24 February – 4 March. 1990 p. 644-651.

რეზიუმე

ნაპოვნია გაუსის სტაციონარული ვექტორული მიმდევრობისათვის დასაჯერებლობის ფუნქციის მარტივი აპროქსიმაცია; ამასთან, შეზღუდვები დადებულია ამ მიმდევრობის სპექტრულ სიმკვრივეზე.

APPROXIMATION OF CREDIBILITY FUNCTION FOR STATIONARY VECTORIAL SEQUENCY

Karlo Tsertsvadze, Full Professor

SUMMARY

In the article a simple approximation of likelihood function for Gausi's Vectoral stational Sequency is found. The limitations deal with the density of spectral Sequency.

ბიზნესი და მართვა
Business and Management

XXI საუკუნის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური პრობლემები და მათი როლი საქართველოს განვითარებაში

ხათუნა ბებნაძე, *ასოცირებული პროფესორი*

მსოფლიო ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ამის მიზეზი კი მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისია, რომელიც ყველაზე მძლავრია, რაც ბოლო 80 წლის მანძილზე (1928-1933 წწ. დიდი დეპრესიის შემდეგ) მომხდარა. თავისი ღირებულებით ეს კრიზისი ყველაზე ძვირადღირებული და ღრმაა, რაც კი კაცობრიობის ისტორიას ახსოვს.

ეკონომიკურ მეცნიერებაში საკმაოდ კარგად და სიღრმისეულადაა გამოკვლეული ეკონომიკური ციკლების ბუნება და, აქედან გამომდინარე, კრიზისების ანატომია. თუმცა ჯერჯერობით დაუდგენელია კრიზისების დროითი სიხშირე, რადგან მათი ცდომილების ინტერვალში რაიმე მკაფიო კანონზომიერება არ იკვეთება. ერთი რამ ფაქტია, მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებას თან სდევს გლობალური კრიზისები და მისი თავიდან აცილების ქმედითი პრევენციული ღონისძიებათა სისტემა ჯერჯერობით არაა დამუშავებული. ბოლო საუკუნეებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ქრონოლოგია მოკლედ ასე გამოიყურება:

1857 წელი – პირველი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მოიცვა აშშ, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები.

1871 წელი – მეორე მსოფლიო კრიზისი, უფრო ფინანსური კრიზისი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ლათინურ ამერიკაში და გავრცელდა აშშ–ში და ევროპაში.

1920 – 1922 წლები – კრიზისი დანიაში, იტალიაში, ფინეთში, ფოლანდიაში, აშშ–ში, დიდ ბრიტანეთში, თუმცა იგი მთელს მსოფლიოში არ გავრცელებულა.

1928 – 1933 წლები – დიდი მსოფლიო დეპრესია დაიწყო ნიუ–იორკის აქციების ბირჟაზე, რომელიც მოედო ევროპას და სხვა კონტინენტებს. ამ დროს გაუქმდა ოქროს სტანდარტი, მსოფლიოს 32 ქვეყანაში სამუშაო ადგილი დაკარგა 30 მილიონმა ადამიანმა, მარტო ამერიკაში – 14 მილიონმა.

1957 – 1959 წლები – ყველა განვითარებულ ქვეყანას მოედო ეკონომიკური კრიზისი, უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 10 მილიონი კაცით.

1973 წელი - კრიზისი დაიწყო აშშ–ში, გავრცელდა ევროპაში, იაპონიაში და ა.შ. ბარელი ნავთობის ფასი გაიზარდა 4–დან 12 დოლარამდე.

გარდა ამისა კრიზისების ისტორიაში ცნობილია მრავალი რეგიონული და სექტორული კრიზისი, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს ცალკეულ ქვეყნებს, ქვეყანათა ჯგუფებს, დარგებს, სფეროებს.

2008 წლის ერთ–ერთი მთავარი მოვლენა ფინანსური კრიზისი იყო, რომელიც შეერთებულ შტატებში დაიწყო და შემდეგ გლობალური მასშტაბი შეიძინა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა ყველაზე დიდი ეკონომიკური დაღმასვლა, კოლაფსი განიცადა მსოფლიოს წამყვანმა საფინანსო ინსტიტუტებმა. რაც დრო გადის, მით უფრო აშკარა ხდება ეკონომიკური კრიზისის გავლენა მსოფლიო განვითარებული ქვეყნების, პირველ რიგში კი აშშ–ს სახელმწიფო ინტერესებზე. ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ამ სახელმწიფოების პრიორიტეტების გადახედვა. როდესაც სახელმწიფო პრიორიტეტები იცვლება, ასევე იცვლება საშინაო და საგარეო პოლიტიკა. წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ცვლილება კი იწვევს მსოფლიო გეოპოლიტიკური სურათის შეცვლას.

გლობალური კრიზისის მიზეზები და ფაქტორები პრინციპში დიდად არ განსხვავდება წინა კრიზისისაგან, რომ არა ამ კრიზისის მასშტაბი და პრობლემები. კრიზისის გამომწვევი ფაქტორები კი შემდეგია:

1. გლობალური თამაში აღვირახსნილ ლიბერალიზმში, რამაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედ საფინანსო სისტემის წამყვან ბანკებს მიანიჭა შესაძლებლობა არასაბანკო სექტორებში შესულიყვნენ და ფაქტობრივად გაენადგურებინათ იქ მოღვაწე შესაბამისი პროფილის კომპანიები, რამაც ამ დარგების სრული ჩავარდნა გამოიწვია;

2. ბანკების მხრიდან წარმოებულმა ფართო საკრედიტო პოლიტიკამ ფაქტობრივად ვალებში ჩაფლო ყველა ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რაც მეორეს მხრივ, კრიზისის კვალობაზე მათ გადახდისუნარიანობას ზრდის და ამძიმებს საერთო ეკონომიკურ სიტუაციას;
3. შესაბამისი ქვეყნების საბანკო და საფინანსო ზედამხედველობის სამსახურების უუნარობა და უმოქმედობა აღკვეთა ბანკების არასაბანკო სექტორში მოღვაწეობამ;
4. საბანკო და საფინანსო დარგის მსხვილი მესაკუთრეების მოგებაზე ორიენტირებული მიზნების მისაღწევად მრავალი არაჯანსაღი სტრუქტურისა და ფიზიკურ პირზე სესხის გაცემა და დაფინანსება;
5. წინა საკრიზისო პერიოდში წარმოებულმა ლიბერალურმა ფულად–საკრედიტო პოლიტიკამ უაზროდ გააძვირა უძრავი ქონების ბაზარი და სამშენებლო–საფინანსო პირამიდების მომრავლება გამოიწვია, რამაც უკვე დამდგარ კრიზისის პირობებში ამ აქტივებში დაბანდებული ფულის ღირებულების კატასტროფული ვარდნა განაპირობა. ეს კი ყველაზე მძიმე საფინანსო–ეკონომიკური პრობლემაა, რაც თავს უახლოეს პერიოდში იჩენს.

ეკონომიკური კრიზისის კონტექსტში მნიშვნელოვანია ის გეოპოლიტიკური გარემო, სადაც საქართველომ თავისი ადგილი უნდა იპოვოს და შეინარჩუნოს სახელმწიფოებრიობა. საქართველოს სახელმწიფოს არსებობაზე რამდენიმე საგარეო ფაქტორი მოქმედებს, ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და რუსეთი. არსებობს კიდევ ორი ფაქტორი, რომლებზეც არ ლაპარაკობენ, მაგრამ მათი არსებობა აშკარად იგრძნობა – ესენია თურქეთი და ჩინეთი. აშკარაა, რომ კრიზისი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების ლიდერები თანხმდებიან ერთიანი სამოქმედო პროგრამის მიღებაზე, რომელიც შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი იქნება. მოცემული სიტუაციიდან თავის დასაღწევად კი აქტიური მუსაობაა ჩასატარებელი.

მნიშვნელოვანია გლობალური კრიზისის გავლენა მსოფლიოს წამყვან ქვეყანაზე – ამერიკის შეერთებულ შტატებზე. აშშ–ში ახალი ადმინისტრაციის არჩევნები დაემთხვა ეკონომიკურ კრიზისს. ამიტომ, როდესაც აშშ–ს ახალმა ადმინისტრაციამ ნაციონალური უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგინა, ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლას ისეთივე მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა, როგორც მაგალითად, შესაძლო მასიურ ტერორისტულ დარტყმას, მიმართულს ამერიკის წინააღმდეგ. აშშ–ს ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ) 3.8%-მდე შემცირდა. ეს ყველაზე დიდი და ღრმა შემცირებაა აშშ-ს ეკონომიკის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიაში; კერძო ინვესტიციების მოცულობა შემცირდა 570 მლრდ. აშშ დოლარით; ოფიციალურმა უმუშევრობამ 10%-ს შეადგინა, როდესაც სხვა პირობებში ის 4-5%-ის ტოლფასია. არაოფიციალური მონაცემებით კი უმუშევრობა – 15-17%-ს აღწევს; ეკონომიკური აქტივობის ასამაღლებლად აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ცენტრალური ბანკი) საპროცენტო განაკვეთი ნულამდე დასწია (5,5-დან 0,25%), თუმცა ამ რადიკალურმა ნაბიჯმა ვერ გამოიყვანა ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან; სრული სიმძლავრით ამოქმედდა აშშ-ს მთავარი რეზერვი – ამერიკული ვალუტის მასიური ემისია. ამის მიუხედავად, ინფლაცია ამ დრომდე დაბალია, რადგან მოსახლეობის სამომხმარებლო ინდექსი მკვეთრად დაეცა, ხოლო ფინანსური რესურსი მიმართულ იქნა არა ფართო ფენაზე, არამედ პრობლემატურ კომპანიებსა და დარგებში. ბიზნეს სექტორის დაცემის კვალობაზე მკვეთრად იმატა დეპოზიტების მოცულობამ. 2009 წელს დეპოზიტების მაჩვენებელმა მოსახლეობის ჯამური შემოსავლების 5,9%-ს მიაღწია, რაც ბოლო 17 წლის მაქსიმუმია. შესადარებლად – 2008 წელს ეს მაჩვენებელი 2,7% იყო. არსებული ეკონომიკური ვითარების გამო განხორციელდა ფასის ზრდა ისეთ საქონელზე, რომელიც ფულის შემცვლელია – ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი ლითონი.

ეკონომიკურმა კრიზისმა უკვე გამოიწვია ძლიერი სოციალური კრიზისი ბალტიისპირეთის ქვეყნებში. კრიზისის შედეგები ევროპისთვის გაცილებით მტკივნეული იყო, ვიდრე ამერიკისთვის. აშშ-სგან განსხვავებით, ევროპაში გაცილებით დიდია სახელმწიფოს როლი როგორც ეკონომიკაში, ასევე მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ეკონომიკურმა კრიზისმა შეიძლება ევროპას სერიოზული სოციალური პრობლემები მოუტანოს, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას, პროტესტს ან სხვა სახის არეულობას გამოიწვევს. ამას კარგად ხვდება ევროკავშირის თითოეული ქვეყანა და ცდილობს სოციალური უკმაყოფილება დამატებითი ფაქტორებით არ გაამძაფროს. ევროპაში წამყვან როლს გერმანია თამაშობს, როგორც ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი კოლექტიური მართვის ორგანოა და მის ყველა წევრს აქვს ხმის უფლება, გერმანიას მაინც ყველა ,,უსმენს“.

ევროკავშირმა მიიღო ახალი პროგრამა სახელწოდებით „აღმოსავლეთთან პარტნიორობის პროგრამა“, რომლის პირველი ვარიანტის ავტორები პოლონეთი და შვედეთი იყვნენ, რომლებმაც 2008 წელს შეიმუშავეს პროგრამის ძირითადი დებულებები. პროგრამის ძირითადი მიზანია დაეხმაროს უკრაინას, საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, მოლდოვას, ბელორუსს და შეამციროს მათზე რუსეთის გავლენა. პროგრამას ევროკავშირშიც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, პირველ რიგში გერმანია და საფრანგეთი, რომლებიც ,,რუსეთის გაღიზიანების“ წინააღმდეგნი იყვნენ. პროგრამის ეფექტურობაზე ლაპარაკი რთულია, რადგან ლოიალობისათვის რუსეთი გაცილებით მეტ ფულს ,,ახარჯებს“ თავის მომხრეებს. ამიტომ ამ პროგრამის ,,ხიბლი“ შეიძლება იყოს მხოლოდ მიმოსვლის უვიზო რეჟიმი და საქონლის თავისუფალი ბრუნვის საშუალება.

გერმანიისა და საფრანგეთის პოზიცია რუსეთის მიმართ გაცილებით უფრო ,,შემრიგებლურია“. რუსეთი გერმანიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სავაჭრო პართნიორია – 2008 წლის წინასწარი მონაცემებით ამ ორი ქვეყნის საქონელბრუნვა 57 მლრდ. ევრო იყო. გერმანია რუსეთიდან იღებს მთელი მოხმარებული გაზის 42%-ს და ნავთობის 34%-ს. გერმანია ყველაზე დიდი რეალური ინვესტორია რუსულ ეკონომიკაში. საფრანგეთიც ცდილობს ფეხი მოიკიდოს რუსულ ბაზარზე. 2008 წლის მონაცემებით საფრანგეთ–რუსეთის საქონელბრუნვამ 17,5 მლრდ. ევროს მიაღწია და 2005 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. საფრანგეთის პირდაპირი ინვესტიციები რუსეთში ამავე წელს 6,7 მლრდ. ევრო იყო. ფრანგული კომპანიები მონაწილეობენ ბუნებრივი აირის საბადოების დაზვერვისა და გაზის მოპოვების პროექტებში. ეკონომიკურმა კრიზისმა ამ პროექტის განხორციელება შეიძლება შეაფერხოს.

რუსეთი ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა იმ გეოპოლიტიკურ გარემოში, სადაც ჩვენ გვიწევს არსებობა. ამიტომ საჭიროა განხილულ იქნას ზოგადად მისი ინტერესები და გავითვალისწინოთ ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.

თანამედროვე ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ პროცესებში მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი გავლენა აქვს თურქეთს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა აქტიურად დაიწყო ეკონომიკური ექსპანსია როგორც ამიერკავკასიის ქვეყნებში (საქართველო, აზერბაიჯანი), ასევე ცენტრალური აზიის ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფოებში. თურქეთი ფრთხილ პოლიტიკას ეწევა, რომ არ გააღიზიანოს არც რუსეთი და არც ევროკავშირი. თუ თურქეთი რუსეთიდან მთელი მოხმარებული გაზის 67%-ს იღებს, ევროკავშირთან ,,ტკბილი დამოკიდებულება“ ძალიან სჭირდება, რომ გახდეს ამ კავშირის წევრი. რაც შეეხება პოლიტიკური ინტერესების სფეროს – თუ შუა აზიის ქვეყნებში რუსებს ძლიერი პოლიტიკური პოზიციები აქვთ, იმავე რეგიონში თურქეთის ეკონომიკური ზეგავლენა გაცილებით მაღალია. თურქმა ბიზნესმენებმა უამრავი საერთო საწარმო, მცირე თუ საშუალო ბიზნესი წამოიწყეს ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში. რაც შეეხება ამიერკავკასიის ქვეყნებს, თურქეთს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები აქვს აზერბაიჯანთან საქართველოსთან შედარებით და აპირებს ურთიერთობების აღდგენას სომხეთთან.

2008 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოსთვისაც. ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის აგრესიამ, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ქვეყნის ეკონომიკაზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინა. მართალია, მყისიერი ნეგატიური ზეგავლენა არ მომხდარა, და როგორც არაერთმა ექსპერტმა განაცხადა, ქვეყანამ ომს გაუძლო, თუმცა ნოემბრის ბოლოს კრიზისი უკვე აშკარა გახდა. მიუხედავად არაერთი განცხადებისა, რომ კრიზისული მდგომარეობა საქართველოში არც თუ ისე მაღალია, რადგანაც ქვეყანა არ არის დიდად ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკის ბაზარზე, ცხადია, რომ ეკონომიკური აქტივობა შენელდა, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპები საგრძნობლად დაეცა, რაც აისახა კიდეც 2009 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოსავლებზეც.

ეკონომიკური კრიზისი ყველაზე უფრო მეტად საფინანსო სექტორსა და სამშენებლო სექტორებს შეეხო. ფაქტიურად, 2008 წლის დასაწყისისათვის საბანკო სისტემის აქტივებმა 8 მილიარდს გადააჭარბა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ზე მეტია. სწორედ ამან გამოიწვია ის აჟიოტაჟი, რაც საბანკო სფეროში შექმნილ მდგომარეობას მოჰყვა, რადგან საბანკო სფეროში არსებულ მდგომარეობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. გარკვეულწილად აღსანიშნავია 2008 წლის ეროვნული ბანკის პოლიტიკა, რომელმაც ქვეყანას საბანკო კრიზისი მნიშვნელოვნად ააცილა.

2008 წლამდე ერთ-ერთი წარმატებული სფერო ქართულ ეკონომიკაში სამშენებლო საქტორი იყო. ისევე, როგორც საბანკო სფეროში, აქაც რთული ვითარება შეიქმნა. პრობლემები სამშენებლო ბაზარზე პირდაპირ კავშირშია ბანკების მიერ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან, რადგან მყიდველების უმეტესობა საქართველოში სწორედ იპოთეკური სესხებით სარგებლობდა. ფინანსური კრიზისის პარალელურად მთელ მსოფლიოში უძრავ ქონებაზე მოთხოვნა მცირდება, განსაკუთრებით ომის შემდეგ.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე. ინვესტორებს მთელი სახსრები მიმართული აქვთ იმისკენ, რომ შექმნილი მდგომარეობისაგან რაც შეიძლება მინიმალური ზარალი განიცადონ. აქედან გამომდინარე, საზღვარგარეთ ინვესტირების განხორციელებისაგან თავს იკავებენ. ინვესტიციების შემცირებაა სწორედ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 2009 წლის ქვეყნის ბიუჯეტი, 2008 წელთან შედარებით ერთი მილიარდით შემცირდა. გარდა კრიზისისა, უცხოელთა დაინტერესებაზე განეხორციელებინათ კაპიტალდაბანდება საქართველოში, გავლენა იქონია ომმა. ქვეყანაში, სადაც დიდია რისკები, საკმაოდ რთულია დააინტერესო ინვესტორი ასეთ ქვეყანაში კაპიტალდაბანდება განახორციელოს.

დღეისათვის კრიზისმა ყველაზე ძლიერი დარტყმა ეროვნულ ვალუტაზე ჰპოვა. 2008 წლის ნოემბრის დასაწყისში ლარის კურსმა საგრძნობლად იწყო კლება. 2007 წლის ბოლოს აშშ დოლარის ნომინალური გაცვლის ოფიციალური კურსი 1,5916 ლარს შეადგენდა. 2008 წელს გამყარება გაგრძელდა და ოქტომბერში 1 აშშ დოლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,89 ლარი შეადგინა. ფაქტიურად, ეროვნული ბანკი ხელოვნურად ცდილობდა კურსის გამყარებას აშშ დოლართან მიმართებაში, თუმცა ამ ხერხმა ვერ გაამართლა და საბოლოოდ ეროვნულმა ვალუტამ მკვეთრი ვარდნა განიცადა. საქართველოში ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი ხელისშემწყობი გარემოებაა პრივატიზების პროცესის შეჩერება. საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტების უმრავლესობა ან საერთოდ არ იყიდება, ან დაგეგმილზე გაცილებით მცირე ფასად. პრობლემები შეიქმნა უკვე ზოგიერთ შეთანხმებულ პრივატიზაციებზეც, რადგან ინვესტორთა უმეტესობა პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებას ერიდება.

ეკონომიკური კრიზისი აისახა ასევე პროდუქტების ფასებზე. საგრძნობლად მოიმატა ფასებმა სურსათზე და ყოველდღიური მოხმარების ნივთებზე, რამაც ასახვა ჰპოვა საარსებო მინიმუმზეც.

ამგვარ სიტუაციაში, უპირველეს ყოვლისა, მთავრობას ენიჭება მთავარი როლი, რადგან მისი უმოქმედობის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა შეიძლება განადგურდეს. აშკარაა, რომ კრიზისის პერიოდში მცირდება ინფლაცია, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეროვნულ ბანკს, რომ ბანკებზე საპროცენტო განაკვეთები შეამციროს. საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი 4,5 მილიარდი დოლარის გამოყენება მიზანმიმართულად უნდა წარიმართოს. სახელმწიფომ აქტიური დიალოგი უნდა აწარმოოს კერძო სექტორთან, რათა გამოავლინოს მისი განვითარების ხელის შემშლელი მიზეზები და დახმარება გაუწიოს მათ. ამის გარდა, ბანკებში აუცილებლად უნდა მოიხსნას ლიკვიდურობის პრობლემა და დაკრედიტება შეუზღუდავი გახდეს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დამატებითი ბაზრების მოძიებაზე, რაც ვაჭრობის მოცულობას გაზრდის.

დაბოლოს, საქართველომ ეკონომიკური კრიზისი რომ დაძლიოს, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური სტრატეგია, რომელიც კრიზისიდან გამოყვანის გზებსა და პროგრამას მოიცავს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ის საკანონმდებლო და ფინანსური გადაწყვეტილებები, რომელთა განხორციელება აუცილებელია ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. თ. ბასილაია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტკომუნისტური ტრანფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001.
2. ,,ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და საქართველო". საინფორმაციო ცნობა. თბილისი, 2002.
3. დ. კვარაცხელია, გლობალიზაცია და ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნული სისტემა, თბ. 2002.
4. ნ. ჭითანავა, სოციალური ეკონომიკა, თბ., 2006.
5. S. Panitchpakdi, Trade policies cannot work on their Supachai tells development seminar, WTO NEWS: SPEECHES – DG SVPACHAI PANITCHPAKOI, 2002.
6. World Economik Outlook, Economik and Finanual Surveys, IMF, 2002. Trade and Finance.
7. www. unctad. org;
8. www. wto. org;
9. www.guuam. org.
10. www. imf. org.

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ამის მიზეზი კი მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისია, რომელიც ყველაზე მძლავრია, რაც ბოლო 80 წლის მანძილზე (1928-1933 წწ. დიდი დეპრესიის შემდეგ) მომხდარა. თავისი ღირებულებით ეს კრიზისი ყველაზე ძვირადღირებული და ღრმაა, რაც კი კაცობრიობის ისტორიას ახსოვს.

ამგვარ სიტუაციაში, უპირველეს ყოვლისა, მთავრობას ენიჭება მთავარი როლი, რადგან მისი უმოქმედობის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა შეიძლება განადგურდეს. აშკარაა, რომ კრიზისის პერიოდში მცირდება ინფლაცია, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეროვნულ ბანკს, რომ ბანკებზე საპროცენტო განაკვეთები შეამციროს. საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი 4,5 მილიარდი დოლარის გამოყენება მიზანმიმართულად უნდა წარიმართოს. სახელმწიფომ აქტიური დიალოგი უნდა აწარმოოს კერძო სექტორთან, რაჭა გამოავლინოს მისი განვითარების ხელის შემშლელი მიზეზები და დახმარება გაუწიოს მათ. ამის გარდა, ბანკებში აუცილებლად უნდა მოიხსნას ლიკვიდურობის პრობლემა და დაკრედიტება შეუზღუდავი გახდეს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დამატებითი ბაზრების მოძიებაზე, რაც ვაჭრობის მოცულობას გაზრდის.

დაბოლოს, საქართველომ ეკონომიკური კრიზისი რომ დაძლიოს, აუცილებელია შეიქმნას სპეციალური სტრატეგია, რომელიც კრიზისიდან გამოყვანის გზებსა და პროგრამას მოიცავს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ის საკანონმდებლო და ფინანსური გადაწყვეტილებები, რომელთა განხორციელება აუცილებელია ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

ECONOMIC AND GEOPOLITICAL PROBLEMS OF THE XXI CENTURY AND THEIR ROLE IN THE DEVELOPMENT OF GEORGIA

Khatuna Bebnadze, Associate Professor

SUMMARY

The global economics is now in a very difficult situation. The cause of this is the World economic crisis which is the most powerful that has ever happened during last 80 years (after the great depression of 1928-1933). By its absolute value this crisis is the most expensive and deepest that the History of Humankind has ever seen.

In such a situation, above all, the government is assigned the chief role, as in the case of its failure to act the economy of the country can be annihilated. It is obvious that during the period of crisis inflation gets decreased, which, in its turn, shall support the National Bank to decrease rates on the banks. The use of 4.5 billion dollars, allotted by the donors, should be directed purposefully. The State must maintain active dialogue with the private sector in order to reveal factors impeding its development and to provide assistance for them. Apart from these, in the banks there must be overcome the problem of liquidity and crediting must become unlimited. The State must take care in order to find additional markets, thus increasing the overall volume of trade.

Lastly, in order that Georgia could be able to overcome the economic crisis it is necessary to create a special strategy which would encompass the ways of leaving the crisis and the program which would describe in details those legislative and financial decisions that need to be implemented in order to achieve economic stability.

ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების აუცილებლობა საქართველოში

ლია ბიბილაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

ბუნებრივ მონოპოლიებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში. მას განაპირობებს მათი ნიშან-თვისებები და ის სპეციფიკური როლი, რომელსაც ისინი რეალურ ცხოვრებაში ასრულებენ. ბუნებრივი მონოპოლიების პრობლემა, კიდევ უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც კაპიტალის,

საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალისა და იდეათა ნაკადების გაფართოებით, სულ უფრო ღრმავდება მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი. იმისათვის, რომ რადიკალურად გავაუმჯობესოთ საქართველოს ეკონომიკაში ბუნებრივი მონოპოლიების, მათ შორის ენერგეტიკის საწარმოთა საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობა, აუცილებელია საკითხის არსში კარგად გარკვევა და ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების საქმეში უცხოეთის მოწინავე გამოცდილების გამოყენების მიზნით თეორიული შესაძლებლობების ნათლად წარმოდგენა.

„ბუნებრივი მონოპოლიის“ ცნება პირველად 1838 წელს ფრანგმა მათემატიკოსმა, ეკონომისტმა და ფილოსოფოსმა ა. კურნომ გამოიყენა. გამოკვლევა ეხებოდა ბუნებრივი რესურსების გამოყენების კონტროლის დადგენის საკითხს.

მონოპოლია ყალიბდება ან კონკრეტულ ბრძოლაში, ან სახელმწიფოს მხრიდან პროტექციონისტულ ბრძოლაში, ანუ ხელოვნურად. იგი ხელოვნურ მონოპოლიას წარმოადგენს. ბუნებრივი მონოპოლია მონოპოლიის ისეთი სახეა, რომლის გარეშე რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიღწევა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მონოპოლია ბუნებრივად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, ყალიბდება. ამას მის მიერ წარმოებული პროდუქცია ან მომსახურების ბუნება განაპირობებს.

ბუნებრივი მონოპოლიის მაგალითად გამოდგება ინფრასტრუქტურის დარგები: ენერგეტიკა, წყალმომარაგება, ტელეკომუნიკაციები, სარკინიგზო ტრანსპორტი და სხვ.

ნებისმიერი სფერო, რომელიც თეორიულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბუნებრივ მონოპოლიად, სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების შემთხვევაში ბევრად უფრო ეფექტიანად და ხარისხიანად აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს, ვიდრე დერეგულაციის შემთხვევაში. ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების მთავარი მიზანი მონოპოლიურად მაღალი ფასებისა და ცუდი სერვისისაგან მომხმარებელთა დაცვაა.

რეგულირება სხვა არაფერია, თუ არა საჭირო მიზნის მიღწევისათვის გარკვეული წესრიგის დადგენა. ეკონომიკის რეგულირება კი გულისხმობს სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების მხრივ ეკონომიკაზე ისეთ ზემოქმედებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მიმდინარე პროცესის გარკვეულ დონეზე მიღწევა-შენარჩუნება. ცენტრალიზებულ ეკონომიკაში ეს, უპირატესად დირექტიული, ხოლო საბაზრო ეკონომიკაში, ძირითადად მისივე მექანიზმების გამოყენებით ხდება.

ბუნებრივი მონოპოლიის დარგები საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციისა და მომსახურების მიმწოდებლებია და მათ გამართულ ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე, ჯანმრთელობა, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება და ა.შ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მათი ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა ანუ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საბოლოო მომხმარებლამდე მაღალხარისხიანი მიწოდების უზრუნველყოფა.

ცნობილია, რომ ენერგიით, პირველ რიგში, ელექტროენერგიით საიმედო და ხარისხიანი უზრუნველყოფა საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია და, აქედან გამომდინარე, მას სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. ამ საქმის მხოლოდ საბაზრო ურთიერთობათა იმედზე მიტოვება არ შეიძლება, რადგან ეს დარგი ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს, სადაც კონკურენცია ძირითადად შეზღუდულია. ასეთ პირობებში სწორედ ეკონომიკური რეგულირება ენაცვლება კონკურენციას. დაცვა ესაჭიროება ელექტროენერგიის როგორც მომხმარებლებს, ისე მწარმოებლებს. განსაკუთრებით ეს ეხება ელექტროენერგიის ტარიფებსა და მომსახურების ხარისხს. ორივე შემთხვევაში რეგულირება ემსგავსება საბაზრო ქცევებს, თითქოს ადგილი ჰქონდეს კონკურენციას.

საუკუნეზე მეტი ხნის პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საუკეთესო შედეგის მიღწევა, ანუ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციითა და მომსახურებით მომხმარებელთა მოთხოვნილების ყველაზე ეფექტიანი დაკმაყოფილება კონკურენციული და მონოპოლიური გარემოს გონივრული შეხამებით მიიღწევა; ასეთი შეხამება კი სახელმწიფოს აქტიური ჩარევის, ანუ რეგულირების გარეშე შეუძლებელია.

ბუნებრივი მონოპოლიის დარგების, კერძოდ, ელექტროენერგეტიკის რეგულირების პირველი პრეცედენტი აშშ-ში შეიქმნა XIX საუკუნის ბოლოს. ამჟამად აშშ-ში „ბუნებრივი მონოპოლიების“ სახელწოდებით კომისიები არსებობენ როდ აილენდის (1885 წ.), ოჰაიოს (1867წ.), კალიფორნიის (1911წ), ჰავაის (1913წ.) და ა.შ. შტატებში. ამავე დასახელების კომისიებია ყაზახეთსა და სომხეთში.

ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება თანამედროვე მსოფლიოში მარეგულირებელი ორგანოების (კომისიების) მეშვეობით ხდება. ჩვენთან ამ ორგანიზაციების ეფექტიანი საქმიანობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია.

კომპანიას სურს, რომ ტარიფი რაც შეიძლება მაღალი იყოს, ხოლო მომხმარებლის ინტერესებშია მისი მინიმუმამდე შემცირება. მარეგულირებელმა ორგანომ კი უნდა შეძლოს მხარეთა ინტერესების სწორი დაბალანსება, არ უნდა დაზიანდეს არც ერთი მხარის მოთხოვნები. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ტარიფების ნებისმიერი შემცირება ყოველთვის როდია ხელსაყრელი საზოგადოებისათვის. ამით შეიძლება საპირისპირო შედეგები მივიღოთ – თანდათან შემცირდეს დარგის ეფექტიანობა და საბოლოოდ შეიძლება დაინგრეს კიდეც.

ერთ-ერთი პირველი და ძირითადი საკითხი რეგულირების სფეროში მარეგულირე-ბელ ორგანოთა დამოუკიდებლობაა. მარეგულირებელი ორგანო დაცული უნდა იყოს იმათგან, ვის რეგულირებასაც იგი ახორციელებს, აგრეთვე დაცული უნდა იყოს პოლიტიკური ზეგავლენისაგან. მას უნდა ჰქონდეს სრული უფლებამოსილება არეგულიროს კანონის შესაბამისად მისი რეგულირების არეალში მოქცეული დარგები.

მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა საჭიროა არა ხელისუფლების მოსაზრებებისა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებების მისაღებად, არამედ ბაზრის ეფექტიანი და სამართლიანი რეგულირების განსახორციელებლად. რეგულირების ეფექტიანობა განისაზღვრება არა პოლიტიკის შემქმნელებისაგან მარეგულირებლის გამიჯვნის ხარისხით, არამედ ბაზარზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, ფასების გონივრულობითა და, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარისხის ამაღლებით.

საქართველოს ენერგეტიკის დამოუკიდებელი რეგულირება 1997 წლიდან ხორციელდება. **სემეკი** ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების პირველი ორგანოა ქვეყანაში. თავდაპირველად იგი ელექტროენერგეტიკას არეგულირებდა, ხოლო 1999 წლიდან მას დამატებით ბუნებრივი გაზის რეგულირების ფუნქციაც მიენიჭა. 2007 წლის 20 ნოემბერს კი საქართველოს პარლამენტმა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანა დამატებები და ცვლილებები, რომელთა მიხედვით კომისიას კიდევ ერთი ფუნქცია – წყალმომარაგების რეგულირების მოვალეობა დაეკისრა. ამჯერად მას **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია** ეწოდება.

არსებული გამოცდილების საფუძველზე საქართველოში შეიქმნა აგრეთვე კომუნიკაციებისა და სხვა მარეგულირებელი კომისიები.

სემეკს საშუალება მიეცა, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, პირველად საქართველოში, აემოქმედებინა ისეთი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები, როგორიცაა: ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში ყველა ტარიფის დადგენისა და რეგულირების მეთოდოლოგიები; სალიცენზიო და სატარიფო განაცხადების მიღებისა და განხილვის წესები; ლიცენზიების გაცემის, მოდიფიცირების, შეჩერებისა და გაუქმების წესები და პირობები; სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესები; ელექტროენერგიის ბაზრის წესები; ელექტროენერგიის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის პირდაპირი ხელშეკრულების რეგულირების წესები; ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები; აღურიცხავი ელექტროენერგიის დარიცხვის მეთოდიკა და ფიქსირებული გადასახადის მიხედვით მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის წესი და მრავალი სხვა.

ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიური საფუძველია ენერგიის წარმოებასა და მიწოდებაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურება. იგი ემყარება ,,ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ'' საქართველოს კანონს და სატარიფო მეთოდოლოგიას, ითვალისწინებს საერთაშორისო პრაკტიკაში აღიარებულ პრინციპებს.

ცნობილია, რომ საწყის ეტაპზე საქართველოში ტარიფის ზრდა მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. დიდი იყო იმპორტული ენერგორესურსების შემოტანა.

იმპორტზე დამოკიდებულების პირობებში კი დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგოპროდუქციის მომჭირნე მოხმარებას. ცხადია, დაბალი ფასი ვერ იქნება მომჭირნე მოხმარების სტიმული, მაღალი ფასი კი მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობის ხელმოკლე ფენებს. ეს საკითხი

განსაკუთრებით მწვავედ დადგა ელექტროენერგიის მოხმარების სფეროში, სადაც ტარიფები ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას. პრობლემის გადასაწყვეტად მოსახლეობას დაუწესდა დიფერენცირებული ტარიფები.

ამრიგად, ჯერ ერთი, ელექტროენერგიის საფასურის გადახდაში გარკვეული შეღავათი გაეწია სოციალურად დაუცველ ფენებს; მეორე, სტიმული მიეცა ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერგიის დეფიციტის პირობებში და მესამე, ყოველივე ეს გაკეთდა ისე, რომ ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიის საერთო შემოსავლები არ შემცირებულა. ე.წ. „მდიდრების“ ხარჯზე მოხდა ე.წ. „ღარიბებისაგან“ შეძენილი ელექტროენერგიის საფასურის დაფინანსება. ცალკე საკითხია, რამდენად საკმარისად მოხდა ტარიფში მოსახლეობის ხელმოკლე ფენების ინტერესების დაცვა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „საფეხურებრივი“ ტარიფების შემოღება პირველი ეტაპისათვის უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეგულირების წარმატების ერთ-ერთი კრიტერიუმია მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება. ამჟამად საქართველოში საშუალო საცალო ფასები ბაზარზე გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე რეგულირებად პროდუქციაზე.

ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების არარსებობის შემთხვევაში დარგში დამკვიდრდებოდა არასტაბილურობა და ქაოსი, მწარმოებელთა და მომხმარებელთა უკმაყოფილება, ენერგეტიკულ სტრუქტურებს შორის უფლება-მოვალეობათა, აგრეთვე მესაკუთრის ოპერატიულ-სამეურნეო და მარეგულირებელ ფუნქციათა აღრევა; შემცირდებოდა კაპიტალის ნაკადი ენერგეტიკული რესურსების შეძენისა და დარგში ინვესტიციების განხორციელებისათვის, დაეცემოდა სამართლიანობის რწმენა. სახელმწიფო რეგულირების გარეშე ტარიფის ზრდა გაცილებით დიდი იქნებოდა. ქვეყანაში ენერგიის მწვავე დეფიციტს ბაზარი უთუოდ უპასუხებდა ტარიფის უფრო მკვეთრი მატებით, უფრო ძნელი იქნებოდა მაღალი ტარიფისაკენ კომპანიათა სწრაფვის მოთოკვა.

ლიტერატურა:

1. ერისთავი ც., ჩომახიძე დ., ცინცაძე პ., ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები, წიგნი I, თბ., 2000 წ.
2. თავაძე გ., ჩომახიძე დ., ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება, თბ., 2005 წ.
3. თავაძე გ. ქავთარაძე ი. და სხვ. ნერგეტიკოს რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბ. 2006 წ.
4. „სოციალური ეკონომიკა" №1, 2009 წ.

რეზიუმე

სტატიაში ანალიზი უკეთდება საქართველოში ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების 12—წლიან გამოცდილებას. საქართველო მესამე ქვეყანაა, უკრაინისა და რუსეთის შემდეგ, სადაც 1997 წელს შეიქმნა ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია. მტკიცდება აუცილებლობა შეიქმნას შესაფერისი ორგანოები ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში.

NECESSITY OF REGULATION OF NATURAL MONOPOLIES IN GEORGIA

Lia Bibilashvili, Associate Professor

RESUME

12 years Georgian experience of regulation of natural monopolies is analyzed in this article. Georgia is the third country after Ukraine and Russia, where the regulating commission of energetics was created in 1997. It is being proved the necessity of creating suitable organizations in the sphere of natural monopolies.

ღვინის ბიზნესის წარმოების პერსპექტივები და საფრთხეები საქართველოში

დავით ბიძინაშვილი, *სრული პროფესორი*

ღვინის ბიზნესი, მოგეხსენებათ, უამრავ საუკუნეს ითვლის. ღვინო ერთ-ერთი უძველესი პროდუქტია, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის საგნად იქცა. ათასწლეულების განმავლობაში იმ კრიტერიუმების რაოდენობა, რომლის მიხედვითაც ღვინის სიკარგე ფასდებოდა, საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო. უმთავრესი ამ საქმეში მომხმარებლის გემოვნების ცოდნა გახლდათ – რომელიღაც ერში შეიძლებოდა მშრალი ღვინოები ყოფილიყო პოპულარული და მიღებული, სხვაში – ტკბილი. გემრიელი ღვინო, მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის სწორი გამოყენება სულ ესაა, რაც საჭირო იყო წარმატებული ღვინის ბიზნესისთვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2009 წლიდან 2010 წლის ჩათვლით ღვინის ექსპორტის სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. გაყიდვების საერთო მაჩვენებელი 40%-ით გაიზარდა და 10,1 მილიონ ბოთლს მიაღწია. ქართველ მეღვინეთათვის გასაღების მთავარი საგარეო ბაზარი კვლავ უკრაინაა – მასზე მოდის მთლიანი ექსპორტის 52%, შემდეგ კი მოდის ყაზახეთი და ბელარუსი. სამინისტროში განაცხადეს, რომ დღეს მთავარი აქცენტი ქართული ღვინოს თურქულ ბაზარზე გასატანად კეთდება. მიმდინარე წლისთვის თურქეთში დაახლოებით 1 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტი იგეგმება.

დღეისათვის ბევრი რამ შეიცვალა. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ ძირითადი მოთხოვნები აღარ არსებობს, უფრო პირიქით, მათ მეტი ყურადღებაც კი ექცევათ. ამასთან ერთად, ოცდამეერთე საუკუნემ ახალი გამოწვევები, ახალი საფიქრალი მოიტანა. ღვინის გემოსა და ხარისხის გარდა, მომხმარებელს სულ უფრო მეტად აინტერესებს, რამდენად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის პროდუქტი, რომელსაც ყიდულობს. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კი ეკოსისტემის ფაქტორს შეეხო, რის გამოც ძალიან მნიშვნელოვანია იმის დამტკიცება, რომ ღვინო ეკოლოგიური წესების დაცვით, ჯანსაღ გარემოში იწარმოება.

ამ ყველაფერთან ერთად, ინდუსტრიულმა პროგრესმა საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან განვითარებას შეუწყო ხელი. 20-30 წლის წინ ღვინის ინდუსტრიაში რევოლუციური ცვლილებები მოხდა – ბაზარზე გამოჩნდა ავსტრალიის, ჩილეს, სამხრეთ აფრიკის ღვინოები. ამ პროცესებმა კონკურენცია ბაზარზე ათჯერ და ასჯერ გაზარდა. შესაბამისად, ერთი და იმავე გემოსა და ხარისხის პროდუქტებს შორის ის არის გაყიდვადი და შესაბამისად წარმატებულიც, რომელიც კარგი მარკეტოლოგისა და PR კომპანიის ხელშია. თუმცა სწორი სარეკლამო კამპანიისა და მიმზიდველი ეტიკეტის შესაქმნელად საჭიროა მნიშვნელოვან ცოდნას ფლობდე იმის შესახებ, თუ რა ფუნდამენტური მოტივაცია იმალება მომხმარებლის არჩევნის უკან. როგორც გაირკვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო პრიორიტეტული ხდება, არ არის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა, რაც ადამიანს პროდუქტის შეძენისკენ უბიძგებს. ბოლო ხანებში მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანი რომელიმე ღვინოს უპირატესობას საკუთარი გენეტიკური წარმოშობიდან გამომდინარე ანიჭებს, ამიტომ ყურადღებითაა შესასწავლი ბიოლოგიასა და გემოსა და სუნის აღქმადობას შორის არსებული კავშირი. ის, ვინც ამ ცოდნას მიზანმიმართულად გამოიყენებს, შეძლებს სხვა კომპანიებზე მეტად წარმატებული ღვინის ბიზნესის წარმოებას.

აღსანიშნავია, რომ სენსორული მეცნიერების სფერო ერთ-ერთი ყველაზე რთული და ახალგაზრდაა. მთავარი, რისი გათვალისწინებაც სენსორული ანალიზის დროს ხდება არის ის, რომ პირადი გემოვნებისა და მისწრაფებების გარდა, ადამიანის არჩევანს საფუძვლად მისივე გენეტიკა უდევს, რაც თავის მხრივ ნეირობიოლოგიასთანაა კავშირში. გარკვეული ხალხების გენი განაპირობებს მათ მიერ ღვინის გემოსა და ხარისხის სუბიექტურ აღქმადობას, რაც ოლფაქტორული რეცეპტორების დამსახურებაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯერ კიდევ მეცნიერების დაკვირვების საგანია, ისინი ერთ რამეში თანხმდებიან – არსებობს ძალიან ძლიერი კავშირი სუნის აღქმადობასა და მის შედეგად წარმოქმნილ ემოციას შორის. სწორედ პირველი განსაზღვრავს რამდენად სასიამოვნო თუ უსიამოვნო ემოცია წარმოიშობა ღვინის დაყნოსვის შედეგად, რის შემდეგაც პროდუქტის რეალურ ხარისხს აღარც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, ისეთი გენეტიკური ფაქტორების ნაირსახეობა, როგორიცაა ადამიანებში ალდეჰიდ დეჰიდროგენაზის (ფერმენტების ჯგუფი, რომელიც ალდეჰიდების სიმჟავის

კატალიზირებას ახდენს და მნიშვნელოვნად მოქმედებს ორგანიზმიდან ალკოჰოლის გამოდევნაში) გენოტიპი, გადამწყვეტ გავლენას ახდენს უპირატესობის მინიჭება-არმინიჭების საქმეში.

ამ ყველა ფაქტორთან ერთად, არსებობს გარემოება, რომელმაც შესაძლოა მთლიანად შეცვალოს არა მხოლოდ გაყიდვების, არამედ, ზოგადად, მევენახეობა-მეღვინეობის მომავალი საკმაოდ ახლო პერსპექტივაში. ალბათ მიხვდით, საუბარი კლიმატურ ცვლილებებზეა. ეს, ერთი შეხედვით უკვე მობეზრებული და ხმაურიანი თემა, რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება. საქმე მარტივადაა: ღვინის მწარმოებლებმა შესაძლოა მრავალგვარი სტრატეგია დასახონ ბიზნესის განვითარებისათვის, გაერკვნენ ნეირობიოლოგიის ურთულეს მეცნიერულ კვლევებში, გაიღონ უზარმაზარი თანხები მარკეტოლოგებისა და ბრენდ მენეჯერების მომსახურებაში, მაგრამ ვერ შექმნან მთავარი, ანუ ის, რის გასაყიდადაც ამხელა შრომის გაწევა ხდება – ღვინო. უწინ თავადაც შეიძლებოდა მეფიქრა, ეს ძალიან ხმამაღალი განცხადებაა-მეთქი, თუმცა გავეცანი რა საკმაოდ დიდ მასალას კლიმატური ცვლილებებისა და მეღვინეობის კავშირზე, აზრის შეცვლა მომიწია.

ვაზი ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე მცენარეა ტემპერატურის ცვლილებების მიმართ. „სწორედ საშუალო ტემპერატურაზეა დამოკიდებული დამწიფების პერიოდში მყოფი ყურძნის ქიმიური შემადგენლობა და ისიც, როგორი ღვინო დაიწურება მისგან. საშუალოზე თბილ სეზონზე გაზრდილ ყურძენში მეტი შაქარია და ნაკლები ორგანული მჟავები. ეს კი ძალიან დიდ გავლენას ახდენს ღვინის გემოზე," – ამბობს ჰანც შულცი, გაიზენჰაიმის მეღვინეობის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი. ასეთი ყურძნისაგან მართლაც განსხვავებული ღვინო იწურება, ზედმეტად ტკბილი და არასაკმარისად არომატული. შულცი იხსენებს, რომ 30 წლის წინ, მოზელის ხეობაში, სადაც ის გაიზარდა, მეღვინეების მთავარი პრობლემა ის იყო, რომ გრილი კლიმატი სასმელის მაღალ მჟავიანობას განაპირობებდა. დღეს სიტუაცია იმდენად შეიცვალა, რომ ხელოვნურად მჟავიანობის აწევაზე უწევთ ზრუნვა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედმეტად ტკბილი ყურძენი ალკოჰოლის შემცველობას ზრდის. იტალიაში ღვინო, რომელშიც ალკოჰოლმა 13 გრადუსს გადააჭარბა, პირველად მხოლოდ 1981 წელს დააყენეს. 1997 წლიდან კი ალკოჰოლოს შემცველობა 14 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოსულა. ინტოქსიკაციის ეფექტის გაზრდის შედეგად, ზედმეტმა ალკოჰოლმა იტალიურ ღვინოს გემო და არომატი შეუცვალა - ტკბილი და ნაკლებ კომპლექსური, ანუ ერთფეროვანი და მდარე გახადა. ეს ყველაფერი, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, კლიმატის დათბობამ გამოიწვია.

სწავლულებმა აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით 2003 წლიდან დაიწყეს. სწორედ ამ წელს ევროპაში ყურძნის მოსავალი აგვისტოში აიღეს და არა როგორც ყოველთვის – სექტემბერში. ასეთი რამ 1370 წლის შემდეგ არ მომხდარა. ასეთი ცვლილებები უკვალოდ არ რჩება და ღვინოზეც შესაბამისად აისახება. როდესაც ღვინის სკოლა ,,ენოტრის" მასწავლებელი, ალექსანდრე ხატიაშვილი 2003 წელს იხსენებს (ის იმ დროს საფრანგეთში მივლინებით იყო ჩასული), აღნიშნავს, რომ მაშინდელი ღვინო უცნაურ თვისებებს ავლენდა და სპეციალისტებსაც კი უჭირდათ წინასწარ იმის თქმა, თუ რა გემოს მიიღებდა ის საბოლოოდ.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ხშირმა ანომალიურმა მოსავალმა ექსპერტები ღვინის მომავალზე დააფიქრა. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლისთვის ცვლილებები ჯერჯერობით არც ისე შესამჩნევია, კიდევ ოდნავი დათბობის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ღვინოებმა მათთვის დამახასიათებელი არომატი და თვისებები დაკარგონ.

რაც შეეხება ზუსტ ციფრებს, 1950 წლიდან 1999 წლამდე ჩვენს პლანეტაზე მევენახეობის რეგიონებში საშუალო ტემპერატურამ 1,26 გრადუსით აიწია. ეს კი უკვე საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. ბოლო წლებში ამით მეღვინეობის სექტორმა მხოლოდ მოგება ნახა – დათბობამ ზოგადად ძალიან გაუმჯობესა ყურძნის ხარისხი (ეს შეიძლება 100 ბალიან შკალაზე დაახლოებით 13 ქულით შეფასდეს). სწორედ ამის გამო, ბოლო ხანებში ხშირად იწერებოდა, რომ დათბობის პროცესი სასარგებლოა მეღვინეობისთვის. ეს საკმაოდ ზედაპირული აზრია. შემდეგი 50 წლის განმავლობაში მოსალოდნელია საშუალო ტემპერატურის აწევა კიდევ ორი გრადუსით, რასაც უკვე არც ისე დადებითი შედეგები მოჰყვება. თუმცა, იმასაც გააჩნია, თუ პლანეტის რომელ რეგიონზე ვსაუბროთ. დათბობა სასიკეთოდ იმოქმედებს ისეთ ქვეყნებზე, რომლებიც მევენახეობისთვის არც ისე კარგ ადგილებად ითვლებოდა. ეს ცვლილება უკვე შეეხო გერმანიასა და კანადას, დანია და დიდი ბრიტანეთი კი, რომლებშიც მევენახეობისთვის ერთობ მარგინალური კლიმატი ბატონობდა, უკვე იწყებენ საკმაოდ კარგი ღვინოების წარმოებას. ამ შესანიშნავი ამბების პარალელურად, რონის ხეობაში ტემპერატურა ოთხი გრადუსითაა მომატებული და თუ დათბობის ტემპი შენარჩუნდა, ცნობილი ფრანგული ღვინოები უბრალოდ გაქრება და მათ სხვა ტიპისა და გემოს (რომელიც უწინდელივით კარგი არ იქნება) სასმელი ჩაანაცვლებს.

სავარაუდოდ, ეს შეიძლება დაემუქროს ქართულ ღვინოსაც, ვინაიდან კავკასიაში დათბობის ტემპი არცთუ დიდად ჩამორჩება ევროპაში მიმდინარე პროცესებს.

ეს ყველაფერი იმის საფუძველს იძლევა, რომ ღვინის მეწარმეები და, ზოგადად, ის სახელმწიფოები, რომელთა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მევენახეობა წარმოადგენს, სერიოზულად დაფიქრდნენ მომავალ წლებში მოსალოდნელ ცვლილებებზე. იმ თბილი ქვეყნების ინტერესებში, რომლებიც დათბობის ზონაში იმყოფებიან, ნამდვილად შედის ის, რომ მხარი დაუჭირონ გლობალური დათბობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. ამით მეღვინეობის დარგსაც უწინდელი სახე შეუნარჩუნდება და თავიდან იქნება აცილებილი მომავალი პერსპექტივების დასახვა თვალებახვეულ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, ტექნოლოგიები ვითარდება და უკვე არსებობს მეთოდები, რომელიც შეიძლება სასმელში ალკოჰოლის დონის დასაწევად იქნას გამოყენებული. თუმცა ტრადიციულ, ავთენტურ გემოსა და არომატს ხელოვნურად ვერ შექმნი. გენური ინჟინერიის დახმარებით ახალი, სითბოსადმი ადაპტირებული ვაზის ჯიშების გამოყვანაც, მართალია პრაქტიკულად ჟღერს, მაგრამ ეს ნაბიჯი სრულიად ახალი სტილის ღვინოების გაჩენისკენაა გადადგმული და არც გენმოდიციფირებული პროდუქტის სრული უვნებლობა დაუდგენია ვინმეს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საუკეთესო გამოსავალი მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა და სწორი ეკოლოგიური პოლიტიკის მიღებაა არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო დონეზე. სოფლის მეურნეობა სათბურის აირების (რომლებიც ატმოსფეროს სათბურის ეფექტს განაპირობებენ) წარმოქმნის მხოლოდ 8-10% წილზეა პასუხისმგებელი, დანარჩენი სხვა ტიპის მრეწველობასა და ადამიანის საქმიანობაზე მოდის. ვფიქრობ, ღვინის ინდუსტრიას საკმარისი მოტივი გააჩნია იმისათვის, რომ ადვოკატად დაუდგეს იმ ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ მოძრაობებს, რომელთა მიზანი კლიმატური ცვლილებების შეჩერებას ემსახურება.

ლიტერატურა:

1. www.maf.ge
2. www.statisics.ge
3. www.mof.ge
4. პ. კოღუაშვილი, საქართველო ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ,,ინოვაცია“, თბ., 2009
5. ი. ელიავა, გ. ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია - ეკოლოგიის საუძვლები, მეორე გამოცემა, თსუ. თბილისი, 2009

რეზიუმე

ღვინის ბიზნესი, მოგეხსენებათ, უამრავ საუკუნეს ითვლის. ღვინო ერთ-ერთი უძველესი პროდუქტია, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის საგნად იქცა. ათასწლეულების განმავლობაში იმ კრიტერიუმების რაოდენობა, რომლის მიხედვითაც ღვინის სიკარგე ფასდებოდა, საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო. უმთავრესი ამ საქმეში მომხმარებლის გემოვნების ცოდნა გახლდათ – რომელიღაც ერში შეიძლებოდა მშრალი ღვინოები ყოფილიყო პოპულარული და მიღებული, სხვაში – ტკბილი. გემრიელი ღვინო, მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის სწორი გამოყენება სულ ესაა, რაც საჭირო იყო წარმატებული ღვინის ბიზნესისთვის.

დღეისათვის ბევრი რამ შეიცვალა. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ ძირითადი მოთხოვნები აღარ არსებობს, უფრო პირიქით, მათ მეტი ყურადღებაც კი ექცევათ. ამასთან ერთად, ოცდამეერთე საუკუნემ ახალი გამოწვევები, ახალი საფიქრალი მოიტანა. ღვინის გემოსა და ხარისხის გარდა, მომხმარებელს სულ უფრო მეტად აინტერესებს, რამდენად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის პროდუქტი, რომელსაც ყიდულობს. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კი ეკოსისტემის ფაქტორს შეეხო, რის გამოც ძალიან მნიშვნელოვანია იმის დამტკიცება, რომ ღვინო ეკოლოგიური წესების დაცვით, ჯანსაღ გარემოში იწარმოება.

WINE BUSINESS PROSPECTS AND DANGERS IN GEORGIA

Davit Bidzinashvili, Full Professor

REZUME

As you know, wine business counts a lot of centuries. Wine-one of the oldest products, has become a matter of international trade. For thousands of years the number of criteria, which evaluated wine's quality,usas quite small. The most important, in this case, was the knowledge of user's taste. For some dry wines has been popular and accepted and for others-sweet. Delicious wine, the correct use of demand-supply principles is necessary for a succsseful wine business.

Today, many things have changed. This, of course, does not mean that basic requirements are no longer available, on the contrary, more attention is paid.In addition to this, new challanges of XXI century with new ways of thinking was brought. Besides the taste and quality of the wine customers are increasingly interested how the products, which they buy benefit on their health. The most important changes concerned the ecosystem, therefore it is very important to prove that wine is prodused in healthy environment with compliance of environmental regulations.

ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები

გიული გიგუაშვილი, ასოცირებული პროფესორი

პოლიტიკა (Πολιτική) ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ზოგადად ნიშნავს სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას. პლატონი პოლიტიკას განმარტავდა, როგორც უნარს „ყველა მოქალაქის დაცვისა და მათ შორის უარესების უკეთესებად გარდაქმნისა". [1] რაც შეეხება საგადასახადო პოლიტიკას, ესაა გადასახადების ასაკრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ტარდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, წარმოების მოცულობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით. სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის ამოცანებია:

- სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;
- ქვეყანაში სამეურნეო რეგულირებისათვის პირობების შექმნა;
- მოსახლეობის შემოსავლების დონის უთანაბრობის შემცირება.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მნიშვნელოვანი მიმართულებებია:

- საგადასახადო სისტემის სამართლიანობისა და ნეიტრალურობის დონის ამაღლება; საგადასახადო პროცედურების მნიშვნელოვანი გამარტივება;
- გადასახადებისა და მოსაკრებლების შემცირება, ცალკეული გადასახადებისა და გადახდის წესების უნიფიკაცია.

საგადასახადო პოლიტიკა ხორციელდება საგადასახადო მექანიზმის საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- დაგეგმვა;
- საგადასახადო რეგულირება;
- საგადასახადო კონტროლი.

საგადასახადო პოლიტიკის, როგორც სამეურნეო ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტის ძირითადი მაკროეკონომიკური ფუნქციებია: ფისკალური ფუნქცია, მასტაბილიზებელი ფუნქცია და მარეგულირებელი ფუნქცია.

საგადასახადო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები განსხვავებულია ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული ისტორიული პერიოდის გარემოებების და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. განასხვავებენ საგადასახადო პოლიტიკის 2 ძირითად მოდელს: **ლიბერალურს** და **სოციალურს.** ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანია ბიზნესის განვითარება, ახალ საგარეო ბაზრებზე გასვლა, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. ამ მოდელის ფარგლებში მკვეთრად

იზღუდება გადასახადების ამოღების წილი. შეღავათების ფართო სპექტრი მოქმედებს ინვესტიციებზე, ხელისუფლება არ ცდილობს კერძო სექტორის საქმიანობის რეგულირებას. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზანია ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, ექსპორტის სტიმულირება და საგარეო ვალის ზრდის შეზღუდვა. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის მოდელი ჰქონდა გერმანიას და იაპონიას ომის შემდგომ აღდგენით პერიოდში, უფრო ადრე კი მე-20 საუკუნის მიჯნაზე აშშ-ს. დღეისათვის ასეთი მოდელი აქვთ: სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებს, ბრაზილიას, მექსიკას, ინდოეთს, ჩინეთს და სხვა.

სოციალურ მოდელს უფრო განვითარებული სახელმწიფოები იყენებენ, რომლებიც ისწრაფვიან შეინარჩუნონ სოციალური გარანტიების მაღალი სტანდარტები და იბრძვიან მსოფლიო ბაზარზე კონკურენტული პოზიციის შენარჩუნებისათვის. ამ ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის ზღვრები უკვე მიღწეული აქვთ და დაკავებულნი არიან ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნით. მათი ძირითადი მიზნებია:

- მაღალგადახდისუნარიანი მოთხოვნის შენარჩუნება;
- დასაქმების უზრუნველყოფა და შემოსავლის განაწილებაში უთანაბრობის შემცირება;
- საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მაღალი წილის შენარჩუნება;
- კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე ექსპანსია, მიზანმიმართული სტრუქტურული პოლიტიკის შემუშავება და გატარება.

საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მაჩვენებლებია:

- ეფექტური საგადასახადო დატვირთვა;
- საგადასახდო კაპიტალიზაცია;
- ოპტიმალური საგადასახდო დაბეგვრა.

ეფექტური საგადასახადო დატვირთვა გვიჩვენებს, ვინ ატარებს რეალურად ამა თუ იმ გადასახადის ტვირთს და შესაბამისად ვინ სარგებლობს ამ გადასახადის გაუქმებით ან შემცირებით.

საგადასახადო კაპიტალიზაციის ქვეშ იგულისხმება გადასახადების შემცირებით გამოწვეული გვერდითი ეფექტი, რაც გამოიხატება კონკრეტული საქონლის ბაზრის მონაწილეთა კაპიტალის ზრდაში. ამ ეფექტის ეკონომიკური ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ საგადასახადო შეღავათების შემოღების შემდეგ ბაზრის რომელიღაც სეგმენტი მიმზიდველი ხდება ინვესტორისათვის და იწყება კაპიტალის მოდინება. ეს კი თავის მხრივ იწვევს ამ სექტორში უკვე არსებული საწარმოო და კომერციული აქტივების საბაზრო ღირებულების ზრდას. საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმალურობა შეიძლება შეფასებული იქნას კონკრეტული გადასახადის გადამხდელის კუთხით და მთლიანი საზოგადოების კუთხით. იგი ძირითადად განისაზღვრება დაბეგვრის სამართლიანობისა და განსაზღვრულობის პრინციპებით.

ვფიქრობთ, საინტერესოა **საგადასახადო პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა.** თუ გადავხედავთ უცხოეთის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას საგადასახადო ადმინისტრირების და საგადასახადო პოლიტიკის სფეროში, ვნახავთ რომ ისინი მნიშვნელოვანი ინდივიდუალიზმით ხასიათდებიან. მაგ.: **შვედეთში** არსებობს გადასახადების კლასიფიკაციის სხვადასხვა გზები. გადასახადები დაყოფილია წარმოების ორ ფაქტორთან კავშირში (შრომა და კაპიტალი). გადასახადების 2/3 შეიძლება მივაკუთნოთ შრომაზე გადასახადებს. ეს გადასახადები იყოფა საშემოსავლო გადასახადად და სოციალური დაცვის შემოწირულობებად. შვედეთში აგრეთვე არსებობს სიმდიდრის გადასახადი, მემკვიდრეობის გადასახადი და დღგ. ეს უკანასკნელი არის სახელმწიფო გაყიდვების გადასახადი. დღგ-თი დაბეგვრას ექვემდებარება ყველა სახის საქონელი და მომსახურება. აქციზს აქვს ორმაგი დანიშნულება: ხელი შეუწყოს სახელმწიფო შემოსავლების ფორმირებას და გარკვეული საქონლისა და მომსახურების მოხმარებას. აქციზური გადასახადები დაწესებულია: ტრანსპორტზე, ალკოჰოლზე, თამბაქოზე, ასევე ლატარიებზე, აზარტულ თამაშებზე და რეკლამებზე.

აშშ–ს ეკონომიკის ზრდასთან ერთად, მთავრობის საგადასახადო შემოსავლები სულ უფრო ფართოვდება, ბოლო წლებში იგი მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 30%–ია (2004წ.). ფედერალური მთავრობის ძირითადი შემოსავლებია: ინდივიდუალური საშემოსავლო, სოციალური დაზღვევისა და კორპორაციული საშემოსავლო გადასახადები. ზოგიერთი შტატი საერთოდ არ კრეფს საშემოსავლო გადასახადს. ადგილობრივი გადასახადებიდან მნიშვნელოვანია ქონებისა და გაყიდვიდან გადასახადი.

იტალიაში საგადასახადო რეფორმა ძირითადად კონცენტრირებული იყო საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე. 1997-98 წლებში იტალიაში გატარდა რეფორმა, რომელმაც მოიცვა პერსონალური საშემოსავლო გადასახადი და კორპორაციული გადასახადი. პერსონალური საშემოსავლო გადასახადის რეფორმა განხორციელდა ორ ეტაპად 2003 და 2005 წლებში და მოიცავდა გადამხდელებისათვის საგადასახადო ტვირთის შემცირებას, ასევე საგადასახადო განაკვეთის შემცირებას. კორპორაციული

გადასახადის რეფორმა დაიწყო 2004 წელს, რომელიც მოიცავდა საგადასახადო განაკვეთების შემცირებას და დივიდენდების გათავისუფლებას გადასახადით დაბეგვრისაგან. მშპ-ში გადასახადების წილი 1980 წელს იყო 38.9%. 1990-97 წლებში ამ მაჩვენებელმა მიაღწია 44.2%-ს. 1997 წლიდან დაიწყო კლება, მაგრამ 1999 წლიდან დასტაბილურდა.

თურქეთში უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საგადასახადო შემოსავლების პროცენტული წილი მშპ-ში დასტაბილურდა და 30%-ია. თურქეთის საგადასახადო სისტემა გამოირჩეოდა თავისი სირთულით. კომპლექსურობა გამწვავებული იყო არასტაბილური საგადასახადო პოლიტიკით, მაღალი და არასტაბილური ინფლაციის განაკვეთებით. საბიუჯეტო დეფიცის შესავსებად გამოიყენებოდა დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურავები. საშუალოვადიანი საგადასახადო რეფორმა 2002 წელს იქნა დაწყებული მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით. მთავარი მიზანი იყო საგადასახადო სისტემის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა, ასევე ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირების ფორმირება, რომელიც სამ ძირითად ელემენტს მოიცავდა 2004-2006 წლებში: საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობისა და შედეგიანობის გაუმჯობესება; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემის დანერგვა; საგადასახადო სისტემის გამარტივება.

უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაში OECD-ის წევრ ქვეყნებში საგადასახადო სისტემის სფეროში განხორციელდა სისტემური ცვლილებები, რამაც გამოიწვია ამ სისტემების ფუნქციონირების გზებისა და მათი სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების ცვლილება. ზოგიერთ ქვეყანაში რეფორმები ელვისებური სისწრაფით განხორციელდა. ზოგიერთში კი პირიქით, ნელა და თანმიმდევრულად. ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარება ხელს უწყობს სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას.

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა. 2010 წელს მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ N1 რეფორმატორად დაგვასახელა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან ასეთი შეფასება ჩვენმა ქვეყანამ დერეგულირების, ლიბერალიზაციის და ბიზნესკლიმატის გაუმჯობესების საფუძველზე მიიღო.

ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ძირითადად მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისკენ, რაც უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს.

საგადასახადო პოლიტიკის რეალიზება წარმოებს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღების საფუძველზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესაძლებლობისა და ღირსების შესახებ“ და ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც სრულად აისახა ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მიზნად ისახავს არსებული საგადასახადო გარემოს რადიკალურად შეცვლას. [2]

ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლიდან ამოქმედდა და პრაქტიკაში ახალი რეგულაციები შემოიტანა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- სანდო მომსახურება – გადამხდელისათვის მაქსიმალური კომფორტის უზრუნველსაყოფად დაინერგა და ამოქმედდა მრავალმხრივი ელექტრონული სერვისები.
- სამართლიანი ადმინისტრირება – რათა ბიზნესმენი საგადასახადო ადმინისტრირებაში არ ხედავდეს საკუთარი დანაზოგის დაბანდების რისკს და საგადასახადო ორგანო იყოს მისი პარტნიორი.
- საჯაროობა, ტრანსპარენტულობა, მოსახლეობისა და ბიზნესის ცნობიერების ამაღლება საგადასახადო სისტემის გამართული ფუქნციონირების ქვაკუთხედია. ის აუცილებელი წინაპირობაა სამართლიანი, მარტივი და სანდო სისტემის შესაქმნელად.

კოდექსის კონცეფციით, ბევრად გამარტივდება საგადასახადო გარემო. ამის დადასტურებაა კანონში ჩადებული ახალი დეფინიციები, მათ შორის - მიკრობიზნესი, პატიოსანი გადამხდელი, საგადასახადო ომბუდსმენი.

ახალი კოდექსის ძირეულ ცვლილებად მე-12 თავი მიიჩნევა, სადაც საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებია განსაზღვრული. სიახლეა მიკრო ბიზნესის სტატუსის შემოღება. ასეთად შეუძლია დარეგისტრირდეს 2011 წლის 15 თებერვლამდე 30 ათას ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულების შრომას არ იყენებს. კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს და მას ასევე არ აქვს საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება.

დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში მოექცნენ ასევე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები. ასეთად ითვლება ის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვაც 100 ათას ლარზე ნაკლებია. კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5 პროცენტით. მაგრამ, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციას წარადგენს, მაშინ 3 პროცენტით დაიბეგრება. 3%–იანი დაბეგვრით ასევე სარგებლობენ მცირე ბიზნესის კატეგორიის ის წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობენ.

ახალი საგადასახადო კოდექსით, დამატებითი ღირებულების 18%–იანი გადასახადის (დღგ) სავალდებულო გადამხდელები არიან 100 000 და მეტი ლარის ბრუნვის მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები. საშემოსავლო გადასახადის კლების გრაფიკი ახალი კოდექსით გადავადებულია და ნაცვლად 20%–დან 15%–მდე ეტაპობრივი შემცირებისა, ითვალისწინებს გადასახადის 18%–მდე შემცირებას 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში. კანონის გარდამავალი დებულების თანახმად, 2013 წლამდე საშემოსავლო გადასახადი 20%–იან განაკვეთზე იქნება შენარჩუნებული.

მსხვილი კომპანიების ინსპექტორისა და გადამხდელის ურთიერთობის დასარეგულირებლად კანონმდებლობაში შემოდის ცნებები: წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილება, კერძო საგადასახადო გადაწყვეტილება და საჯარო საგადასახადო გადაწყვეტილება. არსებული ყოველთვიური გადახდის წესის ნაცვლად, გადასახადების დეკლარირება კვარტალურად მოხდება, რაც კომპანიებს კარგ პირობებს უქმნის ფულის ბრუნვისთვის. ამის გარდა, ერთიანდება საბაჟო და საგადასახადო კოდექსი, იმპორტის გადასახადი სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებზე 12% და 5% შეადგენს. იმპორტის გადასახადის გადახდა, იმპორტიორებს არა უშუალოდ საბაჟოზე, არამედ საგადასახადო დეკლარაციების წარდგენისას მოუწევთ. იქმნება აუდიტორთა უმაღლესი საბჭო და გადასახადის გადამხდელს შეუძლია, პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურებით ისარგებლოს (მუხლი 50). ანალოგიური შინაარსის მუხლი 38 მოქმედ საგადასახადო კოდექსშიც არის.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურება ფიქსირებული 10%-ით დაიბეგრება. გაიზარდა აქციზის გადასახადი სპირტიან სასმელებზე. ახალი განაკვეთით 1 ლიტრი არაყი 4,6 ლარით დაიბეგრება, ძველი განაკვეთი კი 2,30 ლარი იყო.

კიდევ ერთი სიახლე, კანონის 42-ე მუხლი საგადასახადო ომბუდსმენის დეფინიციას შეიცავს. მთავრობა ომბუდსმენს მხოლოდ პარლამენტთან შეთანხმებით დანიშნავს და ომბუდსმენის ფუნქციებიც და მოვალეობებიც კანონით გაიწერება. ამას გარდა, საგადასახადო ომბუდსმენი, მთავრობის ნაცვლად, ანგარიშვალდებული პარლამენტთან იქნება, კერძოდ კი – საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან. [3]

ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს, პატიოსანი გადამხდელის წახალისების რიგ მექანიზმებს; ასევე, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო, კანონის ორაზროვანი დებულების შემთხვევაში, უფლებამოსილია გადაწყვეტილება გადამხდელის სასარგებლოდ გამოიტანოს.

განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, გადასახადების რეფერენდუმის გარეშე გაზრდა შეუძლებელია, გარდა გამონაკლისებისა, და ისინი ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ“ დარეგულირდება. ამ კანონპროექტის კონცეფცია აგებულია სამ პრინციპზე, ესენია: ხელისუფლებიდან ნაკლები წნეხი იქნება ბიზნესზე და თავისუფალი ბიზნესგარემო შეიქმნება; ყველა ადამიანს, ყველა პიროვნებას თავისი შესაძლებლობების, თავისი ენერგიის და განათლების მიხედვით უნდა შეეძლოს მაღალი სოციალური და საზოგადოებრივი მობილურობის მიღწევა; მესამე პრინციპი შეეხება იმ ადამიანებს, რომლებსაც პირველი ორი პირობა ვერ გამოიყენეს და ამიტომაც მათ სახელმწიფოს მხრიდან ღირსეული დახმარება უნდა ჰქონდეთ.

ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ“ ქვეყანა მაღალ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს მიიღებს. ახალი პარამეტრებით 3 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, 30 პროცენტს არ უნდა აღემატებდეს ბიუჯეტის მთლიანი პარამეტრი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში და, ამავდროულად, ქვეყნის ვალი მშპ-სთან მიმართებაში 60 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, ჯერ კიდევ ბევრია ხარვეზი. ახალ საგადასახადო კოდექსში დადებითთან ერთად (მიკრო და მცირე ბიზნესის დეფინიცია და მათთვის გამარტივებული რეგულაციების შემუშავება; საბაჟო და საგადასახადო კოდექსების გაერთიანება და ნორმატიული აქტების გამარტივება; მტკიცებულების ტვირთის გადატანა ფინანსთა სამინისტროზე; ყოველთვიური გადასახადების ყოველკვარტლურად გადახდის შესაძლებლობა; საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება) გამოიკვეთა უარყოფითი ასპექტებიც, კერძოდ:

1. ხარჯების გატარების პრობლემა - კომპანიებს არ აქვთ უფლება, ხარჯი ჩეკის საფუძველზე გაატარონ და ამისთვის მათ ზედნადებს ან ანგარიშფაქტურას სთხოვენ;
2. საგადასახადო მუხლების ინსტრუქციების არარსებობა;
3. საგადასახადო შემოწმების ქრონომეტრაჟის მეთოდი;
4. საქონლის ჩამოწერისა და ჩამოფასების წესის სირთულე;
5. საგადასახადო დოკუმენტაციის სიმრავლე.

ამასთან, იმის გამო, რომ მიკრო ბიზნესი გადასახადებისაგან გათავისუფლებულია, შესაბამისად არ ხდება მათი აღრიცხვა და სახელმწიფოს არ ექნება სტატისტიკა, თუ რამდენი მიკრო მეწარმე ჰყავს. თუკი მცირე ან საშუალო მეწარმე მიკრო მეწარმისაგან პროდუქციას შეიძენს, ვერ მიიღებს საბუღალტრო დოკუმენტსაც, რადგან მიკრო მეწარმე ბუღალტერიას არ აწარმოებს. [4]

მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი კოდექსი განამტკიცებს პრინციპს - GOOD FAITH - „პატიოსნება“ - თუ გადასახადის გადამხდელის ქმედება გამოწვეულია შეცდომით/არცოდნით და მიზნად არ ისახავდა გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას, გადამხდელი შესაძლებელია გათავისუფლდეს სანქციისაგან. შემოსავლების სამსახური მოტივაციას უქმნის პატიოსან გადამხდელებს და ახალისებს სხვადასხვა დამატებითი მომსახურებით. [5]

ამრიგად, მარტივი, ნათელი და არაორაზროვანი საგადასახადო კანონმდებლობა წარმოადგენს გადამხდელის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის გარანტსა და გადამხდელზე დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულების აუცილებელ წინაპირობას, რაც თავის მხრივ, ქვეყნის მდგრადი სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ძირითადი პირობაა.

ლიტერატურა:

1. http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90
2. http://www.economy.ge/?category=11&lang=geo
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2010 წლის 17 სექტემბერი.
4. http://www.commersant.ge/index.php?pg=nt&id=22318&ct=3
5. http://mof.ge/News/2756

რეზიუმე

სრულყოფილი საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის მდგრადი სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ძირითადი პირობაა. სტატიაში, „ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები“, გაანალიზებულია სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები; საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალური და სოციალური მოდელები; საგადასახადო მექანიზმის ძირითადი ელემენტები; საგადასახადო პოლიტიკის როგორც სამეურნეო ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტის ძირითადი მაკროეკონომიკური ფუნქციები; **საგადასახადო პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილება** განხილულია **შვედეთის, იტალიის, თურქეთის და აშშ–ის მაგალითზე.**

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები, ახალი საგადასახადო კოდექსის ძირითადი დეფინიციები.

LIBERAL TAX POLICY GUIDELINES

Giuli Giguashvili, Associate Professor

RESUME

Comprehensive tax policy sustainable socio - economic development of the main conditions. The article, "Liberal Tax Policy guide The" analyzed state tax policy goals and objectives, the tax policy of liberal and social models, the tax mechanism of the main elements; tax policy, as economic relations between the state regulation of the instrument main macro-economic functions, the tax policy of international experience are considered Sweden, Italy, Turkey and the United States - the example.

The paper presents a liberal tax policy Georgian basic guidelines, a new Tax Code, the main definitions.

ბიზნეს ინკუბაცია და ბიზნეს ინკუბატორები

ციური დურული, სრული პროფესორი
ნინო ლიპარტელიანი, სრული პროფესორი

ბიზნეს ინკუბაცია არის ხელშემწყობი პროცესი, რომელიც მიზნობრივი რესურსებისა და მომსახურების მიწოდების გზით მაქსიმალურად აჩქარებს მეწარმეთა საქმიანობის განვითარებას. ეს მომსახურების სახეები და რესურსები, როგორც წესი, იქმნება და იმართება ინკუბატორის მენეჯმენტის მიერ. მათი შეთავაზება ხდება როგორც უშუალოდ ინკუბატორის, ასევე მისი საკონტაქტო ქსელის მეშვეობით. ბიზნეს ინკუბატორის მიზანია მონაწილეობა მიიღოს წარმატებული კომპანიის ჩამოყალიბებაში, რომელიც დატოვებს პროგრამას, როგორც ფინანსურად დამოუკიდებელი და ძლიერი ერთეული. ინკუბატორის პროგრამის მონაწილეებს აქვთ პოტენცია შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, განავითარონ შესაბამისი სექტორი, მოახდინონ ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაცია და ამგვარად გააძლიერონ როგორც ადგილობრივი (რეგიონის), ასევე ქვეყნის ეკონომიკა. ბიზნეს ინკუბაცია ბიზნესის მხარდაჭერის პროცესია. იგი მიზნობრივი სერვისებისა და რესურსების კომპლექსის მიწოდებით აჩქარებს დამწყები და პერსპექტიული კომპანიების წარმატებულ განვითარებას. ეს სერვისები, როგორც წესი, ფორმირებულია და იმართება ინკუბატორის ხელმძღვანელობის მიერ. მათი შეთავაზება ხდება როგორც ინკუბატორის შიდა რესურსების საშუალებით, ისე მის გარეთ არსებული კონტაქტების მეშვეობით. ბიზნეს ინკუბატორის ძირითადი მიზანია წარმატებული ფირმების გამოშვება, რომლებიც პროგრამის დასრულებისას იქნებიან ფინანსურად დამოუკიდებელნი და სიცოცხლისუნარიანნი. ინკუბატორიდან გამოსულ კომპანიებს გააჩნიათ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ბიზნეს გარემოს გამოცოცხლების, ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის, ადგილობრივი და საერთო ეროვნული ეკონომიკის გაძლიერების მეტი პოტენციალი.

ბიზნეს-ინკუბატორის წარმატებისათვის კრიტიკულია მზარდი კომპანიების საჭიროებებზე მორგებული მენეჯმენტის, ტექნიკური დახმარებისა და საკონსულტაციო სერვისების არსებობა. ჩვეულებრივად, ინკუბატორები დამატებით ეხმარებიან კლიენტ ფირმებს ხელმისაწვდომი საოფისე ფართითა და მოქნილი საიჯარო პოლიტიკით, საერთო სარგებლობის ბიზნეს სერვისებითა და აღჭურვილობით. ზოგიერთ შემთხვევაში მათ შეუძლიათ ასევე ტექნოლოგიური მხარდაჭერა და ეხმარებიან კომპანიას ზრდისათვის აუცილებელი საფინანსო სახსრების მოპოვებაში. ინკუბატორები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კლიენტებისათვის სერვისების შეთავაზების მეთოდებით, ორგანიზაციული სტრუქტურითა და კლიენტთა კატეგორიებით. წარმოადგენენ რა უაღრესად ადაპტირებად სტრუქტურებს, ინკუბატორებს შეიძლება ჰქონდეთ ფრიად განსხვავებული მიზნები: სოფლის მეურნეობის დივერსიფიცირების; საფინანსო-სამრეწველო რეგიონებში დასაქმების ზრდის; უნივერსიტეტებისა და მსხვილი კომპანიებიდან ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ჩათვლით. ინკუბატორის კლიენტები ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიების ჩამოყალიბების საქმეში პიონერები არიან - მათ მიერ შექმნილი პროდუქტები და სერვისები აუმჯობესებენ ყოველდღიურ ცხოვრებას როგორც ადგილობრივი, ისე მსოფლიოს მასშტაბით.

ადრეული საინკუბაციო პროგრამები, რომლებსაც დღეს შერეულ ბიზნეს-ინკუბატორებს უწოდებენ, ორიენტირებული იყო ტექნოლოგიურ კომპანიებზე, ან მსუბუქი მრეწველობის და მომსახურების ფირმათა კომბინაციაზე. შემდგომ ეტაპზე გაჩნდნენ უფრო მეტად ფოკუსირებული ინკუბატორები, რომლებიც კონცენტრირებას ახდენენ ბიზნესებზე - ისეთ სფეროებშიც, როგორიც არის: საკვები პროდუქტების გადამუშავება, სამედიცინო, კოსმოსური და კერამიკული ტექნოლოგიები, ხელოვნება და პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები. ინკუბატორთა სპონსორები ასევე მიზნობრივი პროგრამებით უჭერენ მხარს: მიკროსაწარმოთა შექმნას, ქალებისა და უმცირესობათა წარმომადგენლების საქმიანობას, გარემოს დაცვით აქტიურობასა და ტელესაკომუნიკაციო სექტორის განვითარებას.

ბიზნეს ინკუბატორი ეხმარება ბიზნესს განვითარებისათვის საჭირო ფინანსური და ტექნიკური საშუალებების მოძიებაში. ინკუბატორის მიერ მიწოდებული საოფისე ფართი, საოფისე აღჭურვილობა და კონსულტაციები შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს თავი აარიდონ დამატებით ხარჯებსა და პერსონალს, რაც საშუალებას იძლევა მცირე ფირმების რაციონალური და ეფექტური ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა საკონსულტაციო მომსახურება, ინფორმაციული ბაზა და საგანმანათლებლო ღონისძიებები ეხმარება მეწარმეს თანამედროვე გარემოსთან შეგუებასა და

განვითარებაში. ბიზნეს ინკუბატორი ამცირებს მცირე ბიზნესის სუბიექტების გაკოტრების რისკებს. აშშ-ს ბიზნეს ინკუბატორების ნაციონალური ასიცოაციის (NBIA) ანგარიშის თანახმად ინკუბირებული კომპანიების 87% დღემდე წარმატებულად ფუნქციონირებს. ყოველი 1$ გაწეული სუფსიდია თითოეული კომპანიისგან გადახდილი ადგილობრივი გადასახადების სახით 45$-ის ოდენობით უბრუნდება სახელმწიფოს. ინკუბატორის დახმარებით შექმნილი ყოველი სამუშაო ადგილის დანახარჯი დაახლოებით 1100$-ა იმ დროს, როცა იგივე სამუშაო ადგილის შექმნა სახელმწიფოს 10000$ უჯდება. 1980 წლიდან ინკუბირებულმა კომპანიებმა შექმნეს დაახლოებით 500000 სამუშაო ადგილი. ყოველი მე-2 სამუშაო ადგილი ხელს უწყობს დამატებით ერთი სამუშაო ადგილის შექმნას.

ბიზნეს ინკუბაცია არის ხელშემწყობი პროცესი, რომელიც მიზნობრივი რესურსებისა და მომსახურების მიწოდების გზით მაქსიმალურად აჩქარებს მეწარმეთა საქმიანობის განვითარებას.

დასავლეთ ევროპაში დღეისათვის არსებობს დაახლოებით 900 ინკუბატორი (ფართო გაგებით). ევროკომისიის საწარმოთა გენერალურმა დირექტორატმა ჩაატარა ბიზნეს ინკუბატორთა აღრიცხვა და შედარებითი ანალიზი და შეადგინა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში არსებულ ბიზნეს ინკუბატორთა მონაცემთა ბაზა. საწარმოთა ანალიზისა და შეფასებათა შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 1: ბიზნეს ინკუბატორები ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში

ქვეყანა	რაოდენობა	ქვეყანა	რაოდენობა
ავსტრია	63	იტალია	45
ბელგია	13	ლუქსემბურგი	2
დანია	7	ნიდერლანდები	6
საფრანგეთი	192	პორტუგალია	23
ფინეთი	26	შვეცია	39
გერმანია	300	ესპანეთი	38
საბერძნეთი	7	დიდი ბრიტანეთი	144
ირლანდია	6	სულ	911

წყარო: Enterprise DG (2001) and CSES research

ანალიზი გვიჩვენებს დიდ განსხვავებას ბიზნეს ინკუბატორთა განვითარების სიმჭიდროვეში: ავსტრიაში (ყველაზე მაღალი სიმჭიდროვე) ყოველ 3000 კომპანიაზე მოდის ერთი ბიზნეს ინკუბატორი, მაშინ, როცა საბერძნეთში (ყველაზე დაბალი სიმჭიდროვე) შესაბამისი შეფარდება არის 1:106,000. საშუალოდ ევროპაში ეს მაჩვენებელი უდრის 1:19,000. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბელგიასა და ნიდერლანდებს, ბიზნეს ინკუბატორთა ყველაზე დაბალი სიმჭიდროვე შეინიშნება ევროგაერთიანების სამხრეთ ქვეყნებში.

ამ ტიპის ანალიზის ფასეულობა, რაღა თქმა უნდა, შეზღუდულია, რამდენადაც ბიზნეს ინკუბატორებს გააჩნიათ ძალზე სპეციფიური საბაზრო ორიენტირები. ამის მიუხედავად, კვლევა გვიჩვენებს თუ სად ხდება ინკუბატორების ყველაზე ფართომასშტაბიანი განვითარება. გასაკვირი არაა, რომ ბიზნეს ინკუბატორთა ყველაზე დიდი რაოდენობა (და საუკეთესო შეფარდებები) გვხვდება ევროგაერთიანების ყველაზე დიდ ქვეყნებში.

არსებობის პირველ ათწლეულში ინკუბატორების ინიცირება, დაფუძნება და მართვა ხდებოდა სამთავრობო დონეზე არსებული სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად. ამ პერიოდისათვის თითქმის ყველა ინკუბატორის მიზანი იყო ტექნოლოგიის კომერციალიზაცია. 1998 წლის ბოლოს 127

არსებული ინკუბატორიდან 111-ს (87 %) ჰქონდა ზოგადი ტექნოლოგიური ორიენტაცია, ხოლო ზოგი მათგანი სპეციალიზირებული იყო ისეთ სექტორებზე, როგორიცაა ბიოტექნოლოგია, ფარმაცევტიკა, მასალები და ოკეანოგრაფია.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტით ხელს უწყობს დევნილი ქალების დასაქმებას.

2009 წლის 12 თებერვალს, 14:15 საათზე, გორში საქართველოს ასოციაცია ქალი და ბიზნესი და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტით უმასპინძლა გორის ბიზნესინკუბატორის პრეზენტაციას. პრეზენტაცია ჩატარდა გორის ბიზნესინკუბატორის შენობაში, თამარ მეფის ქ. N1, ქალაქი გორი. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარაჭერის პროექტმა მიანიჭა 90, 000 დოლარის ოდენობის გრანტი საქართველოს ასოციაციას ქალი და ბიზნესი გორში ბიზნესინკუბატორის შექმნის და დევნილი ქალებისათვის პროფესიული ტრენინგის ჩატარების მიზნით. ასოციაციას ბიზნესის ინკუბაციის სფეროში ათწლიანი გამოცდილება გააჩნია. 1998 წელს ასოციაციამ გახსნა პირველი ბიზნესინკუბატორი თბილისში, რომელიც მდგრადი და ეფექტიანი ბიზნეს-საქმიანობის მოდელად ჩამოყალიბდა. მას შემდეგ პროგრამა გაფართოვდა და დღეისათვის ასოციაციის ბიზნესინკუბატორების ქსელი მოიცავს თბილისს, მესტიას და ახლა უკვე, გორს. გორის ბიზნესინკუბატორ დევნილ ქალებს უსასყიდლოდ უტარებს მაღალი ხარსხის პროფესიულ ტრენინგებს და სთავაზობს სუბსიდირებულ კომერციულ ფართს მათ, ვისაც საკუთარი ბიზნესის დაწყების სურვილი ექნება. გორის ბიზნესინკუბატორმა გამოყო ფართი ხუთი მიკრო საწარმოსათვის: კაფე, საკონდიტრო, სამრეცხაო და ქიმიური წმენდა, სამკერვალო და სილამაზის სალონი. ინკუბატორმა დახმარება გაუწია ამ ბიზნესების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. პირველი ექვსი თვის განმავლობაში ტრენინგები გაიარა 310 დევნილმა ქალმა, მათ შორის სოფელ წეროვანში მცხოვრებმა 100 ქალმა. მათ შეიძინეს ახალი პროფესიული უნარ-ჩვევები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მათი დასაქმების შესაძლობლობა.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო: გასული 16 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით, საქართველოში მილიარდ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა. ამჟამად, წლიურად 48 მილიონი დოლარის ღირებულების 40-ზე მეტი პროექტი ხორციელდება. აღნიშნული პროექტები გამიზნულია საქართველოს დასახმარებლად და ქვეყნის თავისუფალ და განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად. ასეთი პროექტებია: ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, დემოკრატრიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვის და განათლების სისტემების გაუმჯობესება. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანას.

კარგად მართული ბიზნეს ინკუბატორი საზოგადოებასა და პარტნიორთა სხვადასხვა ჯგუფებზე მრავალმხრივ ეფექტს ახდენს:

კლიენტებისათვის (ინკუბატორში მყოფი ფირმებისათვის): იგი ზრდის წარმატების შანსს, კომპანიისადმი ნდობის ხარისხს (ინკუბატორის პოზიტიური იმიჯის ხარჯზე), ხელს უწყობს ფირმის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ქმნის სინერგიას კლიენტ ფირმებს შორის. ასევე, ხელმისაწვდომს ხდის მრჩეველებს, ინფორმაციასა და საწყის კაპიტალს ერთ შენობაში.

ხელისუფლებისათვის: ინკუბატორი ეხმარება დასაქმების სფეროში არსებული სიძნელეების დაძლევაში; ხელს უწყობს რეგიონალურ განვითარებას; ახდენს სამუშაო ადგილების, შემოსავლებისა და გადასახადების გენერირებას. წარმოადგენს მცირე ბიზნესის დახმარების პოლიტიკური ნების დემონსტრაციას.

კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის: ბიზნეს ინკუბატორი აკავშირებს უნივერსიტეტებს, კვლევით დაწესებულებებსა და მრეწველობას; ახდენს მეცნიერული კვლევის შედეგების კომერციალიზაციას; სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას.

ბიზნესისათვის: ინკუბატორი იძლევა კომერციალიზებული ინოვაციების შეძენის, მომარაგების ჯაჭვების (supply chains) და გამოყოფილი მცირე საწარმოების (spin-offs) წარმოქმნის შესაძლებლობას. ასევე ეხმარება მათ აღასრულონ სოციალური ვალდებულებები.

ადგილობრივი თემებისათვის: რეგიონული საბიუჯეტო შემოსავლების ზრდასთან ერთად იგი ამკვიდრებს საკუთარი თავის პატივისცემასა და სამეწარმეო კულტურას, რადგან ინკუბატორიდან გამოსული ბიზნესების უმრავლესობა რჩება რეგიონში.

საერთაშორისო თანამეგობრობისათვის: იგი ქმნის ვაჭრობისა და ტექნოლოგიის გადაცემის შესაძლებლობებს კლიენტ კომპანიებსა და მათ მიმღებ ინკუბატორებს შორის; ხელს უწყობს ბიზნეს-

კულტურის უკეთ გაცნობიერებასა და გამოცდილების გაზიარებას ასოციაციებისა და კავშირების მეშვეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ინკუბატორების საქმიანობის ობიექტებს წარმოადგენენ ბიზნესმენები. ისინი ქმნიან კომერციულ სტრუქტურებს. ინკუბატორიდან გამოსვლის შემდეგ, ეს უკანასკნელნი ახორციელებენ მუშახელის პირდაპირ და არაპირდაპირ დასაქმებას. ამ დროს ხდება სათანადო შემოსავლებისა და აქტივების შექმნა, რაც ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. ხშირად, დამწყებ ბიზნესმენთა ამოცანა მდგომარეობს საკუთარი სამუშაო ადგილების შექმნასა და მწირი ფინანსური რესურსების სამომავლოდ გადანახვაში. ზოგიერთმა მათგანმა მხოლოდ ბიზნეს ინკუბაციის პროგრამის მეშვეობით შეიძლება დაიწყოს ინტენსიური ზრდა. ეს კი წინაპირობაა სამუშაო ადგილების, შემოსავლებისა და გადასახადების გენერირებისა.

საქართველოს კონტექსტში საკითხი ისმის ასე - ინკუბატორი ორიენტირებულია სიღარიბის დაძლევაზე თუ ზრდასა და ინოვაციების დანერგვაზე. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ამჟამად საქართველოში აქცენტი უნდა გაკეთდეს სიღარიბის დაძლევაზე. იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკაც იმყოფება სწრაფი ტრანსფორმაციის მდგომარეობაში, ინკუბატორებს უნდა გააჩნდეთ ცვალებად გარემოსთან შეგუების უნარი. დღეისათვის ბაზარზე არარსებული სერვისი შესაძლოა გახდეს ეკონომიკური ნიშა ინკუბატორისათვის მაშინ, როცა ხვალ იგივე სერვისების შეთავაზება მოხდება მძაფრი კონკურენციის პირობებში. ასეთი კონკურენცია თავიდან უნდა იქნას აცილებული, რამდენადაც ინკუბატორი საქმიანობს გარედან დაფინანსების პირობებში, რაც მას ანიჭებს გარკვეულ უპირატესობებს. მეორე მხრივ, ეკონომიკის განვითარების შესაბამისად, სწრაფად მზარდ ტექნოლოგიურ კომპანიებს მომავალში შეიძლება გაუჩნდეს მოთხოვნა უფრო სერიოზულ სერვისებზე და ინკუბატორს დასჭირდება თავისი საქმიანობის ორიენტირი სიღარიბის დაძლევიდან გადაიტანოს ინოვაციების კომერციალიზაციაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინკუბატორმა ფეხი უნდა აუწყოს ეკონომიკურ განვითარებას.

გაეროს განვითარების პროექტით ბათუმში გაიხსნა ბიზნეს ინკუბატორი, მისი ინიციატივით გასული წლის 15 დეკემბერს დაიწყო ტრენინგები, რომლებიც ემსახურება ინკუბატორის წევრი კომპანიებისთვის კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც გულისხმობს ამ კომპანიებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და კომპეტენციის განვითარებას ბიზნესში დამოუკიდბელი ლოგიკური აზროვნებისათვის. 2010 წლის 10 თებერვალი, ბათუმის ბიზნეს ინკუბატორს გაწევრიანების მოთხოვნით მიმართა ოთხმა კომპანიამ:

- შ.პ.ს. „ბბს“
- შ.პ.ს. „მარს კაპიტალი“
- შ.პ.შ. „არმა 2009“
- შ.პ.ს. „ფრეგატი“

ამათგან შ.პ.ს. „ფრეგატმა“ გაიარა წინა საინკუბაციო პერიოდი და 2010 წლის 20 თებერვლიდან გაწევრიანდა ბათუმის ბიზნეს ინკუბატორში. კომპანია „ფრეგატის“ საქმიანობას წარმოადგენს ქართველ მეზღვაურთა საერთაშორისო ბაზარზე დასაქმება და მათი იმიჯის, როგორც მარალკვალიფიციური მუშახელის ამაღლება. 2009 წლის 2 დეკემბერს, ბათუმის ბიზნეს ინკუბატორისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით, ახალდამწყები კომპანიების საკონსულტაციო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სასტუმრო „ინტურისტ პალასის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ღია სემინარი თემაზე მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები.

ბიზნეს ინკუბატორის მიზანია მონაწილეობა მიიღოს წარმატებული კომპანიის ჩამოყალიბებაში რომელიც დატოვებს პროგრამას, როგორც ფინანსურად დამოუკიდებელი და ძლიერი ერთეული. ინკუბატორის პროგრამის მონაწილეებს აქვთ პოტენცია შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, განავითარონ შესაბამისი სექტორი, მოახდინონ ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაცია და ამგვარად გაამლიერონ როგორც ადგილობრივი (რეგიონის) ასევე ქვეყნის ეკონომიკა.

ლიტერატურა:

1. www.osgf.ge
2. www.bbi.ge
3. www.holmes.ge
4. www.employer.ge
5. www.undp.org.ge
6. www.commersant.ge

რეზიუმე

ბიზნეს ინკუბატორის ძირითადი მიზანია წარმატებული ფირმების გამოშვება, რომლებიც პროგრამის დასრულებისას იქნებიან ფინანსურად დამოუკიდებელნი და სიცოცხლისუნარიანნი. ბიზნეს ინკუბაცია არის ხელშემწყობი პროცესი, რომელიც მიზნობრივი რესურსებისა და მომსახურების მიწოდების გზით მაქსიმალურად აჩქარებს მეწარმეთა საქმიანობის განვითარებას. ეს მომსახურების სახეები და რესურსები როგორც წესი იქმნება და იმართება ინკუბატორის მენეჯმენტის მიერ. მათი შეთავაზება ხდება როგორც უშუალოდ ინკუბატორის, ასევე მისი საკონტაქტო ქსელის მეშვეობით.

კარგად მართული ბიზნეს ინკუბატორი საზოგადოებასა და პარტნიორთა სხვადასხვა ჯგუფებზე - კლიენტებზე ,ხელისუფლებაზე, კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებზე, ბიზნესზე, ადგილობრივ თემებზე, საერთაშორისო თანამეგობრობაზე - მრავალმხრივ და განსხვავებულ ეფექტს ახდენს.

ბიზნეს ინკუბატორის მიზანია მონაწილეობა მიიღოს წარმატებული კომპანიის ჩამოყალიბებაში, რომელიც დატოვებს პროგრამას, როგორც ფინანსურად დამოუკიდებელი და ძლიერი ერთეული.

BUSINESS INCUBATION AND BUSINESS INCUBATORS

Tsiuri Duruli, Full Professor
Nino Liparteliani, Full Professor

RESUME

The main goal of business incubation program is to form successful firms, which will be financially independent and livable at the end of this program. Business incubation is a supporting process which by giving the targeted resources and services accelerates the development of activities of entrepreneurs. As a rule, these types of services and resources are usually created and managed by the incubator management. They are offered as by the incubator, as its contact network.

Well-managed business incubator makes a different and multilateral effect on community partners in different groups - clients, authorities, research institutes and universities, the business of the local communities, the international community.

The main goal of Business incubators is to take part in the successful establishment of the company, which will leave the program, as financially independent and strong unit.

ოფშორული ზონების განვითარების ტენდენციები

ნინო ლიპარტელიანი, *სრული პროფესორი*
ნანა ახალაია, *ასოცირებული პროფესორი*

ტერმინი „ოფშორი“ (off-shore) ინგლისური წარმოშობისაა და ნაპირიდან მოშორებულს ნიშნავს. ტერმინი პირველად ხმარებულ იქნა აშშ-ში ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში XX საუკუნის 50-იან წლებში, სადაც საუბარი იყო საფინანსო უწყების შესახებ, რომელსაც სურდა გაეკონტროლებინა ერთ-ერთი კომპანიის საქმიანობა. კომპანიის დამფუძნებელმა გააუქმა რეგისტრაცია ამ შტატში და იგი დაარეგისტრირა აშშ-ს ჩრდილოეთში, სადაც მოქმედებდა შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი. ასე ჩაეყარა საფუძველი თავისუფალ ეკონომიკურ ზონების, მეორენაირად ოფშორულ ზონების შექმნას. ეს ის ტერიტორიებია, რომელსაც უკონტროლობის გამო ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა მიზანშეწონილი არ არის. ნაკლებად ეფექტურია თავისუფალი ეკონომიკური ზონის დიდ ტერიტორიაზე განთავსებაც. ეკონომისტთა ერთ ნაწილს ვერ გაუგია რატომ გახდა საჭირო ასეთი ზონების

შექმნა. ახლა, როცა ლიბერალიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, შემცირდა მაღალი საბაჟო ტარიფები, გამარტივდა ლიცენზიები და ნებართვები სამეწარმეო საქმიანობის დაწყებასა და განხორციელებაზე.

ოფშორული ზონები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ საფინანსო საქმიანობის და ვაჭრობის გლობალიზაციის საქმეში, სთავაზობენ რა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მნიშვნელოვან შეღავათებს. ამასთან აღნიშნულ ზონებს ზემოგების მოტანა შეუძლიათ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებშიც ისინი არიან შექმნილნი, რადგან ხელს უწყობენ ინვესტიციების მოზიდვას, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას, ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას და ა.შ. თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ნაირსახეობაა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ისევე როგორც თავისუფალი სავაჭრო ზონა, თავისუფალი საბაჟო ტერიტორია, თავისუფალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური ზონა და ა.შ. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მკაფიოდ შემოფარგლული ტერიტორია, რომელზეც მეწარმეობის სტიმულირების, მეურნეობის პრიორიტეტულ სფეროებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით მყარდება ეკონომიკურ-ფინანსური საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები (თიზ-ები) იქმნება განვითარებადი ქვეყნების რეგიონებში ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

მსოფლიოში ორი ტიპის ქვეყანა არსებობს, ქვეყნები რომლებსაც აქვთ ჭარბი ინვესტიციები და ქვეყნები რომლებიც განიცდიან ინვესტიციების სიმცირეს. ჭარბი ინვესტიციების მქონე ქვეყანა თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ამაგრებს ქვეყნის შიდა ინვესტორს, ანუ მას უქმნის პირობებს, რომ ინვესტორმა ფული საზღვარგარეთ არ გაიტანოს და ამავე ქვეყნის ტერიტორიაზე, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში დააბანდოს. ინვესტიციური შიმშილის პირობებში მყოფ ქვეყანაში კი ამგვარი ზონების შექმნა კიდევ უფრო აძლიერებს ამ მდგომარეობას, რადგან ასეთ პირობებში ინვესტორი შემოვა არა მთლიანად ქვეყანაში, არამედ ზონაში. ადგილობრივი ინვესტორიც შეეცდება იგივე გააკეთოს.

მალე ოფშორული ზონები საგადასახადო თავშესაფრები აღარ იქნება. მსოფლიოს 10 ოფშორული ზონა თანახმაა წარადგინოს ინფორმაცია იმ კლიენტების შესახებ, რომლებიც ამერიკაში და სხვა ქვეყნებში თავს არიდებენ გადასახადებს. საერთაშორისო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ „საგადასახადო თავშესაფრების ეპოქა“ მალე შეიძლება დასასრულს მიუახლოვდეს. ათმა ოფშორულმა ტერიტორიამ: შვეიცარიამ, ლიხტენშტეინმა, ლუქსემბურგმა, მონაკომ, ავსტრიამ, ანდორამ, მაკაომ, ჰონგ-კონგმა, ბელგიამ და სინგაპურმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც შესაბამისი მოთხოვნის შემდეგ ერთმანეთში და მესამე ქვეყნებში გაცვლიან ინფორმაციას, რომელიც აქამდე კონფიდენციალურად ითვლებოდა. ამ თემაზე განსაკუთრებულად აშშ-ში მსჯელობენ, რომლის საგადასახადო უწყებაც, მსოფლიოს უმსხვილესი ოფშორის, შვეიცარიის მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს. ამერიკელებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც შვეიცარული ბანკი UB წარადგენს ცნობებს ამერიკელი მოქალაქეების საბანკო ანგარიშების შესახებ.

ოფშორული ბიზნესი სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს როგორც საკრედიტო, ასევე საწარმოო ინვესტიციების მოძრაობაში. ოფშორულ ზონებში კომპანიები საკმაოდ დიდი რაოდენობით რეგისტრირდებიან. OECD--ის პერიოდული მონაცემებით, ისეთი ოფშორული ცენტრები, როგორებიცაა – ჯერსი და ბაჰამა მსოფლიოს მთელი ქონების მესამედს “მასპინძლობენ”. აღსანიშნავია, რომ თანდათანობით ქართული კოომპანიებიც ოფშორული ზონების აქტიური მომხმარებელნი ხდებიან. საქართველოში არსებობენ ფირმები, რომლებიც ასრულებენ ყველა აუცილებელ პროცედურას კომპანიების ოფშორში დასარეგისტრირებლად.

1973 წელს იაპონიის ქალაქ კიოტოში მოწვეული საერთაშორისო კონფერენციის თანახმად, თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ანუ “ფრანკო ზონა” ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილია, სადაც საქონელი განიხილება, როგორც საბაჟო ტერიტორიის საზღვრებს გარეთ მყოფი ობიექტი, ანუ ის ტერიტორია, სადაც დაცულია საბაჯო ექსტერიტორიულობის პრონციპი. ოფშორული ზონა ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკისგან იზოლირებული საფინანსო ინსტიტუტია, სადაც შეღავათიანი რეჟიმი განისაზღვრება სავალუტო შეზღუდვის უქონლობით, მოგებათა თავისუფალი გატანით, საწესდებო კაპიტალის დაბალი დონით, ფირმის რეგისტრაციისა და მართვის მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურით, საგადასახადო დანაკარგების შემცირების შესაძლებლობით, ფირმის მფლობელთა სრული ანონიმურობითა და კონფიდენციალობით. თუმცა, მხოლოდ ზოგიერთ ოფშორულ ზონაში მოქმედებს ნარკობიზნესთან, ტრეფიკინგთან და იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საეჭვო ოპერაციებზე ინფორმაციის მოთხოვნის აუცილებლობა. ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიას, რომელსაც პრეტენზია აქვს საგადასახადო და სხვა შეღავათებზე,

ძირითადად, არ მოეთხოვება, იყოს იმ ქვეყნის რეზიდენტი, სადაც მდებარეობს ოფშორული ცენტრი და არ მიიღოს მისი ტერიტორიისაგან მოგება.

ოფშორული ბიზნესი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება XXს-ის 50-იანი წლების შემდგომ პერიოდში, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესზე საკმაოდ მაღალი გადასახადები იქნა დაწესებული. არსებული მდგომარეობა გადასახადის გადამხდელს უბიძგებს, ამა თუ იმ მექანიზმით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოს ხარჯების მინიმიზაცია, რაც თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მეწარმეთა მიერ ლიბერალური საგადასახადო გარემოს ძიების საკითხში. ამგვარმა სიტუაციამ გაამწვავა კონკურენცია სახელმწიფოებს შორის სამეურნეო სუბიექტებისაგან გადასახადის აკრეფის უფლებაზე. ასეთ ვითარებაში ცალკეულმა სახელმწიფოებმა მეწარმეობრივ სუბიექტებს მისცეს საშუალება, კანონის ფარგლებში თავი აერიდებინათ მძიმე საგადასახადო წნეხისათვის და შექმნეს ახალი ფინანსური ცენტრების ქსელი, ანუ შეღავათიანი საგადასახადო გარემო.

ტერიტორიები, სადაც მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო გარემო, უმეტესწილად, განლაგებული არიან კუნძულებზე, რამაც გავლენა იქონია მათ სახელზე - ოფშორული ზონა.

ცნობილი ოფშორული იურისდიქციებიდან ნიშანდობლივია ბრიტანული და ამერიკული მოდელი. ბრიტანული მოდელის არსებობას შედარებით ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე ამერიკულს და ამიტომ ამ მოდელის პრინციპით შექმნილ ოფშორულ ზონებში კომპანიის დასარეგისტრირებლად ოდნავ მეტი პროცედურა და ბიუროკრატიული მექანიზმი გამოიყენება. თუმცა მოდელის უპირატესობა მყარი სტაბილურობაა, რაც თავის მხრივ, გამოხატულია მყარი და ყოველმხრივი საკანონმდებლო ბაზის არსებობაში, რომელიც განსაზღვრავს ოფშორული ზონის ეკონომიკურ, სოციალურ, ადმინისტრაციულ-მმართველობით, საფინანსო-საგადასახადო და სხვა უფლებებსა და მოვალეობებს. ამერიკული მოდელი ბრიტანულის შემდგომი განვითარებაა მოქნილობისა და სიმარტივის კუთხით. ოფშორული სქემების შესამუშავებლად მუდმივად გამოიყენება კანონმდებლობის ახალი რესურსები, საგადასახადო სისტემის ხელსაყრელი თავისებურებები.

საზოგადოების ერთი ნაწილი ოფშორს აღიქვამს, როგორც შავი ფულის გათეთრების ცენტრს; მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ოფშორი მხოლოდ საბანკო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზების ადგილია. თუმცა ამ ორი ვერსიიდან არ შეიძლება რომელიმე იყოს აბსოლუტურად სწორი, რადგან ოფშორი, რომელსაც პირობითად შეღავათიან საგადასახადო გარემოს ვუწოდებთ, სხვა მრავალი ასპექტით ხასიათდება.

პირობითად შეღავათიანი საგადასახადო გარემო შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად:

I. არანაირი გადასახადი

ეს არის ქვეყნები, სადაც დაცულია სრული „საგადასახადო ექსტერიტორიულობა“. ტერმინი “არანაირი გადასახადი” ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები არ აწესებენ გადასახადს მოგებაზე, კაპიტალზე და კაპიტალის ზრდაზე.

ამ ქვეყანათა მთავრობა შემოსავალს იღებს განსაზღვრული ფიქსირებული ყოველწლიური გადასახადით:

1. მცირედი გადასახადი დოკუმენტებზე (მაგ.: ბლანკის გამოწერა);
2. სიმბოლური გადასახადი კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობაზე;
3. წლიური სარეგისტრაციო გადასახადი.

II. არანაირი გადასახადი უცხოური კომპანიების შემოსავალზე

ეს ქვეყნები აწესებენ გადასახადს კორპორაციულ შემოსავალზე. თუმცა ეს გადასახადი ეხება მხოლოდ ადგილობრივი კომპანიების მიერ მიღებულ შემოსავალს და არ მოიცავს არანაირ საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობას. რა თქმა უნდა, ამ კრიტერიუმში, თავისთავად, არ შედის, ვთქვათ, საწყობის იჯარის გადასახადი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.

ამ ქვეყნებში გაუქმებულია გადასახადი ადგილობრივად წარმოებულ საქონლის ექსპორტირებით მიღებულ შემოსავალზე.

ასეთი სახის ქვეყნები, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა:

1. ქვეყნები, რომლებიც უფლებას აძლევენ კომპანიებს, აწარმოონ საერთაშორისო ბიზნესი და გადასახადებს უწესებენ მხოლოდ ადგილობრივად მიღებულ შემოსავალზე (მოგებაზე).
2. ქვეყნები, რომლებიც ჩამოყალიბების მომენტში კომპანიებს სთავაზობენ, ადგილობრივად აწარმოონ ბიზნესი, რომელიც შედეგად გამოიღებს მათ საგადასახადო დაქვემდებარებას და/ან აწარმოონ მხოლოდ საერთაშორისო ბიზნესი, როდესაც ისინი გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისგან. ასეთი კატეგორიის ქვეყნები არიან: პანამა, ლიბერია, პანდა, ჯერსი, ჰონკონგი, გორნსი, გიბრალტარი და მენის კუნძულები.

III. დაბალი საგადასახადო სავანეები

ეს ქვეყნები აწესებენ დაბალ გადასახადს კომპანიის ყველა შემოსავალზე, მისი ამოღების ადგილის მიუხედავად. ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, ამ ქვეყნებმა მრავალრიცხოვანი შეთანხმებები დადეს იმ ქვეყნებთან, რომელთაც დაბეგვრის მაღალი დონე აქვთ, რაც ზოგ შემთხვევაში კაპიტალის ოპტიმალურად გადაქაჩვის შესაძლებლობას იძლევა ერთი ქვეყნიდან მეორეში. ასეთი ქვეყნებია: კვიპროსი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ლიხტენშტეინი, შვეიცარია.

IV. სპეციალური საგადასახადო სავანეები

ეს ქვეყნები აწესებენ ყველა ან თითქმის ყველა გადასახადს, მაგრამ, ამავე დროს, აწესებენ სპეციალურ შეღავათებს სპეციალური ტიპის კომპანიებისათვის. მაგ.: საქონლის ტრანსპორტირებაზე სპეციალიზებული კომპანიების გადასახადებისაგან გათავისუფლება.

ოფშორული ზონები განლაგებულია ისეთ ტერიტორიებზე, რომლებსაც, როგორც წესი, არ გააჩნიათ სამხედრო ხარჯები, არ ინახავენ წამგებიან საწარმოებს და გააჩნიათ სახელმწიფო მოხელეების ოპტიმალური რიცხოვნება. მათ აქტიურ გამოყენებას უპირატესად ხელს უწყობს ზონებში არსებული შეღავათიანი რეჟიმი, რაც უპირველეს ყოვლისა, ვლინდება დაბალ გადასახადებსა და მარტივ ბიუროკრატიულ პროცესებში. ასეთი პოლიტიკის გატარებით ბუნებრივი რესურსების არმქონე და უმნიშვნელო ეკონომიკური პოტენციალის მქონე მცირე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ არსებობის შესაბამის დონეს.

კაპიტალის მოძრაობის პროცესი ოფშორულ სისტემებში ე.წ. „გამტარი“ კომპანიების საშუალებით მიმდინარეობს, რომლებიც მოგების შემქმნელ ან გამსაღებელ კომპანიას ოფშორული ზონის ფირმებთან აკავშირებენ.

ოფშორული ზონების ყველაზე გავლენიან კლიენტებად ტრანსნაციონალური კომპანიები სახელდებიან. ტერმინი „ოფშორული კომპანია“ ახასიათებს კომპანიის იურიდიული სტატუსის თავისებურებებს, რომელიც რეგისტრირებულია ერთ-ერთ შეღავათიან საგადასახადო გარემოში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადასახადების ტვირთის მაქსიმალურად კლებას, ხოლო, რიგ შემთხვევაში, თითქმის ნულამდე დაყვანას.

ოფშორული კომპანიების პრინციპი – „მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, შეღავათიან საგადასახადო გარემოში გადანაცვლება“ – მოითხოვს მნიშვნელოვანი გათვლების გაკეთებას, კერძოდ: საგადასახადო თავშესაფრის არჩევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნულ ტერიტორიაზე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობას. მეტი უპირატესობა ისეთ საგადასახადო რეჟიმებს ენიჭებათ, როდესაც კომპანია თავისუფლდება ყველა გადასახადისგან, ფიქსირებულის გარდა, ვინაიდან თუნდაც შემცირებული განაკვეთით შემოღებული გადასახადი მოუხერხებელია იმის გამო, რომ აუცილებელია ბუღალტრული ანგარიშის წარმოება და აუდიტორიული შემოწმების გავლა. ეს კი, თავის მხრივ, წარმოშობს დამატებით ლაბირინთებსა და ხარჯებს. აუცილებელია კარგად განვითარებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების არსებობაც. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა იმას, რომ ინფორმაცია კომპანიის ბენეფიციალური მესაკუთრის შესახებ ხელმიუწვდომელი იყოს ფართო საზოგადოებისათვის, ხოლო კლიენტთა სამართლებრივი მისამართი ხელმიუწვდომელი იყოს სახელმწიფო ორგანოებისათვის.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თანდათანობით ყალიბდება და ძლიერდება მრავალწახნაგოვანი „ანტიოფშორული“ კანონმდებლობა, ვინაიდან ამჟამად მოქმედ 70-ზე მეტ საერთაშორისო ოფშორული ფინანსური ცენტრების საქმიანობას სათანადოდ ვერ არეგულირებენ დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნები, ამიტომ ერთადერთი, რაც განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ, არის ის, რომ ლიმიტირება გაუკეთონ საკუთარ კომპანიებს ოფშორში გასვლისას.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოს დამოკიდებულება ოფშორული ბიზნესის მიმართ მეტად არაერთგვაროვანია. არაერთგვაროვნება თავს იჩენს როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა შორის, ასევე ქვეყნებს შიგნით არსებულ შიდა პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის.

OED-ის ინიციატივით ბოლო პერიოდში დაადანაშაულეს ცხრა ქვეყანა, მათ შორის, კაიმანისა და სეიშელის კუნძულები, რომ ისინი აწარმოებდნენ არასასურველ საგადასახადო პოლიტიკას.

არცთუ დიდი ხნის წინათ უკვე OED-ის წევრები, განსაკუთრებით კი, აშშ მოითხოვდნენ, რომ ოფშორულმა ზონებმა წარმოადგინონ ფინანსური მონაცემები ინვესტორებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მოექცევიან ფინანსურ ბლოკადაში, მათ შორის გამოყენებული იქნება ტარიფები და სხვადასხვა სანქციები. უნდა აღინიშნოს, რომ გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰერითიჯ ფაუნდეიშენი“ ამ ძალისხმევას „ერთა სუვერენიტეტზე“ და „ინდივიდუალურ საქმინობაზე“ შეტევას უწოდებს.

OED-ის გათვლებით, ბლოკადაში მოექცევიან ის ქვეყნები, რომელთაც არანაირი გადასახადი არა აქვთ შემოსავალზე და OED ამ ძალისხმევას უწოდებს საგადასახადო თავშესაფრებისა და ფულის გარეცხვის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებას. მაგრამ „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ ანგარიშის მიხედვით, აღინიშნება, რომ OED-ის მიზანს წარმოადგენს კონკურენციის აღმოფხვრა კონკურენტუნარიანად გახდომის გარეშე, ანუ, პრინციპში, ძალით. „ჰერითიჯ ჰაუნდეიშენის“ დასკვნაში მითითებულია, რომ OED-იმ, ნაცვლად საკუთარი ძალის დემონსტრირებისა, ხელი უნდა შეუწყოს მის წევრ ქვეყნებს, შეამცირონ საგადასახადო განაკვეთები და გაატარონ რეფორმები საკუთარ საგადასახადო სისტემაში, რათა ისინი კონურენტუნარიანნი გახდნენ ინვესტორთათვის.

როგორც ფაქტები ადასტურებენ, თანამედროვე მსოფლიოს ზეწოლამ ოფშორულ ბიზნესზე მათთვის სასურველი გარკვეული შედეგები გამოიღო, კერძოდ: ბაჰამის კუნძულების შეცვლილ კანონმდებლობაში ერთ-ერთი მუხლი ასე ჟღერს: „კომპანია ვალდებულია, სარეგისტრაციო აგენტებს მიაწოდოს ინფორმაცია კუნძულზე მოქმედი კომპანიის მფლობელისა და საქმიანობის შესახებ“.

თანამედროვე მსოფლიოს კრიტიკული ანალიზი ოფშორული ზონების მიმართ, პრინციპში, გასაგებიცაა, ვინაიდან ოფშორული მექანიზმების ფართოდ გამოყენების შედეგად განვითარებული სამრეწველო ქვეყნები კარგავენ მრავალმილიონიან საგადასახადო შემოსავლებს. ყველა ეს თანხა თავს იყრის ოფშორულ ცენტრებში, შემდეგ კი ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ უკვე როგორც „უცხოური ინვესტიცია“ საგადასახადო და სხვა შეღავათების მოთხოვნის პირობებით.

ლიტერატურა:

1. www.conference.ge
2. www.liberali.ge
3. www. aaf.ge
4. www.loi.ge
5. www.onlinenews.ge
6. www. cmd-proxy.appspot.com
7. www.nplg.gov.ge
8. www.geotimes.ge
9. www.holmes.ge
10. banksandfinance.ge

რეზიუმე

ოფშორული ზონები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ საფინანსო საქმიანობის და ვაჭრობის გლობალიზაციის საქმეში, სთავაზობენ რა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მნიშვნელოვან შეღავათებს. ამასთან აღნიშნულ ზონებს ზემოგების მოტანა შეუძლიათ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებშიც ისინი არიან შექმნილნი, რადგან ხელს უწყობენ ინვესტიციების მოზიდვას, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას, ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას და ა.შ. თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ნაირსახეობაა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები (თიზ-ები) იქმნება განვითარებადი ქვეყნების რეგიონებში ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

THE TENDENCIES OF THE OFFSHORE ZONE DEVELOPMENT

Nino Liparteliani, Full Professor
Nana Akhalaia, Associate Professor

RESUME

Offshore zones play an important role in financial activities, trade and globalization in the case, Offer a natural and legal persons in significant benefits.

The zones can bring profit to the states, in which they are created, because it will promote investments, Creation of appropriate infrastructure, employment of local workers, etc.

Free economic zone is one of a kind of the free industrial zone(FIZ). Free Industrial Zone is established in the regions of the developing countries for production development which depend on exports and In order to create jobs.

მევენახეობა-მეღვინეობა XIX საუკუნის საქართველოში

ნინო ლიპარტელიანი, სრული პროფესორი
მამუკა ჯოლბორდი, სრული პროფესორი

საქართველო მევენახეობის ერთ-ერთ უძველეს კერადაა აღიარებული. ისტორიულად ამ დარგის განვითარებას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არა მარტო ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ ვაზი ქართველის სულიერ და ზნეობრივ საზრდოსაც წარმოადგენდა. ალბათ, ამიტომაც აძლევდა ვაზის კულტურას ასეთ მაღალ შეფასებას ილია ჭავჭავაძე, როცა წერდა: „ვენახს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა, ამიტომაც ჩვენებურ გლეხკაცს მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ.“

საქართველოში მევენახეობის განვითარების ისტორიული საწყისები უნდა ვეძებოთ არა მარტო ვაზისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში, არამედ მასთან ერთად მოსახლეობის წარსულსა და სამეურნეო მიდრეკილებაში, ცხოვრების ეკონომიკურ პირობებში. საქართველოში XIX საუკუნემდე მეღვინეობა ოჯახურ მრეწველობად რჩებოდა, რადგან იგი ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის ფულადი შემოსავლისა და შრომითი დანახარჯების ანაზღაურების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ხშირად გლეხს და თვით მემამულეებსაც არ ჰქონდათ საშუალება ღვინო დაძველებამდე გაეჩერებინათ.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქართლ-კახეთში არსებული ვენახების 24-26% თავადაზნაურობას ეკუთვნოდა. ბევრი კახელი და ქართლელი მემამულის ზვრები 40-50 დესეტინაზე იყო გადაჭიმული. გამოიყენებოდა მოიჯარე და ვალდებული გლეხების შრომა, მაგრამ მსხვილი მევენახეები უფრო მეტად იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს. კახელი მემამულეები ყოველ 4 დესეტინა ვენახზე ქირაობდნენ ერთ მუდმივ მუშას, მეტწილად დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულ მეზვრეებს, რომელნიც ამ დარგის შესანიშნავ მცოდნეებად ითვლებოდნენ. მეზვრე წლიურად 60-100 მანეთს იღებდა, ამასთან დამქირავებლის ხარჯზე იკვებებოდა და იმოსებოდა. დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ ასეთ მეურნეობებში ერთი დესეტინა ვენახის მოვლა-დამუშავების ხარჯი საშუალოდ 152 მანეთს უდრიდა, მისი მთელი შემოსავალი კი 400-500 მანეთს შეადგენდა. XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის მსხვილი მემამულეები თვითონ ახერხებდნენ საკუთარი ღვინის რეალიზაციას. თბილისში არსებობდა კახური ღვინოებით მოვაჭრე სახლები მემამულეების- ზ.ჯორჯაძის, ნიკოლოზ აბა-მელიქოვის და მამულოვის, ივ.მუხრან-ბატონის და სხვათა ამხანაგობები. ეს მემამულეები ყიდდნენ როგორც საკუთარი ვენახებიდან დაყენებულ, ისე სხვა მწარმოებლებისაგან შესყიდულ ღვინოსაც. XIX საუკუნის 90-იან წლებში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა და ვახვახიშვილის თაოსნობით დაარსდა ღვინით მოვაჭრე მსხვილი ფირმა – „კახეთი“. ამხანაგობა მოწყობილი იყო სააქციო საზოგადოების ფორმით და მის მიზანს მისი წევრების ღვინის გასაღების ზრუნვა შეადგენდა. 1900 წელს ამხანაგობა 164 წევრს ითვლიდა და განყოფილებები ჰქონდა მოსკოვში, პეტერბურგში, ბაქოში, აშხაბადში, ტაშკენტში.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას ხელი შეუწყო სატრანსპორტო საშუალებების სწრაფმა განვითარებამ. რკინიგზის საშუალებით ხდებოდა საქართველოს დაკავშირება ამიერკავკასიის ქვეყნებთან და რუსეთთან. ამან საქართველოდან მეტი ღვინის გატანის შესაძლებლობა შექმნა – თბილისი, ბაქო, ბათუმი და ფოთი, რკინიგზით დაუკავშირდა ერთმანეთს, რამაც რკინიგზის ხაზთან ახლოს მდებარე გორის, შორაპნის, ქუთაისის, თბილისის მაზრებში

ღვინის ექსპორტისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. განსაკუთრებით დაწინაურდა შორაპნის მაზრა, საიდანაც XIX საუკუნის 80-იან წლებში სხვადასხვა ბაზრებზე სარკინიგზო ტრანსპორტით ყოველწლიურად 250 ათასი ვედრო ღვინო იგზავნებოდა. საქართველოში მევენახეობა თითქმის ყველგან იყო განვითარებული, მაგრამ ვენახების ფართობები განსხვავებული იყო ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ვენახების ფართობები საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით 1892 წ.

ადმინისტრაციული ერთეულები	ვენახის ფართობები		
	აბსოლუტური მონაცემები (დესეტინობით)	%-ში გუბერნიების მიმართ	%-ში საქართველოს მიმართ
თბილისის მაზრა	5 000	14,5	8,4
თელავის მაზრა	13 800	41,3	22,1
სიღნაღის მაზრა	5 750	17,3	9,2
გორის მაზრა	4 800	14,3	7,7
დუშეთის მაზრა	1 800	5,4	2,8
ბორჩალოს მაზრა	1 625	4,8	2,6
თიანეთის მაზრა	800	2,4	1,2

(ცხრილში მოცემული ფართობები მაზრების მიხედვით დესეტინობით ამოღებულია 1892 წლის „Кавказский календарь“ -დან)

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონი იყო გურია-სამეგრელო. ეს მხარე წარმოადგენდა მაღლარი ვენახის ერთიან ბაღს, სადაც აყენებდნენ 2 მლნ-მდე ვედრო ღვინოს, მათ შორის ჩხავერის და ოჯალეშის მაღალხარისხოვან ღვინოებს.

ვენახის ფართობები დასავლეთ საქართველოში (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით)
XIX საუკუნის 70-იან წლებში(დესეტინებში)

იმერეთში 19 570
ლეჩხუმში 1 800
რაჭაში 1 274
გურია-სამეგრელოში 15 500

სასაქონლო ღვინის წარმოება დასავლეთ საქართველოში (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) XIX საუკუნის 70-იანი წლები (ვედროებით)

იმერეთში 1 907 000
რაჭა-ლეჩხუმში 767 800
გურია-სამეგრელოში 250 100

საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობის ყველაზე მნიშვნელოვანი რაიონი იყო კახეთი. ამ დარგის აღმავლობა შეიმჩნეოდა ქართლშიც.

ვენახის ფართობები აღმოსავლეთ საქართველოში
XIX საუკუნის 70-იან წლებში (დესეტინებში)

შიდა კახეთში 12 000
გარე კახეთსა და ქართლში 6 252

აღმოსავლეთ საქართველოში წლიურად საშუალოდ აყენებდნენ 250 ათას ვედრო ღვინოს.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ბაზარზე გავიდა (ვედროებით)

დასავლეთ საქართველოდან..... 2 362 000
შიდა ქართლიდან..... 660 000
თბილისი-ბორჩალოს მაზრებიდან.....590 000
კახეთიდან 1 500 000

XIX საუკუნის 80-იან წლებში ივ.მუხრან-ბატონმა დუშეთის მაზრაში დაიწყო ევროპული წესით ღვინის დაყენება. მის მამულში დაყენებული ღვინო თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის საუკეთესო ღვინოებს. მემამულე თბილისის გუბერნიის სხვადასხვა რაიონში ფლობდა 25 794 დესეტინა მიწას და მისი მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობა-მეღვინეობა იყო, რომელსაც 430 დესეტინა ეკავა. 1876 წელს მან საფრანგეთიდან გამოიწერა და დაიქირავა მეღვინეობის სპეციალისტები. სოფელ მუხრანში ააგო 100 ათასი ვედროს ტევადობის სარდაფი და ღვინის დაყენების ევროპულ წესზე გადავიდა. 1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე ივ. მუხრან-ბატონის ღვინომ მიიღო უმაღლესი ჯილდო-სახელმწიფო გერბი. ეს შემოსავლებსაც დაეტყო, 1886 წელს მან 30 ათასი ვედრო ღვინისა და 470 ვედრო სპირტის რეალიზაციით მიიღო 424 570 მანეთი შემოსავალი, თუმცა მეურნეობას ხარჯიც დიდი ჰქონდა:

მუდმივი მუშების ხელფასად გაიცა .....44 000 მან.
მეღვინეობის სპეციალისტებზე გაიცა .....13 400 მან.
ვაჭრობის ადმინისტრაციაზე გაიცა .....16 446 მან.
პროდუქციის გამსაღებელ ბაზრებამდე გადატანის ხარჯებმა შეადგინა .....24 000 მან.
მეღვინეობის მთელი ხარჯები .....123 277 მან.

ივ. მუხრან-ბატონს საწყობ-მაღაზიები ჰქონდა თბილისში, მოსკოვსა და პეტერბურგში. მან შეადგინა მეურნეობის კიდევ უფრო გაფართოების გეგმა-პროექტი და კომპანიონების ძებნაც დაიწყო, მაგრამ 1893 წელს გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ, კონსტანტინემ, მეურნეობის წარმოებაში ვერ გამოიჩინა სათანადო უნარი. მან 745 ათას მანეთად მიჰყიდა საუფლისწულო უწყებას 8 456 დესეტინა მიწა, აგრეთვე ღვინის ქარხანა და სარდაფი იქ დაცული 65 ათასი ვედრო ღვინით.

თავადმა ზ. ჯორჯაძემ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ღვინის ევროპული წესით დაყენება, რის გამოც 1890 წელს საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა მას და შვედ მეღვინე დიკენსონს გამოუყო ღვინომასალა, რომლისგანაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, კუპაჟების საშუალებით სამარკო ღვინოები უნდა დაემზადებინათ. სამუშაოს შესრულების შემდეგ ღვინის ნიმუშები გადაეგზავნა სათანადო დეპარტამენტს. სპეციალურმა კომისიამ შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ ზ. ჯორჯაძის მიერ დამზადებული ღვინოების ნიმუშები გაცილებით უკეთესი იყო დიკენსონისაზე. ყველაზე საუკეთესოდ კომისიამ მიიჩნია ღვინო „თამარი“. 1888 წელს ბრიუსელის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარდგენილი პროდუქციისათვის ზ. ჯორჯაძემ ოქროს მედალი დაიმსახურა. ცნობილი მკვლევარი მ.ბალასი ერთ დონეზე აყენებდა ზ. ჯორჯაძის და უფრო გვიან შექმნილ საუფლისწულო უწყების მეურნეობას, სადაც ღვინოებს ასევე ევროპული წესით აყენებდნენ და აღნიშნავდა, რომ ეს ორი მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობით არ ჩამოუვარდებოდა ევროპაში არსებულ მსხვილ საწარმოებს.

XIX საუკუნის საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობის დარგის საუკეთესო სპეციალისტებად გვევლინებიან თავადი ჭავჭავაძეები კახეთში. ცნობილი პოეტი-რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო დიდად განათლებული ერისკაცი და შესანიშნავი მეურნე, რომელიც გულმოდგინედ წარმართავდა მევენახეობა-მეღვინეობას, თუთის ხეების მოშენებასა და მეაბრეშუმეობას წინანდალში, მუკუზანსა და ნაფარეულში. 1832 წელს მეწარმის საერთო წლიურმა შემოსავალმა 6 000 მანეთს გადააჭარბა. მის საწარმოო სექტორში დასაქმებული იყო 600 კაცი. ცნობილი გეოგრაფი ელიზე რეკლიუ წერდა: „ა.ჭავჭავაძემ თავისი მევენახეობა ისე გაუმჯობესა, რომ მისი ღვინო ევროპაშიც იყო განთქმული. კახურ ღვინოს შეუძლია ტოლობა გაუწიოს დასავლეთის ღვინოებს. ჭავჭავაძეების მამულში ერთგვარი ჯიშის ყურძენია, რომლისგანაც შამპანურის გაკეთებას აპირებდნენ.“

ალექსანდრე ჭავჭავაძე თანხებს არ ზოგავდა მეურნეობის სანიმუშოდ მოწყობისათვის. ერთ წერილში იგი აღნიშნავდა: „ჩემი შემოსავალი ამ მოკლე ხანში უნდა გაორკეცდეს, ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს მე დიდი თანხა დავხარჯე მეურნეობის გასაუმჯობესებლად.“ 1835 წელს ა.ჭავჭავაძემ ბანკიდან 20 წლის ვადით 1 მილიონ მანეთამდე სესხი აიღო წინანდლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. მოგვიანებით იგი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ალავერდის სპილენძის ქარხანასთან 6 000 ფუთი სპილენძის შესასყიდად, რომელიც სჭირდებოდა არაყსახდელი ქარხნის მოსაწყობად და წყალსადენის გაყვანისათვის იყო გამიზნული.

ალექსანდრე ჭავჭავაძე აშენებდა ვაზის ახალ ჯიშებს, სავენახე მიწის დამუშავებასა და ვაზის დარგვას ასწავლიდა გლეხობას, აძლევდა მათ თავის სანერგედან ნერგებს. ყოველ ვენახთან ცალკე მარანი და მეზვრეებისათვის ბინები იყო აშენებული. ჭავჭავაძეების მამულებში კერძო მესაკუთრე და დროებით ვალდებული გლეხობის გარდა, 576 კომლი ხიზანი ცხოვრობდა. ყველა მათგანი

დასაქმებული გახლდათ. მათ დროებით სარგებლობაში ჰქონდათ 111 დესეტინა მიწა და ა.ჭავჭავაძეს წლიური მოსავლის 1/4 ნაწილს უხდიდნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის მამულში, წინანდალში, ააგებინა ორსართულიანი 150 000 ვედროიანი ღვინის სარდაფი. ამისათვის პეტერბურგიდან მოიწვია არქიტექტორი ვ.ნიკოლა, მშენებელ-ინჟინრები გ.გერცი და შტერნი.

წინანდლის სარდაფის პირველი მეღვინე იყო შვედი დიკენსონი, ხოლო 1891 წელს წინანდლის სარდაფის მეღვინედ მოიწვიეს ფრანგი სპეციალისტი ქ.ბორდოდან მერლ ანტუან მასანო. მისი როლი ფასდაუდებელია საქართველოში მეღვინეობის განვითარების საქმეში, მან პირველმა დანერგა საქართველოში ადგილობრივი ჯიშის ყურძნისაგან ევროპული ტიპის ღვინოების დაყენება.

1892 წელს ჩიკაგოს საერთაშორისო გამოფენაზე გაიგზავნა წინანდალში დაყენებული სუფრის საუკეთესო ღვინოები: 1888, 1889, 1890 წლების წინანდლის საფერავი, 1886 წლის წინანდლის მწვანე, 1887 წლის „დედოფლის ზვრის“ რქაწითელი, 1889 წლის მუკუზნის ღვინო და სხვა მრავალი ნიმუში, რომლებმაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს. 1900 წელს პარიზის საერთაშორისო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კი გადასაგზავნად მოითხოვეს ვაზის ჰერბარიუმები, ტიკები, რუმბები, ქვევრები, ვარდის ზეთი და ვარდის წყლის ნიმუშები. წინანდლის მამულებიდან წარდგენილმა ყველა ექსპონატმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1911-1912 წლებში ევროპიდან მოწვეული სპეციალისტების: სოვიონის, ბოლტოვისა და ადგილობრივი სპეციალისტების ბერეჟიანის, ბელენკოვის, საგინაშვილისა და დავითაშვილის მონაწილეობით წინანდალში ამოქმედდა კონიაკის ქარხანა, სადაც დააყენეს სპირტსახდელი აპარატები, მაცივრები, სატუმბავი მანქანები და ა.შ.

მევენახეობა-მეღვინეობის სანიმუშო მარნები ჰქონდათ აგრეთვე ანდრონიკაშვილებს (გურჯაანსა და ბაკურციხეში), თავად აფხაზსა და ვაჩნაძეებს (კარდანახში), თავად ჯანდიერს (ვაჩნაძიანში), თავად ჩოლოყაშვილს (ახმეტაში), ივანე მუხრანბატონს (სოფ.მუხრანში), მსხვილ მეურნეს სალომე დადიან-მიურატს (სამეგრელოში), თავად ჯორჯაძეს (საბუეში) და ა.შ.

მსხვილი მეურნეობა გამართა სამეგრელოში სალომე დადიანი-მიურატმა, სადაც ვენახებს 1895 წელს 40 დესეტინა ეკავა, 1901 წელს-60დესეტინა, 1912 წელს კი უკვე 425 დესეტინა. მეურნეობა ძირითადად დაქირავებულ მუშახელს ემყარებოდა. მეურნეობას განაგებდა სალომეს ვაჟი. პრინც მიურატმა ლონდონში ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოება, რომლის ძირითადი კაპიტალი უდრიდა 5 მლნ მანეთს. ამ სააქციო საზოგადოებამ სენაკის მაზრაში დადიანების, წულუკიძეების და სხვა მემამულეებისაგან იყიდა 20 300 დესეტინა მიწა და საფუძველი ჩაუყარა გრანდიოზულ მეურნეობას, რომლის ზრდა-განვითარება შეაფერხა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ.

XIX საუკუნის II ნახევარში მევენახეობა-მეღვინეობის მსხვილი მეურნეობა ჰქონდა ახალი ათონის მონასტერსაც, რომლის საკუთრებაშიც იყო 3 898 დესეტინა მიწა. ეს მონასტერი XIX საუკუნის 70-იან წლებში დაარსეს თურქეთიდან ჩამოსულმა რუსმა და ქართველმა ბერებმა, მონასტრის მეურნეობაში ვენახებს ეკავა 40 დესეტინა და ყოველწლიურად ღებულობდა 3-5 ათას ფუთ ყურძენს.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი და მეურნე რომანოვთა სამეფო საგვარეულო იყო. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში საუფლისწულო უწყებამ საქართველოში იყიდა 90 ათასი დესეტინა მიწა. მის საკუთრებაში გადავიდა ჭავჭავაძეების, მუხრან-ბატონის, ორბელიანის, სვიატოპოლკ-მისსკის და სხვათა მამულები. საუფლისწულო უწყებამ კახეთსა და ქართლში შექმნა მეღვინეობა-მევენახეობის სპეციალიზირებული მეურნეობები. ყველა სახის სამუშაო სრულდებოდა შტატიანი მოსამსახურეების (აგრონომების, მეღვინე-ტექნოლოგების, ბუღალტრების და ა.შ.) და დაქირავებული მუშების მიერ.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ღვინის ცნობილი მწარმოებლები იყვნენ ცნობილი ვაჭრის ალექსანდრე ანანოვის ვაჟები მურხან და აბგარ ანანოვები. მათ ღვინის სარდაფები ჰქონდათ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ყოველწლიურად ანანოვების ღვინის ქარხნები აწარმოებდნენ 600-700 ათას ლიტრ სუფრის ღვინოს და ასხამდნენ 150 000 ბოთლ შამპანურს. მარტო ვარციხის ღვინის სარდაფებიდან მეწარმეები ყოველწლიურად რუსეთში გზავნიდნენ 20-30 ათას ვედრო ღვინოს, 30-40 ათას ბოთლ შამპანურს და 60 ათას ბოთლ კონიაკს. ანანოვების ცენტრალური საწყობი წარმოადგენდა სამსართულიანი შენობის სიდიდის უშველებელ სარდაფს, რომელიც დაყოფილი იყო რვა განყოფილებად. განყოფილებებში განლაგებულ 40 მუხის კასრში გასაყიდად დამზადებული ღვინო ინახებოდა. ასეთივე საწყობები ანანოვს ჰქონდა

ბაღდათში, მიწისქვეშა ორსართულიანი შენობის სიდიდის სარდაფში, ღვინო ინახებოდა ორმოცვედროიან ხის ჭურჭლებში, ასევე იტალიელი და ფრანგი სპეციალისტების მიერ აშენებულ, ჰერმეტულად დახურული ცემენტის აბაზანებში, რომლებშიც თავსდებოდა 15-დან 18 ათას ლიტრამდე ღვინო. ღვინის შესანახი მესამე საწყობი ანანოვს ჰქონდა ყვირილას მიდამოებში. ეს იყო მიწისქვეშა ერთსართულიანი სარდაფი 850 ათასი ლიტრი ღვინოს ტევადობით ცემენტის აბაზანებში და ხის ჭურჭლებში. ანანოვის ღვინის ქარხანა სარგებლობდა საკმაოდ მაღალი რეპუტაციით, რის დასტურიცაა წარმოებული პროდუქციის მიერ მოპოვებული საპატიო სიგელები და ოქროს მედლები. მ. ანანოვი ქველმოქმედი მრეწველი გახლდათ. მან საკუთარი სახსრებით ააშენა სპეციალური სახლი ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის, ასევე სხვადასხვა გამოფენებიდან მიღებულ ფულს უშურველად რიცხავდა უსახლკაროებისა და ობლების დახმარების ფონდებში.

ლიტერატურა:

1. ქსენია კეკელია, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის გაადგილების ზოგიერთი საკითხი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. მაცნე №1 1982.
2. ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ. 1934. ტ II
3. პ.გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. თ IV ნაწ. I 1965.
4. ჯ. სონღულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, წიგნი II თბ. 1974.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ V (საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში) თ III პარაგრაფი 1. კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება სოფელში. თბ 1970.
6. ნ. ვერმიშევი, გენერალ ივანე მუხრანბატონ-მუხრანსკის მეურნეობის ნარკვევი (რუსულ ენაზე)
7. ბ. ბალასი, მეღვინეობა რუსეთში ნაწ. II (რუსულ ენაზე), 1887.
8. Н.Шавров, Образ производительных сил Кавказского наместничества, Тифлис. 1880.
9. „Кавказский календарь“ на 1892 г. Тифлис

რეზიუმე

საქართველო მევენახეობის კლასიკურ ქვეყნადაა აღიარებული. საქართველოში მევენახეობის განვითარების ისტორიული საწყისები უნდა ვეძებოთ არა მარტო ვაზისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში, არამედ მასთან ერთად მოსახლეობის წარსულსა და სამეურნეო მიდრეკილებაში, ცხოვრების ეკონომიკურ პირობებში. მეღვინეობა XIX საუკუნემდე ოჯახურ მრეწველობად რჩებოდა, რადგან იგი ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ფულადი შემოსავლისა და შრომითი დანახარჯების ანაზღაურების ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

VITICULTURE AND WINE-MAKING IN GEORGIA IN THE XIX CENTURY

Mamuka Jolbordi, Full Professor
Nino Liparteliani, Full Professor

RESUME

Georgia is known as a classical country of viticulture. In Georgia the historical beginning of viticulture development should be searched not only in the profitable natural conditions for vine, but also together with the past of population and economic dispositions (inclinations), and economic conditions of life. Wine-making remained as a family industry till the XIX century as it was a main source of financial income for the most part of the Georgians. The transport construction was an accomplice for the development of viticulture and wine-making in Georgia. By means of railway Georgia was connected to Caucasus and Russia. It was a meaningful opportunity for wine export from Georgia. Andronikashvili family (in Gurjaani and Bakurtsikhe), Aphkhazi and Vachnadze family (in Kardanakhi), Jandieri (in Vachnadziani), Cholokashvili (in Akhmeta), Ivane Mukhranbatoni (in the village of Mukhrani), a large -scale economist Salome Dadiani-Miurati (in Samegrelo), Jorjadze (in Sabue) had excellent maranis (location for storing wine in special pitchers).

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მისი გავლენა ეკონომიკაზე

ლეილა მამულაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ირმა მახარაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტურიზმი გადამწყვეტ როლს თამაშობს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, სავაჭრო ბალანსის აქტივიზაციაში და მოსახლეობის დასაქმებაში. ტურიზმს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებაში, სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებაში, მოსახლეობის დასაქმებასა და სიღარიბის პრობლემების გადაწყვეტაში. დღემდე ტურიზმს, როგორც ეკონომიკის დარგს, არ გააჩნია გამოკვეთილი წარმოებითი და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ამიტომ აუცილებელია დარგთა კომპლექსში ტურიზმის ადგილის კრიტერიუმების, ტურიზმის, როგორც დარგთაშორისი, დივერსიფიცირებული კომპლექსის თავისებურებათა განსაზღვრა.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების საერთო მიმართულებებს ძირითადად განსაზღვრავენ გარე და შიდა ფაქტორები. პირველს მიეკუთვნება: დემოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური, ეკოლოგიური ფაქტორები, აგრეთვე ვაჭრობა, ტექნოლოგია და ტრანსპორტი. მეორე რიგის ფაქტორები უშუალოდ დაკავშირებული არიან ტურიზმთან და ახასიათებენ მოთხოვნა-მიწოდებასა და განაწილებას.

ტურისტული კადრების განათლება და მომზადება მომავალში უფრო მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს, რადგან ტურიზმი წარმოადგენს და ხდება უფრო მაღალტექნოლოგიური, ძალიან კონტაქტური სფერო, რომლის კადრები უნდა იყვნენ კარგად განათლებულნი, კომუნიკაბელურნი, პროფესიულად მომზადებულნი, საჭიროა ფლობდნენ რამოდენიმე უცხო ენას და კარგად იცნობდნენ ტურიზმის არსს. განათლება ტურიზმში ტრადიციულად ეფუძნება მოსწავლეთათვის ანალიტიკური აზროვნების განვითარებას კონცეპტუალური პრობლემების გასაგებად. მეორეს მხრივ, ეძლევათ პრაქტიკული ცოდნა. ბოლო პერიოდში მსოფლიოში წარმოებს ტურისტული განათლების ინფრასტრუქტურის უფრო სრულყოფილად ჩამოყალიბება.

მსოფლიო ტურისტული ოგანიზაციის მიერ შედგენილია ტურიზმის განვითარების პროგნოზი XXI საუკუნისათვის. 2010 წლისათვის ტურისტების ნაკადი მსოფლიოში გაიზარდა 1 მილიარდამდე. ხოლო 2020 წლისათვის ნავარაუდევია მისი გაზრდა 1.6 მილიარდამდე. პროპორციები 2012 წლამდე იგივე დარჩება, ე.ი. ერთი მეოთხედი მოვა საერთაშორისო ტურიზმზე. ამასთან ყოველწლიურად საშუალო ზრდის ტემპი განსხვავებული იქნება რეგიონების მიხედვით და ყველაზე დიდი წილი მოვა აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანეთზე- დახლოებით 7 %-მდე. ტურიზმის განვითარების პროგრამა აქცენტირებული იქნება სამ ძირითად ინსტრუმეტზე, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას გრძელვადიანი პროგრამის შესაქმნელად.

- ახალი მარეგლამინტირებელი ღონიძიებების დადგენა ან არსებულის გაძლიერება, რომელიც ითვალისწინებს ადამიანისა და გარემო ბუნების დაცვას;
- ფასის გამოყენება ზემოქმედების მექანიზმის სახით;
- ტურისტულ ინდუსტრიაში ისეთი პროგრამების შექმნა, რომლის დანიშნულება იქნება საწარმოო პროცესებისა და გაშვებული პროდუქციის სისუფთავის გარანტია.

სახელმწიფო ორგანოებს წამყვანი ადგილი უკავიათ ტურიზმის გრძელვადიანი პროგრამების შექმნაში. ასეთი პროგრამები შემუშავებული აქვთ მთელ რიგ ქვეყნებს (ავსტრია, ფინეთი, ფილიპინები და სხვა). პროგრამის პირველი რიგის ამოცანები მოიცავს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა:

- ტურიზმის კერძო და საზოგადოებრივ სექტორებს შორის პარტნიორობა;
- ტურიზმის სექტორში გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღების განსაზღვრა ისეთნაირად, რომ შესაძლებლობა იყოს სახსრების დასაგროვებლად, ტურისტული ინფრასტრუქტურის გასაფართოებლად;
- ტურიზმის განვითარების მიზნების განმახორციელებელი ეროვნული, საერთაშორისო და სხვა სტრუქტურების შეფასება.

მეორე რიგის ამოცანები მოიცავენ საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე ტურიზმის განვითარების შედეგების შეფასებას, რაც იწვევს ისეთი საკითხების განხილვის აუცილებლობას, როგორიცაა: წყლის რესურსების, ელექტროენერგიისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ეფექტურობა, დასაქმების პოლიტიკა, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა ტურიზმის ინდუსტრიაში, გარემო ბუნება და სხვა

ბოლო 20 წლის მანძილზე საერთაშორისო ტურიზმი მთელს მსოფლიოში შთამბეჭდავი ტემპებით განვითარდა. ამაში განსაკუთრებული როლი ითამაშა: ინდუსტრიულ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობის, მათი შემოსავლებისა და ანაზღაურებადი შვებულებების მნიშვნელოვანმა ზრდამ. ტურიზმზე ზრდადი მოთხოვნის საპასუხოდ ტურისტული პროდუქტის მიწოდება ძირითადად განვითარდა ტურისტული პაკეტების მეშვეობით, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ბიზნეს-მოგზაურობის ფართო გავრცელებას.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საერთაშორისო ტურიზმმა დაამტკიცა, რომ იგი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და ჯანსაღი სახეა. დროის გარკვეულ პერიოდში გაკეთებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისეთი უარყოფითი ფაქტორების მიუხედავად, როგორიცაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური დაცემა და დეპრესია, ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა უცვლელი იყო ან სწრაფად უბრუნდებოდა პირვანდელ მდგომარეობას ეკონომიკის გაჯანსაღების ტემპების კვალობაზე.

ტურიზმმა თავისი შემოსავლებითა და სოციალური მნიშვნელობით გაუსწრო თვით ისეთ დარგს, როგორიცაა ნავთობის მრეწველობა, ამიტომ მან განსაკუთრებული ადგილი დაიკავა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სტრუქტურაში.

მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობის საკონსულოს მონაცემებით საერთაშორისო ტურიზმის ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში ასეთია:

- ტურიზმზე მოდის მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 10%;
- კერძო მომსახურების 10.9%
- მსოფლიო ინვესტიციების 11.8%
- ტურისტების მიერ უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას დაიხარჯა 660 მლრდ აშშ დოლარი
- ტურიზმში სამუშაო ადგილების რაოდენობამ შეადგინა 192 მლნ ერთეული
- ტურიზმიდან მიღებული გადასახდების მოცულობა 157 მლრდ აშშ დოლარია;
- მთავრობის დანახარჯმა ტურიზმის სფეროში 296 მლნ აშშ დოლარი შეადგინა;

მსოფლიოს ძირითადად ტურისტულ ქვეყნებში ტურიზმის ხვედრითი წილი მთლიანად შიდა პროდუქტში ასეთია: ესპანეთი – 6 %; საფრანგეთი – 2 %; გერმანია – 1 %; აშშ - 1.2 %; დიდი ბრიტანეთი – 2.1 %; იტალია – 2.8 %; საბერძნეთი – 4.4 %; ავსტრია 3.3 %; ეგვიპტე – 7.9 %; ისრაელი – 3.6 %; თურქეთი 3.3 %. აღსანიშნავია, რომ ტურისტების და შესაბამისად, ფულადი გაცვლა სულ უფრო ვითარდება მსოფლიოს ინდუსტრიულად მძლავრად განვითარებულ და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის. მართალია, მტო-ს მონცემებით ტურისტული ქვეყნების პირველ ოცეულში ჯერ-ჯერობით არ ფიგურირებს განვითარებადი ქვეყნები, მაგრამ მეცნიერთა პროგნოზებით აღნიშნული სტრუქტურა უახლოეს ათწლეულში შეიცვლება, ვინაიდან როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები ყოველთვის აცნობიერებენ სართაშორისო ტურიზმის (განსაკუთრებით შემოსვლითი ტურიზმის) მნიშვნელობას ნებისმიერი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებასა და სოცილური პრობლემების გადაჭრაში. ტურიზმის ზემოქმედება ეკონომიკაზე ტურიზმის ეკონომიკური ფუნქციებით განისაზღრება. ეს უკანასკნელი რამდენიმე ფორმით ვლინდება:

- ტურიზმის სწორი ორგანიზაციის პირობებში, მას მოაქვს სწრაფი მოგება (მათ შორის ვალუტითაც) ინდუსტრიის სხვა დარგებთან შედარებით. კერძოდ, დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურება ხშირად 5-10 წელიწადში ხდება, მაშინ როცა მრეწველობაში ამას რამდენიმე ათეული წელი სჭირდება;
- ტურიზმის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს ამა თუ იმ საქონლის ე.წ. „უხილავი ექსპორტი“. საქმე ის არის, რომ დასვენების ან მოგზაურობის ადგილას მყოფი უცხოელი ტურისტი არა მარტო ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნის მატარებელია, არამედ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტზე მოთხოვნილების მქონე ადამიანიც. ამ პროდუქტს ტურისტი იძენს უცხოურ ვალუტით ან ადგილობრივი ფულით, რომელიც მის მიერვე უცხოური ვალუტით იქნა შეძენილი. ორივე შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს რომ გაყიდული საქონელი ექსპორტირებულია იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად მისი გაგზავნისა საზღვარგარეთ, თვით მომხმარებელი ჩამოდის ამ

საქონლის შესასყიდად. ამას დიდი სავალუტო შემოსავალი მოაქვს და შეიძლება შეფასდეს დადებით მოვლენად.

- ტურისტული კომპლექსის ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული ისეთი მომიჯნავე დარგების განვითარების დონეზე, როგორიცაა, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობის ცალკეული დარგები, ტრანსპორტი, სამშენებლო ინდუსტრია, კომუნალური მეურნეობა, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, სავაჭრო მომსახურება და სხვა. ამიტომ ტურიზმის გაფართოება სასარგებლო პროცესად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი სტიმულს აძლევს ამ დარგების განვითარებას, სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების შეფასება ეფუძნება ტურისტთა მიერ გაწეულ ხარჯებს. აქ ძალზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც განიცდიან ტურისტთა ხარჯების ზემოქმედებას. ტურისტთა ხარჯების ეკონომიკური ზემოქმედების გაანგარიშება წარმოებს მულტიპლიკატორის დახმარებით.

რამდენადაც ადგილობრივი საწარმოები დამოკიდებულნი არიან სხვა მომმარაგებელ საწარმოებზე, ტურისტულ ადგილებში ტურისტთა ხარჯების ნებისმიერი ცვლილება თავის მხრივ იწვევს შემოსავლების, დასაქმების, გაცვლითი კურსისა და ეკონომიკის წარმოებით დონეზე შესაბამის ცვლილებებს. ტურიზმი მრავალპროდუქტიული ინდუსტრიაა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ეკონომიკის მრავალ სექტორთან და შესაბამისად მულტიპლიკატორის გასაანგარიშებლად საჭიროა მონაცემთა მნიშვნელოვანი ბაზა.

ტურისტულ ინფრასტრუქტურაში დანახარჯები ასახავს იმ უდიდეს ტვირთს, რომელსაც ეწევა სახელმწიფო ბიუჯეტი. ბიუჯეტზე ზეწოლა განსაკუთრებით მაღალია განვითარებად ქვეყნებში უკანასკნელ პერიოდში ბუნებრივი რესურსების შემცირების შედეგად. განვითარებადი ქვეყნების მთავარი პრობლემა მდგომარეობს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საკუთარი ბიუჯეტიდან ხარჯების განხორციელების ხანგრძლივი დროით გაჭიანურებაში და ტურისტული სექტორიდან შემოსავლების ზრდის შეფერხებაში, ხოლო ამ პრობლემის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოებრივ ან კერძო დაფინანსებაზე უცხოური წყაროებიდან. ეს უკანასკნელი საკმაოდ ძვირი ჯდება სესხზე მაღალი სარგებლის არსებობისა და უცხოური ვალუტის კურსის ამაღლების გამო.

უცხოურ ფინანსებზე ძლიერ დამოკიდებულების მიზეზით განვითარებადი ქვეყნები ზოგჯერ ცდილობენ საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების ზრდისათვის მიიღონ მოკლევადიანი ზომები, კერძოდ ისეთი, როგორიცაა: გადასახადებით დაბეგვრა და საქონლისა და მომსახურების შეზღუდვა, რომლებიც სპეციალურად ტურისტული სექტორისათვისაა იმპორტირებული. საერთაშორისო ტურიზმისათვის სპეციალური გადასახადების მიღება, მაგალითად გადასახადები აეროპორტებში ან გადასახადები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობასთან. ამ ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს უცხოური ვალუტის რეზერვების მარაგის ზრდა დროის ხანმოკლე პერიოდისათვის, მაგრამ გრძელვადიანი პერიოდისათვის არაეფექტურია. ის ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე და საზღვარგარეთ მის ტურისტულ იმიჯზე. საერთაშორისო ტურიზმი ეკონომიკის სხვა სფეროების საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების აქტიური გენერატორიცაა. მრავალი ტურისტული ქვეყანა უცხოელ ტურისტთა მოთხოვნებს აკმაყოფილებს იმპორტული საქონლისა და მომსახურების დახმარებით, ხოლო ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება აგრეთვე ასტიმულირებს სხვადასხვა სამშენებლო მასალების, ნედლეულისა და ტექნოლოგიების იმპორტს. თავის მხრივ, ტურისტული პროდუქტის წარმოების აღმავლობისათვის უცხოეთში შეიძლება განხორციელდეს სარეკლამო საქონლების, ჟურნალებისა და სხვათა ექსპორტი.

ტურიზმის, კერძოდ საერთოშორისო ტურიზმის წვლილი ქვეყნის საგადასახადო ბალანსში გამოიხატება მოცემულ ქვეყანაში უცხოელი ტურისტების მიერ გაწეულ ხარჯებსა და ქვეყნის რეზიდენტებს შორის უცხოეთში გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობაში. საერთაშორისო ტურიზმმა შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს იმ პოლიტიკაზე, რომელიც ტარდება სახელმწიფოს მიერ საგადამხდელო ბალანსის სტაბილიზაციის მიზნით. ამიტომ, სახელმწიფოებს იმისათვის, რომ გაადვილებოდათ ტურიზმის ხარჯებისა და მისგან შემოსავლების აღრიცხვის თვალსაზრისით აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება, მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ და ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ გაამარტივეს საერთაშორისო ტურიზმში აღრიცხვიანობის პროცედურა. საერთაშორისო ტურიზმის ზემოქმედება ქვეყნის საგადამხდელო

ბალანსზე დამოკიდებულია მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ბალანსზე. აღნიშნულ შემადგენელთა სხვადასხვა კომბინაციების შედეგად ჯამური ბალანსი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. თავის მხრივ ტურიზმმა შეიძლება გავლენა იქონიოს კაპიტალის მოძრაობაზე და შესაბამისად, საჭიროა ამ უკანასკნელის მკაფიო ანალიზი, რათა ზუსტად განისაზღვროს საგადამხდელო ბალანსზე და მთლიანად ეკონომიკაზე ტურიზმის ზეგავლენის მასშტაბები.

როგორც აღვნიშნეთ, ტურიზმი მოიცავს ეკონომიკის მრავალ სექტორს, რაც ართულებს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ზუსტი რაოდენობის შეფასებას. უფრო მეტიც, რეალური შეფასების პრობლემის გადაწყვეტა რთულდება შრომის სფეციფიკური ხასიათისა და ტურისტულ სექტორსა და ეკონომიკის სხვა სექტორებს შორის კავშირების გამო. ქვეყანაში ტურიზმის ზრდა, მიუხედავად მისი განვითარების დონისა, ქმნის მრავალ სამუშაო ადგილს. ამიტომ დასაქმებაზე ტურიზმის ასეთი ზეგავლენა შეიძლება გახდეს განმსაზღვრელი მრავალი პატარა ქვეყნისათვის, რომლებიც არსებითად არიან დამოკიდებული ეკონომიკის ამ სექტორზე. მცირე ქვეყნებისგან განსხვავებით მსხვილ ინდუსტრიულ ქვეყნებში ტურისტულ სექტორებში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 5%. განვითარებად ქვეყნებში კი ტურიზმის ინდუსტრიაში იქმნება მეტი სამუშაო ადგილი, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორში.

დასაქმებაზე ტურიზმის ზეგავლენის რაოდენობრივი ანალიზის გარდა საჭიროა ხარისხობრივი ანალიზი. ამ შემთხვევაში ძირითადი მაჩვენებელია პროფესიონალიზმის დონე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით 192 მილიონი კაცი დასაქმებულია ტურიზმის სფეროში და აქედან თითქმის ნახევარი მუშაობს სასტუმრო მეურნეობაში. თუმცა ეს პროპორცია სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვაა. განვითარებად ქვეყნებში დასაქმებულთა რიცხვი სასტუმრო მეურნეობაში საკმაოდ დიდია, რამდენადაც იქ შრომა ძალიან იაფია. ასეთ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობის მაჩვენებლები, რომელიც მოდის ერთ სასტუმრო ნომრის მომსახურეობაზე შედაგენს 1.6 - 1.8. სასტუმრო მეურნეობაში ახლად შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა მთლიანობაში ძალიან მაღალია. მაგრამ მისი შექმნის შესაძლებლობა დამოკიდებულია სასტუმროთა კატეგორიებზე, რომელიც, თავის მხრივ განისაზღვრება ინვესტიციების სიდიდით.

ტურისტებზე სოციალურ-კულტურული ზემოქმედება შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. დადებითს შეიძლება მივაკუთვნოთ კულტურული ინფორმაციის გაცვლა. ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობისადმი ტურისტთა ინტერესმა შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო სიამაყის გრძნობა ადგილობრივ მოსახლეობაში, რაც მათ სტიმულს მისცემს შეინარჩუნონ ეროვნული ტრადიციები, ხელოსნობა, კულტურა, და ა.შ. ნეგატური ზემოქმედება ხშირად ვლინდება პირდაპირი კონტაქტებით, მაგრამ შეიძლება გამოწვეული იქნას ტურიზმის არაპროპორციული განვითარებისა და პოტენციური შესაძლებლობების არაფექტიანად რეალიაზაციის გამო. ამრიგად ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე გამოიხატება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

- ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები;
- შემოსული, გასული და ადგილობრივი ტურისტების რაოდენობა;
- ერთი ტურისტის მიერ გაწეული ხარჯები და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები.
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი ქვეყანაში შექმნილი საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობაში;
- ტურიზმის ხვედრითი წილი ქვეყნის ექსპორტში და საგადამხდელო ბალანსში;

აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშების შედეგად მივიღებთ ტურიზმთან დაკავშირებით რეალურ და ამომწურავ სურათს ნებისმიერი ქვეყნისათვის.

ლიტერატურა:

1. კოჭლამაზაშვილი ლ. – ტურიზმის ეკონომიკა (ლექციის კურსი). გამომცემლობა „პოლიგრაფისტი“. თბ. 2005;
2. მარგველაშვილი მ. – ტურმიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია საქართველოში; დისერტაცია, თსუ, თბ., 2002;
3. მეტრეველი მ. – ტურიზმი (დამხმარე სახელმძღვანელო ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2003;
4. შუბლაძე გ. – საერთაშორისო ტურისტული ბიზნესი, თსუ-ს გამომცემლობა, გამოშვება II, თბ., 1999:

5. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრი – ტურიზმის საფუძვლები (დამხმარე სასწავლო – მეთოდური სახელმძღვანელო), თბ., 2005;
6. World Travel & Tourism Council, London, March – 2001.

რეზიუმე

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტურიზმი გადამწყვეტ როლს ასრულებს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში. საერთაშორისო ტურიზმის განვითარების საერთო მიმართულებებს ძირითადად განსაზღვრავენ გარე და შიდა ფაქტორები. პირველს მიეკუთვნება: დემოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური, ეკოლოგიური ფაქტორები, აგრეთვე ვაჭრობა, ტექნოლოგია და ტრანსპორტი. მეორე რიგის ფაქტორები უშუალოდ დაკავშირებულია ტურიზმთან და ახასიათებენ მოთხოვნა-მიწოდებასა და განაწილებას.

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები, მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, წარმოდგენილია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები.

THE DEVELOPMENT OF INTERNATIONAL TOURISM AND ITS IMPACT ON THE ECONOMY

Leila Mamulashvili, Associate Professor
Irma Makharashvili, Specialist by contract

RESUME

In many countries tourism plays a crucial role in the formation of gross domestic product (GDP). The general directions of the development of International tourism are mainly defined by the external and internal factors.The priors are: demographic, social, political and ecological factors, as well as trade, technology and transport. The following factors are directly related to tourism and characterize demand, supply and distribution.

The paper discusses the development of international tourism trends and their impact on the economy, represented by relevant statistical data.

სვანეთში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები და მისი როლი ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში

გიორგი მერლანი, სრული პროფესორი

ტურიზმი მსოფლიოში აღიარებულია, როგორც შემოსავლების მიღების უდიდესი წყარო და მრავალი ქვეყნის საგადასახადო ბალანსის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა უკვე გადააჭარბა ბევრ სხვა დარგებიდან მიღებულ შემოსავლებს. იგი ერთ-ერთი ყველაზე რენტაბელური სფეროა და მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მაღალი ზრდის ტემპების გამო იგი აღიარებულია, როგორც „XXI საუკუნის ფენომენი“. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში შემოსავალი ტურიზმიდან ყოველწლიურად 9%-ით იზრდება. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) პროგნოზით, ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოში 2010 წელის ბოლოსათვის 1 მილიარდს გადააჭარბებს, ხოლო შესაბამისად შემოსავლები 600 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდება.

დღეისათვის ტურიზმი იკავებს მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქციის 10%-ს, (ხოლო ზოგიერთ მცირე, თუ განვითარებადი ქვეყნის მშპ-ში მისი წილი ბევრად უფრო მაღალია), მოიხმარს მშპ–ის 10,9%-ს, მსოფლიო ინვესტიციების 11,8%-ს. ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულია მომსახურეთა დიდი რაოდენობა (მსოფლიო მოსახლეობის 10%), მოზიდულია დიდი რაოდენობის ძირითადი საშუალებები და მსხვილი კაპიტალი. ეს არის მსხვილი ბიზნესი, დიდი ფული და გლობალური დონის სერიოზული პოლიტიკა. მას სამართლიანად უწოდებენ „ოქროს კვერცხის მდებელ ბატს“.

საქართველო, უცხო მოგზაურთათვის ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველი იყო. უხსოვარი დროიდან ჩვენი ქვეყანა, თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, დასერილი იყო სხვადასხვა მიმართულების სავაჭრო გზებით (მ.შ. აბრეშუმის გზა). ნიშანდობლივია ისიც, რომ დღესაც ჩვენი მთავრობა ზუსტად გზების კეთილ მოწყობას აქცევს დიდ ყურადღებას და ამ კუთხით მილიონობით ინვესტიციებს ხარჯავს. კეთილმიწყობილი გზები კი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც მთიან რეგიონს, გეოგრაფიული მონაცემების თანახმად, ქვეყნის მთელი ტერიტორიის 54.4% მთიანია (ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლაა), თუმცა, თუ ვიხელმძღვანელებთ მთიანი რეგიონების შესახებ ევროპის რიგ ქვეყნებში დღეისათვის მიღებული განმარტებით, მთიანი რეგიონები არის გეორაფიული, ეკონომიკური და სოციალური ერთეული, რომლის რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს განვითარებას, მოწყობისა და დაცვის საგანგებო წესების შემუშავებასა და ამოქმედებას. ტერიტორია, რომელიც ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, საქართველოში კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდება.

საქართველოს მთიანეთის სამი ძირითადი ნაწილი – აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ მთიანეთი, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ტრადიციებითა და რესურსული შესაძლებლობებით, ასევე განვითარების პოტენციალით.

ჩვენ საკვლევ ობიექტად საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი, ტურისტებისათვის მიმზიდველი, მაგრამ ტურიზმის კუთხით ნაკლებად შესწავლილი კუთხე, სვანეთი ავირჩიეთ. როგორც ცნობილია ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ღირსშესანიშნაობები და სანახავი ადგილები, რითაც ტურისტი შეიძლება მოიხიბლოს, და თავისუფალი დროის გატარების ფორმები, რითაც ტურისტი შეიძლება გაერთოს ადგილზე ყოფნისას. ამ მხრივ სვანეთი გამორჩეულია.

სვანეთში ჩასული ტურისტი განცვიფრებული დარჩება მუდმივად თოვლიანი მთის თვალუწვდენელი მწვერვალებით. სვანეთი ულამაზესი მხარეა არამარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. საოცარია აქაური სოფლები, მუდმივად თოვლიანი მთის თვალუწვდენელი მწვერვალები, აზაფის საძოვრები, საიდანაც შუასაუკუნეების კოშკები ულამაზეს ხეობებს ამაყად გადაჰყურებენ, ხოლო ფრიალო კლდეებში ღრუბლები გაწოლილან. სვანეთი საჩუქარია არა მხოლოდ ტურისტებისათვის, ლაშქრობის მოყვარულთათვის, არამედ იგი კულტურის უძველესი კერაცაა. აქ მრავლად შეხვდებით შუა ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების ძეგლებს, სალოცავებსა და ეკლესიებს, შუასაუკუნეების უნიკალურ ფრესკებსა და მონეტებს, რომლებიც ახლაც ინახება რამოდენიმე მუზეუმში.

სვანეთი მდებარეობს ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში. ადრეულ საუკუნეებში იგი კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. სვანეთის ქედი სვანეთს ორ ნაწილად – ზემო და ქვემო სვანეთად ჰყოფს. ზემო სვანეთი მდებარეობს ენგურის ხეობაში. მისი სოფლები იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის მფარველობაშია, ხოლო ქვემო სვანეთი მდ. ცხენისწყლის ხეობაშია. სვანეთის მოსახლეობა ქართველია და შეადგენს 2500-მდე.

სვანეთში თავმოყრილია კავკასიონის უმთავრესი მწვერვალები: შხარა (5068 მ), ჯანღა (5060 მ), გესტოლა (4860 მ), თეთნულდი (4860 მ), წურუნგალა (4220 მ), აილამა (4550 მ), მაზერი (4010 მ), ჩათინი (4370 მ) და ორთავა უშბას კლდოვანი მასივი (4700 მ).

მეტად მრავალფეროვანია სვანეთის მცენარეული საფარი. წიწვოვანი ტყეები 800-900 მეტრიდან გვხვდება, ხოლო ალპური სარტყელი 2450-2500-დან 3100-3200 მეტრამდე ვრცელდება. აქ გვხვდება ფართოფოთლოვანი ტყეები, რომელთა შემადგენლობაშია ქართული მუხა, კავკასიური რცხილა, ცაცხვი, მთის ნეკერჩხალი და სხვა.

სვანეთის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად სვანურ ენაზე საუბრობს. ისინი განთქმული არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობითა და შრომისმოყვარეობით. სვანები თავისებური და ამაყი ხალხია. სვანეთის ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მუსიკალური ფოლკლორი, რომლითაც იხიბლებიან ტურისტები. სვანური სიმღერები ძირითადად ომებს, ომის გმირებს, სახელოვან მეფეებს ეძღვნება, ბევრი სიმღერა კი წარმართულ ელემენტებსაც შეიცავს.

ღირსშესანიშნაობები:

სოფელი უშგული. უშგული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც ყველაზე გამორჩეული ადგილია. ესაა ევროპაში უმაღლესი, ყველაზე მაღალი დასახლება, ანუ მზესთან ყველაზე ახლოს 2200-მეტრის სიმაღლეზე დასახლებული ადგილი და ამგვარად ბებერი სამყაროს სახურავი, იქნებ ამიტომაც შეიქმნა სვანეთში მზის საგალობელი – „ლილეო“, რომლის მოსმენაც ასე ძალიან ახარებთ უცხოელებს: ო, თეთრო მზეო, დიდება შენდა! შენ ხარ იმედი პირმშოთა შენთა!...

აქ ამ, „ათასი კოშკის მხარეში“, როგორც იმ საგალობელშია ნათქვამი, მზეს ფიქალის კოშკი აუგეს წმინდა, რომლის მსგავსი მთელს მსოფლიოში არ გვხვდება. უშგული ამ მხრივაც გამორჩეულია. ერთი სიტყვით, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, „თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვართ, სვანეთში უნდა წახვიდეთ, ოღონდ იქ ასული თუ უშგულამდე ვეღარ ააღწევთ, ჩათვალეთ, რომ სვანეთი არ გინახავთ, ან ბევრიც არაფერი გინახავთ“. სვანური კოშკი, სვანური სახლით „მაჩუბი“, თავისი სილამაზით, სიძველით, უნიკალურობით გამორჩეულია, ასევე თავისი ორიგინალობით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ ადიშის, იელის სვიფის, წვირმის, ჟაბეშის, უშგულის, ლაშდღვერის ეკლესიები (სულ 70), გამოჩენილი ალპინისტისა და მთამსვლელის (კლდის ვეფხვად წოდებული) მიხეილ ხერგიანის და მარგიანების სახლ-მუზეუმები.

ქვემო სვანეთში ჩასულ ტურისტს შეუძლია იხილოს ისტორიული ძეგლები: ჟახუნდრის წმინდა გიორგის ეკლესია, დადიანის ციხე-დარბაზის კომპლექსი ლენტეხში, ლექსურის კოშკები, ტვიბის მთავარანგელოზის ეკლესია,

ჟახუნდერი – ლენტეხიდან 35 კმ-ზე სოფელში შემონახულია თლილი ქვით ნაშენი შუა საუკუნეების წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია.

მესტია – არის ზემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრი. აქ არის ისტორიულ-ეკონომიკური მუზეუმი, სადაც ინახება შუა საუკუნეების ხატები. სწორედ მესტიიდან სულ რაღაც 10 კილომეტრშია ისეთი უნიკალური სათხილამურო ადგილი, სადაც ივლისის თვეშიც კი შესაძლებელია თხილამურებით სრიალი. ამიტომაც არის აქცენტი აღებული ჩვენი პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ სვანეთში ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე.

ზამთრის შესანიშნავი კურორტები ალბათ არაერთი ტურისტის მონახულების ადგილი იქნება, ჩვენი მიზანი და დიდი სურვილია იმ უცხოელებს, რომელთაც მწირი ინფორმაცია აქვთ სვანეთის თაობაზე ცოტაოდენი წარმოდგენა შევუქმნათ და დავაინტერესოთ, რათა უფრო განვითარდეს სვანეთში ტურიზმი.

რით უნდა გამოირჩეოდეს უცხოელი ტურისტებისთვის საქართველოში, და კერძოდ სვანეთში გატარებული დღეები? რატომ უნდა დახარჯონ მათ ფული და დრო სწორედ საქართველოში ორგანიზებულ ტურებზე? რა უნდა იყოს სვანეთში ტურისტული მომსახურების, ტურისტული პროდუქტის, კონკრეტული უპირატესობები? ამ კითხვებზე პასუხი ზემოთ იყო გაცემული.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ყველა სხვა ბაზარი, ტურიზმის ბაზარი ფუნქციონირებს მოთხოვნისა და მიწოდების კანონების შესაბამისად. ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნას ასახავს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონეს. გარდა ამისა სამომხმარებლო მოთხოვნაზე მოქმედებს დემოგრაფიული ფაქტორები, კლიმატური პირობები, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, ფსიქოლოგიური ფაქტორები და სხვა. რაც შეეხება უსაფრთხოებას, რომლის პრობლემაც ყოველთვის იყო, დღესდღეობით სვანეთში შეიძლება ითქვას გარანტირებულია.

მთიან და აუთვისებელ რაიონებს ძირითადად ეწვევიან ის ტურისტები, რომლებსაც უყვართ ბუნება და აქტიური დასვენების ისეთი ფორმა, როგორიცაა ლაშქრობა, მთამსვლელობა, თხილამურებით სრიალი და ველური ბუნებით ტკბობა. როგორც წესი ასეთი ადგილების ეკო სისტემა გამოირჩევა შედარებით ნაკლები გამტარუნარიანობით, რომელიც საშუალებას არ იძლევა განხორციელდეს მასშტაბური პროექტი და მიღებული იქნეს მნახველთა დიდი რაოდენობა.

სვანეთის, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მთიანი რეგიონების, გადარჩენას და მიგრაციის შეჩერებას ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარება, რომელიც სვანეთის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გვესახება. ჩვენი აზრით სვანეთიში ტურიზმის განვითარება საჭიროა კომპლექსურად. აუცილებელია სოფლებში შეიქმნას ტურისტული ცენტრების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა, რაც წარმოშობს და მერე გაზრდის კონკურენციას. ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებით ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ გათვითცნობიერებული სვანეთისათვის ტურიზმის განვითარების აუცილებლობაში, ან თუ არის არ ფლობს შესაბამის ცოდნასა და პრაქტიკულ

ჩვევებს, რათა მოემსახუროს ტურისტებს, ან შეძლოს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება მოგების მიღების მიზნით.

ჩვენ მოცემული ეტაპისთვის ვერ დავეთანხმებით იმ მეცნიერებს, რომლებიც ქადაგებენ საქართველოს მთიან რეგიონებში ტურისტების რაოდენობის შეზღუდვას ხარისხის, ანუ ნაკლები რაოდენობის, მაგრამ მაღალი გადახდის უნარიანი ტურისტების სანაცვლოდ, მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოების გამო, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო მასშტაბით. თუმცა ხარისხიანი მომსახურების განვითარება პარალელურად აუცილებელ ატრიბუტად მიგვაჩნია.

ქვემოთ გვინდა შემოგთავაზოთ პროექტი საქართველოს ულამაზესი კუთხის სვანეთის ტურებზე.

ეს პროექტი ემსახურება იმას, რომ უცხოელმა ტურისტებმა და არა მარტო მათ, შეძლონ უკეთ გაეცნონ ამ კუთხის ულამაზეს ადგილებს, აქ მცხოვრებთა ადათ-წესებს, იქაურ ფლორას, ფაუნას. საფეხმავლო ბილიკებით დალაშქრონ მთათა ულამაზესი მასივები, ხეობები, გაიმდირონ ფოტოალბომები და მიიღონ წარუშლელი შთაბეჭდილებები. ასევე გაეცნონ იმ ტრადიციებს და კულტურას, რომელიც სვანეთში არსებობს. ეს პროექტი არის 4 დღიანი და ამ ოთხ დღეში ხდება ჩამოსული ტურისტებისთვის ყველა იმ ძეგლის და ტრადიციების გაცნობა, რომელიც სვანეთში არსებობს. ასევე გათვალისწინებულია კონფერენციების ჩატარება, რათა უფრო ადვილად შეძლონ ტურისტებმა ადგილობრივი ტრადიციების გაცნობა.

ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელია ყველა დამფინანსებლის მიერ, რომლის მიზანია, რომ ადგილზე ჩამოსულმა ტურისტებმა შეძლონ მოიხიბლონ კავკასიონის ულამაზესი ხედებით და შეიგრძნონ ბუნების პირველყოფილი სილამაზე. თანხა შეადგენს 200 დოლარს უცხოელებისათვის, ადგილობრივი ტურისტებისათვის 100 ლარს. მასში შედის ყველანაირი მომსახურება, მგზავრობის და ასევე სასტუმროს ხარჯები.

ცუდი ამინდის შემთხვევაში შესაძლებელია ტურისტული პაკეტის კიდევ ორი დღით გაგრძელება ან თანხის დაბრუნება, გარდა გაწეული ხარჯებისა. ტურისტს წინასწარ ვაწვდით მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების დეტალურ ინფორმაციას.

ჩასულ ტურისტებს ემსახურება გიდი, რომელიც ამ 4 დღის განმავლობაში აწვდის ინფორმაციას და ათვალიერებინებს იმ ძეგლებს, რომელიც სვანეთში არსებობს.

მუშაობის რეგლამენტი:

დღე I

გასვლა თბილისიდან 8-სთ-ზე, ხდება ჩასული ტურისტების დაბინავება სასტუმრო „ზესხო“-ში. ქვემო სვანეთი-ლენტეხი.

დღე II

გამგზავრება ზესხოს, ცანას, უშგულის მიმართულებით, შხარას მთის ძირას მისვლა, სადაც მდინარე ენგური წვეთწვეთობით იწყება.

20 სთ, საღამოს სხდომა – ეს სხდომა ითვლისწინებს ტურისტებისათვის ტრადიციების გაცნობას, რომელიც არსებობს ადგილობრივად. ღამის თევა უშგულში, ევროპის უმაღლეს დასახლებულ ადგილას.

დღე III

ხდება გამგზავრება უშგულიდან მესტიის მიმართულებით, დაბინავება სასტუმრო ,,თეთნულდში”-ში. ეწყობა ექსკურსია მესტიის ტერიტორიაზე. ყველა იმ ტრადიციისა და ჩვევების გაცნობა, რომელიც შემორჩა ზემო სვანეთს. იმ ძეგლების ნახვა, რომელიც არის ადგილობრივად.

10 სთ, დილის სხდომა – აქ ხდება გაცნობა თუ რა მიმართულებით და როგორ უნდა მოხდეს ექსკურსიის მოწყობა.

14-16 სთ, შესვენება

20 სთ, საღამოს სხდომა – ხდება ყველა იმ ინფორმაციის შეჯამება, რომელიც ამ 3 დღის განმავლობაში იქნა მიღებული.

დღე IV

12:00 სთ-ზე გამგზავრება ჯვარი-ზუგდიდი-თბილისის მიმართულებით, ენგურჰესის კაშხალის დათვალიერებით, კეთილმოწყობილი ანაკლიის პლაჟების გავლით.

რეზიუმე

ყველასათვის კარგად არის ცნობილი და არ წარმოადგენს სადაო საკითხს ის, რომ ტურიზმი თავისი რეალობიდან გამომდინარე მსოფლიოში აღიარებულია, როგორც შემოსავლების მიღების უდიდესი წყარო და ერთ-ერთი ყველაზე რენტაბელური სფერო. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა.

ჩვენ საკვლევ ობიექტად საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი, ტურისტებისათვის მიმზიდველი, მაგრამ ტურიზმის კუთხით ნაკლებად შესწავლილი კუთხე, სვანეთი ავირჩიეთ.

როგორც ცნობილია ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია მინიმუმ ორი გარემოება: 1) ღირსშესანიშნაობები და სანახავი ადგილები, რითაც ტურისტი შეიძლება მოიხიბლოს, 2) თავისუფალი დროის გატარების ფორმები, რითაც ტურისტი შეიძლება გაერთოს ადგილზე ყოფნისას, ამ მხრივ სვანეთი გამორჩეულია.

სვანეთში ტურისტებისათვის განსაკუთრებულ სანახაობას წარმოადგენს „უშგული“ – დღეს ეს ადრე ღმერთისგან მივიწყებული სოფელი ტურისტებისათვის ნამდვილი სავანეა. აქაურ მოსახლეობას კი ნაკლებად უხდებათ ბარად საშოვარზე წასვლა. ისინი ტურისტების მომახურებით არიან დაკავებული. უშგული არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც ყველაზე გამორჩეული ადგილია.

ნაშრომის ბოლოს შემოთავაზებულია პროექტი საქართველოს ულამაზესი კუთხის სვანეთის გამორჩეულ ტურზე. ეს პროექტი ემსახურება იმას, რომ უცხოელმა ტურისტებმა და არა მარტო მათ, შეძლონ უკეთ გაეცნონ ამ კუთხის ულამაზეს ადგილებს, საფეხმავლო ბილიკებით დალაშქრონ მთათა ულამზესი მასივები, ხეობები, გაიმდიდრონ ფოტოალბომები და მიიღონ წარუშლელი შტაბეჭდილებები, ხოლო სვანეთი დატოვონ ხელმეორედ ნახვის დაუოკებელი სურვილით.

DEVELOPMENT AND PERSPEQTIVES OF TURIZM AND IT VOLE FOR PROFIT OF LOKAL POPULATION

GIORGI MERLANI, FULL PROFESSOR

SUMMARY

In the labour the special attention has been given to the issues of the tourism development in Georgia. Georgia had always been attractive and interesting for foreign travelers. The most ancient proof of it is the travel of Argonauts in the Colchis for seizure of the gold fleece. Yet in the ancient period our country was furrowed by various trade roads because of its comfortable geographic situation. Travelling would be impossible without convenient infrastructure. Since the ancient time the existence of the hotel like houses having different names in different periods has been known in Georgia and the provision of various kinds of services foreseeing feeding travelers, preparing provisions, washing and cleaning clothes and shoes, feeding horses, and when necessary changing them, providing a guide etc.

Development of tourism in Svaneti as well as in other regions of Georgia will maintain the mountainous region and facilitate termination of migration. We reckon that development of tourism is one of the main directions for economic development of the region. Development of tourism in Svaneti should be implemented in complex. It is necessary to establish tourist centers in villages, which will increase level of competition. According to our practical experience the most part of inhabitants does not properly perceive importance of development of tourism, and if is, the population does not possess enough knowledge and practical skills in order to serve tourists and comply with their demands in order to obtain revenue from tourism activity.

ბიზნეს-პროგრამების მართვის ხელშემწყობი კომპიუტერული სისტემების აგების მეთოდები

თინათინ მშვიდობაძე, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ბიზნესი პრაქტიულად მთლიანად დამოკიდებული ხდება ინფორმაციულ სივრცეზე. დღესდღეობით ინფორმაციული სივცის შექმნისა და მართვის ძირითადი წყაროა განაწილებული ინფორმაციული სისტემების დანერგვა და აქტიური გამოყენება, რაც ბიზნესის ინტერნეტულ სამყაროში ინტეგრაციით გამოიხატება - ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბიზნესის სისტემების დანერგვის თვალსაზრისით.

ბიზნეს-პრაქტიკიდან გამომდინარე კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება საგრძნობლად ამცირებს ორგანიზაციულ, დროით და ბიზნესის მთლიანი ინფრასტრუქტურის ხარჯებს. შედეგად მიიღება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ბაზირებულია ინფორმაციის გლობალურ ელექტრონულ გაცვლაზე.

ბიზნეს-პროცესების მართვის საინფორმაციო ტექნოლოგია დაპროექტებისა და მოდელირების თვალსაზრისით იყენებს ბიზნეს-პროცესების მოდელირების ენებს (Business Process Diagrams - BPD, Business Process Execution Language – BPEL, Business Process Modeling Language - BPML), უნიფიცირებული მოდელირების ენას (Unified Modeling Language - UML), მონაცემთა ნაკადების დიაგრამას (Data Flow Diagrams - DFD), დოკუმენტბრუნვისა (Docflow Managemen System) და საქმიანი ნაკადების მართვის სისტემებს (Workflow Managemen System) და ა.შ. რაც შეეხება ავტომატიზაციის მხარეს, აქ უმეტესად გამოყენებაშია ვებ-ტექნოლოგიაზე ბაზირებული პლატფორმები და პროგრამული ტექნოლოგიები. (Microsoft .NET Framework , Java Framework, Java NetBeans, PHP, XML, HTML და ა.შ.) [1,7].

ელ-ბიზნესისა და ელ-კომერციის ზოგად მოდელში კლასიფიცირებულია ძირითადი ბიზნეს - ურთიერთობების შემდეგი კატეგორიები:

- ბიზნეს-ბიზნესი (business-to-business, B2B);
- ბიზნეს-მომხმარებელი (business-to-consumer, B2C);
- ბიზნეს-ადმინისტრაცია (business-to-government, B2G);

ბიზნეს-ბიზნესი - ფირმათა შორისი ელექტრონული კომერციაა, რომელიც მოიცავს ყველა დონის ინფორმაციულ კავშირებს კომპანიებს შორის. ამ სფეროს მთავარი ტენდენცია მრავალფუნქციონალური ბიზნეს დანართების ერთიანი ვებ-ინტერფეისის დამუშავებაა. მისი საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიების ბიზნეს-პროცესების ფართო სპექტრისა და საშუამავლო რგოლების ინფორმაციული და საქმიანი ნაკადების ინტერნეტული მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ბიზნეს-მომხმარებელი - ელ-კომერციის ვარიანტია, სადაც მყიდველი კეძო პირია. მაგალითად, ინტერნეტ-მაღაზია, ფასიანი საინფორმაციო სამსახური და ა.შ.

ბიზნეს-ადმინისტრაცია - ელ-კომერციაა საწარმოსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის. პრაქტიკულად, ნებისმიერი კომპანიის არსებობა და მუშაობა დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოებზე. ამ მიმართულების უპირატესობას ძირითადად კომპანიებსა და სახელმწიფო ადმინისტრაციულ სტრუქტურებს შორის საგადასახადო სისტემის გამჭვირვალობა და დოკუმენტბრუნვის პროცესის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მისი საშუალებით გამარტივებული იქნება რიგი სახელმწიფო ფუნქციები, მაგალითად, საბიუჯეტო ნაკადების მეთვალყურეობა, კომპანიების, ფირმების, სატრანსპორტო საშუალებების პატენტების რეგისტრაცია, ხელშეკრულებების გაფორმება, კომპანიებისათვის საჭირო ინფორმაციის გამოქვეყნება-შეგროვება. [2, 12].

უნივერსალურად დამუშავებული ფორმებისა და სტანდრტების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს სისტემა ebXML (Electronic Business using eXtensible Markup Language - ელ-ბიზნესი გაფართოებული ფორმატირების ენის გამოყენებით), რომელიც განკუთვნილია B2B პლატფორმისათვის და წარმოადგენს ელექტრონული ბიზნესის წარმოების ხელშემწყობ სისტემას. იგი ქმნის საქმიანი პროცესებისა და დოკუმენტების უნივერსალურ სტრუქტურას XML ენის ბაზაზე.

ebXML წარმოადგენს ფუნქციონალური სპეციფიკაციების მოდულურ ერთობლიობას, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი მასშტაბის საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერი გეოგრაფიული ადგილით განახორციელონ ბიზნეს-დოკუმენტაციის წარმოება. ფაქტობრივად, ebXML სისტემის მიზანია ბიზნეს-მოდელის გარდაქმნა შეტყობინების მოდელად და ერთიანი ელექტრონული გლობალური ბაზრის შექმნა. [3.16].

კორპორაციული მართვის ობიექტებზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის ფირმებში, მაღალია „გაკოტრების რისკის“ სინდრომი მოულოდნელი, შემთხვევითი მოვლენებიდან გამომდინარე, თუ არასტაბილური, ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული. ფირმის ხელმძღვანელი, შეძლებისდაგვარად ყოველთვის მზად უნდა იყოს ოპერატიული მანევრირებისათვის, რათა სწორი ტაქტიკური ქმედებებით შეძლოს სტრატეგიული მიზნების მიღწევა.

განვიხილოთ ექსპერტულ შეფასებათა ავტომატიზებული დამუშავების პროგრამული პაკეტების შექმნა, რომელიც ობიექტ-ორიენტირებული მეთოდების საფუძველზე უნდა აიგოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ უნიფიცირებული მოდელირების ენის (UML-Unified Modeling Language) ტექნოლოგიის გამოყენება. რთული პროგრამული პაკეტების დაპროექტებისა და რეალიზაციის CAS - მეთოდებით შესაძლებელია ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ავტომატიზებული სისტემების დამუშავება, რაც განსაკუთრებით აქტუალური ამოცანაა.

მართვის პროცესისათვის გამოიყენება ექსპერტულ შეფასებათა მეთოდებით მოპოვებული ინფორმაციები და გადამუშავდება ისინი კომპიუტერის გამოყენებით. ეს გადამუშავება კი გულისხმობს სპეციალური პროგრამული პაკეტის ("Expert_UML") დამუშავებას, ანუ უნდა შეიქმნას კომპიუტერული დიალოგური სისტემა ახალი, UML - ტექნოლოგიის საფუძველზე.

სისტემაში აქტიური მომხმარებლები არიან ექსპერტები(საწარმოო ფირმის ხელმძღვანელები) და ერთი კონსულტანტი, რომელიც მეთოდურად ხელმძღვანელობს ექსპერტებს და წარმართავს როგორც მათი განსწავლის პროცესს, ასევე ინფორმაციის შეფასებას და გადამუშავებას. უნდა შეიქმნას კონსულტანტის ავტომატიზებული სამუშაო ადგილი. კომპიუტერში ჩაიდება ფირმის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების წინადადებების ამსახველი მონაცემთა ბაზა, შეიქმნება პროგრამები, რომლებიც შეაჯერებენ ექსპერტულ შეფასებათა შედეგებს და გამოიმუშავებენ კოლექტიურ გადაწყვეტილებებს. მოხდება ამ გადაწყვეტილებთა ცხოვრებაში გატარების ღონისძიებების შემუშავება და მათი დანახარჯების ანალიზი.

ექსპერტულ შეფასებათა ავტომატიზებული დამუშავების სისტემის ძირითადი მიზანია საწარმოო ფირმებისა და ორგანიზაციების სტრატეგიული განვითარების გეგმების შედგენის პროცესის ავტომატიზაცია.

ახლა განვიხილოთ ობიექტ-ორიენტირებული ER- სქემის აგების მაგალითი კატეგორიალური მიდგომის გამოყენებით მონაცემთა ბაზებში. [4,88].

ობიექტ-როლური მოდელირება (ORM) – მონაცემთა ბაზის სტრუქტურების მოდელირებისა და ავტომატიზებული დაპროექტების მეთოდია კონცეპტუალურ დონეზე. ბუნებრივი ენის გრამატიკის გამოყენება, ისევე როგორც ინტუიციური დიაგრამებისა, რომელთა შევსება შესაძლებელია მაგალითებით, აგრეთვე ინფორმაციის გამოკვლევა, მარტივი ან ელემენტარული ფაქტების ტერმინებში, მნიშვნელოვნად ამარტივებს ავტომატიზებული დაპროექტების პროცესს. RM განიხილავს საპრობლემო სფეროს როგორც ურთიერთდაკავშირებულ ობიექტთა ერთობლიობას, რომლებიც თამაშობს გარკვეულ როლებს.

ზოგადი მაგალითისათვის აქ განიხილება ფირმა, რომლის ბიზნეს-პროცესები აღიწერება ელემენტარული ფაქტების დახმარებით, სადაც ასახულია ფირმის საქმიანობის კანონზომიერებანი. ავტომატიზებულ რეჟიმში ბიზნეს-ობიექტებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მარკეტინგისა და მენეჯმენტის პროცესების სწორად და დროულად წარმართვას. ახალი ბიზნეს-პროგრამები, რომელთა განხორციელება, ერთის მხრივ სასიცოცხლოა თანამედროვე კოუნიკაციის პირობებში, ხოლო მეორეს მხრივ, ძნელად რეალიზებადია საკმაო მოცულობის ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მოითხოვს ფირმის ხელმძღვანელებისა და ექსპერტ-სპეციალისტებისაგან სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას გააზრებული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე. ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა მხარდამჭერ გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდებისა და მოდელების შემუშავება, აგრეთვე ასეთი მართვის ავტომატიზებული სისტემების ობიექტ-ორიენტირებული დაპროექტება და რეალიზაცია აქტუალური და მეტად მნიშვნელოვანია.

ალტერნატიული ბიზნეს-პროგრამების შეფასების პროცესი, რომელიც დიდი ინფორმაციული ნაკადების ანალიზს ეფუძნება, მოითხოვს აგრეთვე გამოცდილი ექსპერტ-კონსულტანტების ცოდნის, გამოცდილებისა და ინტუიციის ერთობლიობას, სწორი პროგნოზირების უნარს, რაც მეტად მნიშვნელოვანია კრიტიკულ სიტუაციაში და მცირე დროით პირობებში. ამდენად, კონსულტანტები და ფირმის გამოცდილი სპეციალისტები, როგორც საპრობლემო სფეროს ექსპერტები, ერთობლივი ძალისხმევით, კონსულტაციებითა და კომპრომისებით ცდილობენ მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილებანი ფირმის განვითარების სწორი კორპორაციული გეგმებისა და ტაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ, ბიზნეს-პროგრამების შერჩევის ნაკლები რისკით.



ნახაზზე მოცემულია **ERM** -დიაგრამა, რომელიც ავტომატიზებულ რეჟიმში აიგო ORM–დიაგრამის საფუძველზე. ამისათვის გამოყენებულ იქნა Ms Visio ინსტრუმენტის Database კატეგორიაში ERM მოდელის გენერაციის პროგრამა. მიღებული არსთა-დამოკიდებულების ER-მოდელი (ცხრილები და ცხრილთაშორისი კავშირები) ფორმირებულია ORM-მოდელის აგების პროცესში ჩაწერილი სემანტიკური ინფორმაციის საფუძველზე, რაც საშუალებას იძლევა ავტომატიზებულ რეჟიმში განისაზღვროს არა მხოლოდ ცხრილთაშორისი კავშირები, არამედ პირველადი(PK) და მეორეული (FK), გასაღებური, ინდექსური(I) და უნიკალურობის (U) ატრიბუტების ბაზაზე. შემდგომ ეტაპზე ER-მოდელის საფუძველზე ვახდენთ კოდის სახით მონაცემთა აღწერის DDL ფაილის ავტომატურ გენერირებას.

ამგვარად, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და განაწილებული მონაცემთა ბაზების სტრუქტურების ამოცანის გადაწყვეტის შესაბამისი ალგორითმული სქემების დაპროექტებით, ობიექტ-ორიენტირებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების საფუძველზე შესაძლებელია დაპროექტების და დაპროგრამების პროცესების ავტომატიზაცია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სისტემების შექმნის დროს და ამაღლებს მის ხარისხს. მონაცემთა ბაზების სტრუქტურები და ცხრილთაშორისი კავშირები, ჩვენს შემთხვევაში მზადაა კონკრეტული მონაცემების შესატანად MsSQL Server გარემოში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მიღებული მონაცემთა ბაზის სტრუქტურის ავტომატიზებული მოდიფიკაცია და მისი შემდგომი რეალიზაცია.

ლიტერატურა:

1. გიუტაშვილი მ, თურქია ე, - კორპორაციულ სისტემებში ინტელექტუალური რესურსების მნეჯმენტი, მონოგრაფია, სტუ, თბილისი, 2008.
2. თურქია ე, ძმანაშვილი ი. - ინტერნეტ-ბიზნესი, სახელმძღვანელო, სტუ, თბილისი, 2008.
3. Rinderle, S.; Bobrik, R.; Reichert, M.; Bauer, T. Business Process Visualization – Use Cases, Challenges, Solutions. In: Proceedings of the 8th International Conference on Enterprise Information Systems, Paphos, Cyprus, 2006.
4. ფრანგიშვილი ა., სურგულაძე გ., ვაჭარაძე ი., - ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებებში გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები და მოდელები, თბილისი, 2009.

რეზიუმე

განხილულია ელ-ბიზნესისა და ელ-კომერცის ზოგად მოდელში ძირითადი ბიზნეს - ურთიერთობების კატეგორიები.

განხილულია ბიზნეს-პროცესების მოდელირების ენები. მართვის პროცესისათვის გამოყენებულია ექსპერტულ შეფასებათა მეთოდებით მოპოვებული ინფორმაციები კომპიუტერის საშუალებით გადასამუშავებლად. ეს გადამუშავება კი გულისხმობს სპეციალური პროგრამული პაკეტის ("Expert_UML") დამუშავებას, ანუ უნდა შეიქმნას კომპიუტერული დიალოგური სისტემა ახალი, UML - ტექნოლოგიის საფუძველზე.

მოცემულია უნივერსალურად დამუშავებული ფორმებისა და სტანდარტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე - სისტემა ebXML (Electronic Business using eXtensible Markup Language -ელ-ბიზნესი გაფართოებული ფორმატირების ენის გამოყენებით), რომელიც განკუთვნილია B2B პლატფორმისათვის და წარმოადგენს ელექტრონული ბიზნესის წარმოების ხელშემწყობ სისტემას.

განხილულია ექსპერტულ შეფასებათა ავტომატიზებული დამუშავების პროგრამული პაკეტების შექმნა, რომელიც ობიექტ-ორიენტირებული მეთოდების საფუძველზე უნდა აიგოს.

მოცემულია ობიექტ-ორიენტირებული ER- სქემის აგების მაგალითი მონაცემთა კატეგორიალური მიდგომის გამოყენებით.

ავტომატიზებულ რეჟიმში ბიზნეს ობიექტებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მრკეტინგისა და მენეჯმენტის პროცესების სწორად და დროულად წარმართვას. ამდენად, კონსულტანტები და ფირმის გამოცდილი სპეციალისტები, როგორც საპრობლემო სფეროს ექსპერტები, ერთობლივი ძალისხმევით, კონსულტაციებითა და კომპრომისებით ცდილობენ მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილებანი ფირმის განვითარების სწორი კორპორაციული გეგმებისა და ტაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ, ბიზნეს-პროგრამების შერჩევის ნაკლები რისკით.

ბიზნეს-პროგრამების ექსპერტულ შეფასებათა ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების პროცესების მოდელირება განხორციელდა UML- ენის სტატიკური და დინამიკური დიაგრამებით, მოცემულია ობიექტ-როლური მოდელების აგება ექსპერტთა ცოდნის ვიზუალურ რეჟიმში ასახვის ინსტრუმენტის საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დაპროექტების დროს პროცესების ავტომატიზაციის საფუძველზე.

THE METHODS TO RULE THE BUSINESS PROGRAMS ASSISTANCE COMPUTER SYSTEMS

Tinatin Mshvidobadze, Associate Professor

SUMMARY

It is discussed El-business and El-commerce general model in the categories of business relations.

It is discussed the languages of the modelling business processes. For managing process it is used the expert estimate methods collected information's for the remake with computer. this remake considers the special program package(EXPERT UML),to make computer dialogue system based on a new UML technologic system.

It is shown one the of universal remarked projects and forms system ebXML (Electronic Business using extensible Mark up Language to use the electronic business with the extended languages)which is destined for B2B platform and is electronic business product system. It is discussed to make expert estimations of the automatic treatment program package which must be constructed on object oriented methods.

It is shown the example to construct of the object oriented ER system to use the categorical method in the database.

In automatic regime on business objects the main attention is paired to direct the straight and logic processes in marketing and management. So consultants and the experienced specialists as well problematic experts with the whole force, consulting and compromises are trying to get the optimal decisions to developed the firm about the straight corporative plans and the tactic arrangement with the less risk of the business programs.

Business programs expert s group of models in decision process are realized UML static and dynamic diagrams, it is shown to make object-role models with representing the experts' knowledge in visual regime, which considerably shorten time processes based on automation during the projecting.

ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში

ლალი ოსაძე , აკადემიური დოქტორი

ადამიანის უფლებათა დეკლარაციის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს ღირსეულად, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისი სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას გულისხმობს. ამ დეკლარაციის მიღებიდან 50 წელზე მეტი გავიდა და მსოფლიო თანამეგობრობა კვლავ ურთულესი პრობლემის წინაშეა: მსოფლიოში 2,8 მილიარდი ადამიანი ღარიბია და მოკლებულია ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ხოლო 1,2 მილიარდი არასრულფასოვნად იკვებება. უკანასკნელი წლების განმავლობაში სიღარიბესთან ბრძოლამ გლობალური ხასიათი მიიღო. საერთაშორისო თანამეგობრობამ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და მესამე ათასწლეულის დასაწყისი მსოფლიოში სიღარიბის შემცირების პერიოდად გამოაცხადა.

საქართველოში არსებული მდგომარეობა, სიღარიბის დონის სიმწვავე და თანამედროვე მსოფლიო რეალობა ცხადყოფს, რომ ქვეყანას ესაჭიროება გრძელვადიანი სამოქმედო სტრატეგია, რომელიც ახალ იმპულსს მისცემს ქვეყნის განვითარებას.

სიღარიბე მრვალგანზომილებიანი ფენომენია და იგი მხოლოდ ფულადი შემოსავლებით არ განისაზღვრება. ამჟამად სიღარიბის დონის განსასაზღვრავად გამოიყენება ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლება და ა.შ.

2000 წელს გაეროს ათასწლეულის სამიტზე 191 ერი, საქართველოს ჩათვლით, შეუერთდა გაეროს ათასწლეულის განვითარბის დეკლარაციას. დეკლარაციაზე ხელმომწერმა ქვეყნებმა ვალდებულებად აიღეს „ათასწლეულლის განვითარების მიზნების“ მიღწევა 2015 წლამდე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათასწლეულის დეკლარაციის ეგიდით საქართველოს მთავრობამ ვალდებულებად აიღო ქვეყნის განვითარების სტრატეგიებში ასახოს ათასწლეულის განვითარების მიზნები (სულ 8 მიზანი) და უზრუნველყოს ამ მიზნების მიღწევა 2015 წლამდე. დეკლარაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა.

ათასწლეულის განვითარების მიზნებს შორის სამი (მიზანი 4, 5 და 6) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთანაა დაკავშირებული. ჯანმრთელობის დაცვის ასპექტები მოაზრებულია აგრეთვე სხვა მიზნების ქვეშ. ამრიგად, მსოფლიო აღიარებს, რომ ჯანმრთელობა წარმოადგენს სიღარიბისა და კეთილდღეობის დონის ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს.

ათასწლეულის განვითარების მიზნები და ამოცანები საქართველოსათვის შემდეგი სახით განისაზღვრება:

1. უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა;
   - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რიცხვის განახევრება 2000-2015 წწ. პერიოდში;
   - დაუბალანსებელი საკვები რაციონის მქონე მოსახლეობის რიცხვის განახევრება 2000-2015 წწ პერიოდში;
   - კონფლიქტებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია და სამოქალაქო ინტეგრაცია.
2. განათლების ხარისხისა და ინტიტუციური მოწყობილების გაუმჯობესების გზით საქართველოს განათლების სისტემების ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში:
   - 2015 წლისათვის განათლების დონის შენარჩუნება; სასკოლო განათლების 12-წლიან ციკლზე გადაყვანა; სასკოლო განათლების ხარისხის საერთაშორისო შეფასების სისტემებში ჩართვა, ინსტიტუციური ადეკვატურობის მიღწევა თანამედროვე სასკოლო განათლების სისტემებთან;
   - 2015 წლისათვის უმაღლესი განათლების დაწესებულებების აკრედიტაციის სისტემის ჩამოყალიბება; ინსტიტუციური ადეკვატურობის მიღწევა თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემებთან;
   - 2015 წლისათვის პროფესიული განათლების სისტემების შრომის ბაზარზე ორიენტირებულ სისტემებად გარდაქმნა; პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის განვითარების ინსტიტუციური ხელშეწყობის სისტემის ჩამოყალიბება;
   - 2015 წლისათვის ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლების პროგრამების მაქსიმალური ამუშავება; ინკლუზიური განათლების პრინციპების ინტეგრირება სასწავლო გეგმაში.
3. გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა;
   - დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

- პოლიტიკურ სფეროში და მმართველობის ყველა დონეზე მოღვაწეობის თანაბრად მისაწვდომობის უზრუნველყოფა.

4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
   - 2000 -2015 წწ. პერიოდში 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 2/3-ით.
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება
   - 2000-2015 წწ. დედათა (მშობიარეთა) სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება 3/4-ით.
6. აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა
   - 2015 წლისათვის აივ/შიდსის გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყება;
   - 2015 წლისათვის მალარიისა და სხვა ძირითადი დაავადებების გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყება.
7. ეკოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა;
   - მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკასა და პროგრამებში. ბუნებრივი რესურსების შემცირების (დეგრადირების) ტენდენციების შეჩერება;
   - 2015 წლისათვის იმ მოსახლეობის წილის განახევრება, ვისაც სტაბილურად არ მიუწვდება ხელი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელ წყალზე;
   - საბინაო სექტორის ჰარმონიზაცია საერთაშორისო მოთხოვნებთან, მათ შორის მუნიციპალური (სოციალური) საცხოვრისის კომპონენტის განვითარება.
8. განვითარებისათვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება;
   - ღია წესებზე დაფუძნებული, წინასწარ პროგნოზირებადი, დისკრიმინაციისაგან თავისუფალი სავაჭრო და საფინანსო სისტემების შემდგომი განვითარება;
   - ეროვნული და საერთაშორისო ზომების გამოყენებით განვითარებადი ქვეყნების ვალების პრობლემების ყოვლისმომცველად გადაჭრა, ამ ვალების გრძელვადიან პერსპექტივაში გადახდის უზრუნველყოფის მიზნით;
   - კერძო სექტორთან თანამშრომლობით ახალი ტექნოლოგიების, განსაკუთრებით ინფორმაციისა და კომუნიკაციების დარგში, მიღწევების დანერგვა.

2004 წელს გაერომ მოამზადა პირველი ანგარიში „ათასწლეულის განვითარების მიზნები საქართველოში“. ეს დოკუმენტი იუწყება, რომ საქართველოს მდგომარეობა ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის თვალსაზრისით ძალზედ არასახარბიელოა, განსაკუთრებით კი პირველ მიზანთან მიმართებაში, რამდენადაც 2000-2005 წლებში სიღარიბის მაჩვენებლები საქართველოში გაუმჯობესების ნაცვლად მნიშვნელოვნად გაუარესდა, გაუარესდა ბავშვთა და დედათა მდგომარეობის მაჩვენებლებიც. 2004-2005 წლების ანგარიშის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ეს დოკუმენტი საქართველოში ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას ეჭვქვეშ აყენებს. (იხ. ცხრილი)

ინდიკატორი	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის %	51.8	51.1	52.1	54.5	52.7
უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლ. %	14.3	13.8	15.1	16.6	16.9
5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა	24.9	25.5	22.1	20.3	20.0
ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა	21.1	20.0	20.1	18.5	18.0
დედათა სიკვდილიანობა	49.2	58.7	46.6	52.2	45.3

აღსანიშნავია, რომ მრავალი ექსპერტის ვარაუდით მოცემული მაჩვენებლების სანდოობა საეჭვოა და ეს მაჩვენებლები გაცილებით მაღალია.

2006 წლის ოქტომბერში გაეროს სააგენტოთა ჯგუფმა საქართველოში წამოიწყო ათასწლეულის განვითარების მიზნების მხარდამჭერი კამპანია. ამ კამპანიის მიზანია მოსახლეობის გათვითცნობიერება თითოეული მოქალაქის მიერ ქვეყნის განვითარების მიზნების მიღწევაში მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ. გაეროს სააგენტოთა ჯგუფის განსაკუთრებული ძალისხმევით ათასწლეულის განვითარების მიზნების მხარდამჭერ კამპანიაში ჩაება მედია, ახალგაზრდობა, საქმიანი წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ხელოვანები და სასწავლო დაწესებულებები.

ცნობილი ქართველები – მსოფლიოში სახელგანთქმული საოპერო ბანი პაატა ბურჭულაძე და ასევე მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიაშვილი ათასწლეულის განვითარების მიზნების

კეთილი ნების ელჩები გახდნენ საქართველოში, რაც გულიხმობს ათასწლეულის განვითარების მიზნების მხარდამჭერ გამოსვლებს და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაძლიერებას ამ მიზნების მიღწევის საქმეში. კეთილი ნების ელჩები ნებაყოფლობით საწყისებზე მუშაობენ და მათ ეს მისია გაეროს მუდმივი კოორდინატორის თხოვნით იტვირთეს.

ცნობილია, რომ საქართველოში მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანი ჯერ კიდევ ღარიბია. სიღარიბის გამო ყოველდღე მსოფლიოში 58 ათასი ადამიანი იღუპება. საქართველოში ყოველი ორმოცდამეათე ბავშვი ვერ აღწევს 5 წლის ასაკს... მსოფლიოში 100 მილიონ ბავშვზე მეტი ვერ დადის სკოლაში სიღარიბის გამო... ჩვენს გარშემო ყოველი მეოთხე ჩვენი თანამემამულე ვერ იღებს სრულფასოვან საკვებს... ყოველი მეორე ავადმყოფი ვერ იხდის მკურნალობის ხარჯებს... საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობა თითქმის 5-ჯერ მაღალია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.

საქართველოს საკითხი განიხილეს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე, სადაც გამოიკვეთა ის პრიორიტეტები, რომელზედაც ქვეყანამ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში უნდა იმუშაოს.

აღნიშნული მიზნების პრიორიტეტულობა გამომდინარეობს დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხის უდიდესი მნიშვნელობისაგან. დადგენილია, რომ ქვეყნები, რომლებიც არ იშურებენ რესურსებს ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის, გაცილებით სწრაფად ვითარდებიან და აღწევენ დასახულ მიზნებს, ვიდრე სახელმწიფოები, რომლებიც ამ პრობლემას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

პროექტის ფარგლებში ასოციაცია „ჰერა XXI“-ს აქვს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა როტერდამის ბებიაქალთა უნივერსიტეტთან და ცდილობს, გაიზიაროს და დანერგოს მათი მრავალწლიანი გამოცდილება ჩვენს ქვეყანაში.

2009 წლის მაისში ჩამოყალიბდა საქართველოს ბებიაქალთა ასოციაცია (საბა). მისი მიზანია: უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურება ორსული ქალისა და მისი ოჯახის წევრებისათვის; შეცვალოს საკუთარი პროფესიული მდგომარეობა უკეთესობისკენ, გაიუმჯობესონ ცოდნა, პრაქტიკული ჩვევები და რაც მთავარია, აქტიურად ჩაერთონ ორსულ ქალზე ზრუნვის ყველა საფეხურზე.

გაეროს ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელმა საქართველოში რულანდ მონაშმა ბავშვთა დღესთან დაკავშირებით 2010 წლის ივნისში საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნავს, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ბავშვთა მდგომარეობა დღეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს ათი წლის წინ იყო – შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა (გაეროს თანახმად 30 შემთხვევა 1000 ცოცხლადშობილზე 2008 წელს, როცა 2003 წელს ეს მაჩვენებელი 45 იყო). გაუმჯობესდა უსაფრთხო სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა (99%). დაწყებით განათლებაში ჩართულია ბავშვების 95%. განახევრდა ბავშვების რაოდენობა ბავშვთა სახლებში და უფრო მეტი უნარშეზღუდული ბავშვი ცხოვრობს დღეს ოჯახურ გარემოში.

ბავშვები იქცნენ უკანასკნელი წლების განმავლობაში მიმდინარე რეფორმების სამიზნედაც. ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეცვლას ისახავს მიზნად ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა. სოციალური მომსხურების სააგენტომ გააძლიერა ძალისხმევა, რომ სოციალური დახმარებით უზრუნველყოს მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმდინარე რეფორმა მიზნად ისახავს სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვოს. მნიშვნელოვანი ცვლილებები მინდინარეობს განათლების სისტემაში.

ბავშვთა უფლებების დაცვაზე აქტიურად მუშაობს პარლამენტიც. ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარების ალიანსი მუშაობს იმაზე, რომ შეიქმნას ერთიანი ეროვნული სტრატეგია. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალური საქმეების, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების ძალისხმევით მოხდა პარლამენტარების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების გაერთიანება ბავშვის უფლებათა დასაცავად.

მიუხედავად პროგრესისა, საქართველოში კვლავ არსებობს გამოწვევები, რომელიც ასევე ხაზგასმულია გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ. სიღარიბე კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბევრი ბავშვისათვის. სოციალური მომსახურების მიწოდების მხრივაც არსებობს გამოწვევები. სასწრაფო ზომებია მისაღები ნეონატალური მზურნველობის ხარისხის ასამაღლებლად, რომ შემცირდეს ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა. მაღალი დანახარჯები მოსახლეობისათვის კვლავ ხელისშემშლელია ბაზისური სამედიცინო მომსახურების მისაღებად. სკოლამდელი ჩართულობის მაჩვენებელი 49 პროცენტია. დაწყებითი და საშუალო განათლების ხარისხი კი გაუმჯობესებას საჭიროებს. უნარშეზღუდული ბავშვების მიმართ არსებული სტიგმა და დისკრიმინაცია ხელს უშლის მათ

საზოგადოებაში ინტეგრაციას. აუცილებელია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზება.

ეს ის საკითხებია, რომელთა გადაჭრაც მომავალი ხუთი წლის განმავლობაში აუცილებელია, რათა საქართველომ 2015 წლისათვის ათასწლეულის განვითარების მიზნებს მიაღწიოს. საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის შეფასებას და საქართველომაც მნიშვნელოვანი წარმატებები უნდა აჩვენოს, თუ მას თავისი ადგილის დამკვიდრება სურს პროგრესული მსოფლიოს რიგებში. გზა ევროპული ინტეგრაციისაკენ სწორედ ბავშვთა დაბალ სიკვდილიანობაზე, ბავშვთა დაცვის ქმედით სისტემებზე და მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენისათვის ხარისხიანი და მდგრადი სოციალური სისტემის არსებობაზე გადის. ბავშვები ინვესტიციაა მომავალში და სწორედ მათ უნდა განაგრძონ ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობა.

ლიტერატურა:

1. http://www.geostat.ge/
2. http://www.president.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=228&info_id=2731
3. http://www.kvirispalitra.ge/medicina/3258-realuri-nabiji-athastsleulis-ganvitharebis-miznebis-misaghtsevad.html
4. http://modernpublishing.ge/view_post.php?id=20&pub=15&year=2010
5. http://www.gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=357%3A2009-03-09-18-44-30&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka
6. http://24saati.ge/index.php/category/news/2010-06-01/7208.html
7. http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=550
8. http://whiteband.caucasus.net/geo/

რეზიუმე

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია განვითარების 8 მიზანზე, რომელიც საქართველომ დაისახა 2000 წელს გაეროს ათასწლეულის სამიტზე, ეს მიზნებია: უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა; განათლების ხარისხისა და ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების გზით საქართველოს განათლების სისტემების ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში; გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა; ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა; ეკოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა; განვითარებისათვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება;

საქართველოში მიღწეულია გარკვეული პროგრესი ათასწლეულის მიზნების შესასრულებლად, თუმცა 2005 წლამდე თითქმის არაფერი შეცვლილა, ზოგიერთ სფეროში პირიქით, გაურესდა მდგომარეობა.

2010 წლის სტატისტიკური მინაცემების მიხედვით, გაუმჯობესდა ბავშვთა და დედათა მდგომარეობა, შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს განათლების სისტემაში, ამოქმედდა სხვადასხვა ჯანმრთელობის პროგრამა.

საქართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ 2015 წლისათვის მიაღწიოს ათასწლეულის განვითარების მიზნებს. საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის შეფასებას და საქართველომაც მნიშვნელოვანი წარმატებები უნდა აჩვენოს, თუ მას სურს თავისი ადგილის დამკვიდრება პროგრესული მსოფლიოს რიგებში.

MILLENNIUM'S DEVELOPMENT GOALS IN GEORGIA

Lali Osadze, Academic Doctor

RESUME

In this thesis is highlighted 8 goals of development aimed by Georgia at UNO Millennium Summit in 2000. These goals are: escaping extreme poverty, integrating of Georgia's educational systems with the world education area by improving of education quality and institutional arrangement, gender equality and increasing of women's

rights, reducing of children's death rate, improvement of mothers' health, fighting HIV/AIDS, malaria and other diseases, securing ecological conditions, forming of world cooperation in order to be developed.

In Georgia some kinds of progresses are achieved in order to be executed Millennium's goals but almost nothing was changed till 2005, on the contrary, situation even went worse in some spheres.

According to the statistics of 2010, mothers' and children's conditions have been improved, children's death rate has been reduced, important changes have been led in education system, different kinds of health programmes have been put in motion.

Georgia must guarantee achieving the millennium's development goals by 2015. International society continues evaluating the progress achieved by Georgia and Georgia must show important success if it has a strong desire to establish its important place in the list of world's progressive countries.

ინფლაციის დაძლევისათვის საქართველოში

ნათია ჟოჟუაშვილი, ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის სტაბილური ფასების შენარჩუნება ერთ -ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში. ფასების ზრდასთან ორგანულად არის დაკავშირებული ინფლაცია, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის ინფლაცია ერთ-ერთი ძირითადი სენია, რომელიც სირთულეებს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ ფუნქციონირებას. რატომ ეთმობა ამდენი ყურადღება თანამედროვე ქვეყნებში ინფლაციის პრობლემას? ზოგადად ინფლაცია მჭიდროდაა დაკავშირებული კვლავწარმოების პროცესის რღვევასთან, სასურსათო პრობლემებთან, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად სახელმწიფოს მიერ მიმოქცევაში ჭარბი ქაღალდის ფულის ემისიასთან, რეალური ხელფასის შემცირებასთან და სხვა. რა ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული იმისთვის, რომ არ გამოვიდეს კონტროლიდან ინფლაცია და არ გადაიზარდოს ჰიპერინფლაციაში, რისი მტკივნეული გამოცდილება ჩვენს ქვეყანას უკვე გააჩნია. ეს გახლავთ მძიმედ გასახსენებელი 90-იანი წლები, იმ დროს მიმდინარე ღრმა ინფლაციური პროცესები, უკიდურესად გაუარესებული ცხოვრების პირობები, მოშლილი სასაქონლო და ფულადი მასები.

ნებისმიერ ქვეყანაში ინფლაცია მტკივნეული და რთული პროცესია, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას. საკუთარი მტკიცე ვალუტა ქვეყნის საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის აუცილებელი ატრიბუტია. რა სიმწვავით დგას ეს პრობლემა ჩვენს ქვეყანაში? აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოში ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელია, რაც თავისთავად საფრთხის მანიშნებელია და სასწრაფოდ საჭიროებს ანალიზს და ანტიინფლაციური პროგრამის შემუშავებას.

ინფლაცია ნიშნავს ფულადი ერთეულის გაუფასურებას, მისი მსყიდველობითი უნარის შემცირებას. იგი ქაღალდის ფულის მიმოქცევის ავადმყოფობაა, როდესაც ფული კავშირს კარგავს ოქროსთან. ასეთ შემთხვევაში მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფულის მოცულობა განკუთვნილ მნიშვნელობას იძენს: თუკი იგი აჭარბებს საქონლის მიმოქცევის მოთხოვნებს, აღმოცენდება ინფლაცია – როგორც ჭარბი ფულადი მასის შედეგი. ფულადი მასის ზრდა, რომელიც არ არის გამყარებული საქონლით იწვევს ფასების საერთო დონის მომატებას. ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ყველა ფასი იზრდება. ინფლაციის საკმაოდ სწრაფი ზრდის დროსაც კი ზოგიერთი ფასი შეიძლება სტაბილური დარჩეს. როგორც ჩანს ინფლაციის ერთ-ერთი მტკივნეული ადგილია ფასების ძალზე არათანაბარი აწევის ტენდენცია. ერთნი ძალზე ნახტომისებურად მატულობენ, მეორენი თანაბარი ტემპებით, ხოლო მესამენი საერთოდ არ მატულობენ.

განვიხილოთ ინფლაციის გამომწვევი მიზეზები, რომელნიც პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. პირველი მიზეზი ისაა, რომ თანამედროვე ფულადი მიმოქცევა ხორციელდება „ქაღალდის“ ნიშნებით, რომელმაც გაწყვიტა კავშირი ოქროსთან. "ოქროს ფულის" ეპოქაში მისი სიჭარბე დაიძლეოდა ოქროს „წასვლით“ მიმოქცევის სფეროდან დაგროვების სფეროში, ხოლო ქაღალდის ფულის, რომელიც მხოლოდ მიმოქცევის საშუალებაა, ოქროს მსგავსად დაგროვება უაზრობაა.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას ბოლო პერიოდში. არსებული მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ ფულის მასას ზრდის ეროვნული ბანკი და ამ დაბეჭდილი ფულით აფინანსებს სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტს. ფულის მასა ათეული პროცენტით იზრდება, რაც ეკონომიკურ ზრდაზე მეტია და შესაბამისად ინფლაცია მისი შედეგია. აქედან დასკვნა, ეროვნულმა ბანკმა უნდა აწარმოოს უფრო მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, არ დაუშვას ფულის მასის ზრდა. საერთოდ სებ-ის პირდაპირი ფუნქცია არის ინფლაციის კონტროლი. მთავრობამ კი უნდა შეამციროს ბიუჯეტის დეფიციტი. საქართველოს ეკონომიკას ჰყავს ეროვნული ბანკი, რომელიც ცდილობს მეტი ფულის ამოღებას, ცდილობს ამით გაზარდოს რეზერვების ნორმა, ამით სინამდვილეში საპროცენტო განაკვეთს აძვირებს, მაგრამ გასაგებია, რომ იგი ცდილობს გარკვეულწილად ინფლაცია გააკონტროლოს.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სამომხმარებლო ფასების საერთო დონის წლიური ზრდის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება საშუალოვადიან პერიოდში. საქართველოს ეროვნული ბანკი დამოუკიდებლად ადგენს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს. მომავალი სამი წლისათვის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი აღინიშნება ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონთან ერთად. 2011-2013 წლებისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 6 პროცენტს. საქართველოს ეროვნული ბანკი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ფუნქციის – ინფლაციის რეგულირების ფარგლებში, საზოგადოებისათვის წარსადგენად ამზადებს და ყოველკვარტალურად გამოსცემს „ინფლაციის მიმოხილვას“, სადაც დეტალურად არის მოცემული ქვეყნის მაკროეკონომიკური ანალიზი. კერძოდ: სამომხმარებლო ფასების ცვლილების დინამიკა შესაბამისი საანალიზო პერიოდისათვის, მასზე მოქმედი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები, საფინანსო და სავალუტო სექტორის მიმოხილვა. ასევე ინფლაციის მაჩვენებლის პროგნოზი, რომელსაც თავისი საქმიანობის განხორციელებისას ეყრდნობა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი. მიმოხილვის გამოცემის გრაფიკი მკაცრად არის გაწერილი და შესაბამისად დაცული.

2010 წელს საბანკო სექტორი და ინფლაცია ერთნაირად გაიზრდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და კომერციულმა ბანკებმა გასულ წელს გაიზარდეს კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა, მთლიანი წმინდა აქტივები და მთლიანი დეპოზიტების მოცულობა. 2010 წელი საბანკო სექტორმა მოგებით დაამთავრა. წლის დასაწყისიდან მოგებამ 156.3 მლნ ლარი შეადგინა. მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 19 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 419,1 მლნ ლარით, ანუ 4,1 პროცენტით გაიზარდა და 10564.2 მლნ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 1787,6 მლნ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 16,9 პროცენტია. უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 8,7 პროცენტი შეადგინა. დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7,9 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 10,2 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 7,6 პროცენტი. 2010 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები (მიმდინარე ფასებში) 2271,7 მლნ ლარით (27,4 პროცენტით) გაიზარდა და მიმდინარე წლის დასაწყისისათვის 10564,2 მლნ ლარი შეადგინა. საქართველოს საბანკო სექტორში დაკრედიტების, აქტივებისა და დეპოზიტების ზრდის სტიმულირების ერთ-ერთ მიზეზად ექსპერტები ფულადი მასის ზრდას და მაღალ ინფლაციას ასახელებენ. თუ გადავხედავთ 2010 წლის ფულის აგრეგატების მაჩვენებლების ცვლილებას (ოფიციალური მონაცემები), დავინახავთ, რომ ყველა აგრეგატის ოდენობა გაზრდილია. მაგალითისთვის: M0 (ნაღდი ფული მიმოქცევაში) გაზრდილია 11,6%-ით; M1 (სარეზერვო ფული) გაზრდილია 25%-ით; M2 (ფართო ფული უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების გარეშე) გაზრდილია 28%-ით; M3 (მიმოქცევაში არსებული ეროვნულ ვალუტა და კომერციულ ბანკებში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების საერთო თანხა) გაზრდილია 4,6 მლრდ-დან 6,2 მლრდ ლარამდე - 35,4%-ით მაშინ, როდესაც ეკონომიკური ზრდა 6,5%-ს არ აღემატებოდა.

ინფლაცია ეს არის ფულის მასის ზრდა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი რეალური საქონლით. ის იწვევს ერთეულის მსყიდველობითი უნარის დაცემას და შეუძლებელს ხდის ეკონომიკურ გათვლებს. ინფლაცია ყველგან და ყოველთვის მონეტარული საკითხია. ფასების საერთო დონის ზრდა, მისი ერთ-ერთი შედეგი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ფასი ერთნაირად იზრდება. ამავე დროს,

ცალკეული ფასების დინამიკა ყოველთვის არ არის დამოკიდებული მონეტარულ საკითხებზე - ნავთობის, კარტოფილის, ხორბლი, ბრინჯის ან შაქრის ფასები ცალ-ცალკე რომ გაზრდილიყო, შეიძლება რაიმე სხვა მიზეზი ყოფილიყო და შედეგი შესაბამისი საქონლის მოხმარების დროებითი შემცირება იქნებოდა. ხოლო მომწოდებლს კი ნიშანი მიეცემოდათ, თუ რა უნდა აწარმოონ, რომ მოგება მიიღონ. მაგრამ როდესაც იზრდება ფასები ყველაფერზე ერთად, ცხადია, რომ მიზეზები მონეტარულია. გარე ფაქტორებიდან კი ხაზგასასმელია, რომ არც ამერიკის და არც ევროპის ცენტრალური ბაკები აკლებენ ხელს ფულის ბეჭდვას და ინფლაციის ექსპორტს დახმარებების, გრანტების და სხვა ფორმით. საგარეო ინფლაციას, ადგილობრივიც ემატება და შედეგებიც უარესდება.

შემდეგი მოსაზრება საქართველოში ინფლაციის მაჩვენებლის ზრდისა გახლავთ ქვეყანაში არსებული მონოპოლიები. ანტიმონოპოლიური სამსახური არსებობს და მას „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ სააგენტო ქვია. სწორედ მას ეველება, რომ სახელმწიფოს მიერ პრივილეგიების მინიჭება ავლინოს და შეაჩეროს. მაგრამ ამ სტრუქტურის მხოლოდ ნომინალურად არსებობა არ არის საკმარისი. ანტიმონოპოლიური სამსახურის არარსებობა იწვევს იმას, რომ ჩვენი საბაზრო ეკონომიკა არ არის ისეთი, სადაც ფასი მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ყალიბდება. ერთი მხრივ გვაქვს შიდა ფაქტორებით გამოწვეული ინფლაცია, რომელსაც განაპირობებს ორი რამ – ერთი, ოლიგოპოლიური ბაზრები, ადამიანებისთვის მაღალი სამომხმარებლო ხასიათის მქონე საქონელზე, როგორიც არის მედიკამენტები, საწვავი, შაქრის იმპორტი, სადაც ასევე მცირეა კომპანიათა რაოდენობა. მეორე - შიდა ფაქტორი - არ არსებობს ამ მონოპოლიური ბაზრების რეგულირება. პრობლემა გვაქვს ჯანსაღი კონკურენციის თვალსაზრისით, რადგან სასურსათო და სამომხმარებლო პროდუქციის იმპორტიორი და მიმწოდებელი სულ რამდენიმე კომპანიაა. უნდა აღინიშნოს, რომ გვიანდება ევროკავშირის მითითების შესრულებაც ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და სწორედ მონოპოლიების არ შეზღუდვის პოლიტიკა იწვევს ინფლაციის წახალისებას. ამასთან, აღსანიშნავია გადასახადების ზრდაც, მაგალითად, აქციზის განაკვეთების გაზრდა ზოგიერთი კატეგორიის საქონელზე, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით. ამან წაახალისა ფასების ზრდა აქციზურ პროდუქციაზე. ინფლაცია ზოგადად ეკონომიკისთვის ნეგატიური მოვლენაა. გარდა იმისა, რომ ფასების დონის ზრდა უკვე უარყოფითი ფაქტია, ინფლაციის აღმოფხვრა გარკვეულ დათმობებზე წასვლას საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ ინფლაცია სწორედ სოციალურ ფონს ძაბავს და მისი უარყოფითი შედეგებისადმი მოსახლეობის დაბალი და საშუალო ფენა ყველაზე მეტად ზარალდება, რადგან დაბალი და მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა სამომხმარებლო კალათები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

შემდეგ მიზეზად შეიძლება დასახელდეს მსოფლიო ბაზრებზე სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდა, ხოლო ჩვენს სამომხმარებლო კალათაში 80% არის იმპორტი, აქედან დასკვნა, ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება გვჭირდება. ინფლაცია არის ფაქტიურად გამოუცხადებელი გადასახადი, ამ გადასახადს იხდის მთელი მოსახლეობა, მაგრამ ყველაზე მეტად ღარიბი ფენა გრძნობს მას. პირველ რიგში ინფლაცია გამომდინარეობს საგარეო ფაქტორებიდან. ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარეობს კვების პროდუქტებზე ფასების ზრდის ტენდენცია, რაც გამოიწვია ექსპორტიორ ქვეყნებში მცირე მოსავალმა და სტიქიურმა უბედურებებმა და ეს ქართულ ბაზარზე აისახება, რადგან ძირითადი პროდუქტები: მარცვლეული, ზეთი, შაქარი და საწვავი საქართველოში იმპორტით შემოდის. ასევე იმპორტით შემოდის რძის და ხორც-პროდუქტების დიდი ნაწილი. დღეს მიმდინარე ინფლაცია განსაკუთრებით მწვავეა, გამომდინარე იქიდან, რომ გაძვირებულია ძირითადად სურსათი და საწვავი, რომელსაც სამომხმარებლო კალათაში ძალიან დიდი წილი უჭირავს. სურსათზე ფასები ბოლო პერიოდში დაახლოებით 20-25%-ით არის მომატებული. შიდა ფაქტორებიდან ინფლაციურ ზეწოლას აძლიერებს საბიუჯეტო ხარჯები და კონკურენციის დაბალი ხარისხი ბიზნესის სხვადასხვა სექტორებში.

„საქსტატის“ ოფიციალური ინფორმაციით სამომხმარებლო ფასების დონე 2011 წლის იანვარში გასულ წელთან შედარებით 12.3%-ით გაიზარდა. ეს, რა თქმა უნდა, არის ფასების საერთო დონის მაჩვენებელი. კონკრეტული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ვითარება შემდეგია: სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე გასულ წელთან შედარებით ფასები 25.2%-ით გაიზარდა, ფასების დონის 10%-იანი ზრდა განიცადა თამბაქოს ნაწარმმა და ალკოჰოლიანმა სასმელებმა, სასტუმროების, რესტორნების და კაფეების მომსახურების საფასური 6.8%-ით გაიზარდა, ტრანსპორტის 6.9%-ით, ჯანდაცვის 4.1%-ით და ა.შ. ფასების დონე სურსათზე, როგორც აღინიშნა, 25.2 პროცენტით გაიზარდა. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ეროვნულ ინდექსში 10.2% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი ძირითადად განაპირობა ფასების მატებამ ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე – 50.8 პროცენტით, ხილსა და ყურძენზე – 38.3 პროცენტით, ზეთსა და ცხიმზე – 35.5 პროცენტით, პური და პურპროდუქტების ჯგუფზე – 20.0 პროცენტით, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე – 16.6 პროცენტით. აქედან დასკვნა, როცა გვეზრდება შემოსავლები,

სამომხმარებლო კალათა შესაბამისად ტრანსფორმირდება და მასში ეგრეთ წოდებული ფუფუნების საგნების წილი იზრდება, ხოლო პირველადი დანიშნულების საგნების რიცხვი მცირდება. პირველადი მოხმარების საქონელი შემოსავლის მიხედვით ელასტიურია. სამწუხაროდ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 70% დაბალშემოსავლიანთა კატეგორიას განეკუთვნება. სამომხმარებლო კალათაში ჭარბობს ისეთი პროდუქტებისა და მომსახურების წილი, რომელიც პირველი რიგის საჭიროებას წარმოადგენს. ბუნებრივია, პირველ რიგში საქმე ეხება სურსათს, რომელზეც ფასები 25.2%-ით გაიზარდა. დღეისათვის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სურსათზე მთლიანი დანახარჯების 75%-ს ხარჯავს. ადვილი დასათვლელია, თუ როგორია მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე ინფლაციის რეალური ზემოქმედება. განვიხილოთ პირობითად რაიმე სამომხმარებლო კალათა, რომლის ღირებულებაც დავუშვათ არის საარსებო მინიმუმის ტოლი. „საქსტატის“ მონაცემებით საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი 149.6 ლარს შეადგენს. მასში სასურსათო პროდუქციის წილი 70%-ს შეადგენს. შესაბამისად, სურსათზე დანახარჯები 104.72 ლარია, დანარჩენი 44.88 ლარი კი არასასურსათო პროდუქციაზე მოდის. ესე იგი, გვაქვს კალათა შესაბამისი სტრუქტურით, ახლა კი განვიხილოთ, როგორი გავლენა იქონია ინფლაციამ ამ კალათაზე. სასურსათო პროდუქციაზე ფასები 25.2%-ით გაიზარდა, შესაბამისად, საარსებო მინიმუმში სასურსათო ნაწილზე განკუთვნილი თანხა მოხმარების იგივე დონის შესანარჩუნებლად 104.72 ლარიდან 130.9 ლარამდე იზრდება, არასასურსათო საქონელზე ინფლაციამ დაახლოებით 4.5% შეადგინა, ანუ არასასურსათო მოხმარების დონის შესანარჩუნებლად 44.88 ლარის ნაცვლად 46.8 ლარია საჭირო. საბოლოოდ კალათის ღირებულება 177.7 ლარი გამოდის, რაც თავდაპირველ მაჩვენებელთან შედარებით 18.7%-ით მეტი. სასურსათო პროდუქციაზე ფასების მატების წილი კი ამ ციფრში 17.2%-ია. გამოდის, რომ ტიპური მომხმარებელი ინფლაციის უარყოფით შედეგებს უფრო მეტად განიცდის, ვიდრე მისი მაჩვენებელია. 12.3% ფასების საერთო დონის ზრდაა და კალათაში შესული საქონლის საკმაო ნაწილს მომხმარებელთა უმრავლესობა არ წარმოადგენს ყოველდღიური შესყიდვის საგანს. მაგალითად ტელევიზორი, სარეცხი მანქანა. ამასთან რთულია შეფასდეს მათზე ფასების ზრდა რა ფაქტორით არის გამოწვეული, რადგან, როგორც ვიცით, იზრდება მათი ტექნიკური მახასიათებლები და ფასების ზრდა ამას შეიძლება უკავშირდებოდეს. ფაქტი ერთია, სამომხმარებლო კალათაში შემავალი ყველაზე მოხმარებადი პროდუქტების აბსოლუტური უმრავლესობა (ძირითადად სასურსათო პროდუქტი) დაახლოებით 25%-ით არის გაძვირებული და მოსახლეობის დაბალი ფენა ამ დარტყმისადმი ყველაზე მეტად მგრძნობიარეა. ინფლაცია იწვევს დოვლათის არასწორ გადანაწილებას. ინფლაცია მდიდრებს ამდიდრებს, ღარიბებს კი კიდევ უფრო აღატაკებს.

როგორი მდგომარეობაა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, როდესაც საქართველოში ორნიშნა ინფლაციის გამოწვევის მთავარ მიზეზად მსოფლიოში კვების პროდუქტების გაძვირება სახელდება. 2010 წელს უკრაინაში ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ინფლაცია დაფიქსირდა, რომელმაც 9,1% შეადგინა. ბოლო ათწლეულში ინფლაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა - რუსეთი - 8,8%; სომხეთი - 8,1%; აზერბაიჯანი - 5,7%; ევროზონა - 2,2%; გერმანია - 1,1%; ამერიკა - 1,6%; იაპონია - 0,2%. აქედან გამომდინარე აუცილებელი ხდება ხელისუფლების, მთავრობის და ეროვნული ბანკის მიერ ქვეყანაში არსებული პრობლემების ეგზოგენურ ფაქტორებთან ერთად, ენდოგენური ფაქტორების გაანალიზებაც.

როგორც ავღნიშნეთ განვითარებად ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც ინფლაციის გამოწვევის მიზეზი ძალზედ ხშირად უარყოფითი სავაჭრო ბალანსია, როცა ქვეყნის უცხოეთზე დამოკიდებულება მაღალია. ასეთ შემთხვევაში, თუ მსოფლიოში გაიზრდება ფასები, საქართველოზეც იმოქმედებს. ინფლაციის ზრდის კიდევ ერთი მიზეზია მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა. ანუ, თუ ბაზარზე ფულის მასა ეკონომიკაზე მეტად გაიზრდება, ეს გააძვირებს პროდუქტებს. თუ ჩაკეტილ სივრცეს ავიღებთ, გრძელვადიან პერიოდში, ეს ზედმეტი ფული ეკონომიკაში გადანაწილდება. ინფლაციის დათვლისას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა პროდუქტები შედის სამომხმარებლო კალათაში და რომელს მოხმარების თვალსაზრისით რა პროცენტული წილი უკავია. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ინფლაცია უფრო მაღალია, ვიდრე დღეისათვის დაფიქსირებული 11%. მაგალითად, სოციალურად შეჭირვებული ადამიანები, რომელთა მოხმარების კალათაში ძირითადი ადგილი უკავია სურსათს და კომუნალურ გადასახადებს. თუ გადავხედავთ სურსათზე და კომუნალურ გადასახადებზე ფასების ზრდას, ვნახავთ, რომ ისინი 11%-ზე ბევრად მეტითაა გაზრდილი, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის ბიუჯეტში კი ამ პროდუქტებზე ხარჯების თითქმის 100%-ი იხარჯება.

ამასთან, მაღალი ინფლაციის პერიოდში ძნელდება დაგეგმვისა და პროგნოზირების საშუალება. შესაბამისად, ბანკები მაქსიმალურად თავს იკავებენ ლარში სესხების გაცემისგან ან ძალიან მაღალი პროცენტებით გასცემენ, რაც, რა თქმა უნდა, ეკონომიკისთვის ცუდი მოვლენაა. როგორც უკვე ავღნიშნეთ

დღეისათვის საქართველოს დიდი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. ასეთ პირობებში კი ხელოვნური ბერკეტებით მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოხდება. ამიტომ თუ გვინდა, რომ ინფლაციაზე ზემოქმედების ბერკეტები გვქონდეს, ეკონომიკის განვითარება უმნიშვნელოვანესია. მოკლევადიან პერიოდში ინფლაციას შეუძლია ეკონომიკა დააქციოს. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა საკუთარი რეზერვებით და მონეტარული პოლიტიკით უნდა უზრუნველყოს, რომ მოკლევადიან პერიოდში ინფლაცია ჰიპერინფლაციაში არ გადაიზარდოს.

ინფლაცია მოქმედებს საქართველოში კრედიტების საპროცენტო განაკვეთებზე და ლარიზაციის მაჩვენებელზე. ინფლაცია კრედიტებს აძვირებს. ლარიზაციის მაჩვენებელზეც უარყოფითად მოქმედებს, რადგან ინფლაციის შედეგად ლარზე მოთხოვნა მცირდება და მოსახლეობა უფრო სტაბილურ ვალუტას ეძებს. ფაქტია, რომ ბანკების 2010 წელს დაწყებული პოლიტიკა, დაბალპროცენტიან სესხებთან დაკავშირებით, 2011 წელს შენარჩუნებული ვერ იქნება. თუ ინფლაციის ზრდა ასე წავიდა, განსაკუთრებით ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები გაძვირდება.

ყველაზე მტკივნეულ კითხვაზე: ვინ სარგებლობს და ვინ ზარალდება მაღალი ინფლაციის შედეგად? პასუხი ასეთია, ძალიან მცირე კატეგორია საზოგადოებისა იღებს სარგებელს და დიდი კატეგორია ზიანდება. საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობა იკლებს. ისეთ პირობებში, როცა ინფლაციის ადეკვატურად არ ხდება საშუალო შრომის ანაზღაურების ზრდა, არ ხდება სოციალურად დაუცველი ადამიანების სახელმწიფო შემწეობების ზრდა, რა თქმა უნდა, სოციალური ფონი დამძიმდება. ინფლაცია ძირითადად დაბალშემოსავლიან და საშუალო შემოსავლიან ადამიანებზე იმოქმედებს უარყოფითად და იზრდება უთანასწორობა ღარიბ და მდიდარ ჯგუფებს შორის.

აქედან დასკვნა, უნდა შემუშავდეს ანტიინფლაციური პროგრამა, რომელიც შეუწყობს ხელს სოციალურად შეჭირვებულ უამრავ ადამიანს, მილიონ რვაასი ათასი ადამიანი სახელმწიფოსგან ოფიციალურად ითხოვს შემწეობას და მხოლოდ 20% იღებს დახმარებას, რვაასიათასი პენსიონერი გვყავს, ისინი 80 ლარიან პენსიას იღებენ, იმ დროს როდესაც საარსებო მინიმუმი 150 ლარია, ანუ პენსია საარსებო მინიმუმის ნახევარია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ინფლაცია ყველაზე მეტად მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებულ ფენას დააწვება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საარსებო მინიმუმის კალათაში შესულ პროდუქტებზე ფასები, ინფლაციის მთლიან მაჩვენებელთან შედარებით, გაცილებით მაღალი 20–25% პროცენტით გაიზარდა, გამოდის, რომ პრობლემა სოციალურ სიმწვავეს იძენს. ამასთან ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ კარგად გააზრებული სოციალური პოლიტიკაც უნდა გაატაროს.

აგრეთვე მნიშვნელოვანია მონეტარული ღონისძიებები, რაც ეროვნულმა ბანკმა უნდა განახორციელოს ამ შემთხვევაში. ისე ფრთხილად, რომ რეალურად საპროცენტო განაკვეთები არ გაიზარდოს, მაგრამ ფულის მასა სტაბილურად მაინც უნდა შემცირდეს და ეკონომიკური ზრდის ადეკვატური უნდა გახდეს. ხისტი მონეტარული მეთოდებით შეიძლება პრობლემა შეექმნას ეკონომიკის სტიმულირებას, ამიტომ ეს ფრთხილი პოლიტიკის შედეგი უნდა იყოს. მთავრობამ ძირითადად უნდა გამოიყენოს ფისკალური ინსტრუმენტები, ეს არის არამიზნობრივი, ბიუროკრატიული თუ სხვა ხარჯების შემცირება, უმეტესობა ასეთი ხარჯების საერთოდ არ უნდა გაიწიოს, ან რადიკალურად უნდა შემცირდეს; ასევე გადაიხედოს ხარჯვის პრიორიტეტები დარგების მიხედვით; საჭიროა ასევე საგადასახადო სისტემის მოწესრიგება; უნდა გატარდეს ინსტიტუციონალური რეფორმები, რაც ნიშნავს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სრულად აღდგენას. ანტიმონოპოლიური რეგულირება რეალურად უნდა იყოს ისეთი, რომ ბაზარზე მონოპოლიები რეალურად შეიზღუდოს და დაიწყოს აქტიური სვლა ჯანსაღი კონკურენციისკენ.

ლიტერატურა:

1. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 2008;
2. www.nbg.gov.ge
3. www.commersant.ge
4. www.banksandfinance.ge
5. www.geostat.ge.

რეზიუმე

ეკონომიკური აღმავლობის პროცესში სტაბილური ფასების შენარჩუნება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გადაუჭრელ პრობლემას განვითარებულ ქვეყნებში. თანამედროვე ქვეყნებისთვის ინფლაცია ერთ ერთი ძირითადი სენია. იგი სერიოზულ სირთულეებს უქმნის ეკონომიკის ფუნქციონირებას და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, დღეისათვის ძალზედ აქტუალურ პრობლემას, ინფლაციას, რომელმაც ამ ბოლო ხანებში საქართველოში ორნიშნა ნიშნულს მიაღწია. ჩვენს ქვეყანაში ძალზედ მტკივნეულად გვახსოვს 90-იანი წლებში მიმდინარე ფულის გაუფასურების პროცესი. აგრეთვე ფულის რეფორმები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ემსახურებოდა. დღეისათვის ეკონომიკაში ინფლაციური მოვლენების გაძლიერება შეიმჩნევა. ისმის კითხვა რას მივყავართ ამ მდგომარეობამდე და რა არის საჭირო საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

FOR OVERCOMING THE INFLATION IN GEORGIA

Natia Zhozhuashvili, Associate Professor

RESUME

In the process of the raising of economics, keeping stable prices is one of the important and unsettling problem in developed countries. One of the main problem of contemporary countries is inflation. It makes serious problems to functioning of economics and growing of the economics in the country. Inflation is very actual problem, which has reached to two-digit numbers in developed countries and in Georgia too . We remember the process of devalution of money in our country in nineties, also reforms of money, which served to raising of economics and development the level of live. Reinforcement of the inflation is noticed in economics nowadays .The question is: what is the reason of this situation and what is necessary to avoid this danger?

მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენება საგანმანათლებლო მომსახურების სფეროში

მაკა სოსანიძე, *ასოცირებული პროფესორი*

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, შრომის ბაზარზე კონკურენციის ზრდამ კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნები ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ, რამაც თავის მხრივ გამოიწვია განათლების როლის ამაღლება.

დღეისათვის არსებობს მრავალი სასწავლო-მეთოდური პროგრამა სპეციალისტთა მოსამზადებლად, დამატებითი ცოდნის, უნარ-ჩვევების მისაღებად. საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელს ხშირად უჭირს მრავალფეროვან შემოთავაზებებს შორის მისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა. ამან გამოიწვია სწორედ რეკლამის, როგორც საქონელზე და მომსახურებაზე ინფორმაციის წყაროს როლის ამაღლება.

რაც შეეხება საგანმანათლებლო მომსახურებას, ესაა ინფორმაციის, ცოდნის, უნარ-ჩვევების სისტემა,რომელიც გამოიყენება ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საგანმანათლებლო მომსახურება ცოდნის, უნარ-ჩვევების ერთობლიობაა, რომელიც წარმოადგენს პედაგოგისა და მოსწავლის ერთობლივი შრომის პროდუქტს. საგანმანათლებლო პროგრამა კი ესაა საგანმანათლებლო მომსახურების კომპლექსი, მიმართული მომხმარებლის

საგანმანათლებლო ან პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად, უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო ორგანიზაციის შესაბამისი რესურსებით.

საგანმანათლებლო მომსახურება ბაზარზე წარმოადგენს საქონელს, რომლის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა ფლობდეს მარკეტინგული კომპლექსის მეთოდებს. მარკეტინგული კომპლექსი ესაა კონტროლს დაქვემდებარებული ფაქტორების ერთობლიობა, რომელსაც ფირმა იყენებს მიზნობრივი ბაზრის მხრიდან სასურველი რეაქციის მისაღებად. მარკეტინგის კომპლექსში შედის: საქონელი, ფასი, გასაღების ადგილი და შედის ისეთი ელემენტი, როგორიცაა საქონლის წინ წაწევა, რომელსაც მარკეტინგული კომუნიკაციის კომპლექსსაც უწოდებენ. მარკეტინგის კლასიკური თეორიის თანახმად მარკეტინგული კომუნიკაციის კომპლექსი შედგება ძირითადი ელემენტისაგან. ესენია: გასაღების სტიმულირება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, პირადი გაყიდვები და რეკლამა. უდავოა, რომ პირველი სამი ელემენტი ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ამავე დროს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა რეკლამა.

რეკლამა არის მომსახურების, ნაწარმის, ან იდეის შესახებ ინფორმაციის არაპერსონალური გზით მიწოდება მედიის სხვადასხვა საშუალებით, რაც ფასიანია და ჰყავს სპონსორი.

განვიხილოთ სარეკლამო პოლიტიკის თავისებურებები საგამანათლებლო მომსახურების ბაზარზე. სარეკლამო პროგრამის შემუშავება იწყება რეკლამის მიზნების განსაზღვრით. არსებობს სარეკლამო მიზნების სამი სახე: ინფორმაციული, დამარწმუნებელი და შემახსენებელი რეკლამა.

„ახალგაზრდა“ საგანმანათლებლო დაწესებულებათა უმრავლესობამ, რომლებიც არცთუ დიდი ხანია შეიქმნა, თავისი სარეკლამო კამპანია უნდა დაიწყონ დამარწმუნებელი რეკლამით ანუ მოახდინონ კლიენტების დარწმუნება თავიანთ სერიოზულ მიზნებში და პოტენციალში, შეთავაზებული მომსახურების ხარისხიანობაში. დამარწმუნებელი რეკლამა არწმუნებს კლიენტს დაუყოვნებლივ მიმართოს დაწესებულებას დამატებითი ინფორმაციისათვის ან უბრალოდ მოახდინოს შეთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურების ყიდვა. მათ ასევე შეიძლება ისარგებლონ შედარებითი რეკლამით, როცა საგანმანათლებლო დაწესებულება თავისი ღირსებების დასამტკიცებლად საკუთარ მომსახურებას უდარებს კონკურენტის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლი პროდუქტს.

საინფორმაციო რეკლამა გამოიყენება სხვა მიზნების მისაღწევად. ეს მიზანი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო მომსახურების ახალი მოდიფიკაციის ბაზარზე გამოტანის გაიოლება. ნაკლებად ცნობილმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ინფორმაციული რეკლამა შეიძლება გამოიყენოს იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნებულია, რომ მისი ახალი საგანმანათლებლო მომსახურება განსაკუთრებით სჭირდება ბაზრის მოცემულ სეგმენტს, რომ ის უნიკალურია და არ ჰყავს კონკურენტი. სხვა შემთხვევაში რეკლამა არ მოიტანს სასურველ ეფექტს.

საინფორმაციო რეკლამა აწვდის ინფორმაციას სწავლების პროგრამების შინაარსის, ტექნოლოგიებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ასევე ფასების ცვლილებებისა და დამატებითი სერვისის შესახებ. ის ასევე შეიძლება იყოს ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ არასწორი წარმოდგენის გამოსწორებაზე, ნეგატიური ხმების გავრცელების თავიდან აცილებაზე.

საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე შემახსენებელი რეკლამა გამოიყენება უკვე ცნობილი, აღიარებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. ის განსაკუთრებით საჭიროა ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე, რათა შეახსენოს მომხმარებელს, რომ შეთავაზებული მომსახურება მათ დასჭირდებათ უახლოეს მომავალში და ამიტომ საჭიროა დროის დაუკარგავად დაამყარონ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან კონტაქტი.

შემახსენებელი რეკლამის ნაირსახეობას წარმოადგენს მხარდამჭერი რეკლამა. ის რეალიზდება უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებათა კედლებში და მიზნად ისახავს დაარწმუნოს სტუდენტები თავისი არჩევანის სისწორეში, მათ წინაშე არსებულ პერსპექტივებში. მხარდამჭერი რეკლამის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა კმაყოფილ, წარმატებულ სტუდენტთა დემონსტრირება, ასევე ფოტოსურათები და საინფორმაციო მასალები დაწესებულების შენობაში.

სარეკლამო პროგრამის შემუშავების შემდგომი ეტაპი ესაა სარეკლამო არგუმენტების შემუშავება და მათგან ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, რათა ეფექტურად იქნეს შედგენილი სარეკლამო არგუმენტი, აუცილებელია მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნილებათა შესწავლა.

ნებისმიერ ადამიანს განათლება უპირველეს ყოვლისა სჭირდება არსებობისათვის-რათა მიიღოს ის პროფესია, რისი მეშვეობითაც ექნება ხელფასი და ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება. მოთხოვნილებათა იერარქიის შემდგომი საფეხურია უსაფრთხოების გარანტიების მიღება, შემდეგ საფეხურზე კი მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი იყოს წევრი რომელიმე მისთვის საჭირო

ჯგუფისა, ადამიანთა წრისა – მაგალითად, განათლების სტატუსის მიხედვით, პროფესიონალური ნიშნით და სხვ. ამის შემდეგ იერარქიის მწვერვალზე მოთხოვნილებები რეალიზდება შესაძლებლობებში და პიროვნების ზრდაში, რაც დაკავშირებულია საკუთარი თავის შეცნობასთან და თვითგანვითარებასთან.

საგანმანათლებლო მომსახურების პოტენციური მომხმარებლის მოთხოვნილებების იერარქიული სტატუსის გათვალისწინებით განვიხილოთ ის ძირითადი სარეკლამო არგუმენტები, რომლებიც ყალიბდება საგანმანათლებლო მომსახურების საბოლოო მომხმარებელთან ურთიერთობაში.

პირველი ესაა ეკონომიკური არგუმენტები: მომავალი ხელფასის დონე, სწავლის პერიოდში სტიპენდიის დონე, უფასო ან შეღავათიანი პირობები სხვადასხვა სახის მომსახურების შესაძენად (სამედიცინო მომსახურება, დასვენება, დამატებით ცოდნის მიღება და სხვ.)

მეორე, სოციალური: მომავალი მაღალპროფესიონალური და სოციალური მდგომარეობა, კურსდამთავრებულთა მიღწევების საზოგადოების მიერ აღიარება, საგანმანათლებლო დაწესებულების პრესტიჟულობა, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ცნობადობა და ა.შ.

მესამე, მსოფლიო ინტელექტუალური კავშირების პერსპექტივები: უცხოელ სტუდენტებთან და პედაგოგებთან ურთიერთობის შესაძლებლობა, სწავლება და პრაქტიკის გავლა, საქმიანი და სამეცნიერო კონტაქტების დამყარება უცხოეთთან, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის საერთაშორისო აღიარება და ა.შ.

მეოთხე, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაცია და მისი უზრუნველყოფა: მეცადინეობათა მაღალი დონე, სწავლების აქტიური მეთოდების პრიორიტეტი, პროგრამების არჩევის შესაძლებლობა, ბიბლიოთეკით უზრუნველყოფა და სხვ.

საგანმანათლებლო მომსახურების სარეკლამო არგუმენტების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ემოციური ფაქტორის გათვალისწინებას. მაგალითად, ახალგაზრდებისთვის ემოციები პირად ურთიერთობებში არანაკლებ მნიშვნელოვანია. მომავალ სტუდენტს უფრო მეტის გაგება სურს იმ ადამიანების შესახებ, ვისთანაც ექნება ურთიერთობა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას, სასწავლებელში არსებული ატმოსფეროს შესახებ, ვიდრე სწავლების კურსებისა და პროგრამების ჩამონათვალის შესახებ.

სარეკლამო არგუმენტების ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რეკლამის მატარებლის შერჩევაზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საგანმანათლებლო მომსახურებაში უფრო შედეგიანია ბეჭდითი წყაროების გამოყენება, მათ შორის სპეციალიზებული ჟურნალ-გაზეთები, ბროშურები, ბუკლეტები გამოშვებული თვით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

ბეჭდითი რეკლამის უპირატესობას მიეკუთვნება: ბეჭდითი ინფორმაციისადმი ნდობის მაღალი ხარისხი, მოქნილობა, არსებობისა და გამოყენების ხანგრძლივობა, დროის ნებისმიერ მომენტში ინფორმაციის წაკითხვის შესაძლებლობა;

ამავე დროს ბეჭდითი რეკლამა წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდების აქტიურ საშუალებას: მკითხველს შეუძლია მონიშნოს გვერდი, ამოჭრას, ამოარჩიოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია.

ბეჭდით რეკლამას საგანმანათლებლო მომსახურებაში გააჩნია სპეციფიკა:

- განცხადების ტექსტი შეიძლება ჩვეულებრივზე დიდი მოცულობის იყოს, რადგან კლიენტები ესწრაფიან მიიღონ საკმარისი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად.
- სარეკლამო განცხადებაში არ არის აუცილებელი ნახატის, ფოტოსურათის გამოყენება (რადგან რთულია საგანმანათლებლო მომსახურების გრაფიკულად გამოსახვა), სრულიად საკმარისია განცხადებაში მოთავსდეს სასწავლო დაწესებულების ემბლემა ან ლოგოტიპი.

ასევე ძალზე ეფექტურია ისეთი სარეკლამო ღონისძიებების გამართვა, როგორიცაა:

- ღია კარის დღე, პრეზენტაცია, კურსდამთავრებულთა შეხვედრა, დაწესებულების საიუბილეო დღე,უმაღლესი სასწავლებელის მიერ კონფერენციისა და სიმპოზიუმის ჩატარება.

აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, რომ საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უხარისხო რეკლამის ნეგატიური ეფექტი განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს იძენს. უხარისხოდ და არაპროფესიონალურად შესრულებული სარეკლამო მიმართვა არამარტო ადასტურებს რეკლამის მიმცემის დაბალ საგანმანათლებლო და კულტურულ დონეს, არამედ მის არაკომპეტენტურობას და არაპროფესიონალიზმს. ამასთანავე ხდება მიზეზი უნდობლობისა და საგანმანათლებლო მომსახურების შეძენაზე უარის თქმისა.

რეკლამის გავრცელების საშუალებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული მიზნები, შესაძლებლობები (უპრველეს ყოვლისა რეკლამის ბიუჯეტი), სარეკლამო ამოცანის ხასიათი. სასურველია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი რეკომენდაციები თუ

როგორ უნდა იყოს დაგეგმილი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სარეკლამო კამპანია დროის მიხედვით:

1) რეკლამა ადგილობრივ და ცენტრალურ გაზეთებში მიცემულ უნდა იქნას მარტში, აპრილში და მაისში;

2) სასურველია მოკლე სატელევიზიო სარეკლამო განცხადება მარტში, ყოველკვირეულად ერთხელ დღის განმავლობაში, საღამოს საათებში საინფორმაციო გამოშვების წინ ან შემდეგ;

3) უმაღლესი სასწავლებლის რექტორის გამოსვლა მოქალაქეთა კითხვებზე პასუხის გაცემის სახით - აპრილში, საღამოს საათებში საინფორმაციო გამოშვების შემდეგ;

4) უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლების სტუმრობა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებთან შეხვედრის ორგანიზება. ამ ღონისძიებებზე სარეკლამო ბუკლეტების, ლიფლეტების დარიგება;

5) აბიტურიენტების მიერ უმაღლესი სასწავლებლის მონახულების ორგანიზება ,,ღია კარის დღეს“ - აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოშიც, სადაც საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე საკმაოდ დიდი კონკურენციაა, უმაღლესმა სასწავლებლებმა თავისი პროდუქტის პოზიციონირებისა და წინ წაწევისათვის უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ მარკეტინგული კომუნიკაციის ელემენტები და განსაკუთრებით რეკლამა.

ლიტერატურა:

1. ЗИННУРОВ.У.Г. ,,МАРКЕТИНГ В ДЕЯТЕЛЪНОСТИ ВУЗОВ ‘’ 1993
2. Панкрухин А .П . ,,Маркетинг образователъных услуг” on-line версия
3. www.marketolog.ru

რეზიუმე

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, შრომის ბაზარზე კონკურენციის ზრდამ კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნები ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ, რამაც თავის მხრივ გამოიწვია განათლების როლის ამაღლება.

დღეისათვის არსებობს მრავალი სასწავლო-მეთოდური პროგრამა სპეციალისტთა მოსამზადებლად, დამატებითი ცოდნის, ჩვევების მისაღებად. საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელს ხშირად უჭირს მრავალფეროვან შემოთავაზებებს შორის მისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა. ამან გამოიწვია სწორედ რეკლამის, როგორც საქონელზე და მომსახურებაზე ინფორმაციის წყაროს როლის ამაღლება.

რაც შეეხება საგანმანათლებლო მომსახურებას - ესაა ინფორმაციის, ცოდნის, უნარ-ჩვევების სისტემა, რომელიც გამოიყენება ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საგანმანათლებლო მომსახურება ცოდნის, უნარ-ჩვევების ერთობლიობაა, რომელიც წარმოადგენს პედაგოგისა და მოსწავლის ერთობლივი შრომის პროდუქტს. საგანმანათლებლო მომსახურება ბაზარზე წარმოადგენს საქონელს, რომლის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა ფლობდეს მარკეტინგული კომპლექსის მეთოდებს. მარკეტინგის კომპლექსში შედის: საქონელი, ფასი, გასაღების ადგილი და შედის ისეთი ელემენტი, როგორიცაა საქონლის წინ წაწევა, რომელსაც მარკეტინგული კომუნიკაციის კომპლექსსაც უწოდებენ. მარკეტინგის კლასიკური თეორიის თანახმად მარკეტინგული კომუნიკაციის კომპლექსი შედგება 4 ძირითადი ელემენტისაგან. ესენია: გასაღების სტიმულირება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, პირადი გაყიდვები და რეკლამა. უდავოა, რომ პირველი სამი ელემენტი ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ამავე დროს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა რეკლამა. ნაშრომში განხილულია საგანმანათლებლო მომსახურებაში რეკლამის თავისებურებები და რეკომენდაციები.

USE OF MARKETING COMMUNICATIONS WITHIN EDUCATIONAL SERVICES

Maka Sosanidze, Associate Professor

RESUME

The constant development of the informational technologies on the one hand and competition growth on the labor market on the other, resulted in increased need of young specialists and consequently education's role rising.

Today there is a huge diversity of educational-methodological programs for training, gaining additional skills. Educational service market customers are often puzzled to choose the offered services necessary for them. The above mentioned statement caused the rise of the advertisement's role as a source of information regarding the goods and services.

As for the educational services – this is a system of information, knowledge, skills, which is used to meet the requirements of people, society and State.

The educational service is a unity of knowledge and skills that is a product of a joint work of a teacher and a student.

The educational service within a market is an article, and to keep compatibility on a market the educational institution should possess methods of marketing complex. The marketing complex includes: price of goods, place of selling and such element as advancement of goods, which is also called as marketing communication complex. According to the marketing classical theory marketing communication complex consists of 4 main elements: selling stimulation, public relations, private selling and advertisement. It is indisputable that the first three elements are of key importance. But at the same time the most prevalence form of communication within the educational market is – an advertisement. The given work deals with the peculiarities of an advertisement and recommendations within the educational services.

თანამედროვე მსოფლიო დემოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ

ლალი სრესელი, *მოწვეული სპეციალისტი*

მსოფლიოში დემოგრაფიული პროცესების მთავარ თავისებურებად კვლავ რჩება მოსახლეობის ორი მეტად განსხვავებული ტიპის არსებობა. ეს არის განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა და განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა, თუმცა მათ შორის განსხვავება თანდათან მცირდება.

მსოფლიო მოსახლეობის მატება, რომელიც ნიშანდობლივია მთელი მსოფლიო დინამიკისათვის, ლოკალიზებულია ქვეყნების მცირე რიცხვში. საერთო მატების მესამედზე მეტი მოდის ორ ქვეყანაზე, ინდოეთზე და ჩინეთზე; და 10 ქვეყანაზე მოდის მსოფლიო მატების 60%.

პერსპექტივაში დაბალი ეკონომიკური პოტენციალის ქვეყნების რიცხვი, რომლებიც მოსახლეობის მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა, გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს მათ მწვავე დემოგრაფიული და ეკონომიკური პრობლემების ლოკალურ კერებად გადაქცევას.

დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში. თუ 1950 წელს მათ წილზე მოდიოდა მსოფლიო მოსახლეობის 2/3, 1998 წელს – 4/5; პროგნოზის მიხედვით, 2050 წლისათვის მათზე მოვა მსოფლიო მოსახლეობის 7/8.

რაც შეეხება გეოგრაფიულ განაწილებას, 1950 წლიდან 2050 წლამდე გაიზრდება მსოფლიოს ყველა რეგიონის მოსახლეობა გარდა ევროპისა, სადაც მოსახლეობის შემცირება ივარაუდება.

ყველაზე დიდი მატება – 8-ჯერ – პროგნოზირდება აფრიკაში; მისი წილი მსოფლიო მოსახლეობაში გაიზრდება 2,25-ჯერ; ლათინურ ამერიკაში მატება შეადგენს 4,8 და 1,38-ჯერ,

შესაბამისად, მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვანი აბსოლუტური ზრდის პირობებში – თითქმის 3,9 მლრდ. ადამიანით. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აზიის წილი თითქმის არ შეცვლილა, ხოლო ბოლოს რამდენადმე შემცირდა კიდეც. განვითარებულ რეგიონებს შორის მოსახლეობის რიცხოვნების ზრდა ჩრდილოეთ ამერიკასა და ოკეანიის ქვეყნებში შენარჩუნდება, ხოლო ევროპაში შემცირებით შეიცვლება.

განვითარებულ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის დემოგრაფიული განსხვავების საფუძველი – ეს არის ოჯახის განსხვავებული როლი ამ ქვეყნების კულტურასა და ეკონომიკაში. განვითარებად ქვეყნებში ოჯახმა მეტწილად შეინარჩუნა თავის ტრადიციული ეკონომიკური თვისებები, განსაკუთრებით სოფლის პირობებში ოჯახი რჩება წარმოების ძირითად საფუძვლად, ასრულებს სხვადასხვა სოციალურ ფუნქციებს. განვითარებულ ქვეყნებში კი ოჯახის ბევრი ფუნქცია აღებული აქვს ბიზნესს და სახელმწიფოს. გარდა ამისა, პიროვნებებს შორის ურთიერთობის თავისუფლებამ და ქორწინების „ლიბერალიზაციამ“ ოჯახი არამყარი გახადა.

მოსახლეობის რაოდენობა ყველაზე მეტად იზრდება ღარიბ ქვეყნებში, სადაც არ არის პირობები ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და შესაბამისი შესაძლებლობების შექმნისა.

ჩამოყალიბდა ტენდენცია, რომ, როგორც წესი, ყველაზე ღარიბი ოჯახები გვევლინებიან ყველაზე მრავალრიცხოვან ოჯახებად. ყველაზე უფრო სწრაფად მზარდ რეგიონებად ითვლება საჰარის სამხრეთით განლაგებული აფრიკის ქვეყნები, აგრეთვე სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ნაწილი. 40 წლის განმავლობაში მათი წილი გლობალური მოსახლეობის რიცხოვნობაში თანდათან იზრდებოდა. ამ რეგიონებში, ისევე უახლეს მომავალში, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იცხოვრებს ქალაქებში. „დემოგრაფიული გადასვლა“ მაღალი შობადობის და მაღალი სიკვდილიანობის დონიდან დაბალი შობადობისა და დაბალი სიკვდილიანობის დონეზე დღეს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში უკვე დაიწყო. ამ თვალსაზრისით ნაკლებ განვითარებულმა ქვეყნებმა დღეს მიაღწიეს იმ დონეს, რა დონეზეც განვითარებული ქვეყნები ნახევარი საუკუნის წინ იყვნენ.

მოსახლეობის რიცხოვნობის სწრაფი ზრდის /1960 წლიდან 3 მლრდ-დან 6 მლრდ-მდე 1999 წლისათვის/ მთავარი მიზეზი – ეს არის სიკვდილიანობის უპრეცედენტო შემცირება.

მიუხედავად გასული საუკუნის 90-იანი წლებისთვის დემოგრაფიული ვითარების გამწვავებისა, საქართველოში ბოლო 5 წლის მონაცემებით, ბუნებრივი მატება ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2005 წელს 1000 კაცზე 1,3 – 2009 წელს 3,8. მკვეთრად შემცირდა მკვდრად შობადობა. 2005 წლისათვის მკვდრად შობადობის მაჩვენებელია – 739, ხოლო 2009 წლისთვის – 484. ასევე გაიზარდა როგორც ქორწინებათა, 2005 წელს – 18012, 2009 წელს – 31752, ასევე განქორწინებულთა რიცხვი, 2005 წელს – 1928, 2009 წელს – 4030.

შობადობა სწრაფი ტემპებით შემცირდა ლათინურ ამერიკასა და აზიაში, ნელი ტემპებით ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, ხოლო აფრიკის ქვეყნებში /საჰარის სამხრეთით მდებარე/ შობადობის შემცირება თითქმის უმნიშვნელოა.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში შობადობა მკვეთრად შემცირდა, აზიაში 5,9-დან 2,6 ბავშვამდე ერთ ქალზე. აფრიკის ქვეყნებში /საჰარის სამხრეთით მდებარე/ ეს მაჩვენებელი შემცირდა მეტად ნელი ტემპით, 6,5-დან 5,5-მდე.

განვითარებად ქვეყნებში 1969 წლიდან შობადობის მაჩვენებელი შემცირდა ორჯერ ერთ ქალზე, 6 ბავშვიდან 3 ბავშვამდე. ამის შედეგად, მოსახლეობის მატების ტემპები შენელდა. რაც შეეხება ნეგატიურ მომენტს, აღსანიშნავია, რომ უღარიბეს ქვეყნებში მოსახლეობის მატების მაჩვენებელი ხშირად ყველაზე მაღალია. აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის 62 ქვეყანაში მოსახლეობის 40% 15 წელს ქვემოთაა. ყველაზე ღარიბი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მეტად არასასურველი მაჩვენებელი, დედათა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი და ოჯახის დაგეგმვის მეთოდების გამოყენების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი.

მოსახლეობის ზრდის ტემპების შემდგომი შენელება გარდაუვალია. იგი დამოკიდებულია უკანასკნელ ათწლეულში მიღებულ ზომებსა და არჩევანზე.

1969 წლიდან აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში განათლების და ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობა ამაღლდა და მათ მომსახურებას იყენებს მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენები. მიუხედავად ამისა, განვითარებადი ქვეყნების რეპროდუქციული ასაკის ქალების მესამედისათვის დღემდე მიუწვდომელია ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე უსაფრთხოდ

მიჩნეული მეთოდები. 585 000 ქალი განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად იღუპება ფეხმძიმობის შედეგად და მნიშვნელოვნად მეტი იტანჯება ინფექციებისა და ტრავმებისაგან.

არაკვალიფიციური აბორტებისგან ყოველ წელს იღუპება 70 000 ქალი.

1994 წელს ქაიროში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ხალხთმოსახლეობის საკითხებთან დაკავშირებით. კონფერენციაზე აღნიშნულ იქნა, რომ ქვეყნები ადგანან დემოგრაფიული და განვითარების ისეთ პოლიტიკას., რომლის საფუძველიც ისეთი ფაქტორებია, როგორიცაა ცხოვრების დონე, პირადი არჩევანი, ადამიანის უფლებები და სხვა.

კონფერენციაზე მიღწეული კონსენსუსის მთავარი ელემენტია ის, რომ შობადობა განისაზღვრება წყვილის და ცალკეული პირების ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებების საფუძველზე. არსებობს მოსაზრება, რომ ოჯახის მოცულობის შემცირება იქნება იმ პოლიტიკის შედეგი, რომელიც ნებას აძლევს თითოეულ ადამიანს და, განსაკუთრებით, ქალს, გააკეთოს თავისი არჩევანი ცხოვრების ყველა სფეროში.

განვითარებადი ქვეყნების მესამედზე მეტმა თავისი დემოგრაფიული პოლიტიკა მოიყვანა კონფერენციის ამოცანებთან შესატყვისობაში, ან ჩართეს მასში ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სამედიცინო მომსახურების ხარისხი, თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის, ინფორმაციული სისტემების ეფექტურობის ამაღლება.

შობადობის შემცირება ქმნის შესაძლებლობას ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლებისათვის. ასევე ამ ფაქტორმა დააჩქარა მოსახლეობის კეთილდღეობა და გააქტიურა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსახლეობის მონაწილეობა.

ასეთი მოდელი დამახასიათებელია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და სხვადასხვა რეგიონის განვითარებადი ქვეყნისათვის, შობადობის და სიკვდილიანობის შემცირება იწვევს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილის სწრაფ ზრდას. ეს იწვევს სახელმწიფო და საოჯახო მეურნეობაში დანაზოგისა და ინვესტიციების მოცულობის გადიდებას და განსაკუთრებით ინვესტიციების მოცულობის გადიდებას სოციალური მიზნებისათვის.

რიგი გნვითარებადი ქვეყნების დემოგრაფიულ ცვლილებაზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ინფექციური დაავადება შიდსი.

დღეს შიდსი ითვლება სიკვდილიანობის ძირითად მიზეზად აფრიკაში. ინფიცირებულთა 95% ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის 2/3 აფრიკის იმ ქვეყნებში, რომლებიც საჰარის სამხრეთით მდებარეობენ. შიდსი დამანგრეველად მოქმედებს საზოგადოებაზე, აზიანებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს, მათ შორის შრომისუნარიან მოსახლეობას, ბავშვებს. იგი დიდ ტვირთად აწვება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემას.

დემოგრაფიული თვალსაზრისით, მომავალში შიდსის ზემოქმედება გლობალური მასშტაბით რამდენადმე შემოსაზღვრული იქნება. შობადობის მაღალი კოეფიციენტის გათვალისწინებით საჰარის სამხრეთ მდებარე ზოგიერთ აფრიკულ ქვეყნებში მოსალოდნელია მოსახლეობის ზრდა, მაგრამ უმრავლეს ქვეყნებში, სადაც შიდსია რეგისტრირებული, მოსახლეობის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად შემცირდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, განსაკუთრებით კი ინდოეთსა და ჩინეთში, ამ დაავადების გავრცელება განსაკუთრებულ დაფიქსირებას ითხოვს.

უკანასკნელ წლებში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთზეგავლენის მნიშვნელოვანი შედეგი გახდა მიგრაციული პროცესები.

განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის სწრაფი ზრდა იწვევს ამ ქვეყნებში ჭარბი სამუშაო ძალის არსებობას, ხოლო განათლების სისტემის განვითარება იწვევს ახალგაზრდა მუშაკების სრულ მზადყოფნას განვითარებული ქვეყნების შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი.

მიგრაციული პროცესები განვითარებადი ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით. რიგ ქვეყნებში მიგრანტების ფულადი გზავნილები ეს არის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში, იორდანიაში, იემენში ეს გზავნილები შეადგენს მთლიანი ეროვნული პროდუქტის 10%-დან 50%-მდე.

შრომითი მიგრაციები განვითარებადი ქვეყნებიდან პრაქტიკულად არ მოქმედებს ამ ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოებაზე, მაგრამ განვითარებული ქვეყნებისათვის მიგრაციული ნაკადები უკვე იძენს არა მარტო ეკონომიკურ და სოციალურ, არამედ დემოგრაფიულ მნიშვნელობასაც. მიგრაციული სალდო საქართველოსთვის ათას კაცზე შეადგენდა – 2000 წელს – 35.2

2001 - 32.6
2002 - 27.8
2003 - 27.5
2004 - 5.5
2005 - 76. 3
2006 -12.1
2007 - 20. 1
2008 -10.2
2009 - 34.2

ხანგრძლივი იმიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან გარკვეული კონფლიქტების წინაპირობაცაა. უკვე დღეს იმიგრანტების კომპაქტური ჯგუფები მიმღები ქვეყნისათვის წარმოადგენენ საკმაოდ უცხო კულტურულ წარმონაქმნს, რამდენადაც რიცხოვნობის რაღაც ზღვრულ დონემდე მიღწევისას მათი ორიენტაცია ასიმილაციაზე იცვლება ნაციონალური და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისათვის მისწრაფებით.

ლიტერატურა:

1. Материалы международной научно-практической конференций г.ВОЛЖСКИЙ, 21-23 Сентября 1998г
2. Народонаселение мира 1999г.UNFPA.фонд ООН в области народонаселения.
3. Население и общество, Информационный бюллетень центра демографий и экологий человека института народохозяйственного прогнозирования РАН1999…2008г
4. А.Р.Вяткин-юго-восточная Азия:демографический анализ
5. http://www.geostat.ge

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების დემოგრაფიულ ცვლილებებზე.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში მკვიდრდება მოსახლეობის განვითარების აღწარმოების თანამედროვე ტიპი. ხდება გადასვლა მაღალი სიკვდილიანობის დონიდან დაბალ სიკვდილიანობის დონეზე.

დემოგრაოფიული პოლიტიკის შემუშავებისას განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ითვალისწინებს და დიდ ყურადღებას აქცევს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სამედიცინო მომსახურეობის ხარისხი, ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა, საინფორმაციო სისტემების ეფექტურობის ამაღლება, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა და სხვა.

არახელსაყრელ გავლენას განვითარებად ქვეყნების დემოგრაფიულ ცვლილებაზე ახდენს ინფექციური დაავადება შიდსი. საჰარის სამხრეთ მდებარე აფრიკულ ქვეყნებში ამ ეპიდემიამ გამოიწვია მოსახლეობის ზრდის მკვეთრი შემცირება.

უკანასკნელ წლებში მიგრაციული პროცესები გახდა განვითარებადი ქვეყნების და განვითარებული ქვეყნების ურთიერთზემოქმედების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის ეკონომიური თვალსაზრისით. რიგ ქვეყნებში მიგრანტების ფულადი გზავნილები შეადგენს ამ ქვეყნების ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

ABOUT MODERN WORLD DEMOGRAPHICAL CHARACTERISTICS

Lali Sreseli, Specialist by contract

SUMMARY

This piece of work is a thorogh consideration of the factors that are influencing demography changes in the developing countries.

In most developing countries a modern type of the population reproduction is being established. Transition from a standard of high death- rate and labor – intensivity to a standard of low death-rate and labor-intensivity is taking place.

While building a demography policy most developing countries take into consideration and pay considerable attention to such factors as the quality of medical services, equal rights between men and women, the efficiency growth of the information systems, reproductive health care, etc.

The infectious disease AIDs is having an unfavorable influence over the demography changes. In the African countries of south Sahara this epidemic has caused a considerable lowering of the population growth.

Lately the migration processes have become a significant part of the interaction of developed and developing countries.

They are especially important from the economical point of view of the developing countries. In a number of countries money remittance of migrants form a significant part of the countries economics.

ტურისტული საქმიანობის ზოგიერთი სამართლებრივი საკითხი

ზურაბ ტიელიძე, სრული პროფესორი

ტურიზმი ადამიანების აქტიური დასვენების ერთ–ერთი სახეა. სიტყვა ტურიზმი ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს გასეირნებას, მოგზაურობას სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. ტურიზმი შეიძლება შეეხოს ადამიანის სიცოცხლის ყველა პერიოდს დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე. იგი გამჭოლ ზოლად გასდევს მთელ მის ცხოვრებას და დღეისათვის გვევლინება ადამიანის მოღვაწეობის, სწავლის, მუშაობისა და კვლევის საგნად. ტურიზმი ყოველთვის იყო, არის და დარჩება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კატეგორიად საზოგადოების განვითარებაში.

უკანასკნელ ათწლეულებში ტურიზმი იქცა ერთ–ერთ თვალსაჩინო სოციალურ მოვლენად მსოფლიოში და ბუნებრივია მას უნდა გააჩნდეს სამართლებრივი ბაზა და გააჩნია კიდეც, რადგანაც იგი პირდაპირ დამოკიდებულებაშია მომსახურეობასთან. ეს გარემოება კი განაპირობებს მოგზაურობის მომწყობსა (ტურისტული საწარმო, ტურისტული სააგენტო და ა.შ.) და ტურისტს (მოგზაურს) შორის ურთიერთობების (უფლება–მოვალეობების) სამართლებრივ დარეგულირებას.

ტურისტული საქმიანობის ერთ–ერთ ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლიც განსაზღვრავს და არეგულირებს სწორედ აღნიშნულ ურთიერთობებს.

ტურისტული მომსახურების ცნებაში იგულიხსმება ტურისტულ სააგენტოსა და ტურისტს შორის არსებული შეთანხმება იმის შესახებ, რომ ერთი მხარე მოვალეა გაუწიოს მეორე მხარეს მომსახურება, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია მოგზაურობის მომწყობს გადაუხადოს ხელშეკრულებით შეპირებული ანაზღაურება გაწეული მომსახურებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს მესამე პირის მონაწილეობას მოგზაურობაში, რადგან, ზოგჯერ პიროვნებას აღარ ეძლევა შესაძლებლობა ტურში მონაწილეობისა, ამიტომ- კანონმდებლობა ნებას რთავს ტურისტს მოგზაურობის დაწყებამდე მოითხოვის მის

ნაცვლად მოგზაურობაში სხვა პირის მონაწილეობა. ტურისტის მოთხოვნა დაკმაყოფილდება, თუკი იგი აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის აუცილებელ პირობებს. წინააღმდეგ-შემთხვევაში ტურისტულ სააგენტოს კანონი ანიჭებს უფლებამოსილებას უარი განაცხადოს ტურისტის მოთხოვნის შესრულებაზე. ეს კი შესაძლებელია განსაზღვრული იყოს ტურისტული სააგენტოს ავტონომიური უფლებებით, რაღა თქმა უნდა კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. მაგალითად, ტურისტულ სააგენტოს გააჩია უფლება მოსთხოვოს ტურისტს იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რაც მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობამ გამოიწვია.

კანონმდებლობით დარეგულირებულია ტურისტული სააგენტოს მოვალეობა, ისე მოაწყოს მოგზაურობა, რომ არ ჰქონდეს ხარვეზები, რომლებსაც შეუძლიათ გააუარესონ ან შეამცირონ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის. თუ მოგზაურობისას ასეთ ხრვეზს აქვს ადგილი, ტურისტს შეუძლია მოითხოვოს მათი აღმოფხვრა. ტურისტულ სააგენტოს შეუძლია უარი თქვას ამ ხარვეზის აღმოფხვრაზე, თუ იგი შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს. თუკი მოგზაურობის მომწყობი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზი და მოითხოვოს მათზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. კანონის შესაბამისად, ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი თუ ტურისტული სააგენტო უარს იტყვის ხარვეზის აღმოფხვრაზე, ან თუ ტურისტი დაინტერესებულია ხარვეზების დაუყოვნებელი აღმოფხვრით. თუკი მოგზაურობა ხარვეზიანია, მაშინ კანონი ითვალისწინებს მოგზაურობის ღირებულების შემცირებას იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ხარვეზი. კანონი იცავს მოგზაურობის მომწყობის უფლებას არ შეამციროს მოგზაურობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება, თუ ტურისტმა თავისი ბრალით არ შეატყობინა მას თავის დროზე ხარვეზის არსებობის-შესახებ.

კანონის თანახმად, ტურისტულ სააგენტოსთან ტურისტს შეუძლია შეწყვიტოს დადებული ხელშეკრულება თავისი ინიციატივით ხარვეზის არსებობის გამო, ან შეუძლია არ მიიღოს მოგზაურობაში მონაწილეობა საპატიო მიზეზის არსებობისას, მაგრამ კანონი ავალდებულებს ტურისტს ამ საპატიო მიზეზის შესახებ წინასწარ აცნობოს ტურისტულ სააგენტოს ანუ მოგზაურობის მომწყობ მხარეს.

ხელშეკრულების შეწყვეტა კანონით დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა მოგზაურობის მომწყობი პირი არ აღმოფხვრის ხარვეზს ტურისტის მიერ დადგენილ ვადაში. ვადის განსაზღვრას კანონი სავალდებულოს არ ხდის, თუ ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია, ან მოგზაურობის მომწყობი უარს იტყვის მათ აღმოფხვრაზე, ან ხელშეკრულების შეწყვეტა გამართლებულია ტურისტის განსაკუთრებული ინტერესით.

კანონის შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტისას ტურისტული სააგენტო კარგავს შეთანხმებით გათვალისწინებული ანაზღაურების მიღების უფლებას, მაგრამ მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება უკვე გაწეული უხარვეზო მომსახურებისათვის.

კანონი იცავს ტურისტის უფლებას და ავალდებულებს ტურისტულ სააგენტოს მოგზაურობისას ხარვეზით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, თუკი მოგზაურობის ხარვეზები წარმოიშობა იმ გარემოებების შედეგად, რომლებზედაც პასუხს აგებს მოგზაურობის მომწყობი. ტურისტს შეუძლია, ხარვეზების გამო, ანაზღაურების შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შეუზღუდავად, მოითხოვოს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. თუ მოგზაურობა ჩაიშალა ან იგი არაჯეროვნად იყო ორგანიზებული, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ასევე შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

კანონით რეგულირდება ასევე მოგზაურობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა. მოგზაურობის ხარვეზით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა ტურისტს შეუძლია წარადგინოს ტურისტულ სააგენტოსთან დადებულ ხელშეკრულებაში მითითებული მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ ერთი თვის მანძილზე, თუკი მას ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის ვადის გადაცილებაში.

ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს. ეს ვადა იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო. თუ ტურისტი მოთხოვნებს წარადგენს ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდე, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შემცირდება იმ დღემდე, რომელ დღესაც ტურისტული სააგენტო უარყოფს მოთხოვნას.

კანონით განსაზღვრულია ტურისტული სააგენტოს პასუხისმგებლობის შეზღუდვა, ანუ მას ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია თავისი პასუხისმგებლობა შეზღუდოს მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით. ეს კი მოხდება მხოლოდ მაშინ, თუკი ტურისტისათვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ტურისტული სააგენტო ერთპიროვნულად მთლიანად არ აგებს პასუხს ტურისტის წინაშე მიყენებული ზიანისათვის იმ შემთხვევაში, თუ ზიანი წარმოიშვა მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების შეუსრულებელთაგან ერთ–ერთის ბრალის შედეგად.

საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს ასევე ტურისტულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საკითხს. კერძოდ, ტურისტს მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე, რის შედეგადაც ტურისტული სააგენტო კარგავს ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაურის მიღების უფლებას. ამავე დროს, სააგენტოს შეუძლია მოსთხოვოს ტურისტს შესაბამისი ანაზღაურება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება შეთანხმებული ანაზღაურების საფუძველზე იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მას შეეძლო მიეღო თავისი მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად.

კანონი განსაზღვრავს ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობით გამოწვეულ ურთიერთობებს, რომლებიც დაუძლეველი ძალის შედეგია, რის გამოც მოგზაურობა არსებითად გაძნელდა, ან წარმოიშვა საფრთხე, ან ტურისტს მიადგა ზიანი ხელშეკრულების დადებისას გაუთვალისწინებელი ძალის დადგომის შედეგად, რის შედეგადაც ტურისტს ან ტურისტულ სააგენტოს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა. ამ შემთხვევაში მოგზაურობის მომწყობს გააჩნია უფლება მოითხოვოს ტურისტისაგან ანაზღაურება უკვე გაწეული უხარვეზო მომსახურებისათვის. ტურისტის უკან დაბრუნების ხარჯებს, თუ ეს მოთხოვნა ჩადებული იყო ხელშეკრულებაში, ორივე მხარე გაიყოფს შუაზე. სხვა დანარჩენ შემთხვევაში უკან დაბრუნებისათვის დამატებითი ხარჯების გაღება ეკისრება ტურისტს.

ტურისტის უფლებების დაცვის გარანტიას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმა, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესები არ შეიძლება შეიცვალოს ტურისტის საზიანოდ.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბილისი, 2002.
2. ბირჟაკოვი მ. ტურიზმის თეორია. თბილისი, 2008.
3. ჯაოშვილი ვ. საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური გეოგრაფია. თბ. 1996.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მოგზაურობის მომწყობსა (ტურისტული საწარმო, ტურისტული სააგენტო და ა, შ.) და ტურისტს შორის წარმოშობილი ურთიერთობების (უფლება–მოვალეობების) სამართლებრივი დარეგულირების ზოგიერთი საკითხი.

JUST ISSUES OF TOURISTAL ACTIVITIE

Zurab Tielidze, Full Professor

REZUME

In the thesis we have discussed the-velationship (power-responsibility) between the manager of travelling (touristal enterprise, touristal agency) and-the traveler, about the regulaton of just issues.

AEAI და ECI – ს როლი საქართველოში „ენერგო მენეჯმენტის“ სასწავლო საგნის წინაპირობების შექმნაში

გელა შაქარაშვილი, სრული პროფესორი

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში უდიდესი როლი ენიჭება ეკონომიკურ ფასეულობებს და მის შესაბამის საკითხთა რეგულირებას, მათ შორის მსოფლიო პლანეტარული რესურსების გამოყენებისა და მასთან დაკავშირებულ დავებს. უდავოა, რომ ენერგიის გამოყენებამ დაუდო საფუძველი ცივილიზაციის განვითარებას. ნებისმიერი ეკონომიკის დარგის სრულყოფილი ფუნქციონირება შეუძლებელია ენერგომატარებლების გამოყენების გარეშე. ენერგიის გამოყენების ზოგად წარმოსახვაში აღინიშნება ორი ძირითადი პერიოდი, კერძოდ პირველი პერიოდი, ენერგორესურსების მოხმარება: საწვავის მიზნით, საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო თვალსაზრისით და მეორე პერიოდი, ენერგორესურსების მოხმარება: ელექტროენერგიის მიღების, სამრეწველო ტექნოლოგიების შექმნის, გამოყენების და საყოველთაო დანიშნულების მიზნით, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება როგორც დროის განზომილებით, ისე თვისობრივად. ფაქტიურად ელ. ენერგიის აღმოჩენამდე ცივილზაციამ ქრისტეს შობიდან 19 საუკუნოვანი პერიოდი გაიარა, ხოლო ელ. ენერგიის მიღებიდან მხოლოდ ორი საუკუნე და ამ პერიოდის პროგრესი სახეზეა, ის, რაც 19 საუკუნის და უფრო ხანგრძლივ პერიოდში ვერ შექმნა ადამიანმა, ორ საუკუნეში მიაღწია ასტრონომიულ პროგრესს, ამდენად უნდა ვაღიაროთ რომ „სამყარო ენერგიაზე დგას და პლანეტის მასაზრდოებელი ენერგიაა“.

მსოფლიო ენერგორესურსების გამოყენების ისტორია ცხადყოფს, რომ მე 20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე მსოფლიო ეკონომიკის და პოლიტიკურ ურთიერთობებს შორის არსებული პროცესები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და გლობალური ხასიათისაა. მოცემულ ურთიერთობებს ფაქტიურად იკვლევს საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებები, მაგრამ ბოლო პერიოდის პრაქტიკა ადასტურებს, რომ ენერგეტიკის ეკონომიკის მართვის საკითხები არანაკლებ მნიშვნელოვანია. ფაქტიურად კვლევის ობიექტი იმდენად მოცულობითია და აქტუალური, რომ იკვეთება „ენერგომენეჯმენტის საფუძვლების“ ცალკე ერთიან სრულფასოვან დისციპლინად ჩამოყალიბების ტენდენცია. მოცემულობის არგუმენტაციისათვის საკმარისია იმ მაჩვენებელთა განხილვა, რაც ნათლად დაგვანახებს მსოფლიო სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის და ენერგორესურსების გამოყენების პრობლემატიკას. მეცნიერ-ექსპერტთა და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, ტენდენციები დროის ხანგრძლივ პერსპექტივაში, ანუ 2025 წლამდე ენერგორესურსებზე მოთხოვნის ზრდაა მოსალოდნელი, მაგალითად, თუ 2001 წელს აშშ დღეში 19,6 მლნ. ბარ. ნავთობს მოიხმარდა, 2025 წლისათვის მისი მოხმარება 29,2 მლნ. ბარელი იქნება, ანუ 11 მლნ. ბარელით გაიზრდება. მოთხოვნის კიდევ უფრო მეტი ზრდა არის მოსალოდნელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთისა და ინდოეთის ჩათვლით. ნავთობზე მოთხოვნის უმნიშვნელო ზრდა არის მოსალოდნელი ევროკავშირის ქვეყნებში. ნავთობისა და გაზის დადგენილი რეზერვების თანაფარდობა OPEC-ს და დანარჩენ მსოფლიოს შორის ასე გამოიყურება: 75% – 25 %. OPEC-ის წევრი ქვეყნების დადგენილი რეზერვების 75%-დან 70% სპარსეთის ყურეშია კონცენტრირებული. აქედან გამომდინარე, მართებულია ვარაუდი, რომ ნავთობზე და გაზზე გაზრდილი მოთხოვნის მეტი წილის დაკმაყოფილება მოხდება სპარსეთის ყურის ქვეყნების რესურსების ხარჯზე. ამ ვარაუდს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ამ რეგიონს იდეალური გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს ორივე მზარდ ბაზართან, როგორც აშშ-სთან და ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან და ინდოეთთან მიმართებაში. განვითარებული ქვეყნების ენერგეტიკული სტრატეგიის ქვაკუთხედი მიწოდების წყაროების მაქსიმალური დივერსიფიცირებაა და ენერგეტიკული სფეროს განვითარებისათვის 25 ტრილიონი დოლარის ინვესტიციების განხორციელებაა აუცილებელი, რაც აღინიშნა მექსიკის საერთაშორისო ენერგეტიკულ ფორუმზე. ანალოგიურად პროგნოზირებს ბრიტანული ნავთობისა და გაზის კომპანიის ხელმძღვანელი ტონი ჰეივორდი და აცხადებს, რომ 2030 წლისთვის ენერგიის მოხმარება 45 პროცენტით გაიზრდება. უახლოესი 20 წლის განმავლობაში ენერგეტიკის სფეროს 25-30 ტრილიონი დოლარის ინვესტიცია დასჭირდება.

ზემოაღნიშნული სტატისტიკური პროგნოზი ცხადყოფს მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობების სამომავლო ტენდენციებს და პოლიტიკური ორიენტირების განსაზღვრისათვის მსოფლიო ენერგომენეჯმენტის მიზანმიმართულმა ამოცანებმა უნდა დააბალანსოს საერთაშორისო ეკონომიკური ვითარებისა და ქვეყნების უსაფრთხოების პოზიციები. გასულ წლებში, მსოფლიო

საწვავის გადანაწილების, მოპოვება-მოხმარებისა და სხვა ინტერესთა გამო მიმდინარე პროცესების თვისობრიობა ხშირ შემთხვევაში კონფლიქტების და ომების მიზეზიც გამხდარა, რის ნათელ მაგალითსაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ჭარბი ნავთობდოლარების პრობლემა წარმოადგენდა. უდავოდ უნდა დავეთანხმოთ მეცნიერ-ექსპერტთა დასკვნებს, რომ ჭარბი ნავთობდოლარების პრობლემა არ არის ახალი ფენომენი, რომ იგი განვითარდა 1973 წლის კრიზისისა და OPEC-ის წევრი ქვეყნების ენერგეტიკული სექტორების ნაციონალიზაციისა და ნავთობზე ფასების მრავალჯერადი მატების შედეგად. 1973-83 წლები OPEC-ის წევრი სპარსეთის ყურის ქვეყნების ოქროს ხანად ითვლება. იმ პერიოდში ამ ქვეყნებმა 600 მილიარდი დოლარის მოგება მიიღეს. მაშინდელი დოლარის კურსით ეს უზარმაზარი კაპიტალი იყო. მიუხედავად ამისა, სპარსეთის ყურის ექსპორტიორებმა ვერ მოახერხეს თავისი ეკონომიკის დივერსიფიცირება. დღემდე ნედლი ნავთობის ექსპორტი მათი საგარეო ექსპორტის ერთადერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. 1973-74 წლების კრიზისისა და ნაციონალიზაციის შემდეგ სპარსეთის ყურის ქვეყნების ენერგეტიკულ სექტორებს ერთეული სახელმწიფო კომპანიები მართავდნენ, რომლებიც მმართველი კლანების სრული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს კლანები, ამ ეტაპზეც ნავთობის ბიზნესიდან მიღებულ შემოსავლებს იყენებდნენ პოლიტიკურ გლობალურ საერთაშორისო გარემოში, ამჟამადაც ეს საფრთხეები გლობალურ ხასიათს ატარებს და მათი თავიდან აცილება პოზიტიურ ძალთა გაერთიანებას მოითხოვს. ამ კონტექსტში უნდა იყოს განხილული საერთაშორისო ანტიმონოპოლიური კამპანია და მასში მსოფლიოს ქვეყნებთან ერთად საქართველოც უნდა ჩაერთოს, ვინაიდან ის პოლიტიკური ჯგუფები, ვინც ამ ფინანსურ ნაკადებს გააკონტროლებენ, თუ მოინდომებენ, შეძლებენ კიდეც, აქცენტები შეცვალონ საერთაშორისო პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, ჭარბი კაპიტალის პრობლემა შესაძლოა კვლავ დღის წესრიგში დადგეს უფრო მძიმე ფორმითა და შედეგებით.

ზემოაღნიშნული არგუმენტები, რომლებიც ეყრდნობა საერთაშორისო ექსპერტთა დასკვნებს ფრიად ამყარებს ენერგომენეჯმენტის აქტუალურობას. სხვა საკითხებთან ერთად ენერგომენეჯმენტში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოსისტემების დაცვის საკითხებს. ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ამ თვალსაზრისით მიმდინარე პროცესები მსოფლიო გლობალური თემატიკის წამყვან პრიორიტეტად ითვლება. ეკოპოლიტიკის სტრატეგია პრინციპულად განსაზღვრავს ენერგორესურსების გამოყენების შემცირების (დაზოგვით) მიმართულებებს, რომლის მიზანსაც ეკოსისტემის მდგრადობის შენარჩუნება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით დიდი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს და დასკვნებს, მაგალითისათვის იაპონიაში კიოტოს შეხვედრის მონაწილეთა აზრით უნდა გამოიყოს საწვავის სახეობები და მათი გამოყენების პერსპექტივები განისაზღვროს ეკოუსაფრთხოებიდან გამომდინარე. ამ მიმართებით თუ გავითვალისწინებთ კიოტოს ოქმს მავნე აირების გამოყოფის შეზღუდვასთან და სათბურის ეფექტთან დაკავშირებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაზზე მოთხოვნა უნდა გაიზარდოს და შეიძლება, უფრო მეტადაც, ვიდრე ნავთობზე, განსაკუთრებით ევროკავშირსა და აშშ-ში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბრიუსელის პროექტი, რომელიც 2010 წლის 10 ნოემბერს გამოქვეყნდა ე.წ. „ენერგეტიკა 2020“ სახელწოდებით, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის ენერგეტიკულ სტრატეგიას და საგარეო პოლიტიკას მომავალი 10 წლის განმავლობაში და რომელიც მოიცავს ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანას. ეს ახალი სტრატეგია პირდაპირ გავლენას მოახდენს როგორც ენერგეტიკის მწარმოებელ, ასევე სატრანზიტო ქვეყნების ეკონომიკაზე. ბრიუსელის ახალი პროექტის მიზანია 2020 წლამდე 20%-ით შეამციროს გამონაბოლქვი ნახშირბადის მოცულობა და აქედან გამომდინარე პარალელურად შემცირდება დამოკიდებულება ნავთობზე და გაზზე, სამაგიეროდ გაიზრდება მოთხოვნილება განახლებადი ენერგეტიკული რესურსებისადმი. აქვე აღსანიშნავია 12 აგვისტოს, ქ. თბილისში, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის თხოვნით (GIG), ჩატარებული ლექცია-დისკუსია, დირექტორთა საბჭოს მაღალი რანგის მენეჯერებისათვის სახელწოდებით „მსოფლიოში ენერგეტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები 2050 წლისათვის: საკითხები და ალტერნატივები“. ლექციაზე განხილულ იქნა უსაფრთხო, საიმედო და ხელმისაწვდომი ენერგო მომარაგების მნიშვნელობა ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდისათვის, კლიმატის დამანგრეველი ცვლილების საფრთხე და მაშტაბური ინვესტიციების უზრუნველყოფის აუცილებლობა, მზარდი გლობალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მსოფლიო ენერგოპოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებების კავკასიის რეგიონის დამკვიდრების 20 წლიან მონაკვეთში, არაერთმა პრობლემატურმა საკითხმა იჩინა თავი და ამ მიმართებით კვლავ აქტუალურია ენერგომენეჯმენტის განხილვა. 2009-2010 წლებში საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა მსოფლიო ენერგომენეჯმენტის საკითხების დამუშავება, როგორც აკადემიურ სფეროში, ისე სახელმწიფო ინსტიტუციებში, განხორციელდა სხვადასხვა პროგრამა-პროექტები და ღონისძიებები, მათ შორის აღსანიშნავია:

- აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების ECI პროექტი, რომელიც შექმნილია საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული სექტორის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად და რომელსაც ახორციელებს ამერიკული კომპანია Advanced Engineering Associates International (AEAI). 1986 წლიდან დღემდე Advanced Engineering Associates International-მა განახორციელა 80-ზე მეტი გარემოს დაცვითი და ენერგეტიკული პროექტები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომლებიც გამოირჩევა შესრულების უმაღლესი სტანდარტებით. AEAI-ს თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს ისეთ დონორ ორგანიზაციებთან, როგორებიც არიან USAID, World Bank და EBRD. გარდა დონორ ორგანიზაციებთან მუშაობისა AEAI ასევე ასრულებს პროექტებს ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ბოსტონის, ვაშინგტონისა და ბალტიმორის ოფისების გარდა AEAI-ს 47 წარმომადგენლობითი ოფისი გააჩნია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. შეერთებულ შტატებში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში საქმიანი თანმშრომლობის გარდა, AEAI ინარჩუნებს ურთიერთობას პარტნიორთა გუნდთან, რომელიც შედგება უფროსი და საშუალო დამოუკიდებელი კონსულტანტებისაგან და თანამშრომლობს ექსპერტებთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინსტიტუტებთან, ენერგო კომპანიებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. AEAI-მ და მისმა პარტნიორთა გუნდმა ჩამოაყალიბა, შეასრულა და წარმართა არა ერთი ენერგეტიკული და გარემოსდაცვითი პროექტი. AEAI დიდ ყურადღებას უთმობს განვითარებად რეგიონებს და გამოირჩევა გამჭვირვალე და დისციპლინირებული მენეჯმენტით მიუხედავად იმისა, თუ რა სიძნელის და მაშტაბის ამოცანებია გადასაწყვეტი. საქართველოში მათ მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის გამოირჩევა 2009 წლის 6 მარტის სემინარი. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: პროფესიული უნარ-ჩვევების დეფიციტი ენერგეტიკაში და ენერგეტიკული საგანმანათლებლო პროგრამების ხედვა საქართველოში. ECI-ის მიერ წამოწყებული პროექტი მიზნად ისახავს დაეხმაროს უმაღლეს სასწავლებლებს ენერგეტიკასთან დაკავშირებული სასწავლო კურსებისა თუ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნაში. სემინარის მიზანი იყო დახმარებოდა ადგილობრივ უნივერსიტეტებს იმის გარკვევაში (ECI-ის მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით), თუ რა რესურსებია საჭირო მომავალში ენერგეტიკის სექტორის კვალიფიციური პერსონალით დასაკომპლექტებლად. ECI-ს რეგიონალური ინიციატივა პროექტის შემადგენელი კომპონენტია, რომელიც მიზნად ისახავს ევროპისა და შავი/კასპიის ზღვის აუზის ენერგო ბაზრებზე საქართველოს რეგიონული ინტეგრირების ხელშეწყობას. პროექტის ამ კომპონენტის ფარგლებში, ECI რეგულარულად ახორციელებს საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ინტეგრაციას რეგიონულ ენერგეტიკულ საერთაშორისო ორგანიზაციებში და ინსტიტუტებში, ენერგეტიკული პოლიტიკის უკეთ განხორციელების მიზნით.

სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ECI რეგულარულად ახორციელებდა საგრანტო საპროექტო სამუშაოებს. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ენერგეტიკის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის საგრანტო პროგრამის მიზნებს წარმოადგენდა ენერგეტიკის დარგის სხვადასხვა პრიორიტეტულ საკითხებზე შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგაოდებას (უნივერსიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები) შორის თანამშრომლობა. საგრანტო პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში ECI-მა 54 განაცხადიდან გამოავლინა ცხრა საუკეთესო პროექტი. გამარჯვებული პროექტების კრებსითმა ბიუჯეტმა შეადგინა 500 000 აშშ დოლარი. პროექტები განხორციელდა 4-11 თვის განმავლობაში.

ECI ახორციელებს აგრეთვე სასტიპენდიო პროგრამებს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში უკვე დასაქმებულ ან ამ სექტორში დასაქმებით დაინტერესებულ პირთა ცოდნის გაუმჯობესების მიზნით. ECI პროექტის ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი გულისხმობს პროფესიონალთა განათლებასა და თრეინინგს. პროექტი ხელს უწყობს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში დასაქმებულ პირებს, რომ მათ ECI სტიპენდიების მოპოვების გზით აიმაღლონ კვალიფიკაცია. პერიოდულად მიმდინარე პროექტებიდან ყურადღებას იპყრობს აკადემიურ სექტორში განხორციელებული ღონისძიებები. 2009 წელს ენერგეტიკის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის თაოსნობით 18-29 აპრილსა და 4-5 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარები ენერგეტიკის განხრით მომუშავე საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორ მასწავლებლებისა და ენერგეტიკის დარგის სპეციალისტებისათვის. ლექცია თემაზე: „პრობლემათა გადაწყვეტისა და გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები“ წაიკითხა ECI პროექტის წამყვანმა ექსპერტმა და მეტროპოლიტენის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორმა ჰამიიდ ნეჟადმა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მის მიერ შემუშავებული პროგრამული საშუალებების პრაქტიკულ გამოყენაბაზე. აღნიშნული სემინარის მიზანი იყო ერთის მხრივ, დახმარებოდა საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებს პრობლემათა მოგვარებისა და გადაწყვეტილებათა მიღების საკითხებზე სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაში და მეორეს მხრივ, ენერგეტიკის დარგში მომუშავე ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში გადაწყვეტილების მიღების საკითხებზე. სემინარები ჩატარდა ცალ-ცალკე პროფესორ მასწავლებლებისათვის და ენერგეტიკის დარგის სპეციალისტებისათვის. მასში მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა პროფესორ-მასწავლებელმა და ხელმძღვანელმა პირმა. ამოცანად დაისახა სამაგისტრო პროგრამების შექმნა ენერგო მენეჯმენტში. ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების (ECI) პროექტის უმაღლესი სასწავლებლების საგრანტო პროგრამის ფარგლებში ოთხ უნივერსიტეტს გადაეცა გრანტები ენერგეტიკის დარგში სამაგისტრო პროგრამების შესაქმნელად. სამმა უნივერსიტეტმა უკვე განსაზღვრა სამაგისტრო პროგრამების/მოდულების დაწყების ვადები, ერთ უნივერსიტეტში კი სწავლების პროცესი უკვე დაიწყო. ყველა უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და მასალებით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოდგენილ პროექტში განისაზღვრა მიზნები სამაგისტრო პროგრამის მომზადება „ელექტროენერგეტიკის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტში“ და იგი მოიცავს საქართველოს ენერგეტიკული სექტორისათვის შესაბამისი მენეჯერული და პროფესიული ცოდნის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. ახალი სამაგისტრო პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტუდენტებისათვის საქართველოს მოქმედ ენერგო კომპანიებში სტაჟირებას, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პროგრამის „კონცენტრაცია ენერგო ეკონომიკაში“ მიზანია კვალიფიციური ეკონომისტების მომზადება საქართველოსა და კავკასიის რეგიონების ენერგეტიკული დარგებისათვის. პროექტი იმედოვნებს საერთაშორისო დონის აკადემიური და ენერგეტიკული პოლიტიკის ანალიზის პრაქტიკის დანერგვას და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ დისკუსიებს ენერგეტიკის პოლიტიკაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და გარემოს დაცვის საკითხებზე. პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია აგრეთვე კვლევები ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოსდაცვის მიმართულებით. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი პროგრამის „კონცენტრაცია ენერგო მენეჯმენტში“ მიზნად ისახავს სტუდენტს გააცნოს ენერგეტიკის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები სწავლების საერთაშორისო მეთოდების გამოყენების გზით.

ECI-ს საგრანტო პროგრამას ბევრი უნივერსიტეტი გამოეხმაურა. წარმოდგენილი საგრანტო წინადადებების შეფასების საფუძველზე, ECI-ის საგრანტო პროგრამამ გრანტი მიანიჭა ოთხ უნივერსიტეტს: 1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „კონცენტრაცია ენერგიის მოხმარების მენეჯმენტში“. 2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა „კონცენტრაცია ენერგო ეკონომიკაში“. 3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სამაგისტრო პროგრამა „ელექტროენერგეტიკის ტექნოლოგია და მენეჯმენტი“. 4. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი „კონცენტრაცია ენერგო მენეჯმენტში“. გრანტების ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 341,000 აშშ დოლარს. ყველა უნივერსიტეტი შეუდგა საქმიანობას მათი სამუშაო გეგმის მიხედვით, ECI კი, თავის მხრივ, განაგრძობს საგრანტო პროექტების საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი საკვლევი თემა მიზნად ისახავს საქართველოში ენერგომენეჯმენტის დისციპლინის ჩამოყალიბების წინა პირობების გაშუქებას, ანალიზს, აქტუალურობას, მნიშვნელობის მოკლე ანალიზს და განვითარების აუცილებლობას.

ლიტერატურა:

1. ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება – (2005) – (612.39) – გიორგი თავაძე, დემურ ჩომახიძე;
2. საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია – (2004) – (621.39) – დ. მირცხულავა, დ. ჩომახიძე, პ. ცინცაძე;
3. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება (სოციალურ- ეკონომიკური ასპექტები) – (2003) – (621.39) – დემურ ჩომახიძე;
4. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები – (2002) – (621.39) – დემურ ჩომახიძე;
5. ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები. წიგნი 1 – (2000) – (621.39) – ელიზბარ ერისთავი, დემურ ჩომახიძე, პაატა ცინცაძე;

ინტერნეტ რესურსები:

www.gbc.ge
www.minenergy.gov.ge
www.eurasianet.org
www.stratfor.com
www.energyefficiencynews.com
www.mongabay.com
www.upi.com
www.henryjacksonsociety.org
www.carnegieendowment.org

რეზიუმე

საკვლევ თემაში: - „AEAI და ECI-ს როლი საქართველოში ენერგო მენეჯმენტის სასწავლო საგნის წინაპირობების შექმნაში“, წარმოდგენილია სასწავლო დისციპლინის ენერგო მენეჯმენტის საფუძვლების ჩამოყალიბების წინაპირობების მოკლე ანალიზი. ენერგეტიკის როლისა და ფუნქციონალური თვისობრიობიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ ეკონომიკის ვერცერთი დარგი და ზოგადად ნებისმიერი ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობები ვერ იქნება უზრუნველყოფილი ენერგორესურსების გარეშე, რის გამოც მსოფლიოში გაცხოველებულია ენერგო პოლიტიკის საკითხების ირგვლივ მსჯელობა. საქართველოში ამ მიმართულებით არსებობს წანამძღვრები და სამეცნიერო კვლევები, მაგრამ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის და ეკონომიკური გლობალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ენერგეტიკის ეკონომიკის შესწავლის საკითხებს უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ბოლო პერიოდის ტენდენციებიდან გამომდინარე, საქართველოში მკაფიოდ იკვეთება საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი დისციპლინის წინა პირობების შექმნის საქმეში, ასევე აკადემიური სფეროს დაინტერესება და შრომა თანამედროვე ენერგომენეჯმენტის საფუძვლების დისციპლინის წინაპირობების შექმნისა და შემდგომი განვითარებისათვის. წარმოდგენილი საკვლევი თემა მოიცავს საქართველოში ენერგომენეჯმენტის დისციპლინის ჩამოყალიბების წინაპირობების გაშუქებას, ანალიზს, აქტუალურობას, მნიშვნელობის მოკლე ანალიზს და განვითარების აუცილებლობას.

ABOUT THE ROLE OF THE AEAL AND ECI IN THE CREATION OF THE PRECONDITIONS FOR A TRAINING COURSE IN "ENERGY MANAGEMENT" IN GEORGIA

Gela Shakarashvili, Full Professor

RESUME

The reshearc work – "About the role of the AEAL and ECI in the Creation of the Preconditions for a Training Course In "Energy Management" in Georgia presents a brief analysis of creating preconditions of the academic subject in the principles of energy management. It's clear that without energy the whole industry and the economy as a whole cannot function, neither human conditions can be achived without energy, therefore, the discussion around the energy policy is actual in the world. In Georgia in this direction there are several scientific researches, but for the requirements of the modern market economy and viewed from the requirements of economic globalization, more attention should be paid to the study of energy economics and the energy policy of the world. Recent trends show that in Georgia the international governmental and non-governmental organizations play an important role in creating preconditions for the development of the subject, as well as in its further development and creating and developing the principles of modern energy management.

უიმედო და საეჭვო მოთხოვნების როლი ბიზნესში

ხალიანა ჩიტაძე, ასოცირებული პროფესორი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ საქართველოში აუცილებელი გახადა აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის ძირეული გარდაქმნა ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილების და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. საბაზრო ეკონიმიკის პირობებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ბუღალტრული აღრიცხვის როლი და პრინციპები, ფაქტობრივად ბიზნესის წარმატებით წარმართვისათვის საჭირო გახდა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ისეთი სისტემით, რომელიც დააკმაყოფილებს ბიზნესის გაფართოებულ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მოთხოვნებს.

საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლამ ხელი შეუწყო მეწარმეთა ინტერესების დაცვას, რომელიც დაფუძნებულია ჩვენს ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ აქტებზე.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოებულმა ბუღალტრულმა აღრიცხვამ ხელი შეუწყო საწარმოების დამოუკიდებელი აღრიცხვის მეთოდებისა და ფორმების ჩამოყალიბებას, ასევე სააღრიცხვო ინფორმაციის უტყუარობისადმი პასუხისმგებლობას, კიდევ მეტად გაიზარდა ფინანსური ანგარიშგების როლი და მისი მნიშვნელობა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ბიზნესში სხვადასხვა სახით ურთიერთობების ჩამოყალიბებას, გარიგებებსა და კონტრაქტების დადებას.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებმა განსაზღვრა ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი დაშვებები. ეს დაშვებებია დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია დარიცხვის მეთოდი, რომლის თანახმადაც სამეურნეო ოპერაციების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და ამდენად არ უნდა ველოდეთ ფულის მიღებას და გადახდას. დარიცხვით მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს გააცნობს მომავალი პერიოდის მოთხოვნებს, რამდენადაც საწარმოს მოთხოვნები წარმოიშობა პროდუქციის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების, მომწოდებლისათვის გადახდილი ავანსების, გამცემი სესხების მომუშავეებზე კრედიტით გაყიდული საქონლის და სხვა გარემოებათა გამო. ბიზნესის სწორად წარმართვისათვის, როდესაც ხდება საქონლის ან მომსახურების კრედიტით გაყიდვა, აუცილებლად უნდა აღიარებულ იქნეს დებიტორულ დავალიანებად, რაც ნიშნავს გადახდის გადავადებას ანუ კრედიტის მოთხოვნას, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, მაგრამ ხშირად როდესაც საწარმო, რომელიც ახორციელებს საქონლის ან მომსახურების გაყიდვას კრედიტით, ყოველთვის ცდილობს შეისწავლოს კლიენტთა ფინანსური მდგომარეობა, რადგანაც არ აღმოჩნდეს შემდგომში კრედიტის გადაუხდელობის საშიშროების წინაშე.

კრედიტის დაფარვის მიხედვით დებიტორული დავალიანება შეიძლება დავყოთ მოთხოვნებად, რომლებიც საერთოდ აღარ იქნება განაღდებული და უიმედო დავალიანება უწოდოთ, ხოლო ვალი, რომლის დაფარვა საეჭვო ხდება, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მისი დაფარვის შესაძლებლობა, მიეკუთვნება საეჭვო დავალიანებას.

უიმედო ვალი ისეთი დავალიანებაა, რომლის დაფარვის შესაძლებლობა აღარ არსებობს. ამგვარი ვალები ბალანსიდან უნდა ჩამოიწეროს, თუ მყიდველი საწარმო გაკოტრებულად გამოცხადდა, განიცადა ლიკვიდაცია, სასარჩელო ვადა გავიდა და სასამართლოს წესით თანხების ამოღება დაგვიანდა, სტიქიური უბედურების ან წყალდიდობის, ხანძრის შედეგად დებიტორის ქონება განადგურდა და ა.შ.

უიმედო მოთხოვნები საწარმომ შესაბამისობისა და საიმედობის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა გააუქმოს და ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა ასახოს, აღნიშნული თანხა ხარჯად აღიარდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შეამცირებს ეკონომიკურ სარგებელს.

ბიზნესი რისკის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ საქონლის და მომსახურების კრედიტით რეალიზაციისას დიდ რისკთან გვაქვს საქმე: საწარმოს მრავალი მყიდველი ჰყავს. უიმედო მოთხოვნები უჩნდებათ თითქმის ყველა საწარმოს. თითოეულის მიხედვით მოთხოვნის კორექტირება მეტად რთულია და სააღრიცხვო პრაქტიკაში საეჭვო ვალების ოდენობის დადგენა საერთო პროცენტის გამოყენებით ხდება.

ბიზნესში უიმედო და საეჭვო მოთხოვნების ხარჯის შეფასება აუცილებელია და ამისათვის ორ მეთოდს იყენებენ:

1) დაშვების მეთოდი, ანუ ანალიზის, რომელიც ეყრდნობა მოთხოვნების დათვლას, რის საფუძველზეც ხდება გაანალიზება თითოეული დებიტორის დაფარვის რა შესაძლებლობები არსებობს და რა თანხის დებიტორული დავალიანებები შეიძლება იქნეს მიჩნეული საეჭვოდ.

2) რეალიზაციის მეთოდი გულისხმობს მიახლოებით განისაზღვროს რეალიზაციის მთლიან მოცულობაში საეჭვო მოთხოვნების პროცენტული შემადგენლობა. პირველ რიგში გაანგარიშება ხდება წმინდა რეალიზაციის მიხედვით ე.ი. მთლიან შემოსავლებს ანუ რეალიზაციას აკლდება საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა და წმინდა შემოსავლის დარჩენილი თანდიდან იანგარიშება %.

პრაქტიკაში რომელ მეთოდს გამოიყენებს, გაანგარიშების საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს საწარმოს ხელმძღვანელი. მეწარმემ ყოველთვის თავის დაზღვევის მიზნით უნდა შექმნას რეზერვი. რეზერვის შექმნა ნიშნავს საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას. ბუღალტრულად ეს გატარდება შემდეგნაირად:

დებეტი - 7460 - „საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები“
კრედიტი - 1415 – „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ამოუღებადი დებიტორული დავალიანების ჩამოწერა უნდა მოხდეს საკრედიტო მენეჯერის ან სხვა უფლებამოსილი პირის წერილობითი ინსტრუქციების გაცემის შემდეგ. ჩამოწერაზე შედგება ბუღალტურლი გატარება:

დებეტი - 1415 – „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“
კრედიტი - 1410 – „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“

ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება შეიძლება მოგვიანებით დაიფაროს. ამ შემთხვევაში, ჯერ ჩამოწერის გატარების საწინააღმდეგო გატარებაა საჭირო ძველი დებიტორის აღსადგენად.

დებეტი - 1410 – „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“
კრედიტი - 1415 – „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“

ამის შემდეგ უნდა მოხდეს გადახდის გატარება:

დებეტი - 1210 – „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
კრედიტი - 1410 – „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“

ბიზნესში უიმედო და საეჭვო ვალების აღრიცხვისას გასათვალისწინებელია საგადასახადო თავისებურებანი, რამდენადაც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს დასაბეგრი ერთობლივი შემოსავლებიდან გამოიქვითოს მხოლოდ ისეთი საეჭვო ვალები, რომელთა მიხედვითაც შემოსავლები ადრე შეტანილი იყო ერთობლივ შემოსავლებში.

ლიტერატურა:

1. საგადასახადო კოდექსი, თბ., 2009.
2. ი. მესხია, დ. მაღლაკელიძე, ნ. ვაშაკიძე - „ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით“, თბ., 2001.
3. ლ. გრიგალაშვილი - „აღრიცხვა და გადასახადები“, თბ., 2007.
4. ე. კუპრეიშვილი - „ბუღალტრული აღრიცხვის კურსი“, თბ., 2005.

რეზიუმე

ნაშრომში ავტორი ხ. ჩიტაძე „უიმედო და საეჭვო მოთხოვნების როლი ბიზნესში“ განიხილავს საწარმოს საქმიანობის პროცესში უიმედო და საეჭვო მოთხოვნების აუცილებლობას საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ საქართველოში აუცილებელი გახადა აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის ძირეული გარდაქმნა ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ბუღალტრული აღრიცხვის როლი და პრინციპები, ფაქტობრივად ბიზნესის წარმატებით წარმართვისათვის საჭირო გახდა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ისეთი სისტემით, რომელიც დააკმაყოფილებს ბიზნესის გაფართოებულ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მოთხოვნებს.

ავტორი ხ. ჩიტაძე ასაბუთებს: საწარმო, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით სავაჭრო დებიტორული დავალიანების შემთხვევაში საწარმომ უნდა გაითვალისწინოს დებიტორული დავალიანების

ამოუღებადობა და ამისათვის უნდა შექმნას რეზერვი. რეზერვის შექმნა აუცილებელია საწარმოსათვის და ორ მიზანს ემსახურება: 1) ამოუღებადი დებიტორული დავალიანება ხარჯად აღირიცხება იმავე საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც აღირიცხება პროდუქციის რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანება და 2) დებიტორული დავალიანება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აღინიშნება ამ დავალიანების სუფთა სარეალიზაციო ღირებულებით, ანუ იმ თანხით, რომლის ამოღებაც საწარმოს რეალურად შეუძლია.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ამოუღებადი დებიტორული დავალიანების გამოთვლის ორ მეთოდზე: 1) ანალიზის საფუძველზე სიძველის მიხედვით დაჯგუფებულ დებიტორულ დავალიანებათა პროცენტულად გათვლის მეთოდზე; 2) რეალიზაციის მოუცლობიდან პროცენტული გათვლის მეთოდზე. ავტორი ასაბუთებს როგორი მეთოდიც არ უნდა იქნეს გამოყენებული, მეწარმემ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე ფინანსური შედეგების ფორმირებისას. პირველი მეთოდი ეყრდნობა მოთხოვნების დათვლას, რის საფუძველზეც ხდება გაანალიზება თითოეული დებიტორის დაფარვის რა შესაძლებლობები არსებობს და რა თანხის დებიტორული დავალიანებები შეიძლება იქნეს მიჩნეული საეჭვოდ. მეორე მეთოდი გულისხმობს მიახლოებით განისაზღვროს რეალიზაციის მთლიან მოცულობაში საეჭვო მოთხოვნების პროცენტული შემადგენლობა.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ამოუღებადი დავალიანების ჩამოწერაზე საკრედიტო მენეჯერის ან სხვა უფლებამოსილი პირის წერილობითი ინსტრუქციების გაცემის შემდეგ. ბუღალტრული ჩანაწერებით დაფიქსირებულია აღნიშნული ჩამოწერა და ასევე ჩამოწერილი დებიტორული დავალიანების აღდგენა, დაფარვა.

ავტორი ხ. ჩიტაძე მიანიშნებს, რომ ორივე მეთოდით გამოანგარიშებული ამოუღებადი დებიტორული დავალიანების რეზერვის მიზანია ამოუღებადი დებიტორული დავალიანება ხარჯად აღირიცხოს და შეასწოროს დებიტორული დავალიანება.

ავტორი დასკვნის სახით ასაბუთებს საქონლისა და მომსახურების კრედიტით რეალიზაციის აუცილებლობასა და ბიზნესში განსახორციელებელ რისკზე.

THE ROLE OF IMPAIRED AND BAD RECEIVABLES IN BUSINESS

Khaliana Chitadze, Associate Professor

RESUME

In her work „The role of impaired and bad receivable in business“, the author Kh. Chitadze discusses the necessity of impaired and doubtful demands in the work of an enterprise, especially in the conditions of market economy.

In Georgia the movement to the market economy has made the system of calculation and accounts be changed fundamentally. It is taking place in accordance with the current changes in economy and its international standards. In the terms of market economy there has considerably changed the role and principles of financial accounting. In fact, in order to deal with business successfully it has become important to manage financial accounting with the system which will satisfy the demands of international economic relations in business.

The author Kh. Chitadze proves that the enterprise which prepares financial accounts according to the international standards of accounting calculation, in case of trading debit liabilities. it has to take into consideration that it may not receive the debt. Consequently it has to create a reserve.

In the work there is also paid attention to the two methods of calculation of bad debit liabilities: 1) The method which includes pecentage account of debit liabilities according to the basic analysis. 2) The percentage account from the realization volume. The author Kh. Chitadze marks that by both methods the aim of calculated bad debit liabilities reserve is to register debit liabilities as an expenditure and to correct debit liability.

In conclusion the author proves the necessity of realization of goods and service by credit and existing risk in business.

სახელმწიფოსა და მცირე ბიზნესის ურთიერთკავშირი საქართველოში

ხალიანა ჩიტაძე, *ასოცირებული პროფესორი*

თანამედროვე ცივილიზებულ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეისათვის ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. რამდენადაც ჩვენი ქვეყანა საქართველოც დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას, ბიზნესი გახდა მისი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული სფერო საქართველოში უკვე ბევრი მოქალაქისათვის ითვლება სამუშაოს ძირითად სახეობად ან მეორადი დასაქმების ფორმად, რომელიც განსაკუთრებით იზიდავს ახალგაზრდა თაობას. ყოველივე ამას ხელი შეუწყო განვლილ ეტაპზე ქვეყანაში განხორციელებულმა ეკონომიკურმა გარდაქმნებმა, რის საფუძველზეც გარდაიქმნა საზოგადოების ცნობიერება, რომელიც განაწილების გეგმურ პრინციპებზე იყო დაფუძნებული, შეიცვალა საკუთრების ფორმებიც.

მცირე ბიზნესის განვითარების საფუძველზე ყალიბდება საზოგადოების ე.წ. „საშუალო ფენა“, რომელიც არამარტო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი, არამედ მისი სრულყოფისა და განვითარების შემოქმედებითი და მობილური ნაწილია. მეტად აქტუალურია მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის სისტემის – საგადასახადო, საკრედიტო, საინვესტიციო და სადაზღვევო ბერკეტების გამოყენების გაანალიზება, ასევე მეწარმეობის სხვა ქვეყნების გამოცდილების საფუძვლიანი შესწავლა, რაც წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული.

მსოფლიოში მძლავრი სახელმწიფოების ეკონომიკის განვითარებაში მცირე ბიზნესი და მეწარმეობა გვევლინება ძირითად მამოძრავებელ ბერკეტად ქვეყნის განვითარების საქმეში. მცირე ბიზნესის სფეროში იქმნება ერთობლივი პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ სფეროში მზადდება, როგორც საექსპორტოდ ასევე ქვეყნის შიგნით მოსახმარი საწარმოო დანიშნულების, ისე ფართო მოხმარების სხვადასხვა სახის პროდუქცია. მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმებას. მაგლითად, საზღვარგარეთის განვითარებულ მთელ რიგ ქვეყნებში, როგორებიცაა: აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ. მცირე ბიზნესის განვითარება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ამ ქვეყნებში დასაქმებულია 50–70%–ის ფარგლებში შრომიისუნარიანი მოსახლეობა. ასევე ევროპის ქვეყნებში,როგორებიცაა: გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ბელგია და ა.შ. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი 40–70%–ის ფარგლებში მერყეობს.

ჩვენი ქვეყანა – საქართველო თავისი ფართობის სიმცირის მიხედვით შეიძლება არ უნდა შევადაროთ ასეთ დიდ და მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, მაგრამ სწორედ საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ხელსაყრელ პირობას ქმნის მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალი და კიდევ არსებობს მრავალი შესაძლებლობა და მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარდეს და დაიხვეწოს ბიზნესის ეს სახეობა.

როდესაც ვსაუბრობთ ბიზნესის ხელის შეწყობაზე, აქ აუცილებლად ძირითად და პირველ ფაქტორად უნდა ვიგულისხმოთ საკითხის განხილვა ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს როლისა და ადგილის თაობაზე. მცირე ბიზნესის, ისევე როგორც მთელი ბიზნესის ისტორია გამოცდილება და თანამედროვე მდგომარეობა ნათლად ადასტურებს, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი სფერო წარმატებით ვერ იფუნქციონირებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური რეგულირების და მხარდაჭერის გარეშე . მცირე ბიზნესის განვითარება,როგორც საერთო და სახელმწიფო ,ისე რეგიონულ დონეზე განსაკუთრებით მოითხოვს საწელმწიფო და საბაზრო მექანიზმებით რეგულირების გადაწყვეტას, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას და ა.შ.აღნიშნული საკითხი მეტად აქტუალურია. თუ ზოგიერთი მეცნიერი და ექსპერტი თვლის, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქტიურ საფინანსო პოლიტიკას შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკური წონასწორობა და გადალახოს მასობრივი უმუშევრობის პრობლემა,ზოგიერთი მეცნიერი და ექსპერტი კი თვლის,ეს მთლად ასეც არ არის. ბიზნესში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია მრავალი მიზეზითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, ესაა ისეთი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა, რომლებიც მოითხოვენ კოლექტიურ ძალისხმევას და შეუძლებელია მათი რეალიზება მხოლოდ საბაზრო მექანიზმის მეშვეობით.

ნამდვილად არ არსებობს დასაბუთებული მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორია ზოგადად სახელმწიფოს ჩარევა ცუდია და ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას, ან პირიქით. მაგრამ აუცილებელია ითქვას, რომ ყველა ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო არეგულირებს ბიზნესს და საერთოდ ეკონომიკას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება შესაბამისი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება და ფორმირება.

საქართველოში დღესდღეობით ერთ–ერთ აქტუალურ საკითხად მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და გააქტიურება დგას. სწორედ სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ხასიათის განმსაზღვრელი არის საგადასახადო სისტემა, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტიმულირების საქმეში. ბოლო ათეული წლების ეკონომიკური მაჩვენებელების ანალიზი ცხადყოფდა ,რომ საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს არაეფექტური საგადასახადო სისტემა წარმოადგენდა. არსებული საგადასახადო კოდექსი ეკონომიკურ საქმიანობას სერიოზულ ბარიერებს უქმნიდა. ვითარება თანდათან რთულდებოდა იმ გარემოებებითაც, რომ არსებული საგადასახადო კოდექსის გასაუმჯობესებლად მასში პერიოდულად შედიოდა ცვლილებები, რაც კიდევ უფრო ართულებდა ქვეყანაში არსებულ საგადასახადო პოლიტიკას. ყოველივე ეს ცვლილებები მნიშვნელოვნად აუარესებდა საინვესტიციო გარემოს, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ინვესტორისათვის გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებების შედეგად მისაღები ეფექტის გათვლას. აღნიშნული აგრეთვე ართულებდა უკვე მოქმედი ბიზნესის მართვას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გაანალიზება ცხადყოფდა, რომ საგადასახადო კანონმდებლობა აგებული იყო არა საგადასახადო პოლიტიკის ერთიანი ჩამოყალიბებული სტრატეგიის შესაბამისად, არამედ კონკრეტული ბიზნესისა თუ პირის ინტერესებიდან გამომდინარე. ყოველთვის იყო ყურადღება გამახვილებული მასზედ, რომ იგი საჭიროებდა რადიკალურ ტრანსფორმაციას და სრულყოფას.

2005 წლის იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელსაც საზოგადოება დიდი ხანია ელოდა. ელოდა იმ იმედით, რომ შემსუბუქდებოდა საგადასახადო ტვირთი გამარტივდებოდა საგადასახადო ანგარიშგება, პარტნიორული და თანასწორუფლებიანი გახდებოდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელს შორის, მოწესრიგდებოდა საგადასახადო კონტროლის სისტემა, გასაგები და არაორაზროვანი გახდებოდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და გადასახადის გადამხდელს შორის. აღნიშნული იმედები და საზოგადოების მოლოდინი მეტ–ნაკლებად აისახა და გათვალისწინებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ოფიციალურ ტექსტში. მაგრამ ახლად დამტკიცებულ საგადასახადო კოდექსში ბევრი საკითხი კვლავ არ შეესაბამებოდა არც მეწარმეების და არც საზოგადოების ინტერესებს. განვლილი წლების მანძილზე კვლავ გძელდებოდა აღნიშნულ საგადასახადო კოდექსში ცვლილებები.

კრიზისმა და აგვისტოს მოვლენებმა განაპირობა მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დაცემა, რაც მნიშვნელოვნად აისახა მცირე ბიზნესზე. კლიენტების სიმცირის გამო დაიხურა ბევრი სავაჭრო ობიექტი. ამას გამოთავისუფლებული კომერციული ფართებიც მოწმობდა. შეამცირეს მომსახურე პერსონალი.

რამდენადაც მომავალში ქვეყანა კვლავ განაგრძობს ქვეყნის აღმშენებლობას 2010 წელში განხორციელდა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის დამუშავება და განხილვა საქართველოს პარლამენტში. პროექტის განხილვას მოჰყვა აზრთა სხვადასხვაობა. გამოითქვა უამრავი შენიშვნა, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ოფიციალურ ტექსტში.

2011 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი. იმედია აღნიშნული საგადასახადო კოდექსი ხელს შეუწყობს ისეთი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მასტიმულირებელ ფუნქციას შეასრულებს მეწარმეობის განვითარებისათვის.

ლიტერატურა:

1. გ. ერქომაიშვილი, მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში: მდგომარეობა პერსპექტივები – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილს სახელმწიფო უნივერსიტეტი ,სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2009 წ.
2. ლ. რუსიშვილი, ხ. ჩიტაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსი – ქვეყნის ხელსაყრელი განვითარების შესაძლებლობა, ჟურნალი „ეკონომიკა“, №5–6, 2005 წ.
3. საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2011 წ.
4. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაცია www statistics.ge

რეზიუმე

თანამედროვე ცივილიზებულ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეისათვის ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. რამდენადაც ჩვენი ქვეყანა საქართველოც დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას, ბიზნესი გახდა მისი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. საქართველოსა და რუსეთს შორის ომმა დიდი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკურ სიტუაციაზე. განსაკუთრებით ეს შეეხო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. შემოსავლების შემცირებამ გამოიწვია ოთხმოცი პროცენტით მცირე საწარმოების მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა. საწარმოების ნაწილმა ვერ გაუძლო საფინანსო კრიზისს და ვერ შეძლო საქმიანობის გაგრძელება,ნაწილმა დროებით შეაჩერა საქმიანობა.

როდესაც ვსაუბრობთ ბიზნესის ხელის შეწყობაზე, აქ აუცილებლად ძირითად და პირველ ფაქტორად უნდა ვიგულისხმოდ საკითხის განხილვა ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს როლისა და ადგილის თაობაზე. მცირე ბიზნესის, ისევე როგორც მთელი ბიზნესის ისტორია გამოცდილება და თანამედროვე მდგომარეობა ნათლად ადასტურებს, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი სფერო წარმატებით ვერ იფუნქციონირებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური რეგულირების და მხარდაჭერის გარეშე. მცირე ბიზნესის განვითარება, როგორც საერთო და სახელმწიფო, ისე რეგიონულ დონეზე განსაკუთრებით მოითხოვს საწელმწიფო და საბაზრო მექანიზმებით რეგულირების გადაწყვეტას, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას და ა.შ.

დღეს ბიზნესს სჭირდება დახმარება და მხარში ამოდგომა მთავრობის მხრიდან. ამ მიზნით შემუშავდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს საგადასახადო სისტემის უკეთ ამუშავებას. 2011 წლის 1 იანვრიდან საქართველოში უკვე ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი. იმედია აღნიშნული საგადასახადო კოდექსი ხელს შეუწყობს ისეთი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მასტიმულირებელ ფუნქციას შეასრულებს მეწარმეობის განვითარებისათვის.

GOVERNMENT AND SMALL BUSINEESS RELATIONSHIP IN GEORGIA

Khaliana Chitadze, Associate Professor

RESUME

The development of small busineess makes the great influence in the development of the country. The war between Russia and Georgia has affected Georgian economic situation badly. Espiecially small and medium business enviroment.Because of decreasing income,about eightg percent of Georgian companies are in a very bad situation. For example constuctang business, tourizm and banking system. Halft of the companies went bancrofted, others temporarily stopped theiar activities. Incomes of foreign investment has been decreased. Today Georgian business needs to be helped and supported by the government. Busineess development is directly depended on the environment,where busineess exists.Georgian busineess environment is littele better after the war.It's proved by researches of international organizations,too.

Today Georgian busineess needs to be helped and supported by the government. A neu tax code has begun since 2010 Jenuary, which will help to support a neu tax sistem.This sistem will help to develop the employers situation in our country.

ახალი, სანდო, მარტივი საგადასახადო სისტემის საკითხები

დავით ჭიოტაშვილი, სრული პროფესორი

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო სფეროში ბევრი ძირეული ცვლილება განხორციელდა ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ამ სფერომ ბოლომდე მაინც ვერ უზრუნველყო ის კარდინალური შემობრუნება, რასაც მოქნილი, გადამხდელზე ორიენტირებული და მათი კანონიერი ინტერესების დამცველი სერვისების შეთავაზება ჰქვია.

საგადასახადო კანონმდებლობისა და საგადასახადო სისტემის დახვეწა დღესაც მიმდინარეობს და ამ სფეროში სერიოზული ძვრები შეინიშნება. მოქნილი და არსებულ პირობებზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკა, ქვეყნის წინსვლისა და წარმატების მთავარი პირობა უნდა გახდეს. სწორედ ამის დასტურია 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია: საგადასახადო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლება, სტაბილური საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბება, ბიზნესის ლეგალიზაციის ხელშეწყობა, ბუნდოვანებების აღმოფხვრა კანონმდებლობაში, ადმინისტრირების გამარტივება, კანონმდებლობის საუკეთესო საერთაშორისო ანალოგებთან შესაბამისობაში მოყვანა. იგი ითვალისწინებს ისეთ ძირითად მახასიათებლებს, როგორიცაა: სიმარტივე, სანდოობა, სამართლიანობა და საჯაროობა.

მარტივი, ნათელი და არაორაზროვანი საგადასახადო კანონმდებლობა წარმოადგენს გადამხდელის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის გარანტსა და გადამხდელზე დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულების აუცილებელ წინაპირობას. გადამხდელისათვის მაქსიმალური კომფორტის უზრუნველსაყოფად დაინერგა და ამოქმედდა მრავალმხრივი ელექტრონული სერვისები. თანამედროვე და განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობა გადამწყვეტია გადამხდელზე ორიენტირებული სერვისების შეთავაზების, გადამხდელისათვის მაქსიმალური კომფორტის უზრუნველყოფისთვის.

საჯაროობა, ტრანსპარენტულობა, მოსახლეობისა და ბიზნესის ცნობიერების ამაღლება საგადასახადო სისტემის გამართული ფუქნციონირების წარმმართველია. ის აუცილებელი წინაპირობაა სამართლიანი, მარტივი და სანდო სისტემის შესაქმნელად. სექტორული შემოწმებების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა საზოგადოების დროული და სრულყოფილი ინფორმირება სხვადასხვა ბიზნეს-სექტორის შემოწმების შედეგების თაობაზე. საჯარო გადაწყვეტილება უზრუნველყოფს კანონმდებლობის ერთგვაროვან განმარტებასა და გაგებას, ასევე განსხვავებული სანქციის ან დაბეგვრის გამოყენების პრინციპის ჩამოყალიბებას.

საქართველოს მთავრობა ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებას ახალ ეკონომიკურ კურსს უწოდებს და მასზე დიდ იმედებს ამყარებს. ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებში აქცენტი კეთდება გადასახადის გადამხდელთა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ახლებური ურთიერთობის პრინციპებზე. იცვლება ძველი მიდგომა გადასახადის გადამხდელების მიმართ, როდესაც საგადასახადო სტურუქტურები დაინტერესებულნი იყვნენ უფრო მეტი თანხის ამოღების მიზნით მეწარმისთვის სხვადასხვა ჯარიმა დაეწესებინათ. ამის შესახებ არაერთხელ ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტმაც:

„ჯერაც ბევრი ხარვეზია დარჩენილი. თქვენ ყოველდღიურად გაქვთ შეხება მათთან და ჩემზე უკეთ იცით, რომ ჯერაც ძალიან ბევრ მეწარმეს აქვს განცდა, რომ სახელმწიფო მას სათანადოდ არ უსმენს და უსამართლოდ ექცევა; ჯერაც ხშირია შემთხვევა, როდესაც სასჯელი უფრო დიდია, ვიდრე ამას არსებული დარღვევა იმსახურებს. მეწარმეებს ხშირად სამართლიანად უჩნდებათ განცდა, რომ სახელმწიფო არ აკეთებს საკმარისს იმისათვის, რომ ბიზნესგარემო კიდევ უფრო უკეთესი იყოს. მინდა ყველას ვთხოვო, თუ ახალ საგადასახადო კოდექსს რაიმე ხარვეზი ან პრობლემა ექნება, დაუკავშირდით ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურს, პრემიერ-მინისტრის აპარატს, სადაც არის ბიზნესომბუდსმენი და შევეცდებით, უახლოეს პერიოდში გამოვასწოროთ. ეს არის ჩვენი ახალი მიმართულება, ახალი კურსი, სადაც მინდა კერძო სექტორმა და შემოსავლების სამსახურმა, კერძო სექტორმა და ფინანსთა სამინისტრომ ძალიან ახლოს ითანამშრომლოს. იმედი გვაქვს, რომ ახალი კურსი შედეგს გამოიღებს და ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო მაღალი იქნება 2011 წელს, ვიდრე ეს პროგნოზირებული გვაქვს“.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომლის მიხედვითაც ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მეწარმესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ფორმების შეცვლასთან ერთად, ადგილს იმკვიდრებს

მიკრობიზნესის ცნება. მეწარმეობის ამ ფორმის დაბეგვრის პრინციპი საგადასახადო კოდექსის განხილვისას აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი იყო და მთავრობა კოდექსის ამოქმედების შემდეგ ცდილობს მასში მეტი სიცხადის შეტანას. მინისტრთა კაბინეტმა იმ საქმიანობების ნუსხა განსაზღვრა, რომლებსაც მიკრობიზნესის სტატუსი არ მიენიჭება და ჩვეულ რეჟიმში დაიბეგრება. მცირე ბიზნესისათვის გამარტივებული საგადასახადო რეგულირების შემოღება - დადგინდა საგადასახადო შეღავათები - ბრუნვის 3% ან 5%; გადამხდელი უფლებამოსილია აწარმოოს გამარტივებული ბუღალტერია.

ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს ისეთი მექანიზმების ამუშავებას, რომელიც შეამცირებს საგადასახადო ადმინისტრირების წნეხს მეწარმეზე; დარღვევის პატიებისა და წინასწარი გაფრთხილების მექანიზმის შემოღებას; ასევე საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის ამოქმედებას, რათა მეწარმე უფრო დაცულად გრძნობდეს თავს; დარიცხვის ისეთი მექანიზმის შემოღებას, რომ ბიზნესის შეცდომის გამო დარიცხულმა თანხამ საწარმოს გაჩერება და დანგრევა არ გამოიწვიოს; მაშინაც კი, თუ საწარმოს მფლობელი შეგნებულად არღვევს კონკრეტულ ნორმებს, საწარმო კი არ უნდა დაიხუროს, არამედ გადარჩეს და მუშაობა გააგრძელოს, რათა კონკრეტული ადამიანები არ დარჩნენ სამუშაოს გარეშე.

ეკონომიკის ექსპერტები დადებითად აფასებენ ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებას. საგადასახადო ომბუდსმენი - კიდევ ერთი ინსტიტუტი გადამხდელის ინტერესებისა და უფლებების წარმოდგენისა და დაცვისათვის, ასევე დარღვეული უფლებების აღდგენისათვის. მაგრამ, პრობლემა იმაშია, რომ საგადასახადო ომბუდსმენს შეიძლება გაუჭირდეს იმ მოზღვავებულ პრობლემებთან გამკლავება, რომლებიც ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად შეიძლება წარმოიშვას.

კოდექსის პრინციპები ძირეულად იცვლება და ეს, პირველ რიგში, ეხება მის გამარტივებას ბიზნესის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის კუთხით. ბიზნესს წინასწარ ეცოდინება, თუ როგორ და რანაირად დაიბეგრება. შემოდის გადამხდელის კეთილსინდისიერობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც კეთილსინდისიერ გადამხდელს შესაძლოა, სანქციები მოეხსნას თუ მან შეცდომა ჩაიდინა. მთლიანობაში კი, ძირეული ცვლილება ხისტი რეგულაციებიდან, სანდოობაზე და ბიზნესთან პარტნიორულ ურთიერთობაზე გადასვლას უკავშირდება.

ახალი კურსი ითვალისწინებს მეწარმეების მიმართ სახელმწიფოს მიდგომის შეცვლას, რასაც წვრილი თუ მსხვილი მეწარმეები დიდი ხანია უჩივიან, რადგან არცთუ იშვიათია შემოწმებების შედეგად დალუქული და დახურული ბიზნესი. ამის გამო არაერთხელ ეჭვქვეშაც კი დამდგარა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის წარმოების“ რეიტინგში საქართველოს მიერ მიღწეული შედეგები.

პრინციპი - GOOD FAITH – „პატიოსნება“ - თუ გადასახადის გადამხდელის ქმედება გამოწვეულია შეცდომით, ან უცოდინრობით და მიზნად არ ისახავდა გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას, გადამხდელი შესაძლებელია გათავისუფლდეს სანქციისაგან. პატიოსანი გადამხდელი - შემოსავლების სამსახური მოტივაციას უქმნის პატიოსან გადამხდელებს და ახალისებს სხვადასხვა დამატებითი მომსახურებით/შეღავათით, როგორიცაა მაგ. „ოქროს სია“. წინასწარი გადაწყვეტილება - გადამხდელს უფლება ენიჭება წინასწარ შეათანხმოს „თამაშის წესები“ და დაბეგვრის პირობები შემოსავლების სამსახურთან. პირადი საგადასახადო აგენტი - აგენტი იცავს გადამხდელის ინტერესებს შემოსავლების სამსახურში, უწევს მას კონსულტირებას და ეხმარება საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაში. გაფრთხილება დაჯარიმების ნაცვლად - სალარო აპარატის გამოუყენებლობის შემთხვევაში, ფულადი ჯარიმის ნაცვლად გადამხდელის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს გაფრთხილება.

ახალი საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისაა, რომ საანგარიშო პერიოდი ნაცვლად ყოველთვიური დეკლარირებისა, ეტაპობრივად ტრანსფორმირდება კვარტალურად, რაც სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორში განხორციელებული ინვესტიციის ტოლფასია. გადამხდელს მიენიჭა უფლება, მისთვის მოსახერხებელ პერიოდში შემოსავლების სამსახურისაგან მოითხოვოს გადასახადების კვარტალური დეკლარირება, დასაბეგრი ოპერაციების საგადასახადო შემოწმების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორულ ურთიერთობებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეფექტური და ხარისხიანი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, სისტემატიურად განხორციელდება საგადასახადო სამსახურებში დასაქმებული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის მიზანია ბიზნეს-ასოციაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება, კერძო ბიზნესის კანონიერი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, მათი სისტემატური ჩართულობის უზრუნველყოფა, განხილვებსა და

დისკუსიებში მონაწილეობის ხელშეწყობა, სამართლიანი ადმინისტრირება, რათა ბიზნესმენი საგადასახადო ადმინისტრირებაში არ ხედავდეს საკუთარი დანაზოგის დაბანდების რისკს და საგადასახადო ორგანო იყოს მისი პარტნიორი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური: „ახალი კურსი სამართლიანი მარტივი და სანდო საგადასახადო სისტემისათვის“, 2010 წლის დეკემბერი;
2. საქართველოს პრეზიდენტის მოხსენება, 2010 წლის დეკემბერი;
3. www.mof.ge

რეზიუმე

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო სფეროში ბევრი ძირეული ცვლილება განხორციელდა ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ამ სფერომ ბოლომდე მაინც ვერ უზრუნველყო ის კარდინალური შემობრუნება, რასაც მოქნილი, გადამხდელზე ორიენტირებული და მათი კანონიერი ინტერესების დამცველი სერვისების შეთავაზება ჰქვია.

საგადასახადო კანონმდებლობისა და საგადასახადო სისტემის დახვეწა დღესაც მიმდინარეობს და ამ სფეროში სერიოზული ძვრები შეინიშნება. მოქნილი და არსებულ პირობებზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკა, ქვეყნის წინსვლისა და წარმატების მთავარი პირობა უნდა გახდეს. სწორედ ამის დასტურია 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია: საგადასახადო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლება, სტაბილური საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბება, ბიზნესის ლეგალიზაციის ხელშეწყობა, ბუნდოვანებების აღმოფხვრა კანონმდებლობაში, ადმინისტრირების გამარტივება, კანონმდებლობის საუკეთესო საერთაშორისო ანალოგებთან შესაბამისობაში მოყვანა. იგი ითვალისწინებს ისეთ ძირითად მახასიათებლებს, როგორიცაა: სიმარტივე, სანდოობა, სამართლიანობა და საჯაროობა.

ISSUES OF THE NEW, RELIABLE, SIMPLE TAX SYSTEM

David Tchiotashvili, Full Professor

RESUME

Despite the fact that the tax in many fundamental changes in the last five years, until the end of this field is still not provided the fundamental U-turn, which is flexible, and focused on paying their legal services in protecting the rights offering is called.

Tax legislation and improving the tax system is still in progress and significant changes in the field is observed. Flexible and focused on the conditions political tax, the country's progress and success should be the main ones. This is why the proof of 2011 from January 1, entered into force a new tax code, the basic goals and objectives are: the tax system, the confidence of raising a stable tax environment, business legalization promote opacity elimination of legislation, administrative simplification legislation with best international analogue with conformity. It includes such key features, such as simplicity, reliability, fairness and the public.

ფულის მართვა და ფულის მოძრაობის პროგნოზირება

თეა ხორგუაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ფულის მოძრაობის პროგნოზირება და მისი შესრულება გადამწყვეტ როლს თამაშობს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში. შესაბამისად აუცილებელია შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგი, პრიორიტეტების ანალიზი და ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ჩართვა.

სამწუხაროდ, ცნობილი მოვლენების გამო (რუსეთ-საქართველოს ომი, გლობალური ფინანსური კრიზისი, არათანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკა) ვერ მოხერხდა ვერც 2008 და მით უფრო, ვერც 2009 წლის დაგეგმილი მაკროეკონომიკური პარამეტრების მიღწევა.

მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ 2009 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდებოდა გადაჭარბებულად ოპტიმისტური ეკონომიკური ზრდის მიღწევა, პროგნოზი ჯერ 4%-იან ეკონომიკურ ზრდამდე შემცირდა, შემდეგ 1%-იან ეკონომიკურ დაცემამდე, ხოლო 2010 წლის მონაცემებზე მუშაობისას მთავრობამ 2009 წელს 4%-იანი დაცემა აღიარა.

ეკონომიკური აქტივობის დაცემაზე მიუთითებს სხვადასხვა პარამეტრები, მაგალითად გაზრდილია უმუშევრობა; თუ საქართველოში 2008 წელს საშუალო ხელფასი 580 ლარი დაფიქსირდა, 2009 წლის პირველ კვარტალში იგი 531 ლარამდე შემცირდა, ხოლო მეორე კვარტალში 560 ლარი შეადგინა. დარგების მიხედვით დაახლოებით 20%-ით შემცირდა დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება სოფლის მეურნეობაში, რესტორნებსა და სასტუმროებში, 17%-ით დამამუშავებელ მრეწველობაში და 10%-ით ჯანდაცვაში.

ყველა ეს პარამეტრი თავის მხრივ ასახვას პოვებს ფულის მოძრაობის პროგნოზირებაში. ფულის მოძრაობის პროგნოზირება ეს არის:

- **დროული** ხარჯების დაფინანსების უნარი ოპტიმალურ დროში;
- **მოქნილი** მთავრობის მიერ შემოსავლებისა და გასავლის კოორდინირების გზების მოძიება;
- **ნაკლებ ხარჯიანი** გამოუყენებელი ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა;
- **ეფექტური** (მოქმედებაშია გადახდებისა და გადასახადების ამოღების ოპერატიული პროცედურები);
- **წინდახედული** მაკროეკონომიკური განვითარების გათვალისწინება;
- **სრულყოფილი** (მოიცავს მთლიან შემოსავალსა და ხარჯებს);
- **ეფექტური გათვლა** (კონკრეტული დროის მომენტისათვის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის არსებობა)
- **ეფექტური ინვესტიცია** (ცენტრალიზებული და ნაკლებ ოპერირებადი საკასო ნაშთები)

ფულის მოძრაობის პროგნოზირებაში მთავარ როლს თამაშობს ინფორმაცია. ანუ რამდენად სრულყოფილი ინფორმაცია არსებობს მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფულის მოძარობის პროგნოზირებაში, ეს არის ინფორმაციის გაცვლა, რაც თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა უწყებების კოორდინირებულ მუშაობას და ბოლოს, დიდი როლი აკისრია პერსონალს და ოპერაციებს, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ გეგმა ფულის მოძრაობისა.

ისმის კითხვა: საერთოდ რა საჭიროა ფულის მართვა და მისი კოორდინაცია? მაშინ როდესაც ქვეყანაში არსებობს ბიუჯეტი, რომელიც გეგმავს მთელი წლის შემოსავლებსა და გასავლებს, მაშინ როცა ქვეყანაში არსებობს ეროვნული ბანკი, რომელიც მართავს მონეტარულ პოლიტიკას სახელმწიფოში, მაგრამ არსებობს ფაქტორები რატომაც უნდა არსებობდეს ფულის მოძრაობისა და ფულის მართვის მოდელები. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს:

- საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს ხარჯის გაწევა გაუთვალისწინებელ პროექტზე;
- საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაუქმდეს დაგეგმილი შემოსავლის წყარო;
- ბიუჯეტი იგეგმება პროგნოზირებული წლიური ხარჯის გათვალისწინებით, თუმცა შემოსავლები და ხარჯები ყოველთვიურად შეიძლება შეიცვალოს;
- ხარჯები და შემოსავლები შეიძლება დაბალანსდეს წლის ბოლოს, მაგრამ ასე არ ხდება თვეების განმავლობაში, რაც იწვევს უარყოფით ნაშთებს.

ყოველივე ასეთი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა არსებობდეს ფულის მართვის პროგნოზი, რათა არ წარმოიშვას ფულის დეფიციტი დროის ნებისმიერი მონაკვეთისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფულის მოძრაობის პროგნოზირება ეს არ არის:

– ბიუჯეტი;
– ფულადი სახსრების დანაწევრება;
– ხაზინის მიერ ხარჯვითი პრიორიტეტების განსაზღვრა;
– ვალის მართვა;
– მაკონტროლებელის ფუნქცია;
– ცვლილების შეტანა ბიუჯეტში.

ისევე როგორც ყველა მოვლენას და თითოეულ ელემენტს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მოვლენები ფულის მართვის პროგნოზირებასაც გააჩნია თავისი დადებითი მხარეები. ფულის მართვის დადებითი მხარეები ვლინდება იმაში, რომ ფულის მართვა: 1. ამცირებს ალბათობას (სახსრები მობილიზებულია მთავრობის მიერ ვალდებულებების შესასრულებლად, რაც თავისთავად ზრდის ლიკვიდობას); 2. ზოგავს სახსრებს (ამცირებს სესხის აღების საჭიროებას, ამცირებს მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯებს); 3. ამცირებს რისკს (აუმჯობესებს ფისკალურ და მონეტარულ ოპერაციებს შორის კოორდინაციას).

ფულის მართვა იძლევა საშუალებას მივიღოთ ინფორმაცია რეალური შემოსავალისა და რეალური ხარჯის შესახებ, ასევე დროის ნებისმიერი მონაკვეთისთვის არსებობს საკასო ნაშთების რეალური სურათი. ყოველივე მათი ურთიერთკავშირი შეიძლება სრულყოფილად დავინახოთ №1 სქემაზე.

სქემა №1



საჭიროა განისაზღვროს ბიუჯეტის მმართველის და ფულადი სახსრების მმართველის ფუნქციები. ბიუჯეტის მმართველის ფუნქციებია:

- ბიუჯეტის/ფინანსური კონტროლის საქმიანობა;
- შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვა;
- ასიგნაციებისა და გარანტიების კონტროლი;
- ფინანსური კონტროლი და ანგარიშვალდებულება;
- მთავრობის საქმიანობის ფინანსური აღრიცხვა;
- ფინანსური ანგარიში.

ფულის მმართველის ძირითადი ფუნქციებია:

- ფულის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა;
- ფულადი ნაკადების პროგნოზი;
- საბანკო ურთიერთობები და საბანკო ანგარიშების შენახვა;
- შემოსავლებისა და გადახდების ეფექტური და დროული დამუშავება;
- მთავრობის „სალაროსა“ და მთავრობის ნაშთების მართვა;
- საოპერაციო და საპროცენტო ხარჯების შემცირება.

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს ბიუჯეტის მმართველისა და ფულადი სახსრების მმართველის ფუნქციები ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებული რგოლებია, მაგრამ ამავდროულად გააჩნიათ რადიკალურად განსხვავებული დატვირთვები, თუმცაღა ორივე რგოლი მთავრობის ფინანსური საქმიანობის შედეგების მაჩვენებელია.

ჩვენ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ თუ რა არის ფულის მოძრაობის პროგნოზირება და რატომაა იგი მნიშვნელოვანი, რომ ეს არის პროგნოზი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როდის შემოვა შემოსავალი და როდის უნდა მოხდეს ხარჯების გაწევა, მაგალითად, ხელფასების გადახდა; გვეხმარება ვაკონტროლოთ მთავრობის ფულადი სახსრების მოძრაობაში წარმოქმნილი გადახვევები; გვაძლევს გეგმასა და მიზანს ჩვენი საინვესტიციო სტრატეგიისთვის; გვეხმარება განვსაზღვროთ ცვლილებების გავლენა ცვლილებების დროს ან მანამდე, სანამ ამ ცვლილებების ადგილი ექნებათ რეალურად.

ფულის მოძრაობის პროგნოზირების საბოლოო შედეგები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზი;

მონაცემები ლიკვიდურობის დასაგეგმად;

სტრატეგია: ყოველთვიური, ყოველკვირეული და ყოველდღიური საკასო გეგმის დროში გაწერა, მისი დამტკიცება და მასზე პასუხისმგებლობის აღება;

პროცედურები მსხვილი შემოსავლებისას, ვალდებულებები და ხარჯები;

ფულადი სახსრების სესხების პროცედურები.

იმისათვის, რომ დღევანდელ ეტაპზე და მომავალში საქართველოში დაინერგოს ეფექტური ფულის მართვის პროგნოზირება და წარმატებით შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები ჩვენი აზრით ამისათვია საჭიროა:

- ფულის მოძრაობის პროგნოზირების პროცესი ეფუძნებოდეს ეფექტურ მაკროეკონომიკურ გათვლებს; საბიუჯეტო შეფასებებს; ფულის დინების ყოველთვიურ პროგნოზს და ფულის ყოველდღიურ მოძრაობას;
- ფულის მოძრაობის პროგნოზირებისას დაცული იყოს ფულის მართვის ეტაპები: ისტორიულ მონაცემთა ანალიზი; ყველა სეზონური თავისებურებით დადგენა; პროგნოზის შედგენა, მონიტორინგი და შესწორება და ლიკვიდურობისა და ვალის მართვა.

ფულის მართვის როლი ფულადი სახსრების მობილიზაციასა და ხარჯვაში შეუნაცვლებადია, ის მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი წინადადებები განხორციელდება, ვფიქრობთ საქართველოში ფულის მართვა გადაიქცევა ქვეყნის ფინანსური სიმტკიცის ერთ-ერთ უმძლავრეს საფინანსო-სახელმწოფოებრივ იარაღად, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს არა მარტო ქვეყნის ფულადი სახსრების მობილიზაციასა და მათ მიზნობრივ ხარჯვაში, არამედ ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაშიც, საბოლოოდ კი მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებაში, ეს კი დღეისათვის და უახლოესი მომავლისათვის ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. უილიამს მაიკი – სახელმწიფო ფულადი სახსრების მართვა: დადებითი და უარყოფითი პრაქტიკა“ სექტემბერი, 2004;

2. თ. შენგელაია – ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ., 2008;.
3. ი. მესხია. კ. გაბელაშვილი – საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, თბ., 2010;.
ინტერნეტ მისამართები:
1. mof.ge
2. etreasury.ge
3. nbg.gov.ge

რეზიუმე

ფულის მოძრაობის პროგნოზირება და მისი შესრულება გადამწყვეტ როლს თამაშობს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში. შესაბამისად აუცილებელია შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგი, პრიორიტეტების ანალიზი და ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ჩართვა. ფულის მართვის პროგნოზირების კუთხით გატარებული ღონისძიებებისა და მათი ფინანსური შედეგების მეცნიერული შესწავლისა და განზოგადების აუცილებლობამ განაპირობა წარმოდგენილი თემის შერჩევა.

ფულის მოძრაობის პროგნოზირება ეს არის: დროული ხარჯების დაფინანსების უნარი ოპტიმალურ დროში; მოქნილი მთავრობის მიერ შემოსავლებისა და გასავლის კოორდინირების გზების მოძიება; ნაკლებხარჯიანი გამოუყენებელი ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა; ეფექტური, წინდახედული მაკროეკონომიკური განვითარების გათვალისწინება და ეფექტური ინვესტიცია.

ნაშრომის მიზანია საქართველოში ფულის მართვის ფუნქციონირების შესწავლა, მისი როლისა და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა, როგორც მთლიანად ქვეყნის ფინანსურ სისტემაში, ისე ფინანსური სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის ფინანსური რესურსების მობილიზაციასა და გამოყენებაში.

ნაშრომში გაკეთებული დასკვნები და წინადადებები ხელს შეუწყობს ფინანსური სისტემაში ფულის მართვის სეგმენტის გამდიდრებასა და განვითარებას.

MONEY MANAGEMENT AND MONEY MOVEMENT PROGNOSIS

Tea Khorguashvili, Associate Professor

RESUME

Prediction and implenentatian of cash flows is determinant for countries economic and social-cultural development. Accordingly it is inevitable monitoring of revenunues and expences, alanylizing of prioriteis and inclusion of civil socrety in these precesses. The reason of choosing followin topic is necessity of meneging cash flows, scientific studies of there financial effects and generalization.

Prognozing of cash flows is finansing of timely ecpences in optimal time: looking for incomes and outcomes coordition ways by floxible goverment: minimizing of unsend balances: foresee of predictible macroeconomic development and effective predictible macroeconomic development and effective investments.

Main purpose essay is study of function of managing cash, determine its role and ecconomical effectiveness in countres financial system and also mobilizing and utilization between resources separate groups of financial system. the object of search is managing and prognozing cash.

This essay conclusion and suggestion presented here will help development of cash flows in financial system.

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი
Social Sciences and Law

არისტოტელეს თეოლოგია

ნუგზარ აბრამიშვილი, სრული პროფესორი

არისტოტელე მეტაფიზიკის მეექვსე წიგნს, სადაც ის ეხება „პირველ ფილოსოფიას“, მის საკითხებს, ორ ნაწილად ყოფს. ამ დაყოფის თანახმად, საკითხი პირველ რიგში დგას არსებულის, როგორც არსებულის (ონ ე ონ) შესახებ, თუ რა ახასიათებს თითოეულ არსებულს, როგორც არსებულს, რამდენადაც ის არის არსი, იმის მიუხედავად, როგორია ის და სად იმყოფება ის, ხოლო მეორე მხრივ, საკითხი დგას მთლიანი არსებულის შესახებ. საკითხი, რომელიც შემდეგ დაიყვანება უმაღლეს და უკანასკნელ არსებულზე, თუ რას წარმოადგენს მთლიანი, როგორც მთლიანი? თუ როგორია ბუნება მთლიანობისა – ესაა შემეცნება არსებულზე ზეაღმატებული რეგიონისა, რომლისაგანაც განისაზღვრება არსებული მთლიანად.

როგორც ცნობილია, არისტოტელეს მიხედვით გარეგანი მამოძრავებელი მოეპოვება ფიზიკურ სამყაროში ყველა ცვლილებას. იგივე მდგომარეობაშია უნივერსუმი, როგორც მთელი. მისთვის უნდა არსებობდეს გარეგანი მიზეზი. პირველი მიზეზი, რომელიც საბოლოო ჯამში განაპირობებს ხილულ სამყაროში მოძრაობა-ცვალებადობის ყველა მიზეზის არსებობას.

სამყარო მარადიულია და მისი, როგორც მთელის, არსებობის საფუძველია წმინდა ფორმის – ღმერთის – მარადიული და აბსოლიტური სრულქმნილება. თუ ინდივიდუალური ქმნილების გაჩენა მოითხოვს წინასწარ არსებულ ნაწილობრივსა და ფარდობით სრულქმნილებას გვარის საზღვრებში. მთელი სამყაროს არსებობაც მოითხოვს აბსოლუტური სრულქმნილების არსებობას.

ყოველი ქმნილება, თუ შემლებისდაგვარად, ადექვატურად ახორციელებს თავის სპეციფიკურ ფორმას, ამით ის თავისებურად თავისი შეზღუდულობის კვალობაზე ბაძავს ღმერთის მარადიულ სრულყოფილებას. ღმერთი უძრავია, მარადიულია, სრულყოფილია და უსხეულო, იგი წარმოადგენს აქტივობის შეუფერხებელ ნაკადს, ხოლო მისი აქტივობა იმაშია, რომ ის მარადიულ აზროვნებაშია ჩაძირული. ღმერთის მარადიული აზროვნების ერთადერთი ობიექტი თავისთავადია, ერთადერთი სრულყოფილი და უნაკლო არსი. ფიზიკური სფერო არ შედის მის სფეროში - თუ ღმერთი მოძრაობას დაქვემდებარებულ ობიექტებზე მიმართავს თავის აზროვნებას, ის თავად ვერ იქნება მოძრაობისგან თავისუფალი ამგვარი ღვთაებრივი გონების დაშვება კი შეუძლებელია. ღმერთს არ შეუძლია სამყაროზე იზრუნოს. მან არც კი იცის მის შესახებ. „მისი მიმართება სამყაროსთან განისაზღვრება იმით, რომ ის არის სრულქმნის აუცილებელი გარეგანი მიზეზი, ურომლისოდაც მთელი არსებული უმოძრაობაში ჩაეფლობოდა“.

მარადიული, თვითგანჭვრეტით გართული ღმერთის უბრალო არსებობაც საკმარისია ბუნების იმ ფარული ძალების ზედაპირზე გამოსატანად, რომლებიც სხვადასხვა გზით იბრძვიან საკუთარი ფორმის მიღებისა და ფუნქციის შესრულებისთვის, რადგან ამით ისინი თავ-თავის კერძო სფეროებში მიბაძავენ ერთადერთ წმინდა ფორმას და მარადიულად აქტიურ არსს. სამყაროს არ შეუძლია მას არ ელტვოდეს, „იგი ამძრავებს როგორც მისწრაფების საგანს“.

მხედველობაში აქვს რა ეს ღვთაებრივი, არისტოტელე „პირველ ფილოსოფიას“ უწოდებს „თეოლოგიკე“, თეოლოგიურ შემეცნებას.

რაც შეეხება მეორე მნიშვნელობას - ბუნებისას, აარსებულისას „ფიუსის“ (საკითხი დგას არსებულის როგორც არსებულის შესახებ, იმის შესახებ თუ რა განსაზღვრავს არსებულს, როგორც არსებულს. არსებული ბერძნულად გამოითქმის „ონ“, ხოლო «ის, რაც არსებულს არსებულად ხდის, არის არსება ამ არსებულისა, ანუ „უსია“.

არსებულზე, როგორც მთლიანზე და არსებულთა არსების, ანუ «უსიის» შესახებ კითხვის დასმას არისტოტელე უწოდებს «პირველ ფილოსოფიას» ფილოსოფიას ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით.

ფილოსოფია პირველ რიგში კითხვას სვამს მთლიან არსებულზე, რამდენადაც ამ არსებულის მთავარი თავისებურებაა მოძრაობა; ამოსავალი კითხვა ემთხვევა კითხვას პირველი მამოძრავებლის შესახებ. იმ უკანასკნელსა და საზღვრითზე, რომელიც „თეიონ“ სახელითაც მოიხსენიება.

როცა შუა საუკუნეებში არისტოტელეს მეტაფიზიკურ თხზულებებს გაეცნენ, იმ სპეციფიკურმა კავშირმა, რომელიც არსებობს არისტოტელესთან „პირველ ფილოსოფიასა“ და „თეოლოგიას“ შორის, გააიოლა ქრისტიანული რწმენის შინაარსის გათანაბრება „პირველი ფილოსოფიის» შინაარსთან, რადგან ზეგრძნობადი, მეტაფიზიკური, იმავდროულად თეოლოგიური შემეცნების საგანიც ყოფილა. რამდენადაც ნამდვილი ფილოსოფოსობა, როგორც თავისუფალმოაზროვნეობის ფორმა, შუა საუკუნეების პირობებში შეუძლებელია, რამდენადაც ამ ეპოქაში მოქმედებენ სრულიად განსხვავებული წესები, არისტოტელეს ფილოსოფიის ათვისება იმგვარად ხდება, რომ წარმოიქმნება დოგმატიკა; დოგმატიკა არა მარტო რწმენის, არამედ თვით პირველი ფილოსოფიისაა“.

როცა ვეხებით თეოლოგიის შუასაუკუნეობრივ ისტორიას, არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ყველაზე თანამიმდევარი არისტოტელიკოსის, თომა აქვინელის შეხედულება. მან ხომ სპეციალურად კომენტარები მიუძღვნა არისტოტელეს აღნიშნულ თხზულებებს.

აქვინელი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ერთმანეთთან აიგივებს პირველ ფილოსოფიას, მეტაფიზიკას და თეოლოგიას, ანუ როგორც თვითონ უწოდებს, ღმერთის შემეცნებას. აქვინელი მათი იგივეობის დაფუძნებისას იქიდან ამოდის, რომ მეტაფიზიკა, როგორც უმაღლესი სახე შემეცნებისა, მიჩნეულია ნორმატიულ მეცნიერებად სხვა მეცნიერებებისთვის.

იგი განასხვავებს სამ გვარს შემეცნებისას:

1. რაღაც მიგვაჩნია შემეცნებადად. უმაღლესი მნიშვნელობით შემეცნების რიგისა და თანმიმდევრობის მიხედვით.

   შუა საუკუნეებში შემეცნება ნიშნავს საგნების ახსნას მათი მიზეზებიდან. რაიმე შეცნობილია ამ სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით, როცა გადავდივართ უკანასკნელ მიზეზზე, უკანასკნელი მიზეზი კი, როგორც ამას მეუბნება რწმენა, არის ღმერთი, როგორც სამყაროს შემოქმედი. ეს უმაღლესი და პირველი მიზეზი წარმოადგენს პირველი ფილოსოფიის საგანს.
2. რაღაც მაქსიმალურად შემეცნებადია, გონებითი შემეცნების გრძნობასთან გათანაბრების მეშვეობით. გრძნობის მეშვეობით, ჩვენ ვწვდებით ერთეულს, განცალკევებულს, ხოლო ინტელექტი იმას, რაც საერთოა ყველასათვის. მაქსიმალური შემეცნება იმის შემეცნებაა, რაც ახასიათებს ყველა არსებულს გამონაკლისის გარეშე. მაგრამ ეს ის ცოდნაა, რომელიც არისტოტელესაც აქვს მხედველობაში, როცა ის ეხება არსებულის, როგორც არსებულის შემეცნებას, ანუ ის, რასაც ჩვენ კატეგორიალურ შემეცნებას ვუწოდებთ. შემეცნება ზოგადი ცნებების მეშვეობით, ის რასაც ახალ ევროპულ ფილოსოფიაში ჰქვია შემეცნება კატეგორიალური განსაზღვრებებით.

ამ განსაზღვრულ არსებულს აქვინელი უწოდებს „ტრანსფიუსილას“. ეს განსაზღვრებანი ეკუთვნიან არაგრძნობად სფეროს. ეს ზოგადი განსაზღვრებანი არსებულისა, როგორც არსებულისა, მოინახებიან ნაკლებ ზოგადიდან უფრო ფართო ზოგადზე გადასვლის მეშვეობით. შემეცნების ამ სახეს აქვინელი მეტაფიზიკას უწოდებს და ამ აზრით იგი გათანაბრებულია ონტოლოგიასთან, დისციპლინასთან, რომელიც განიხილავს არსებულს, როგორც არსებულს და, რომელსაც შემდეგ დაერქვა „მეტაფიზიკა გენერალის“.

3. რაღაც მიიჩნევა შეცნობადად თვით ინტელექტისათვის დამახასიათებელი შემეცნების სახის შესატყვისად. აქვინელის აზრით, ამ შემთხვევაში უფრო მეტად შეცნობადია ის, რაც თავისუფალია მატერიისგან, ე.ი. ის, რაც თავისი შინაარსითა და ყოფიერების წესით ყველაზე ნაკლებადაა განსაზღვრული იმით, რითაც განისაზღვრება არსებული: მხედველობაშია ისეთი არაგრძნობადი, სულიერი, როგორიცაა ღმერთი და ანგელოზები. თავისი ყოფიერების წესი, ეს სულიერი არსებანი განეკუთვნებიან უმაღლესად არსებულს და შესატყვისად უმაღლესი ხარისხით შეცნობად სფეროს. ასე, რომ უმაღლესი აზრით, შემეცნება ესაა შემეცნება ღმერთისა.

   შუა საუკუნეებში თეოლოგიის არსიტოტელესეული გაგება გაიაზრება ღმერთის, როგორც აბსოლუტური პიროვნების ქრისტიანული გაგებიდან ამოსვლით. მეტაფიზიკა თავიდანვე ქრისტიანულ თეოლოგიაზე იღებს ორიენტაციას და აშკარად დგება ღმერთის შემეცნების სამსახურში.

ქრისტიანულ დოგმატიკაში ყურადღება კონცენტრირებულია ღმერთზე და ადამიანზე ისე, რომ ღმერთი და ადამიანი, როგორც რწმენის ისე, თეოლოგიის უმთავრეს ობიექტებად იქცევიან. იგივე პრობლემები იქცევიან მეტაფიზიკის ძირითად პრობლემებად.

ახალი პერიოდის ფილოსოფიამ, რომელმაც თითქოს გაწყვიტა კავშირი შუა საუკუნეებთან, იმავეს დამტკიცებას ცდილობს, რაც შუა საუკუნეების საკუთრივ საქმედ ითვლებოდა. აქ მხედველობაშია დეკარტი, რომელიც „პირველი ფილოსოფიის“ საგანს ღმერთის არსებობისა და სულის უკვდავების

დასაბუთებაში ხედავს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ კანტი ტრადიციულ მეტაფიზიკაში თეოლოგიას გულისხმობს. თეოლოგიის მიხედვით მთელი არსი განიყოფება - ღმერთად, ბუნებად და ადამიანად. ღმერთს იკვლევს თეოლოგია, ბუნებას კოსმოლოგია, ხოლო ადამიანს - ფსიქოლოგია. ისინი ქმნიან დისციპლინას „მეტაფიზიკა სპეციალის". მისგან განსხვავებით „მეტაფიზიკა გენერალის (ონტოლოგია)" საგნად აქვს არსებული საერთოდ.

ახალევროპული მეტაფიზიკის პრობლემები თითქმის იდენტურია წინარე მეტაფიზიკისა, როგორც ამბობენ, ახალევროპული ფილოსოფია კრიტიკით დაიწყო, ფილოსოფიის კრიტიკული დაფუძნებით და არავინ ისე, როგორც კანტმა დააყენა ტრადიციული მეტაფიზიკა ეჭვქვეშ. ახალ პერიოდში მეტაფიზიკა ახალ ნიშნებს იძენს. პირველი თავისებურება იმაშია, რომ ტრადიციული მეტაფიზიკის მთელი პრობლემატიკა განიხილება ახალი მეცნიერებების თვალთახედვით, ხოლო მეცნიერულობის ნიმუშად და განსახიერებად ცხადდება მათემატიკა, მათემატიკური ბუნებისმეცნიერება. ეს შემდეგს გულისხმობს, რამდენადაც მეტაფიზიკას საგნად აქვს საერთოდ არსებული და უმაღლესი არსებული, „რომლისადმი ინტერესი ყველა ადამიანშია, როგორც ბუნებრივი მიდრეკილება", (კანტი). ის ითვლება უმაღლესი ღირსების მქონე მეცნიერებად, „მეცნიერების დედოფლად", ამიტომ მისი შემეცნების მეთოდი უნდა იყოს ძალიან მკაცრი, აუცილებელი და სავალდებულო. აქედან მოთხოვნა - იგი უნდა გაუთანაბრდეს შემეცნების იდეალს. ასეთი კი მათემატიკური შემეცნებაა, „იგი ითვლება აპრიორულობისა და რაციონალურობის უმაღლესი ხარისხის მქონედ, ე.ი. გონების წმინდა მეცნიერებად. ასე რომ, საერთოდ არსებულის შემეცნება „მეტაფიზიკის გენერალის" და შემეცნება მისი რეგიონების „მეტაფიზიკა სპეციალის" იქცევიან „წმინდა გონების მეცნიერებებად".

ლიტერატურა:

1. არისტოტელე, მეტაფიზიკა, თბ., 1964;
2. მ. ჰაიდეგერი, კანტი და მეტაფიზიკის პრობლემა, მ., 1997;
3. ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1967.

რეზიუმე

არისტოტელეს თეოლოგიურმა ნააზრევმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა შუა საუკუნეებისა და ახალი ეპოქის თეოლოგიური აზროვნება.

თეოლოგიის მიხედვით მთელი არსი განიყოფება - ღმერთად, ბუნებად და ადამიანად. ღმერთს იკლვევს თეოლოგია, ბუნებას კოსმოლოგია, ხოლო ადამიანს ფსიქოლოგია.

ARISTOTLE THEOLOGY

Nugzar Abramishvili, Full Professor

RESUME

Aristotle's theological thinking considerably determined the theological thinking of the Middle Ages and New Epoch.

According to the theology, the whole is divided into - the God, the nature, and the man. Theology studies the God, Cosmology studies the nature, and psychology studies the man.

იდეალური სახელმწიფოს მოდელი პლატონის „სახელმწიფო“-ს მიხედვით

კლარა ელჩიბეგაშვილი, სრული პროფესორი

პლატონი, ერთ-ერთი უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი, ბერძნული უმაღლესი არისტოკრატიის ჩამომავალი, სოკრატეს მოწაფე და არისტოტელეს მასწავლებელი, კარგად იცნობდა ეგვიპტელ ქურუმთა სიბრძნეს. პლატონი სავარაუდოდ ათენში ან ეგინაში დაიბადა, ძვ. წლ. 427 წელს, მაისში ან დეკემბერში. მისი ოჯახი ძველი ათენელი მეფეების გენიალოგიის ერთ-ერთი განშტოების შთამომავლად ითვლებოდნენ. მან ათენში დააარსა სკოლა-აკადემია, რასაც სიკვილამდე ხელმძღვანელობდა 347 წ. ძვ. წ.აღ. პლატონის ბიოგრაფიაში არსანიშნავია ის ფაქტი, რომ პლატონის სახელი არისტოკლე უნდა ყოფილიყო, ხოლო პლატონი მას მისმა გიმნასტიკის მასწავლებელმა არისტონ არგოსელმა მისი ტანადობისა და სიძლიერის გამო დაარქვა. მეორე ვერსიაა, რომ პლატონს სახელი მისი ფართო შუბლის ან მისი ვრცელი შეხედულების გამო ეწოდა.

პლატონის შრომები მისი 50 წლის მოღვაწეობის ნაყოფია. მათი უმრავლესობა დიალოგის ფორმითაა დაწერილი. ეს შრომები ძლიერია ფორმითაც და შინაარსითაც. შემდგომ ბევრმა სცადა დაეწერა მხატვრული და ამავე დროს ფილოსოფიური ნაშრომი, მაგრამ ამ ორი ელემენტის შეხამება ისე, როგორც ეს პლატონს ჰქონდა, ვერავინ მოახერხა. პლატონის დიალოგებს ერთგვარი დაუმთავრებლობა ახასიათებს. დიალოგის ბოლოს იგი საკითხს თითქოს გადაუჭრელად ტოვებდა, რადგან პლატონს ფილოსოფია მიაჩნდა ძიებად და არა დასრულებულ შედეგების მომცემ მეცნიერებად. პლატონს ეკუთვნის „სოკრატეს აპოლოგია“, 35 დიალოგი, 13 წერილი და 25 ეპიგრამა. მისი მრავალწლიანი ნაღვაწი შესაძლებელია ასე წარმოჩინდეს - I სოკრატული პერიოდი - როცა არ ჩანს იდეათა თეორია და მიზანს წარმოადგენს საგნის ცნების, როგორც ზოგადის დაფუძნება. II იდეათა თეორიაზე გარდამავალი პერიოდი. III სიმწიფის ხანა - როცა ყალიბდებოდა იდეალისტური რაციონალისტური სისტემა. აქ უმაღლეს მიზნად მიჩნეულია სიკეთის იდეის, როგორც ზერაციონალურის მისტიკური ხედვა. IV თვითკრიტიკული პერიოდი. V გვიანი პერიოდი, როცა უარია ნათქვამი რაციონალიზმზე, ე.ი. არსებულის შემეცნების და ასევე რაიმე ცოდნის სხვისთვის გადაცემის შესაძლებლობაზე.

პლატონი სასიცოცხლო ენერგიას წარმოადგენს ევროპული აზროვნების ისტორიაში. ყოველ ეპოქაში განსხვავებულ ინტერპრეტაციათა წყაროს წარმოადგენდა მისი მიგნებები სულის უკვდავების, სიკეთის იდეის, როგორც ყოველივეს გამფორმებლის და სობოლოო მიზნის, ერთეულისა და ზოგადის არსებობის წესთა განსხვავების, ადამიანის ცხოვრების საზრისის, საზოგადოების სტრუქტურის შესაძლებელი ფორმების შესახებ. პლატონი თავისი სიდიადით მნიშვნელოვანია ევროპული ფილოსოფიისა და კულტურისათვის. მისი შემდგომი პერიოდის მსოფლიო რელიგიები ეყრდნობოდნენ მას თავიანთი ღვთისმეტყველებით და წარმატებითაც. შეიძლება ითქვას, რომ პლატონი საკაცობრიო კულტურის ისტორიისათვის მარადიულ პრობლემად იქცა. კლასიკური ხანის თუ ელინისტური პერიოდის ბერძნები, ძველი რომაელები, არაბი მოაზროვნეები, გვიანი ანტიკური იუდაიზმი, ბიზანტიური მართლმადიდებლობა, რომაული კათოლიციზმი, რენესანსის ეპოქის მოაზროვნეები, ფრანგი რაციონალისტები თუ ინგლისელი ემპირისტები, გერმანული კლასიკური იდეალიზმი, ექსისტენციალისტები, გვერდს ვერ უვლიან მას, რადგან პლატონის ფილოსოფია ფიქრი და ძიებაა მარადიულ კითხვებზე სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ, სხეულზე თუ სულზე, სიყვარულზე, სამართლიანობაზე, სიმამაცეზე, ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე. პლატონი ხომ პირველი მოაზროვნეა ევროპულ ფილოსოფიაში, ვინც სულის ბუნების და უკვდავების თეორიულ ახსნა-დასაბუთებას შეეცადა.

პლატონი „ტიმეოსში“ საუბრობს ყველაზე მისტიურ აქტზე, როცა სამყაროს სულის ნაწილი ადამიანის სული წარმომავლობით და შედგენილობით მისი მონათესავე მუსიკალურ და მათემატიკურ თანაფარდობებზე დაფუძნებული ჰარმონიული სტრუქტურით, უწყვეტი მოძრაობისა და დაუცხრომელი ქმედითობის უნარით, მატერიის მაორგანიზებელი და გამფორმებელი ძალმოსილებით განსხეულდება მეტაფიზიკური სინამდვილიდან ფიზიკურ სამყაროში, მატერიაში ესაა ყველაზე უჩვეულო, გონებამიუწვდომელი სამყაროული მისტიური აქტი, მარად უცვლელი, წარუვალი, დროისა და სივრცის მიღმური სინამდვილის სხივოსანი მკვიდრი მატერიის, გრძნობად კონკრეტული სამყაროს უმწეო ტყვე ხდება და დაბინავდება დილეგში, რომელსაც სხეული ჰქვია, როგორც ლოკოკინა ნიჟარაში. ასე მკვიდრდება ის ცოდვილ მიწაზე, ესისხლხორცება მისთვის სრულიად უცხო გარემოს თავისი

ადამიანური ვალის მოსახდელად. ვიდრე კვლავ საუკუნოდ სოფლად არ უხმობს ღმერთი. სული სხეულში ეს არის წარუვალი-წარმავალში, უკვდავი-მოკვდავში და ნათელი-ბნელში. ასე ენიჭება სიცოცხლე უსულო მატერიას. ჯერ კიდევ შემოქმედების სოკრატულ პერიოდში ცდილობდა პლატონი დაემტკიცებინა ადამიანის არსების ორბუნებოვანება, რომ ის შედგება სულისაგან და სხეულისაგან. სული ადამიანის ბუნების წარმმართველი საწყისია, რომელიც ისე იყენებს სხეულს, როგორც ხელოსანი საქმის კეთებისას იყენებს ხელებს ან თვალებს. ადამიანი სული და სხეულია? თუ სხეული თვითონ კი არ მართავს თავისთავს, არამედ სულის მიერ წარიმართება, მაშინ სხეულს ვერ მივიჩნევთ წარმმართველ საწყისად. თუ არც სული და სხეულია ერთად, მაშინ ეს საწყისი მხოლოდ მხოლოდ სულია იგი. პლატონის მიხედვით ადამიანი სულია თავისი ურთულესი არსით, რომელშიც არის ღვთაებრივი საწყისი და ამ ღვთაებრივ საწყისში მოქცეულია სულის მთელი სიბრძნე და გონიერება. ეს არის სწორედ ადამიანის ნამდვილი არსი, მისი ჭეშმარიტი „მე“.

პლატონის აზრით, როცა ვსვავთ კითხვას თუ რა არის ცოდნა? მაშინ მხედველობაში უნდა გვქონდეს ჭეშმარიტი ცოდნა. საერთოდ ჭეშმარიტი ცოდნა – ეპისთემე არ არის კერძო ცოდნა. მაგალითად: მეწაღის ცოდნა, დურგლის ცოდნა და სხვა. ცოდნა არ არის გრძნობადი აღქმა, ამტკიცებს პლატონი. პლატონის შემეცნების თეორიას ანამნეზისის (მოგონებების) თეორია ეწოდება. რას წარმოადგენს ის საგნები, რომელთა შესახებ ცოდნის მოგონებასაც შემეცნება ჰქვია? ამ კითხვაზე პასუხს წარმოადგენს პლატონიც თეორია იდეების შესახებ. ცნებას უნივერსალური და ზოგადი ხასიათი აქვს, მაშასადამე მისი საგანიც ასეთი ზოგადი უნდა იყოს, ცნების საგანს, რომელსაც უნივერსალური ხასიათი აქვს იდეა წარმოადგენს.

პლატონის აზრით ადამიანის სული შედგება სამი ნაწილისაგან: გონებისა, ნებისა და სურვილისაგან. სული გონებით მსოფლიო სულის მსგავსია, თვითმოძრავია და მარადიული. მისი ნება თავისუფალია არჩევანში, რომლის შესაბამისადაც სხვადასხვა სხეულში ჩასახლდება. სულის ბედი აზროვნების ძალაზეა დამოკიდებული. პალტონი სულს ფრთიან ეტლს ადარებს, რომლის მეეტლე გონებაა, ხოლო ურჩი ცხენები – ნება და სურვილი. სული მარტივია, ამიტომ უკვდავია. სიმარტივე იდეალურ ატომურობას ნიშნავს, სწორი შემეცნება საკუთარ თავზე გამარჯვების პროცესია და ზნეობრივ მოქმედებაში ვლინდება. ინდივიდუალურ ადამიანურ სულად ქცევამდე, სული კაცობრიობის განუყოფელ კოლექტიურ სულად გვევლინება. ღმერთი ჯერ მთლიან არსად ქმნის და მხოლოდ შემდეგ ანაწილებს ამ კოლექტიურ სულს. თითოეულ ნაწილს თავისი წილხვდომ ვარსკვლავს მიუჩენს, ასე რომ ადამიანში განსხეულებისას სულები ვარსკვლავებიდან ჩამოდიან ამქვეყნად და თუ ღირსეულად გალიეს წუთისოფელი, კვლავ თავიანთ წილხვდომილ ვარსკვლავებს უბრუნდებიან.

სამყაროს მრავალფეროვანებას, როგორც პლატონი ბრძანებს „ნადიმში“, საგანთა სიმრავლეს ერთიანობა უდევს საფუძვლად, ხოლო სიმრავლეში თვლემს მარადიული ტენდენცია პირველადი ერთიანობისაკენ მიქცევის და მიბრუნებისა. ამ მარადიულ ლტოლვას, ყოველი არსის, ყოველი სიცოცხლის ამ ინტიმურსა და ნათელ კანონს სიყვარული ჰქვია სახელად. ერთი მრავალია და სიყვარულის წყალობით მრავალი ერთიაო, ამბობდა ემპედოკლე. სიყვარული წარმართავს სასრულსა და წარმავალს უსასრულოსა და წარუდინებლისაკენ. სიყვარული წყურვილია უკვდავებისა, სიყვარული „ნადიმში“ გვევლინება, როგორც უზარმაზარი კოსმიური ძალა, როგორც სამყაროს სასიცოცხლო იმპულსი, მაგრამ სასრულისა და უსასრულოს ერთიანობა, პლატონიც აზრით სრულიადაც არ გულისხმობს სასრულისა და სიყვარულის გაქრობას. პირიქით, ესაა ჭეშმარიტი სიცოცხლე, ესაა სიყვარული თავის უკვდავ არსში, თავის იდეაში. ის ვისაც უყვარს და ის ვინც უყვართ ორნი არიან, რადგან არ კარგავენ თავიანთ მეობას. „ნადიმი“ გვეუბნება, რომ როდესაც სიყვარული მოიცავს და წრფელი გზით წარმართავს კაცის ბუნებას, მას შეუძლია ამაღლდეს, გაარღვიოს დრო და სივრცე, მისწვდეს ვარსკვლავეთს და ამრიგად ეზიაროს უმშვენიერესსა და უსათნოესს, უსასრულოსა და დაუსაბამისს.

პლატონი თავისი იდეათა თეორიის საფუძველზე შეეცადა მოეცა მოძღვრება იდეალური სახელმწიფოს შესახებ. მისი აზრით, სათნოება, რომელიც საზოგადოებაში ხორციელდება, არის სამართლიანობა. სამართლიანობა შეიძლება გამოვლინდეს ცალკეულ ინდივიდებშიც და სახელმწიფოშიც. მაგრამ სახელმწიფოში იგი სრულიად ვლინდება. სახელმწიფო აუცილებელია იმიტომ, რომ ერთეული ადამიანი არ არის საკმარისი თავისი თავისათვის, მას დახმარება სჭირდება. პიროვნებისთვის და მთელი საზოგადოებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია საზრდო, ტანსაცმელი, ბინა და სხვა. ამიტომ აუცილებელია მიწათმოქმედნი და ხელოსნები, რომელბიც ერთიმეორეს ეხმარებიან სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. აუცილებელია აგრეთვე სამხედრო საქმის ფლობა, რომელიც დაიცავს სახელმწიფოს. სახელმწიფოსათვის აუცილებელია მმართველები, რომლებიც გონიერებით რჩეულებს

უნდა წარმოადგენდნენ. სახელმწიფო უნდა მოეწყოს მხოლოდ მთელი საზოგადოების ბედნიერებისათვის. სამართლიანობა მხოლოდ მაშინ გვექნება, თუ საზოგადოება ერთიანია, თუ წოდებები შეთანხმებულად აკეთებენ თავიანთ საქმეს, თუ ისინი ჰარმონიაში არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს შეუშლიან ხელს და უსამართლობა გაბატონდება. მმართველები არ არიან ბატონები სხვა მოქალაქეებისა, მმართველები არიან ბრძენები, ფილოსოფოსები, რჩეულნი ცოდნით. სადაც ასეთი მმართველობაა, იქ არის იდეალური სახელმწიფო.

სახელმწიფომ უნდა შეძლოს დაიცვას თავისი თანამოქალაქენი, პირველ რიგში კანონმდებლობით. სახელმწიფოში ყველანი მეგობრულად უნდა ცხოვრობდნენ, თუმცა ადამიანები სულ სხვადასხვა უნარისა და ხასიათის არიან. ერთნი იბადებიან მმართველობისათვის, მეორენი - დამცველებად, მესამენი - მიწათმოქმედებისა და ხელოსნობისათვის. ყველა უნდა აღიზარდის თავისი ბუნებრივი უნარის მიხედვით. თუ ეს ასე არ იქნება დაცული, მაშინ ქალაქი-სახელმწიფო დაინგრევა. სახელმწიფო უნდა მოეწყოს არა მხოლოდ რომელიმე წოდების, არამედ მთელი საზოგადოების ბედნიერებისათვის. სამართლიანობა მხოლოდ მაშინ გვექნება თუ საზოგადოება ერთიანია. პლატონი შემდეგ განიხილავს ოთხ სათნოებას: 1. ზომიერების გრძნობა, 2. სამართლიანობის გრძნობა, 3. სიმამაცე, და 4. სიბრძნე. მოქალაქეთათვის, რომლებიც მისდევენ მიწათმოქმედებას, ხელოსნობას, ზღვაოსნობას, ვაჭრობას, უპირველესია ზომიერების გრძნობის ქონა, რადგან ყველა უნდა აკეთებდეს თავის საქმეს. არ შეიძლება ადამიანმა დაიჩემოს იმ საქმეში წარმატებულობა, რომელი პროფესიაც არ იცის კარგად და რომელშიც არ არის დაოსტატებული. სწორედ ამას ვუწოდებთ სამართლიანს, როცა ყველა თავის საქმეს ასრულებს. შემდეგი სათნოება, რომელსაც პლატონი განიხილავს, არის სიმამაცე, რომელიც სახელმწიფოს მცველებს უნდა ახასიათებდეთ, რადგან მეომრებს და სამართალდამცველებს კარგ განათლებასთან ერთად სჭირდებათ ფიზიკური სრულყოფილება მტერზე გამარჯვებისათვის.

მეოთხე სათნოება არის სიბრძნე, რომელიც ყველა დანარჩენ სათნოებებთან ერთად საჭიროა სახელმწიფოს მმართველი ფენებისათვის, რომლებმაც გონივრულად უნდა მართონ სახელმწიფო. პლატონს მიაჩნია, რომ იდეალური სახელმწიფოს იდეა განუხორციელებელია. მშვენიერი იქნებოდა ის სახელმწიფო, რომელიც მას როგორმე დაუახლოვდება. სახელმწიფოსაგან კარგს არაფერს არ უნდა ველოდეთ თუ ფილოსოფოსები არ მეფობენ, ან მეფეები არ ფილოსოფოსობენ. თუ ასეთი რამ არ მოხდება, მაშინ არც იდეალური სახელმწიფო განხორციელდება. პლატონიც აზრით, სახელმწიფო არის ქვეყნად სათნოების გაბატონების ერთადერთი საშუალება, ამიტომ სახელმწიფოს მიზანი სათნოებაა, ამასთან ერთად მოქალაქეთა ბედნიერებაა. პლატონს სახელმწიფო მმართველობის იდეალურ ფორმად არისტოკრატიული მმართველობა მიაჩნია. ასეთ სახელმწიფოში ყველა წოდება თავის საქმეს უნდა ასრულებდეს. წოდებათა შორის ჰარმოანია სამართლიანობაა, რომელიც უზრუნველყოფილია საზოგადოებაში გონების გაბატონებით.

პლატონი განიხილავდა სახელმწიფო მმართველობის შემდეგ სახეებს: თიმოკრატიულ წყობას, ოლიგარქიულ წყობას, დემოკრატიულ და ტირანიულ წყობას. ამ ჩამონათვალის გარდა კაცობრიობა იცნობს შუალედური ტიპის სახელმწიფო წყობებსაც, როგორებიცაა მემკვიდრეობით მიღებული სახელმწიფო მმართველობა და ფულით ნაყიდი სამეფო ხელისუფლება. სახელმწიფო წყობის მოდელი იქმნება იმ ადამიანთა ზნეობისაგან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვაში.

პატივმოყვარეობაზე დაფუძნებულ სახელმწიფო წყობას პლატონმა უწოდა „თიმოკრატია“ ანუ „თიმარქია“. ამ სახელმწიფო წყობის მოანწილენი ერთმანეთთან ბრძოლისა და ქიშპის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შემოეღოთ კერძო საკუთრება და მოეხდინათ ამ საკუთრების გადანაწილება თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო ის ადამიანები, ვისაც თავისუფალ მეგობრებს ეძახდნენ გადააქციეს მონებად. თვითონ კი დაკავდნენ სამხედრო საქმითა და ზედამხედველობით. ასეთი სახელმწიფო წყობა დგას არისტოკრატიასა და ოლიგარქიას შორის. მართვის ეს მოდელი არ ითვალისწინებს თანამდებობებზე ჭკვიანი ხალხის დანიშვნას, რადგან ამ ადგილებზე გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ზნეობრივი შეხედულებების მქონე ადამიანების ყოფნა. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სულიერებას და დაბადებულები იყვნენ მეომრებად. ისინი გამოირჩეოდნენ სიხარბით, ჰქონდათ უამრავი საიდუმლო საცავები და თვით საკუთარი საცხოვრებელიც შემოსაზღვრული ჰქონდათ უზარმაზარი კედლებით. ასეთ სახელმწიფო წყობაში ყველაზე თვალშისაცემია დაპირისპირება და პატივმოყვარეობა. თიმოკრატიული ადამიანი დაუნდობელია, გაუნათლებელია და არ ცნობს საუბრის ხელოვნებას. მისი აზრით ხელისუფლების საფუძველია სამხედრო წარმატებები.

ოლიგარქიას პლატონი უწოდებს წყობას, რომელიც დაფუძნებულია ქონებრივ ცენზზე. თიმოკრატიიდან ოლიგარქიაზე გადასვა ხორციელდება შემდეგნაირად: კერძო პირების საგანძურებში დიდი რაოდენობით ოქროს თავმოყრა და ამ სიმდიდრის პიროვნული ინტერესებისათვის გამოყენება

ანგრევს თიმოკრატიას. ეს ადამიანები ხვდებიან სახელმწიფოს მმართველობის სათავეებში, ხოლო სახელმწიფოს სიძლიერე ემყარება ან შეიარაღებულ ძალას ან დაშინებას. ასეთი სახელმწიფო მოდელი თითქოსდა ორ წყობას აერთიანებს. ერთია ღარიბების სახელმწიფო, მეორე – მდიდრების, თუმცა ისინი ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ასეთ სახელმწიფოში ბევრი დამნაშავეა, რაც გამოწვეულია გაუნათლებლობით. თიმოკრატიული წყობიდან ოლიგარქიულზე გადასვლის ერთ-ერთი მიზეზია ფულის სიყვარული. ოლიგარქიული ადამიანი აღფრთოვანებაში მოჰყავს მხოლოდ სიმდიდრეს და ცხოვრობს მუდმივი შიშის ქვეშ – არ დაკარგოს თავისი ქონება. ოლიგარქიული მმართველობის დროს ხელისუფლების სათავეში მყოფნი არ ზღუდავენ მდიდარი ახალგაზრდების აღვირახსნილობას და თავაშვებულობას, რათა შემდგომში იოლად ჩაიგდონ ხელში მათი სიმდიდრე. ასეთ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანების დიდ ნაწილი უსაქმურია, ზოგი ვალებშია ჩაფლული, ზოგს წართმეული აქვს მოქალაქეობის უფლება, ამიტომ მათ სძულთ სახელმწიფო ხელისუფალნი და მუდმივად ცდილობენ გადატრიალების მოწყობას.

პლატონის აზრით დემოკრატიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც გამარჯვებული ღარიბები ანადგურებენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, ზოგს განდევნიან ქვეყნიდან, ხოლო დანარჩენებს ითანაბრებენ სამოქალაქო უფლებებით და სახელმწიფო თანამდებობებით. იქმნება სრული თავისუფლებისა და გულახდილობის ილუზია, რომ თითქოს ყველაფრის გაკეთებაა შესაძლებელი რაც გვინდა, არ არის ვინმეზე დამორჩილების აუცილებლობა, ასევე არაა სავალდებულო შენც იომო, როცა სხვები ომობენ. დემოკრატიული წყობა არაფრით არ გავალდებულებს. ადამიანის მთავარ დამსახურებად ითვლება ის, რომ იგი წარმოადგენს მასის წევრს. დემოკრატიულ ადამიანს შეგვიძლია ვუწოდოთ აუცილებლობისაგან თავისუფალი ადამიანი, რომლის ცხოვრებაში არ არსებობს წესრიგი.

დემოკრატიიდან ტირანიაზე გადასვლა ხდება მაშინ, როცა სრული თავისუფლების გამო ხალხი აღარ ცნობს კანონს. ყველანაირი აუცილებლობა იწვევს აღშფოთებას და სწორედ ეს, პლატონის აზრით წარმოშობს ტირანს. უკიდურესი თავისუფლებისგან წარმოიშობა უსასტიკესი მონობა. ტირანია იჭრება ყველა ადამიანის სახლში და ლამის ცხოველებზეც ვრცელდება. მამას ეშინია შვილის და შვილს მამის, მასწავლებლებს ეშინიათ თავისი მოწაფეების. ახალგაზრდა თაობა იწყებს ჯიბრს წინა თაობებთან მოვლენათა შეფასებების დროს. ასეთ სახელმწიფო წყობაში თავისუფლების ზღვარი გადის იქ, რომ ნაყიდი მონები თითქმის იგივე დონით არიან თავისუფლები, როგორც მათი მყიდველები. შური ხდება ძალიან მგრძნობიარე, ხდება ზნეობისა და სამართლის ნორმების აღრევა. ტირანიას სჭირს ზუსტად ის დაავადება, რამაც დაღუპა ოლიგარქია, ოღონდ უფრო მეტი სიძლიერით. ტირანიაში მცხოვრები ადამიანი აუცილებლად მოახდენს აჯანყებას მდიდრების წინააღმდეგ. თუ მან წარსულში განიცადა წარუმატებლობა და ან სამშობლოდან განდევნა და შემდგომ დაბრუნდა სამშობლოში, ის აუცილებლად ბრუნდება როგორც ტირანი, ხოლო ის ადამიანები, რომლებმაც ის გააგდეს, ფიქრობენ მის საიდუმლო მკვლელობაზე. ტირანს ხელთ უპყრია სმენადი ბრბო, რომელიც ეთანხმება მის სამართლიან თუ უსამართლო გადაწყვეტილებებს. ასეთ ადამიანს აქვს ცხოვრების ორი გზა: იგი, მიუხედავად უამრავი მცველისა, იღუპება თავისი მტრის ხელით, ან მისი ტირანია დიდხანს გრძელდება. სახელმწიფოს სათავეში მოსვლიდან ცოტა ხანში იგი შემოირიგებს ზოგიერთ თავის მტერს, ზოგსაც კი გაანადგურებს. ხელისუფლების შესანარჩუნებლად ხშირად იგი ანადგურებს ყველას ისე, რომ მისი მტრებიდან და ხშირად მეგობრებიდანაც აღარავინ რჩება. ტირანი საომარ მოქმედებებზე და სამხედრო საქმეზე ხარჯავს დიდი რაოდენობით ფულს და ამ სახსრების ამოღება ხდება ქვეყნის მოსახლეობიდან გადასახადების სახით.

ლიტერატურა:

1. პლატონი, სახელმწიფო, გამომცემლობა „ნეკერი“, 2003
2. პლატონი, ფედონი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1966
3. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წიგნი ი. ჭავჭავაძის სახ. უნ. გამომც., თბ., 2006
4. ფილოსოფიის ისტორია, თსუ გამომცემლობა, 1962
5. ,,ტიმეოსი”, თბ., 1994.
6. ნ. აბრამაშვილი, პლატონი სულის შესახებ, გსუ შრომათა კრებული, 2010.
7. www. newacrop.ru
8. www.platonphoto.com
9. www.lib.ru

რეზიუმე

პლატონი, ერთ-ერთი უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი, ბერძნული უმაღლესი არისტოკრატიის ჩამომავალი, სოკრატეს მოწაფე და არისტოტელეს მასწავლებელი, კარგად იცნობდა ეგვიპტელ ქურუმთა სიბრძნეს. პლატონი სავარაუდოდ ათენში ან ეგინაში დაიბადა, ძვ. წლ. 427 წელს, მაისში ან დეკემბერში. მისი ოჯახი ძველი ათენელი მეფეების გენიალოგიის ერთ-ერთი განშტოების შთამომავლად ითვლებოდნენ. მან ათენში დააარსა სკოლა-აკადემია, რასაც სიკვილამდე ხელმძღვანელობდა 347 წ. ძვ. წ.აღ. პლატონის ბიოგრაფიაში არსანიშნავია ის ფაქტი, რომ პლატონის სახელი არისტოკლე უნდა ყოფილიყო, ხოლო პლატონი მას მისმა გიმნასტიკის მასწავლებელმა არისტონ არგოსელმა მისი ტანადობისა და სიძლიერის გამო დაარქვა. მეორე ვერსიაა, რომ პლატონს სახელი მისი ფართო შუბლის ან მისი ვრცელი შეხედულების გამო ეწოდა.

პლატონის შრომები მისი 50 წლის მოღვაწეობის ნაყოფია. მათი უმრავლესობა დიალოგის ფორმითაა დაწერილი. ეს შრომები ძლიერია ფორმითაც და შინაარსითაც. შემდგომ ბევრმა სცადა დაეწერა მხატვრული და ამავე დროს ფილოსოფიური ნაშრომი, მაგრამ ამ ორი ელემენტის შეხამება ისე, როგორც ეს პლატონს ჰქონდა, ვერავინ მოახერხა. პლატონის დიალოგებს ერთგვარი დაუმთავრებლობა ახასიათებს. დიალოგის ბოლოს იგი საკითხს თითქოს გადაუჭრელად ტოვებდა, რადგან პლატონს ფილოსოფია მიაჩნდა ძიებად და არა დასრულებულ შედეგების მომცემ მეცნიერებად. პლატონს ეკუთვნის „სოკრატეს აპოლოგია“, 35 დიალოგი, 13 წერილი და 25 ეპიგრამა.

THE MODEL OF THE IDEAL STATE BASED ON THE “STATE” BY PLATO

Klara Elchibegashvili, Full Professor

RESUME

Plato, one of the greatest Greek philosophers, descendant of the Greek aristocracy, Socrates’ apprentice, knew the wisdom of Egyptian priests. Plato was born either in Athens or Egina in 427 BC, either in May or December. His family was considered as one of the descendents of the genealogy of Athens’ Kings. In Athens he founded a school-academy and managed it till the end of the life. He died in 347 BC. There is a fact in his biography that his name should be Aristocle, but his gymnastics teacher named him Plato because of his physical stateliness. According to another version, he was named Plato because of his broad forehead.

Plato’s works are results of his 50-year work. Most of them are written in the dialogue form. These works are strong with their form and content. After Plato nearly nobody could write at the same time artistic and philosophic works. Plato’s dialogues seem to be unfinished. At the end of each dialogue the solution of a problem is not clear, because Plato considered philosophy as a way of searching and not a science of results. Plato is an author of “Socrates’ Apology”, 35 dialogues, 13 letters and 25 epigrams.

სისხლის სამართლის სასჯელები ფეოდალურ საქართველოში

შალვა ვანიშვილი, აკადემიური დოქტორი

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას, როგორც სამეცნიერო-სასწავლო მეცნიერებას, საფუძველი ი. ჯავახიშვილმა ჩაუყარა. ამ ქართველოლოგიურ-იურიდიული მეცნიერებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ი. ჯავახიშვილმა, ჩვენამდე მოღწეული საკანონმდებლო და ნარატიული წყაროების ანალიზის საფუძველზე, პირველმა ჩამოაყალიბა და შეისწავლა ქართული ფეოდალური სასამართლოს სისტემა და მისი დარგები (სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი და სხვ.), დაადგინა ქართული იურიდიული ტერმინოლოგია,

განსაზღვრა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები და ა.შ. შედარებითი სამართალმცოდნეობის მიხედვით შუა საუკუნეების ქართული იურიდიული მეცნიერების პრობლემების შესწავლისას ი. ჯავახიშვილის მიერ მიღებული შედეგებისა და აგრეთვე, მის მიერ განსაზღვრული კვლევის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინება საქართველოს ისტორიისა და ქართველოლოგიურ-იურიდიული მეცნიერების მრავალი სადავო საკითხის გარკვევის შესაძლებლობას გვაძლევს.

ფეოდალური ქართული სამართლის შესწავლისას ი. ჯავახიშვილმა დიდი ყურადღება დაუთმო ამ ეპოქის სისხლის სამართლის დანაშაულისა და სასჯელის საკითხებს. სხვა პრობლემებთან ერთად ქართული ფეოდალური სამართლიდან მან პირველმა სპეციალურად გამოიკვლია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და მისი სახეები. ი. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ ფეოდალური საქართველოს სისხლის სამართალი იცნობდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ორ სახეს: პირველი, განდგომა-ღალატს და მეორე, მეფის შეურაცხყოფას. სახელმწიფო დანაშაულის ამ სახეების დახასიათება კონკრეტული სამართალებრივი შემთხვევების გადმოცემასთან ერთად უმთავრესად გვხვდება ნარატიულ წყაროებში. რაც შეეხება ჩვენამდე მოღწეულ საკანონმდებლო ძეგლებს, ისინი სახელმწიფო დანაშაულობათა შესახებ ნორმატიული ხასიათის უმნიშვნელო მითითებებს შეიცავენ. ამის მიზეზი ის არის, რომ ფეოდალური სამართალი და განსაკუთრებით სისხლის სამართალი, სუვერენის აშკარა ძალადობასა და თანამდებობაზეა დამყარებული. იგი „მუშტის სამართალია“. სუვერენის წარმოდგენით, სამართალი მხოლოდ ის არის, რაც მას მოესურვება. ამიტომ ფეოდალურ სამართალში, როგორც წესი, წინასწარ არც კი არის სრულად გათვალისწინებული სამართალდარღვევები, კერძოდ, კანონმდებელი განზრახ უვლის გვერდს სახელმწიფო დანაშაულებათა ამომწურავ ჩამოყალიბებას. მეტიც, სამეფო ხელისუფლება დაინტერესებულიც კი არ არის, რომ საკანონმდებლო წესით დამტკიცდეს ყველა ის მოქმედება, რომლებიც, მისი შეხედულებით, სახელმწიფო დანაშაულია, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დანაშაული სამეფო ხელისუფლების ყველაზე საშიშ დანაშაულად მიაჩნია. საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება იმდენად რთულია, რომ ყველა მოქმედება, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება საშიში აღმოჩნდეს სუვერენის ხელისუფლებისათვის, იმ დროს მოწინავე იურიდიული ტექნიკის არარსებობისას შეუძლებელი იყო წინასწარ გაეთვალისწინებინა კანონმდებელს ფეოდალურ „მუშტის სამართალში“. ამიტომ იმის გადაწყვეტა, თუ რომელი მოქმედება წარმოადგენს საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სახელმწიფო დანაშაულს, ხდებოდა სუვერენის ნებით, კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად, რაც ძალიან ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობაში არც კი იყო ფიქსირებული. ფეოდალიზმის ეპოქაში სასამართლო პრაქტიკა წინ უსწრებს კანონმდებლობას, ეს მოვლენა ყველაზე ხშირად ნათლად ჩანს სახელმწიფო დანაშაულის მაგალითზე. აქედან ცხადია, რომ ის, რაც შეუძლებელია გავიგოთ ჩვენამდე მოღწეული საკანონმდებლო ძეგლებით, ძირითადად უნდა დადგინდეს ნარატიული წყაროებით, რომლებშიც ჩამოთვლილია ცალკეული სახელმწიფო დანაშაულებანი და მათ წინააღმდეგ გამოყენებული სასჯელები. ამიტომ იყო, რომ ი. ჯავახიშვილი მის მიერ მითითებულ ორივე სახის დანაშაულს იმოწმებს არა საკანონმდებლო ძეგლებით, არამედ ნორატიული წყაროებით. კერძოდ, ისეთი სახელმწიფო დანაშაული, როგორიცაა განდგომა-ღალატი, ი. ჯავახიშვილს დამოწმებული აქვს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“, „მატიანე ქართლისაჲს“ და სხვა ისტორიული წყაროების მიხედვით. ახასიათებს რა განდგომა-ღალატს, როგორც როგორც სახელმწიფო დანაშაულის ერთ-ერთ მთავარ სახეს, ი. ჯავახიშვილი წერს: „განდგომა და ღალატი, ან მეფობის მაძიებლობაზე, ან უფრო ხშირად მეფესა და მოწინავე წოდებას შორის არსებული ბრძოლის ნიადაგზე იყო ხოლმე აღმოცენებული. პირველ ჯგუფს ეკუთვნის მაგ., გიორგი აფხაზთა მეფის შვილის კონსტანტინეს „განდგომა“, რომელმაც „იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა“. ამგვარისავე თვისებისა იყო თეოდოსის „განდგომაც“, რომელიც ჭლამობდა მკლავით აღებასა მამულისა თჳსისა დავითისა, დიმიტრი I-ის ძისა, რომელმაც „ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა თჳსისა (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 513, გვ. 386) დალია თავისი ძალ-ღონე, - დემნასი (იქვე, 614-617, გვ. 378-390) და სხვათა“.

ი. ჯავახიშვილი მის მიერ დადგენილი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მეორე სახე, კერძოდ, მეფის შეურაცხყოფა, ანუ მეფისათვის „არა საკადრებელ სიტყუათა თქუმა“, დამოწმებული აქვს აგრეთვე არა საკანონმდებლო ძეგლების, არამედ ისტორიული წყაროების მიხედვით. იგი წერს: „თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს სახელდობრ, რომ რუმის სულტანმა საქართველოს ბატონს ელჩი გამოუგზავნა და თან წერილი გამოატანა. მოსული მოციქული რომ მეფესთან შეიყვანეს, მან თურმე „წიგნი მისცა,“ წარდგა და იწყო არასაკადრებელ სიტყუათა თქუმად: „უკეთუ მეფემან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად, თუ უკეთუ არ დაუტეოს სჯული იყოს ხარჭად სულტანისა-ო“.

ამრიგად, ი. ჯავახიშვილის გამოკვლევის მიხედვით, ფეოდალური საქართველოს სისხლის სამართალი იცნობს შემდეგი ორი სახის სახელმწიფო დანაშაულს: პირველი, განდგომა-ღალატი და მეორე, მეფის სიტყვიერი შეურაცხყოფა. ი. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, განსაკუთრებით კი განდგომა-ღალატი, წყაროებში ძალიან ხშირად სხვადასხვა ტერმინით არის აღნიშნული, მაგრამ სახელმწიფო დანაშაულთა აღმნიშვნელი ურთიერთგანსხვავებული ტერმინები მიუთითებენ არა შინაარსობრივად სხვა სამართალდარღვევებზე, არამედ იმ სახელმწიფო დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე, მისი სუბიექტების ორგანიზებული მოქმედების ხასიათზე და, აგრეთვე, იმ ხერხებსა და მეთოდებზე, რომელთაც იყენებდნენ სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენი პირები.

ქართველი ხალხის დიდი ხნის ბრძოლა ქვეყნის დაქსაქსულობის დასაძლევად X საუკუნეში დამთავრდა, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებით. საქართველოში, განსაკუთრებით მისი პოლიტიკური გაერთიანების ეპოქაში, მიმდინარეობდა მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლა, რომელიც მრავალგვარი სახელმწიფო დანაშაულებათა საფუძველი გახდა. ფეოდალური საქართველოს საკანონმდებლო და ნარატიული წყაროების საგულდაგულო შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მათში, ჯერ ერთი, გვხვდება ზოგიერთი ისეთი იურიდიული ტერმინი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ზემოაღნიშნულ სახელმწიფო დანაშაულობათაგან განსხვავებულ დანაშაულზე და, გარდა ამისა, აქვე აღწერილია მოქმედებანი, ყოველგვარი ტერმინოლოგიური სამოსლის გარეშე, რომლებიც აშკარად სახელმწიფო დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. ამ მიმართულებით წარმოებულმა მუშაობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქართული ფეოდალური სამართალი იცნობს ზემოაღნიშნული ორი სახის სახელმწიფო დანაშაულის გარდა სხვა სახის სახელმწიფო დანაშაულებსაც, რომლებიც ქართული სამართლის ისტორიაში არ არის აღნიშნული. ჩვენს მიერ გამოვლენილ სახელმწიფო დანაშაულთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1. *მეფის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო დანაშაული,* რომელიც მიზნად ისახავდა მეფის მოკვლას, დატყვევებას და ა.შ. ამ კატეგორიის სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტი შეიძლება ყოფილიყო როგორც საქართველოს სახელმწიფო ქვეშევრდომები, ასევე უცხოელიც. როგორც უცხოური წყაროები ცხადყოფენ, 542 წელს ბერძენმა მხედართმთავრებმა ვერაგულად მოკლეს კოლხეთის მეფე გუბაზი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეებმა ჩაიდინეს სახელმწიფო დანაშაული. ბრძოლის ველზე ისინი თავს დაესხნენ დავით აღმაშენებელს: „კუალად ციხესა რომელსამე ბრძოდეს ქართლს და მეფე კარსა კარვისა თჳსისა დგა, პერანგითა მოსილი ოდენ, შუა-დღე, და ციხით ვინმე შემოსტყორცნა ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშვიდობით“. მეფის მოკვლის მცდელობის შემთხვევები ხშირი იყო დავით აღმაშენებლის ეპოქაში: „რაოდენ - გზის ყივჩაღთა თჳსთა განიზრახეს ღალატი, და განაჩინნეს კაცნი მხნენი, რომენიმე ჴმრლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა, და არასოდეს მიუშუა „ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალსა ზედა“.

წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები არა მარტო უცხოელთა, არამედ ქართველ ქვეშევრდომთა მიერ საკუთარი მეფის მოკვლის შესახებ, კერძოდ, ტაო-კლარჯეთის პირველი მთავარი ბაგრატიონთა გვარიდან აშოტი სწორედ მისმა ქვეშევრდომებმა მოკლეს. მატიანე ქართლისაჲს ავტორი გვაუწყებს: „და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბნის ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი“.

მეფის წინააღმდეგ მიმართულ სახელმწიფო დანაშაულთა შორის ქართული წყაროები იცნობს მეფის დატყვევებას. ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ რაჭის ერისთავმა კახაბერმა „წარავლინა კაცი და წიგნი ალიყანს თანა ათასისთავსა, რომელი იდგის მთათა ჯავახეთისათა და კოლისათა, რათა პირველისაებრ დაესხას მეფეს, და ადვილად ხელთ იტეოს მეფე“. მეფემ ყველაფერი შეიტყო და დანაშაულისათვის კახაბერს „მიეგო მისაგებელი ბოროტი... მეფემან პირველთუალი დასწუა, და მერმე ერთი ჴელი და ერთჲ ფერჯი მოჰკუეთა, და ორნი შვილნი მისნი მისცა ექსორიობად“.

2. *ღავღავი, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.* სახელმწიფო დანაშაულის ეს სახე ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში მხოლოდ ერთხელ გვხვდება. მის მიერ მოთხრობილი ამბების ერთ ეპიზოდში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: „ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულად შემოყენებული უღელსა ქვეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა, რამეთუ ოდესმე ყვიან ღავღავი და თჳნიერ მიზეზისაც მისრიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი და ტყუეობად და სიკუდილად მისციან“. პირველად ამ ტერმინის განმარტება მოგვცა სულხან-საბა ორბელიანმა, რომლის ლექსიკონში ნათქვამია: „ღავღავი, შეთქმულობა უბრალოთა

ზედა (ქართლ. ცხ.)". იგივე გაიმეორა ს. ყაუხჩიშვილმა ქართლის ცხოვრების ძეგლთა ენის შესწავლისას. მის მიერ შესწავლილ დანაშაულთა სისტემაში ი. ჯავახიშვილი ღავღავს არ მოიხსენიებს, მაგრამ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში ტერმინი „ღავღავი" გამოყენებულია სამართალსაწინააღმდეგო მოქმედების აღმნიშვნელად, კერძოდ, ისტორიკოსი მიუთითებს, რომ როცა თბილისი ჯერ კიდევ მთლიანად არ ჰქონდა დაპყრობილი ქართველებს და ქალაქში მრავლად იყო დ. აღმაშნებლისადმი ოპოზიციურად განწყობილი მაჰმადიანური მოსახლეობა. ეს უკნასკნელი უმიზეზოდ, უბრალოდ სპობდა ქრისტიანებს, სადაც კი წაასწრებდა. რა თქმა უნდა, გამარჯვებულ ქრისტიანთა წინააღმდეგ მაჰმადიანური მოსახლეობის ეს ბრძოლა არსებითად მიმართული იყო დამპყრობელი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ და იგი, როგორც საშიში სახელმწიფო დანაშაული, დიდად აწუხებდა დავით აღმაშენებელს: „ესრეთ ისრვოდა ქვეყანა მრავალჟამ, რომელი - ესე ფრიად ეძნებოდა სულსა დავითისასა".

ამრიგად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ თბილისის დამარცხებული მაჰმადიანური მოსახლეობის მიერ მოწყობილი ამბოხება, გადმოცემული იურიდიული ტერმინი „ღავღავი", წარმოადგენს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის განსაკუთრებულ სახეს.

3. *სახელმწიფო დანაშაული, მიმართული ქვეყანაში არსებული პოლიტიკური წყობილების ფორმის შესაცვლელად.* სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ამ სახის გამომხატველ სამართლებრივ ტერმინს შუა საუკუნეების ქართული იურიდიული მეცნიერება არ იცნობს, პოლიტიკური წყობილების ფორმის შეცვლის მიზნით მოწყობილი სახელმწიფო დანაშაულის ადეკვატური ტერმინი ვერ მოუნახავს, რადგან წინათ ამგვარ დანაშაულს საქართველოში ადგილი არ ჰქონია და სახელმწიფო დანაშაულობათა აღმნიშვნელი ძველი ტერმინები მის დასახასიათებლად, რა თქმა უნდა, არ გამოდგებოდა. ამიტომ პოლიტიკური წყობილების შესაცვლელად მოწყობილ სახელმწიფო დანაშაულს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" უცნობი ავტორი უბრალოდ უწოდებს „უცხოდ მოსაგონებელს". ეს სახელმწიფო დანაშაულია ყუთლუ არსლანის დასის აჯანყება თამარ მეფის წინააღმდეგ. მის შესახებ ანონიმი ავტორის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" ნათქვამია შემდეგი: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი, ყუთლუ არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმა, ვითარ მისცეს ნიჭთა გონებისა მზაკუარობა, მომღებელმან წესსა რისამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასმილნი მუნ შიგა, გამგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი".

ციტირებული ადგილიდან ნათლად ჩანს, რომ ყუთლუ-არსლანის გამოსვლით აღშფოთებულია მემატიანე, მაგრამ ამ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს არ უწოდებს არც განდგომას, არც ღალატს და ა.შ., რაც ცხადყოფს, რომ იგი ყუთლუ-არსლანის დანაშაულებრივ მოქმედებას თავისი იურიდიული ბუნებით და კლასობრივი მიზნით პრინციპულად ანსხვავებენ ჩვენთვის უკვე ცნობილი სხვა სახელმწიფო დანაშაულობათაგან. ბუნებრივია, ისმება კითხვა, როგორ აეხსნათ მემატიანის ეს მოქმედება, კერძოდ, რით ანსხვავებს იგი ყუთლუ-არსლანის დასის მოქმედებას, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს ამ კატეგორიის დანაშაულობათა სხვა სახეებისაგან? ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა სახელმწიფო დანაშაულთა იურიდიული ანალიზი, მათი მიზნის, მოტივის, სუბიექტისა და სხვათა მიხედვით, კერძოდ, პირველ ყოვლისა, გარკვეული უნდა იქნეს ორი ძირითადი საკითხი, პირველი, ვინ არიან როგორც ჩვენთვის ცნობილი იურიდიული ტერმინებით (განდგომა-ღალატი, ღავღავი და ა.შ.) კვალიფიცირებული, ასევე შესაბამისი იურიდიული ტერმინის გარეშე დახასიათებული სახელმწიფო დანაშაულის, კერძოდ, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური გამოსვლის სუბიექტები და, მეორე, ეს სახელმწიფო დანაშაულობანი რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მიზნის მიხედვით.

რაც შეეხება ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილ სახელმწიფო დანაშაულს, რომელსაც მემატიანე ყოველგვარი იურიდიული ტერმინის გარეშე „უცხოდ მოსაგონებელს" უწოდებს, მისი სუბიექტები, როგორც ეს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ტექსტიდან ჩანს, არიან დიდებულები და ლაშქარი. ი. ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია მათი სოციალური ბუნება და დაადგინა, რომ დიდებულთა „სადაურობა-წარმოშობილობა ერთნაირი არ ყოფილა: ზოგი მათგანი გვარიან აზნაურთა წოდების წევრი იყო, ზოგი უაზნოთა წრითგან აღზევებული იყო". იგივე შეიძლება ითხვას „ლაშქარზე", რომელიც ჯარსაც და რაინდობასაც ნიშნავს, მაგრამ „ჯარშიაც და რაინდობაშიაც მარტო ერთი სოციალური წრე არ შედიოდა". ალბათ, ამის გამო არის, რომ „ლაშქარნი" გვევლინებიან როგორც მოხელე-აზნაურთა „განდგომა-ღალატის", ასევე ყუთლუ-არსლანის აჯანყების სუბიექტებად, მართალია, დიდგვარიან მოხელე-აზნაურთა „განდგომა-ღალატის" ტერმინით კვალიფიცირებული

სახელმწიფო დანაშაულის მრავალ სუბიექტთა შორის „ლაშქარიც“ არის დასახელებული, ხოლო ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტები ისევე „ლაშქარი“ იყო, მაგრამ როგორც ი. ჯავახიშვილმა დაადგინა, ლაშქარი სხვადასხვა სოციალური წრისაგან შედგებოდა, სწორედ ამის გამო არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს განდგომა-ღალატისა და ყუთლუ-არსლანის აჯანყების სუბიექტთა მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაული „ერთიდაიმავე წრის... ერთიდაიმავე პოლიტიკური პროგრამისა, მიზნისა და გეგმის მქონებელი დასის ნამოქმედარი იყო“.

ამრიგად, სუბიექტების მიხედვით განდგომა-ღალატის ტერმინით აღნიშნული სახელმწიფო დანაშაული განსხვავდება ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულისაგან, რომლის აღმნიშვნელი ტერმინი მემატიანეს არ გააჩნია. ცხადია, ყუთლუ-არსლანის აჯანყების მონაწილეები რომ მხოლოდ დიდგვარიანები ყოფილიყვნენ, მაშინ, რა თქმა უნდა, მემატიანე ამ დიდი, პოლიტიკური მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენებდა მისთვის კარგად ცნობილ იურიდიულ ტერმინს „განდგომა-ღალატს“, მაგრამ იგი ამ ტერმინს განზრახ არ იყენებს და მისგან განსხვავებულად ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის თავისებურებების გადმოსაცემად „უცხოდ მოსაგონებელს“ უწოდებს.

ყუთლუ-არსლანის დასის მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის სხვა, ჩვენთვის ცნობილი იურიდიული ტერმინებით კვალიფიცირებული სახელმწიფო დანაშაულობებისაგან განსასხვავებლად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიზნის განსაზღვრას, რომელსაც ისინი ისახავდნენ.

ამრიგად, განდგომა-ღალატი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულია, რომელიც მიზნად ისახავს სამეფო ხელისუფლების ზეგავლენის შესუსტებას ადგილობრივი ხელისუფლების სასარგებლოდ და არა ამ ხელისუფლების რომელიმე ნაწილის მიტაცებას. ამ ტერმინით დახასიათებული სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტები დიდმოხელე მსხვილი ფეოდალები არიან, რომლებიც დაკავებული თანამდებობით მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამეფო ხელისუფლებასთან და მონარქიული წყობილების შეცვლის შემთხვევაში მათი დიდმოხელეობა დაკარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას. ყუთლუ-არსლანის აჯანყება კი ისეთი სახელმწიფო დანაშაულია, რომელიც ასევე მიმართულია სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ იგი მიზნად ისახავს სახელმწიფოს ძველი მონარქიული წყობილების რეორგანიზაციას, მეფის მონისტური ხელისუფლებისაგან მისი ძირითადი ნაწილის, საკანონმდებლო ხელისუფლების ჩამოშორებას, ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შედგენილობისა და მისი პოლიტიკური პროგრამის გაგებაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მეცნიერებაში ერთხმად არის აღიარებული, რომ იგი მიზნად ისახავს არსებული სახელმწიფო წყობილების შეცვლას.

ამრიგად, ი. ჯავახიშვილის მიერ გამოკვლეული ორი სახელმწიფო დანაშაულის (განდგომა-ღალატი და მეფის სიტყვიერი შეურაცხყოფა) გარდა, ქართული ფეოდალური სამართალი იცნობდა სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ სახეებს: დანაშაულს, მიმართულს მეფის სიცოცხლის წინააღმდეგ, დანაშაულს მიმართულს სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლისაკენ და დანაშაულის სპეციფიკურ სახეს, ანუ ღავღავს. ყველა ეს სახელმწიფო დანაშაული ერთმანეთისაგან განსხვავდება სუბიექტებით, მიზნებითა და კლასობრივი შინაარსით.

ლიტერატურა:

1. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, ტფ., 1929;
2. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973;
3. ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო ურთიერთობაში (საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965); რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973;
4. გეორგიკა, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965; გეორგიკა, ტ. III, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936;
5. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, შემდეგში დავასახელებთ შემოკლებით, ტ. I, თბ., 1955;
6. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959;
7. ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდა, თბ., 1966; მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები X-XII საუკუნეებში, თბ., 1981

8. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961
9. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ, 1920

რეზიუმე

ფეოდალური საქართველოს სისხლის სამართალი იცნობდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ორ სახეს: პირველი, განდგომა-ღალატსა და მეორე, მეფის შეურაცხყოფას. ქართული ფეოდალური სამართალი და განსაკუთრებით სისხლის სამართალი სუვერენის აშკარა ძალადობასა და თანამდებობაზეა დამყარებული. იგი „მუშტის სამართალია“. ფეოდალიზმის ეპოქაში სასამართლო პრაქტიკა წინ უსწრებს კანონმდებლობას. ეს მოვლენა ყველაზე ნათლად ჩანს სახელმწიფო დანაშაულის მაგალითზე.

CRIMINAL LAW PUNISHMENTS IN FEUDAL GEORGIA

Shalva Vanishvili, Academic Doctor

RESUME

Criminal law of feudal Georgia dealt with two types of crime directed against the state: the first, apostasy-treason and the second, abuse of a king. The law and especially the criminal law of feudal Georgia was established on the obvious violence and position of a sovereign. It was “a law of fist”. In the feudal epoch the court practice preceded the legislation. This fact is clearly seen on the example of the state crime.

ლინგვისტიკა
Linguistics

SCHWIERIGKEITEN GEORGISCHER DEUTSCHLERNENDER BEI DER LAUTPRODUKTION (AUF EINE EMPYRISCHE UNTERSUCHUNG BASIERTE ARBEIT)

Giorgi Kobachidse, *Fachkraft für Auslandsbeziehungen*

1. Einführung

Im Rahmen meiner Magisterarbeit führte ich 17 Interviews durch. Ziel der Interviews war es festzustellen, welche Schwierigkeiten gerogische Deutschlernende bei der Produktion deutscher Laute haben. Die Interviewpartner mussten von mir gezielt für die Interviews vorbereitete Sätze und Wörter vorlesen. Für die Arbeit wertete ich sieben von diesen Interviews aus. Die vorligende Arbeit basiert auf die Ergebnisse dieser Interviews.

2.Was ist ein Fehler?

Die Schwierigkeiten bei der Aussprache führen bei den georgischen Deutschlernenden zu Fehlern bei der Aussprache. Fehler im Lehrprozeß sind an sich nichts ungewohnliches und schlimmes. Sie kann man auch als „Zeichen für Entwicklungen bei Schülern und als Arbeitsauftrag für Lehrende“[1] sehen. Diese auftretenden Fehler aber können teilweise zu Verständigugnsschwierigkeiten bei der Kommunikation mit den deutschen Muttersprachlern führen. Besonders das fehlende Gefühl seitens georgischen Deutschlernender für lange und

[1] Slembek, Edith: Lehrbuch für Fehleranalyse und Fehlertherapie; Agentur Dieck; Heinsberg; 1986; S.19.

kurze Vokale sowie fehlerhafte Betonung können oft zu Fehlern führen. „Deutsche Hör- und Sprechnormen werden dann nicht erfüllt, Verstehen kann nicht zustande kommen.“[2] Doch was ist ein Fehler? Welche Erscheinungen können als „Fehler“ bewertet werden? Als Fehler sind Abweichungen von der deutschen Standardaussprache zu bewerten.

3. Deutsche Laute vs. Georgische

3.1. Die Vokale

Wie schon erwähnt, stellt die Vokalquantität eines Vokals im Georgischen kein distinktives Merkmal dar. Dementsprechend gibt es keine langen und kurzen oder offenen und geschlossenen Vokale. Auch vordere, gerundete Vokale kennt die Sprache nicht.[3] Die Anzahl der vokalischen Laute im Georgischen ist 5.

Die Zahl der Vokale in der deutschen Sprache beträgt 17.[4] Im Unterschied zum Georgischen sind hier die Quantität oder die Offenheit bzw. Geschlossenheit der Vokale distinktive Merkmale. Ich versuche anhand der selbst zusammengestellten Tabelle die Unterschiede der Vokale beider Sprachen darzustellen:



Zeichnung 1[5]

Anhand der Zeichnung ist deutlich zu sehen, daß die deutschen vorderen Vokale nach meinem Empfinden etwas vorne produziert werden als die des Georgischen. Ein georgischer mittlerer Vokal [a] wird zwischen deutschen [a] und [ä] produziert, wobei die letzten beiden etwas offener sind. Der Georgische hintere Vokal [o] wird etwas weiter vorne produziert und ist etwas geschlossener als das deutsche [o], das deutsche und georgische [u] dagegen wiesen fast die gleiche Artikulationsstelle auf, wobei der zweite etwas offener ist. Auch das georgische [i] ist etwas offener als die deutschen [i, y] und wird etwas weiter hinten produziert als die beiden. Das Georgische [e] dagegen ist etwas geschlossener als die deutschen [e, ø] oder [ɪ, ʏ].

3.2. Die Konsonanten

Ich werde jetzt versuchen auch die Konsonanten beider Sprachen anhand einer selbst zusammengestellten Tabelle kontrastiv darzustellen:

---

[2] Slembek; S. 19.

[3] Vgl. Shaverdashvili, Ekaterine; Deutsch als Fremdsprache: Zur Grundlegung eines Curriculums für den Deutschunterricht in Georgien; Rahmenbedingugnen, historische Entwicklung und gegenwärtige Tendenzen; Germanistik Bd.23; Münster: Lit, 2000.

[4] Bei Bußmann (S. 838) und im Duden (S.25) werden jeweils 17 deutsche Vokale dargestellt. Bei Ternes (S.90-101) ist diese Zahl 15, die [ə] und [ɐ] werden nicht zu den Vokalen gezählt.

[5] Die deutschen Vokale sind mit Fettdruck dargestellt. Durchgezogene Linien – deutsches Vokaldreieck; gestrichelte Linien – georgisches Vokaldreieck.

				Nasal	Oral				
					Verschlußlaute				
						Affrikat	Frikativ	Lateral	Vibrant
Labial	Bilabial	Stimmhaft		**m**	**b**				
		Stimmlos			**p**				
			Abruptiv		*p'*				
	Labio-dental	Stimmhaft					**v**		
		Stimmlos					f		
			Abruptiv						
Präalveolar		Stimmhaft		**n**	**d**	d͡z	**z**	**l**	
		Stimmlos			**t**	t͡s	**s**		
			Abruptiv		*t'*	t͡s'			
Postalveolar		Stimmhaft				d͡ʒ	**ʒ**		**r**
		Stimmlos				t͡ʃ	**ʃ**		
			Abruptiv			t͡ʃ'			
Palatal		Stimmhaft					j[6]		
		Stimmlos					ç		
Velar		Stimmhaft		ŋ	**g**		**r**		
		Stimmlos			**k**		**x**		
			Abruptiv		*k'*				
Uvular		Stimmhaft							
		Stimmlos							
			Abruptiv		*q'*[7]				
Larynal		Stimmlos					**h**		

Tabelle 1[8]

[6] Bei Ternes palataler Halbvokal; Vgl. Ternes; S. 102.
[7] Bei Achwlediani wird dieser Konsonant als pharyngal eingestuft. Vgl. Achwlediani; S. 80.
[8] Die Konsonanten, die in beiden Sprachen vorkommen, sind durch Fettdruch gekennzeichnet. Die nur im Georgischen vorkommenden Laute sind kursiv dargestellt. Vgl. Ternes; S.102 sowie Tschchenkeli, S. XLVIII; Duden 1998, S.26,28;

Anhand dieser Tabelle ist zu sehen, daß das Georgische kein [ŋ] und kein [ç] kennt. Dementsprechend haben georgischsprachige Deutschlernende Schwierigkeiten bei der Produktion dieser Laute. Das Deutsche kennt dagegen keine Abruptive.

4. Standardaussprache des Deutschen

Hinsichtlich der Aussprachenorm des Deutschen gibt es in Deutschland heutzutage drei Werke, die man als maßgebend bezeichnen kann. Sie sind:

1. Duden Aussprachewörterbuch, Der große Duden Band 6;
2. Siebs, Deutsche Hochsprache (Bühnenaussprache);
3. Wörterbuch der deutschen Aussprache (WDA); 1964 oder Großes Wörterbuch der deutschen Aussprache(GWDA); 1982.

Zwischen diesen drei Werken gibt es bei genauer Betrachtung einige Unstimmigkeiten.[9] Da ich in meiner Arbeit bei der Festlegung deutscher Phoneme fast aussschließlich den Duden verwende, werde ich hier die Unterschiede zwischen den drei Werken nicht näher diskutieren.

Der Duden unterscheidet zwischen genormten und ungenormten Lautungen. Unter genormter Lautung werden Standardlautung und Bühnenaussprache eingeordnet. Für uns ist die Standardlautung wichtig, die im Duden als Synonym für die Standardaussprache verwendet wird. Die deutsche Standardlautung basiert sich auf der Aussprache ,,geschulter Rundfunkß und Fernsehersprecher.“[10] Die Standardlautung ist laut Duden nah an der Sprachwirklichkeit, überregional, einheitlich, schriftnah und deutlich.

Die ebenso unter die genormte Lautung eingeordnete Bühnenaussprache isr nicht so nah an der Sprachwirklichkeit, wie die Standardlautung, ist allerdings eine ideale Norm. Die Bühnenaussprache ist genau so wie Standardlautung überregional, aber einheitlicher, schriftnäher und deutlicher.[11]

Unter der ungenormter Lautung werden im Duden die Umgangslautumg und Überlautung eingeordnet. Die umgangslautung ist „gegenüber der Standardlautung durch einen schwer übersehbaren Reichtum an individuellen, regionalen und sozialen Abstufungen gekennzeichnet.“[12] Sie wird „für Wiedergabe sprachlich und inhaltlich weniger anspruchsvoller Texte verwendet.“[13] Sie wird für den alltäglichen Gebrauch zu Hause oder auf der Straße verwendet.

In den Situationen, in denen besonders hohe Deutlichkeit angebracht ist (zum Beispiel Diktat oder laute Umgebung), wird die Überlautung verwendet. Sie „st deutlicher und schriftsnnäher als Standardlautung.“[14]

5. Standardaussprache des Georgischen

Trotz langer suche ist es mir nicht gelungen, ein Werk zu finden, in dem die georgische Standardaussprache festgelegt wäre. Außer diskussionen über die Betonung in georgischen wörtern besteht anscheinend kein Bedarf, irgend etwas in der georgischen Aussprache näher zu analysieren. Es scheint in diesem Bereich alls klar und deutlich zu sein. Es mag daran liegen, daß die georgische Aussprachеso „einfach“ ist. Die Länge der Laute und die Betonung sind nicht bedeutungsunterscheidend.

Eine Standadaussprache des Georgischen sollte meiner Meinung nach sehr nah an der Literatursprache oser fast identisch zu ihr sein. Abweichungen würden in manchen Fällen entstehen. Auch in Georgien sprechen die „die geschulten Rundfunk und Fernsehsprecher“[15] größtenteils das „Hochgeorgisch“. Von den zahlreichen Dialekten ist der kartlische am nächsten an der Literatursprache, denn diese basiert auf dem kartlischen Dialekt.

6. Der Laut [f]

Duden Aussprachewörterbuch, Wörterbuch der deutschen Srandardaussprache; 4., neu bearbeitete und aktualiserte Auflage; Band 6; Mannheim, 2000; S.14.

[9] Vgl. Ungeheuer, Gerold: Duden, Siebs und WDA: drei Wörterbücher der deutschen Hochlautung. In: Materialien zur Phonetik des Deutschen, hrsg. Von Ungeheuer, Gerold. Helmut Buske Verlag Hamburg; 1977. S. 47-62.

[10] Duden, Band 6; 2000; S.34.

[11] Vgl. Duden Band 6; 2000; S.62.

[12] Duden Band 6; 2000; S.64.

[13] Duden Band 6; 2000; S.64.

[14] Duden Band 6; 2000; S.67. Vgl. Duden Band 6; 2000; S.64-67.

[15] Duden, Band 6; 2000; S.34.

Dieser Laut sollte meiner Meinung nach extra besprochen werden. Wie oben schon gesehen, kennt die geschriebene georgische Sprache gar kein [f]. Es gibt kein Graphem, das diesem laut entspricht. Doch wird das [f] sehr häufig benutzt. Grund dafür sind Neologismen, demm dieser Laut wird ausschließlich in den Fremdwörtern verwendet. Auch in diesen Fällen kommt zu Abweichungen zwischen den geschriebenen und gesprochenen Sprachen:
<ფანტა> (<pan'ta> ***die Fanta***) wird ausgesprochen wie [fanta],
<ფრანკფურტი> (<prank'purt'i> ***Frankfurt***) wird ausgesprochen wie [frankfurti].

7. Ausspracheschwierigkeiten der georgischen Deutschlernenden

Es war für mich eine große Herausforderung für mich ein solches Thema zu bearbeiten, da es keine für mich bekannte Werke werder in georgische noch in der deutschn Sprache gibt, in den die Ausspracheschwierigkeiten der georgischen Deutschlernenden ausführlich besprochen werden. Das einzige Werk, in dem dieses Thema kurz erläutert wird, ist die Dissertation von Frau Ekaterine Shaverdashvili.[16] „Es ist wichtig [im Deutschunterricht], die phonetischen Erscheinungen zu beachten, die in der georgischen Sprache fehlen. Diese Erscheinungen sind kontrastiv zu behandeln."[17] Es werden folgende phonetischen und phonologischen Lauterscheinungen des Deutschen genannt, die im Georgischen fehlen:

1. Dehnungsvokale h und e
2. lange und kurze Vokale
3. offene und geschlossene Vokale
4. Knacklaute
5. Umlaute (ä,ö, ü)
6. Diphtonge (au, äu, oe, ei)
7. vordere gerundete Vokale
8. Doppelkonsonanten wie ss, tt usw.[18]

Punkte 6 und 8 sollten meiner Meinung nach näher diskutiert werden. Doch werde ich hier darauf verzichten.
Hier muß man kurz anmerken, daß im Gegensatz zu solchen Problemmfällen wie zum Beispiel die Aussprache der vorderen gerundeten Vokalen oder die Unterscheidung von langen und kurzen Vokalen das Produzieren der Doppelkonsonanten keinerlei Schwierigkeit für georgische Deutschlernende darstellt. Es gibt aber genug andere Laute oder Lautkombinationen, die den Interviewpartnern Probleme bereitet haben. Während der Durchführung dieser Interviews ist es klar geworden, welch enorme Schwierigkeiten die georgischen Deutschlernenden mir der deutschen Aussprache haben. Unten werde ich versuchen, diese Schwierigkeiten einzehln darzustellen.

8. Umlaute

Neben der Betonung und Vokalquantität stellt die Aussprache der Umlaute die größte Schwierigkeit dar. Fast in allen Fällen werden von Angängern [o] statt [œ] oder [ø] ausgesprochen.

9. Betonung

Wie schon erwähnt, gehört die fehlerhafte Wortbetonung zu den häufigsten und hartnäckigsten Fehlern bei den georgischen Deutschlernenden. Da die Wörter im Georgischen so gut wie immer auf die erste Silbe betont werden, wäre zu erwarten, daß die Wörter im Deutschen auch an dieser Stelle betont werden. Die Auswertung der Interviews zeigt aber, daß die Wörter im Deutschen meist von Anfängern sehr willkürlich betont werden. Auch wenn manches korrkt betont wird, bekommt man bei den Anfängern oft das Gefühl, daß es nicht bewußt, sondern eher zufällig geschieht. Besonders in den Fremdwörtern im Deutschen hatten die Testpersonen große Schwierigkeiten. Auch die wörter mit den untrennbaren Präfixen werden häufig falsch betont.

10. Lange – kurze Vokale

Auch das Unterscheiden zwischen langen und kurzen Vokalen stellt für die georgischen Deutschlernenden ein enormes Problem dar. Viele Testpersonen hatten in diesem Bereich für mich unerwartet große Schwierigkeiten. Auch hier wird die Quantität des Vokals willkürlich gewählt und auch hier entsteht bei den Interviews der

[16] Shaverdashvili, Ekaterine; Deutsch als Fremdsprache: Zur Grundlegung eines Curriculums für den Deutschunterricht in Georgien; Rahmenbedingugnen, historische Entwicklung und gegenwärtige Tendenzen; Germanistik Bd.23; Münster: Lit, 2000.
[17] Shaverdashvili; S. 248.
[18] Vgl. Shaverdashvili; S. 248-249.

Eindruck, daß es bei den richtig ausgesprochenen Vokalen eher um „Zuffalsprodukte“ handelt als gezielt korrekt ausgesprochenen Vokale.

11. Diphthonge

Auch die Aussprache der Diphthonge gohört zu den Problemfällen bei den georgischen Deutschlernenden. Wie oben schon erwähnt, kemmt die georgische Literatursprache keine derartigen Lautkombinationen. Zwei vokale nebeneinander werden stets einzeln ausgesprochen, wie zum Beispiel მაისი [maisi] ***Mai***; ია [ia] ***Veilchen***; მოიცადე [moit͡sade] ***warte***. Das Gleiche gilt auch für die deutschen Eigennamen im Georgischen. Zum Beispiel: მაინცი [maint͡si] ***Mainz***; აინტრახტი [aint'raxt'i] ***Eintracht***. Aus diesen Gründen werden in den deutschen Wörtern die Vokale in einem Diphthong einzeln und Vollständig ausgesprochen.

12. Andere Ausspracheschwierigkeiten georgischer Deutschlernender-

Nachdem ich meiner Meinung nach die größten Probleme dargestellt habe, versuche ich hier noch ein Paar andere Ausspracheschwierigkeiten kurz zu erläutern.

Als großes Problem stellte die Aussprache des [ç] heraus. Da das Georgische keinen derartigen Laut kennt, wird in meisten Fällen ein [x] oder ein [h] produziert. In manchen Fällen ist es auch ein [k] oder ein [ʃ].

Auch die Realisierung des [ŋ] stellt ein großes Problem dar. In deisen Fällen werden meist zwei einzelne Laute [ng] ausgesprochen.

Allgemein läßt feststellen, daß Vokale, die betont werden, auch lang ausgesprochen werden.

Literaturverzeichnis

Achwlediani, Giorgi; ზოგადი ფონეტიკის შესავალი /zogadi ˈponetikis ˈʃesavali/ (Einführung in die allgemeine Phonetik); zweite Auflage; Verlag Ganatleba; Tbilissi; 1936.

Bußmann, Hadumod; Lexikon der Sprachwissenschaft; 2., völlig neu bearbeitete Auflage; Stuttgart: Kröner 1990.

Duden Aussprachewörterbuch; Wörterbuch der deutschen Standardaussprache; 4., neu bearbeitete und aktualisierte Auflage; Band 6; Mannheim; 2000.

Duden; Grammarik der deutschen Gegenwartssprache; 6., neu bearbeitete Auflage; Mannheim 1998.

Ternes, Elmar; Einführung in die Phonologie; wissenschaftliche Buchgesellschaft; Darmstadt; 1987.

Shaverdashvili, Ekaterine; Deutsch als Fremdsprache: Zur Grundlegung eines Curriculums für den Deutschunterricht in Georgien; Rahmenbedingugnen, historische Entwicklung und gegenwärtige Tendenzen; Germanistik Bd.23; Münster: Lit, 2000.

Slembek, Edith; Lehrbuch für Fehleranalyse und Fehlertherapie; Agentur Dieck; Heinsberg; 1986;

Tschchenkeli, Kita; Einführung in die Georgische Sprache; Band I; Theoretischer Teil; Amirani Verlag; Zürich; 1958.

Ungeheuer, Gerold; Duden, Siebs und WDA: drei Wörterbücher der deutschen Hochlautung. In: Materialien zur Phonetik des Deutschen, hrsg. Von Ungeheuer, Gerold. Helmut Buske Verlag Hamburg; 1977.

ქართველთა საწარმოთქმო სიძნელეები გერმანული ენის შესწავლისას (ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებული ნაშრომი)

გიორგი კობახიძე, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი

რეზიუმე

ნაშრომი მოკლედ წარმოადგენს საწარმოთქმო სიძნელეებს, რომლებსაც ქართველები გერმანული ენის შესწავლისას შეიძლება წააწყდნენ. ნაშრომი ეფუძნება ავტორის მიერ ჩატარებულ ემპირიულ კვლევას.

ნაშრომში კონტრასტულადაა განხილული ქართული და გერმანული ენების ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემები. ამის შემდგომ, ავტორი მოკლედ განიხილავს სიძნელეებს, რომლებიც გერმანული ენის შემსწავლელ ქართველებს ძირითადად უმლაუტების, დიფთონგების, გრძელი და მოკლე ხმოვნების წარმოთქმისას, ასევე მახვილის დასმისას ექმნებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი არ არის განკუთვნილი სასწავლო მიზნებისთვის, იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც გერმანულის შემსწავლელებს, ასევე მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს.

PRONUNCIATION PROBLEMS OF THE GEORGIANS WHILE STUDYING THE GERMAN LANGUAGE (THE WORK BASED ON THE EMPIRICAL STUDY)

Giorgi Kobakhidze, Specialist of International Relations

RESUME

The work deals with a brief description of the pronunciation problems of the Georgians while studying the German Language. The work is based on the empirical study held by the author.

The work deals with the contrasting systems of vowels and consonants in the Georgian and German Languages. After that, the author discusses the problems of the Georgians occurred generally while pronouncing the umlauts, diphthongs, long and short vowels and while making stresses.

The work will assist both the learners and the teachers of the German Language.

არქაიზმები და ინოვაციები ფრონეს ხეობის ქართლურში

მარიამ კობერიძე, *ასოცირებული პროფესორი*

დიალექტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ისეთი მოვლენები, რომლებიც აღარ დასტურდება სალიტერატურო ენაში, მაგრამ ღირებულია საერთო-ეროვნული სისტემის განვითარებისათვის.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოს წარმოადგენს არქაიზმებისა და ინოვაციების საკითხი ფრონეს ხეობის ქართლურში. ,,დიალექტების მიმართ ეს ცნებები ფარდობითია, რადგან საკუთრივ ამა თუ იმ დიალექტისათვის ყველა მასში დადასტურებული ენობრივი მოვლენა სინქრონიული (თანადროული) მონაცემებია, ხოლო ესა თუ ის ენობრივი ფაქტი არის არქაიზმი ან ინოვაცია სალიტერატურო ენისა ან სხვა დიალექტის თვალსაზრისით“ (1,187).

დიალექტებში არქაიზმების მოძიება ღირებულია ენის ისტორიის თვალსაზრისით. ,,დიალექტების ერთ ნაწილს დაცული აქვს ენის ძველი ვითარება; ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს დიალექტი გამოვიყენოთ როგორც რეალურად არსებული მოდელი ენის ისტორიის შესასწავლად (რა თქმა უნდა, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ რა უნდა იყოს საკუთრივ დიალექტური წარმონაქმნი, განსხვავებით საერთო ეროვნული ენის მონაცემებისაგან)“ (1, 188).

ფრონეს ხეობის ქართლურში არქაიზმები, ისე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, წარმოდგენილია ფონემატურ სტრუქტურაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში.

ფონემატურ სტრუქტურაში ამ ტიპისაა ჲ (იოტი), რომელიც უმარცვლოა და წინა ხმოვანთან ერთად დიფთონგს ქმნის. იგი დასტურდება სხვა დიალექტებშიც, მაგრამ განსხვავებულია პოზიციები. ამ მხრივ, ქართლის ყველა კუთხის მეტყველება ერთნაირი არ არის. ,,უფრო გავრცელებულია ქართლის ცენტრალურ ნაწილსა და ქსან-არაგვის ხეობებში. იგი აქა-იქ გვხვდება ქვემო ქართლის ქართლურ მოსახლეობაში. არ არის ფეხმოკიდებული აგრეთვე არც ცხინვალის მიდამოების ლიახვის ხეობაში. ხოლო ბორჯომის ხეობაში, სურამის მიდამოებში და ამ მხრივ რიგ სოფლებში იგი თითქმის სრულებით არ დასტურდება. ამ მხრივ გარდამავალ ზონას წარმოადგენს ფრონის ხეობისა და მისი ახლომახლო სოფლების მეტყველება. ამ ხეობის აღმოსავლეთით მატულობს და შედარებით მასობრივად გვხვდება ცენტრალურ ქართლში, ხოლო დასავლეთით კლებულობს და ვერ აღწევს ქართლ-იმერეთის საზღვრამდე“ (2,132).

ფრონეს ხეობის ქართლურში **ჲ** დასტურდება, როგორც ი ხმოვნის პოზიციური ნაირსახეობა ხმოვნის მომდევნო პოზიციაში სახელობით ბრუნვაში: ,, ვადათ მისცეს ორი კვირაჲ"; ,,დაიბნა დედაჲ, არ იცოდა რა ექნა". აქ მნიშვნელობა არ აქვს სახელი საკუთარია, თუ საზოგადო.

ჲ არის მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნის (ჰ-//ს-//შ-//ზ-) პოზიციური ვარიანტი ხმოვნის შემდეგ. ,,ადგილებ გაზომავ და გაჲჭრი (-გასჭრი -გაჭრი) საძირკველს"; ზოგჯერ ჲ სანთან (და აგრეთვე ჰაესთან) ერთად ჲს (და ჲჰ) კომპლექსს შეადგენს. ,,სწორედ ეს ჲს დიფთონგი უნდა იყოს გარდამავალი საფეხური" (3,130). შემდეგ როგორც ჩანს, ჲს და ჲჰ კომპლექსები მარტივდება და რჩება ჲ. „ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჲს და ჲჰ კომპლექსებს ვხვდებით ქართლის ისეთ კუთხეებშიც, სადაც ს-ს ჲ-დ დასუსტება ჯერ კიდევ არ არის ჩვეულებრივ მოვლენად ქცეული (მაგალითად, ქვემო ქართლის რიგ სოფლებში: დაჲჰკოცნა, აჲჰყვება, ჩაჲსცხეს, გამოჲსტაცა, გაჲსდევს და სხვა" (2, 132).

ზოგჯერ ჲ ჩნდება ხმოვნის შემდეგ და ს ბგერასთან ერთად ჲს დიფთონგს გვაძლევს: ,,ხენწიფეს რაც ეწადა აჲსრულა".

უ (უმარცვლო) დასტურდება მოხუცთა მეტყველებაში ვ ბგერის პოზიციურ ვარიანტად. იგი მოსდევს რომელიმე თანხმოვანს, ან თანხმოვნებს შუაშია: „რამდენი მუარსკვლავიც არიო, იმდენი სიკეთეო", „წუადები გაიწყვეს ბიჭებმა", „იმდენი ხალხი გყუანდა".

მორფოლოგიაში არქაიზმების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ -ებ-იანი მრავლობითის პარალელურად ნ- სუფიქსიანი წარმოება ,,რომელიც ხშირად თავს იჩენს ჩვენებით ნაცვალსახელებსა და რიცხვითი სახელით წარმოდგენილ მსაზღვრელ-საზღვრულში (5,112): ,,ესენი ცხრანი დანი ყოფილან"; ,, ეგენი გულს არაფერს მიაკარებენ". -ნ -ს დაკარგული აქვს ძველი სინტაქსური ძალა. ის ვერ გამოხატავს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას.

ნათესაობითი ბრუნვის თანდებულის მნიშვნელობით გვხვდება წინაშე: „ბავშვის წინაშე იდგა და ყვიროდა"; „უფლის წინაშე ამას არ ვიტყოდი". „სახარების ენაში დადასტურებულია „წინაშე" თანდებულის ხმარება პირის ნაცვალსახელებთან როგორც წინდებულად, ისე უკუდებულად: ჩემ წინაშე და წინაშე ჩემსა, შენ წინაშე და წინაშე შენსა, მის წინაშე და წინაშე მისა, თქუენ წინაშე და წინაშე თქუენსა, მათ წინაშე და წინაშე მათსა (6, 143).

პირის ნაცვალსახელებთან თანდებულის მნიშვნელობით დასტურდება იმ შემთხვევაში, როცა მთქმელს სურს, დაამტკიცოს სიმართლე ან დასაჯოს ვინმე: „ჩემ წინაშე დადექი და აღიარე"! ; „შენ წინაშე მართალი გამოვალ". ძირითადად მიცემითი ბრუნვაა საჭირო.

არქაული ფორმები შეინიშნება -ევ თემის ნიშნის ხმარებასთან დაკავშირებით: ,,ჩავაცმევი და დავახურევი, მადლია-მეთქი", „სახლი გავყიდევი, იქნებ სხვა ადგილზე, დევესახლო"; „ავაშენევი სხუა"; ,,სულ დავაბნივე და გავუშვი ისე". „ევ სუფიქსიანი ზმნები ხმოვან-მონაცვლეა: -ევ გადაჰყვებათ II სერიის ფორმებში მაგრამ ივ-ის სახით, თანაც ამისაგან მარტო ი რჩება, რადგანაც ივა, ივე და ივო ჯგუფებში ვ იკარგება"(6,157).

აწყმოს მწკრივში შეიძლება შეგვხვდეს ზმნები არქაული ფორმით: **მინა, უნა, გინა.**

გინდ- გინდ მაცალკევებელი კავშირის ნაცვლად იხმარება არქაული ფორმით გინა-გინა: ,,გინა წაიღე, გინა მოიტანე". გინა ძველ ქართულში **ანუ** კავშირს ცვლიდა (6,145).

ფრონეს ხეობის ქართლურში მეორე სერიაში ძველი ქართულის **-ენ სუფიქსი,** ინიან და ენიან ვნებითებთან ერთად, შენახულია სუფიქსიანი წარმოების დროსაც. მაგ.: ,,ისე **გაქვავდენით** (= გაქვავდით) ნათესავები, რომ ბავშვებ არც ჩახედენით"; ,,მაშითვე წუხარებით **გავრკინავდენით** (= გავრკინავდით)". **ენ//ნ** მიჩნეულია სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნად სამივე პირში (6,177). ვ. თოფურია ამ სუფიქსს უკავშირებს ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნებში ნარიანი დამატების აღმნიშვნელ ნიშანს (7,524).

საინტერესოა ლექსიკური არქაიზმები: **ასტამი//აშტამი** - ვარცლსა და გორდაზე ცომის მოსაფხეკი. **ზედაშე** - შესაწირავისათვის აღებული ღვინო. **თუთქი** - სველი, ახლად აზელილი ნაცარი. **ხეში//მოუხეშავი** - მოუქნელი.

ინოვაციური ლექსიკურ ერთეულებად უნდა მივიჩნიოთ: **აცენცვა-აკრეფვა,** მოგროვება. **ჩურჩვა**- ლობიოს გარჩევა პარკიდან. **მოჯონჯლილი** - ბევრი მოსხმული. **ჭროღა** - ჭრელი. **ჩული** - დაჩულვა. **გალეული** - პატარა. **საცინელი** - დასაცინი. საცინად - სასაცილოდ აგდება. **წუნობა** - დაწუნება./ათვალწუნება. **დაგვირისტება** - მჭიდროდ კერვა. **უჩუმრისპირი** - უხმაურო.

- ნ სუფიქსით გაფორმებული სახელები იმავე სუფიქსის დართვით გვიჩვენებენ მრავლობის ორმაგ წარმოებას: ,,ორნივენი რომ ერთად დამიწდეს არ მენაღვლება"; ,,სამთავენი ერთ ღამეს გაიყვანეს".

- ნ სუფიქსიანი სახელი შეიძლება გართულდეს -ებ სუფიქსითაც: ,,ესენი ისეთი გულისანები არიან, რომ თავს ადვილად არ მოიკლავენ"; ,,ეგენი ცოლ-ქმარნებივით არიან".

ფრონეს ხეობის მეტყველებაში დასტურდება ზმნა-შემასმენლის რეპრეზენტული (წარმომადგენლობითი) მრავლობითი (8,174), რომელიც გამოწვეულია არაერთგვაროვანი წევრებით, ხოლო ფორმალურად-ზმნა-შემასმენელთან ნავარაუდევი ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარით" (9.26). მაგ.: **,,დაიახლოვა ქალმა ეს კაცი და ბედს ეწივნენ"; ,,შეეკრა მეზობელი მტერს და სოფელი დააქციეს".** აღნიშნულ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი არაერთგვარ წევრებს ეთანხმება რიცხვში. რეპრეზენტული მრავლობითი დამახასიათებელია ქართული ენის სხვა კილოებისათვისაც. ,,ამ დროს ფაქტობრივ ყველგან სუბიექტის (ქვემდებარის) სინკოპეა მომხდარი, რომლის მიზეზი ზეპირი მეტყველება ჩანს" (9, 27).

ზოგჯერ საკუთარ და საზოგადო სახელებს ნათესაობით ბრუნვაში უჩნდებათ ი ხმოვანი კუთვნილების გამოსახატავად: ,,მამადგა მეზობლი ბიჭი ქეთოსი, ცოდვითა დავიწვი"; ,,თუ ცოლი იყო ინ ვაჟისი, ძმობილ როგორ შეეცილებოდა".

სადაურობას აწარმოებს ორმაგი სუფიქსი **-ურ, -ელ:** ,,სადაურელები იქნებოდნენ და უბიათელები"; ,,არკნეთელები იყვნენ და გადაუარეს სოფელს". მსგავსი მოვლენა დადასტურებულია ლიახვისა და ქსნის ხეობის ქართლურში (10, 43).

სიმრავლის განსაკუთრებულად გამოსახატავად გაჩდა -ებიან მრავლობითში დასმული საწისის ფორმები: **გაქურდები, დაცემები, დაბომბები, შემოსვლები** (11, 168).

ფრონეს ხეობის ქართლურში შეინიშნება ვნებითის ორმაგი ნიშნით წარმოება. ზმნაში ერთდროულად ე-პრეფიქსისა და -დ სუფიქსის არსებობა: დეენიძლავდება, მელამაზდება, ამეტირდება (11,125).

ცალკე უნდა აღინიშნოს სოფელ დირბის მეტყველებაში **ნ** ბგერის მონაცვლეობა **ვ--ნ, მ--ნ. რამდენი-რანდენი, შემდეგ-შენდეგ, მუდან-მუდამ, ქალაქანდის-ქალაქამდის.**

-მდე//-მდინ//მდის თანდებულები ვითარებითის გავრცობილ ფორმებში ყოველთვის გამოითქმის: **-ნდე// -ნდინ// -ნდის.** ეს შეიძლება იმითაც ავხსნათ, რომ დირბულში მდ კომპლექსი ჩვეულებრივ ნდ-ს გვაძლევს (12,220). ნ-ს პროცესი ჩვეულებრივია ზმნურ ფორმებშიც: **სვანდენ** (-სვამდენ), **უმალანდენ** (-უმალავდენ), **იკერანდა** (-იკერავდა). დირბულთან ერთად ამ მოვლენას ნაწილობრივ იცნობს ფრონეს ხეობის სხვა სოფლებიც. ,,ქართლურში ამ პროცესის ტალღა მესხურიდან შემოჭრილია ბორჯომის ხეობით და გასდევს ჩრდილოეთის ზოლს"(12,223).

ამრიგად, ფრონეს ხეობის ქართლურში დადასტურებული არქაიზმები და სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული წარმოების ინოვაციები მიუთითებს დიალექტთა უნიფიკაციისა და შერევის პროცესზე. ამ ხეობაში დასტურდება ქართლურის, იმერულისა და მესხურ-ჯავახურისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები.

ლიტერატურა:

1. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
2. გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, თბ., 1974.
3. ვ. თოფურია, ქართლური: არილი, თბ., 1925.
4. ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.
5. მ. კობერიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის საკითხისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში, IX, თბ., 1999.
6. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
7. ვ. თოფურია, ქართული ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V., თბ., 1953.
8. მ. კობერიძე, ზმნა-შემასმენლისა და ქვემდებარის ურთიერთობისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVIII, თბ., 2008.
9. გ. ბურჭულაძე, ზმნის რიცხვში შინაარსობრივი შეთანხმებისათვის ქართული ენის ზოგ დიალექტში, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1991.
10. ვ. სომხიშვილი, სიტყვაწარმოების ზოგი თავისებურებისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლურში, საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000.
11. მ. კობერიძე, ვნებითი გვარის სუფიქსური წარმოებისა და ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში, საზრისი, შრომების კრებული № 24, თბ., 2008.
12. ა. ღლონტი, ფილოლოგის ჩანაწერები, თბ., 1980.

რეზიუმე

ფრონეს ხეობის ქართლურში დადასტურებული არქაიზმები და ინოვაციები თანადროული მონაცემებია და ღირებულია ენის ისტორიის თვალსაზრისით.

ფრონეს ხეობის ქართლურში არქაიზმები წარმოდგენილია ფონემატურ სტრუქტურაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში.

ფონემატურ სისტემაში ამ ტიპისაა ჲ (იოტი), რომელიც უმარცვლოა და წინა ხმოვანთან ერთად დიფთონგს ქმნის. ჲ დასტურდება, როგორც ი ხმოვნის პოზიციური ნაირსახეობა ხმოვნის მომდევნო პოზიციაში სახელობით ბრუნვაში.

უ (უმარცვლო) დასტურდება მოხუცთა მეტყველებაში ვ ბგერის პოზიციურ ვარიანტად. იგი მოსდევს რომელიმე თანხმოვანს, ან თანხმოვნებს შუაშია.

მორფოლოგიაში არქაიზმის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ -ებ-იანი მრავლობითის პარალელურად ნ- სუფიქსიანი წარმოება.

ინოვაციებად შეიძლება მივიჩნიოთ სახელების ორმაგი მრავლობითის წარმოება.

ფრონეს ხეობის მეტყველებაში დასტურდება ზმნა-შემასმენლის რეპრეზენტული (წარმომადგენლობითი) მრავლობითი, რომელიც გამოწვეულია არაერთგვაროვანი წევრებით.

THE ARCHAISMS AND INNOVATIONS IN PHRONE GORGE KARTLURI

Mariam Koberidze, Associate Professor

RESUME

The archaisms and innovations in Phrone gorge Kartluri is a simultaneous data and according to the historical point of view they are worthy.

The archaisms in Phrone gorge Kartluri is represented in phonemics structure, morphology, syntax and vocabulary

In phonemics structure such example is ჲ (Iota), which doesn't have a syllable and creates diphthong with a vowel. ჲ is considered as a positional variety of the vowel **ე** (e) postponing a vowel in the nominative case.

უ (u) (without a syllable) is considered as a positional variety of the consonant ვ (v) which was typical in elderly people's speech. It follows any consonant or is between two of them.

In morphology together with the plural formed by - ები (- ebi) suffix existed another form with - ნ (- n) suffix which is an example of archaism.

Double pluralism of name formation can be considered as an innovation.

In Phrone gorge speech the existence of representative plural of verb-predicate is confirmed, which is caused by not homogeneous members.

გვარები, გვართა დასახლებანი და წარმოება ქსნის ხეობაში

ნიკოლოზ ოთინაშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

ადგილთა სახელწოდებანი შესწავლის ფართო ინტერესს იწვევს და ამ მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ქართული ტოპონიმების კვლევა, რომლებიც მთელ რიგ წყაროებშია დაუნჯებული, მათ ქარტეხილებს გაუძლეს და თავდაპირველი სახე შემოგვინახეს.

ტოპონიმიკური ლექსიკის შესწავლა გვაძლევს დიდ მასალას არა მარტო ტოპონიმისტებს, გეოგრაფებს, არამედ მთელ რიგ მომიჯნავე დარგის სპეციალისტებს.

ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონის ტოპონიმიაში გამოიყოფა ნიშნები, რომლებიც მიკრო და მაკრო ტოპონიმს აწარმოებს და აღნიშნავს ობიექტის თავისებურებებს, სემანტიკურ რაგვარობას. ასეთი

გაფორმება ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და იმეორებს საკუთარი სახელის ყველა თავისებურებას წინადადებაში მოხმარების თვალსაზრისით.

ისტორიული დოკუმენტაციის მიხედვით, რომლებიც ქსნის ხეობას და საერისთაოს შეეხება და სხვადასხვა ეპოქას მოიცავს, ტოპონიმთა მრავალგვარი წარმოება დასტურდება. აქ გამოიყოფა ტოლადშერწყმული, ატრიბუტული და მართულ მსაზღვრელ-საზღვრულით მიღებული ტოპონიმები. ასევე თავსართ-ბოლოსართით წარმოქმნილი, წინა ვითარების მაწარმოებლიანი, ბოლოსართებით ნაწარმოები, ჰიდროაპელატივებით, ასევე სხვადასხვა წყობით მიღებული ტოპონიმიური ლექსიკა. ასეთი წარმოება არ განსხვავდება საერთო ქართველური ყალიბისაგან და ქართლური დიალექტის ქსნური მეტყველების ნიუანსებსაც შეიცავს.

ამჯერად განვიხილავთ გვარ-სახელებიდან ნაწარმოებ ტოპონიმებს, რომლებიც მოპოვებული გვაქვს საველე მუშაობის შედეგად და შედარებული გვაქვს რამდენიმე ისტორიულ წყაროსთან, ესენია: 1774-1781 წლების ქსნის ხეობის მცხოვრებთა აღწერა, თორნიკე ერისთავის შემოსავლის დავთარი 1822 წლისა და ქრონიკა იკორთის ჟამნ-გულანისა.

ქსნის ხეობის 1774 წლის აღწერა იწყება ჭურთის ხევიდან და პირველად დასახელებულია ილურთ კარი, ბუჯიანთ კარი, დორეულთ კარი, მიდელანთ კარი, თინიკანთ კარი, პავლიანთ კარი და სხვები.

აქ ნათლად ჩანს, რომ სოფლები იმ დროს დასახლებული ყოფილა გვაროვნული პრინციპით და მართლაც ილურთ კარში ცხოვრობდნენ - ილურიძეები, ბუჯიანთ კარში - ბუჯიძეები, შემდგომ ბუჯიაშვილები, დორეულთ კარში - დორეულები და სხვა.

ქსნის საერისთაოში შემავალი მეჯუდის ზემო წელზე, ისროლის ხევში ასეთი გაფორმებით ათზე მეტი გეოგრაფიული პუნქტი დავაფიქსირეთ, რომლებიც დღეს ნასოფლარებია, მაგრამ ტოპონიმთა მდგრადობამ დროს გაუძლო, ესენია: გინტურთ კარი - გინტური, ციცაგიანთ კარი - ციცაგი, ნადირაანთ კარი - ნადირაშვილი, ნინიკაანთ კარი - ნინიკაშვილი, ასკილაანთ კარი - ასკილაშვილი, დათვიანთ კარი - დათვიაშვილი და სხვა.

აკაკი შანიძის დაკვირვებით -იან დაბოლოებას ზოგიერთ შემთხვევაში შემონახული აქვს წარმომავლობისა და კუთვნილების ფუნქცია, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითშია (შანიძე, 1973, 123). -იან სუფიქსი ჩანს, რომ გამოიყენებოდა შთამომავლობის, წარმოშობის აღსანიშნავად და ის დღემდე დაცულია გვარებში და როგორც პროფ. ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს ამჟამად გამოყენებულია ყოლა-ქონების აღსანიშნავად (ჭუმბურიძე, 1987, 428). პროფ. თ. უთურგაიძის აზრით სტრუქტურულ ტიპოლოგიას ქმნიან გარკვეული ინდიკატორების შემცველი ტოპონიმები, მაგალითად კარი, ხევი, მათ მიერ ნაწარმოებ ტოპონიმებში დროთა განმავლობაში აღწერითი კვალი შეიძლება წაიშალოს და ინდიკატორი ტოპოფორმანტის როლში მოგვევლინოს (უთურგაიძე, 1966, 97-98).

გაზიარებული უნდა იქნას ეს თეზა, რადგან ქსნის ხეობის ორივე აღწერაში - კარის პარალელურად გვხვდება - ხევი, რომელიც ტოპოფორმანტის როლში გვევლინება, მაგალითად მდინარე მეჯუდის სათავეში ისროლის ხევში სხვადასხვა გვაროვნული დასახლებები იყო. ატენში ცხოვრობდნენ ასტამაძეები და სალუქაშვილები, ჯავხთაში - ჯავახები, გინტურები და სხვა.

ზემოხსენებული „იკორთის ჟამნ-გულანი“, რომელიც XV საუკუნეში ნუსხური გრაფიკითაა შესრულებული, აშიებში მეჩვიდმეტე საუკუნის მხედრული წარწერები აქვს, რომლებიც მონასტრის შეწირულობათა ნუსხას წარმოადგენს. მინაწერები გვამცნობს გვაროვნულ დასახლებებს, რომლებიც -იან, -ან სუფიქსებით არის გაფორმებული. აქ ვკითხულობთ: „მე გოჩა ბატონიშვილმა შეგწირე შენ, ჩემს სასოებას იკორთის მთავარანგელოზსა მთაში მამული შუა ცხვირსა - ქოთოლიანი, ბესთავანი, თლასტანი, ბოლათანი, ბიბილანი, ვალიანი“...

თორნიკე ერისთავის შემოსავლის დავთარში სოფლებს, რომლებიც -კარ ფორმით არის გაფორმებული და დღეს ნასოფლარებია: ბერძეთ კარი, ქუჯოიანთ კარი, აშატურთ კარი...

როდესაც -იან ბოლოსართი დაერთვის -ა-ზე დამთავრებულ ბოლოუკვეცელ სახელს, მაშინ სუფიქსის პირველი ხმოვანი -ი დასუსტდება, ან დაიკარგება და მივიღებთ -ან მაწარმოებელს. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით -იან და -ან ერთი წარმოშობისად არის მიჩნეული. ასეთი მაწარმოებლებით არის გაფორმებული ქსნის, მეჯუდისა და სხვა ხეობების მთელი რიგი სოფლები და აწ უკვე მეტი ნასოფლარები გვარების მიხედვით, მაგალითად: ელოიანი - ელოშვილები, გულარიანი - გულარაშვილები, ლოთიანი - ლოთიშვილები, პაპიანი - პაპიაშვილები, მაჭარაანი - მაჭარაშვილები, შიუკაანი - შიუკაშვილები, მარტიანი - მარტიაშვილები, ჩიტიანი - ჩიტიშვილები და სხვა.

ოიკონიმთა წარმოებაში ფართოდ გამოიყენება მრავლობითის მაწარმოებლები მატოპონიმებელი ფუნქციით. -ნარ-თანიანი უფრო ძველია, ვიდრე -ებ-იანები, რომლებიც ამჟამად თითქმის სანახევროდ გაბატონებულა ხსენებულ რეგიონში. მაგალითად სოფელ ზოდეხში ჩვეულებრივ სასაუბრო

მეტყველებაში გვხვდება ასეთი ფორმა - ოდიშვილები, რომლებიც ამ გვარის სიმრავლეს აღნიშნავს, მაგრამ ამ გვარის შტოგვარები უკვე მიკროუბნებად ანუ ტოპონიმებად უკვე -ანთ მრავობითის სუფიქსით ფორმდებიან: ელიზბარაანთი, სოსოაანთი, ბერიაანთი, ბეღოჭაანთი.

სოფელ ელოიანში, მდინარე ქსნის ზემო წელზე ცხოვრობენ ელოშვილები, რომელთა შტოგვარებია: ლადოანი, ეფროანი, ბეროანი, გოგიანი, ვანოანი. აქვე, ხეობაში პავლიაშვილები ცალკე უბნებად განიყოფებიან: ებიანი, გიგოლაანი, ონიკაანი, ხოსიტაანი, ბაქუზაანი და ცალ-ცალკე სასაფლაოც აქვთ.

-თა სუფიქსი მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, მას დროთა განმავლობაში ადგილის სახელთა წარმოების ფუნქცია მიენიჭა. დიდი მეცნიერი ვ. თოფურია მას ქართულ სუფიქსად თვლიდა (თოფურია, 1956, 288). მართალია -თა სიმრავლეს აღნიშნავდა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავდა ადამიანთა ადგილსამყოფელსაც (ლეჟავა, 1959, 181). მდინარე მეჯუდის სათავე - ისროლისხევში იყო სოფელი და აწ უკვე ნასოფლარი ჯავახთა და ადგილის სახელი დღესაც შემონახულია. აქ ცხოვრობდნენ ჯავახეთიდან მოსულები და გვარიც ჯავახიც ჰქონდათ. ისინი ახლა ბარად არიან ჩამოსულები და ცხოვრობენ სოფლებში: სათემოში, ფლავში, ფლავისმანში. ამავე ხეობაში გვხვდება აღნიშნული ფორმანტით გაფორმებული ოიკონიმები: ვანთა, გომთა, ბოსელთა, უფრო აღმოსავლეთით, ქსნის ხეობაში: ქურთა, გომთა (ორგან), თოხთა, ჭურთა, გუდითა. დადასტურებული გვაქვს მიკროტოპონიმიაშიც; ლოლუანთა, გუფთა, მლეთა, ბაკურთა, ან ბაკურათა (ბაკურაძეები), ჩხიკვთა და სხვა.

-ურ სუფიქსი, გავრცელებული მოსაზრებით, არადამიანთა სადაურობა-წარმომავლობას აღნიშნავს (შანიძე, 1973), მაგრამ ქსნის მეტყველებაში -ურ-მა შეიძლება აღნიშნოს წარმომავლობაც. მსგავსად სხვა დიალექტებისა ხსენებულ რეგიონში აღნიშნული სუფიქსი კუთვნილებას აღნიშნავს. ვახუშტი ბაგრატიონი თავის მიერ შედგენილ რუკაზე მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში პატარა ლიახვზე დატანილი აქვს სოფელი ინაური, სადაც მხოლოდ ამ გვარის ხალხი ცხოვრობდა. ასევე ინაური ამ დროს არსებობდა გერის ხეობაში, რაც ასევე აღნიშნულ წყაროში არის დადასტურებული (ვახუშტი, 1745).

ზემოხსენებული წყარო „ქრონიკა იკორთის ჟამნ-გულანისა“ პატარა ლიახვზე ასევე ასახელებს - ხდური - იგივე ხადურების დასახლებას, სადაც ამ გვარის ხალხი ცხოვრობდა, საურს - საურების დასახლებას და ცქაფცურს (იხ. იქვე).

„ქსნის ხეობის აღწერაში“ ისროლისხევის წყალზე ცალკეა გამოყოფილი ელიაური, გინტური, ფოსური, ფიცხელაური, რომლებიც ცალკე გვაროვნული დასახლებები იყო და ცალკე სოფლად აღინიშნებოდა.

გვარ-სახელთა მონაცემებს, წარმოებას, ტოპონიმებთან კავშირს, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თითოეული გვარის ეტიმოლოგიის დასადგენად, არამედ მოსახლეობის აყრა-გადასახლების და საერთოდ მიგრაციის შესასწავლად. როგორც ჩანს, ტოპონიმთა და გავრების ურთიერთკავშირი ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში გაგვიწევს დახმარებას, კერძოდ კი ისტორიის, ენის მონაცემებისა და დიალექტური ლექსიკის გამოვლენა-შესწავლისათვის.

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები I, თბ., 1967, გვ. 183-230;
2. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, 1959;
3. ს. კაკაბაძე, ქრონიკა იკორთის ჟამნ-გულანისა, ტფ., 1912, გვ. 1-8;
4. შანიძე, 1973 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ.;
5. ჭუმბურიძე, 1987 - ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ.;
6. უთურგაიძე, 1966 - თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ.;
7. თოფურია, 1956 - ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, სბი, I, თბ., 1956;
8. ლეჟავა, 1959 - ლ. ლეჟავა, -ეთ და -ის აფიქსებიან ტოპონიმთა სადაურობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. II, თბ., 1959;
9. შანიძე, 1973 - ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ.;
10. ვახუშტი, - ვ. ბაგრატიონი, რუკები, 1745.

რეზიუმე

ადგილთა სახელწოდებანი შესწავლის ფართო ინტერესს იწვევს და ამ მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ქართული ტოპონიმების კვლევა, რომლებიც მთელ რიგ წყაროებშია დაუნჯებული.

ისტორიული დოკუმენტაციის მიხედვით, რომლებიც ქსნის ხეობას და საერისთაოს შეეხება და სხვადასხვა ეპოქას მოიცავს, ტოპონიმთა მრავალგვარი წარმოება დასტურდება. აქ გამოიყოფა ტოლაშერწყმული, ატრიბუტული და მართული მსაზღვრელ-საზღვრულით მიღებული ტოპონიმები. ასევე თავსართ-ბოლოსართით წარმოქმნილი, წინა ვითარების მაწარმოებლიანი, ბოლოსართებით ნაწარმოები, ჰიდროაპელატივებით, ასევე სხვადასხვა წყობით ნაწარმოები ტოპონიმური ლექსიკა.

გამოვლენილი ისტორიულ-ფილოლოგიური მასალები შედარებული გვაქვს რამდენიმე ისტორიულ წყაროსთან.

1774-1781 წლების „ქსნის საერისთაოს სტატისტიკურ აღწერაში“ მოცემული სოფლები დასახლებული ჩანს გვაროვნული პრინციპით. ილურთ კარში ცხოვრობდნენ ილურიძეები, ბუჯიაანთ კარში - ბუჯიძეები, დორეულ კარში - დორეულები და სხვა.

ამ დროისათვის საერისთაოში შემავალი მდინარე მეჯუდის ზემო წელზე - ისროლისხევში მთელი რიგი გვაროვნული დასახლებები დღეს ნასოფლარებია, მაგრამ საველე მუშაობის შედეგად ათზე მეტი გეოგრაფიული პუნქტი გამოვავლინეთ, რომელთა მდგრადობამ დროს გაუძლო. ესენია: გინტურთ კარი - გინტურები, ციცაგიანთ კარი - ციცაგები, ნადირაანთ კარი - ნადირაშვილები, ნინიკაანთ კარი - ნინიკაშვილები, ასკილაანთ კარი - ასკილაშვილები და სხვა.

ისტორიულ წყაროებში და თანამედროვე ვითარებით ტოპონიმთა საწარმოებლად გვხვდება - კარი, ხევი, -იან, -ან ბოლოსართები. -ებ-იანი წარმოება ძველ ქართულში ნაკლებად გამოიყენებოდა, მაგრამ ამჯამად სანახევროდ გაბატონებულია. იგი გვარის სიმრავლეს აღნიშნავს, მაგალითად: ოდიშვილები, მაგრამ გვარიდან გამოსული შტოგვარები უკვე -ანთ მრავლობითი სუფიქსით ფორმდება: ელიზბარაანთი, სოსოაანთი, ბერიაანთი, ბეღოჭაანთი.

ხსენებულ რეგიონში -თა სუფიქსი, როემლიც მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, დროთა განმავლობაში ადგილის სახელთა წარმოების ფუნქცია მიენიჭა. გვხვდება აღნიშნული ფორმატით გაფორმებული ოიკონიმები: ვანთა, ჯავახთა, ჭურთა, თოხთა...

-ურ სუფიქსი რეგიონში აღნიშნავს გვარსა და დასახლებას, მაგალითად ინაური, ხდური, იგივე ხადური, ცქაფური და სხვა.

SURNAMES, NAMES OF SURNAMES AND THEIR PRODUCTION IN KSANI GORGE

Nikoloz Otinashvili, Associate Professor

RESUME

The study of the origin of surnames is a matter of great interest and thus it is very important to search old Georgian toponyms fixed in many sources.

According to historical documents referring to Ksani Gorge and its county there are different kinds of toponyms which belong to different periods. We can distinguish various types of toponyms there and in this work the revealed historical-philological materials have been compared to some historical source.

Statistic data of Ksani county of 1774-1784 describes the village according to the name principles. For example in the village of Iluri Rari there lived the Iluridzes, in the village of Bujiant Kari – the Bujidzes and so on. As you see the representatives of a certain surname were settled in a certain village.

By that time there used to be a number of settlements on the bank of the river Mejuda which belonged Eristavi County but they do not exist now. Though the excavations held in this area revealed some geographical sites, the places where those people lived. For example in the village of Gintur Kari – the Ginturs lived, in the village of Tsitsagiant Kari – the Tsitsags lived etc.

It should be taken into consideration that the old Geogian words Kari, Khevi were used to produce surnames and such suffixes as -ian, -an were not used then but now these suffixes are in use. Plural forms of surnames describing the whole family name are produced by suffix ant. For example Elizbariant, Sosoanti, Berianti. Suffix –ta describes the place where the family came from such as Vanta, Javakta and so on. –Ur – suffix shows the surname and the region at the same time: for example Inauri, Khaduri.

ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულ ენაში

ნინო ოქროპირიძე, სრული პროფესორი

ადამიანური შემოქმედებითი პროცესი და თვით აზროვნება მჭიდროდაა დაკავშირებული რეალური დროის კატეგორიებთან. დროული ფაქტორების შესახებ წარმოდგენა ასახვას პოვებს ენის სისტემაში, თუმცა დროის როგორც არალინგვისტური ფაქტორის გაიგივება მისი როგორც არალინგვისტური ფაქტორის გაგება მისი გამოხატვის ენობრივ საშუალებებთან არ შეიძლება. ობიექტური დრო აისახება ენაში არა მხოლოდ ზმნის დროულ ფორმათა სისტემაში, არამედ ამ სისტემის მიღმაც. დროის ცნებით კატეგორია, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით, იწოდება **ტემპორალობად.** ტემპორალობის ცნებით კატეგორია არსებობს მხოლოდ მისი ენობრივი გამოხატულების საფუძველზე. „ტემპორალობა ყოფიერების ერთ-ერთი ფუნდამენტური კატეგორიათაგანია. სხვადასხვა ენაში მისი რეალიზაციის შესწავლა ადასტურებს თეზისს, რომ ასახვა ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობაა. შესასწავლი კატეგორიის გამოხატვა სხვადასხვა ენაში ადასტურებს ობიექტური სინამდვილის, რომელიც ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ინვარიანტულ ასახვას. ხოლო ამ კატეგორიის განსხვავებული განსახიერება ენობრივ მატერიაში ასახვის ვარიანტულობის დადასტურებაა“. (2,87).

ტემპორალობის განყენებული და ზოგადი მნიშვნელობანი ენაში გამოიხატება მთელ რიგი მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური და იმ კონტექსტურ ელემენტთა ერთობით, რომლებიც გამოხატავენ დროულ მიმართებებს არალინგვისტური სინამდვილესადმი. ტემპორალობის ცნებითი კატეგორია ამგვარად გვევლინება უკვე ენობრივი კატეგორიის სახით. აქ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ტემპორალობის გრამატიკულ შინაარსსა და მისი გამოხატულების ფორმის შესახებ. რამდენადაც ტემპორალობის გამოხატულობის საშუალებანი ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეს განეკუთვნება, ამდენად იგი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა და ამდენად მართებულია მისი კვლევა გრამატიკულ-ლექსიკური ველის პრინციპით. წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოავლინოს ქართულ ენაში ის ძირითადი ენობრივი საშუალებანი, რაც ენის ერთიან სისტემაში დროულ მიმართებათა გამოხატვას ემსახურება, დაადგინოს ზმნურ ფორმათა პარადიგმატულ მნიშვნელობათა პარალელურად მათი კონტექსტური resp. სინტაგმატური მნიშვნელობანიც. ენობრივი მოვლენებისადმი ველის პრინციპით მიდგომა საშუალებას აძლევს მკვლევარს გაანალიზოს ფორმის პოლიფუნქციონირება სინტაგმატურ პლანში, დაადგინოს ენის გრამატიკული, სინტაქსური და ლექსიკური ერთეულების ურთიერთზემოქმედება ზოგადკატეგორიალურ მნიშვნელობათა გამოხატვისას და წარმოადგინოს სემანტიკურ-ფუნქციური მნიშვნელობებით შეთავსებადი ენობრივ საშუალებათა კომპლექსი განსაკუთრებული სტრუქტურული ერთეულის გრამატიკულ-ლექსიკური ველის სახით. გრამატიკულ-ლექსიკური ველის წევრების ანალიზისას ყველაზე მართებულია კომპონენტური ანუ **სემური** ანალიზის მეთოდის გამოყენება - რითაა განპირობებული ამ მეთოდის უპირატესობა? ცნობილია, რომ ყოველი კატეგორიალური მნიშვნელობა და შესაბამისად სიტყვაფორმა წარმოადგენს მორფოლოგიურად დიფერენცირებულ ნიშანთა კონას ანუ **გრამემას.** (4, 29) და რომ ნებისმიერი გრამატიკული კატეგორია ყალიბდება გრამემათა შეპირისპირების საფუძველზე (რიცხვის ორი გრამება, ბრუნვის შვიდი გრამემა და სხვ.) თანამედროვე ენათმეცნიერებაში ნაცვლად ტერმინებისა „მორფოლოგიურად დიფერენცირებული ნიშანი“, „მნიშვნელობის მინიმალური ერთეული“ - იხმარება ტერმინი **„სემა“** (6, 520). სემა არის გრამატიკული მნიშვნელობის მინიმალური გამოცალკევებული ელემენტი, ფორმის ერთ-ერთი შინაარსობრივი ელემენტი. არცერთი სემა არ შეიძლება გამოიხატოს სხვა სემათა კომბინაციით. ამის გამო სემები შეიძლება განვიხილოთ, როგორც სემანტიკური კოორდინატები, რამდენადაც სემათა ერთობლიობა შეადგენს ამა თუ იმ ფორმის კატეგორიალურ მნიშვნელობას. სემები შეიძლება გამოვლინდეს, როგორც გრამატიკის, ასევე ლექსიკის დონეზე. სემათა რაოდენობა განსაზღვრავს ფორმის კომუნიკაციურ დატვირთულობას. ცხადია, რაც უფრო მეტ სემას შეიცავს ესა თუ ის ფორმა, მით უფრო ჭარბი ინფორმაციის შემცველი იქნება იგი. მაგრამ როგორი ფართოც არ უნდა იყოს ფორმის სემანტიკური პოტენციალი, მეტყველების აქტში რეალიზდება მხოლოდ ერთ-ერთი მისი მნიშვნელობა - ერთი სემა. დანარჩენი სემები კი განეიტრალდება. სწორედ ეს უწყობს ხელს სინტაგმატურ პლანში ყველა იმ მნიშვნელობათა აქტუალიზაციას, რომლებიც პოტენციურად არსებობენ პარადიგმატულ პლანში. ამ მოვლენის რეალიზაციაზეა დაფუძნებული კონსტიტუენტთა ფუნქციაც ერთი ველის ფარგლებში. გრამატიკულ-ლექსიკურ ველში ხდება ფორმის სემათა განშლა. ველი არასოდეს შეიცავს ფორმის თუ ელემენტის ყველა მნიშვნელობას. აქ შეირჩევა მხოლოდ ველის ზოგად სემანტიკურ ინვარიანტთან შეთავსებადი მნიშვნელობანი და მოხდება ამ მნიშვნელობათა ინტეგრაცია ველის ბირთვის

ირგვლივ. ფორმის დახასიათება სემათა ტერმინებში მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც იგი აღწერს ფორმის აზრობრივ ნიშნებს იმგვარად, რომ მისი საშუალებით ვიცნოთ ფორმა და განვასხვავოთ იგი დანარჩენი ფორმებისაგან. მაგალითად, ხოლმეობითის ფორმის შინაარსი რომ მარტო ჯერობის სემით ყოფილიყო შემოფარგლული, მაშინ ეს ფორმა თავისი ინფორმაციული მოცულობით არაფრით იქნებოდა განსხვავებული წყვეტილისაგან. სემათა გამოყოფა ხდება იმავე გზით, როგორც ხდება ენობრივი ერთეულის აზრობრივი ნიშნების დადგენა სხვადასხვა დონეებზე. ამისათვის საჭიროა ტექსტის ლოგიკური ანალიზი დადასტურებელი სხვადასხვა ცდებით. აქ ძირითადია: ფორმის შენაცვლება და მისი შემოწმება ცდის პირთან, ფორმათა შეხამების უნარი, ტრანსპოზიციის შესაძლებლობა და სხვ. შესაძლებელია აგრეთვე ჩატარდეს ცდა, რომლის მეშვეობითაც დადგინდება ფორმის ლექსიკურ ინდიკატორთან შეხამების უნარი. ლექსიკურ ინდიკატორებად მივიჩნევთ სიტყვებს, რომელთა სემანტიკის გავლენითაც ხდება ზმნის გრამატიკული ფორმის ტემპორალური მნიშვნელობის რეალიზაცია. როგორც აღვნიშნეთ, სემთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს ტიპური ტექსტის მიხედვით, რამდენადაც სხვადასხვა დისტრიბუციაში ერთსა და იმავე ფორმას შეიძლება აღმოაჩნდეს განსხვავებული მნიშვნელობანი და შესაბამისად შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სემებიც. ამ მოვლენას მივიჩნევთ ფორმის მრავალმნიშვნელიანობად. მაგალითად, თუ შევადარებთ აწმყო დროის ფორმის შემცველ ორ ტექსტს „<u>მივდივარ</u> ამხანაგთან“ და „მივდივარ გუშინ ამხანაგთან და ვხედავ, არ <u>მოდის</u> თვითონ ჩემსკენ.“ ვნახავთ, რომ აწმყო დროის ფორმაში თავი იჩინა წარსული დროის სემამ. სემთა შემადგენლობაში ამგვარი ცვლილება საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ აწმყო ფორმის ორ საპირისპირო მნიშვნელობაზე. ეჭვს არ იწვევს, რომ ორივე ეს მნიშვნელობა არათანაფარდია. ერთი ძირითადია, მეორე – მეორეხარისხოვანი. არავინ აღიქვამს წარსულის შინაარსის შემცველად, თუ იგი არ იქნებოდა შეხამებული ტემპორალურ ინდიკატორთან „გუშინ.“

ფორმის ძირითადი მნიშვნელობა არის მისი პარადიგმატული მნიშვნელობა. იგი ვლინდება ნეიტრალურ კონტექსტში, ანუ ამ ფორმისათვის მინიმალურ კონტექსტში. დამაზუსტებელი, გამაძლიერებელი და ამხსნელი საშუალებების გარეშე. ნეიტრალური კონტექსტი ჩვეულებრივ ფორმის ძლიერ პოზიციას წარმოადგენს. პოზიციას, რომელშიც მაქსიმალურად ვლინდება ფორმის ძირითადი მნიშვნელობანი მივიჩნევთ პარადიგმატული მიმართებების გამოსავლენ ფორმად. კონტექსტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ნეიტრალური, არამედ ხელსაყრელიც მოცემული ფორმის ძლიერი პოზიციის გამოსავლენად, თუკი შეიცავს ფორმის სემათა სემანტიკის დამაზუსტებელ საშუალებებს. მაგალითად, <u>დილით ადრე</u> ხმაურმა გამაღვიძა /ნ. დუმბაძე/ დროის აღმნიშვნელი ზმნიზედები აძლიერებენ ტემპორალობის სემებს.

ფორმის წარმოებული, ანუ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობანი მისი სინტაგმატური მნიშვნელობებია. ისინი ყალიბდებიან გარკვეულ სამეტყველო პირობებში კონტექსტის ზემოქმედების შედეგად, რომელიც ცვლის ძირითადი მნიშვნელობის სემათა შედგენილობას. გამორთავს რომელიმე სემას და ჩართავს სხვა სემას. მაგალითად, ტექსტში „ის უთუოდ დაბრუნდებოდა სახლში“ მოდალურმა სიტყვამ <u>„უთუოდ“</u> განსაზღვრა ხოლმეობითი ფორმის სინტაგმატური მნიშვნელობა, გააუფერულა და გაანეიტრალა ხოლმეობითის ჯერობის სემა და ჩართო ვარაუდის სემა. მნიშვნელობათა პარადიგმატული და სინტაგმატური ურთიერთკავშირი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სინტაგმატურ მნიშვნელობას ყოველთვის საფუძვლად უდევს პარადიგმატული მნიშვნელობის რომელიმე სემა. პარადიგმატულ მნიშვნელობათა სემები, შეიძლება მხოლოდ ასოციაციურად არსებობდნენ სინტაგმატურ მნიშვნელობათა რეალიზაციის დროს, რაც განსაკუთრებულ კომუნიკაციურ ეფექტს იწვევს. ამრიგად, სინტაგმატურ პლანში ხდება აქტუალიზაცია ყველა იმ საშუალებისა, რომლებიც პოტენციურად არსებობენ პარადიგმატულ პლანში. სინტაგმატურ მნიშვნელობათა რეალიზაციისას მეორეხარისხოვანი სემა შეიძლება იქცეს ძირითად სემად. ამ შემთხვევაში ხდება ე.წ. სემათა „გადანაწილება“. ამ მოვლენასთან დაკავშირებით დგება საკითხი სიტყვაფორმათა ომონიმიის შესახებ, მაგრამ როგორი დიდიც არ უნდა იყოს ფორმის პოტენციური პოლესემიურობა მეტყველების ყოველ მოცემულ აქტში რეალიზდება მხოლოდ ერთ-ერთი მისი მნიშვნელობათაგანი, ყველა დანარჩენი კი გამოითიშება. (საკითხის განხილვისას ძირითადად ვეყრდნობოდით ე. შენდელსის ნაშრომს „Многозначность и Синонимия в грамматике.“).

ტემპორალობის, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის და მისი გამოხატვის სხვადასხვა ენობრივი საშუალების გამოსავლენად შევადაროთ ურთიერთს ორი სავსებით ნეიტრალური ტექსტი: “მატარებელი <u>დაიძრა</u> და <u>მალე შთაინთქა</u> თოვლის კორიანტელში. მორიგე სადგურში <u>შევარდა</u> და <u>ცოტა ხნის წინათ</u> ხალხის ფუსფუსითა და ხმაურით გამოცოცხლებული რკინიგზის პატარა სადგური ისევ <u>გაინაბა,</u> მთლად უდრტვინველად <u>მინებდა</u> ქარსა. ქარი კი გაშმაგებით <u>აწყდებოდა,</u> ახვეტილ თოვლს <u>აყრიდა</u> პატარა შენობას. და <u>იდგა</u> სადგური, როგორც <u>ყოველთვის,</u> მარტოდმარტო ტრიალ მინდორში”. (ო. ჩხეიძე). თუ ტექსტში დავტოვებთ მხოლოდ ზმნურ ფორმებს და ამოვიღებთ ყველა დროის მაჩვენებელს, უფრო თვალნათლივ გამოჩნდება ამ უკანასკნელთა როლი გამონათქვამში. „მატარებელი დაიძრა და შთაინთქა

თოვლის კორიანტელში. მორიგე სადგურში შევარდა და ხალხის ფუსფუსითა და ხმაურით გამოცოცხლებული რკინიგზის პატარა სადგური გაინაბა, მთლად უდრტვინველად მინებდა ქარსა. ქარი გაშმაგებით აწყდებოდა, ახვეტილ თოვლს აყრიდა პატარა შენობას. იდგა სადგური, მარტოდმარტო ტრიალ მინდორში". რა შეიცვალა ტექსტის შინაარსსში? ტექსტმა შეინარჩუნა ძირითადი აზრობრივი მნიშვნელობა - მოვლენათა გადმოცემა განსაზღვრულ დროულ პლანში, სახელდობრ, წარსულ დროში. შენარჩუნებული იქნა მოვლენათა დროში შესატყვისობაც, წვეტილის და უწყვეტელის ფორმათა ურთიერთშეთშეხამებით. ტექსტმა არ შეინარჩუნა დროში მოვლენათა განვითარების კონკრეტიზაციის მომენტი. დროული კოორდინანტები აქ უკვე აბსტრაქტულნი არიან. ინფორმაციის გარკვეული ნაწილი ტექტში გამოხატულების გარეშე დარჩა. ეს პატარა ექსპერიმენტი უფლებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ზმნის გრამატიკულ დროების პარალელურად ლექსიკურ დროულ მაჩვენებელთა დანიშნულებაზე ენის სისტემაში კერძოდ, ტემპორალობის ცნებითი კატეგორიის ენობრივი გამოხატულების საშუალებათა განხილვისას. ზმნის გრამატიკული დროები განსაზღვრავენ მოქმედების ზოგად დროულ პლანს, აწმყოს, წარსულის და მომავლის თვალსაზრისით და მოქმედებათა შესატყვისობას ერთდროულობის, მრავალგზისობის, და არაერთდროულობის მხრივ. ლექსიკური დროის მაჩვენებლები კი აკონკრეტებენ მოქმედების დროულ მიმართებებს. ისინი გვევლინებიან ზმნის დროის გრამატიკული ფორმების თანმხლებებად, აზუსტებენ მათ, ანეიტრალებენ დროის ფორმების სემებს, ახდენენ მათ ტრანსპოზიციას დროის ერთი სფეროდან მეორეში. მაგალითად, აწმყოს დროის ფორმების გამოყენება წარსული მნიშვნელობით და სხვ. ტემპორალობის მაკროველის ბირთვს - დომინანტს წარმოადგენს ზმნის დროული ფორმები. ისინი გვევლინებიან დროული მნიშვნელობების გამოხატვის უნივერსალურ და აუცილებელ საშუალებებად, ყოველი ზმნა დროის კატეგორიალური მნიშვნელობის შემცველია და მის გარეშე არ არსებობს. დრო სამწევრა კატეგორიაა, მაგრამ დაპირისპირება მაინც ორობითი აქვს. ამოსავალი ახლანდელი აწმყო დროის ფორმაა, რომელიც ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც უბნობის მომენტს ემთხვევა. უბნობის მომენტიდან უკუხედვითი განსჯა მოვლენისა (ე.ი. რაც უბნობის მომენტამდე ხდებოდა ან მოხდა) წარსული დროის ფორმაა, ხოლო წინხედვითი (ე.ი. რაც უბნობის შემდეგ მოხდება) მომავალი დროისაა. (3, 120). დროის ფორმათა ანალიზისას სწორედ ეს მიმართება უნდა გვქონდეს მხედველობაში. აუცილებლად გასათვალისწინებელია კონკრეტული კონტექსტის ვითარება, რადგან დროის ესა თუ ის ფორმა თავისი კონტექსტური მნიშვნელობით შეიძლება სულ სხვა დროს გამოხატავდეს. მაგ.: „ხვალ დილით ავდგები და ვწერ." ზმნა ვწერ საერთოდ ახლანდელი დროისაა, მაგრამ ამ გარემოცვაში მას მომავალი დროის გაგება აქვს. „წუხელ მესიზმრა, რომ ვწერ". ამ კონტექსტში კი იმავე ზმნას წარსული დროის გაგება აქვს. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ზოგიერთ კონტექსტში ზმნები განუსაზღვრელი დროის გაგებით იხმარება; მაგ.: „ნელად <u>**მოღელავს**</u> მოდუდუნე მტკვარი ანკარა (ნ. ბარათაშვილი), ვოლგა კასპიის ზღვას ერთვის. დედამიწა მზის ირგვლივ <u>**ბრუნავს**</u>". ყველა დანარჩენი საშუალებანი მეტნაკლებად ფაკულტატურნი არიან. ისინი მხოლოდ ახდენენ ზმნურ ფორმებთან კოოპერირებას, გამოდიან რა დამოუკიდებელივ მხოლოდ უზმნო წინადადებაში. ამიტომ დროული ფორმები მართებულია მივიჩნიოთ მაკროველის შესაბამისად მიკროველთა დომინანტად.

<u>**აწმყო დროის მიკროველი და მისი კონსტიტუენტები:**</u> ველის დომინანტია აწმყოსა და აწმყოს კავშირებითის ფორმები, ველის კონსტიტუენტებს წარმოადგენენ მყოფადის ფორმები, რომლებიც აწმყო დროის ველში თავის სინტაგმატურ მნიშვნელობათა რეალიზაციას ახდენენ და მთელი რიგი ლექსიკური საშუალებები, რომელნიც თავისი სემანტიკით ახლანდელი დროის მნიშვნელობებს გამოხატავენ. ახლანდელი დრო გამოხატავს, რომ საუბრის მომენტი და მოქმედება ერთმანეთს ემთხვევა. ახლანდელი დრო წარმოადგენს აქტუალურ ფაქტთა, არსებულ, რეალურ ფაქტთა არეს. იგი გამოხატავს აქტუალურ მოქმედებას, ხოლო აწმყოს ფორმები აქტუალობის გამომხატველი ფორმებია. „ყოველთვის მძიმე ნაბიჯით მოდის ილიკო, ბზის კომბალს მოარაკუნებს, ხან თურაშაულის ფოთლებს ჩამოკენწლავს და თან მოღიღინებს ყოველთვის იგივეს, ისეთი მინაზებული ხმითა, თითქოს სულიერთა ყურს არიდებსო" (ო. ჩხეიძე). აწმყოს დროული ფორმებით გადმოიცემა აგრეთვე ნეიტრალური მოქმედება, რომელიც დროის მიხედვით ახლანდელია, მაგრამ განსხვავდება აწმყო დროის მნიშვნელობებისაგან იმით, რომ იგი არ თანხვდება მეტყველების რომელიმე განსაზღვრულ მომენტს, მისგან აბსტრაჰირებულია. ნეიტრალური დრო თვისობრიობის გამომხატველია და განზოგადებულია. ამ მნიშვნელობით აწმყო დროის ფორმები გამოხატავენ მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მიეწერება გარკვეულ სუბიექტს, როგორც მისი თვისება, დამახასიათებელი ნიშანი, მუდმივი ნიშან-თვისება. „ორღობის შემდეგ ყანები ბიბინებს... ცოტა ცერად ლიახვის ტოტზე წისქვილი მოჩანს, წისქვილს მუხები შემორტყმია. ქარში ბუბუნებს ის მუხნარი, ბუბუნებს და გუგუნებს... სიმუქიდან გამოდის თეთრი ასული, ხელს მიქნევს და წინწინ მოიწევს თითქო ჩემი ნაბიჯი არ ეკმარება, ჩემთან შეხვედრას ეშურებაო." (ო. ჩხეიძე). აწმყოს კავშირებითის ფორმები თავისი არადიგმატული მნიშვნელობით ახლანდელი დროის მნიშვნელობებს გამოხატავენ. „თუ დაგჭირდე არ მომერიდო, გუდული ბატონო, როგორც

შენ შვილს, ისე დამიძახე. არ მოგერიდები, ქსენია! მშვიდობით ბრძანდებოდე, აბა!“ (ნ. დუმბაძე). გამონათქვამნი ზმნური ფორმების გარეშე აქტუალური მოქმედების გამომხატველნი არიან და თუ კი ისინი სინქრონულ პლანშია წარმოდგენილი აწმყო დროის მნიშვნელობით აღიქმება. მაგ.: „ტროლეიბუსიდან მინერალური წყლების მაღაზიასთან ჩამოვიდა. აქ გავლაც კი ჭირდა. კოვბოური მძიმე ნაბიჯები, შავი კოსტუმები, ღია ფერის ჩინური საწვიმრები, სიცილი, პაპიროსები, მოკლე ფერადი პალტოები, ბრიჯიდ ბარდოსავით შეკრეჭილი თმები, შეღებილი თმები, გრძელი, წვრილქუსლიანი ფეხსაცმელები, ჭადრების ტოტებზე შეხუნძლული ბეღურები, მაღალი ფეხები, შინდისფერი ლამაზი ფეხსაცმელები...“ (რ. ინანიშვილი). ასე წარმოუდგება რუსთაველის გამზირი, პროვინციიდან ჩამოსულ ახალგაზრდა ქალს. მიუხედავად იმისა, რომ გამონათქვამში არცერთი ზმნური ფორმა არ მიუთითებს მოქმედების სინქრონულობაზე, იგი უაღრესად დინამიურია. ამ შემთხვევაში დროულ ფორმას კონტექსტი და სიტუაციურობა ენაცვლებიან. კონტექსტი განსაზღვრავს აგრეთვე მყოფადი ფორმის სინტაგმატურ მნიშვნელობას. ქვემოთ მოტანილ ტექსტში განეიტრალდა მომავალი დროის სემა, რაც შეადგენს ფორმის პარადიგმატულ მნიშვნელობას და მოხდა ფორმის ტრანსპოზიცია აწმყო დროის მიკროველში. „ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, დიდროიას მოღერებული ქვა **ესროლოს** ბავშვებისათვის. **მოიქნევს** ხელს, მერე იმ მოქნეულ ხელს შუა გზაზე **მოთოკავს,** ისე **დახედავს** იმ რიყის ქვას, თითქოს ქვა კი არა მარგალიტი იყოს და სასოებით **ჩაიდებს** დაკონკილი შარვლის ჯიბეში“ (ნ. დუმბაძე). აწმყო დროის ფორმათა სემების თანხვედრა მყოფადის სემებთან ერთი გამონათქვამის ფარგლებში, ასევე იწვევენ ამ უკანასკნელთა განეიტრალებას და მათ მეორეხარისხოვან მნიშვნელობების რეალიზაციას. „ზოგჯერ დაბლა ჩავა ციცინო ახლად მოტანილი საფქვავის ქვითრის გამოსაწერად, მალევე ამოირბენს ჯამბაზის კიბეს, საქარგს მოიმარჯვებს, აწნავს ნაირგვარ ყვავილებსა და გვირილებს. თანაც ყურს მიგდებს, გაფაციცებით მისმენს...“ (ო. ჩხეიძე). აწმყო დროის მნიშვნელობათა სემების შემცველი ლექსიკური საშუალებები, სახელდობრ, დროის ზმნიზედები და არსებითი სახელები ხშირად ახდენენ წარსული დროის ფორმების ტრანსპოზიციას აწმყო დროის მიკროველში. წყვეტილის ან უწყვეტელის ფორმები მხოლოდ ლექსიკურ ინდიკატორებთან ურთიერთშეხამებისას ავლენენ თავის სინტაგმატურ მნიშვნელობებში აწმყოს სემებს. მაგ.: „მზე **ახლა** დასავლეთის თეთრ ქათქათა ღრუბელზე იწვა და ქვეყანას ალმაცერად უმზერდა“ (ნ. დუმბაძე). **წარსული დროის მიკროველი და მისი კონსტიტუენტები:** ველის დომინანტია წყვეტილის და უწყვეტელის ფორმები: კონსტიტუენტებს წარმოადგენენ ხოლმეობითის, I თურმეობითის, II თურმეობითის, აწმყო დროის ფორმები, ლექსიკური საშუალებანი: ზმნიზედები, არსებითი სახელები, ზედსართავები და სხვ. წყვეტილის და უწყვეტელის ფორმები თავისი პარადიგმატული მნიშვნელობებით გადმოსცემენ წარსულ დროს. ეს მნიშვნელობა ვლინდება ნეიტრალურ კონტექსტში ყოველგვარი გამაძლიერებელი და დამაზუსტებელი საშუალებების გარეშე. „ავტობუსმა ფრთხილად გაიარა სხვა ავტობუსებს შორის, თავისუფალი ადგილი მონახა და გაჩერდა. ელენე ადგა, საწვიმრის საყელო და ქამარი შეისწორა, დაჭმუჭნულ კალთებზე რამდენჯერმე ჩაისვა ხელი, ჩანთა აიღო, შეიცადა, სანამ სხვები ჩავიდოდნენ და მერე თვითონაც ჩავიდა“ (რ. ინანიშვილი). უწყვეტელის ფორმები: „ადამიანები თითო-თითოდ ან ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ზღვის პირას. იხდიდნენ ტანზე. მერე წვებოდნენ მზის გულზე, დარბოდნენ, გორაობდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ, იჭერდნენ, ლამაზ კენჭებს, ნიჟარებსა და გახვრეტილ ქვებს ეძებდნენ“ (ნ. დუმბაძე).

წარსულის მნიშვნელობის გადმოცემისას ხოლმეობითის ფორმებით ხდება მრავალგზისობის სემის განეიტრალება და წარსული დროის მნიშვნელობის რეალიზაცია: „საკმარისი იყო ვაშლი ან მსხალი ჩამოვარდნილიყო შურდულივით მოწყდებოდა ადგილს, მივარდებოდა ხის ძირში, აიღებდა ნაყოფს და ბაბუას მიურბენინებდა“ (ნ. დუმბაძე). I და II თურმეობითის ფორმები ფაკულტატურად გადმოსცემენ წარსული დროის მნიშვნელობას. ისინი უპირატესად გამოხატავენ ისეთ მოქმედებას, რომლის შესრულების პროცესი მოუბარს უშუალოდ თვითონ არ უნახავს, მაგრამ სხვისგან გაუგია. ამ ფორმათა ძირითადი სემაა უნახაობა წარსულ დროში. „... გამოდის, რომ ამ ხნის განმავლობაში სულ ერთ ადგილზე გვივლია... ისე კი, ბევრი გვივლია. ჰო, რა ბადე გვიქსოვია...“ (ნ. დუმბაძე). მთელი რიგი ლექსიკური ინდიკატორები, რომლებიც თავის სემანტიკაში მხოლოდ წარსული დროის მნიშვნელობას შეიცავენ, მხოლოდ მის ფორმებთან შეხამების უნარს ამჟღავნებენ. სხვა დროის ფორმებთან ისინი შეუთავსებელნი არიან. „ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგითხრობთ, **შარშან** მოხდა გაზაფხულზე. სოფელში ვიყავი სამი დღით ჩასული.“ „- **წუხელ** რომ ზევიდან გადმოვარდნილმა ძაღლმა მთელი სოფლის ძაღლები დაცოფა შენ არ გაგიგია?“ (ნ. დუმბაძე). „... მკერდში რაღაც სჩხვლეტდა, როგორც **გუშინ, გუშინწინ** და ერთი თვის **წინათაც**“. (რ. ინანიშვილი). **მომავალი დროის მიკროველი:** ველის დომინანტია მყოფადის ფორმები, კონსტიტუენტებს წარმოადგენენ მყოფადის კავშირებითი, II კავშირებითი და III კავშირებითის ფორმები თავისი ფაკულტეტური მნიშვნელობებით. მომავალი დრო, ისევე როგორც წარსული არააქტუალურ მოქმედებათა სფეროს განეკუთვნება, განსხვავებით წარსული დროისაგან, მაგრამ არააქტუალობას აქ თავისი მიზეზი აქვს: მოქმედება ჯერ არ განხორციელებულა, იგი მხოლოდ გათვალისწინებულია. „საახალწლოდ ხელსაც მოაწერენ, ქორწილში მე არ

ვიქნები, ვერ მოვახერხებ ჩამოსვლას სოფლიდან. მე მერე მოვალ. მივუტან ბროლის ლარნაკებს, ვაკოცებ ერთსაც და მეორესაც, ვეტყვი, რომ იბედნიერონ, ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს...“ (რ. ინანიშვილი).

ამგვარად, ტემპორალობის ველის მრავალფენოვანობა უფლებას გვაძლევს მივიჩნიოთ დროის კატეგორია ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიად და ვიკვლიოთ იგი ველის პრინციპით, სახელდობრ, გრამატიკულ-ლექსიკური ველის პრინციპით.

ლიტერატურა:
1. მეგრელიშვილი მ. ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში, თბილისი, 1986.
2. ნებიერიძე გ. საფუძვლიანი გამოკვლევა ფუნქციურ გრამატიკაში, ჟურნ. „უცხოური ენები სკოლაში“, №4, 1987;
3. შანიძე ა. ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1962;
4. Бондарко А.В. Грамматическая категория и контекст. Л. 1971;

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია თანამედროვე ქართული ენის ზმნის დროული ფორმების სისტემაში ტემპორალობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის კვლევა და მისი გამოხატვის საშუალებების დადგენა. ნაშრომში გაანალიზებულია ყველა ის მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური და კონტექსტუალური საშუალებანი, რომლებიც გამოხატავენ განსხავებულ დროულ მიმართებებს ახლანდელის, წარსულის და მომავლის მიკროველებში ერთიანი დროის მიკროველის ფარგლებში. ტემპორალური ველის მრავალფენოვანობა უფლებას გვაძლევს ტემპორალობა მივიჩნიოთ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიად და ვიკვლიოთ იგი გრამატიკულ-ლექსიკური ველის პრინციპით.

FUNCTIONAL-SEMANTIC CATEGORY OF TEMPORALITY IN THE GEORGIAN LANGUAGE

Nino Okropiridze, Full Professor

SUMMARY

The aim of the current work is the research of the functional-semantic category of temporality in the system of verbal times of the modern Georgian Language. The time field of the Georgian Language is analyzed in the work, and all the morphological, syntactic, lexical and contextual means are revealed, which express various temporal relations inside the micro fields of the Present, Past and Future Times.

ნაწილაკის როლი გამონათქვამის ორგანიზაციაში

მარიკა შერაზადიშვილი, სრული პროფესორი

უცხოურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, არ არის გავრცელებული დამხმარე მეტყველების ნაწილთა დაპირისპირება სრულმნიშვნელოვან დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილებთან; შესაბამისად, არც ტერმინები აქვთ. მაგრამ ზოგჯერ გამოყოფენ მიმართებით სიტყვათა კატეგორიას, მაგალითად, გერმანულში ისეთს (verhältniswörter), სადაც შედის ნაწევარი, წინდებული, თანდებული და კავშირი (მაშინ როცა, ნაწილაკებს ზმნისართის სახეობად მიიჩნევენ). დამხმარე სიტყვათა მოცულობა მდგრადი არ არის. მაგალითად, ფრანგული ტრადიციის მიხედვით, დამხმარე სიტყვებს, რომელთაც mots accessoires უწოდებენ, მიაკუთვნებენ კავშირებს, წინდებულებსა და ნაცვალსახელებს. ამ კორპუსის შემადგენლობა მერყევია რუსული ენათმეცნიერების ისტორიაშიც. მაგალითად, ფ. ბუსლაევს აღნიშნულ ჯგუფში შეჰყავს

ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, წინდებულები, კავშირები, ნაცვალსახელოვანი ზმნისართები, დამხმარე ზმნები (ფ. ბუსლაევი, 1959); ა. პეშკოვსკი მხოლოდ წინდებულებსა და კავშირებს ასახელებს (ა. პეშკოვსკი, 1938); ლ. შჩერბა - ზმნურ სართებს, წინდებულებს, კავშირებს, მაკავშირებელ სიტყვებს (ლ. შჩერბა, 1957).

რუსული აკადემიური გრამატიკა ემყარება ვ. ვინოგრადოვს, რომელიც დამხმარე სიტყვებად გამოყოფს ნაწილაკებს, წინდებულებსა და კავშირებს (ვ. ვინოგრადოვი, 1947). ანალოგიურია აკაკი შანიძის მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, გარდა თანდებულის, კავშირისა და ნაწილაკისა, ძველი ქართულისათვის ნაგულისხმევია ნაწევარიც. აკაკი შანიძე მათ მხლებლებს უწოდებს. გავიხსენოთ ნაწილაკის განმარტება:

ნაწილაკი – დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ბგერა, ბგერათა კომპლექსი თუ სიტყვა, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრით (შანიძე, 1980, 607).

ამგვარად, „დამხმარე სიტყვები სხვა სიტყვებთან ერთად იძლევიან გარკვეულ მნიშვნელობას, ცალკე კი არც რაიმე საგანზე მიგვითითებენ, არც თვისებას გვანიშნებენ, არც მოქმედებას, მდგომარეობას, არც ადგილზე მიუთითებენ, არც დროზე“ (არნ. ჩიქობავა, 1952).

ამ განმარტებათაგან გამომდინარე, დამხმარე სიტყვები, როგორც ლექსემები, ნომინაციურ მნიშვნელობას მოკლებული არიან, რადგან ვერ ასახელებენ საგანს, ნიშანს, თვისებას, მოქმედებას. მათი ლექსიკური მნიშვნელობა არის იმ მიმართებათა განყენება, აბსტრაჰირება, რომლებსაც ისინი წინადადებაში გამოხატავენ. დამხმარე სიტყვებს არა აქვთ სემანტიკური ერთობის საფუძველი, მათი ერთობა ფუნქციურია, გრამატიკულია, რითაც ისინი ემსგავსებიან მორფემებს (სუფიქსებს, ფლექსიებს) და უპირისპირდებიან სრულმნიშვნელოვან სიტყვებს. ამ უკანასკნელთაგან ისინი იმითაც გამოირჩევიან, რომ არ გააჩნიათ მორფოლოგიური კატეგორიები და სინტაქსურ კონსტრუქციებში მხოლოდ დამხმარე სინტაქსურ ფუნქციებს ასრულებენ. ნაწილაკებისათვის დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი სუბიექტური მოდალობის სხვადასხვა ელფერსაც გამოხატავენ. მაგრამ ამით არ ამოიწურება მხლებელთა დანიშნულება, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მათს სემანტიკაში ჭარბობს მნიშვნელობის კონტექსტური ტიპი, ისინი წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის კომპონენტებსაც წარმოადგენენ (გ. კვარაცხელია, 1994).

რა წარმოქმნის გამონათქვამის ინფორმაციულ სტრუქტურას? წინადადება, რომელიც არ არის ჩართული კონკრეტულ სიტუაციაში და რომელიც „ზოგადად“ ადრესატისათვისაა განკუთვნილი, არაფერს ინდივიდუალურს არ ასახავს, მაგრამ მაინც რაღაცას გვატყობინებს. ამდენად, წარმოადგენს კომუნიკაციურ ერთეულს, რომელიც რაღაც შინაარსს გამოხატავს. კონტექსტის უქონლობის მიუხედავად, ყოველთვისაა მითითებული შეტყობინების ამოსავალი წერტილი და აზრობრივი ცენტრი. რამდენადაც არსებობს წინადადება, იმდენადვე იგი რაღაცას გვამცნობს, ე. ი. მასში ხორციელდება რაღაც ზოგადი კომუნიკაციური ამოცანა, რომელიც საცნაური ხდება შესაძლო კონტექსტში.

კონტექსტის გარეშე აღებულ ფრაზაში „დღეს მე კინოში წავალ“, აზრობრივი ცენტრი – წავალ ადვილი გამოსაცნობია. უკონტექსტოდ აღებულ ნებისმიერ სწორად აგებულ წინადადებაში, გარდა ფორმალურ-გრამატიკული სტრუქტურისა, რაღაც სქემის არსებობა იგრძნობა, რომლის მიხედვითაც იშლება შინაარსი და რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაციური ამოცანა (აღიქმება აზრობრივი ცენტრი). შეტყობინების ამოსავალი პუნქტი და მისი აზრობრივი ცენტრი – ეს კომპონენტები კონტექსტის გარეშეც წარმოქმნიან წინადადების ინფორმაციულ სტრუქტურას.

გამონათქვამის წარმოქმნის ჩვეულებრივი აქტისას მას უჩნდება კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანა, შეპირობებული ისეთი ფაქტორებით, რომლებიც გამოწვეულია სწორედ მოცემული სამეტყველო სიტუაციით (გარკვეულ კონტექსტში ჩართვა, გარესინტაქსური კავშირების შექმნა, ექსპრესიული ამოცანის წამოჭრა, მოსაუბრის მიმართების გამოხატვა გამონათქვამთან და ა. შ.). ზოგად ამოცანაზე კონკრეტული, სიტუაციური კომუნიკაციური ამოცანის დამატებამ შეიძლება სრულიად არ იმოქმედოს გამონათქვამადქცეული წინადადების ფორმალურ-გრამატიკულსა და ინფორმაციულ სტრუქტურებზე. ეს მოხდება მაშინ, როცა კონტექსტი დაემთხვევა იზოლირებული წინადადების შემთხვევაში ნავარაუდევ კონტექსტს, მაგალითად, „რას აპირებ დღეს?“ – „დღეს მე წავალ კინოში“.

მაგრამ კონკრეტულმა კომუნიკაციურმა ამოცანამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილება ინფორმაციულ სტრუქტურაში, მაგალითად მაშინ, როცა კონტექსტში ჩნდება აუცილებლობა, ლოგიკურად ან ემოციურად გამოიყოს არა ის აზრობრივი ჯგუფი, რომელიც კონტექსტის გარეშე აზრობრივი ცენტრი ჩანდა. „გუშინ თქვენ ისვენებდით, დღეს მე წავალ კინოში“ (აზრობრივი ცენტრის გამოსაყოფად აქ გამოიყენება ინტონაცია, კონტრასტული მახვილი).

კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანის დამატებამ შეიძლება ცვლილება გამოიწვიოს ფორმალურ-გრამატიკულ სტრუქტურაშიც. „დღეს კინოში წავალ მე“ – აზრობრივი ცენტრი აქ სიტყვათა ინვერსიული რიგით გამოიყოფა.

გამოყოფა შეიძლება მოხდეს დამხმარე სიტყვების გამოყენებით, რომლებიც ლოგიკურ მახვილს გარკვეულ აზრობრივ ჯგუფზე მოახვედრებენ. „გუშინ თქვენ ისვენებდით, დღეს კი მე წავალ კინოში“, „დღეს, დიახაც, მე წავალ კინოში“. ამ წინადადებებში მოცემული ინფორმაცია დაკავშირებულია გამონათქვამთან და არა არაენობრივ სინამდვილესთან, ამიტომ იგი ნომინაციური არ არის. „კი“ და „დიახაც“ ნაწილაკებს არც სინტაქსური ინფორმაცია გააჩნიათ, რადგან ისინი არც წინადადებაში სიტყვათა ურთიერთმიმართებაზე მიუთითებენ და არც გამონათქვამში წინადადებათა ურთიერთკავშირზე. მათი ამოღებით არაფერი დააკლდება სინტაქსურ კავშირებს.

ინფორმაცია, რომელიც გადმოიცემა აღნიშნული ნაწილაკებით, ეხმარება მსმენელს, გაერკვეს გამონათქვამის ორგანიზაციაში. მათი ფუნქციები სინტაქსური ფუნქციის ანალოგიურია, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ისინი აქტუალური არიან გამონათქვამის და არა წინადადების დონეზე. ამიტომ ამ ტიპის მნიშვნელობას კომუნიკაციური ეწოდება, რადგან იგი ხასიათდება პრაგმატული ინფორმაციით – ასახავს გამონათქვამის კომუნიკაციურ ორგანიზაციას (გ. კვარაცხელია, 1997).

ზოგად ამოცანაზე სიტუაციური კომუნიკაციური ამოცანის დამატებით გამოწვეული ცვლილება გამოიხატება როგორც იზოლირებულ წინადადებაში არსებული კომუნიკაციური დატვირთვის საშუალებით, ისე მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებებითაც. მაგალითად, კავშირებთან ერთად ნაწილაკებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახალი ინფორმაციის შემოყვანის მარკერად.

გაძლიერებითი ნაწილაკი „ც" მიგვანიშნებს ახალი ინფორმაციის შემოსვლაზე:

რაც ქონება ჰქონდა, იგიც თან წაიღო (საბა, 1, 44);

ვინც სავსე ჯამში ხელს ჩაყოფს, გემოსაც ის გაიგებსო (ანდ.);

ვისაც ნემსის დაკარგვა არ დაენანება, იმას არც აქლემის დაკარგვა დაენანებაო (ანდ.).

ახალი ინფორმაციის შემოსვლაზე მიგვანიშნებს „კი“:

ოფოფმან ჯავრი კი ამოიყარა, მაგრამ მამალსა და ძერას აღარ ეშველა რა (საბა, 1, 27);

წანწალი თუმცა კი მიყვარს, მაგრამ ჩემი ქვეყანა თავს მირჩევნია (დოჩ., 94);

დიმიტრის ტაძრის დანახვაზე რაღაც მშობლიური რეჩხი კი მიყო გულმა... მაგრამ ჩემი კვეტერა გამახსენდა და გულზე მომეშვა (დოჩ., 97);

ამრიგად, დამხმარე სიტყვები, მათ შორის ნაწილაკები, რომლებსაც არა აქვთ უნარი, გადმოგვცენ ნომინაციური ან სინტაქსური ინფორმაცია, ხასიათდებიან პრაგმატული ინფორმაციით; მათს ლექსიკურ მნიშვნელობაში აისახება გამონათქვამის კომუნიკაციური ორგანიზაციის უნარი, რაც სწორედ მათ კომუნიკაციურ მნიშვნელობას განსაზღვრავს.

ლიტერატურა:

1. ბუსლაევი, 1959 – Ф. Буслаев, Историческая грамматика русского языка, М., 1959;
2. ვინოგრადოვი, 1947 – В. Виноградов, Русский язык, М., 1947;
3. პეშკოვსკი, 1938 – А. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1938;
4. შანიძე, 1980 - ა. შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 3, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980;
5. ჩიქობავა, 1952 - არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952;
6. კვარაცხელია, 1994 - გ. კვარაცხელია, დამხმარე სიტყვების საკომუნიკაციო მნიშვნელობისათვის, პროფესორ-მასწავლებელთა მე-60 საინსტიტუტთაშორისო სამეცნიერო სესია, თბ., 1994;
7. კვარაცხელია, 1997 - გ. კვარაცხელია, გამონათქვამის ინფორმაციული სტრუქტურის ზოგიერთი კომპონენტისათვის, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, VIII, თბ., 1997.

რეზიუმე

დამხმარე სიტყვები, მათ შორის ნაწილაკები, რომლებსაც არა აქვთ უნარი, გადმოგვცენ ნომინაციური ან სინტაქსური ინფორმაცია, ხასიათდებიან პრაგმატული ინფორმაციით; მათს ლექსიკურ მნიშვნელობაში აისახება გამონათქვამის კომუნიკაციური ორგანიზაციის უნარი, რაც სწორედ მათ კომუნიკაციურ მნიშვნელობას განსაზღვრავს.

PARTICLE'S ROLE IN ORGANIZING OF EXPRESSION

Marika Sherazadishvili, Full Professor

SUMMARY

Auxiliary words, including particles, being unable to give nominative or syntax information, are characterized by pragmatic information. In their lexical meanings the ability of communicative organization is reflected. This one determines their communicative ability.

THE WEAK FORMS OF ENGLISH VOWELS AND THE METHODS OF TEACHING AND IMPROVING THEM

Zurab Chkhikvadze, *Full Professor*
Lela Khubuluri, *Specialist by Contract*

The Problems of Weak Forms in Spoken English

Speaking English comprehensibly and comprehending the speech of a native speaker deals with several difficulties. One of the difficulties is the weak forms of the vowels. This article aims to build teachers' awareness of the importance of teaching weak forms and suggests some practical ways to do so, regardless of what native language students speak.

What is the weak form?

English is a stress-timed language, which means that stressed syllables are equal in timing. In order to fit out words into this pattern, we tend to ''squash'' or compress other syllables or words occurring between stresses, in order to keep up with the more or less regular rhythm. Therefore, compressing or ''weakening'' some sounds is necessary to keep the rhythm of English

A weak form is the pronunciation of a word or syllable in an unstressed manner. Of course, the difference between the strong form (stressed) and the weak form (unstressed) of a word is not apparent in writing, but in speech these two variations in pronunciation can be drastically different. If spoken in isolation, the weak form of a word would probably be unintelligible.

The difference between the two forms can affect meaning. Here is an example to show how strong and weak forms of a single words (that) can change the entire meaning of a sentence:

- John thinks that man is evil. / ðət1/ This version of the sentence, with the weak (unstressed) form of *that,* means '' John thinks all humans are evil.
- John thinks that man is evil./ ðæt / This version of the sentence, with the strong (stressed) form of *that,* means '' John thinks a specific (male) individual is evil.

As indicated by this example, if a speaker unknowingly uses the strong form instead of the weak form , misunderstandings can occur.

Rationale for teaching weak forms

There are two good reasons why weak forms ought to be taught. First, teaching weak forms can help students improve their production of spoken English. Because of the influence of their mother language, our Georgian students tend to pronounce every word very clearly. As a result, their speech always sounds foreign, sometimes unintelligible, because enunciating each word is a sentence can disrupt the natural rhythm of spoken English. Second, not knowing the weak form may inhibit students' comprehension of the English spoken by fluent speakers. Therefore, acquiring weak forms is important not only for students' production of spoken English but also for their listening comprehension.

Introducing the concept of weak forms

It is a good idea to begin instruction of weak forms by raising students' awareness of the concept. Let them know that using weak forms is a common feature of natural English speech and does not represent a degenerate manner of speaking. If students know the rationale for using weak forms, then they will be motivated to learn them.

The teacher can have students listen to some sentences in which weak forms are used. For example, the weak form of *to/ tə /* is used in the following two sentences:

- He went to the library to read magazines.
- After the accident. She had to go to the hospital.

The teacher could first ask students to pronounce the word *to* in isolation in the strong form, then have them listen to these two sentences and draw their attention to the pronunciation of to in the weak form, comparing the different pronunciations. When the students perceive the difference, the teacher can introduce the notion of weak forms.

Before teaching some specific weak forms, the teacher needs to introduce their main phonological features. There are generally three ways in which the strong form is changed into the weak form.

- A vowel is reduced to a schwa (the neutral vowel / ə /) in function words, such *as to, a, the, and,* and *of.* If the students are not familiar with the term of *function word* , the teacher can explain that function words are usually articles, conjunctions, and prepositions, as well as auxiliary verbs.
- A final consonant is omitted from a function word such as *and .*
- An initial consonant is omitted from pronouns , such as *he, him, her,* and *them* (except then the pronoun occurs at the start of a sentence.) Example sentences should be given to illustrate each of these three ways for students to get a rough ides of weak forms.

After students have an initial understanding of the weak form , It's time for the teacher to organize some activities to help them master pronunciation of weak forms in English. An important guideline for teaching weak forms is that the teacher shouldn't give students a long list of weak forms of words and teach them all at once. A better technique is to teach the weak forms according to the grammatical category of function words. Generally speaking, there are six groups of function words that have weak forms: articles, pronouns, auxiliary verbs, propositions, conjunctions and adverbs. In the following two sections, teaching the weak form of the auxiliary web *can* is presented as an example of one way to teach this important aspect of spoken English.

Presentation and controlled practice

First the teacher writes three sentences on the blackboard:

- Can you swim?
- Yes. I can.
- He can swim, too.

and says them out loud. Just like the awareness-raising activity mentioned above, the teacher focuses the students' attention on the pronunciation of *can* in these sentences, helping them perceive that the strong forms / kæn / is used in the first two sentences, while the weak form / kən/ / is used the third sentence. In the initial or final position of a sentence, the strong form of function words will usually be used even if it is unstressed. If students are familiar with the phonetic symbols, the teacher can write the two different phonetic transcriptions next to each sentence, then read the aloud, having students listen to the two forms in isolation. The teacher can check whether they can distinguish these two sounds accurately with a minimal pair exercise. The teacher says one form of *can* and asks students whether it is the strong (/ kæn /) or weak(/kən /) form. Next, the teacher can briefly use some imitation exercises, saying aloud and having students repeat the two forms of the word *can .* With these activities, the teacher can be sure that the students can recognize and produce these two sounds, at this point, in isolation.

It's usually easier our students to pronounce the weak forms in isolation than in a sentence, so controlled practice with sentences is needed. We have them read the model sentences out loud; if necessary, we read first and the students repeat. After they have read these three sentences correctly a few times, drilling can reinforce the proper pronunciation of the weak forms in sentences. I have found that there is no need to practice the strong forms, because my students are quite familiar with it.

Substitution drills can be used. Based on the model sentence '' He can swim'' the teacher can give some cue words. For example, the verb *dance* is given, and students have to produce the sentence '' he can dance''. If the pronoun they is given then the students have to produce "They can swim", etc. This kind of substitution drilling should be done first in chorus and then individually. Choral drilling can help to build students' confidence and give them the chance to practice anonymously, without feeling nervous about whether they can pronounce

correctly in front of the entire class. After the choral drilling, the teacher can call on individual students to pronounce. In this way the teacher can determine how well individuals can pronounce the weak form in sentences.

At this point of instruction, there are other kinds of activities that can be used in teaching weak forms. One is the use of a tape recorder. Students read aloud and record a dialogue or passage then compare their reading with a recording of the same material made by fluent speakers of English, paying special attention to the weak forms used. This activity not only raises students' awareness of weak forms, but also helps them to know what they need to improve in their pronunciation.

After the weak forms of some function words have been taught, the teacher can give students a listening passage to practice recognition. Students identify the strong and weak forms of function words in the passage Also students can listen to a passage from which some function words have been deleted; they have to decide which form is appropriate (strong or weak) and fill in the blanks.

Communicative practice

If only controlled practice is used in teaching weak forms, the teacher cannot be sure whether the students can apply that the have learned in natural English speech and the students may get bored with the mechanical drills. The teacher must involve students in meaningful and communicative pronunciation activities to make learning interesting and motivating . Therefore the teacher must design some communicative activities in which the weak forms will inevitable be used. The following three-step activity is one that I have used successfully with my students:

- In pairs, students interview each other about what special skills each of them has
- If the initial questions are not adequate for the students to get a comprehensive idea of the special abilities of his /her partner the student being interviewed should provide more information voluntarily
- Students report to the whole class what abilities his/her partner has

In this activity students get a lot of chances to practice the two forms of *can.* In step 1, some interview questions should contain can, for example: '' Can you play ___ (a game or sport) ? '' '' What else can you do? '' '' I remember you can ___ . can't you? '' the answers ''Yes I can'' and '' No , I can't '' will be used. In step 2, the statement '' I can ___ '' will be used spontaneously. In this activity, both the strong form and weak form should be used in the students' speech many times, so the teacher can determine whether students can use them in the appropriate places. In the interview, students ask their partners something that they don't know and talk about themselves, which makes this activity meaningful to them.

To encourage students' spontaneous communication where the use of weak forms is almost inevitable, the teacher can organize other activates, such as role plays. In this kind of activity students are given the opportunity to practice the weak form in a meaningful context.

Conclusion

Weak forms are an important component of natural and fluent English speaking, but systematic teaching of the Phonetics and especially the weak form of spoken English has been ignored in Georgia .We have found that students who receive systematic instruction in weak forms over a period of time show a significant improvement in their production and comprehension of spoken English

References:

V. Meskhishvili .1983. Introduction to English Pronunciation.
O'Connor. 1964. Intonation of Colloquial English
Alfred Reszkiewicz.1981. Correct your English Pronunciation.
Fangzhi, Cheng. 1998. The teaching of pronunciation to Chinese students of English. English teaching forum. 36,1 , pp. 37-39
Kelly, G. 2000. How to teach pronunciation. Lon-Mayers R.P. 1981 . A new approach to the teaching of weak . ELT journal, 35, 1, pp. 421-426
Seymour, G. 1969. Practical English phonetics. London: Leonard Hill.
Liang Wnxia. 2003. Teaching weak forms. English teaching forum . 2 pp. : 32-37

RESUME

Speaking English comprehensibly and comprehending the speech of a native speaker deals with several difficulties. One of the difficulties is the weak forms of the vowels. This article aims to build teachers' awareness of the importance of teaching weak forms and suggests some practical ways to do so, regardless of what native language students speak. A weak form is the pronunciation of a word or syllable in an unstressed manner.

There are two good reasons why weak forms ought to be taught. First, teaching weak forms can help students improve their production of spoken English. Second, not knowing the weak form may inhibit students' comprehension of the English spoken by fluent speakers. Therefore, acquiring weak forms is important not only for students' production of spoken English but also for their listening comprehension.

After students have an initial understanding of the weak forms, It is time for the teacher to organize some activities to help them master pronunciation of weak forms in English.

In this article we have presented some of the activities have been used by us for several years while teaching Phonetics and due to these activities the speaking and comprehending skills of Georgian students have been improved significantly.

ხმოვნების სუსტი ფორმები ინგლისურ ენაში და მათი სწავლებისა და გაუმჯობესების მეთოდები

ზურაბ ჩხიკვაძე, სრული პროფესორი
ლელა ხუბულური, მოწვეული სპეციალისტი

რეზიუმე

ინგლისურ ენაზე აზრის გადმოცემა და ასევე ინგლისურენოვანი მოსაუბრის აზრის გაგება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომელთაგან ერთ-ერთი ხმოვნების სუსტი ფორმაა. ხმოვნების სუსტი ფორმა ესაა ხმოვანი უმახვილო მარცვალში. თუ რატომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება სუსტი ფორმების სწავლებისას ამისათვის მხოლოდ ორ მიზეზს დავასახელებთ: პირველი, სტუდენტებისთვის სუსტი ფორმის სწავლება გააუმჯობესებს მათი გაბმული მეტყველების უნარს და მეორე, მათ გაუუმჯობესდებათ მოსმენის უნარ-ჩვევა, რაც მოსაუბრის აზრის სწორად გაგების წინაპირობაა.

მას შემდეგ, რაც სტუდენტები გაეცნობიან სუსტი ფორმების არსს შემდეგ მასწავლებელმა უნდა მოახდინს მათი დახელოვნება სხვადასხვა აქტივობებით. სტატიაში წარმოდგენილია რამდენიმე აქტივობა, რომელთაც წლების განმავლობაში ფონეტიკის სწავლებისას ვიყენებდით. ამ აქტივობების შედეგად ქართველი სტუდენტების მეტყველება და ასევე, მათ მიერ ინგლისურეოვანი თანამოსაუბრის აზრის სწორად გაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

იდიომატურ-ფრაზეოლოგიზმთა მხატვრულ-ესთეტიკური დანიშნულება ჭაბუა ამირეჯიბის რომან „დათა თუთაშხიას“ მიხედვით

ელენე ხოჯევანიშვილი, სრული პროფესორი

ჭაბუა ამირეჯიბი განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მწერლობაში. მისი რომანების გარეშე შეუძლებელია XX საუკუნის ქართული ლიტერატურის სრულყოფილი გაზრება. ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება ზოგადსაკაცობრიო იდეებითაა გაჯერებული, ამასთან მკვეთრად თანამედროვე და ინდივიდუალურია თავისი სტილითა და პრობლემატიკით.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მწერალსა და მკითხველს შორის უპირველესი შუამავალი ენაა, სიტყვაა. სწორედ სიტყვის მეშვეობით გვამცნობს იგი თავის განზოგადებულ აზრს განცდილზე, ნანახსა თუ გაგონილზე, მაგრამ როცა მწერალი მხოლოდ სიტყვათა სილამაზეზე ზრუნავს, იგი მიზანს ვერ აღწევს.

ამა თუ იმ მწერლის ენა მხოლოდ მაშინ ზეიმობს გამარჯვებას, თუ მას დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება უდევს საფუძვლად. ამის შესახებ თავად წერს ჭაბუა ამირეჯიბი მურმან ლებანიძესთან მიცემულ ინტერვიუში.

ჭაბუა ამირეჯიბის ნაწარმოებთა დამატყვევებელი ხიბლის ერთ-ერთი საიდუმლოც ალბათ მის საოცარ ცხოვრებისეულ ხვედრსა და მშობლიური ენის სიღრმისეულ ფლობაში უნდა ვეძიოთ. მწერალი მხოლოდ მაშინ პოულობს იმ ერთადერთ, ზუსტ, შეუცვლელ სიტყვას და ფრაზას, როცა კარგად იცის ის, რაზეც წერს.

ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე საუბარი წარმოუდგენელია მისი ენის თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. მწერლის ენის თავისებურებათა გამოსავლენად მრავალ ფაქტორს ენიჭება ყურადღება და მისი შესწავლა დღესაც ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემად რჩება. არსებობს მკვლევართა განსხვავებული მოსაზრებანი მწერლის ენის შესასწავლად სხვადასხვა პრინციპის და მეთოდის გამოყენების შესახებ. ჩვენ იმ პოზიციას ვუჭერთ მხარს, რომლის მიხედვითაც მწერლის ენის შესწავლა უპირველესად მისი სტილის, წერის მანერის შესწავლას გულისხმობს, ანუ იმას, თუ ენობრივი გამოხატვის რა ფორმები და რა მხატვრულ-ექსპრესიული საშუალებებია გამოყენებული ამა თუ იმ შინაარსის, იდეის ხორცშესასხმელად, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთ მიდგომას შეუძლია გამოავლინოს მწერლის ენის ღირებულებანი მთლიანობაში. შემოქმედის ენის სურათის სრულყოფილად წარმოსაჩენად საჭიროდ მიგვაჩნია გარკვევა იმისა, თუ რა ენობრივი საშუალებებით იქმნება მწერლის ინდივიდუალური სტილი, რა მიზანს ემსახურება მრავალფეროვან საშუალებათაგან მის მიერ შერჩეული კონკრეტული ფორმების გამოყენება და რა შედეგს იძლევა მათი ხმარება იდეურ-შინაარსობრივი თუ მხატვრულ-ემოციური თვალსაზრისით. ამ მოსაზრებით განვიხილავთ ,,დათა თუთაშხიაში" საკმაოდ უხვად გამოყენებულ ფრაზეოლოგიურ-იდიომატურ შესიტყვებებს, როგორც შემოქმედის ინდივიდუალობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს.

ფრაზეოლოგიზმებში ენის განსაკუთრებული შესაძლებლობები ძევს. ისინი ენაში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენენ, რადგან ამ გამონათქვამებით შეზავებული მეტყველება უფრო ტევადი და დახვეწილი ხდება, რადგან მათში აღბეჭდილია ენის შინაგანი ბუნების თავისებურებანი. ამიტომაც არის იდიომატური ფრაზეოლოგია ენის სიმდიდრის და მხატვრული სიტყვათშემოქმედების საფუძველი, თუმცა დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თანამედროვეობამ ერთგვარად შთანთქა ხატოვანი სიტყვა-თქმანი და იდიომატიკა. თანამედროვე მწერლობის ენაც ამ მხრივ XIX საუკუნის მწერლობის ენასთან შედარებით გაღარიბებულია, თუმცა ამირეჯიბის დამოკიდებულება ენასთან მიმართებით ამ მხრივაც განსაკუთრებულია. იგი ეძებს რა სიტყვების და გამოთქმების ფესვებში ქართული აზროვნების და განცდის სტრუქტურებს, ქართულ ფსიქიკას, ხალხურ ფორმებს, თავის რომანში საკმაოდ ხშირად მიმართავს საუკუნეთა განმავლობაში სწორედ ხალხის მიერ შექმნილ და მისივე ხატოვანი აზროვნების გამოხატულებას – ფრაზეოლოგიურ-იდიომატურ გამოთქმებს, ფართოდ იყენებს რა საერთო-სახალხო ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს, მწერალი მკვეთრად განსხვავებული წერის მანერას ფლობს. მწერლისთვის, რომელიც უფრო ღრმად ხედავს და დანარჩენი ადამიანებისაგან განსხვავებულად აღიქვამს სამყაროს, ნორმირებულ, მკაცრ ჩარჩოში ჩასმული ენა საკმარისი არ არის. ალბათ ამითაც უნდა აიხსნას ყველა სხვა სტილურ ნიშანთან – დიალოგების, გამეორების, მხედველობითი ხატების, სმენითი ეფექტების გამოყენებასთან ერთად ფრაზეოლოგიზმთა სიუხვე მწერლის ენაში. თუმცა ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭაბუა ამირეჯიბი არ გამოირჩევა ლექსიკურ სიახლეთა ძიებისკენ განსაკუთრებული ლტოლვით. მისი პროზის მხატვრული ძალა სხვა სტილისტურ ხერხებს უფრო ემყარება. მართალია, მის ნაწარმოებში გამოყენებული მყარი შესიტყვებების უმეტესობა ცნობილია, ისინი გვხვდება როგორც ცოცხალ მეტყველებაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში და სიახლით არ გამოირჩევა, მაგრამ მათი ხმარება განაპირობებს თხრობის ბუნებრიობას, უფრო შთამბეჭდავს ხდის მას, მშობლიურ, ენობრივ კოლორიტს აგრძნობინებს მკითხველს და მეტი განცდით მუხტავს. მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს:

აი, აქ, რომ იტყვიან, – აირია მონასტერიო, სწორედ ის მოხდა. (1. 634). როცა ციტადელი ირყევა, გოდოლის მეციხოვნეთა ბედიც ბეწვზე ჰკიდია. (1. 315). სტუმრებმა გუდა-ნაბადი აიკრეს, ღამე მშვიდობისა თქვეს და წავიდნენ. (1. 348). ჭკუით იყავით, თვარა, ვნახავ თქვენი კუდებით ნასროლ ქვას და ვაი უბედურებს. (1. 83). სიცოცხლის ფასად რომ მღირებოდა, მაინც ვებრძოდი უსამართლობით და ძალმომრეობით ლელოს გამტან კაცებს. (1. 360). ერთად ყოფნა გვიხაროდა და სამარის კარამდე მეგობრობაზე ვოცნებობდით. (1. 599). ვინც სულს ეშმაკს მიჰყიდის, ვინც დედაენას დაივიწყებს და მამა-პაპას საფლავებში ჩააფურთხებს. . . ხმალი მაგას. . .(1. 560). პოლკოვნიკი წაბძანდებოდა თავის პეტერბურგში და აქ მე გამაძრობდნენ ტყავს. (1. 394). მე ფილოლოგიაში ჭიპი არ მომიჭრია, მტკიცება გამიჭირდება. (1. 312). ერთი კია, სუფრას ქორივით დასტრიალებდა, ჩიტის რძეს არ გვაკლებდა. (1. 78).

საილუსტრაციო მაგალითები ცხადყოფს, რომ მწერალი ხელოვნურად შექმნილი ფორმებით არ ამძიმებს თხრობას და ამით მეტ გულწრფელობას და დამაჯერებლობას სძენს მას. ნაწარმოებში ხმარებულ ფრაზეოლოგიზმთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ყოველი მათგანის გამოყენებას სდევს წმინდა მხატვრულ-სტილისტური ფუნქცია: იგი კარგად წარმოაჩენს გარკვეულ სიტუაციას, პერსონაჟთა შინაგან ბუნებას, ახდენს მათ ტიპიზაციას, ამასთან ავლენს მოვლენათა მიმართ მწერლის პოზიციას. სწორედ ეს არის გარკვეული იარაღი შემოქმედის ხელში, სხარტად, დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე გადმოსცეს პერსონაჟის სულიერი სამყარო, არ მოადუნოს მკითხველის ყურადღება და პირიქით, წარმართოს იგი სასურველი მიმართულებით:

მაგათ ორ ბატს ვერ ანდობს კაცი. (1. 764). კაცო, რა გინდა შენ, ჰა? – ბოქლომი მოხსნა დასტურიძემ. (1. 439). ჟენეტ დე ლამიემ თავპატიჟი გაიდო და უარზე იდგა. (1. 440). დათა თუთაშხიამ, როგორც იტყვიან, თესლი ჩააგდო და წავიდა. (1. 765). მედუქნემ თვალები მიწაში წაიღო, თავი ჩაქინდრა. (1. 490). ეს თვისება ბეჩუნია პერტიასაც შევნიშნე – მწვანე კიტრივით მოჰქონდა თავი. (1. 518). წადი ახლა და მოუარე შენს საქმეს. არ წამოვალ მე! – წყალი გადაუწურა დათამ. სახნოვმა. . . პირველმა გადმოგვიგდო ხელთათმანი. (1. 562). ამაზე ლაპარაკის საღერღელი აეშალა, მაგრამ თავს იკავებდა. (1. 831). ძველებური ჟინით, გამჭრიახობითა და ენერგიით დაუბრუნდა საქართველოში საქმიანობასა და ცეცხლთან თამაშს. (1. 67).

უდაოა, იდეომატურ-ფრაზეოლოგიზმთა მოშველიებით საინტერესო მხატვრული პორტრეტები იქმნება. სწორედ ხატოვანი გამოთქმების ოსტატურად გამოყენებითაა ნათლად გადმოცემულ გმირთა განცდები, მათი შინაგანი სამყარო. სტილიზაცია ამ შემთხვევაში იძლევა ძლიერ მხატვრულ ეფექტს, ქმნის გარკვეულ განწყობას და მკითხველს უდიდეს ესთეთიკურ სიამოვნებას ანიჭებს, მათში ხალხის მიერ მოვლენის არსის დანახვის თავისებურებაა არეკლილი, მათი ადამიანური ახსნა და შეფასებაა ხატოვნად გადმოცემული. ნაწარმოებში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები იმითაა საინტერესო, რომ მათ უმეტესობას გარკვეული ემოციური დატვირთვა სდევს თან, მათი სემანტიკური ველები საკმაოდ მრავალფეროვანია, გამოხატავს ირონიას, დალოცვას, სინანულს, გაოცებას, დაცინვას, უარყოფით ან პირიქით დადებით დამოკიდებულებას:

უპოვის მერე შესაფერ დროს, დაცხებს ისევ და მოგჭამა ჭირი მეფემ და იმპერიამ. (1. 420). სახნოვმა ჩემი ეტლით ჯერ კულაგინები მიაცილა სახლამდე და შემდეგ თავისი გულის ვარდი. (1. 560). თქვენისთანა გამრჯელი ადამიანებისთვის ყველეფერი ალალია, იყედეთ ძროხა და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. (1. 29). ჩივილით ბევრი იჩივლებს მურმანთან, ისეთი კაცი ჩანს ეგ, და უნდა ამოძვრეს სული შიმშილით. (1. 175). ჩემთვის ერთი კაი მუშტიც კმარა, გავჭიმავ ფეხებს . . . (1. 145). ცუცას შეყვარებულს სათქმელი პირზე შეაშრა (1. 171). საბოლოოდ ყურებზე ხახვს ვერ დააჭრის ვერავინ – ასეა ეს! (1. 449). გაჩუმდა დასტურიძე, ჩამოჰყარა ყურები დაღლილი ვირივითა. (1. 446).

ავტორი რომ გარკვეული განწყობის გადმოსაცემად სწორედ ამ ფორმებს ირჩევს და არა სხვას, მის მიერ სამყაროს ხედვის თავისებური გამოხატულებაა. ფრაზეოლოგიზმების გამოყენებას მეტი დინამიზმი შემოაქვს თხრობაში, დინამიზმი კი ეპიკური თხრობის მნიშვნელოვანი კომპონენტია და ამითაც განისაზღვრება მკითხველზე მათი გაძლიერებული ზემოქმედების ძალა. სწორედ სათქმელის გასამწვავებლად, მეტი ექსპრესიულობის მისანიჭებლად იყენებს მწერალი ერთ წინადადებაში რამდენიმე ფრაზეოლოგიურ გამოთქმას:

ამდენი წლის ძმაკაცობას სანეხვეზე ვერ გადავაგდებდი, ყველაფერში მხარი უნდა ამება. (1. 799). ჩიხში მოვექეცით და, თითქოს, მზად ვიყავით ხელი ჩაგვექნია. (1. 694). ენას კბილი რომ დააჭიროს, ხელში არაფერი შეგვრჩება (1. 555). ხმა უნდა ამემაღლებინა, სათქმელი მეთქვა, მზის სინათლეზე გამომეტანა. (1. 508). ძაღლად ვინ ჩამაგდო, ვისი ტიკი-ტომარა ვიყავი? (1. 805). ზურგი შევაქციე ყველაფერს, აღარ ჩავერიე სხვის საქმეში, ქვა ქვაზე ნუ დარჩება ნურსად მეთქი! (1. 360). მოპარვა ვინ გამიბედა, ნეტავი. ვის ქონდა რკინის გული და ორი თავი? (1. 388). ამით კუდის მოქნევა და ტრაბახი კი არ მსურს, არამედ იმის თქმა მინდა, რომ ყველა გზა ხსნილი მქონდა (1. 505).

ნაწარმოებში შეგვხვდა რამდენიმე ისეთი ფრაზეოლოგია-იდიომი, რომლებიც სემანტიკურ-სტილისტური თვალსაზრისით სინონიმური ვარიანტებია ენაში ცნობილი გამოთქმებისა, მათში შეცვლილია საყრდენი სიტყვა ან სხვა კომპონენტი, რაც თავისებურ ხატოვანებას და ლექსიკურ ელფერს სძენს მას. ვფიქრობთ, მათი გამოყენებით ტექსტში კიდევ უფრო მეტად შთამბეჭდავი ენობრივი კოლორიტი იქმნება:

დაქანცულობა იქით იყოს, ჩექმებმა ქუსლებზე ტყავი გადამაძრეს, კვნესა (სული) კბილით მეჭირა. (1. 185). დასტურიძეს ენა ყანყრატოში (მუცელში) გადაუვარდა. (1. 437). ისეთი აზრი შემექმნა, რომ ამ სიტყვის თქმა და ენის ჩაკვნეტა (ენაზე კბენა) ერთი იყო (1. 200). დამინახა და გაცეცხლდა _ მუგუზლებს (ცეცხლს) ყრიდა პირიდან! (1. 403). მოლოდინი სულს (გულს) მიწვრილებდა, ცნობისმოყვარეობით ვიყავი

შეპყრობილი. (1. 514). გამისონაშვილს სახინკლედ დაკეპილს (მოხარშულს) ვიცნობ. (1. 160). შალითაურისთანა კაცებთან სხვანაირად მოქცევა არ ვარგა, კისერზე (თავზე) შესკუპება იციან მაგათ. (1. 374). თვალის დაფახუნებაში (დახამხამებაში) აგვართვეს იარაღი და გვირტყეს მარა რა გვირტყეს! (1. 102).

ჭაბუა ამირეჯიბი ფრაზეოლოგიზმთა ფართო სპექტრს იყენებს. კერძოდ ,,დათა თუთაშხიაში" გვხვდება ის ფრაზეოლოგიზმებიც, რომელთა შემადგენლობაში მონაწილეობენ ასემანტიკური ლექსემები, რომლებიც, ცალკე აღებული, სინქრონიაში გაუგებარნი არიან და მხოლოდ ამ კონკრეტულ ფრაზეოლოგიზმთა აგებაში მონაწილეობენ. მათი მოხდენილი გამოყენება მწერალს აძლევს კიდევ ერთ საშუალებას დამატებითი ქვეტექსტით დატვირთოს ფრაზა, კიდევ უფრო გაამრავალფეროვნოს ნაწარმოების ენობრივი ქსოვილი:

ჩხუბი დააპირა, მაგრამ მერე უცბად იხტიბარი გაუტყდა, უბეში ხელი ჩაიყო. (1. 173). მე მაშინ არც ერთი ჩამიგდია აინუნში და არც მეორეს - ცხენზე ჯდომა მსურდა. (1. 279). ერთიანად აცახცახდა, მოახტა, იქამდე იჯირითა, სანამ თვითონაც გამოეცალა არაქათი და ცხენსაც. (1. 820). ბოლთას სცემდა და კრიალოსანს აჩხაკუნებდა. (1. 706). სანამ თვითონ არ ჩამოვარდება იშკილებიდან ყანდური. (1. 462). ან იქნებ სახტად დარჩა და აზრად მსგავსიც არაფერი მოსვლია. (1. 845). მიდი, გენაცვალე, შენა და შენისთანა მკილავებმა ,,ყოფილი მსახიობი" მიძახეთ, ყაბულსა ვარ. (1. 314). ილაჯმა უმტყუნა, ენა წაუბორძიკდა, დადუმდა. (1. 864).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობილ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა გვერდით ნაკლებად გავრცელებული, ახალი წარმოშობის იდიომატური ფრაზეოლოგიზმები, რომელთა სათავეც ისევ ხალხურ მეტყველებაში უნდა ვეძიოთ:

კურკის ოდენა გავხდი, გულის კოვზში მოვუთავსდებოდი. (1. 524). ხელმძღვანელად პოლკოვნიკი სახნოვი ითვლებოდა და კუდიც ფარშევანგივით დაჰქონდა! (1. 647). თავის ქალაში ფიქრების წვერდაკარგული გორგალი მედო. (1. 503). აბელი ქვია სეთურს თუ არქიფო? მოახერხა სიტყვის ჩაკერება დათამ. (1. 81). შენ რომ არა, ამ საქმეს ვერ მოვხარშავდი. (1. 56). ეგეთი ძალა აქვს იქაურ ადგილებს, – სულზე ფეხს დაგადგამს, შენ ნაკლები ხარო! კაჯაია – მევახშის ყვაყვა კიოდა – ცა ძირს ჩამოქონდა! (1. 73). გონს მოეგო სანდრო კარიძე და ყურმოკრულ საუბარს ყავარჯენი შეაშველა. (1. 308). გავიგე ეს, დავიხვიე ულვაშზე და გავჩუმდი. (1. 379). ადამიანები უბელო ქიმერებზე სხედან, მათ ნებაზე დაეხეტებიან. (1. 509).

ამრიგად, როგორც მოპოვებული მასალა ნათელყოფს, ნაწარმოებში მოხმობილი ყოველი ფრაზეოლოგიური ერთეული უაღრესად სადა, მკითხველთათვის ახლობელ ენობრივ ფონს ქმნის. ყოველი მათგანი სემანტიკურად უფრო ტევადი და აზრობრივად უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე მისი დენოტატი. ეს კი სხვა მხატვრული ხერხების გამოყენებასთან ერთად მნიშვნელოვნად ზრდის ნაწარმოების ენის გამომომსახველობით ძალას, ესთეთიკურ ღირებულებას და ინდივიდუალობის დაღს ასვამს.

ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხიას" ენით თვით ცხოვრებას ალაპარაკებს. აქ აზრის სიღრმე შერწყმულია გადმოცემის სისადავესთან. ამ ნაწარმოების მხატვრული ენის ძლიერი ზემოქმედება სათაურიდანვე იწყება და მის უკანასკნელ ფრაზამდე არ ნელდება. აქ კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ქართული ენობრივი სამყაროს ამოუწურავი შესაძლებლობანი.

ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი ჭ., „დათა თუთაშხია", თბ., 1979.
2. ამირეჯიბი ჭ. ახალი დიდი წიგნიდან, თბ., 1995.
3. აფრიდონიძე შ., იდიომი და იდიომურობა, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.
4. გამრეკელი ნ., მგალობლიშვილი ე., ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1966.
5. თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.
6. ინჯია თ., იდიომებისა და იდიომატური თქმების ისტორიისათვის XIX-XX საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში, თსუ-ის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XXX სამეცნიერო კონფერენცია.
7. კობალაძე მ., მწერლის ენის შესწავლის ორი ასპექტის შესახებ, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.
8. ონიანი ალ., ქართული იდიომები, თბ., 1966.
9. ონიანი ალ., ფრაზეოლოგიზმი - სიტყვა - შესიტყვება, ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1999, № ს1.
10. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
11. ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
12. ჭოხონელიძე გ., მხატვრული ენის სპეციფიკა, თბ., 1989.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ჭაბუა ამირეჯიბის რომან ,,დათა თუთაშხიაში" გამოყენებული ფრაზეოლოგიური გამოთქმები და მოცემულია ცდა ნაწარმოებში მათი სტილისტურ-მხატვრული ფუნქციის დადგენისა. შესაბამისი მასალის ანალიზი ნათელჰყოფს, რომ მწერლის ინდივიდუალური სტილის შექმნაში გარკვეულწილად მონაწილეობენ ნაწარმოებში საკმაოდ უხვად გამოყენებული ფართო სპექტრის იდიომატური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მართალია არ გამოირჩევიან განსაკუთრებული სიახლით, მაგრამ მათი მოხდენილი ხმარება განაპირობებს თხრობის ბუნებრიობას, უფრო შთამბეჭდავს ხდის მას და მშობლიურ ენობრივ კოლორიტს აგრძნობინებს მკითხველს.

FICTIONAL-AESTHETIC IMPORTANCE OF IDIOMATIC PHRASEOLOGY ACCORDING TO CHABUA AMIREJIBI'S NOVEL "DATA TUTASHKHIA"

Elene Khojevanishvili, Full Professor

RESUME

The present study deals with the phraseological expressions in Chabula Amirejibi's novel ,,Data Tutashkfia''. It also attampts to establish their stylistic-fictional functions. The analysis of the appropriate material reveals that idiomatic phraseologisms take place in creating the writer's own individual style. Though they are not distinguished by the novelty, but their skillful using makes the narration natural, more sxspressive and a reader feels colouring of native language.

აკაკი და ეროსი

თამარ გოგოლაძე, *სრული პროფესორი*

აკაკი წერეთლის (1840-1915) დღემდე თითქოს სრულყოფილად შესწავლილი, პოეტური მემკვიდრეობა თანამედროვე ეპოქაში ლიტერატურათმცოდნეთა მიერ ახალი კვლევისათვის საინტერესო ასპექტებს კვლავ ქმნის, რაც განსაკუთრებით ეროსთან, მის სატრფიალო თემასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას. პოეტის, ერთი შეხედვით, გამჭვირვალე ლექსი გამომხატველია მის ძირითად მეთოდისა, რეალობის სარკისებური პრინციპით ასახვისა და იმავდროულად წარსულის რომანტიკული გაცოცხლებისა. პოემა „თორნიკე ერისთავის" შესავალ ნაწილში ავტორი თავადაც მიანიშნებს მკითხველს: „წარსულ ნერგზედ ახალ ნამყნის ველოდებით შეხორცებას! მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს და ვეძლევით აღტაცებას". (1,24) ამიტომ, როგორც თამაზ ჭილაძე შენიშნავს, „სამყაროს პროექციით, რომელიც მან შექმნა, იყო ზუსტი ასლი მისივე შიშველი სულისა, რომელსაც მკაცრად დადგენილი სასაზღვრო მიჯნები ჰქონდა – რეალური და ირეალური სამყაროს კედლები, პოეტის ფიქრი საკვირველი სიჯიუტით, სიკერპით რომ ეხლებოდა მუდამ".(2,30) მაგრამ, რომანტიკოსთაგან განსხვავებით, აკაკის ორივე სამყაროს ტკივილი და სევდა ასაზრდოვებს, ისევე როგორც სიხარული და აღტაცება და სწორედ ისე ხდება მათი ერთმანეთში გადახლართვა, რომ მკითხველი თავად ექცევა პოეტის ჯადოსნურ სამყაროში და ყველაფერს ხან რეალობაში აღიქვამს, ხანაც რომანტიკულად. ეს განსაკუთრებით მის სატრფიალო ლირიკასთან მიმართებაში შეიძლება აღინიშნოს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მკვლევარი ვ. კოტეტიშვილი წერდა: „არ ვიცით, შეიძლება აკაკი წერეთლის ბევრი ლექსი მართლა სატრფოსადმი, ვინმე ქალისადმი იყოს მიძღვნილი, მაგრამ მთელი საიდუმლოებაც იმაშია, რომ ჩვენ აქ ვეღარ ვერკვევით. მან ისე ჩაგვაგონა ეს სატრფო, რომ ყველგან საქართველო გვეჩვენება. სად იწყება მისი ეროტიკა და სად

პატრიოტიკა, არა სჩანს. სწორედ ეს განიცდის, როგორც ტრფიალის კონკრეტულ საგანს, როგორც ხელშესახებ არსებას, ურომლისოდაც „ჯოჯოხეთს მარად გულით ატარებს“ (3,392)

აკაკისა და ეროსის მიმართების საკითხი საინტერესოდაა წარმოდგენილი გურამ ასათიანის ესეში „როგორ უყვარდათ საქართველოში“, რომელშიც მკვლევარი გამოკვეთს აკაკის ეროსის განსაკუთრებულობას, «რაინდული მოკრძალებით შეკავებულ მძაფრ ჭაბუკურ ვნებას!» აკაკის დამოკიდებულებაც ეროსის მიმართ განსაკუთრებულია. იგი თვით გრძნობს საკუთარ თავში ეროსს და ამავდროულად ზეციური ეროსის გამოხატულებასაც: ლიტერატურათმცოდნეთათვის, თუ აკაკის შემოქმედებით დაინტერესებულთათვის თავიდანვე საინტერესო გამხდარა აკაკის სატრფიალო ლირიკის კვლევაც /კ. აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილი, გ. ასათიანი, თ. ჭილაძე, ა. ბაქრაძე და სხვა/ გამოთქმულია რამდენიმე არაერთგვაროვანი და ფრიად საგულისხმო მოსაზრებაც.

ბუნებრივია, აკაკი წერეთლის სატრფიალო ლირიკის შესწავლისას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მის მკვლევართა ნააზრევში წარმოდგენილ შეხედულებებს, ამიტომ, ალბათ, ძალზე გაჭირდება რაიმე ახლის თქმა ამ კუთხით. ჩვენ შევეცდებით მხოლოდ შევავსოთ იგი მეტ-ნაკლებად, არა მხოლოდ ლირიკით, არამედ მთელი შემოქმედების ამოსავალ პრინციპებზე დაყრდნობით.

დასაწყისისათვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთლის სატრფიალო ლირიკა არაა მხოლოდ მისი რეალისტური მსოფლმხედველობის გამომხატველი. სიყვარული რომანტიკის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ერთია მისი რომანტიკული პრინციპებით გაშლა და მეორე, როგორც შეყვარებული ადამიანის ფანტაზიის, მისი განცდების რომანტიზირების გამომტახველი.

სიყვარულის რომანტიკული ხედვა ჩანს ლექსში „რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც აკაკი აცოცხლებს ლეგენდას თამარ მეფესა და შოთა რუსთაველზე. ეს ლეგენდა პოეტის ფანტაზიას აძლევს გასაქანს, არ წარმოიდგინოს თამარისა და შოთას ამბავი, როგორც უპასუხო სიყვარული: „შემყვარებიხარ ერთი ხე და, ხომ სიყვარულიც ერთია?“

„და სადაც სიყვარულია,
იქ სიწმინდეა!... ღმერთია!...“ (4,240)

აქაც და ლექსებშიც „ვეფხისტყაოსანზე“ აკაკი ამოდის სიყვარულის რუსთველური გაგებიდან, თანდათან, საუკუნეების განმავლობაში ამ გაღრმავებულ და გაფაქიზებულ გრძნობას აღმოსავლური „ვარდბულბულიანის“ მოტივზე „აწყობს“ და ამით ხაზს უსვამს სიყვარულის იდეალურობას.

აკაკიმ სცადა კიდეც მოეხდინა თავად განცდის კლასიფიკაციაც, რის პოეტურ გამოხატულებას იძლევა ლექსში „სატრფიალო“:

„პოეტები ერთნაირად
აგვიწერენ სიყვარულსა:
მის სადგურად და ადგილად
გვიხატავენ მხოლოდ გულსა!“ (5,61)

გრძნობა სამგვარია, – შენიშნავს პოეტი: პირველი, ხორციელი, წუთიერი: მეორე გრძნობას მხოლოდ გონება კარნახობს, არ დაეძებს რა „გარეგნობას და მშვენიერი სანახავსა“. შორით ტრფიალი, პლატონური გრძნობა, რომელიც ასევე ქრება“, თუ შეიცნონ ხორციელად, მაშინ თავიც დაივიწყებს“.

მხოლოდ მესამეა ჭეშმარიტი სიყვარული:

„მესამე კი სულ სხვა არის!
მხოლოდ იგრძნობს მას რჩეული,
თანასწორად როცა შესტრფის,
როგორც თავი, ისე გული“. (5,61)

სიყვარულის დახასიათებისას პოეტი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა ტემპერამენტული თუ ფსიქიკური ნიშნებითაც წარმოგვიდგენს სიყვარულის მრავალფეროვნებას /„სხვადასხვაგვარი სიყვარული“/ და აქვე იძლევა იდეალურ დახასიათებას სიყვარულისა. ცალკე შესწავლის საგანია აკაკის ადრესატული სატრფიალო ლირიკა, რომელშიც პოეტის ზოგადი განცდა, საგნობრივ დანიშნულებას იძენს გარკვეული სუბიექტისადმი.

განსხვავებულად მშვენიერია პოეტის ტრფიალის საგანი, რომელიც რუსთაველური მოდელის ახალი სახესხვაობაა. მისი მახასიათებლები აკაკი წერეთელს შემდეგნაირად აქვს მხატვრულად წარმოდგენილი:

იდეალური მიჯნურ-სატრფო ქალი უმშვენიერესი უნდა იყოს. „ტურფა, მის მჭვრეტელსა ნეტარების სურნელს სცემდა, მაგრამ ხელის შემხებელს იგი შეუბრალოდ ეკლით სცემდეს“ /„ერთ ქალს“/ (6,41)

მაგრამ შინაგანი თვისებებით:

„და როგორც სულის, ისე ხორცისას მშვენიერებას ვსცემდი თაყვანსა“,

„იქ, სადაც ქართველ ქალს ვერა ვხედავ. არ მწამს მშვენება და იდეალი!“

(„ერისთავის ქალის საპასუხოდ“)

მხოლოდ ამ შემთხვევაში თვლის პოეტი თავის არჩევანის სწორად, რადგან გრძნობა იდეალური მიჯნურისადმი მარტო ამქვეყნიური არ არის, იგი ერთგვარად სამოთხისებური ნეტარების საწინდარია:

„იქ იყო სიკვდილ-სიცოცხლე
და საორქვეყნო ტკბილ-ნეტარება. („უიდეალო“) (6,44)

პოეტის სიყვარული თავისთავადი, მშვენიერი განცდაა, რომელიც საზრდოობს სატრფო-ქალისაგან მომდინარე კაშკაშა ნათელით, უსპეტაკებს გრძნობას და უასკეცებს გონებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში სიყვარულმა „ციურ უფლებად შესცვალა ამქვეყნიური მონება!“ /„სიმღერა“/

თავად სიყვარული კი იქცევა ცხოვრების მომნიჭებლად და ეპოქა, რომელშიც პოეტს მოუხდა მოღვაწეობა, თანდათან უფრო აშორებდა მას ჭაბუკობაში ნაოცნებარისაგან. ამიტომ უკვე პროტესტი ისმის მის ლექსებში იმ ქართველი ქალების მიმართ, რომლებიც, „სკვითურად“ მოკაზმულნი, კარგავენ ძველისა თუ თანამედროვე ქართველი ქალის იდეალისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამით იხსნება ავტორის სევდის გამძაფრება და ერთგვარი ნოსტალგიაც. რეალური ქალი მის სიყვარულს ვერ იგებს, თუმც იგი მზადაა სულიც შესწიროს სატრფოს. ეს შესანიშნავად მოჩანს მის ლექსებში «გამოთხოვება» და «გამოფხიზლება».

აკაკის ეპიკურ ნაწარმოებებში სწორედ წარსულიდან გამოხმობილ პერსონაჟებს მიენიჭათ ის იდეალური თვისებები, რაზეც ასე ოცნებობდა პოეტი. ასეთებია ნათელას /„ნათელა“/, პირიმზისას /„ბაში-აჩუკი“/, ნაზიბროლას /„გამზრდელი“/ და სხვა. თუმცა აქვე ავტორი ხატავს უარყოფით ტიპაჟსაც /„თამარ ცბიერი“/, რითაც ცდილობს დაშორდეს წარსულის გაიდეალებას.

აკაკი წერეთელმა, პირველმა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რუსთაველის შემდეგ სცადა მოეცა სიყვარულის ერთგვარი კლასიფიკაცია, რის ნიმუშადაც გამოდგება სიყვარული ანუ „დარო და მარო“, „ერთგვარი სიყვარული“.

თერგდალეულთა თავკაცმა, რეალისტმა აკაკი წერეთელმა, სიყვარული კვლავ უმაღლესი მწვერვალად წარმოადგინა თავის შემოქმედებაში, რითაც გააგრძელა სიყვარულის ტრადიციული ეთიკურ-ესთეტიკური მოდელი ქართულ მწერლობაში.

ლიტერატურა:

1. ა. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 2., თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1989;
2. თ. ჭილაძე, „აკაკი წერეთლის პოეზია“, იხ. დასახ. კრებ. ტ. I, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1988;
3. ვ. კოტეტიშვილი, „რჩეული ნაწერები“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1965;
4. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებ. ტ.III, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1954;
5. ა. წერეთელი, კრებ. „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“, თბილისი, 1960;
6. ა. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. I, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1988.

რეზიუმე

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში სამოციანელთა ეროვნულ-სოციალური პროგრამიდან გამომდინარე, პოეტისა და პოეზიის დანიშნულების ერის სამსახურის განუყოფელ ნაწილად რჩება. ამასთანავე იგი სიცოცხლის ბოლომდე არ წყვეტს სატრფიალო თემატიკით დაინტერესებას თავის ლირიკაში, რამდენადაც სიყვარული მისი გაგებით, წარმოადგენს უმაღლეს ადამიანურ ნიჭს, უძლეველ რამ ძალას, თვით უკვდავებას. პოეტს ღრმად სწამს, თუ გარეგნული მშვენება წარმავალია, სამაგიეროდ უკვდავებისაგან გზა სულთა ერთობაშია.

რეალისტი პოეტის აკაკი წერეთლის შემოქმედებაში სატრფიალო ლირიკა არაა მხოლოდ რეალისტური განცდის გამომხატველი. სიყვარულის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოეტი გრძნობს, რომ სიყვარული არ არსებობს რომანტიკის გარეშე. ესკი ერთგვარად შეიძლება გამოხატოს წარსულის მხატვრული რეტროსპექციისას, რასაც ხშირად მიმართავს ლექსებში: „სიყვარული“, „მოხუცის სიყვარული“, „უცნაური სიყვარული“, „რამ გამოიწვია“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა.

AKAKI AND EROS

Tamar Gogoladze, Full Professor

SUMMARY

Though proceeding from the national and social program of the Georgian social thinkers of the 1860's the destination of the post and his poetry remains to be an indivisible part of the service to the nation, Akaki Tsereteli continuously resorts to love themes in bis lyrics. For him love is an ultimate human gift, an irresistible force, immortality/ He is deeply convinced that the outward beauty is transient whereas it is spiritual unity that leads to immortality. The realist poet feels that there is no love without romance. Akaki Tsereteli's love lyrics Provides a classification of this very feeling, taking account of the temperament or psychology of the representatives of different parts of Georgia. Akaki himself conveys all the nuances of both unrequited and shared love, defining it as a means to enjoy complete bliss through spiritual unity. In the poet's opinion, the ideal mistress should be marvelous and bestowed, at the same time, with the loftiness of soul so characteristic of the Georgian woman. The latter can sometimes be expressed by artistic retrospection of the past so often resorted to by the poet in his poems "Love", "The Old Man's Love", "A strange Love", "What Provoked 'The Knight in the Panther's Skin' ", etc.

სახეებში დანახული ეპოქა - ოთარ ჩხეიძის დოკუმენტურ რომან „არტისტული გადატრიალების“ მიხედვით

***ანა იმნაძე**, მოწვეული სპეციალისტი*

მსოფლიო მე-6 საეკლესიო კრების კანონი 5:

„წმიდა და მსოფლიო კრება გმობს სახუმარო სანახაობებს, სანადირო სანახავს და მგოსანთა როკვას. ხოლო თუ ვინმე დაარღვევს ამ კანონს, თუ სასულიერო პირი იქნება იგი, განიკვეთოს, ხოლო თუ ერისკაცი – უზიარებელი იყოს.“

კართაგენის საეკლესიო კრება, კანონი 63: „ხუმარათა ან მსახიობთა შესახებ, თუ ქრისტიანები გახდებიან ისინი, უნდა ვითხოვოთ ისიც, რომ თუ ვინმე მსახიობთა დასის წევრი გაქრისტიანებას მოისურვებს და თავდაპირველი ბიწისგან გათავისუფლება, არავინ აიძულოს ის, რომ დაუბრუნდეს თავის ძველ ხელობას“.

აი, რას წერს თეატრის შესახებ ცნობილი ფრანგი რეჟისორი ჟან-ლუი ბარო წიგნში „ფიქრები თეატრზე“: „უკანასკნელ წლებში ბევრს ლაპარაკობენ თეატრალურ ტყუილზე, სიცრუეზე. თითქოს აქტიორი ქმნის ილუზიას და ამიტომ მისი თამაში მოტყუებაა. თავის მხრივ, მოტყუებულიც ემორჩილება წარმოდგენას და მაშინაც კი, როცა იჯერებს იმას, რასაც უყურებს, მაინც ტყუილის ტყვეობაშია. სულ ერთია, აქტიორზე ვლაპარაკობთ თუ მაყურებელზე. ორივე შემთხვევაში ყბადაღებული პარადოქსი ორი მატყუარას თანამონაწილეობის შედეგია“ [5]

ეკლესიის მიერ დაგმობილია მსახიობობა, როგორც ჭეშმარიტების იმიტირება და არა კარგი ან ცუდი როლი.

სწორედ ამ ფონზეა საინტერესო ოთარ ჩხეიძის რომანი „არტისტული გადატრიალება“ არტისტიზმი საწყისშივე გულისხმობს იმიტირებას, ცრუს და როდესაც იმიტაცია და სიცრუე ქვეყნის ბედიწერასა და მომავალს განსაზღვრავს ეს უკვე ტრაგედიის წინაპირობაა. ავტორი ეჭვითა და სინანულით ახასიათებს გასულის საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ მდგომარეობას „ქვეყანა რო დიდი თეატრია და თეატრი რო აღარ არის თეატრი.... გაცვივდნენ არტისტები ქუჩებშია: სახელმოხვეჭილნიცა, მოუხვეჭელნიცა. თეატრი გავარდა ქუჩებშია, მოედნებზედა. იქიდან მოვიდა, იქავე დაბინავდა [1; 34]“. იმიტაცია და სიცრუე ნელ-ნელა ფრთებს შლიდა და ყველა თავის, ძირითადი და მთავარი როლის ძიებაში გაერთო. ყველას ის აწუხებდა როგორმე კისერი მოეტეხა მთავარი როლის შემსრულებელს რომ იქნებ მაშინ მაინც ეთამაშა თავისი როლი, სხვისი კისრის მოტეხვის მერე, თორე ისე რა შეეძლოთ. „დიომედეს სანატრელი ჰო ერთი რამე ჰქონდა მთელი ცხოვრების განმვლობაში: ნეტავი აკაკი ავად გახდესო, ნეტავი კისერი მოიტეხოსო, ანთუ რაღაცა დაემართოს ისეთი, პირველი მოქმედების მერე მე შევიდე, სპექტაკლი არ ჩაიშალოსო“ [1;]. სწორედ დიომედეა კრებითი სახე და სურათი ჩასაფრებული საზოგადოებისა, რომელიც თავის როლს ელოდება და თუ რეჟისორმა არ ინება მისთვის როლი, მზად არიან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ. სწორედ ურელოდ დარჩენილი საზოგადოება, არტისტული, ცრუ და იმიტირებული გრძნობებისა და ემოციების გამო დაქცეული ქვეყანაა აღწერილი ოთარ ჩხეიძის დოკუმენტურ რომანში „არტისტული გადატრიალება“, მაგრამ დავიწყოთ თავიდან.

„არტისტული გადატრიალების“ თითქმის ყველა პერსონაჟი ისტორიული პირია და ავტორი სულაც არ ცდილობს მათ შელამაზებას. ყველას თავის სახელი უწოდა და ადგილი მიუჩინა. ოთარ ჩხეიძემ დოკუმენტური სიზუსტით აღწერა ვინ რა როლი შეასრულა ქვეყნის დაღუპვასა და გადარჩენის მცდელობაში. რომანი შეიქმნა 1993წელს, მაშინ, როცა ქვეყანაში განუკითხაობა ბატონობდა, რეპრესიები და დევნა 30-იანი წლებს მოგაგონებდა და რაც მთავარია, ეს განუკითხაობა ხდებოდა ძალის მკვეთრი დემონსტრირებისა და ინტელიგენციის მიერ ამ ყველაფრის, უკეთეს შემთხვევაში სიჩუმის, უფრო ხშირად კი წახალისებისა და ძალადობის აქტიური წაქეზებით, სურათის აღსადგენად გავიხსენოთ ერთი ფაქტი, რომელიც იგორ კვესელავას აქვს აღდგენილი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები“. ნოდარ ლომოური თბილისის ომის დღეებისადმი თავის დამოკიდებულებას ასე გამოხატავს - „ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის მეც ვისროდი, კი მიძნელდებოდა ადამიანის მოკვლა“ [3; 359]. ოთარ ჩხეიძე სწორედ ასეთ პირობებში ქმნიდა „არტისტულ გადატრიალებას“, ეს ხალხი ხომ „დამსახურებებისა“ გამო უმთავრესად მაღალ თანამდებობზე იმყოფებოდნენ და ხელეწიფებოდათ საფრთხე შეექმნათ ავტორისა და მისი ოჯახისათვის. ესაა რომანი, რომელიც აშიშვლებს საუკუნის მიწურულს საზოგადოების და განსაკუთრებით მისი ინტელიგენციად წოდებული ნაწილის ნამდვილ სახეს. და ეს ხდებოდა 1993 წელს. იგორ კვესელავა თავის ნაშრომს 2007 წელს აქვეყნებს, დიმიტრი შველიძეც არ ჩამორჩება სიმძაფრითა და ფაქტებისათვის მიუკერძოებელი სახელის დარქმევის საქმეში, და მაინც მისი ნაშრომიც 2008 წლამდე ვერ იქმნება, აქ ისევ ოთარ ჩხეიძემ იმარჯვა და სახელგატეხილი მწერლობა, იმედგატეხილ ქართულ სულს შეეხიდა და თბილისს გარეთ დარჩენილ საქართველოს იმედი ჩაუსახა, რომ არც მთლად ჩალითაა ეს ქვეყანა დახურული და ერთეულები მაინც ბედავენ სიმართლის თქმას. კიდევ ერთხელ დავესესხებით იგორ კვესელავას, უფრო უკეთ რომ აღვიდგინოთ რა ხდებოდა 1993 წელს, რა პირობებში იწერებოდა რომანი და ვისი გზა შეიძლება გადაეკვეთა მწერალს „შევარდნაძე თბილისში ჩამოსვლისთანავე, აეროპორტშივე მიესალმა „მოწინავე“ ქართულ ინტელიგენციას, რომელმაც იარაღი აიღო ხელში დემოკრატიის დასაცავად“, შევარდნაძე არც ისეთი გულუბრყვილო პოლიტიკოსი იყო, მადლობები აეროპორტშივე დაერიგებინა, მაგრამ მან ამ ფრაზით ყოფილი საბჭოთა, ქართული, „წითელი“ ინტელიგენციის არაოფიციალური ლუსტრაცია მოახდინა და მიანიშნა, რომ ინტელიგენციის გარკვეულ ჯგუფს ხელები სისხლში ჰქონდა გასვრილი“ [3; 65]. ვნახოთ რას წერს ამის შესახებ ავტორის ვაჟი, როსტომ ჩხეიძე - „და ეს მაინც რა იყო, ნებით კიდევ უფრო რომ ირთულებდა ყოფას, თითქოს უახლესი პოლიტიკური მოვლენების პირუთვნელი წარმოსახვა არა კმაროდა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი და მათი მიმდევარ-მეხოტბენი რომ გადაეკიდებინა..... ზოგს დაფარვა რომ ერჩივნა, ზოგსაც იქნებ ძველებურად ესახელებოდა თავისი ნათქვამ-ნამოქმედარი, მაგრამ რომანის ფურცლებზე გამოყვანას მაინც თაკილობდა.. [4; 776]“.

ოთარ ჩხეიძეს არ სჭირდება ე.წ. „დროის დისტანცია“ და თავად განმარტავს, რომ ის დროის გასვლას ვერ დაელოდებოდა, მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა ის ფაქტი, რომ მწერალთა კავშირმა საგანგებო სხდომა მოიწვია და სხვა რომ ვეღარა ის ბრალდებაღა წაუყენა ავტორს „მოვლენების შემდეგ დიდი დრო არ გასულა და არ შეიძლება რომანის დაწერა ასე მოკლე დროშიო“ [1].

როგორც უკვე აღვნიშნეთ „არტისტულ გადატრიალებაში“ დოკუმენტური სიზუსტითაა აღდგენილი და აღწერილი ჩვენი ყოფის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და სამარცხვინო ფურცელი.. ავტორი არ ერიდება და არ უფრთხის საგნებს, მოვლენებს, ისტორიულ პირებს უწოდოს თავის სახელი. ტექსტში ისტორიული პერსონაჟები იყოფიან რამდენიმე ჯგუფად.

I ჯგუფი - ესაა ჩვენი წარსული და ის ხალხი ვისაც თუნდაც უმნიშვნელოდ მცირედი წვლილი მიუძღვის ქვეყნის მომავლის განსაზღვრაში. მეფე ერეკლე, გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, ნოე ჟორდანია, სტალინი, ლენინი, ლოპიანაც კი. მეფე ერეკლეს სახე რამდენჯერმე გამოკრთება, პირველად ნ. ბარათაშვილის პერსონაჟის სახით „მწყემსო კეთილო, შენს წმინდა სამწყსოს შემოვავედრებ ჩემსა სამეფოსო, - თვითონ გასწირა და მწყემსს ავედრებდა“ [1; 42]. ამ ერთი ფრაზითაც ჩანს ავტორის დამოკიდებულება მეფისადმი, სამშობლო უცხოთა სათარეშოდ რომ გასწირა, მაგრამ მოგვიანებით კრწანისის ტრაგედიის გახსენებით თითქოს მეფის ამ გადაწყვეტილების ახსნაც არის მოცემული, „მაშინ ერეკლე ჰო მიატოვეს თავისიანებმა და კინაღამ ცოცხლადაც ჩაუგდეს ხელში სისხლიან მტერსა. მიატოვეს. შეატოვეს. გადგნენ სეირის საყურებლად“ [1; 208]. სეირის მაყურებელმა და ქვეყნის ერთგულმა სასჯელი ერთნაირი მიიღო - უცხო ძალა. მოულოდნელი რაკურსით ჩნდება გრ. ორბელიანი, მთავარმართებლის მოვალეობას რომ ასრულებს და ასრულებს დიდის გულმოდგინებით, ყაზახ-რუსებით ესაუბრება ლოპიანასა და მის მეგობრებს, არც მათრახს დაინანებს, ლოპიანასაც მოხვდება მოქნეული მათრახი „პირველი მათრახიც იმას მოხვედრია, დასცხეთო, რო უბრძანებია მთავარმართებელისამებრა“[1; 147].

II ჯგუფი - XX საუკუნე, ჩვენი ახალი ტრაგედიის ახალი სახეები - კაკი წერეთელი და სტალინი. „წერეთელი მთავრობის დასაცავად მოუწოდებს ხალხსა, სტალინი დასამხობად მოუწოდებს. შორსა, ჩრდილოეთში შებმული ორი უბედური ქართველი“ [1; 65].

შემდეგ და შემდეგ კი მოქმედება თანამედროვე თბილისში მიმდინარეობს და პერსონაჟებიც ჩვენი თანამედროვეები არიან, ასე ნაცნობნი და ასეთ უჩვეულო როლში, იმ როლში, მთელი ცხოვრება რომ ელოდნენ და ამით აღტაცებულები ზღვარს რომ ვეღარ იგებენ და ამ თამაშში ხორავასი არ იყოს შეიძლება სცენაზე დაახრჩონ პარტნიორი [1; 102]. მთელი ცხოვრება რომ არტისტობდნენ, მაგრამ „არტისტები ჩამოეცილებინა პრეზიდენტსა. სახელი გაეტეხათ ამის თვალშია: კომუნისტების ამალაში იდგნენო“[1; 84]. როლები ჩამოართვა და „გადაიკიდა. რა ბუზღუნიო. სისხლს დავლევთო“ [1; 76]. ამაზე იყო რომ დარდობდა ალბათ ნოდარ ლომოური - მიჭირდა კაცის მოკვლაო, და შევარდნაძეც ამ სისხლის გამო იხდიდა აეროპორტში მადლობას. მაგრამ ამის გახმიანება 1993 წელს? ამას მარტო სითამამე და სიმართლის სიყვარული არ ქვია, ეს უფრო მოვალეობის გამძაფრებული შეგრძნებაა სამშობლოს წინაშე და იქნებ სინდისის ქენჯნაც, ხელი როგორ ვერ შევუშალე ქვეყნის დაქცევასო, შემდეგ ვაჟი ხომ ამბობს ჩემთვისაც ცდილობდნენ ქვის შემოჩეჩებასო.

ესეც მე-3 ჯგუფი - მაგრამ ძირითადი და მთავარი პერსონაჟი მაინც პრეზიდენტია - ზვიად გამსახურდია, მის გარშემო და მის თავს ხდება რომანში აღწერილი მოვლენები. ტექსტის მსვლელობასთან ერთად სხვადასხვა მდგომარეობასა და რაკურსში ვხედავთ ზვიად გამსახურდიას. ავტორს არც მისი ბავშვობა ავიწყდება და გვიყვება როგორ ცდილობს ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ხალხური სიბრძნე შეამოწმოს, თავად დარწმუნდეს სხვათა ნათქვამის სისწორეში, მერე ეს თვისება სამწუხაროდ ასე მკვეთრად რომ აღარ აქვს და სხვათა ნათქვამს ადვილად ენდობა. სახურავიდან კატის გადმოგდებაც მეტი არაფერი იყო თუ არა შემოწმება და ბავშვმა კი ის არ იცოდა სიბრძნეს შემოწმება რომ არ ჭირდებაო, დასძენს ავტორი. ისიც თბილისელია, ვერელი „შუა ვერელი გახლდა. ცეკას ამალაში არ იყო, ესაა. არც მამამისი კონსტანტინე არ მიიწევდა ამალისკენა“ [1; 45]. იმას ვერ პატიობენ, ამალაში რომ არ იყო. კიდევ რა ვერ აპატიეს, რა შურდათ? მოვლენები ასე ვითრდება „მამა რომ კონსტანტინე ჰყავდა, კოლხური კოშკი რომ ედგა, შურდათ, ფარშავანგი რომ დადიოდა ეზოში, შურდათ, შვლის ნუკრიც შურდათ ცხადია“ [1; 79]. შურდათ და ებრძოდნენ. მაინც რატომ ებრძოდნენ, მარტო შური? ოთარ ჩხეიძე სხვა მიზეზებსაც ხედავს „მოსკოვის გაგონება აღარ უნდა პრეზიდენტსა, რუსულის გაგონება აღარ უნდა“ [1; 197] იქნებ ეს? ან „არ დადის თეატრში“, ლამის რომ ფილტვები ამოიხიოს ბატონმა გიგამა „პრეზიდენტი არ დადის თეატრში, ხალხს რაღა მოვთხოვოთ?“ [1; 264], ან იქნებ ეს „არაფერი რომ არ გაეგებოდათ: დეკლარაციებიც რომ ამან გააგებინა, პიროვნების თავისუფლებაცა, ერიცა და თავისუფლებაცა;... ახლად ახალი კოსტუმები ჩააცვა, შეკვანძა ასწავლა ჰალსტუხებისა, ამანა, ამანა, ყველაფერი ამან და თავისი ხელითაც შეუკვანძა თითქმის ყველასა, პირველ სესიაზე რომ მიჰყავდა უზენაესი საბჭოსი“ [1; 237].

საინტერესოა კონკრეტულად ვინ იყვნენ ისინი, ვისაც შურდათ, ვინც ებრძოდა, რატომ ებრძოდნენ? ოთარ ჩხეიძე აქაც სათითაოდ გამოკვეთს ყველა პერსონაჟს. ყველას თავისი მიზეზი აქვს, საკუთარი, პირადი, მაგრამ ავტორი პოულობს იმ საერთო წერტილს ამ ჭრელ მასას რომ აერთიანებს.

განვიხილოთ თითეული ცალ-ცალკე და შემდეეგ ერთიანობაში. ვინ დგას ზღვარზე და ვის აქვს ზღვის იმედი „ავი ზნე რომ დაჰყოლია ზღვასა... შეიყოლიებს მოცურაეთა, შეიყოლიებს და გადაჰყლაპავს. ფაფუ!“ [1; 237].

ვნახოთ რას წერს ავტორი, ვინ შეიტყუა ზღვამ? – „რამკიანი ქურდი“ შემდეგ ტრიუმირატის ერთერთი წევრი, მთელ მსოფლიოს იმას რომ უმტკიცებდა „ჩემ დროს ქურდობა პროტესტი იყოო“ [1; 49]. ეხლა კი მისი პროტესტის მიზეზი „რამკიანი ქურდების“ გავლენის დაკარგვა გამხდარა. და ებრძოდა. მარტო არ იყო ამ ბრძოლაში, თანამოაზრეები და თანამბერძოლებიც ყავდა, მათ შორის როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს „მოპოეტო ჯანი“ „მე არ ვიცხოვრებ გამსახურდიას საქართველოშიო“ [1; 77], რომ აცხადებდა „მე მაქვს იმის უფლება, რომ არ მომწონდეს გამსახურდიას საქართველო, ისევე, როგორც მას აქვს უფლება არ მოსწონდეს მე რომ მიყვარს, ის საქართველო“ [3; 51] – ირწმუნებოდა ჯანი, ნეტა რომელი საქართველო უყვარდა? „იმას გამსახურდია ვერ აუტანია, საბჭოთა რეჟიმი რო ბედნიერად აიტანა“[1; 130] აზუსტებს კიდევ ერთი პერსონაჟი დიომედე. ესეც ზღვამ შეიტყუა. გაბრაზების მიზეზი კი ჰქონდათ პოეტებს „წოდება დაჰკარგეს, - სოციალისტური შრომის გმირობა დაჰკარგეს პოეტებმა საქართველოში“ [1; 177]. სხვა პოეტებიც იბრძოდნენ, ერთერთი „პოეტი არტისტი, ანუ პირიქითაა: არტისტი-პოეტი, ბ-ნი რუსლანი“ [1; 202].

კიდევ ერთი პერსონაჟი, რომლისთვისაც ფერებს არ იშურებს ავტორი - ხელმოცარული მხატვარი თუ მოქანდაკე თენგიზ კიტოვანი, ტრიუმვირატის კიდევ ერთი წევრი, რომელიც - იღიმება, კმაყოფილია - იღიმება, უხარია - იღიმება, აღშფოთებულია - იღიმება“ [1; 106]. ამის იმედი ჰქონდათ, ეს იყო გამაგრებული ზღვაზე.

ოთარ ჩხეიძე ორი მოქანდაკის შეხვედრას აღწერს და ჩნდება კიდევ ერთი პერსონაჟი, ეპიზოდური, მაგრამ საკვანძო - ზურაბ წერეთელი. ეს შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა, სწორედ აქ მოხდა გარიგება რუს გენერალთან და შემდეგ მისი ნაწყალობევი იარაღით იყოი ერთმანეთი რომ ვხოცეთ. დიმიტრი შველიძე ზურაბ წერეთლის აგარაკზე გამართული შეხვედრების შესახებ 2008წელს გამოცემულ კრებულში „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში“ ამტკიცებს „შეთქმულების პირველი მომამზადებელი პერიოდი ჯერ კიდევ 1991 წ. ივნისში დაიწყო. შეთქმულები, სწორედ ამ პერიოდიდან იკრიბებოდნენ ზურაბ წერეთლის წყნეთის აგარაკზე... ივნისში წერეთლის აგარაკზე იკრიბებოდნენ გ. ხოშტარია, თ. კიტოვანი და ელიტის სხვა წარმომადგენლები, რომელთა საუბრებიდანაც იკვეთებოდა აზრი, რომ ქვეყანაში უნდა დამხობილიყო არსებული ხელისუფლება“ [2; 195], ვნახოთ რას წერს ოთარ ჩხეიძე შეთქმულების დანარჩენ წევრებზე... ცენტრალური ფიგურა და ტრიუმვირატის შემკვრელი რგოლი თენგიზ სიგუა „რომ უჩვენებდა ტელევიზორი მოსკოვისო, დაუჯერეთ: აი, ესაა დემოკრატიული მოძრაობის ბელადიო“ [1; 237].

არც დემოკრატიის ახალი დამცველებია დავიწყებული: ერთი ქართული ენის სიწმინდეს რომ იცავდა ოდესღაც, მეორე განვითარებული სოციალიზმის ტრფიალი რომ იყო და ახლა „ანძა“, უფრო სწორად „ანძის“ არ ქონა, რომ მიაჩნდათ დემოკრატიის მთავარ დაბრკოლებად.

ავტორი არც რეჟისორებს ივიწყებს „ცალ ფრთაზე ბ-ნი ელდარი გასულა, მეორე ფრთაზე ლანა - ქალბატონი“ [1; 191]; „კეთილშობილება მოსპეს საქართველოშიო, აუწყა ღოღობერიძემ თავის აღმზრდელ რუსეთსა“ [1; 71]. ვინაა ელდარ შენგელაია, ან ლანა ღოღობერიძე. ამ შემთხვევაში ჩავხედოთ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიას“ „ელდარ შენგელაია - ქართველი საბჭოთა რეჟისორი, სკკპ წევრი 1965 წლიდან, მრავალი პრემიის ლაურეატი, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, დაჯილდოებულია შრომის წითელი ორდენით“ [6; 715]; „ლანა ღოღობერიძე - ქართველი საბჭოთა კინორეჟისორი, სკკპ წევრი 1968 წლიდან, მრავალი პრემიის ლაურეატი, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, 1980 წელს დაჯილდოვდა სსრკ სახელმწიფო პრემია, 1983 წელს პრემია „ხუთწლედის მატიანე“ [7; 598]. მიშა და რობიკოც არ დავიწყებია, გამსახურდიამ ემიგრაციაში გააქციაო, ყველაფერს უარყოფს რაც სამოცდაათი წლის განმავლობაში შეიქმნაო, ოთარ ჩხეიძემ აქაც იცის სიმართლე „ეგენი, ათ წელიწადში ერთ პიესას დადგამენ და დანარჩენი გუნდრუკი უნდა უკმიო“ [1; 93].

მართლაც რომ ჭრელი საზოგადოებაა, თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო, მაგრამ ავტორი სწორედ ამ გამაერთიანებელ წერტილს გვაჩვენებს და გვაჩვენებს „კანთიელადა“. ისინი „მოსკოვის სულით გაბერილან, მოსკოვის თვალით იცქირებიან, მოსკოვს აწონებენ თავსა“ [1; 190]. ეს ის ხალხია „როლები რომ ჩამოართვა, ვინც არა სწამდა ჩამოართვა. გადაეკიდნენ“. შემდეგ კი „ნიღბებს იცვლიან,

კეკლუცობენ, სიკეთის მოციქულად გვისახავენ თავსა, სინამდვილეში რომ შურით გაგუდულან, ვნება რომ ახრჩობთ ერთადერთი: სხვას აღემატონ, თუნდაც ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა“ [1; 329].

და მაინც, რატომ მოხდა, რა უნდოდა ან ერთს, ან მეორეს. ამის პასუხსაც ტექსტი და ავტორის პოზიცია გვამცნობს, როგორც უკვე ვნახეთ ავტორს არ დარჩენია საზოგადოების არც ერთი ფენა და სახე, ვინც თუნდაც უმნიშვნელოდ გაურია ხელი ქვეყნის დამხობაში, აჩვენა თითქმის ყველას მიზეზი. საერთოც - რუსეთი აღარ უნდაო, მაგრამ არც ასე ადვილად უნდა იყოს საქმე. ოთარ ჩხეიძის სამოქალაქო პოზიცია და სითამამე ყველაზე მეტად სწორედ ამ ფონზე იკვეთება. როგორც ავტორი აღნიშნავს XX საუკუნემ ორი დიდი ჭირი მოიშორა – კომუნიზმი და ფაშიზმი. XXI საუკუნეს კი არანაკლები საფრთხე ემუქრება დემოკრატიზმის სახელით შენიღბული. ერს სახეს რომ უკარგავს და გადაგვარების წინაპირობას ქმნის. ამ შემთხვევაში უკვე მნიშვნელობა არა აქვს „მგელი სეგვჭამს, თუ მგლისფერი ძაღლი. {1; 220]. ფრაზებს შუა ისმის ის ყოვლისმომცველი ფრაზა, ცალკე პერსონაჟად რომ შეიძლება გამოიყოს ჩვენ თუ ვუშველეთ თავს ევროპასაც ეშველებაო. ისევ საქართველოზე გადის ევროპის ხსნა და მომავალი? შეიძლება, მაგრამ შეგვწევს ამის ძალა, შევეჭიდოთ და ვზიდოთ პასუხისმგებლობა ევროპის მომავალზე?

კიდევ ერთი - გოგია გაბროშვილიც არ დავიწყებია ავტორს, შიდა ქართლის ქართველობის იმედი და დამცველი. ისევ ქართველის ხელით რომ გაიწირა. ცხინვალში მის დაღუპვას საარტილერიო ზალპით შეხვდა გახარებული მტერი.

და მაინც, დავუბრუნდეთ რომანის მთავარ პერსონაჟს, ვის თავსაც ტრიალებს ეს ცოდვის კალო. ოთარ ჩხეიძე რომანის ფინალში ცხინვალიდან დევნილ მესტვირეს გამსახურდიას ენით ასეთ ფრაზას ათქმევინებს:

„შენი ყმობა არ მინდოდა, მე სხვა ცოდვა არ მადევსა,
სანამ პირში სული მიდგას, გეფიცები მაღლა ღმერთსა,
მე ურჩობას არ მოვიშლი, არ მოვიშლი მტრობას შენსა!“

შემდეგ კი მცირე კომენტარს მოაყოლებს „მესტვირემ თავისი იცის, მეისტორიემ თავისი, მოამბემ თავისი“ [1; 366].

ლიტერატურა:

1. ოთარ ჩხეიძე - “არტისტული გადატრიალება“; „ლომისი“, 2002;
2. დიმიტრი შველიძე - „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში“; „უნივერსალი“, 2008;
3. იგორ კვესელავა - „საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები“; თბ., 2007;
4. როსტომ ჩხეიძე - „აგვისტოს შვილები“, 2009;
5. ჟან-ლუი ბარო - „ფიქრები თეატრზე“, 2008;
6. ქართული საბჭოთა ენციკოპედია - ტ. 10, 1986;
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია - ტ. 11, 1987.

რეზიუმე

ოთარ ჩხეიძის რომანში „არტისტული გადატრიალება“ არტისტიზმი საწყისშივე გულისხმობს იმიტირებას, ცრუს და როდესაც იმიტაცია და სიცრუე ქვეყნის ბედიწერასა და მომავალს განსაზღვრავს ეს უკვე ტრაგედიის წინაპირობაა. ავტორი ეჭვითა და სინანულით ახასიათებს გასულის საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ მდგომარეობას.

„არტისტული გადატრიალების“ თითქმის ყველა პერსონაჟი ისტორიული პირია და ავტორი სულაც არ ცდილობს მათ შელამაზებას. ყველას თავის სახელი უწოდა და ადგილი მიუჩინა. ოთარ ჩხეიძემ დოკუმენტური სიზუსტით აღწერა ვინ რა როლი შესარულა ქვეყნის დაღუპვასა და გადარჩენის მცდელობაში. ავტორი არ ერიდება და არ უფრთხის საგნებს, მოვლენებს, ისტორიულ პირებს უწოდოს თავის სახელი.

THE EPOCH SEEN IN CHARACTERS ACCORDING TO OTAR CHKHEIDZE'S DOCUMENTARY NOVEL "ARTISTIC REVOLUTION"

Ana Imnadze, Specialist by Contract

RESUME

In the novel "Artistic Revolution" by Otar Chkheidze, at the very beginning artistry includes imitation, lie and when imitation and lie determines the fate of the country, that is a premise of tragedy. The author with doubt and regret characterizes the existed situation if the 90s of the previous century.

Almost every character is a historical hero in "Artistic Revolution", and the author doesn't try to change their image. He showed all of them as they really were. Otar Chkheidze with a documentary neatness described their role and attempt in the downfall and survival of the country. The author bravely talks about the events, historical persons, and names them accordingly.

ივანე მაჩაბლის ცხოვრების ერთი უცნობი დეტალის შესახებ

ალექსანდრე მღებრიშვილი, სრული პროფესორი

აღსანიშნავია, რომ ივანე მაჩაბლის, როგორც შექსპირის თხზულებათა მთარგმნელის, უდიდესი დამსახურება ჩვენს საზრისში თითქოს ერთგვარად ჩრდილში ტოვებს მის ღვაწლს ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ისტორიაში.

1881 წელს „დროებისა" და „ივერიის" რედაქციების შეერთების შემდეგ ი. მაჩაბელი სათავეში უდგება ბიბლიოგრაფიის განყოფილებას. იგი თავიდანვე ენერგიულად იღებს ახალი განყოფილების მართვის სადავეებს ხელში და ჟურნალ „ივერიის" ფურცლებიდან მკითხველს შეახსენებს თავისი საქმიანობის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს: „დღეის ამას იქით, ჩვენს მკითხველებს შევატყობინებთ შინაარსს ყოველის ახალ ქართულის წიგნისას. ჩვენ მოგვიხდება აგრეთვე ხანდახან ზოგიერთ სხვა ენაზედ დაწერილს წიგნზედ ლაპარაკი, თუ ეს წიგნი ან ჩვენს ქვეყანას შეეხება, ან იმისთანა საგანს, რომელიც ყოველთვის საინტერესოა..."[19]

ლიტერატურული აზროვნების წარმოჩენასთან ერთად ივანე მაჩაბელი ენერგიულად ამხელს იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომელთაც შეეძლოთ უარყოფითი გავლენა მოეხდინათ მწერლობაზე. მაგალითად: მკაცრი კრიტიკოსის თვალითაა შეფასებული ტერ-ასტვაწატურიანცის თხზულებანი,[20] მელქისედეკ აბესაძის თარგმანი (რუსულიდან) „მოკლე ისტორია წმინდისა დიდებულისა და ძლევად შემოსილისა გიორგისა",[21] ალ. გარსევანიშვილის კომედია „ცოლები დავკარგეთ"[22], ს. ტუსიშვილის „ყმაწვილი და ფრინველი"[23] და სხვა.

ივანე მაჩაბლისათვის ეს პერიოდი ყოველმხრივ ერთობ ნაყოფიერია. ი. მანსვეტაშვილი მოგონებებში წერს: «ვანო მხარში ამოუდგა ილიას და მასთან ერთად უძღვებოდა «ივერიას». ძალიან ხალისიანი მუშაკი აღმოჩნდა, ცოცხალი, მარჯვე, ცქვიტი, ხელიდან სულ ცეცხლი სდიოდა.»[24] სამწუხაროდ, ივ. მაჩაბლის მოღვაწეობა „ივერიაში" საკმაოდ მცირე ხანს, სულ ერთი წელი გაგრძელდა, მაგრამ ეს დროც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყენა მან „ივერიის" წინააღმდეგ ჟურნალ „იმედში" გამოქვეყნებული ნეგატიური წერილების ნეიტრალიზებისათვის.

[19] ჟურნ. „ივერია", 1881, №1, გვ. 144.
[20] ჟურნ. „ივერია", 1881, გვ. 145-146.
[21] იქვე, გვ. 152.
[22] იქვე, გვ. 152.
[23] ჟურნ. „ივერია", 1881, №4, გვ. 151.
[24] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები (ნახული და გაგონილი), თბილისი, 1936, გვ. 168.

სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „იმედის“ წინააღმდეგ მიმართული წერილებით ივ. მაჩაბელმა „დიდი ამაგი დასდო ქართულ მწერლობას... და გზა გაუკაფა ჭეშმარიტ სიახლეებს“ (ალ. კალანდაძე).

როგორც აღვნიშნეთ, ივ. მაჩაბლის პუბლიცისტური შემოქმედებითი გზა «ივერიაში» მხოლოდ ერთი წლით შემოიფარგლა. 1883 წელს ს. მესხმა, მისი ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესების გამო, ივანე „დროების“ რედაქტორად მიიწვია, მაგრამ, ეტყობა ეს პროცესი გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული იმდენად, რამდენადაც ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციით ამ პოსტზე წარდგენილი იყო ჟურნალისტი ნიკ. ქანანოვი.

ამ ამბებთან დაკავშირებით გრ. ყიფშიძე იგონებს: „იმავე 1883 წელს ავად გახდა ს. მესხი. გაზეთ «დროებას» პატრონი უნდოდა და ფულსაც შოვნა ავადმყოფი რედაქტორის სამკურნალოდ, გაზეთის ვალების გადასახდელადაც. ილიამ იკისრა ფულის მოგროვება შეძლებულ ქართველთა შორის და რედაქტორადაც დაასახელა არა ვანო, როგორც იმედი ჰქონდა თვითონ მას, არამედ ნ. ქანანოვი, რომელმაც უკვე დაბეჭდა შესაფერისი განცხადება და ახალი რედაქციის შედგენასაც შეუდგა. ვანომ ეს იწყინა, მისი თავმოყვარეობა შეილახა, მან მიატოვა „ივერია“, პირადად იშოვნა ფული და დამტკიცდა რედაქტორობა გაზეთისა.“[25]

ივანე მაჩაბელი ენერგიულად შეუდგა „დროებაში“ მუშაობას. იგი წერდა: „ჩვენ ვკიდებთ ხელს სერგეი მესხისაგან დატოვებულ გაზეთს, მაგრამ დღეს საზოგადოებასთან სალაპარაკოდ არა გვცალიან. ამ წერილით გვინდა მხოლოდ საზოგადოების წინაშე მივსცეთ პატიოსანი სიტყვა სერგეი მესხს, რომ მისგან უდროოდ დაობლებულ გაზეთს დედინაცვლობას არ გავუწევთ და შეძლებისამებრ ჭირში აღზრდილს, ბოლოს მაინც მხიარულებას ვაჩვენებთ...“[26]

გაზეთის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან შეძლო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფართოდ გატანა ხალხში, მისი დამკვიდრება სრულიად საქართველოში.

დონდუკოვ-კორსაკოვის ბიუროკრატიული მმართველობა ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა ივ. მაჩაბლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟას და სხვათა წინსვლისათვის.

1883 წლიდან ი. მაჩაბელმა ჩვეული ენთუზიაზმით და შრომისმოყვარეობით იტვირთა «დროების» მესაჭის მძიმე მოვალეობა, მიუხედავად იმ სირთულეებისა, რომლებიც ამ გზაზე იყო დასაძლევი.

„შრომისმოყვარე იყო, მოუსვენარი, უსაქმურად ვერ დადგებოდა და ბევრის ატანაც შეეძლო, რა საზოგადო საქმესაც იკისრებდა, სულითა და გულით ეძლეოდა,“[27] წერდა აკაკი წერეთელი. არც ამჯერად უმტყუნა ბრძნულმა ინტუიციამ აკაკის. ვანო მაჩაბელი გულმოდგინედ შეუდგა საქმეს, ღირსეულად განაგრძო ცნობილი რედაქტორის, ნიჭიერი ჟურნალისტისა და მოაზროვნის სერგეი მესხის გზა, მაგრამ არ ცხრებოდა ცენზურა, ბეჯითობდა ცარიზმის რეაქციული პოლიტიკაც და სულ მალე მიაღწია საწადელს. ახალი ძალებით განმტკიცებული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული პოზიციის მამხილებლური, შემართებული პათოსის გამო, «მავნე მიმართულების» გამო 1885 წელს სამუდამო დაიხურა. დაიხურა ხალხის ინტერესების დაცვისათვის, არსებული ხელისუფლების კრიტიკისათვის, რასაც „დროება“ მაინც ახერხებდა ცენზურის უმძიმესი პირობების მიუხედავად. თავისი არსებობის მანძილზე „დროებამ“ ქართველ საზოგადოებრიობაში ქართული გაზეთის კითხვის მძაფრი მოთხოვნილება ჩამოაყალიბა და, ამდენად, ინტელიგენციის მოწინავე ნაწილისათვის მისი დახურვა მძიმე ტრავმა გახლდათ.

გაზეთის სამუდამო მოშთობამ უფრო მეტად მაინც ივანე მაჩაბელზე იმოქმედა. იგი ჟურნალ „მწყემსში“ წერდა: „1883 წელს განსვენებულ ს. მესხმა თოთხმეტი წლის უმადური შრომის შემდეგ გამოაცხადა: მე ვერ წავუძღვები გაზეთს, სხვამ იკისროს ვინმემ და მოლაპარაკების შემდეგ მე გადმომცა „დროება“ 1 მაისს, 1883 წელს ექვსასი თუმანი ძველი ვალი გაზეთისა დამედო. ამ ვალში სტამბისა, ქაღალდისა, ასოთამწყობისა და სხვა ვალებს გარდა, იყო 532 მანეთი ისტორიკოსი ბროსეს პრემიისათვის მოგროვილი.

მოვკიდე ხელი გაზეთს და წლის დასასრულამდე სამას-ოთხასი თუმანი კიდევ სხვა ვალი მოემატა, რადგან წლის ხელის მოწერის ფული, უმთავრესი შემოსავალი გაზეთისა, უწინ გაზეთსავე მონდომოდა და მე დამხვდა მხოლოდ ყოველდღიური წვრილმანი შემოსავალი, რაც, რასაკვირველია, გაზეთის ხარჯს ვერ აუვიდოდა.

[25] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1914, ტ. 1.
[26] ვ. ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბილისი, 1963, გვ. 158-159;
[27] აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი, 1961, გვ. 403.

მე კი იმედი მქონდა, რაკი გაზეთის მოთხოვნილება ხალხში თანდათან ვრცელდებოდა და უწინდელი ძნელი მდგომარეობა შეიცვალა, შეძლება მომეცემოდა ოთხ-ხუთ წელიწადში გამესტუმრებინა ეს ვალი და შემდეგ შემოსავალი გასაუმჯობესებლად მომეხმარა. მე მწამდა, ამითი გაჭირვების დროს ნაკისრი ვალდებულება გახარების დროს გადამეხადა და მოკლე ხანში პირნათლად გამომეყვანა საზოგადოების წინაშე დამწყებნი და გამგრძობნი ამ საქვეყნო საქმისა, მაგრამ მიმუხთლა ბედმა. ორი წელიწადი ძლივს დასცალდა ჩემს ხელში გაზეთს და 12 სექტემბერს 1885 წელს გაზეთი დაიხურა, გარდა ზნეობრივი ტანჯვისა, რომელიც მე მაშინ განვიცადე, კისრად 9000 მანეთი დამედო.“[28]

საგულისხმოა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქართველ ლიტერატურის მოყვარეთა წრეში მაშინვე დაიწყეს ზრუნვა, მხედველობაში გვაქვს ყოველთვიური ჟურნალის - „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების წინა პერიოდი. ერთ-ერთ შეკრებაზე საზოგადოების ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ ი. მაჩაბლის ზემოხსნებული ვალი საზოგადო ვალია და საზოგადოებამ უნდა გადაიხადოსო. შეადგინეს კომიტეტი. კომიტეტს სათავეში დიდი ილია ჩაუდგა. საქმეც თითქოს დაიძრა ადგილიდან, მაგრამ, საბოლოოდ, ყველა ღონისძიება ამაო გამოდგა და მთელი ვალი მხოლოდ ერთ პიროვნებას, ივანე მაჩაბელს დაატყდა თავს.

სამართლიანად წერს ბ-ნი იპოლიტე ვართაგავა: „ადამიანმა ორი წლის განმავლობაში შეუსვენებლად, დაძაბულად იმუშაოს გონებრივად ან ფიზიკურად, ებრძოლოს უსახსრობას, უფულობას, ცენზურის სიმტკიცეს, შრომისათვის თითქმის არაფერი აიღოს და ამავე დროს „საზოგადო ვალითაც“ ყელამდე აივსოს – ეს ნამდვილი თავგანწირვაა, სანიმუშო გმირობაა.“[29]

როგორც აღვნიშნეთ, გაზეთ «დროების» მოსასპობად ამხედრებული ცენზორის ლუკა ისარლოვის მცდელობანი წარმატებით დაგვირგვინდა, მაგრამ გაზეთის დახურვის განკარგულების გაცემა უეჭველად დააჩქარა ერთმა გარემოებამაც:

მკვლევარი იპ. ვართაგავა წერს: ივ. მაჩაბელმა პირველი დღიდანვე დაიწყო «დროების» ავტორიტეტისა და მისი გავლენის განმტკიცება. იგი უაღრესად საჭირბოროტო, საზოგადო ხასიათის წერილებს ათავსებდა «დროებაში». უცხო ერების წარმომადგენლებს აცნობდა ქართველი ხალხის წარსულს და თანამედროვე კულტურულ მდგომარეობას.

ივ. მაჩაბლის დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის წვლილიც, რომელიც მან შეიტანა გორის მაზრის ჩამორჩენილი დაბის - ცხინვალის კულტურის წინსვლა-განვითარების საქმეში. იგი ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც მონაწილეობდა ზაალ მაჩაბლის მიერ ჩამოყალიბებული ქართული დრამატული დასის წარმოდგენებში.

ამავე პერიოდში მან დიდად შეუწყო ხელი ცხინვალში სკოლის გახსნას. ერთ-ერთი სიძნელე, რაც ხსენებულ საქმეს აფერხებდა, სკოლის შენობის უქონლობა გახლდათ. ივანეს ინიციატივით გადაიჭრა ეს საკითხი და 1881 წლის 8 თებერვლიდან ცხინვალში გაიხსნა ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი.

მომავალი მეუღლე ივანე მაჩაბელმა ცნობილი მეცენატისა და მოღვაწის ნიკოლოზ დიასამიძის ოჯახში გაიცნო.

გაზ. „თემის“ ფურცლებზე ს. მგალობლიშვილი წერდა: «დაუფასებელი ღვაწლი დასდევს გორის სცენას ა. თუთაევმა და ნ. დიასამიძემ, ასე რომ, მომავალი მემატიანე ჩვენი თეატრის აღორძინებისა, უყურადღებოდ არ დასტოვებს იმათ ღვაწლს. ეს ორნი ყველა საზოგადო ქართულ საქმეს ხელს უწყობდნენ.“[30]

ვ. მაჩაბელი სტუმრად იყო მიწვეული ნ. დიასამიძის ოჯახში, სადაც დაგვიანებით მივიდა მ. მაჩაბელთან ერთად. როგორც ითქვა, აქ გაიცნო მან მომავალი მეუღლე ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილი. ეს საქმე ელვისებურად გადაწყდა.

„საზოგადოება, უმთავრესად, ნაცნობი იყო, რადგან დიასამიძესა და მაჩაბლებს თითქმის საერთო ჰყავდათ ნაცნობ-მეგობრები. ასეთ დროს უცნობი სახე ყოველთვის ერთხმად მოგვხვდება თვალში და ვანო მაჩაბლის ყურადღებაც, ოთახში შესვლისთანავე, სამმა უცნობმა ქალმა მიიპყრო, რომლებიც ერთმანეთის გვერდით ისხდნენ, შესასვლელი კარების პირდაპირ. ქალები ერთმანეთს თვალსაჩინო მსგავსებით არ ჰგავდნენ, მაგრამ დაკვირვებული კაცი მიხვდებოდა, რომ დები იყვნენ.

[28] აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი, 1961, გვ. 403.
[29] იპოლიტე ვართაგავა, XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, თბილისი, 1957, გვ. 76-77.
[30] გაზ. „თემი“, 1911, №4;

რომელი მათგანი იყო უფრო ლამაზი, ამის თქმა კი ძალიანაც დაკვირვებული რომ ყოფილიყო ადამიანი, მაინც გაუჭირდებოდა, რადგან სამივეს ჰქონდა ის თავისებური მომხიბლაობა, რაც პირველივე შეხვედრისთანავე იზიდავს ხოლმე კაცს.“[31]

ივანეს მისთვის უცნობი სამი და – ნინო, ანასტასია და ბარბარე ბაგრატიონები გააცნეს. ორიოდე წუთის შემდეგ მათ შორის გულთბილი, მხიარული საუბარიც გაიბა. მაჩაბლის ყურადღება თავიდანვე შუათანა დამ, შავგვრემანმა, თაფლისფერთვალება ანასტასიამ მიიპყრო. ეს სწორედ ის ქალიშვილი გახლდათ, რომელიც ამ საღამოს ვინმე პოლკოვნიკ არჯევანიძისათვის უნდა დაეახლოვებინათ და ზემოხსენებული სადილიც საგანგებოდ, ამ მიზნით გაემართათ. ტასოს მშვენიერებით მოხიბლულმა ივანე მაჩაბელმა, რომელმაც ამ განზრახვის შესახებ არა უწყოდა რა, სპეციალურად მოწვეული სასიძოც გააწბილა, ანასტასია ბაგრატიონის გულიც მოინადირა, იმავე ღამეს მისი ხელიც ითხოვა, ორ დღეში წმინდა ნინოს კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის კარის პატარა ეკლესიაში ჯვარიც დაიწერა და ოჯახიც შექმნა.

1899 წელს ივ. მაჩაბლის უგზო-უკვლოდ გაუჩინარებამ დაამბლა ოთხი წლის ელენე და ექვსი წლის ნიკოლოზი. ძაძით შეიმოსა ახალგაზრდა ანასტასია ბაგრატიონი, რომელიც მთელი დარჩენილი ცხოვრება ამაოდ ელოდა მეუღლეს. ტასოს გარდაცვალების შემდეგ, წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრებისთანავე ელენე მაჩაბელი 22 წლის ასაკში ცოლად მიჰყვება ივანე ჩერქეზიშვილს (ეს უკანასკნელი 1937 წლის ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლი გახდა).

უნდა აღინიშნოს, რომ ი. მაჩაბელი, ვიდრე თავის ბედს ტასო ბაგრატიონს დაუკავშირებდა, შესტრფოდა ახალგაზრდა მომხიბლავ კახელ ქალიშვილს ელისაბედ (ლიზა) ქართველიშვილს, სწორედ მათი სიყვარულის ნაყოფი გახლდათ ბავშვი, დაბადებული 1890 წელს თელავში. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო მასალები აქვს მოკვლეული პროფ. გიორგი ჯავახიშვილს. იგი წერს: „თელავში ყორჩიბაშ-რუსიშვილების უბანში, ღვთაების ეკლესიის გასწვრივ დიდი აივნით და თაღებით დამშვენებულ სახლში დაიბადა ყრმა, რომელიც ქვეყანას მოევლინა დედისეული გვარით, ხოლო მამის სახელის ნაცვლად დაემკვიდრა პაპის სახელი. მღვდელმა ნათლობის დავთარში ჩაწერა: ქართველიშვილი შალვა გრიგოლის ძე... სამჯერ გადაისახა პირჯვარი და დამარცვლით წარმოთქვა ეს გვარი, სახელი და მამის სახელი. შემდეგ თრთოლვით დააყოლა – ღმერთის საწყენს თუ ვაკეთებ, მაპატიოს რამეთუ რასა ვიქმნ, არ ვიცი...“

ელისაბედ ქართველიშვილს ახლობელთა და ნათესავთა რისხვა ქარბორბალასავით დაატყდა თავს. დაითხოვეს სახლიდან, სამსახურიდან და ა.შ. მიუხედავად სასოწარკვეთისა და უზომო გაჭირვებისა, მეგობრის სახლს შეფარებულმა ახალგაზრდა დედამ კატეგორიული უარი გამოუცხადა და კარი სამუდამოდ მიუკეტა ვანო მაჩაბელს, რომელიც არაერთგზის ეცადა ურთიერთობის აღდგენას.

შალვა ქართველიშვილმა 1913 წელს მოსკოვში დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. საკუთარი საქმის საუკეთესოდ მცოდნემ მალე მოიპოვა სანიმუშო იურისტის სახელი. თითქმის მთლიანად ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და საერთოდ, იგი თავისი დროის ერთ-ერთ განათლებულ ახალგაზრდა ინტელიგენტად ითვლებოდა.

სამწუხაროდ, ივ. მაჩაბლის სიძის, ივ. ჩერქეზიშვილის ტრაგიკული ბედი გაიზიარა შ. ქართველიშვილმაც. იგი 1938 წელს პატიმრობაში გარდაიცვალა. მამის მსგავსად არც მისი საფლავი შემორჩა ქართველ ერს, მასთან ერთად გაქრა მისი ძვირფასი არქივი.

ასეთი გახლდათ ივ. მაჩაბლის პირველი ტრაგიკული სიყვარულის ნაყოფის შალვა ქართველიშვილის ბედი, რომელმაც თავისი ცხოვრების მეგზურად ლეგენდარული ელენე ბაქრაძე (დარიანი) აირჩია.

საგულისხმოა, რომ ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ქორწინების შემდეგ ივანე მაჩაბელი სრულ ბედნიერებას არ უნდა განიცდიდეს. როგორც ჩანს, ვანოს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა ცხოველი გრძნობა პირველი სიყვარულისა და სინდისის სამუდამო ქენჯნაც, საყვარელი ადამიანისათვის მოულოდნელი ტკივილის მიყენების გამო.

ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. გ. ჯავახიშვილი წერს: „იყო ასეთი მასწავლებელი ქალი (მგონი ქეთევანი) ჯავახიშვილი, რომელიც ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა. იმან მიამბო ადრე: ერთხელ ვანოსთან წავედიო... უკვე სამი-ოთხი თვის ჯვარდაწერილი იყო.. სახლში არავინ დამხვდა... ბიჭმა წამჩურჩულა, - კნიაზი თავის ოთახში ზისო. შევედი, ვანო თავის საწერ მაგიდასთან იჯდა, თავი ხელებში ჩაედო და ქვითინებდაო... ხელი დავადე თავზე: - რა მოგივიდა, ვანო? ვიფიქრე,

[31] ვ. ჭელიძე, ივანე მაჩაბელი, თბილისი, 1968, გვ. 291-292.

ბანკზე კამათმა თუ გააბრაზა მეთქი, მაგრამ მაგიდაზე ედო ლიზას სურათი... ქეთო, რა ვქენი, ვისზედ გავცვალე საცოდავი ქალი... არ მეპატიება, არა, მართალს ამბობს ილიაც და სხვაც.

არ იყო ვანო ბედნიერი... ესმოდა როგორი მშვენიერი ბიჭი ეყოლა ლიზას და უნდოდა ბავშვისათვის თავისი გვარის მიცემა: უნდოდა ეშვილებინა. ლიზა ამაზე ბრაზდებოდა, სულ ცეცხლსა ჰყრიდა პირიდან. ხმის ამოღება არ შეიძლებოდა."[32]

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ივანე მაჩაბლის ცხოვრების უკანასკნელი დღეების ერთი ნაკლებად ცნობილი ფურცლის შესახებ. 1999 წელს დოც. გ. ჭოხონელიძემ ლიტერატურის მუზეუმში მიაკვლია ვინმე ბერ-მონაზონ იოანეს წერილს, დაწერილს «კლდის» რედაქციის მისამართით.[33]

მოკვლეულ მასალაში მოსკოვის სასულიერო აკადემიის მესამე კურსის სტუდენტი ბერმონაზონი იოანე მიუთითებს: „მე დავბრუნდი თუ არა სამშობლოდან აკადემიაში წარსულ შემოდგომას, მაშინვე შევიქენ შეუძლოდ, ასე რომ ენკენისთვიდან 10 ოქტრომბრამდის ლოგინში ვიწექ. როცა ცოტა მოვიხედე და ფეხზედ დავდექი, მაშინ აკადემიამ ექიმის რჩევით ჰაერის გამოსაცვლელად გამგზავნა ყირიმში. მე იქ, ყირიმში ყოფნის დროს ყირიმის ეპისკოპოს დიმიტრისაგან შევიტყვე, რომ მისთვის პეტრეს ქალაქში 1905 წელს ეამბნა ვინმე არხიმანდრიტ ვარნავას (შემდგომში კაროგოპოლის ოლენეცკის გუბერნიის ეპისკოპოსი), რომ ქართველი თავადი ივანე მაჩაბელი ჩემს მონასტერში ცხოვრობდაო.[34]

ამჯერად ვერ ვიტყვით, რამდენად სარწმუნოა მოხმობილი ცნობა ივანე მაჩაბლის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის შესახებ, რომელმაც შესაძლებელია ძირეულად შეცვალოს მისი ცხოვრების ზოგიერთი ბიოგრაფიული მომენტი.

ასეთი გახლდათ ამ უაღრესად ნიჭიერი მკვლევარის, მთარგმნელისა და მოღვაწის ტრაგიკული ცხოვრების უკანასკნელი ფურცლების, საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი, ერთი დეტალი, რომელიც, ვფიქრობთ, ცალკე კვლევისა და განსჯის საგანია.

ლიტერატურა:

1. ჟურნ. „ივერია", 1881, №1;
2. დ. გამეზარდაშვილი, ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, /3/, 1975;
3. ჟურნ. „ივერია", 1881, №4;
4. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები (ნახული და გაგონილი), თბილისი, 1936;
5. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1914, ტ.1.
6. ვ. ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბილისი, 1963;
7. აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ.XII, თბილისი, 1961;
8. იპოლიტე ვართაგავა, XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, თბილისი, 1957;
9. გ. ბუხნიკაშვილი, გორის თეატრი, თბილისი, 1965;
10. გაზ. „თემი", 1911, №4;
11. ვ. ჭელიძე, ივანე მაჩაბელი, თბილისი, 1968;
12. გ. ჯავახიშვილი, ლიზა და შალვა ქართველიშვილები, გაზ. „კალმასობა", 1999, №1, /29/;
13. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1999, №137, /3178/.

რეზიუმე

საგულისხმოა, 1944-1945 წლებში თამარ ნიკოლოზის ასული მოზდოკელის მიერ ლიტერატურის მუზეუმში ჩაბარებული წერილი. აღნიშნული წერილი ეკუთვნის ვინმე ბერ-მონაზონ იოანეს. წერილიდან ირკვევა, რომ თავადი ივანე მაჩაბელი კაროგოპოლის ოლენეცკის გუბერნიის ეპისკოპოსის, არქიმანდრიტ ბარნაბას (ვარნავა) მონასტერში ცხოვრობდა.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულმა ცნობამ, შესაძლებელია ძირეულად შეცვალოს ივანე მაჩაბლის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ზოგიერთი ბიოგრაფიული მომენტი.

[32] გ. ჯავახიშვილი, ლიზა და შალვა ქართველიშვილები, გაზ. „კალმასობა", 1999, №1, /29/, გვ. 118
[33] წერილი ლიტერატურის მუზეუმში შესულია 1944-45 წლებში, ჩამბარებელი – თამარ ნიკოლოზის ასული მოზდოკელი.
[34] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1999, №137, /3178/.

სამეცნიერო ნაშრომში ასახულია უაღრესად ნიჭიერი მკვლევარის, მთარგმნელისა და მოღვაწის ივანე მაჩაბლის ტრაგიკული ცხოვრების, საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი დეტალები.

ONE OF THE UNKNOWN DETAILS FROM THE LIFE OF IVANE MACHABELI

Aleksander Mghebrishvili, Full Professor

RESUME

It's significant that the letter handed to the Museum of Literature by Tamar Mozdokeli in 1944-1945 belongs to the monk Ioane. From the letter we learn that Ivane Machabeli lived in the monastery of Karogopoly Olenetsky Province Bishop, Archimandrite Barnaba (Varnava).

The abovementioned information can radically change some biographical moments of the latest period of Ivane Machabeli life.

The scientific work reflects the unknown details from the tragic life of exceptionally talented researcher, translator and public figure, Ivane Macvhabeli.

გრიგოლ რობაქიძე - არშემდგარი ნობელიანტი და საბჭოთა მწერლობა

მარინა ცერცვაძე, სრული პროფესორი

მთელი ჩვენი თაობის გულისტკივილს გამოხატავდა კობა იმედაშვილი, რომელიც წერდა: „გრიგოლ რობაქიძეზე ჩემმა თაობამ ყურმოკვრით თუ იცის რამე, ისიც ხშირად ჭორებისა და ლეგენდების დონეზე“. [2,6]

დღეს, როცა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის არქივებსა თუ იქაურ ბეჭდვით ორგანოებში მოპოვებული მასალები, გაადვილდა კვლევა ერთადერთი ქართველი ემიგრანტი მწერლის შემოქმედებისა, რომელმაც ემიგრაციაშიც გააგრძელა მოღვაწეობა და აღიარებასაც მიაღწია. 7 წიგნიდან 5 მას გერმანულ ენაზე აქვს დაწერილი.

გურამ შარაძე, ცდილობს რა გაარკვიოს გრიგოლ რობაქიძის მხატვრულ შემოქმედების მნიშვნელობა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს კულტურისათვის, თავის წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“ მოყავს ამონარიდები:

1. შტეფან ცვაიგის წერილიდან: ,,პირველად ჰორიზონტზე ჩნდება ერთი ახალი ერი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის რომანით. ქართველთა უძველესი ერი... ცხოვრობს დედამიწის უმშვენიერეს კუთხეში... და, მაინც, ჩვენდა სამარცხვინოდ უცნობია ჩვენთვის.” [8,175] და ა.შ.
2. გერმანული ჟურნალი „ეხთ დერ ცაიტ“-იდან, რომელიც აქვეყნებს წერილს სათაურით ,,გრიგოლ რობაქიძე – ერთი ნამდვილი პოეტი”. ამ წერილში გრიგოლ რობაქიძე გენიოსადაა გამოცხადებული, თუმცა 1933 წელს, როცა წერილი ქვეყნდება, გერმანია სულ ორი ნაწარმოებით იცნობს მას.
3. გერმანელი მწერალი ფ. ჰოენტშის წერილიდან: ,,გრ. რობაქიძე არის სულით არისტოკრატი, სულიერი მეთაური თავისი ხალხისა, იგი ქართველი ერის სახალხო პოეტია, ისევე, როგორც იყვნენ ესქილე, სოფოკლე, პინდარე და ჰომეროსი.” [8,179]

საფრანგეთის აკადემიის წევრის მარსელ ბრიონის წინასიტყვაობიდან გრ. რობაქიძის რომან ,,მეგი”-ს ფრანგული თარგმანისათვის: ,,ამ არაჩვეულებრივი ხარისხის რომანისტის დიდ ნიჭს შეუძლია შექმნას მხოლოდ ასეთი დიდი მეტრომორფოზები” [8,182]... და ა.შ.

არსებობს ცნობა, რომლის თანახმად გრ. რობაქიძის შემოქმედებაზე თავისი მაღალი შეხედულება გამოუთქვამს თომას მანს, (ჟურნალი „ბედი ქართლისა“), მაგრამ ნუ გავაგრძელებთ ამ ამონარიდების ჩამოთვლას.

შვედური ჟურნალ IDUN-ის ანკეტით გამოკითხვებს უნდა დაესახელებინათ სამი უმნიშვნელოვანესი წიგნი ჩვენი დროის ლიტერატურაში. გამოჩენილმა ავტორმა ნეანდერ ნილსონმა ამ სამში გრ. რობაქიძის ,,ჩაკლული სული" მოაქცია, და ამ დროს როგორ შეიძლება არ მოვიყვანოთ ის შეფასებები, რომელიც უფრო მეტად ნაცნობია ჩემი თაობისათვის, რადგან ამ სახით წარმოგვიდგენდნენ მწერალს მისი პიროვნებით დაინტერესებულ მეცნიერს თუ სტუდენტს. ეს ცნობილი ხელწერაა, ბოლშევიკური პრესისათვის დამახასიათებელი: ,,მიხაკისფერი ყანწით – ფაშისტური დამღით მკერდის შუაგულზე - სვამს გრიგოლ რობაქიძე გერმანული ფაშიზმის, მისი დამპალი კულტურის, რასიული იდეოლოგიის სადღეგრძელოს" [1,47].

ყველამ კარგად იცის რა ვითარებაში იქმნებოდა ამგვარი წერილები. მით უმეტეს კარგად იცის, საზღვარგარეთ, დიდების ზენიტში მყოფმა, გრიგოლ რობაქიძემ, აკაკი ბაქრაძე წიგნში ,,კარდუ", აღწერს მწერლის განწყობას: ,,გრიგოლ რობაქიძემ იცოდა „მნათობში" დაბეჭდილი მიმართვის არსებობა, მაგრამ წყენა გულში არ ჩარჩენია... აღწერა კიდეც ეს ტექნოლოგია რომანში ,,ჩაკლული სული". საშინელი გულის ტკივილით განიცდიდა მეგობრების საბედისწერო ხვედრს."[1,101] ცრემლები დაუღვრია ხშირად, როცა მიხეილ ჯავახიშვილს ან დახვრეტილ მეგობრებს იგონებდა - „და ცრემლი აქ ბუტაფორი არ არის". [6,120]

სწორედ ეს არის ჩვენი ძირითადი სათქმელი. მწერალი თავის წერილებში, პირად ბარათებში ხშირად ახსენებს ქართველ მწერლებს, ნეკროლოგით ეხმაურება პაოლო იაშვილის გარდაცვალებას. აქვეყნებს მიმართვებს ქართველი ახალგაზრდობისადმი, ქართველი ხალხისადმი. აქვეყნებს იმ ჟურნალებში, რომელიც ეიმედება, რომ გახდება ,,კერად გადმოხვეწილ ქართველთა, კერად სულისა და გონისა. იქ უნდა გადმოიშალოს ქართველთა გულის თუ მაჯისცემა" [6,12]. მწერალს მიაჩნია, რომ, არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დარგი ქართულ კულტურისა, რომელსაც არ გამოხმაურებოდეს. ეს იქნება ძველი ტექსტების გარჩევა, ისტორიული ძიება, ლიტერატურული განხილვა, მხატვრული პროზა, შაირი, თეატრი, როკვა, მხატვრობა – ყოველივე ამის შესახებ გამოთქვამდა საკუთარ აზრს, არ დაუტოვებია განზე პრობლემები.

გრიგოლ რობაქიძე თვალს ადევნებს საჭოეთში მიმდინარე სალიტერატურო პროცესს და ხედავს, რომ ერთ დროს მისი თანამოაზრე მწერლები გრიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, გალაკტიონ ტაბიძე და ა.შ. ახლა თავგამოდებით ემსახურებიან საბჭოეთს. იმოწმებს რა სიმონ ჩიქოვანის მიერ ,,правда"-ში გამოქვეყნებულ წერილს, მწერალს აწუხებს ის ფაქტი, რომ ისინი არა მარტო წერენ, არამედ თითოეულ მათგანს რომ შეეკითხო ,,ამასვე იტყვიან". საუბედუროდ ამის თქმისას ისინი არიან გულწრფელნი, მაგრამ არა ,,ნამდვილი". და სწორედ ეს არის გაოცების თავი და თავი, როგორ არიან ისინი ,,გულწრფელი და არანამდვილი ერთსა და იმავე დროს?". თუმცა თუ ჩავუღრმავდებით მის რომანს ,,ჩაკლული სული" - სწორედ ამ საოცარი პროცესის მხატვრული გადმოცემაა ქართულ მწერლობაში, სადაც მიდის ,,შინაგანი ნამდვილობის დარღვევა" [6, 8]. ეს ურთულესი პროცესია. მწერალი მოკლედ მიმოიხილავს კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანებს და, ვიდრე მსჯავრს დასდებს რომელიმე მათგანს, ცდილობს იპოვოს ის ,,დათმობები", რომლზეც კონსტანტინე გამსახურდია მიდის იძულებით და რომელიც ძალზე აზიანებს მხატვრულ ნაწარმოებს. გრიგოლ რობაქიძეს მიაჩნია - ამ დათმობებით საქმე იქამდე მიდის, რომ თუ რომანში ,,დიდოსტატის მარჯვენა",,ქართველთა განცდაში და შეგნებაში სვეტის გარდამქნელი ძალა გასაგნდა, როგორც სასწაულმოქმედი ხატი - ეს ხატი – რომანში შეგინებულია და ყველაფერი არის შედეგი ,,დათმობებისა" გამსახურდიასი, იმ გამსახურდიასი, რომელიც ერთ დროს მისტიკოსად და მორწმუნედ თვლიდა თავის თავს" [6, 9]. რომანი კარგია, მაგრამ ერთი წვეთი ,,დათმობისა" ემსგავსება იმ საწამლავს, რომლითაც მოიწამლა რომანიც და მისი ავტორიც. და ეს ,,დათმობა" კი ბრალია ,,საბჭოური ატმოსფეროსი."

გაკიცხვის ობიექტია არა მარტო კონსტანტინე გამსახურდია. ასეთი ,,დათმობები" გააჩნია საბჭოეთში მოღვაწე ყველა მწერალს და მით უფრო ძნელად საპატიებელია, რაც უფრო ნიჭიერია მწერალი. თუ დათმობის პროცესს განვიხილავთ გიორგი ლეონიძესთან, აქაც იგივე ხდება. თუნდაც პოემა ,,სტალინი, ბავშვობა და ყრმობა" – გრიგოლ რობაქიძე ფიქრობს, რომ ეს პოემა მოწონებულია არა მარტო ბოლშევიკების მიერ და ნამდვილად ოსტატურად არის დაფარული ეს ,,დათმობები". ნამდვილად პოეტური ადგილები ამ პოემისა გვხვდებიან არა იქ, სადაც სტალინის სახეს ხატავს პოეტი, არამედ იმ ,,გარემოს აღწერაში, სადაც ის დაიბადა... რაც სტალინზეა ნათქვამი, პოეტურობის მხრივ, უბრალოდ რიტორიული ხოტბაა და სხვა არაფერი. ვინც არ უნდა ჩავსვათ სტალინის მაგივრად, პოემა ყველას მოერგება" [6, 8]. მწერალი მიმოიხილავს სხვა დანარჩენი სახელოვანი პოეტების შემოქმედებას და ყველგან იგივე რიტორიულ პოზას აღმოაჩენს. ეს ყველაფერი არის შედეგი იმისა, რომ ისინი არ არიან შინაგანად ,,ნამდვილნი", თუმცა არც თვალთმაქცობენ და გულითაც არიან მოწოდებულნი კარგად წერონ.

დასკვნა ასეთია – ბოლშევიზმი და ხელოვნება ერთიმეორეს ეწინააღმდეგება და მთელ საბჭოთა კავშირში არ არსებობს ნაწარმოები, რომელიც არის ბოლშევიკური და მასში ხელოვნების კვალი ვეძებოთ, და თუ რამეა თვალსაჩინო შექმნილი, ეს ბოლშევიზმის ოსტატურად გვერდის ავლით.

რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილს, მიმოიხილავს რა მის რომანებს რობაქიძე ამბობს, ,,ვაკვირდებოდი მის შემოქმედებას – პირვანდელი შედარებით მერმინდელთან უმჯობესად მეჩვენებოდა... როგორ მოხდა ეს, რომ დავაჟკაცებული ჯავახიშვილი ახალგაზრდა ჯავახიშვილს მწერლობაში ვერც კი გაეტოლა? ამის ახსნა, ასე ვფიქრობ ეხლა, მისი მწერლური ,,ზრდის შეწყვეტაში უნდა ვეძიოთ.” ამის მიზეზი წართმეული ,,თავის უფლებაა,” საბჭოეთში კი ვერ ნახავენ ვერც ერთ ,,თავის უფალ” ადამიანს. წერილი გამსჭვალულია იმ პათოსით, რომ მოვა დრო, სულ ერთია, ადრე თუ გვიან მოვა დრო და საქართველოც ამოისუნთქავს „მიხეილ ჯავახიშვილის დახვრეტის დღეს, ყოველ წელს, მარაბდის ველებითგან გადმოეშვება.... მხედარი არსენა და გადასძახებს თბილისს „გაცოცხლდეს ჩვენს გულში მიხეილ ჯავახიშვილი!“ - ერთხმად ყველანი ცოცხალია, ცოცხალი“ [6,120].

აკაკი ბაქრაძე იზიარებს მოსაზრებას, რომ ჯაყო სამართლიანად აღიქვეს ბოლშევიზმის სახედ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში და სწორედ ამას განიცდის გრიგოლ რობაქიძე მწვავედ, როგორ, თუ ჯაყო ბოლშევიზმია, თეიმურაზი ქართველი თავად-აზნაურობა, მარგო კი საქართველო, რა ხდება ამ სასიყვარულო სამკუთხედში? ის, რომ ჯაყო იმარჯვებს და სრულიად ეუფლება მარგოს. ეს შემზარავი რეალობაა, რომლის დაჯერება არ სურს არც გრიგოლ რობაქიძეს, არც თვითონ მიხეილ ჯავახიშვილს, მაგრამ ,,ჯაყოს ცინიზმს ღრმად გაედგა ფესვი საქართველოში” [1, 56].

უბედურებაა ისიც, რომ ,,გადედლება”, ვაჟურისა და ქალურის რღვევა არ იყო მარტო ქართული პრობლემა. გრიგოლ რობაქიძე მიხეილ ჯავახიშვილსაც 1931 წ. 11 დეკემბერს გამოგზავნილ წერილში ამაზე ესაუბრება, ,,მონატრება ნამდვილი ვაჟურისა, ნამდვილი ქალურისა ყველგან იგრძნობოდა” [1, 111] და აკაკი ბაქრაძეს სამართლიანად თვლის, რომ ევროპამ, ალბათ, ეს მონატრება დაინახა გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებებში, როცა ის მათთვის ნაცნობი მხოლოდ ორი თხზულებით გენიად გამოაცხადა.

გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების შემდეგ იწერება წერილი „გალაკტიონ ტაბიძე და მისი ქებათქება ნიკორწმინდას“ წერილს აშკარად გასდევს სინანულის განცდა პოეტის უდროოდ გარდაცვალებისა გამო, ამდენად, უფრო შემწყნარებლურია. რობაქიძე განიცდის, რომ ვერ ეხება გალაკტიონის მთელ შემოქმედებას, რომელსაც კარგად მხოლოდ 1931 წლამდე იცნობს, სანამ სამშობლოს დატოვებდა. განიხილავს რა დაწვრილებით ამ ლექსს, გრიგოლ რობაქიძე აღფრთოვანებას ვერ მალავს: „შედევრია ეს შაირი, ნამდვილი შედევრი. სხვა რომ არაფერი შეექმნა გალაკტიონს, ეს შაირიც საკმარისი იქნებოდა, რომ იგი შესულიყო ქართულ პოეზიაში, როგორც დიდი ოსტატი“ [6, 166].

გალაკტიონზე საუბრისას მწერალი აკაკი გაწერელიას მოგონებას იმოწმებს, სადაც ის, ასეთ მნიშვნელოვან ცნობას იძლევა: ერთ პოეტზე საუბრისას გალაკტიონმა თქვაო „დაიმონ არ უზის სულში ძამიკო, დაიმონ!“ ეს დაიმონ, იდუმალი ძალა, რომელიც ბუდობს ადამიანში და წარმართავს მის გრძნობებს, მეტად ნაცნობი აღმოჩნდა გრიგოლ რობაქიძისათვის, რომელსაც იგივე დაიმონ უზის სულში მწერლური ნიჭის წარმმართველად და თუ ეს ასე არ არის, მაშინ შენს შემოქმედებას არა აქვს ის სიღრმიდან ამოხეთქილი ძალა, რომელიც ასე გვხიბლავს ორივე მწერლის ნაწარმოებების კითხვისას.

1962 წლის აპრილში გრიგოლ რობაქიძე წერილს უგზავნის ირაკლი აბაშიძეს – პირველ მდივანს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა. გაუგზავნა, მაგრამ თავიდანვე დარწმუნებულია, რომ პასუხს ვერ მიიღებს (ან არა მიიღებს). მთელი წერილი არის უარყოფა იმ ბრალდებისა, რომელმაც გაიჟღერა ,,ვინმე” ვალერიან კანდელაკის კამათში სერგო კლდიაშვილთან, რომ პიესა ,,ლამარას” ავტორი არის არა გრ. რობაქიძე, არამედ ვაჟა. წერილი დაბეჭდილა ,,ლიტერატურული გაზეთის“ 1962 წ. 2, 3 ნომერში.

ერთის შეხედვით, გრიგოლ რობაქიძე აშკარად თანაუგრძნობს ფაშიზმს. ამას მოწმობს მისი ესსები ,,მუსოლინი”, ,,ჰიტლერი”. რა შეიძლება დაუპირისპირდეს ამ არგუმენტს მწერლის გასამართლებლად? თითქოს არაფერი, მაგრამ ესსებში ერთმნიშვნელოვნადაა დახატული უდიდესი აღფრთოვანება არა მარტო ამ ორი პიროვნებით, არამედ იმ წესრიგით, რომლის დამყარებასაც ისინი აპირებენ, უფრო სწორად აპირებდნენ და არ დასცალდათ.

როსტომ ჩხეიძე ასე მსჯელობს: რას წარმოადგენდა კნუტ ჰამსუნის ფაშიზმი? ეს იყო მტკიცე უარყოფა ყოველივე ინგლისურის. ინგლისური ცივილიზაციის დამარცხებაში ხედავდა ევროპისა და მსოფლიოს ხანას, მხოლოდ გერმანია მიაჩნდა იმ ძალად, რომელიც ინგლისს მოერეოდა, ვერ ეპატიებინა ინგლისისთვის ნორვეგიის დაპყრობა.

ასე სამშობლოს გადარჩენის გზას ხედავდა გრ. რობაქიძე ფიურერისეულ სამშობლოს განცდაში, როგორ? როგორ და ,,რაკიღა ადოლფ ჰიტლერისათვის ძვირფასია მისი სამშობლო, სხვათა სამშობლოსაც

მოკრძალებით მოექცევაო“ [4, 71]. ის გულისფანცქალით მოელის როდის დაიძვრებიან გერმანიის ჯარები საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ, ამიტომაც შეჰხარის ფიურერს.

თუმცა როსტომ ჩხეიძე იმასაც აღნიშნავს, რომ გარუსება გაგერმანელებით შეიცვლებოდა და ეს კარგად იცოდა მწერალმაც, მაგრამ რჩებოდა სულის მოსათქმელი დრო. ,,იქნებ შეცვლილიყო მსოფლიო-ისტორიული წესრიგი, იქნებ დასრულებულიყო ჩვენთვის საბედისწერო ჟამი” [9, 24], დრო გვიშველიდა.

საქართველოში დღეს უკვე მიღებულია აზრი, რომ ,,მუსოლინის” გერმანული ტექსტი ქართული ენის ,,სამყაროსეული სურათებით აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია, სადაც თვალსაჩინოდ იხატება დიდი მწერალი და მოაზროვნე და არა ფაშიზმის აპოლოგია“ [3, 25].

რომ ესსე ,,ჰიტლერი” იწერება 1938 წელს, თუმცა გამოცემას ორი წელი მოუნდა და მასში გამოკვეთილია სიმპათია ჰიტლერის, როგორც ძლიერი პიროვნების მიმართ, რომელიც საკუთარი ერის წინამძღოლია, ისეთი წინამძღოლი, რომელიც წიგნის ავტორის ერს არ ჰყავს, რომ ავტორმა ჰიტლერი აღწერა პრინციპით - ,,შენ უნდა იყო ეს”, ,,მაგრამ ომის პერიოდში, როდესაც ქვეტექსტებისათვის აღარავის სცალია... ვერავინ გაიგო წიგნის სამდვილი შინაარსი და მას, ავტორის ჰიტლერის ხოტბაში უთვლიდნენ“ [7, 69]. ეს ამონარიდია მეცნიერის, დიმიტრი სილაგაძის წერილიდან, რომელიც თუმცა საღად მსჯელობს, მაინც კარგად გრძნობს რა რთულია გრიგოლ რობაქიძის ამ ბროშურაზე საუბარი, დღესაც კი, ჩვენს საზოგადოებაში.

ამას, ყველაფერს კარგად ხსნის მიხაკო წერეთლის მიმართვა: ,,შენი წიგნები მკითხველთა ,,მასისთვის” არ არის დაწერილი, არც საშუალო ,,განათლებული მკითხველისათვის” – არამედ არისტოებისათვის სულითა და გულით. ... ამათ დავიწყება არ იციან იმისა, რაც კეთილია და კეთილშობილი რადგან თვით არიან კეთილნი და კეთილშობილნი და მათ არც შენ წიგნებში ასახული საქართველო და ქართველი დაავიწყდებათ”...[7, 84] სიმბოლურია ახალგაზრდების სურვილი: ,,ჩვენც ვეცადოთ, რომ დიდი ქართველის აზრით შევხედოთ მის ნაწერებს, დავინახოთ ის, რასაც თავად ხედავდა“ [7, 85].

მწერლის ესეისტიკა გერმანული ენის მძლავრ ზეგავლენას განიცდის. ამან განაპირობა გრიგოლ რობაქიძის უდიდესი წარმატება ევროპაში, ასახული ჩვენს მიერ მოტანილ ამონარიდებში; საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ 1932 წელს გრ. რობაქიძე ნობელის პრემიაზე წარუდგენია ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს, ევროპაში ცნობილ ორიენტალისტს, ქართველოლოგს და სლავისტს – რიხარდ მეკელაინს.

ბოლო წლებამდე გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიის ეს უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი სრულიად გასაიდუმლებული იყო. თვით მწერალი არსად ნობელის პრემიის წარდგენაზე არ საუბრობს, გარდა ირაკლი აბაშიძისადმი მიწერილი წერილისა, რომლის სანდოობაც ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული მანამ, სანამ თვით ნობელის კომიტეტმა ,,თავისი პირველი 50 წლის ისტორია ეტაპობრივად არ განაარქივა და დაფარული ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი არ გახადა” [2, 7]. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, მავანნი ირწმუნებოდნენ – წარდგენილი კი იყო გრიგოლ რობაქიძე ნობელის პრემიაზე, მაგრამ კომიტეტმა მისი კანდიდატურა არც განიხილა მისი სიმპათიების გამო ფაშისტური რეჟიმისადმი.

დღეს ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი მწერალი მართლაც წარუდგენიათ ნობელის პრემიაზე დიმიტრი მერეჟკოვსკისთან, ივან ბუნინთან, პოლ ვალერისთან და სხვა ცნობილ 26 მწერალთან ერთად.

ნობელის პრემიების მიმნიჭებული კომისიისათვის ივან ბუნინიც და გრიგოლ რობაქიძეც ორივე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელია, ასევე დმ. მერეჟკოვსკიც. ,,ისე ერთგვარი კურიოზია; ოთხივე მწერალი, რომელიც ნობელის პრემიის ნომინანტთა სიაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად ფიგურირებს, ემიგრანტია და იმ პერიოდის საბჭოთა კავშირში მათ სახელებს ტაბუ ადევს” [2, 7]. ამდენად არც ერთი მათგანი არათუ წარმოდგენილი, მხარდაჭერილიც კი არ არის საბჭოთა კავშირის მიერ. ასევე არ იყო მხარდაჭერილი 1947 წლის ბოლოს პასტერნაკის კანდიდატურაც, ამიტომ სრულიად გასაგებია სურვილი კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარის, ანდერს ესტერლინგისა ,,და რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, რომ ნომინაცია მწერლის ქვეყნიდან მოდიოდეს“ [2, 8].

ეს ნობელის პრემიის ლაურეატობა, რაც შეეხება იმას, რომ მწერლის სახელს ტაბუ ადევს. როსტომ ჩხეიძე თავის მონოგრაფიაში გრიგოლ რობაქიძე და ახალი მითოსი” მიიჩნევს, რომ ფაშიზმისადმი თანაგრძნობით გამსჭვალული მწერლები კნუტ ჰამსუნი იქნება თუ ეზრა პაუნდი და სხვაც, მკითხველის წინაშე წარსდგებოდნენ არა გასამართლებულ პოლიტიკოსებად, არამედ უნიკალური ტალანტის მწერლებად, ,,ვერა ვერ გაიმეტებდნენ დასაკარგავად იმ ლიტერატურულ მიღწევებს” [2, 4], რაც მათ სახელთან იყო დაკავშირებული, ჩვენში მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის სახელს დასდევდნენ ამოსაშლელად.

პაატა ნაცვლიშვილი კარგად აღწერს იმ ძალისხმევას, რომელიც გრ. რობაქიძის სახელის ამოსაშლელად იყო მიმართული. ,,რა შრომა გასწიეს მაინც იმ წლებში ბიბლიოთეკათა თანამშრომლებმა. მათ რომ თავიანთი დრო და ენერგია ამ ავი საქმისთვის არ შეეწირათ, ქართული პერიოდიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ალბათ, 1940 წელზე არ გაიყინებოდა...

ბიბლიოთეკებისა და სიძველეთა საცავების მთელი ადამიანური რესურსი აკრძალულსახელიანი ჟურნალების გადახაზვას ხმარდებოდა. „რაღა წიგნების დაწვა ფაშისტურ გერმანიაში და რაღა სახელების ამოღება ბოლშევიკურ საბჭოეთში“ [2, 7] პაატა ნაცვლიშვილის დასკვნაც ისეთივეა, როგორიც როსტომ ჩხეიძისა - თუმცა გრიგოლ რობაქიძემ შესძლო თავის გადარჩენა, მაგრამ რეაბილიტაცია მის სახელს არ შეხებია არც მაშინ და არც 10, 20 და 30 წლის შემდეგ.

საუბარი გრიგოლ რობაქიძეზე დიდ პასუხისმგებლობას შეიცავს, წერდა პავლე ინგოროყვა, ჯერ კიდევ 1923 წელს გაზეთ „რუბიკონში“. „მე კიდევ ვიტოვებ სიტყვას გრიგოლ რობაქიძეზე“ [5, 17], მაგრამ ამ სიტყვის თქმის საშუალება პავლე ინგოროყვას აღარ მისცემია.

აკაკი ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ ვრცელი და საქმიანი საუბარი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე შეუძლებელია, ვიდრე ხელთ არ გვექნება მთელი მისი ნაღვაწი, როგორც ქართულ ისე გერმანულ ენაზე. რათა ერთ მთლიანობაში გავიაზროთ და სათანადო კვალიფიკაცია მივცეთ.

მთავარი კი ის არის, რომ გრიგოლ რობაქიძე არ იყო ორდინალური მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში. მისი შეფასება ღირებულებათა გადაფასებას მოითხოვს. გრიგოლ რობაქიძე - პოეტი, გვერდს უმშვენებს რობაქიძე - პროზაიკოსს, რობაქიძე - დრამატურგს, რობაქიძე - კრიტიკოსს და თეორეტიკოსს. „ასეთი თანაბრად ძლიერი ძალისხმევა სხვადასხვა სფეროში, ნიშანდობლივი ევროპის გამოჩენილ მწერალთათვის, ჩვენში ილია ჭავჭავაძისეული მაშტაბურობის გამოვლენა იყო“ [5, 20].

ლიტერატურა:

1. აკ. ბაქრაძე - კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი. თბ., „ლომისი“, 1999;
2. „ლიტერატურული გაზეთი“ 28 მაისი-10 ივნისი, 2010;
3. რობაქიძე გრ - მუსოლინი (მზიურნიშნეული) თბ არტანუჯი, 2010;
4. რობაქიძე გრ - ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით, თბ., არტანუჯი, 2010;
5. რობაქიძე გრ - 13 სონეტი, თბ., „საარი“ 2004;
6. რობაქიძე გრ. - კარლო ინასარიძის კრებული, მიუნხენი, 1957;
7. სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კრებული (XXს ქართული ემიგრაციის ისტორიიდან), თბ., უნივერსალი, 2008;
8. შარაძე გურამ - უცხოეთის ცის ქვეშ, თბ., „მერანი“, 1991;
9. ჩხეიძე როსტომ - „მზის შვილები“ (ლიტარატული ცდა), თბ., 2010.

რეზიუმე

მთელი ჩვენი თაობის გულისტკივილს გამოხატავდა კობა იმედაშვილი, რომელიც წერდა: ,,გრიგოლ რობაქიძეზე ჩემმა თაობამ ყურმოკვრით თუ იცის რამე, ისიც ხშირად ჭორებისა და ლეგენდების დონეზე”.

დღეს, როცა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის არქივებსა თუ იქაურ ბეჭდვით ორგანოებში მოპოვებული მასალები, გაადვილდა კვლევა ერთადერთი ქართველი ემიგრანტი მწერლის შემოქმედებისა, რომელმაც ემიგრაციაშიც გააგრძელა მოღვაწეობა და აღიარებასაც მიაღწია. 7 წიგნიდან 5 მას გერმანულ ენაზე აქვს დაწერილი.

მთავარი კი ის არის, რომ გრიგოლ რობაქიძე არ იყო ორდინალური მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში. მისი შეფასება ღირებულებათა გადაფასებას მოითხოვს. გრიგოლ რობაქიძე - პოეტი, გვერდს უმშვენებს რობაქიძე - პროზაიკოსს, რობაქიძე - დრამატურგს, რობაქიძე - კრიტიკოსს და თეორეტიკოსს. „ასეთი თანაბრად ძლიერი ძალისხმევა სხვადასხვა სფეროში, ნიშანდობლივი ევროპის გამოჩენილ მწერალთათვის, ჩვენში ილია ჭავჭავაძისეული მაშტაბურობის გამოვლენა იყო“.

GRIGOL ROBAKIDZE AN INCOMPLETE NOBEL PRIZE OWNER AND THE SOVIET LITERATURE

Marina Tsertsvadze, Full Professor

RESUME

Koba Imedashvili expressed grief of our generation while writing the following: “My generation knows only by hearing about Grigol Robakidze and it often happens at the level of rumours and legends”.

Nowadays the materials found in the archives and press of abroad have already been published and it is easier to search the creation of one of emigrant writers, who continued his activity in the emigration and became popular. Five of his books out of seven were written in German.

The main thing is that Grigol Robakidze was not an ordinal event in our literature. He is a poet, novelist, critic and theorist at the same time “Such equal strong forcing in different fields which is peculiar for European famous writers, was like Ilia Chavchabadze’s greatness”.

ИСТОРИЯ РУССКОЙ ЛИТЕРАТУРЫ: ОТ НОВЫХ ПОДХОДОВ ПРЕПОДАВАНИЯ К НОВОМУ СОДЕРЖАНИЮ

***Натела Хинчагашвили**, проф.*

Демократизация всех сфер социальной жизни, происходящая сегодня, в частности, в сфере образования привела к тому, что, с одной стороны, резко возросло информационное пространство профессиональной деятельности преподавателя, с другой – сегодня преподава-тель получил доступ к самым современным научным теориям, с третьей – изменение в общественной жизни неизбежно породили новые педагогические технологии. Новая филосо-фия образования и новый социальный заказ к образованию дали толчок к развитию методи-ческой науки. Интернет оказался одним из важнейших каналов доступа к педагогическим инновациям.

Сегодня интернет - наиболее динамично развивающаяся информационнная среда. Преподаватель истории русской литературы (школьный, вузовский) должен иметь коллекцию ОР, основу которой составляют комплекты компакт-дисков образовательного назначения; электронные учебные издания; информационных образовательных ресурсов http://fcior.edu.ru/; Единая коллекция цифровых образовательных ресурсов http://school-collection.edu.ru/; Единое окно доступа к образовательным ресурсам http://window. edu.ru/window; Портал "Российское образование" http://www.edu.ru .

Поскольку характер, качество и состав представленных в профессиональных интернет - ресурсах материалов весьма различны, преподавателю приходится, с одной стороны, искать новые оригинальные способы вовлечения компьютерных технологий в преподавание, а также способы адаптации новых мультимедиа технологий к уже имеющимся в арсенале препода-вателей методикам.

Вышеперечисленные ресурсы предоставляют преподавателю эксклюзивную информа цию и материалы для лекций по истории литературы, дополнительную информацию при их разработке, организации самостоятельной работы студентов, проведения итоговой или промежу точной аттестации, дистанционного обучения, организации внелекционных занятий.

Обращение к Интернет-ресурсам может сделать лекцию много интересней. Естествен но, все возможные формы использования информационных возможностей интернет-ресурсов предугадать невозможно и, следовательно, описать способы обращения к ним затрудни тельно, поэтому логика обращения к информационным Интернет-ресурсам должна быть продумана заранее. Так, например, интернет-библиотеки помогут преподавателям и студентам справиться с дефицитом текстов при подготовке к занятию. В данном случае от препода вателя требуется сориентировать студента в пространстве Интернета, помочь найти необходимую в данный момент ссылку.

Информационные интернет-ресурсы полезны и при сборе материала для занятия (например, биографические справки, иконография писателей и деятелей культуры). При этом Интернет позволяет преодолевать монологичность учебников, предоставляя студенту право выбирать точку зрения или формировать свою. В данном случае преподаватель может формировать собственную базу данных, а студент - свою. Остановимся подробнее на методическом аспекте использования биографических источников. Для создания базы можно порекомендовать следующие литературные сайты, представленные в Каталоге Интернет-ресурсов

- Классика.Ru-электронная библиотека классической литературы (http://www. klassika.ru/);
- Русская виртуальная библиотека (http://www.rvb.ru);
- Русский биографический словарь (http://www. rulex.ru) и др.

Если же для работы требуется развернутый материал, студенту рекомендуются тема-тические и персонально сориентированные сайты, такие, например, как:

- И.С. Тургенев (http://turgenev.org.ru);
- В.В. Маяковский (http://mayakovsky.narod.ru/);
- И.А. Бунин (http://www.kulichki.com);
- В.Набоков (http://www.nabokov.spb.ru);
- В. П. Астафьев (http://www.fro196.narod.ru);
- С.Довлатов (http://dovlatov.newmail.ru/).

Наиболее распространенными и, очевидно, не использующими все возможности муль-тимедиа технологий являются сайты, на которых выставлены методические рекомендации разного уровня и качества. Они по своей сути дублируют печатные источники информации и предполагают пассивное потребление представленной в них информации. Как правило, такие сайты не требуют читательской оценки предоставляемых материалов и нацелены на пассив ное усвоение прочитанного. Они представляют из себя копилки методических материалов и сборники полезной информации и пользователь в этой ситуации всего лишь потребитель, а не творец информации. К подобным сайтам относятся Материалы к лекциям по литературе (http://edu.rin.ru), Виртуальное методическое объединение преподавателей литературы (http://www.edu.nsu.ru), Урок литературы: проблемы,методы, подходы (http://www.eelmaa.narod.ru).

Современный интернет вырабатывает новые интерактивные формы взаимодействия пользователя и виртуальной среды, используя различные мультимедиа технологии. На таких сайтах преподаватель может получить полезную для себя методическую информацию. Их также отличает более высокий уровень подачи материала.

Кроме тематических разработок занятий, такие сайты представляют современные науч-ные концепции, обеспечивая взаимодействие педагогической теории и практики, например, сайты Библиотека учителя (http://www.azbuk.net/school/) и Методико-литературный интернет-сайт (http://www.mlis.ru).

Информационные Интернет-ресурсы могут привлекаться на занятие и в качестве справочного теоретико-литературного и историко-культурного материала. Так при изучении стихотворных текстов можно рекомендовать обратиться к популярному «Учебнику стихосложения» на сайте «Стихи. Ru» (http://www.stihi.ru).

Среди цифровых образовательных ресурсов интернет-ресурсы занимают особое место. Требование научности предоставляемой ими информации наиболее значимо при их оценке как преподавателями, так и студентами, поэтому необходимо развивать навыки критической оценки предоставляемой интернет-ресурсами информации и способов ее организации. В первом случае речь идет о предоставлении пользователю информации об источниках полу чения тех или иных материалов и аннотированной характеристике материалов, размещенных на сайте. Во втором - о наличии инструкций о принципах организации материалов и просто та доступа к ним. Кроме того, необходимо учитывать наличие аналогичного книжному грифа, фиксирующего авторство интернет-сайта или интернет-портала, а также поддержку той или иной общественной организацией или государственным органом.

Интернет-среда становится важнейшим в современном обществе источником образо-вательной информации. Преподаватели-словесники не могут не учитывать этого в своей по-вседневной педагогической практике. Освоение интернет-технологий уже стало одной из базовых компетенций преподавателя: во-первых, они являются значимым источником новой информации и предоставляют

эксклюзивный материал для моделирования лекций, во-вторых, стали источником и организатором самообразования словесника и как филолога и как методи ста, в-третьих, способствуют профессиональной рефлексии собственного и чужого опыта.

Таким образом, в той или иной степени различные интернет-ресурсы позволяют осуществлять информационную, обучающую и рефлексивную функции. Рассмотрим это на конкретных примерах.

Информационную функцию выполняют прежде всего интернет-ресурсы, аккумулирую-щие информацию по различной тематике: энциклопедии, библиотеки, словари, справочники и т. д. Например:

- Стихи.Ру: Энциклопедия поэзии (http://www.stihi.ru/encyclopedia/);
- Русский филологический портал (http://www.philology.ru/);
- Русская виртуальная библиотека (http://www.rvb.ru);
- Классика. Ru - электронная библиотека классической литературы (http://www.klassika.ru/);
- Библиотека Максима Мошкова (http://lib.ru/) и др.

В данном случае мы имеем дело с аналогами печатных источников информации, представленными в новом виде. Однако появились образовательные ресурсы, не выстраиваю щие диалог с пользователем, но в то же время предполагающие его активность. Имеются в виду ресурсы, материалы которых требуют от преподавателя активности в перестройке предоставляемой ими информации с целью переноса этой информации из виртуального пространства в реальное познавательное пространство занятия по литературе. Например:

- Русская и зарубежная литература на «Российском общеобразовательном портале» (http://litera.edu.ru/);
- Биографии великих русских писателей и поэтов (http://writerstob.narod.ru/);
- Электронная библиотека Александра Белоусенко (http://belousenkolib.narod.ru/) и др.

Мало отличаясь от традиционных печатных материалов, такие интернет-ресурсы значительно расширяют границы возможностей преподавателя-практика, предоставляя ему аудио и видео-материалы. А найти им применение в структуре профессиональной деятель-ности - уже задача преподавателя. Работа с такими интернет-ресурсами предполагает повы-шение уровня его профессиональной компетентности .

Обучающую функцию выполняют на сегодняшний день интернет ресурсы пассивного и интерактивного вида. Первые предоставляют возможность познакомиться с представлен-ными в Интернете теоретико-методическими материалами (вузовские учебники, научные статьи и т. д.), предметными программами, методическими рекомендациями по различной тематике, вариантами планирования лекций, описаниями инновационных технологий литера турного образования и т. д. Способствуя самообразованию педагога, они не меняют характер его познавательной деятельности в сравнении с традиционными формами самообразования, например:

- История русской литературы XX века: методические разработки (http://teneta.rinet.ru);
- Виртуальное методическое объединение учителей литературы http://www.edu.nsu.ru ;
- Материалы к лекциям по русской литературе http://edu.rin.ru .

Вторые предлагают преподавателю не просто неизвестные ему методические матери-алы, но различные формы дистантного самообразования: участие в интернет-семинарах, выполнение творческих заданий, обмен педагогическим опытом, участие в «форумном» обсуждении профессиональных проблем и методик, например:

- Методико-литературный Интернет-сайт (http://mlis.ru);
- Русофил. Методика http://www.russofile.ru);
- Телешкола (http://www.internet-school).

Все эти сайты отличает высокий уровень диалогичности: самообразование преподава-теля осуществляется вследствие интенсивности коллективного взаимодействия с коллегами и научными консультантами, что существенно сказывается на процессах профессиональной коррекции и роста. Мы думаем, что будущее именно за такими интерактивными интернет-ресурсами. В перспективе они могут составить реальную конкуренцию существующей на сегодняшний день системе повышения квалификации преподавателей, Эти ресурсы активно влияют на изменение уровня и качества профессиональной компетентности преподавателя.

Важнейшим фактором профессионального развития преподавателя оказывается способность к рефлексии самого разного уровня и качества, в известной степени эту способность развивают сайты,

отмеченные выше как интерактивные, однако сейчас появляются и отдельные интернет-страницы и целые сайты, побуждающие преподавателя к дискуссионному обсуждению стоящих перед ним проблем, например:

- «Журнальный зал» в «Русском Журнале» (http://magazines.russ.ru/);
- Сетевая словесность (http://www.litera.ru).

Т.о. активное внедрение в образовательный процесс интернет-ресурсов, их исполь-зование в повседневной практике преподавания истории литературы влияет на повышение уровня профессиональной компетентности, оснащенность методическими материалами, методику проведения лекций, характер взаимодействия между лектором и студентом, наконец насыщения дисциплины новым содержанием.

В заключение отметим, что работа преподавателя, на наш взгляд, может считаться успешной, если студенты будут иметь представление о различных видах интернет-ресурсов (т.е. владеть навыками применения источниковой базы справочной литературы), которые могут быть использованы при изучении истории литературы; уметь работать с различными материалами, предоставляемыми интернет-ресурсами по дисциплине; знать, как формировать собственную базу данных. А это - прямой путь к освоению нового содержания в преподава-емой дисциплине.

ЛИТЕРАТУРА:

1. http://www.rlcentre.com/rkir.shtml
2. http://www.orenipk.ru/kp/distant_vk
3. http://www.edu.ru/modules.php
4. http://www.rvb.ru/about/index.html

რუსული ლიტერატურის ისტორია: საწავლების ახალი მიდგომებიდან - ახალი შინაარსისაკენ

ნათელა ხინჩაგაშვილი, სრული პროფესორი

რეზიუმე

დღეს ინტერნეტი წარმოადგენს დინამიურად განვითარებად საინფორმაციო სივრცეს. ვინაიდან ინტერნეტ-რესურსებში წარმოდგენილი მასალების შემადგენლობა და ხარისხი საკმაოდ მრავალფეროვანია, პედაგოგიური მეცნიერება ეძებს სწავლებაში კომპიუტერული ტექნოლოგიების ჩართვის ახალ ორიგინალურ გზებს და უკვე არსებულ მეთოდიკებში მულტიმედია ტექნოლოგიების ადაპტაციის ხერხებს.

ინტერნეტ-რესურსები აწვდიან უმაღლესი სკოლის რუსული ლიტერატურის ისტორიის მასწავლებელს ექსკლუზიურ ინფორმაციას, დამატებით მასალას სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის, შუალედური და დასკვნითი ატესტაციის, დისტანციური სწავლების ორგანიზაციისათვის.

ნაშრომის ავტორი განიხილავს რუსული ლიტერატურის ისტორიის სწავლებისას ინტერნეტ-რესურსების გამოყენების ნიმუშებს, გვთავაზობს მეთოდიკას, რომლის დახმარებითაც სტუდენტები შეძლებენ ინტერნეტ-რესურსების მონაცემების საკუთარი ბაზის ფორმირებას, გამოიყენებენ დისციპლინაში წარმოდგენილ მასალებს.

HISTORI OF THE RUSSIAN LITERATURE : FROM THE NEW APPROACHES OF TEACHING TO THE NEW CONTENT

Natela Khinchagashvili, Full Professor

RESUME

Today internet is a dynamical development information sphere. Because character of appeal materials by internet-resources, stuff are quite different pedagogical science, from one side it looks for new original methods to introduction them at studying, and also adaptation methods of multimedia technologies, which already is at teacher-methodologists' arsenal.

Internet resources are giving to the teachers, exclusive information and exclusive stuffs at the literary history lectures, giving possibility to take additional information for its treatment, to organize independent works for students.

Authors of the article discussed examples of using internet-resources at the studiousness of the Russian Literary History, offered methodic, from where students made idea about difference types of internet-resources, they would study internet-resource to make their own base facts, could work with different materials giving by internet-resource.

ОБЕСЧЕЛОВЕЧЕННЫЙ ЭСТЕТИЗМ А. БЕЛОГО. ИНТЕРПРЕТАЦИЯ ИДЕЙ НИЦШЕ В ТВОРЧЕСТВЕ А.БЕЛОГО

***Елена Хирсели**, Приглашённый специалист*

Самым ревностным приверженцем идеологии символизма и самым горячим почитателем творчества Ф.Ницше среди символистов был, несомненно, Андрей Белый.

А. Белый как интерпретатор идей Ницше, несколько "выпадает" из общего контекста русской мысли и стоит особняком даже по отношению к своим единомышленникам-символистам. Во-первых, его творчеству (как и символизму в целом) не свойственна самая характерная черта русской философии - антропоцентризм. Во-вторых, у Белого нет веры, которая была у его учителя Соловьева или, например, у Вяч. Иванова. Как верно заметил все тот же Н.Бердяев в "Русской идее": "Можно было бы сказать, что мироощущение поэтов-символистов стояло под знаком космоса, а не Логоса. Поэтому космос поглощает у них личность; А. Белый даже сам говорил про себя, что у него нет личности.. Поэтому разрешение дилеммы "коллективизм - индивидуализм", обойти которую ни один русский мыслитель не мог, реализуется Белым во внешнем круге жизни, а не во внутреннем душевном бытии, как это было характерно для русской философской мысли. Эти черты мировоззрения Андрея Белого и определили особенности его интерпретаций творческого наследия Ницше.

Творчество Ницше целиком захватывает студента Бориса Бугаева. И в своих юношеских дневниках, и в созданных через многие годы мемуарах он будет описывать свое увлечение.

Андрей Белый тонко ощущает гармонию эстетики Ницше: "С осени 1899 года я живу Ницше; он есть мой отдых, мои интимные минуты, когда я отстранив учебники и отстранив философии, всецело отдаюсь его интимным подглядам, его фразе, его стилю, его слогу; в афоризме его вижу предел овладения умением символизировать: удивительная музыкальность меня, музыканта в душе, полоняет без остатка;" [1]. Угадывает он и скрытую в его душе невероятную глубину. Для него Ницше - мудрец, собственная мудрость для которого есть источник печали. Мудрец, скрывающий всю глубину своей мудрости за парадоксальной фразой, за броским афоризмом, за хлестким словом. Цель этой потаенности - сберечь и защитить

собственное своеобразие от господствующего вокруг однообразия, сохранить завоеванное право на неповторимую индивидуальность.

Вместе с тем, сам Андрей Белый также стремиться усмотреть у Ницше нечто "свое". И ему это удается. Он идет за своим собственным, по-своему воспринятым Ницше.

В целом, Белый, как и другие символисты, в значительной мере воспринял Ницше сквозь призму философии Соловьева. Это нашло свое выражение в том, что специфику интерпретации Ницше и у Белого, как и у Соловьева, определяет свойственный русской душе мессианизм - в разных формах выражающееся ожидание прихода эпохи Святого Духа. Но если для Соловьева преображение человечества есть, прежде всего, преображение души - внутренний, духовный процесс, то для Андрея Белого это символический процесс космического преображения, который должен свершиться вне личности и вне зависимости от нее. Человеческая личность есть лишь пассивный элемент этого процесса, функция которого - его предвидеть, созерцать и, наконец, оказаться захваченным им.

Для символиста все явления этого мира, все преходящее - есть символы, безусловно указующие на существование иного, незримого, более совершенного бытия. "Таким образом, символы никак не являются условными человеческими измышлениями; они выявляют во Вселенной, живой всецело, предмирные знаки, вчеканенные в сокровенную сущность вещей, и как бы тайный язык, посредством которого осуществляется общение бесчисленных душ, сродных друг другу, но разъединенных характером и особенностями существования и принадлежностью к разным кругам творения" [2].

Сквозь призму собственной модели символизма А. Белый рассматривает как личность, так и творчество Ф.Ницше: "Философ-музыкант мне казался типом символиста: Ницше мне стал таким символистом вплоть до жестов его биографии и до трагической его судьбы" [1], - так объясняет свое восприятие личности немецкого философа сам А.Белый. Язык произведений Ницше - для Андрея Белого так же есть, прежде всего, язык символов. А потому Ницше, считает Белый, вообще не может быть "понят", т.е. адекватно выражен в понятиях. Пытаясь передать свое восприятие Ницше, сам Белый пытается избежать четких определений. Ницше по Белому - " невыразимый ", молчаливо смеющийся нам" [3] и т.д.

"Сомыслие" и "сотворчество" - вот для Белого путь постижения Ницше, но не сопереживание. Всю философию Ницше Андрей Белый воспринимает и определяет как символизм, скорее как художественное творчество, искусство, определенное Вяч. Ивановым как "искусство знаменательное и "сложное", способное "внушать" то, что в нем нарочито умалчивается, и лишь слегка намечается, а именно - "подземное течение мысли" и как бы мир "невидимый" позади явно выраженного образа" [2].

Символ есть феномен мира явлений, мира как данности, лишь указующий на глубину, скрытую за ним. В данном случае изысканный литературный стиль Ницше, музыкальность его слога - лишь надводная часть айсберга - "видимая" часть его творчества. Андрей Белый точно угадывает наличие подводной части - части главной, но проникнуть в глубину ему не удается. Белый скользит по поверхности. Он не вхож в мир экзистенциальной "философии жизни" Фридриха Ницше.

Да и сам Ницше у Белого вроде как и не живой человек вовсе. Гений, "парящий дух", "крылатый Сфинкс", символ героя, которым Белый восторженно наслаждается, но не сопереживает. В этом Андрей Белый является своеобразным философским антиподом другого русского философа - Льва Шестова, на которого творчество Ницше оказало сильнейшее, можно сказать, определяющее воздействие.

Ницше воссоздал первую породу гения, которую не видывала еще европейская цивилизация. Вот почему своей личностью он открывает новую эру... И над нашей культурой образ его растет, как образ крылатого Сфинкса. Смерть или воскресенье: вот пароль Ницше. Его нельзя миновать: он - мы в будущем, еще не осознавшие себя. Вот что такое Ницше" [2].

Смерть и воскресение для Белого имеют всего лишь все тот же символический смысл. "Если наша жизнь есть культурная смерть, то в удалении от жизни - жизнь творчества. Человечество рождает форму искусства, в которой мир расплавлен в ритме, так что уже нет ни земли, ни неба, а только - мелодия мироздания: эта форма - музыкальная симфония. Извне – она наисовершеннейшая форма удаления от жизни, изнутри - она соприкасается с сущностью жизни - ритмом. Поэтому-то называем мы ритм жизни духом музыки: здесь - прообразы идей, миров, существ" [3]. Как можно заметить, с "духом музыки" у Белого происходит существенная метаморфоза: если у Ницше из духа музыки рождается трагедия, то Белый из духа музыки извлекает всего лишь символические образы и знаки - "прообразы идей, миров, существ". "Здесь художник - дух, парящий над хаосом звуков, чтобы создать новый мир творчества, - продолжает по-своему развивать тему А.Белый, - и им раздавить творческие обломки, называемые бытием: задача ритма, укрытого

в творчестве оборвать небо, раздавить землю: бросить небо на землю в пропасть небытия, потому что в душе художника - новая земля и новое небо... и нужно, чтобы музыка пролилась в нашу кровь, чтобы кровь стала музыкой: тогда мы поймем, что преображение - в нас и бессмертие - с нами" [3], - продолжает "парить" и восторженно грезить Белый, пропуская мимо ушей горькие, выстраданные слова самого Ницше о том, что "каждый, когда-либо строивший "новое небо", мощь свою для него находит только в собственном аду" [4].

"Рождение трагедии" - одно из любимейших произведений Белого. "Под безобразным коростом жизни ритм жизни подслушал Ницше. Духом Диониса назвал он биение жизни; Духом Аполлона - жизнь творческого образа. Оба начала оказались вне жизни, потому что жизнь перестала быть жизнью: оттого-то музыку мы можем определить только как небо души, а поэзия - облака этого неба: из неба выпадает облако; а из ритма - тело: соединение ритма с образом. Символ слияния тела и души: намеченный путь тут возвращен к героизму, т.е. спасение человечества" [3], - вслед за Ницше зовет А. Белый читателя в героическую эпоху, ратует за восстановление героического духа. Но герой Белого - это символ, герой же Ницше - человек.

Белого привлекают сильные, "трагические фигуры", в которых ярко выражено индивидуально-личностное начало. Это европейский тип рыцаря. Здесь определяющую роль играет влияние творчества Г. Ибсена и созданные им образы, которые незаметно для самого Белого заслоняют подлинного "философского героя" Ницше.

Герой для Белого - сильная, яркая смелая личность, бросающая вызов своим современникам, судьбе, наконец, самому богу, бесстрашно идущая на встречу смерти. Личность, утверждающая себя и свои права наперекор своему "историческому миру", культуре, обществу, единожды и навсегда осознавшая свою цель и принявшая выпавший ей нелегкий жребий.

Идеалом же героя для Ницше является древний грек, которого он рассматривает не личностно персонифицированным, а как человека "типического". В понимании Ницше древний грек являет собой тип человека с повышенной способностью страдания, а потому он должен был создать средство, которое бы могло оправдать реальную жестокость человеческого существования, выраженную в мудрости Силена утверждением, что наилучшее для человека - не родиться, не быть вовсе, быть ничем, и наипредпочтительнейшее - скоро умереть. Необходим был способ гармонизировать эту жестокую жизнь, утвердить не только самою ее возможность, но и сделать ее такую, какая она есть - желанной. "Грек знал и ощущал страхи и ужасы существования: чтобы иметь возможность жить, он вынужден был заслонить себя от них блестящим порождением грез - олимпийцами" [4].

Эстетизм Белого - есть обесчеловеченный эстетизм. "Нам нужно соединение поэзии и музыки в нас, а не вне нас, мы хотим жить действительным единством слова и музыки, а вовсе не отраженным: мы хотим, чтобы не мертвая форма - купол увенчал храм искусств, а человек - живая форма. И песня - весть о человеческом преображении: это преображение в переживаниях наших развертывает единый, сам в себе цельный, путь. На этом пути в преображении видимости постигаем мы свое преображение. Как в горне плавильном плавиться наша плоть, а нам кажется, что плавиться мир. Тут в делах, в словах, в чувствах - человек - меннезингер собственной жизни: и жизнь - песнь" [3].

Человек - живая форма, особый строительный материал, высшее предназначение которого - увенчать храм искусства. В этом нет ничего экзистенциального. Поэтому А. Белый без сомнений разлагает человека на дух, душу и тело. Затем душа и тело исчезают. Дух есть, но нет души, хотя именно душа есть соединение духа и тела, она то - что есть человек. Таков символизм Белого.

Символизм Ницше - способ постигнуть генезис мира явлений как жизненного мира человека. Человек не принадлежит ни земле, ни небу, ни природе, ни богу, он принадлежит "третьему миру" - жизненному миру человека. Глубина этой истины будет постигнута Шефтсбери, Гердером, Якоби, Гете и, как драгоценное наследство, будет передана ими Ницше.

Восприятие символа всегда есть переживание. Но у Белого - это одномоментное и по своей сути лишь эстетическое переживание мира, переживание по принципу "здесь и сейчас". У Ницше же - это переживание мира "всегда", "вообще", в единстве времен и всеобщности явлений человеческого бытия. Белый блаженно грезит, не оборачиваясь назад, устремленный вперед и ввысь, ведомый зорями грядущего. Ницше же, объятый священным ужасом и почтительным восторгом, всматривается в бездонные глубины, в пучины первозданного хаоса бытия, пытаясь разглядеть в них трагическую разгадку вечной тайны мира.

ЛИТЕРАТУРА:
1. Белый А. На рубеже двух столетий. Воспоминания. В 3-х кн. Кн. 1. - М.: Художественная лит., 1989.
2.. Иванов В.И. Собрание сочинений в 4-х т. Т.2. - Брюссель, 1974.
3. Белый А. Символизм как миропонимание. - М.: Республика, 1994.
4. Ницше Ф. "Генеалогия морали", Избранные произведения в 2-х книгах, Кн.2, М.: Итало-советское из-во "Сирин", 1990г.

ანდრეი ბელის გაარაადამიანებული ესთეტიზმი. ნიცშეს იდეების ინტერპრეტაცია ბელის შემოქმედებაში

ელენე ხირსელი, მოწვეული სპეციალისტი

რეზიუმე

რუს სიმბოლისტებს შორის, ნიცშეს შემოქმედების ყველაზე დიდი თაყვანისმცემელი იყო ანდრეი ბელი. მან, როგორც ყველა სიმბოლისტმა საერთოდ, ნიცშე აღიქვა სოლოვიოვის ფილოსოფიის პრიზმაში. მაგრამ, თუკი, სოლოვიოვისთვის ადამიანის გარდასახვა არის უპირველეს ყოვლისა სულის გარდასახვა, შინაგანი სულიერი პროცესი, ანდრეი ბელისთვის ეს არის კოსმიური გარდასახვის სიმბოლური პროცესი, რომელიც ხორციელდება პიროვნების მიღმა და მისგან დამოუკიდებლად. ნიცშეს ნაწარმოებების ენა ანდრეი ბელისთვის ასევე არის, უპირველეს ყოვლისა, სიმბოლოების ენა. ამიტომ ნიცშე, - თვლის ბელი, - საერთოდ არ შეიძლება იყოს „გაგებული“, ე.ი. ადეკვატურად გამოხატული წარმოდგენებით. ნიცშე ბელისთვის, თითქოსდა სულაც არ არის ცოცხალი ადამიანი. – ის არის გენიოსი, „მფრინავი სული“, „ფრთოსანი სფინქსი“, გმირის სიმბოლო, რომელიც მას აღაფრთოვანებს. ბელის ესთეტიზმი - არის გაარაადამიანებული ესთეტიზმი.

ANDREI BELY'S AESTHETISM. THE INTERPRETATION OF NIETZSCHE'S IDEAS IN BELY'S WORKS

Elene Khirseli, Specialist by contract

RESUME

The greatest admirer of Nietzsche's work among Russian symbolists was Andrei Bely. He perceived Nietzsche like Soloviov as all the symbolists did. But for Soloviov human transfer first of all was the transfer of soul, but for Bely it is the symbolic process of cosmic transfer. This process is carried out independently, beyond the person. The language of Nietzsche's works for Andrei Bely is the language of symbols. Nietzsche is not just a human for Bely, but he is a genius - "Flying Spirit" or "Sphinx" and a hero. Bely's aesthetism is an aesthetism without human.

შენიშვნებისათვის